ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

6

1991

ႤႰႭႥႬႳႪႨ
ႡႨႡႪႨႭႧႤႩႠ



ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია, თავისი მრავალათასიანი მკითხველის სახელით, ულოცავს ბატონ **ზვიად გამსახურდიას** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევას.

უსურვებს ჯანმრთელობას და ყველა კეთილშობილური მიზნის განხორციელებას ჩვენი ერის საბედნიეროდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
ორგანო

6

ივნისი

1991

თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლო". № 306. გამოცემის 33-ე წელი

მთავარი რედაქტორი
იორამ ქემერტელიძე

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
დათო მაღრაძე
რევაზ მიშველაძე
გიგი სულაკაური
მორის ფოცხიშვილი
ჯარჯი ფხოველი
ჯანსუღ ღვინჯილია
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ხორდელი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ვახტანგ ხარჩილავა
მირონ ხერგიანი
ტარიელ ჭანტურია
მაკა ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი
ირაკლი გაზაძე

# შინაარსი

## პოეზია და პროზა

3. მამუკა დოლიძე. მოთხრობები
15. გაბრიელ ჯაბუშანური ორი ქალი. ლირიკული პოემა
19. ზურაბ ლავრელაშვილი — მოთხრობები
26. მერი ბადრიაშვილი — ლექსები
28. აკაკი ვასაძე — ყინულის მარწუხებში. რომანი. დასასრული
57. კახა ტიგინაშვილი — ლექსები
59. ნოდარ მახარაძე — ლექსები
61. ქეთევან კვინტრაძე — ლექსები
62. რამაზ სურმანიძე — მურღულის ქვა. მოთხრობა
71. ცისანა მიქაძე — ლექსები
72. ზაირა სამხარაძე — ლექსები
74. ზუმრუდ გოდერძიშვილი — ლექსები

## ახალი თარგმანები

77. უილიამ შექსპირი — ლუკრეცია. გაგრძელება. ინგლისურიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

## ისტორიის თეთრი ფურცლები

84. ლევ ტროცკი — სტალინი. გაგრძელება. თარგმნეს ელზა მეტრეველმა და დავით მჭედლურმა

## პუბლიცისტიკა

105. გურამ ფანჯიკიძე — ედუარდ შევარდნაძე — (შტრიხები პოლიტიკური პორტრეტისათვის)
125. დათო მაღრაძე — ისტორიული პარალელები
150. აკაკი თოფურია — სტუდენტობა — ოქროს „საბადო“

159. მცირე საჭირო განმარტება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა დოლიძე

# მოთხრობები

## ცხრა აპრილის მოტივებზე

ქაშვეთის ეკლესიასთან თითო-ოროლა კაცი იდგა. რომ ჩავიარე, მზერა გამომაყოლეს, ნეტავ, რას დგანან? ჩვენს დროში, აზრთან ერთად, გემოც დაეკარგა ცხოვრებას. უკან, რწმენისკენ მობრუნება ამაო ცდაა, თუმცა ესენი მორწმუნეები არ უნდა ყოფილიყვნენ. ყურმოკრული მქონდა, რომ ქაშვეთთან თავისუფლების მაძებარნი იკრიბებოდნენ. ადამიანთა ეს დაჯგუფება, სულ გადაგვარებული არ იყო, აქა-იქ კიდევ გაიელვებდა ხოლმე რომელიმე მათგანი, მაგრამ რიცხობრივი სიმცირის გამო, ვერ ქმნიდნენ გაერთიანებას, რათა შეეცვალათ საზოგადოებრივი აზრი. სამსახურში მისვლამდე გადამავიწყდა კიდეც მათი არსებობა; მოსკოვის კომისიამ ქვა ქვაზე აღარ დატოვა ჩვენს საძმოში. უფროსს ნერვიულობისაგან სახე აუჭრელდა, ხელები ისე უცახცახებდა, ხელის მოწერაც კი ვერ შეძლო. ან კი როგორ მოაწერდა, როცა ვერაფერს კითხულობდა, მზერა ურდებოდა. ეს რემონტიც უდროო დროს დაიწყეს! გაზეთისქუდიანმა, ოჩოფეხებზე შემდგარმა მუშებმა ჩამოანგრიეს ჭერი, ჩამოდღლიზეს კედლები და საღებავის სუნით ააქოთეს იქაურობა. ახლა ყველანი ჯერ ხელუხლებელ კანცელარიას ვაფარებდით თავს; უფროსი მუყაოს ტიხარით იყო შემოფარგლული ჩვენგან. აქეთ კი ისეთი გნიასი და ხორხოცი იდგა, საკუთარი ყვირილი აღარ მესმოდა, ყელი ჩახლეჩილი მქონდა; შინაც ვეღარ ვიკავებდი თავს, ხან მეზობლებს ვუყვიროდი, ხანაც ისე, უმიზეზოდ ვღრიალებდი.

დარი იმხანად მშვენიერი იდგა. შაბათ-კვირას შინ ვეღარ ვჩერდებოდი, გარეთ მიხმობდა ქუჩა. ქაშვეთთან ისევ ისინი იდგნენ. ერთი პარმაღზე იყო გადმომდგარი და ხელების ქნევით ლაპარაკობდა. ჩემთვის გაუგებარ ენაზე მეტყველებდა. ატრიალებდა მეტად უცნაურ, ხმარებიდან გამოსულ სიტყვებს — საქართველო, თავისუფლება... უფრო გასაოცარი ის იყო, რომ დანარჩენები უსმენდნენ მას, გულის სიღრმეში იქნებ ეთანხმებოდნენ კიდევაც, ყოველ შემთხვევაში, არავინ გარბოდა სასწრაფო დახმარების გამოსაძახებლად, თუმცა ტელეფონები იქვე, ბაღის შესასვლელთან იდგა. მოკლედ, უცნაურ გარემოში მოვხვდი. შიში იყო აღბეჭდილი სმენით გაქვავებულ სახეებზე. სასახლისკენ გამექცა თვალი. დროშა უწინდებურად ფრიალებდა თუნუქის მწვერვალზე. ტალღა-ტალღა ჩამოშვებული ფარდები მალავდნენ სასახლეში შექმნილ აზრსა და განწყობილებას... ისევ იმას იზამენ, რაც აქამდე უქ-

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიათ. ჯერ მიუშვებენ, დაახლიან, გაათამამებენ, მერე კი გამოვლენ და ერთიანად გაჟუჟავენ. სისხლი გამეყინა. უცნაურ ენაზე მოლაპარაკე კაცს სამოსელში ვწვდი და ტრიბუნიდან ჩამოვათრიე. ხალხი მეცა. ლამის გამგლიჯეს. ისევ უცხოდ მეტყველმა დამიცვა; მოვუსმინოთო! — აღმართა ხელი.

ახალს რას ვეტყოდი? მოგონებებით დავიწყე... 9 მარტს, ოცდაცამეტი წლის წინ როგორ გვესროდნენ და როგორ გავრბოდით ხიდზე სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ; ხმა ჩამეხლიჩა. ვიგრძენი, ვერავინ შევაშინე. ვეღარაფერი შეაჩერებდა უფსკრულისკენ დაგორებულ ხალხს. კისერიც უტეხიათ. მე ჩემი ვთქვი. ვალი მოვიხადე. ახლა მთავარია, ნანას დავხვდე. ისიც არ გამისხლტეს ხელიდან. არც ისე ცოტა ყოფილა უცნაურად მეტყველი ხალხი. სიონთანაც მოუყრიათ თავი. ავტომობილებს გზა შეუკრეს. რიყეზე თუ გავაჩერებ მანქანას. მგონი ჩვენმა უფროსმა გაიელვა, ლოქოსავით ამოსხლტა და ისევ შეცურდა ხალხის ნაკადში, რის ვაი-ვაგლახით მძღოლმა ერთი კი გადმომხედა, მერე დავიჭირე მანქანა. სახებანჯგვლიანმა დაიღმუვლა და აეროდრომისკენ აიღო გეზი.

ნანა მოსკოვიდან მოფრინავდა. რომ იტყვიან, ბეწვზე მივუსწარი. თვითმფრინავი უკვე დამჯდარი იყო და ორსაათიანი გადაფრენის მერე სულს იბრუნებდა. ის იყო ტრაპისკენ გავძვერი, რომ თვითმფრინავის მუცელი გაიხსნა და იქიდან... ტანკები გადმოხოხდნენ! ერთდროულად ტანკები სხვა თვითმფრინავებიდანაც გადმოძვრნენ. ორმოცდაათამდე დავთვალე! ასაფრენი ბილიკი ჯარისკაცებით აივსო! ბუდედანგრეული ხოჭოებივით ტრიალებდნენ გარშემო! ერთნი მწყობრად მიაბიჯებდნენ, მეორენი გარბოდნენ.

— ნანა! — შევძახე თვითმფრინავს. — ჯერ არ გადმოხვიდე! — ამასობაში ოფიცერი ქეჩოში მწვდა. თვალები უფერული, წყლიანი. პატარა, ძუძუს კერტივით აპრეხილი ცხვირი.

აქ რას აკეთებო! — პასუხს არც დალოდებია, თავისიანებს გასძახა: დივერსანტი დავიჭირეო! რომ გავუძალიანდი, თავში კეტი ჩამცხო და წამათრია.

იქვე, დედათა და ბავშვთა ოთახში დამკითხეს. სასაცილო იყო სათამაშო მაგიდასთან მიმჯდარი, მონღოლოიდური სახის სამხედრო, გულდასმით რომ ქექავდა საეჭვო პირთა საბუთებს.

ერთი ამხედ-დამხედა, შემდეგ ჯიბეები გამისინჯა, რომ ვერაფერს მიაგნო, მაგიდის ნათურა ჩართო და მომანათა.

— თავისუფლება გინდათ, არა! — გინება მოაყოლა. — აღარ გჭირდებით?

პასუხს გაჩუმება ვარჩიე.

— შენ გეუბნები! — მუშტი ისე დასცხო მაგიდას, რომ სათამაშოები იატაკზე დაცვივდა.

ფანჯრის ჩარჩოში სამხედრო თვითმფრინავი შემოცურდა. ჯარისკაცებმა კიბე მიადგეს. ქუდაპრეხილმა, ორდენებით დამშვენებულმა გენერალმა სალონიდან ტრაპზე გადმოაბიჯა. ხელი დაგვიქნია.

— მოიხედე აქეთ! — ყრონტში მწვდა მონღოლოიდი. — რომ ჩაგამწყვდევ შემნახველ საკანში, ეძებე მერე თავისუფლება.

— მე ცოლის დასახვედრად მოვედი... — ვცადე თავის მართლება.

— ცოლებს ცალკე მოვუვლით, — ჩაიცინა სამხედრომ...

ფრაზის დამთავრება აღარ ვაცალე, მუშტი ზედ ცხვირზე მივაწებე.

აქეთ-იქიდან მომცვივდნენ, წამაქციეს. ჯერ ჩექმებს მირტყამდნენ, შემდეგ ქამრებითა და რეზინის მათრახებით მცემდნენ. ტანს ვეღარ ვგრძნობდი, მხოლოდ გინება ჩამესმოდა; მიხაროდა, რომ მესმოდა, როგორ მაგინებდნენ, მაშასადამე, ჯერ ცოცხალი ვიყავი...

დაჩეხილ-დალილავებული, საქიმო პუნქტში მოვხვდი. ეთანი გათენებამდე [illegible]. სასწრაფოს გამოძახების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება არ მისცეს. ასე რომ საკუთარი ძალებით ცდილობდა ჩემს მობრუნებას.

დროს უცნაური რამ დაემართა. ერთის მხრივ, ღამემ ელვის სისწრაფით ჩაიქროლა, ცნობადაკარგული დროის ხანგრძლივობას ვერ შევიგრძნობდი; მეორე მხრივ კი, იმდენი უსიამოვნება, ტკივილი და ტანჯვა გადამხდა ამ წუთიერ ღამეში, მეგონა დაღამებიდან დილამდე მთელმა ცხოვრებამ გაირბინა. მოვედი თვინიერი, წეს-წყობილებას შეგუებული არსება და მივდიოდი გაბოროტებული, თავზეხელაღებული კაცი.

ქაშვეთთან ისევ ისინი იდგნენ.

სახეზე საყელო ავიფარე და მივუახლოვდი. ახლა უფრო გარკვევით ვგრძნობდი, რას ლაპარაკობდნენ. აზრი და შინაარსი კი არ აღწევდა ჩემამდე. არამედ ბრძოლას მოწყურებული კაცის ენერგია და სიბრაზე.

ჩვენს შორის მოტოციკლეტი შემოიჭრა, დაიშალეთო! პირველი მე ჩავაფრინდი რქებში და კისერი მოვუგრიხე. უნაგირზე მჯდარი აჭყიპინდა. იარაღზე გაიკრა ხელი, მაგრამ ვინ დააცადა! ხალხმა ბორბლებიანად ასწია და ჯებირს მიანარცხა.

როგორც იქნა, მივაღწიე მიკროფონს. არ მახსოვს, რა ვიმეტყველე. სიტყვებში ვაქსოვდი სიბრაზეს და ნელ-ნელა ვიცლებოდი მისგან. სულ რომ დავცარიელდი, ისევ მომაგონდა დედათა და ბავშვთა ოთახი და გულზე ხელახლა მომედო ცეცხლი.

ტრიბუნიდან ჩამოვედი და ქუჩა გადავკვეთე. ხალხი ფეხდაფეხ მომყვა. სასახლეს შემოვარტყით რკალი. ზედა უბნიდან, ქვედა ქუჩებიდან მარჯვნიდან და მარცხნიდან დაუსრულებლად მოქონავდა ხალხი. გაზონები, კიბე და სასახლის წინა არე ხალხით გაიჭედა.

მოდიოდნენ და მოდიოდნენ. მოჰქონდათ ათასფერი ალმები, ლაპარაკობდნენ, ყველა თავისას გაიძახოდა და ყველა ერთი და იგივეს ამბობდა. მანქანათა მოძრაობა შეწყდა. მზამნარევი ბოლი გაიფანტა, ჰაერი დაიწმინდა და ერთმანეთი ცხადად ვიხილეთ. თითქოს მძიმე, დამთრგუნავი სიზმრიდან გამოვედით.

სასახლეს ჩრდილი დაეცა. ცა შეეულმფრენებით იყო გაჭედილი. ზედა ქუჩებიდან გუგუნი მოისმოდა. ქალაქს თითქოს გველეშაპი შემოგრაგნოდა. მისი სუნთქვა და დამშეული ღრიალი ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღწევდა ჩვენამდე.

ტრიბუნიდან რაღაცას გაჰყვიროდნენ. მალე მიკროფონი ჩართეს და იქიდან წამოსული ცეცხლი ისევ მოედო მსმენელებს. იგრძნობოდა, რომ ამ ზვავივით მოწყვეტილ ხალხს ფარული ძალა წარმართავდა. ძალა, რომელიც გველეშაპთან ბრძოლისთვის ემზადებოდა.

გაირბინა დღემ, დადგა ღამე და პროსპექტზე ტანკების რიგი გამოჩნდა. ეს უკვე აღარ იყო სიზმარი. ან ყოველ შემთხვევაში, ცხადივით მკვეთრი და ხელშესახები ზმანება იყო, რომელიც ერთდროულად მოელანდა ადამიანთა უზარმაზარ მასას.

ვინ კეტით შეიარაღდა, ვინ ქვებით... ხალხი ჯარის კოლონისაკენ დაიძრა. სამხედროები არ ელოდნენ ასეთ სითამამეს. ჯავშნოსნებმა ძლივს გაარღვიეს ცოცხალი კედელი. ვიღაცამ მანქანა ჩაუყენა ჯარს. მეწინავე ტანკი დაეჯახა მანქანას, ამოაყირავა და კარგა ხანს ათრია. სხვებს კი გაუხსნა გზა, მაგრამ თვითონ დაზიანდა. მუხლუხებიდან ბორბალი ამოუვარდა და ადგილზე დაიწყო ტრიალი. ვიფიქრე, ჩაქოლავენმეთქი, მაგრამ ჩვენებმა შეიწყალეს, აცალეს უკან დახევა და გაქცევა.

ისევ აქეთ მობრუნდნენო, — ვიღაცამ ხმა დაარხია. ერთმანეთს ხელები ჩავჭიდეთ, ჯაჭვი შევქმენით. ქალები ზურგში დავაყენეთ, ტანკებს გზა გავუხსენით.

ქარმა დაბერა და სროლის ხმა მოიტანა. ერთი განწყობა დაგვეუფლა ყველას. არ იყო ეს შიში, იყო მოლოდინი და ამ მოლოდინით მოკრებილი ძალა. ასეთი განცდა ჩნდება ფერიცვალების წინ, ან მაშინ, როცა საოპერაციოში

მიგაგორებენ, ანდა, უფსკრულის პირას, რომ დგახარ და შეუცნობელში გადასახტომად ემზადები. ოდნავი ქავილი, ჟრუანტელი და დაძაბულობა; ჩვეული მდგომარეობიდან გამოსვლა და წუთიერი შეყოვნება გაურკვევლობის ზღურბლზე....

მახსოვს, მწვერვალზე ავდიოდი. უცებ ფეხი დამიცდა და თოკს დავეკიდე. ქვემოთ უფსკრული იყო. ერთი-ორი გავიბრძოლე და გავჩერდი. და სწორედ მაშინ, როცა ძალა გამომელია, როცა ჩაქრა იმედი და სიკვდილს ჩავხედე თვალებში, ვიღაცამ მტაცა ხელი და ზევით ამწია. ეს ვიღაცა თვით მე ვიყავი, მაგრამ არა მხოლოდ მე, არამედ სწორედ ის, ვისაც ვეძებდი, ვისაც არ ჰქონდა სახელი, რადგან იყო ყველასა და ყველაფრის მომცველი.

იქნებ სწორედ ამ დროს, როცა არც აქეთა ხარ და არც იქით, როცა სიკვდილს უსწორებ თვალს, თავისუფლდები შემოსაზღვრული სახისგან და პოულობ შენს ნამდვილ არსებას, რომელსაც სხვა ძალა წარმართავს?

არ ვიცი, რა ძალამ მიბიძგა, რამ გამომიყვანა ადამიანთა ჯაჭვიდან, რამ მაქცია სრულ პიროვნებად და გადამადგმევინა ნაბიჯი წინ, ამართული თოფებისაკენ, მეთაურთა შორის ჩემი მწვალებელი ვიხილე, ბრიყვულად დაეჭყიტა მონღოლოიდური თვალები, გამახსენდა, რაც დამაწიეს და მივხვდი, რომ არ შეიძლება ცხადად ნანახი სიზმრად ჩათვალო.

„ესროლეთ!“ — აღმოხდა ოფიცერს, ყოველი მხრიდან დამაყარეს ტყვია, მაგრამ მე უკვე ველარ შემაჩერებდნენ, რადგან დაცლილი ვიყავი სისხლისგან, აღარ მქონდა სხეული, აღარ ვიყავი მე, არამედ ვიყავი სული. სული გამოლევიძებული, შურისმგებელი, სული, რომელმაც მოიცვა ქვეყანა და შიშისაგან გათავისუფლებულმა, როგორც იქნა, თავი დააღწია ამდენი ხნის მანძილზე გაჭიმულ, გაუკუღმართებულ სიზმარს.

## საით მივდივართ?

ცხრა შესრულდა. ჩანთით ხელში, კიბეზე ჩავდივარ. ბრძოლის ველი ეზოდან იწყება. პნევმატიურ უროებს მთელი ქვაფენილი აუყრია, ამოდის და ამოდის უსარგებლო წიაღისეული; ქუჩასთან ერთად, ჩემი მოგონებაც იბურღება, სკდება, თხრილებში ცვივა წარსულის აივნები, თუმცა რა დროს სინანულია, როცა შიმშილი მიმარბენინებს წინ, პურის მაღაზიისკენ, რომელსაც ავტობუსიდან გადმოსული ხალხი მიაწყდა. ავტობუსმა ჯერ ბოლი შემომაფრქვია, შემდეგ ცეცხლი გამოსცა; ცეცხლმა მიაღწია მიზანს და თვალისმომჭრელად აელვარდა აკაციის ხე. აელვარდა და განათდა თხრილი, ღობე, დანგრეული სახლი... ნანგრევებს იქით ბულდოზერი შემობრუნდა და ჩემკენ დაიძრა. ყბადაღებული ურჩხული ღმუილით მიახლოვდება. მაღაზიისკენ გავრბივარ, ირგვლივ ბრძოლაა გამართული. პურის გულისთვის მზად არიან დაჭამონ ერთმანეთი. თუმცა პური რა შუაშია? პური მხოლოდ იმის საბაბია, რომ გასაქანი მისცენ სიძულვილს, რომლითაც ქალაქის ჰაერია გაჟღენთილი; სიძულვილს, რომელსაც ვერ ამოწურავს ვერავითარი მიზეზი, რადგან ის ჩვენი ყოფის დასაბამიდან იღებს სათავეს. ამ სიძულვილს თავისი ჯადო აქვს, თავისი მიმზიდველობა და მაშინ გავიწყდება, რისთვის იბრძვი, ოღონდ იბრძოლო, ჩნდება უცნაურად საამო გრძნობა, როცა მუშტი ხვდება ყბას, როცა მიიკვლევ გზას წაქცეულთა ზედა, ახლად გამომცხვარი პურისკენ, რომელსაც თეთრხალათიანი კაცი დარაჯობს; როცა მიაღწევ დახლს და ცარიელი თაროდან უკანასკნელ პურს დაითრევ.

— ურიგოდ მიძვრება!.. — ღრიალებს ხალხი, ცდილობ მათ ღრიალს ყურადღება არ მიაქციო, რადგან ჯერ თეთრხალათიანთან გაქვს ბრძოლა მოსაგები, ხელიდან რომ გაგლეჯს ნადავლს. ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავლთან ერთად, ლამის პერანგიც შემოგაფლითოს, ხელი მოგწყვიტოს, რადგან დღეს შეიძლება აღარც იყოს პური და ამ ბოლო ცალს ოქროს ფასი აქვს, ამიტომ ისეა გაშმაგებული, ტკივილს ვერა გრძნობს, თუმცა ვურტყამ ტანზე, სახეზე, სადაც ხელი მიმიწვდება, კბენასაც არ ვერიდები; მაინც მყარად დგას; მოდის და მაწვება თავისი ღიპით, ლამის მიმაჭყლიტოს. პურის დანას ვტაცე ხელი და მუცელში გავუყარე. ღიპი ჩაიფუშა, ბროწეულივით გადასკდა. ვიღაცას გადავაბიჯე და გარეთ გავვარდი. თონედან სროლა ამიტეხეს, აკაკანდა სახურავზე ატანილი ტყვიამფრქვევი, მგონი დამჭრეს კიდევაც. ქუჩა გადავჭერი და ღობეს მოვეფარე. ეზოში ბატონი ანდრო დამხვდა. ნაგავი ჩემს კართან რატომ დაყარეო! — ნიჩაბი მთხლიშა. გონს რომ მოვედი, ძირს ვეგდე. ანდრო ღიმილით დამცქეროდა. ტკბებოდა ჩემი ტანჯვით. ფეხი გამოვკარი და ყელში ვწვდი, ისე დავეძგერე, თითქოს ანდრო იყო ყოველგვარი უბედურებისა და სიბოროტის სათავე. იქამდე ვაწვებოდი, ვიდრე სული არ ამოვართვი, მაგრამ თან ვერ გავატანე სხვათა სიბრაზე. ქუჩა ისევ ცეცხლში იყო გახვეული. სროლას აფეთქება მოსდევდა, აფეთქებას — ნგრევა, საყრდენი ეცლებოდა სიტყვას, საქმეს, კაცობას, იკარგებოდა ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის და შურისძიებაც კარგავდა აზრს.

— რატომ დამივიწყე? აღარ გიყვარვარ? — ეს მაიას ხმა არის. ჩემს ოთახში დამხვდა; მოდუნებული, მიბნედილი, შინაგანად კი დაძაბული, საომრად მომზადებული, შემპარავად გადმოდის შეტევაზე, ხელი მტაცა, თვალებში ჩამხედა. გრძნობს, რომ დაქანცული ვარ, წინააღმდეგობას ვერ ვუწევ. მაბრუებს მისი სურნელება, გულს მიწვავს მისი ცრემლი, ლამის დავიჯერო, რომ ვუყვარვარ, რომ სიყვარული შესაძლებელია ჩვენს დროში.

ქალის მზერამ გაფანტა ეჭვი, სინათლე ჩამოდგა ქუჩაში, ქუჩიდან ოთახში, ოთახიდან სულში. ფიქრებს დაუბრუნდა სიცხადე, ცხოვრებას მიეცა აზრი.

მალაზიიდან მობრუნებულმა დედამ, დაგვინახა თუ არა, თოფი გადმოიღო და გვესროლა, მაიამ სკამს წამოავლო ხელი, შუშა ჩალეწა და ვიდრე კაბაში ვწვდებოდი, ფანჯრიდან ისკუპა.

— ისევ გაგაბრიყვა? — მეცა დედა. — სახლმმართველობაში გვიჩივის, ბინაში ჩაწერა უნდა!

— რაო! — ოცნების კოშკი დაიმსხვრა. მტვერი და ბული აჰყვა ნანგრევებს. ისევ ჩამუქდა, მოიღუშა ცა.

— რაო! — მაგიდას მუშტი ვხეთქე.

— ძალა შეინახე. სახლმმართველთან ბრძოლა მოგველის.

დედამ ჩანთიდან ყუმბარები ამოალაგა. ვაზნების ქამარ-სარტყელი მოიხსნა და მაგიდაზე მიაგდო. ტყვიამფრქვევი ფანჯრისკენ შეაბრუნა და გატენა. მე ყუმბარები ავიღე და სხვენზე ავძვერი.

გავიდა ერთი საათი, ორი... სიცხემ საგრძნობლად იკლო, ბინდმა იმატა. ჩრდილებმა მარაოსავით მოქარგა ხედვის არე. კიბის ბოლო ბნელს შეერია, მაგრამ ზემოთ ჯერ კიდევ ვარჩევდი საფეხურებს. ეზოში სინათლე ჩართეს. სწორედ ამ დროს დედამ დამისტვინა და თვალით სახანძრო კიბეზე მანიშნა. ჩავხედე წყვდიადიდან ამოზრდილ კედელს. ჯერ ვერაფერი გავარჩიე, შემდეგ ერთბაშად დავლანდე კიბეზე მცოცავი ლანდი. „სანამ ახლოს არ მოვა, არ ესროლო!“ — შევიკუმშე, დავიძაბე. გული ჩაქუჩივით მირტყამს, მაყრუებს. მასთან ერთად ფეთქავს ნათელ-ბნელი ქალაქიც, ადი-ჩამოდის მთაწმინდის ქედი. სახლმმართველი უკვე ამოდის აივანზე, დანას ხსნის, დედას ეპარება და ვერა გრძნობს, რომ მიზანში მყავს ამოღებული, რომ თითის ერთი მოძრაობა და სამუდამოდ ჩაუქრება მზერა, ჩაუბნელდება გონება, სამუდამოდ დაკარგავს აზრს ის სიძულვილი, მათრობელა შხამივით ჩვენკენ რომ იზიდავს, თორემ რა საქმე აქვს ან მაიასთან, ან ჩემთან, ან ჩვენს ბინასთან, ფულსაც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის დახარბებული; მთავარია, ვინმე გაამწაროს, ვინმეს სასიცოცხლო ფართი წაართვას, რადგან მასაც ამწარებენ, მასაც ართმევენ, მასაც წვეთ-წვეთად უშხამავენ გუნებას ისინი, ვინც ასევე მოშხამულები არიან და ბოლო არ უჩანს ამ კაცთმოძულე კიბეს.

წარმოიდგინეთ, როგორ ალრიალდება, როცა ყუმბარა მოხვდება თავში; ჯერ მხოლოდ დარტყმას იგრძნობს, შემდეგ ნაფლეთებად ჩამოექცევა სახე, ჰაერს მოებლაუჭება, რადგან მოაჯირს აფეთქების ტალღა დაამსხვრევს; თვითონაც მოსწყდება კედელს, კრამიტებზე ჩაცურდება, სახურავს ჩალეწავს და თავის ბრიგადას დაემხობა თავზე, რაღა შეაკავებს თავზარდაცემულ ხალხს და აი, გადარჩენილნი ჭიშკრისკენ გარბიან, დედა ტყვიამფრქვევიდან ესვრის, მე ყუმბარებს ვტყორცნი, ერთი მაინც ახერხებს ქუჩამდე მისვლას, მაგრამ სწორედ ამ დროს კედელი ინგრევა და ამბის წამლებიც ნანგრევებში იმარხება.

ასე მოვიგეთ ბინის საქმე, მაიამ უკან წაიღო თავისი საჩივარი, სახლმმართველობამ ხელი აიღო ჩვენს დევნაზე, სამაგიეროდ საქვაბეს მიმართა დახმარებისთვის და შური იმით იძია, რომ მეორე დღესვე გათბობა გადაგვიკეტეს. მე ამ დროს უკვე სკოლაში უნდა ვყოფილიყავი, სადაც ბავშვის მასწავლებელთან ორთაბრძოლა მქონდა დანიშნული. წელიწადზე მეტია, მე და ქალბატონი თინა ვემზადებოდით ამ შეხვედრისათვის, ვემზადებოდით, რადგან თავიდანვე ავი თვალით შევხედეთ ერთმანეთს, თავიდანვე არ მოგვეწონა ერთმანეთის ღიმილი, დამცინავი მზერა. ამიტომ შევლაპარაკდით თუ არა, ბრძოლაში გამოვიწვიე. არ ვიცი, რამ გამოიწვია, მაგრამ ფაქტია, რომ ერთი ნახვით შევიძულეთ ერთმანეთი და არ არსებობდა ჩვენთვის არაფერი, ამ სიძულვილზე უფრო ძვირფასი.

ასე რომ დღეისათვის მე უკვე სკოლის ეზოში უნდა ვყოფილიყავი, სადაც მოუთმენლად მელოდნენ. იქ მასწავლებლებმა ბარიერი აღმართეს და სახლეთი მოამზადეს. წარმოიდგინეთ, რა მოუთმენელი უნდა ყოფილიყო ქალბატონ თინას მოლოდინი და რა სასიხარულო იქნებოდა მისთვის ჩემი გამოჩენა. ჩვენ ახლა ერთნი ვიყავით, ერთად გვიძგერდა გული, რადგან მტრობა სიყვარულივით აახლოებს ადამიანებს, ნიღაბი დამსხვრეულია, ორივე გულწრფელია თავის სიძულვილში; ჩვენს შორის აღარ არის სიყალბე, დაძლეულია შიში, მოჭრილია უკანდასახევი გზა, ამიტომ ერთმანეთის ხილვაზე თვალები უნდა აგვიციმციმდეს; მხოლოდ ჩვენ ვიცით, რაც მოხდება, ვიცით, რომ სიმშვიდე მოჩვენებითია, რომ მას ტყვიის გასროლა უნდა მოსდევდეს; სხვები ვერ გრძნობენ ამას, ვერ გრძნობენ სკოლის ბაღის სურნელებაში შეპარულ სიკვდილის სუნს; ან, უბრალოდ, თავს იტყუებენ, ებღაუჭებიან მის მწვანე სიზმარს, თითქოს არ არსებობს ლობეს მოწოლილი ქალაქი, ბენზინით გაქლენთილი ტყვიისფერი ცა.

პირველივე გასროლამ უნდა გაფანტოს ეს სიზმარი, ფარდა ახადოს თვალთმაქცობას. მშვიდად აღმართავს თინა რევოლვერს, მაგრამ იმედია, გადავრჩები; შეიძლება ხელი აუკანკალდეს, ან სულაც დაამიზნოს, ჩემი მხრიდანაც დანდობის იმედით; ამაო იმედით, რადგან შეხვედრა ბედისწერაა, სისხლი უნდა დაიღვაროს, ასეა გადაწყვეტილი შეუცნობელი ავტორის მიერ და მეც მივყვები სიტყვის დინებას, ზედიზედ ვესვრი, ჯერ მუცლის ქვემოთ, შემდეგ უფრო ზევით, ვიდრე ქალის კივილი არ ფარავს სროლის ხმას...

ბრძოლა დამთავრდა, გამარჯვება მე მომაკუთვნეს, ბავშვს ხუთიანი გამოჰყვა ქართულ წერაში, მაგრამ არავინ დამაცალა გამარჯვებით ტკბობა, შინ მობრუნებულს, სახლი აოხრებული დამხვდა; გათბობის მილი — გადაჭრილი, რადიატორი გამსკდარი, ნუთუ ველარ მივუსწრებ დედას?

სახლი ნაჩქარევად არის მილაგებული, მაგრამ ვგრძნობ, რომ ხელოვნურია ეს წესრიგი, არ არის ბუნებრივი სიტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცია, მარტოობის სიმშვიდე. სიჩუმე დაძაბულია, დამუხტულია ფარული აზრით, ავის მოლოდინით; მოლოდინით, რომელიც დილიდან თან მდევს და ახლა გარკვეულ სახეს იძენს. ლოგინის ქვემოდან ხელი მოცოცავს; კარადის კარი იღება და ვიღაცა გადმოდის ტანსაცმლიდან. ჩემი ოთახი, ჩემი ნივთები, გარემო, რომელსაც შევეზარდე, ჩემს წინააღმდეგ მოძრაობს. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს გავრბივარ. მომდევენ. გზას მიჭრიან. სამი მხრიდან მომწყვდეული ვარ. მაინც არ მინდა სახურავზე ასვლა. ზურგს მიწვავს მდევრის ცხელი, ბრაზმორეული სუნთქვა, დანასავით მჭრის ქარი. მივიწევ ზევით. ლამის მოვწყდე მიწას. მოვშორდე ამ გააფთორებულ სახეებს, თანდათან რომ ახლოვდებიან. მთავარ ინჟინერს ჩაქუჩი აქვს მომარჯვებული. სახლმმართველი ბუხრის მილიდან მოძვრება. მაია სხვენიდან გადმოდის, ეშვებალესილი, გამყინავი ღიმილით... საით გავიქცე? წინ უფსკრულია, ერთი ნაბიჯიც და, სული არ დამყვება მიწამდე; არადა, ახლოვდებიან. მთავარმა ინჟინერმა უკვე მომიქნია ჩაქუჩი, მაგრამ საათის გუგუნმა გაუშეშა ხელი. ექვსჯერ გაისმა ზარი; ექვსჯერ დაიღმუვლეს გაქვავებულმა ლანდებმა. მათი დრო ამოიწურა. საათის ხმამ შეუბორკა ხელ-ფეხი. ჩემი შიში კი გაფანტა. ჩემი გულისყური სხვა რამეზე გადაიტანა. ესენი უკვე აღარ არსებობენ ჩემთვის. ვერც გაბედავენ თავდასხმას, რადგან ზედაც არ ვუყურებ. ფიქრებით უკვე სამსახურში ვარ, იქ, სადაც ამ დროს უნდა ვიყო, რათა პატარ-პატარა შეტაკებებიდან უფრო დიდსა და მასშტაბურ ბრძოლაში ჩავება, მათ წინააღმდეგ გავილაშქრო, ვინც ამტკიცებს, რომ კვერცხი უფრო ადრე იშვა, ვიდრე ქათამი.

„სიკვდილი კვერცხის მომხრეებს!" — ყვირის სწავლული მდივანი და ჩვენი ექვსასკაციანი კოლონა პროსპექტზე გამოდის. მივაბიჯებთ და ვმღერით ქათმის სადიდებელ ჰიმნს; ჰაერი გაჟღენთილია ამ ჰიმნით. აქ უფრო მეტი იგულისხმება, ვიდრე ითქმება, რადგან ქათამი მხოლოდ სიმბოლოა, მხოლოდ იმის მინიშნებაა, რასაც ვფიქრობთ, ვგრძნობთ, მაგრამ ვერ ვამბობთ. სიტყვა ვერ გამოხატავს იმას, რაც ჩვენში ფეთქავს, ჩვენს გულში ტრიალებს. ქათამი მხოლოდ საბაბია გავერთიანდეთ და წვეთ-წვეთად დაგროვილი ბოღმა ერთიან, დამანგრეველ ძალად ვაქციოთ, რადგან, როცა მარტო ხარ, მთლიანად უნდა იტვირთო დანაშაულის სიმძიმე, ხოლო როცა ერთიანდები, ეს სიმძიმეც ნაწილდება და მას თითქმის ვერა გრძნობ... კაცს ისე მოკლავ, სინდისი არ შეგაწუხებს, რადგან ბრბოში გათქვეფილმა შეგიძლია წარმოიდგინო, რომ შენ კი არა კლავ, არამედ ხალხი აკეთებს ამას შენი ხელით; შენ მხოლოდ იარაღი ხარ და თავიც რომ აარიდო, მოსახდენი მაინც მოხდება, სისხლი მაინც დაიღვრება, მით უფრო, თუკი ამას ქათმის თეორია ამართლებს.

ასე მივდივართ, მივაბიჯებთ სულ წინ და წინ, ერთიან, ბრაზმორეულ სუნთქვად ქცეულნი და მხოლოდ ერთი აზრი, ერთი კითხვა გვიტრიალებს თავში:

საით მივდივართ?

## ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ, ანუ შაბათს, კოოპერატივ „სულიკოში" ნაყიდი არახისით მოვიწამლე და რამდენადაც არავის ჰქონდა ჩემი მოვლის თავი, სასწრაფოს დავურეკე. ადრე არასოდეს მსმენია ასეთი ტკბილი, იმედის ჩამსახველი ხმა. იქვე ავუხსენი, რა მჭირდა და როგორ ვგრძნობდი თავს არახისის გასინჯებაზე სულ ყრუანტელი მივლიდა), და ამ ტკბილმოუბარ არსებას ვთხოვე, რაც შეიძლება, მალე გამოეწოდებინა ჩემთვის დახმარების ხელი. სასწაულს სასწაული მოჰყვა და ხუთ წუთში სასწრაფო დახმარების ფურგონმაც მოაყვირა ჩვენს სადარბაზოს. ცოლმა ლანძღვა-გინებით მიატოვა სარეცხი, მიწოდა ყრუ, ლეჩხი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძორი და ექიმების შესახვედრად ღიმილი გადაიკრა სახეზე

ექიმების ნაცვლად, ოთახში ხალხურ საკრავთა ანსამბლი შემოლაგდა. თუ შეიძლებაო — სთხოვა დირიჟორმა ჩემს მეუღლეს და სკამები ნახევარწრედ დაალაგა. მუსიკოსებმა დამტვერილი ჩანთებიდან ინსტრუმენტები ამოალაგეს და ტონალობის მოსაძებნად ნაირ-ნაირი ბგერების გამოცემა დაიწყეს.

— გეყოფათ! — დავიღრიალე და ყურებზე ხელები ავიფარე. — თავი ისედაც მისკდება.

— თქვენ სასწრაფო დახმარება არ გამოიძახეთ? — მხრები აიჩეჩა დირიჟორმა.

— მერე?

— ჰოდა, გვაცალეთ ერთი წუთით.

„ნეტა რას აპირებენ?" — გავიფიქრე და ანსამბლიც აჟღერდა. უკრავდნენ მეგრულ ნანას. სოლისტი გულსაკლავად მღეროდა და თავის ხმაში სოფელს მოწყვეტილი კაცის მთელ სევდა-ვარამს აქსოვდა.

— საკმარისია! — დავიჩურჩულე და მაგიდას მუშტი დავარტყი.

— ვერ გამიგია, — ისევ განცვიფრდა დირიჟორი. — მეგრელი კაცი ბრძანდებით, თანაც ახალი ჩამოსული, ნუთუ მალამოდ არ გეფინებათ ჩვენებური ნანა?

— ჯერ ერთი, ქყონიები გურულები არიან, — ვუთხარი. — მეორეც, მე ახლა კუჭის ამორეცხვა უფრო მჭირდება, ვიდრე სმენის დატკბობა.

— ნუ იტყვით, ასე ნუ იტყვით! — შემევედრა დირიჟორი. — ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ ინტელიგენტი კაცი ბრძანდებით და სულს სხეულზე მაღლა აყენებთ.

— მისამართი ხომ არ შეგეშალათ? — გულწრფელად შევწუხდი.

— აზიზბეკოვის ჩიხი, 3 ა, კორპუსი 16, IV სადარბაზო, V სართული, — დამემოწმა დირიჟორი. — ან კი, როგორ შეგვეშლება, როცა ჩვენი პოლიკლინიკა პირადად თქვენ გემსახურებათ.

— პირადად მე? — გადავხედე გაოცებულმა ცოლს.

— საკვირველი არაფერია. ჩვენ კომპლექსური სასწრაფო ვართ და პირველ რიგში პაციენტების სულიერ ტკივილებს ვაყუჩებთ. ჩვენს მოვალეობაში შედის აგრეთვე მათი შემეცნებითი გამდიდრება და გამხიარულება...

— თუ შეიძლება, მიბრძანდით და უბრალო ექიმი გამოაგზავნეთ, — ვთხოვე.

— უბრალო ექიმის შტატი გავაუქმეთ. კუჭის ამორეცხვა, ნემსის გაკეთება და წამლის მიღება საკუთარი ძალებითაც შეიძლება. აი, მთქნარებით ტელევიზორთან რომ ზიხარ და მოწყენილობისაგან ლამის კედლებზე გახვიდე, მაშინ მართლაც სასწრაფო დახმარებაა საჭირო.

— დიდი ხანია ამ ქველმოქმედებას ეწევით? — სხვა რომ ველარაფერი მოვიფიქრე, ეს ვკითხე.

— საკმაოდ. ჩვენი საჭიროება მაშინ გაჩნდა, როცა მანქანებმა დაიპყრეს ქალაქი და კაცი ტელევიზორს შეეწყა. არადა, ცარიელი ინფორმაცია ვერ შეცვლის ნამდვილ ცხოვრებას.

— ღმერთო მაღალო! — პირჯვარი გადაისახა ცოლმა.

— თუნდაც თქვენ, ქალბატონო, არ გჭირდებათ სასწრაფო დახმარება? განა იატაკის სახეხად მოევლინეთ ამ ქვეყანას?

სადარბაზოში საშინელი ხმაური გაისმა. კიბეზე მოახრიგინებდნენ რაღაცას. ბოლოს ზემოთ ამოიტანეს, კედელი შეზანზარდა და დარტყმისაგან კარი ანჯამებიდან ამოვარდა. წინკარში აბჯარ-მუზარადები შემოიტანეს და იქვე დაყარეს.

— ხალხური ცეკვები არ შესდგება. უარზე არიან, — ხელი გაასავსავა დირიჟორმა.

— მოთმინეთ, — შევაჩერე უკან გაბრუნებული ხალხი. — ბისეპტოლი ხომ არ გექნებათ? გული მერევა.

— გული ამ ცხოვრებისაგან გერევა. — თითი აღაპყრო დირიჟორმა, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაზისი მხოლოდ შედეგია და არა მიზეზი. მას ნუ გადააბრალებ ყველაფერს.

— არაფერი ვიცი, ოღონდ რამე მიშველეთ! — ვიყვირე.

— ახლავე, ჩემო ბატონო, ახლავე! ამისთვის ვართ აქ! — დირიჟორმა ტაში შემოჰკრა და ოთახში მახვილალმართული მეომარი შემოიჭრა. ერთი ნახტომით მეძგერა და ხმალი მომიქნია.

როგორ მოვასწარი გვერდზე გადაგორება, არ მახსოვს. ხმალი პლინტუსებს შორის ჩაეჭედა, წამოვხტი და მუზარადიან თავს სკამი მოვუქნიე... მეომარი უკან გადაქანდა. ხმალს დაებღაუჭა და ისევ წამოვიდა. ამჯერად ავხტი, ჭაღს დავეკიდე და მახვილმა კედელი გაანგრია. ჭაღი გაქანდა და მტერს ყბაში მოხვდა. მეომარი დაეცა, ნამსხვრევებად იქცა.

— ხომ გამოცოცხლდი? რაღაცა ხომ იგრძენი? — ტაში შემოჰკრა დირიჟორმა. — სიკვდილთან თამაშით იბადება ნამდვილი განცდა...

— რომ მოვეკალი? — შევაწყვეტინე დირიჟორს.

— გამორიცხულია. ის თქვენი რეაქციის მიხედვით მოძრაობდა. ახლა კი ჯილდო გამარჯვებულს!

გაისმა ნელი, გამაბრუებელი ტანგო, ფარდა გაიხსნა და პირდაპირ აივნიდან ოთახში შემოცურდა ნახევრად შიშველი გრძელთმიანი არსება, მაშინვე შემომეხვია და ორივემ სარკესავით მოლაპლაპე იატაკზე გავცურეთ.

შუა ცეკვაში დამცეცხლა, რომ ეს ყველაფერი ოჯახის წევრების თანდასწრებით ხდებოდა. მაშინვე შემოვბრუნდი და ცარიელ სავარძელს მივაჩერდი, რომელიც წუთის უკან ჩემს მეორე ნახევარს ეკავა...

„ნანა!“ — მივიხედ-მოვიხედე და უეცრად მეორე ოთახიდან ქალის ნაცნობი ხმა და უცხო კაცის ჩურჩული მომესმა.

„აუჰ!“ — ვიღრიალე და იქით გავქანდი.

— არ შეიძლება მანდ შესვლა. — გადამეღობა დირიჟორი. — პატივი ეცით პიროვნების თავისუფლებას!

— ჯანდაბას თქვენი პიროვნებაც და მისი თავისუფლებაც! — ვიღრიალე. — თავი დაგვანებეთ! როგორც შეგვაჩვიეს, ისე გვამყოფეთ, ძილ-ღვიძილში, ტელევიზორთან, არც კარგად, არც ცუდად! არც ბედნიერნი, არც უბედურნი!

ამ შეძახილზე სკამს წამოვავლე ხელი და დირიჟორს მოვუქნიე; თუ დახმარება არ გნებავთ, ახლავე გაგვეცლებითო, — მომაძახა დირიჟორმა, შემდეგ თავისიანებს თავი გაუქნია, — ამათი საშველი მაინც არ იქნებაო, და ხალხური საკრავთა ანსამბლი რის ვაი-ვაგლახით ჩახრიგინდა ჩვენი სადარბაზოს კიბეზე...

ნანა! — მივადექი ლამის სარეცხის ქვაბში ჩამძვრალ ცოლს. — წყალი გაათბე, იქნებ მაინც ამოვირეცხო კუჰი.

## თავისუფალ ქალაქში

მწერალ მიხეილ ჯავახაძეს სამთა სამსჯავრომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ციხის უფროსმა, რომელსაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა შესახებ იმისა, თუ რა ბრალი მიუძღოდა ხსენებულ მწერალს ხალხის წინაშე, სულგრძელობა გამოიჩინა და ბოლო დღეებში მუშაობის უფლება მისცა. დახვრეტა აპრილის სამში იყო დანიშნული. მიხეილ ჯავახაძეს ცხადად ესიზმრებოდა, თუ როგორ ჩაჰყავდათ ციხის შიდა ეზოში, როგორ დგებოდნენ თეთრი კედლის წინ ჯარისკაცები. სიზმარი რომ განედევნა, მწერალი თავის გმირებზე იწყებდა ფიქრს, გონებაში ატრიალებდა გარდასულ ამბებს, მაგრამ დამთავრებული ქმნილებები ვერ იპყრობდნენ მის ყურადღებას, ვერ ფანტავდნენ ცხადად ქცეულ სიზმარს. მხოლოდ ერთი, დაუმთავრებელი მოთხრობა აცოცხლებდა მის გულსა და გონებას. ესკიზურად მონიშნული გმირები თითქოს ტკბებოდნენ თავისუფლებით და ავტორსაც შეუცნობელ ისტორიაში

მიაქანებდნენ. მიხეილ ჯავახაძე გრძნობდა, რომ ყველაზე სრულყოფილად თავის სათქმელს სიტყვის ამ შეუცნობელ მოძრაობაში გამოხატავდა და ღმერთს ევედრებოდა, შთაგონება მიეცა მისთვის, რათა მუშაობაში გართულს, დრო გაეჩერებინა და თავი დაეღწია ამ საშინელი ყოფისგან.

იმ ღამეს, გვიან, ზედ განთიადისას, კართან დაეძინა. სიზმარი იყო თუ ცხადი? ჩონჩხებით მოფენილ მინდორზე გარბოდა. მზის ნაცვლად, ცაზე უზარმაზარი საათი ეკიდა და წუთის ისარი სამი აპრილისკენ მიისწრაფოდა. მინდვრის დასასრულს შადრევნებში გახვეული ქალაქი მოჩანდა. ვიდრე წუთის ისარი ალსასრულის დღეს მიაღწევდა, მიხეილს უნდა მოესწრო მინდვრის გადარბენა. თავს არ ზოგავდა. გრძედებითა და განედებით დასერილი მიწა უკუღმა ტრიალებდა. სამ აპრილს რამდენიმე წუთით შეასწრო ქალაქში და იქვე, შადრევანთან დაეცა.

მაშინვე გამოეღვიძა. ფანჯრის გისოსებში მომწყვდეული ცა მზის ამოსვლის წინ ფერს იცვლიდა. ეზოდან ოფიცრის ჩახლეჩილი ხმა მოისმოდა. „ემადინის“ ქანგმოდებულ ჩონჩხზე სამი ჯარისკაცი იჯდა. სიზმარმა გაფანტა შიში, გაჩნდა გადარჩენის რწმენა. ამ რამდენიმე წუთში სასწაული უნდა მომხდარიყო. კარის ცხაურში ოფიცრის შეშფოთებული სახე გამოჩნდა. ზედამხედველმა რის გაჭირვებით მოარგო გასაღები ბოქლომს და ტყვის კარი მძიმედ დასძრა. ჯავახაძე წამოხტა და მაგიდაზე გაშლილ ხელნაწერს ეცა. დრო შეჩერდა. ოფიცრის აწეული ხელი ჰაერში გაშეშდა და შეწყვეტილი მოთხრობაც დაიძრა, ოცნების სივრცეში გაიშალა.

თავდავიწყებით მუშაობდა, გაუთავებლად ხვეწავდა სახეებს, ახალ-ახალი შტრიხებით ამდიდრებდა. ამ მოთხრობის გარეთ არარსებობა იყო თვალთმაქცი დრო მის სტრიქონებში მიედინებოდა, გარეთ კი ერთ გასროლად თითის ერთ მოძრაობად იყო ქცეული.

მიხეილი ახლა გამოგონილი მდინარის პირას, მაღალ ბალახში იწვა და შესცქეროდა ლურჯთვალება ცას, იალქნებაშლილ ღრუბლებს, ცაზე სანთელივით ჩამოღვენთილ მზეს. ის აღარ იყო ყოვლისშემძლე ავტორი, ვისაც შეეძლო გადაეწია სიტყვით მოქსოვილი სამყაროს ფარდა და დაბრუნებოდა თავის თავს. არ იყო თუ არ სურდა, რომ ყოფილიყო? გაირღვა ბინდი და სიკვდილმისჯილმა გამოსავალი მონახა! უნდა ქცეულიყო თავისივე მოთხრობის გმირად, რომ მასთან ერთად გაეგრძელებინა სიცოცხლე.

მიხეილი წამოდგა და მკრთალად მოლანდებული ქალაქისკენ დაიძრა. შენობებმა, რომლებსაც უფრო გულისხმობდა, ვიდრე ხედავდა, თანდათან სიმკვეთრე, ფერი და სახე შეიძინეს. როდის იქცა მიწა ქვად და ბილიკი ქუჩად? თეთრებში გახვეულ, გრძელთმიან ქალს მიადგა.

— აქეთ მობრძანდით! — გამოუცხადა ქალმა და ქალაქის ჭიშკარი გაუღო.

მიხეილი ქვის სკამზე ჩამოჯდა. სკამს კოლხური ვერძის მოყვანილობა ჰქონდა. ჯებირთან ტრამვაიმ აიწყვიტა და ღიღრონი ნაკვერჩხლები დააფრქვია გაზონს. ბალახს უცებ მოედო ცეცხლი, ცეცხლმა ადამიანის ფორმა მიიღო, აქეთ გადმოინაცვლა და ჯავახაძის წინ მელოტი კაცი აისვეტა.

— დროა, მოქმედება შევიტანოთ ნაწარმოებში, — თქვა კაცმა. — ამბავი ხომ უნდა დაიწყოს.

მიხეილს არ სურდა ამბის დაწყება. თავს ბოლო მოსდევს, დაბადებული კვდება. ის კი ამ გაჩერებულ, დაუმთავრებელ სურათში უკვდავებას ეძებდა.

— ვინ ბრძანდებით? — გრძნობდა, ვინც იყო, მაგრამ დროის მოსაგებად იკითხა.

— ლავრენტი გახლავართ, — უცნობმა ჯიბიდან საბუთი ამოიღო და ხელში ჩასჩარა. — ისე კი უბანში ტყვიას მეძახიან.

მიხეილის წარმოსახვაში წამით გაიელვა ავტომატის პირიდან გამოფრენილმა ტყვიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე, რა გნებავთ?

— რა და, დრო იწურება, — ჩასჩურჩულა უცნობმა. — თქვენი სიტყვა კი ადგილზე ტრიალებს, წინ არ მიდის.

— ვიდრე მოთხრობას არ დავამთავრებ, ჩემს ყურადღებას ვერ მიიპყრობთ და ბოლოს ვერ მომიღებთ.

— მოთხრობას თავისი ლოგიკა აქვს და, გინდა არ გინდა, უნდა დამთავრდეს, — მიაძახა უცნობმა.

მიხეილი პროსპექტზე გავიდა. ქვაფენილი ასოებისგან იყო აწყობილი. იმის და მიხედვით, თუ საით წახვიდოდი, ასოები სხვადასხვა სიტყვებად და წინადადებებად იკრიბებოდა. ირგვლივ მანქანის ნასახიც კი არსად იყო. სამაგიეროდ ფაფარში გვირილებჩაწნული ცხენები დაქროდნენ. მიხეილმა ეტლი გააჩერა, მეეტლეს შოლტი გადაჰკრა და სადღესასწაულოდ მორთული ქალაქი ნოხივით გადმოგორდა მზის ბურუსიდან. თითქოს ამ სინათლესა და სილამაზეში არ არსებობდა ტყვიებით დაცხრილული ღამე, მხოლოდ შორს, ნარიყალას გასწვრივ, სევდის შავი ნაბადი მთასავით დახვავებულ წარსულს ეფინა.

მიხეილი მაღალ შენობასთან გადმოვიდა, მაგრამ სასტუმროში არ შესულა, ტრამვაის ლიანდაგს გაჰყვა და მანსარდიან სახლს მიადგა. ეზოში აკაციის სუნი ტრიალებდა — განუყრელი მეგზური ბავშვობისაკენ. სწრაფად აირბინა ხის კიბე და მეორე სართულის აივანზე კარი შეაღო.

ოთახში დეიდა იჯდა. გერმანული რადიომიმღები მუსიკას გადმოსცემდა. შავ, ჩუქურთმიან კარადაზე ნაჭრის თოჯინა იდგა, რომელსაც კაბის ქვეშ ჩაიდანი ედგა. სუფრაზე, გრაფინის წყალში, ნაჩვრეტებიანი ყველი იყო გარდატეხილი. ყველს დეიდა თხლად უჭრიდა და კარაქიან პურთან ერთად აჭმევდა. სახლი კი არა, მთელი ქუჩა, მთელი უბანი, იმ ბუტერბროდის მლაშე გემოთი იყო გაჟღენთილი. ლოგინამდე ძლივს მიაღწია და ატლასის საბანზე დაეცა.

— დაიძინე, სალამომდე მთელი საუკუნეა, — უთხრა დეიდამ და ბამბუკის ფარდა ჩამოუშვა.

ფანჯარაზე ბრახუნმა გამოაღვიძა. დილა იყო თუ სალამო? ოთახში სანთელი ბჟუტავდა. კედელზე დეიდას გადიდებული ფოტო ეკიდა. ბრახუნი განმეორდა. ზონარი ჩამოქაჩა, ფარდა ააგორა და ფანჯარა გამოაღო.

ფანჯარასთან, აივანზე, პეპელასავით ნაზი, გამჭვირვალე ქალი იდგა და ფრთებივით იქნევდა ხელებს. მის უკან, ქუჩის გადაღმა, რეკლამების შუქში გახვეული სასტუმრო მოჩანდა.

— რა დროს ძილია, თავისუფლებას ვზეიმობთ! — ქალპეპელამ მაჯაში ჩასჭიდა ხელი და ფანჯრიდან პირდაპირ აივანზე გადაიყვანა. გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ უკვე სასტუმროსკენ მიფრინავდნენ. ნეონის სინათლეები ერთმანეთს დასდევდნენ, კუდებით იჭერდნენ და შუქის თვალისმომჭრელი ზოლი ხალხის ტალღას მოედნისაკენ მიაქანებდა.

სასტუმროს წინ მაგიდები იყო გამოტანილი. საიდან ცვიოდა თოვლი, თეთრი სიმშვიდით რომ ავსებდა ლიაცისქვეშა კაფეს? ამ სიმშვიდეში ძლივს ფეთქავდა მუსიკა. ორკესტრანტები საახალწლო ნაძვის ხეზე ისხდნენ და მუსიკის ჰანგებში გახვეული ხალხი ფიფქებთან ერთად ტრიალებდა.

უეცრად ფარდულიდან ნაცნობმა კაცმა გადმოიხედა და ჭიქა სისხლისფერი სითხით აუვსო. მიხეილმა ხელი აუკრა მას და სისხლით სავსე ჭიქა კედელს შეემსხვრა. ლავრენტიმ გაიღიმა და ჯიბიდან გასაღები ამოიღო.

— ნომერში აიყვანე, — ანიშნა ქალზე. — დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანო.

მიხეილმა გასაღები მტკვარში მოისროლა, საცეკვაო მოედანზე გადაახტა და ახლა სხვა „პეპელას" ჩაავლო ხელი. წამდაუწუმ იცვლიდა მათ, რადგან ამ თავბრუდამხვევ ფერხულში არც რაიმეს დაწყება სურდა, არც რაიმეს დამთავრება. მაშინ ჭავჭავაძის ქუჩიდან მარხილი ჩამოსრიალდა. ბეწვისქურქია-

ნი მეეტლე ორთაჭალისკენ გასეირნებას სთავაზობდა მსურველებს. სხვებთან ერთად, მიხეილიც აღმოჩნდა ეტლში, მარხილი დაიძრა და ხიდებში ჩაფლული ქალაქი კინოფირივით დატრიალდა მის თვალწინ.

გვიან მიხვდა მიხეილი, რომ ეს ზურგშექცევით მჯდარი, ბეწვებაბურძგნილი მეეტლე ცხენებს დასასრულისკენ მიაქანებდა. მაშინვე წინ გადაიხარა და მათრახშემართულ ხელს მაჯაში სწვდა. ლავრენტიმ მოიხედა და ტყვიისფერი თვალები შეანათა, შემდეგ შოლტი მარცხენაში გადაიტანა, ცხენებს გადაჰკრა, დასჭყივლა და სადავე ნებაზე მიუშვა. ფურცელივით გაქათქათებული თოვლიდან აგურის კედელი ამოიზარდა, მალე ციხის ნაცნობი კონტურებიც გამოჩნდა.

მარხილიდან გადმოხტა და ხევში ჩაგორებული, გაყინულ მდინარემდე ჩასრიალდა. ის იყო ყინულზე გავიდა, რომ ნაპირს მდევართა ეტლი მოადგა. გაცოფებულმა მეეტლემ ცხენები მდინარეზე გადაიყვანა, ყინული ჩატყდა და ხალხით სავსე მარხილი მდინარეში ჩაიძირა. მხოლოდ ლავრენტი გადარჩა, ცხენის კუდს ჩააფრინდა და ბეწვებგაქუცული, სახეჩალურჯებული, რის ვაივაგლახით აცოცდა ნაპირზე.

უკვე გაზაფხული იდგა, როცა მიხეილი ქალაქში დაბრუნდა. სასტუმროს წინ, ყვავილგაშლილი ხეები აფრქვევდნენ ვარდისფერ ფიფქებს. ქსოვილთა ნისლში გახვეული ქალები მედიდურად დასრიალებდნენ საცეკვაო მოედანზე. მაგიდები აელაგებინათ. ხალიჩით მოფენილი კიბე სასტუმროს ტერასიდან პირდაპირ მტკვარში ჩადიოდა. ნაპირს დროშებით მორთული გემი მისდგომოდა. ხალხის ტალღა ქვევით მიგორავდა, ხომალდისაკენ, სადღესასწაულოდ განათებულ რიყეზე რომ ეპატიჟებოდა მათ. თვითონაც ამ ტალღამ გაიტაცა და, საოცარია! როგორც კი ფეხი შედგა გემბანზე, ხომალდი, თითქო მას ელოდაო, შეინძრა, ნაპირს მოსწყდა და მსუბუქად გასრიალდა წყლის სარკეზე.

შინდისფერი დროშებით გარემოცული გემი აკვანივით არწევდა. მიხეილი შეზლონგზე იწვა და თვალმოჭუტული, წამწამთა ქსელიდან გასცქეროდა ქალაქის ანარეკლს. სად იყო ცა, სად იყო მიწა? გადმობრუნებული, ტალღებში ჩაქცეული რიყე, ყვავილების ქარში გახვეული ნაპირი.

საამო იყო ასე წოლა, ჩალის სავარძელში, გაჩერებული მდინარის თვალთვალი და იმის განცდა, რომ აქ, ამ სიმშვიდეში, ოცნებამ შეაჩერა დრო და უკვდავყო მისი სიცოცხლე. მაგრამ ეს სიმშვიდე, ეს წონასწორობა, შინაგან ძალთა მოძრაობაზე იყო დამყარებული. ეს უძრაობა უამრავ ქვედინებას ფარავდა და ისიც თავს იტყუებდა, თვალს ხუჭავდა, რომ სარკესავით მოლაპლაპე მდინარეში არ ეგრძნო ჩუმი დინება, რომელიც ძალიან ნელა, მაგრამ შეუპოვრად მიაქანებდა ხომალდს ნაპირისაკენ, სადაც თავდებოდა მოთხრობა და გრძელდებოდა შეწყვეტილი დრო, არარსებობაში მიმავალი ციხის კედლებით.

სწრაფად წამოხტა. მზერით ჩაავლო გემბანზე გადმომდგარ უცნობს: სვავის ნისკარტივით ცხვირი, მზეზე მოელვარე შუშები. ფიქრის დრო აღარ იყო. მოაჯირზე გადავიდა და შიშით შეგუბებულ მდინარეში ისკუპა. თუმცა ხავსმოდებული წყალი მძიმე და წებოვანი იყო, მაინც მიაპობდა მას და ოცნების ბურუსში გახვეული, თავისუფალი ქალაქისაკენ მიიწევდა. ყურს ნაწყვეტ-ნაწყვეტ სწვდებოდა ლავრენტის ყვირილი. შემდეგ ეს ხმა ქარმა გაფანტა და უეცრად თოფმა იქუხა ერთხელ, მეორედ, მესამედ...

მესამე გასროლამ მიაღწია მიზანს. უკვე ნაპირზე გასულ მწერალს კეფაში მოხვდა ტყვია და თვალგაციებული ჩაიკეცა ციხის კედელთან. ოფიცერმა რაღაც ჩაილაპარაკა და ხელი ჩამოუშვა. ჯარისკაცებმა საკაცე მოარბენინეს, ცხედარი ასწიეს, ზედ დაასვენეს და დერეფნის ბოლოს, კვამლით მოცული კრემატორიუმისკენ გააქანეს.

# გაბრიელ ჯაბუშანური

რომორც ცნობილია, სამამულო ომის პერიოდში აჰყარეს და შუა აზიაში გადაასახლეს საქართველოს ისტორიული მეზობელი ინგუში ხალხი, რომელსაც ქართველები ოდითგანვე ქისტებად მოიხსენიებენ.

ქისტების სოფელი ლილო ესაზღვრება ხევსურეთს, კერძოდ არხოტის თემს, და ლილოველთა გადასახლების შემდეგ ამ სოფელში ერთხანს არხოტელი ხევსურები ცხოვრობდნენ. მათ შორის იყო გამოჩენილი ქართველი პოეტი გაბრიელ ჯაბუშანური.

გაბრიელ ჯაბუშანურის დღემდე გამოუქვეყნებელი პოემა „ორი ძაღლი“ ძალადობის მსხვერპლი ქისტების დაცარიელებული სოფლის სევდით, ქისტებისადმი თანაგრძნობით და სიმპათიით გამსჭვალული, რაშიც მჟღავნდება ზოგადად ქართველი კაცის ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი და სხვათა ეროვნული ტკივილების გაზიარების უნარი.

საყურადღებოა ისიც, რომ გაბრიელ ჯაბუშანურის ეს ნაწარმოები ლირიკული პოემის ჟანრს უახლოვდება, რომელიც პოეტს 1949 წელს დაუწერია, მაშინ, როცა ლირიკული პოემა ქართულ ლიტერატურაში ფაქტობრივად მხოლოდ 60-იან წლებში დამკვიდრდა.

# ორი ძაღლი

## (ლირიკული პოემა)

მე ლილოს მახლავს დღეს ორი
ძაღლი, —
ერთი თეთრია, მეორე — შავი;
ჩემი მარადი მაჯარა ნაღვლის
მყავს ორი მოძმე დანაგეშავი.
როს მოვეახლე ახალ სამყოფელს, —
მთებიდან დევნილ ქისტების აულს,
თან მოვიტანე სევდა სამყოფი,
განშორებულმა ცხოვრების ხმაურს.
მე — მწირი დროის უამინდობით —
ვინც მივატოვე კერა არხოტის,
ვინც სამშობლოს ცას ვუთხარ —
მშვიდობით!

და მიპასუხა ზეცამ — ნახვამდის!..
ვინც ვეძმე ლილოს — მთებს მთებზე
მიყრილს,
კლდეს კლდეზე დებულს დამჭიდროებით;
ვინც ქისტეთს შევყეფ: — ვარ შენი
მკვიდრი!
და პასუხს ვისმენ; —
დარჩი დროებით!..
მე ვინც ახალი აფრა ავუშვი
და შევაბრუნე ბედის ბორანი,
ვინც მიტოვებულ ქისტის აულში
დღეს დავთარეშობ, როგორც ყორანი.
ვისაც ათასი მაქვს გულის ტკენა, —
ვზი მარად თალხი განწყობილებით.
ვისაც მომწყინდა სიტყვასთან რკენა
და ვერკვნები დღეებს კბილებით.
ვისაც მერჩივნა ალალი ოფლი
საკუთარ თავს და საკუთარ ჯალაბს,
მე მიტოვებულ ქისტის სოფელში
დღეს ორივ ხელით ვიხვეჭავ ალაფს.
ვიხვეჭავ ალაფს... თან სინიდისი
მქენჯნის და მტკივა გულის ფიცარი.
ო, დღეს ყოველი სხვისი მაქვს... სხვისი
და ეს მყეფრებიც ქისტების არი...
მე ლილოს მახლავს დღეს ორი ძაღლი,
ერთი თეთრია, მეორე — შავი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი მარადი მაყარი ნაღვლის
მყავს ორი მოძმე დანაგეშავი.

2.

რის მოვეახლე ახალ სამყოფელს, –
მთებიდან დევნილ ქისტების აულს,
თან მოვიტანე სხვდა სამყოფი
განშორებულმა ცხოვრების ხმაურს.
მაშინ აქ დამხვდა ძაღლი ორივე
და თითქოს მთხოვდნენ ადგილის
ურვათს,
მიყეფდნენ ხმაში ცოფის მორევით,
თან ობოლ აულს უვლიდნენ ურვით.
ღამით ულრენდნენ უკუნს გატრუნულს,
არ შორდებოდნენ მიდამოს საჩლის
და გააბამდნენ; – სად ხარ პატრონო?!...
ძაღლნი ძაღლური ძახილით ძახილს...
ღლისით ნაწყენნი იწვნენ მოწყენით,
მდურვით უმზერდნენ ცას უმიზეზოს.
ზოგჯერ ერთმანეთს გლეჯდნენ
უწყალოდ,
თუ დალახავდნენ ერთურთის ეზოს.
შორით მივლიდნენ უცხოს უკადრნი,
არ მენდობოდნენ ძაღლური ნდობით
და ეშინოდათ თოფის მეტადრე,
რადგან პატრონი განდევნეს... თოფით...

3.

ათასჯერ ვცადე; მექმნენ თავისად,
ვუხმე, – მიღრენდნენ მზირალნი
რისხვით,
უარყვეს ჩემგან ლუკმა ზავისა,
ვით მტერს და მძარცველს – მივლიდნენ
ზიზღით.
დღე დღეს მისდევდა... მე დავესახლე,
ქისტის აულში ვაღვივე კერა.
ისევ ვუხმობდი განდგომილ ძაღლებს
და სიტყვა ზავის პირზე მეკერა...
ბოლო დროს შავი მოტყდა... მომენდო...
და ჩემს ეზოკარს ეახლა ახლოს,
ლუკმაც მიიღო...
თეთრმა კი ერთობ.
არც ხორცს და არც პურს პირი არ
ახლო.
ის დასერილი სევდის მახათით
უხმობდა პატრონს ძაღლურ ლაყაფით.

და თეთრ განდევგილს, –
ჩემთან მოხეტე
ყომრალი ჰყეფდა რაყიფის ყეფით.
ორ მყეფარს შორის ფარული მტრობის
ზღვარი რამ იდო გადულახველი.
მე კი ამ ქვეყნის შავისან მეტრობს
განდგომილ ძაღლის მწვავდა ნაღველი.

4.

შუაღამისას კენტი მყეფარი
იწყებდა მუდამ ძაღლურად ტირილს.
მე გრძნობა მახლდა გაუგებარი
და მოთქმის მოწმეს არ მქონდა ძილი...
ვებრძოდი ღამეს... გულს... და
ზმანებებს, –
აშარი ფიქრი რომ ამიზეზეს:
ამ მიდამოთა გავერანების
თითქოს მე ვიყავ ერთი მიზეზი.
თავს ვამშვიდებდი? – თუ ნასუფრალი
მარგუნა ბედმა უცხოთა სუფრის, –
სხვაფრივ ზეცამდე ვარ მე უბრალო,
მოწმეა მიწა და თვალი უფლის.
ან მე ვინ მკითხავს, – ქვეყანა მისხლით
ვწონო და წესი ვუწერო მოდგმას·
ღილღო დალუპა მისივე სისხლის
თავაღებულმა ველურმა მოთქმამ.
და მაინც... როცა კენტი მყეფარი
შუაღამისას ყეფდა სიმძიმილს,
მე გრძნობა მწვავდა გაუგებარი
და ზარის მოწმეს არ მქონდა ძილი.

5.

დიოდნენ დღენი... თეთრი ნაგაზიც
მე დავიზავე მოზავის რიგით.
ეხლა თან მახლდა ორი ნაგეში
ძაღლი, – თუმც ერთად ვერ მოვარიგე.
სადაც კი წავალ, დამდევენ უკან,
ულრენენ ერთურთს მოსისხლის ღრენით.
სახეც და მზერაც მოსისხლეთ უგავთ
და ამ ყოფაში მიდიან დღენი.

6.

მე თეთრი უფრო დავიახლოვე
მისი ურყევი ბუნების გამო,
და როცა იმას ვუყვავებ ხოლმე
მიყურებს შავი მე უსიამოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც ღრმა ბოღმა უღამებს ხედვას,
წავა... დაწვება ნაწყენი კენტად...
ამოიგმინებს ხან უცაბედად
და თვალებიდან მდუღარეს ღვენთავს.
მივუალერსებ მთრთოლვარ თითებით,
უნაზეს გრძნობით მისდამი მთვრალი;
და როცა ასე ვესათუთები
ის მაჩერდება მორწმუნის თვალით...
დღეს ღილღილს მახლავს მე ორი ძაღლი,
ერთი თეთრია, მეორე — შავი...
ჩემი მარადი მაყარი ნაღვლის
მყავს ორი მოძმე დანაგეშავი.

7.

ვართ სამნი ასე... დღეს დღენი ცვლიან,
ხან მზე დაგვნათის... ხან წვიმა გვაცრის...
ძაღლებმა მტრობას მაინც ვერ სძლიეს
და კვლავ ერთმანეთს უყეფენ მკაცრნი...
დილით, როდესაც ოდნავ ინათებს,
ვიწყებთ შორეულ აულთა დავლას, —
და მიტოვებულ ტიალ ბინათა
სინჯვას, ქოთებას... გროვებას დავლის...
აქ სახლის პატრონს უთლია სკამი,
აწ ვეღარ დასვას მასზე სტუმარი;
დალეწილია კოვზი და ჯამი,
ძირს გდია ქვაბი და სასთუმალი.
აქ წაქცეულა სიმინდის ძარი, —
ვითარ მკვდარი — კედელს მიჩ[illegible]ია
და ოქროსფერი ტაროთა ღვარი
ვიღაცას ლაფში ჩაუწიხლია..
სადღაც თხა გარბის ჯიხვს დანამგვანი,
მიტოვებული და მოუწველი.
აქ უახლესი გდია აკვანი,
ჯერ კიდევ ქისტის ბავშვდაუწვენი.
გადაშლილ ყურანს ნატეხი ხანჯლის
არჭვია, როგორც სანთელი ცვილის.
ჩალეწილია მინები ფანჯრის
და მოსთქვამს კერა სველი და ცივი.
იქ სახლის ზღურბლზე მკერდნათოფარი
ძაღლი წევს მშვიდად, როგორც
ცოცხალი
და ჩემი მყოლი ორი მყეფარი
აჩერდებიან მოძმეს მოწყალედ.
ციხე-კოშკები მოზარეთ ჰგვანან,
აკლდამებიდან ჩონჩხნი ბღავიან;
აქ სწორად მარტო სახლები დგანან,
სხვა ყველაფერი მოპირქვავეა...

8.

ვუვლი აულებს... არ მსურს გამორჩეს
მზერას არც ერთი ჩამქრალი ფუტი,
და ყველა სახლი ისე გამოჩანს,
როგორც არწივის დაცლილი ბუდე.
ვბრუნდები უკან... სავსე ნადავლით
თან საკუთარ თავს ფიქრებში ვწყევლი
და აკლდამები კირით ნათოვლი
შემომბღავიან ჩონჩხების ტევრით.

9.

მიდის მზე, ვუმზერ ახალ სამყოფელს, —
მთებიდან დევნილ ქისტების აულს,
ისევ თან მახლავს სევდა სამყოფი
და ვერ ვცილდები ცხოვრების ხმაურს.
მე — მწირი დროის უამინდობით, —
ვინც მივატოვე კერა არხვატის;
ვინც სამშობლოს ცას ვუთხარ, —
მშვიდობით!
და მიპასუხა ზეცამ — ნახვამდის!...
ვინც ღილღილს ვეძმე — მთებს მთებზე
მიყრილს,
კლდეს კლდეზე დებულს დამჭიდროებით.
ვინც ქისტეთს ვუყეფ — ვარ შენი
მკვიდრი!
და პასუხს ვისმენ: — დარჩი დროებით!!!
მე ვინც ახალი აფრა ავუშვი,
და შევაბრუნე ბედის ბორანი,
ვინც მიტოვებულ ქისტის აულში
დღეს დავთარეშობ როგორც ყორანი.
ვისაც ათასი მაქვს გულის ტკენა,
ვზი მარად თალხი განწყობილებით,
ვისაც მომწყინდა სიტყვასთან რკენა
და ვერკინები დღეებს კბილებით.
ვისაც მერჩივნა ალალი ოფლი,
საკუთარ თავს და საკუთარ ჯალაბს,
მე მიტოვებულ ქისტის აულში
დღეს ორივ ხელით ვიხვეჭავ ალაფს.
ვიხვეჭავ ალაფს... თან სინიდისი
მქენჯნის და მტკივა გულის ფიცარი,
მე დღეს ყოველი [illegible] მაქვს... [illegible]
და ეს [illegible] ქისტების არი...
მე ღილღი[illegible]ავს დღეს ორი ძაღლი,
ერთი თეთრია, მეორე — შავი...
ჩემი მარადი მაყარი ნაღვლის
მყავს ორი მოძმე და ნათესავი...



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნუ…

10.

ღამით, როდესაც ქისტეთის ზეცას
ბინდის ბურანი დაეუფლება,
და ჰორიზონტი, როგორც აბზაცი
შეილუნება კლდეთა შუბლებით,
როცა დიდი მზის მცირე ყალიბი
მთვარე მთაველებს ოქროს დაათოვს,
და ვარსკვლავები; – ქისტის ქალები
ჩამოსხდებიან სამასლაათოდ,
რის მთათა რემა ცრემლის დაცვენით
მკერდზე დასეულ ნისლებს აიხვეტს
და შურისგების ავი მაცნენი
ქვებიც ყვირიან; – სისხლი აიღეთ!..
მაშინ შინა ვარ... საწუთროს მწირმან
უნდა დავადგა ოცნების ჯილა
და ამქვეყნიურ ათასგვარ წვრილმანს
მე გადავცილდე მეცხრე ცის მიღმა.
ზღურბლზე დაწვება თეთრი მყეფარი,
არ შემოუშვებს ჩემთან თვით პატრონს,
მიცავს... მზადაა ფარად მეფაროს
და მთელ სამყაროს ყელი დაფატროს.
შავი სახლს უვლის გარშემო ფხიზლად,
აფეთებს ყეფით ჩრდილთა სერობას,
ტუქსავს ქარაფზე გაწოლილ ნისლსაც
და ფანტავს ბინდის უსიერობას.
მე ნაწამები ვწევარ... ძილს ველი,
ზანტად ვაბრუნებ ფიქრების დოლაბს
და ლილლოს ლამე, როგორც ლილღველი
ყაჩალი –

მღვრიეს აფეთებს თვალებს.
მე ვეძმე ლილლოს – მთებს მთებზე
მიყრილს,
კლდეს კლდეზე დებულს
დამჭიდროვებით..
მე ქისტეთს შევყეფ; – ვარ შენი
მკვიდრი!
და პასუხს ვისმენ; –
დ ა რ ჩ ი  დ რ ო ე ბ ი თ!!!

**1949 წელი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ლავრელაშვილი

# მოთხრობები

## გული

**ქალაქის** ამ უბანშიც უშნო, მაღალი სახლები იდგა. ძიძია ყოყმანით წავიდა სადარბაზოს შავად მოღებული ხვრელისკენ. სახლწინ გავერანებული სკვერი იყო, უკან გადახრუკული, უნაყოფო ბორცვები ჩანდა, შემოდგომის წვიმით დასველებული. წყალი წურწურით მოდიოდა აყრილ ასფალტზე, ნაგავსაყრელიდან უეცრად ვირთხა გამოხტა. ძიძიამ შეჰკივლა — თუმცა სოფელში თაგვებს შესჩვეოდა, უფრო იმ მოულოდნელობამ შეაშინა, რასაც უცნობი სადარბაზოს ჩაბნელებული სივრცე უქადდა.

ხის დაფაზე მდგმურთა გვარები ჩამოეწერათ, მაგრამ ნაწერი არ ირჩეოდა. საღებავი წაშლილიყო და უსაქმურებს წაეჩხაპნათ. ძიძიამ გაუბედავად დააკაკუნა პირველივე კარზე. რკინის კარმა ავბედითი ხმა გაიღო. არავინ გამოეპასუხა. მეორედ დაკაკუნება ველარ გაბედა და ლიფტთან შედგა. სადღა იპოვოს? მისამართი მაინც იცოდეს! ლონე წაერთვა. ლიფტის კარს მიეყრდნო. ზემოდან ნაბიჯის ხმა მოისმა. ვიღაც მოხუცმა, სათვალიანმა ქალმა ჩაუარა. ხელში ბადია ეჭირა და უცნობს გაკვირვებით შეჰყურებდა. მოხუცი კიბის ბაქანზე შეჩერდა, ძიძიას მოხედა. უთუოდ ქალიშვილის ბეჩავმა იერმა შეაცბუნა, რადგან ბადია მოინაცვლა და კვლავ ყურადღებით, თითქმის ცნობისწადილით მიაჩერდა. ძიძიას შერცხვა, კედელს აეკრა. ამ დროს მოხუცის ხმა მოესმა.

— ეძებთ ვინმეს?

— დიახ.

— აქ ცხოვრობენ? რა გვარები არიან?

ძიძიას ხმა ჩაუწყდა. მოხუცი იცდიდა. სათვალის მინები ბინდ-ბუნდში ალმაცერად უბრწყინავდა.

— მე... მაღალი ბიჭია, ამ ზაფხულს ჩვენთან ისვენებდა სოფელში, — თხელი გაცრეცილი პალტოს ჯიბიდან დაჭმუჭნილი ქაღალდის ნახევი ამოიღო და გაუწოდა. — ტელეფონის ნომერი დამიტოვა...

— რატომ არ დაურეკავთ?

— ყურმილს არავინ იღებს. მე კი საღამომდე უნდა გავბრუნდე სოფელში, თორემ...

მოხუცმა ნელა გააქნია თავი.

— სატელეფონო სადგურს უნდა მიაკითხო, მაგრამ არ ვიცი, მისამართს გეტყვიან თუ არა, — ქალმა კისერი წაიგრძელა. — სხვანაირად ვერ იპოვი! — გაიმეორა ბებრული ხრინწით. — ალბათ, თქვენი ნახვა არ უნდათ, თორემ მისამართსაც გეტყოდნენ...

ძიძიას შერცხვა, თავი ჩაღუნა. მოხუცი უკვე ბოლო საფეხურზე ჩადიოდა. ძიძია უნუგეშოდ გაჰყვა. გარეთ ისევ გარეუბნის ულიმლამო, სევდიანი პეიზაჟი შემოეგება. წვიმას ასფალტი გადაერეცხა და გველის ქერქივით ჩაემუქებინა. ღონემიხდილი წალასლასდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტობუსის გაჩერებისკენ. ღრუბლიანი ციდან ნაგვიანევმა სხივმა გამოაშუქა. ძიძიამ ქარხნის საკვამური დაინახა, რომელიც წეღან ვერ შენიშნა. ირგვლივ უშნო, აწოწილი სახლები, უდაბნოსავით მოტიტვლებული უშენი ადგილები გადაიშალა. ოცნებით წარმოდგენილ ქალაქის ბრწყინვალებას გარეუბნის ქუში სინამდვილე გადაეფარა. ძიძია აკანკალდა და ფეხები აბაკუნა. ძირმაგარებით დაწყლულებულ წვივებზე იაფფასიანი თხელი წინდები შემოტმასნოდა. ტალახიანი ფეხსაცმელი დამძიმებოდა. ოცი წუთი გავიდა, მაგრამ ავტობუსი არ ჩანდა. გაჩერებაზე აღარავინ დარჩა. ძიძია გლეხის ქალის მძიმე, ჯარისკაცური ნაბიჯით დაადგა იმ უდაბნოს ბილიკს. წვრილი წვიმა წამოვიდა, ნაგავსაყრელებში გაკვალული სხატეები წებოსავით დაარბილა. ძიძიამ დედისეული მანდილი გამოინასკვა და ნაბიჯს აუჩქარა, უეცრად ფეხი აუცურდა და დაეცა. უძრავად იჯდა, თავი აეწია, წვიმა სახეში ასხამდა. როგორმე უნდა იპოვოს! მაგრამ დილანდელი რწმენა გამქრალიყო. მიხვდა, რომ შეცდა, ქალაქი ხილული, გარდაუვალი წინაალმდეგობებით შეხვდა. „ალბათ, თქვენი ნახვა არ უნდოთ“, — გაახსენდა მოხუცი ქალის სიტყვები და გულის ძარღვი ჩასწყდა. იქნებ მართლა არ უნდა მისი ნახვა?! რაკი თავად უყვარს, ჰგონია, რომ სხვასაც ეყვარება. ნამდვილად კი იმ ბიჭს სიყვარული არასოდეს უხსენებია. მეგობრულად ეპყრობოდა და ასევე დაშორდნენ. გამომშვიდობებისას ტელეფონის ნომერი დაუტოვა. ეს უბრალო თავაზიანობა იყო და მეტი არაფერი...

ძიძია წამოდგა, ტალახიანი პალტო გაიწმინდა, მაგრამ ჭუჭყი ვერ მოიცილა. მალვით ავიდა ავტობუსში, კუთხეში მიიკუნჭა. მატარებლის გასვლამდე ნახევარი საათი დარჩენილიყო. ბაზრიდან მობრუნებული თანასოფლელი დედაკაცები ბაქანზე ისხდნენ, შეამჩნიეს და ხელის ქნევით უხმეს.

— ძიძი, შენა? აქ რა გინდა?

— არაფერი. საკაბე ქსოვილს ვეძებდი.

ქალებმა წვრილმანი ამბები გამოჰკითხეს და გაჩუმდნენ. სოფლის გადასახვევამდეც ჩუმად იმგზავრეს. როცა უკაცრიელ სადგურზე მარტონი დარჩნენ, მაშინღა ჰკითხა ვიღაცამ.

— გოგო, მართალია, ათხოვებენო? ვინ არის? ჩვენ არ ვიცნობთ?

ძიძიამ პირი მოარიდა. ქალებმა ერთმანეთს გადახედეს. სოფლამდე გზას ფეხით დაადგნენ. მალე სახედარშებმული ურემი წამოეწიათ, ზედ დაკლული საქონლის ხორცი ეწყო. ქალებმა ბარგი ურემს ჩამოჰკიდეს და მეურმესთან საუბარს შეჰყვნენ. ვიწრო შარაგზა მტკვრის ჭალებს მიუყვებოდა. სიცივით გალურჯებული მდინარე ხრეშიან მეჩეჩებში მიილეოდა. გაკრეფილ ბაღებში ცრიატი ნისლი გაბმულიყო. ვაშლის ხეებზე შემჭკნარ ნაყოფს კაჭკაჭები დასტრიალებდნენ. აქაც მოწყენილი, ულიმღამო, ბავშვობიდან ნაცნობი ადგილები იყო, მაგრამ სუფთა ჰაერმა გამოაცოცხლა და ვიდრე სოფელში მივიდოდნენ, წყენა კიდეც გადაავიწყდა. ძიძია გაიმართა. მომავალი არც იმდენად უსიხარულო ეჩვენებოდა.

პალტოს ჯიბეში ქაღალდის ნახევს წააწყდა. ხელებში მოიქცია ფარატინა ქაღალდი, როგორც დაკარგული ბედნიერების თილისმა. უეცრად შენიშნა, ურემზე ძროხის გული შეირხა. გული ფეთქავდა, შეგუბებული სისხლი ტალახიან მიწას ეპკურებოდა. ძიძია ცდილობდა ნაწვეთურებისთვის ფეხი აერიდებინა და აღარც ურმისთვის ეცქირა, მაგრამ ვერ ახერხებდა. რაღაც გამოუცნობი ძალა აიძულებდა, თითებს შორის დაენახა, როგორ ჩამოდიოდა გულიდან სისხლი და ტალახიან მიწას ეპკურებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გველი

**აბარაკზე** სეირნობის ჟამს მე და ჩემი მეგობარი მკვდარ გველს წავაწყდით. ქვეწარმავალი ავტომობილის ბორბალს გაეჭყლიტა. ქერეჭი ბლანტე, შედედებულ სისხლს და მიწას გაესვარა. ჩემმა მეგობარმა პირი იბრუნა.

— არ არსებობს ჩვენში უფრო დაწყევლილი სულიერი, ვიდრე გველია! — მითხრა ჩემმა მეგობარმა მოგვიანებით, როცა იმ ადგილს გავცდით. — აუხსნელი ზიზღის გამო საუბარში სახელსაც არ ვახსენებთ, ჩვენი გლეხი კი ფანატიკური სიძულვილით მოსაკლავად დასდევს. ვიცი, რომ ეს ყველაფერი ქრისტიანული მემკვიდრეობის ბრალია. ბიბლია ხომ გველს მაცდურად თვლის. მე კი მგონია, ახალი სამყაროს თეოლოგებმა ვერაფერი მოუხერხეს იმ საიდუმლოს, რასაც გველი ფლობს. სიძულვილი გვიშლის დავინახოთ ის გამოუცნობი საიდუმლო, ყველაზე მეტად გველის თვალში რომ იმალება. ამქვეყნად გველის თვალზე საკვირველი არაფერი მეგულება. რამდენჯერ შეეცადა ადამიანი ეს მომნუსხავი მზერა ამოეცნო, მაგრამ ვერაფერს ჩასწვდა. ჩვენს დრომდი კი საიდუმლო ზღაპრებსა და ლეგენდებსღა შემორჩა. ბავშვობაში ერთი ამბავი შემემთხვა, ამგვარ ზღაპარს რომ ჰგავს. დღემდე ვერ ამიხსნია და ჩემთვის სიცოცხლის რაობასავით გაუგებარია. მაშინ თორმეტიოდე წლისა ვიქნებოდი. ზაფხულის არდადეგებზე სოფლად ჩამიყვანეს. ჩვენი სოფელი გორებზე იყო შეფენილი და მტკვარს დიდი მანძილით ვიყავით მოშორებული. სოფლის ბოლოდან მტკვრამდე სიცხით გადახრუკული ქართლის უდაბური ტრამალი იდო. ფლატეებით დასერილ ამ ურწყავ ადგილს ყველა ერიდებოდა. გაგვეგონა, რომ ადრე სოფელი იქ სახლობდა. მერე კი აყრილიყვნენ და ტყიანი ქედისკენ გადახიზნებულიყვნენ. მიზეზად სოფლის მახსოვრობა მოუსავლიანობას და გველების სიმრავლეს ასახელებდა. ვარაუდის სიმართლეს კი ძველი სამლოცველო ადასტურებდა, ველზე რომ იდგა და გველის საყდარს ეძახდნენ. მიხვდები, რა სიძულვილითაც დაიწყებდა ფეთქვას ჩემი ბავშვური გული. გველისა უფრო მეტად მეშინოდა, ვიდრე ავსულებისა, ღამით კაკალქვეშ რომ დაგვეცემოდნენ და გაგვთვალავდნენ. საყდარს მუდამ გვერდს ვუქცევდი, მაგრამ ერთხელ ახლო მისვლა მაინც გავბედე. აღარ მახსოვს, რამ მაიძულა: თანატოლების წყენამ, ნაძლევმა, ცნობისმოყვარეობამ თუ იმ აუხსნელმა ხიფათის წადილმა, ყოველ ჩვენგანში ანაზდად თავს რომ წამოჰყოფს ხოლმე. სამლოცველო პატარა იყო, დიდი ყორეებით ნაშენი. სახურავი ჩანგრეულიყო და შამბს გადაევლო, გარშემო ტრამალის უსიცოცხლო ბალახი მოსდებოდა. უკარო და ბნელ კამარაში ფრთხილად შევიჭვრიტე, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შევნიშნე. მხოლოდ სახურავში მიმალული ჭრიჭინა იხერხებოდა და მშრალი ხევიდან ბუჩქებში გასუდრული ლაქოს კვნესა აღწევდა. საყდრის გახუნებული კედლების მყრალი ანაორთქლი ცხვირში მცემდა. ვგრძნობდი, როგორ მეკიდებოდა მზის სიმხურვალე, როგორ ლღვებოდა ჩემი ტანი და ტრამალის მძიმე სუნთქვას ერწყმოდა (სხვაგან ვერსად იგრძნობ მზით იმგვარ თავდავიწყებას, როგორც ქართლის ხრიოკ მინდვრებში, როცა მეხსიერება იალებს და დროს ფერფლად აქცევს). რეტდასხმულმა ნაბიჯი წავდგი, შიგნით შესვლა მსურდა, მაგრამ უეცრად შამბი შეირხა და საყდრის კარში კუდზე შემდგარი გველი აღიმართა. გველი გადმოიხარა, დამაშტერდა. მიწაზე დასობილ ზამბარასავით ქანაობდა და თვალს არ მაცილებდა. უხსენებლის მომნუსხავ მზერაზე ბევრი გამეგონა, მაგრამ გველი ისე უწყინრად მომშტერებოდა, შიში არ მიგრძვნია. ორიოდე წუთი პირისპირ უძრავად ვიდექით. გველი ძვლოვან დაკუთხულ თავს ნელა ატრიალებდა და საყდრის კედელზე მისი ჩრდილი ირხეოდა. პირი დააღო, ენა გადმოაგდო და მე გაბრაზებული სიცილი გავიგონე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრუანტელმა დამიარა, მოვიკუზე, უნებურად მიწას ხელი მოვუფათურე. საშველად ქვას ვეძებდი. მზის რეტი უეცრად გამიქრა და თავდაცვის ინსტინქტმა გამომაფხიზლა. გველი გაშეშდა. წინგადმოხრილი, თითქოს დაკვირვებით მსინჯავდა. ველარც მე მოვწყვიტე მზერა, შიშმა ამიტანა, გული გამეყინა. ოფლი ქუთუთოებს მისველებდა, მაგრამ ასე გამჭრიახი არასოდეს ვყოფილვარ. გველი კვლავ ასისინდა, ენა ყაითანივით წამოაგდო. ვიგრძენი, როგორ დავმძიმდი, მიწას გამდნარ ტყვიასავით დაველვენთე. ქვა ხელიდან გამივარდა, მუხლებზე დავეშვი. უხსენებელს უმწეოდ შევყურებდი და განძრევას ვერ ვბედავდი. გველმა სისინი შეწყვიტა, ტანი შეიბერტყა, ხამუშ-ხამუშ ენას ალასლასებდა. წყლის ჭავლივით იგრიხებოდა და სხეული ტალღოვანი როკვით ექლაკნებოდა, უხსენებელი თითქოს ცეკვავდა, ამხედრებული და გაფოფრილი პირველყოფილი ჟინით ბობოქრობდა. გასაკვირი არ არის, თუ იმ წუთას უზარმაზარ ურჩხულად მეჩვენებოდა. გველის ზეიმს მორჩილად მივშტერებოდი და ვერ გამეგო, რა მემართებოდა, რადგან შიში გაქრა და ძარღვებში ტკბილმა ზარხოშმა დამიარა. მახსოვს, როგორ ამითამაშდა გაშეშებული სახსრები — ახლა ვხვდები, რომ ეს უფრო ნერვიული კრუნჩხვა იყო — შიშით დაჭიმული სხეული მომეშვა და თბილი ტალღა შემომადგა. ქვეწარმავალს ახლა სიყვარულით შევყურებდი, გული რაღაც უჩვეული ნდომით მიძგერდა. გველი კვლავ შედგა, მახვილივით დამელირა, ანთრაციტივით აბრჭყვიალებულ მის უძრავ თვალში სიანცის სხივი კრთოდა. და მაშინ, არ ვიცი, რად, ხელი ავწიე და პირჯვარი გადავისახე. უფროსებისაგან ასე მქონდა ნასწავლი, ამ რიტუალის არსი კი არ გამეგებოდა. იმავე წამს გველი მოსხლეტილ ქვასავით გამოქანდა და სახეში უნდა მცემოდა, მაგრამ ანაზდად შეყოვნდა. სულ ახლო ვხედავდი რომბისებური ქერცლით დაფარულ თავს, უწამწამო თვალებს, ცხვირის ორ ნასვრეტს, დაკუთხულ ყბას. უხსენებელმა რაღაც სასოწარკვეთილი მზერა შემომანათა, თითქოს თავისი ცივი ტანის ყრუოლა შემომაშხეფა, საზარლად დაისივლა, მოდრეკილ სახრესავით გასწორდა და საყდრის კედელს თავი გამეტებით შეახალა. კედელმა ყრუ ხმა გამოსცა. გველი მანამდე ურტყამდა თავს, ვიდრე უსულოდ არ დაეცა. საყდრის ზღურბლზე გაჭიმული იწვა და გაწყვეტილ ზონარს ჰგავდა. წამოვვარდი და კისრისტეხით გავიქეცი. ღრანტეებს არ ვერიდებოდი, შიშველ კანჭებს ეკალი მისერავდა, მაგრამ ჩემი შეჩერება არაფერს შეეძლო. მეჩვენებოდა, თითქოს ტრამალი ფეხზე ამდგარიყო და უკან მომდევდა. იმ ღამით არ დამძინებია. დილით კი ჩუმად გავიპარე და ჩემი მტერი ვინახულე. გველი ისევ იქ იწვა, გაყინული თვალით თითქოს საყვედურით შემომცქეროდა. ყოველდღე დავიარებოდი ჩემს მსხვერპლთან — უნახაობას ვერ გავუძლებდი — ვიდრე თანატოლებმა არ შემნიშნეს და მალულად არ გამომყვნენ. მკვდარ გველს ღრიანცელით შემოეხვივნენ. ჯოხით დაითრიეს, ქვებით დაჯიჯგნეს და ნაკუწებად აქციეს. მე რაღაც უცნაურად გავშეშდი, ხმა ვერ ამოვიღე. გველის დარბევას გულგრილად შევყურებდი და ბრაზი მაღრჩობდა, რომ მისი სიკვდილის მიზეზი ვერ გამეგო. ახლაც არ ვიცი, რამ აიძულა, ასე უცნაურად მომკვდარიყო. რაღა თქმა უნდა, ამ ამბის ლეგენდით ახსნა ძალზე იოლია. მრავალი წლის შემდეგ მოხუცებისაგან კიდეც გავიგონე ერთი ასეთი გადმოცემა. თითქოს ურწმუნოების მთელი იმ ხნის მანძილზე, ვიდრე საყდარი უპატრონოდ იყო მიტოვებული, გველთა მრავალი თაობა მლოცველთა გამოჩენამდე სდარაჯობდა მას, მაგრამ ვხვდები, რომ მიზეზი მე ვიყავი.

ჩემი მეგობარი შეყოვნდა და მერე ისევ განაგრძო:

— იმ ამბის შემდეგ, რა საოცრადაც უნდა გეჩვენოს, მორწმუნე გავხდი, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჩემი რწმენა არც ერთი რელიგიის ფარგლებში არ ეტევა. მისი არსი პირველადი და ცხოველმყოფელი სულია, რომელიც სრულად გველის სახით ვლინდება. გველის გაშლილი ტანი უსასრულობის სიმბოლოა, თავ-ბოლო შეკრული — ნულოვანი არარაობისა; გორგლად დახვეული გორდიუსის კვანძს მოგვაგონებს, მორკალული კი — ყოფნა-არყოფნის კითხვის ნიშანს; გველი მხოლოდ მზით ცოცხლობს და წყლის სტიქიონს არ უფრთხის; ქვეშძრომია და ალმა მიილტვის; შხამიანია და კურნავს; აგებულება მარტივი აქვს, მაგრამ ანატომიური სფინქსია; მთვლემარე და ამავე დროს შმაგი; ერთდროულად მზელომი და ნირვანაა; მსხემი, მეუდაბნოე და განდეგილი, პირაკრული და გაუმაძღარი. მასში შეერთებულია წინააღმდეგობრივი და ამოუცნობი, და, რაც მთავარია, მასში თვლემს კოსმოსური სიმშვიდე, რასაც დიდ ხანია გამოვეთხოვეთ.

ჩემი მეგობარი ალტაცებულო განაგრძობდა საუბარს და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ დადუმდა.

## ს ა ხ ლ ი

**ბაქანზე**, სადაც დაგვიანებული მატარებელი უნდა ჩამომდგარიყო, ღია კაფეში განმარტოებული წყვილი იჯდა. დაძონძილმა შუახნის ქალმა მაგიდას ჩაუარა, ძველებური ხის ჩემოდანი მოჰქონდა.

— რა უცნაური ვინმეა!

— აქაურია, სულით ავადმყოფი, — კაცი საზურგეს გადააწვა და ნესტოებიდან ორტოტად გამოუშვა თამბაქოს ბოლი. — ყოველდღე ამ ჩემოდნით დგას და მატარებელს ელოდება.

შეშლილი ქალი უეცრად შედგა, კაცს გამგმირავად დააცქერდა. მან ვერ გაუძლო, თავი დახარა.

— შეამჩნიე, როგორი თვალები ჰქონდა? — იკითხა კაცმა, როცა ქალი წაფლატუნდა. — თითქოს რაღაცაში გვადანაშაულებს.

— გეჩვენება! — ცოლმა ღიმილით მოუთათუნა ხელი. — მე კი მგონია, ეს ახირებაა და მეტი არაფერი. თუ არავის ერჩის, არც გიჟი ეთქმის.

— ჰო, მაგრამ თვალები? — კაცს ხრინწი შეეპარა. — თითქოს ადრეც მინახავს ამნაირი თვალები და შიში ახლაც მზარავს.

— შიში?!

— ნუ იცინი! ეს სულ სხვა შიშია. აკი გითხარი, ზაფრა ახლაც ძარღვებში მივლის.

ქალმა არაფერი უპასუხა. ქვის მოაჯირიდან ამწვანებულ ველს გადაჰყურებდა. სიცხით მოთენთილი ფშატის ყვავილის სურნელი ნახშირისა და მაზუთის სუნს ერწყმოდა. სადგურის ვება შენობა მოწყენილ გომბეშოსავით გაყინულიყო. ლიანდაგებს იქით რკინიგზელთა დაბალი სახლები ჩანდა.

— ვფიქრობ და ვერ მომიგონებია, სად ან როდის მინახავს ეს თვალები, — წამოიწყო ისევ კაცმა. — ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ჩვენ მარტოოდენ სულები ვიყავით.

ქალმა ალმაცერად გადმოხედა.

ბაქანზე კვლავ გამოჩნდა შეშლილი ქალი, მაგრამ ამჯერად მათკენ აღარ მოუხედავს. ცოლ-ქმარმა შვებით ამოისუნთქა. ათი წუთის შემდეგ მატარებელიც ჩამოდგა. კიბეზე კაცმა ცოლს ხელი შეაშველა და მაშინ, როცა გამცილებელი კუპეში შეუძღვა, როცა კარის ხრიალმა ორივენი სამყაროს დახშულ ბუდუარში განაცალკევა, უკვე მესამედ მოჰკრეს თვალი ჰაღარა, დაძონძილ ქალს, ძველებურ ხის ჩემოდანს რომ მოეზიდებოდა.

შეშლილმა ქალმა ვაგონის სარკმელთან ჩაიარა. მისი გაყინული სახე არამიწიერ განცდას დაემახინჯებინა. კაცმა სწრაფად გასწია ფარდა, მაგრამ ის უხილავი ფარდა, მეხსიერებას აქამდე რომ გადაჰფარებოდა, ხელს აღარ ემორჩილებოდა...

კაცმა ღონივრად მოსწია.

ფარდა ჩამოვარდა.

ცოლმა გაკვირვებულმა მოხედა.

— რა მოხდა?

კაცს არაფერი გაუგია, ცოლის შეცბუნებულ სახეს შეჰყურებდა და გონების თვალით სულ სხვა სახეს უმზერდა.

●

...ისინი დანგრეულ სახლთან ისხდნენ. ველური ჭინჭრითა და კატაბალახით მოსირმულ ფიცრის კიბესთან იასამანი ჰყაოდა. ყვავილის მოგრძო მტევნები მინებჩამსხვრეულ სარკმელთან ყელყელაობდნენ. ძველი სახლის სიჩუმესა და სიბნელეს ნაზი ყლორტები თითქოს დაედრიკა.

სახლი დიდი ხნით მიეტოვებინათ. ეზოს შამბი მოსდებოდა და როცა ხშირ ბალახზე იწვნენ, სახლი ტაძარივით დაჰყურებდათ. სახურავი თოვლსა და წვიმას დაელპო, ნივნივებიდან მოსხლეტილი კრამიტი კედლის ძირას ეყარა. იასამნის ყვავილდაფენილი კრამიტის ნამსხვრევი წვიმიან დღეს ძოწისფრად ღვიოდა...

მიტოვებული სახლი იფარავდა მათ უცხო თვალისაგან. სხვენიდან სინათლის ზოლი იჭრებოდა. ნაცრისა და ობის სუნი აბრუებდათ. არავინ იცოდა, რად მიატოვეს ძველი, მამაპაპური სახლი, შემდეგ რომ გაუდაბურდა და უკაცრიელად იქცა, მაგრამ სხვათა ცხოვრების ამ უნაყოფო ნანგრევს ჯერ კიდევ ერქვა სახლი, რადგან მათ უცხო თვალისაგან იფარავდა. ეს მათი სახლი იყო. და მართლაც, როცა ეზოში, შამბის სარეცელზე იწვნენ, სახლი ტაძარივით დაჰყურებდათ...

●

— სანდრო, არ გძინავს?

კაცი გადმობრუნდა. ცოლს გაუღიმა. ქალს საღამური ხალათი შემოესხა, დასაძინებლად ემზადებოდა.

— გახსენდება რამე?

აქეთ ეწვიმა და გრილოდა. დაბალ ბორცვებს მძიმე, შავი ღრუბელი გადაჰკვროდა. წვიმის რუხ ბურუსში ნელა მიცურავდა მატარებელი, გვერდს უქცევდა მტკვრის ფშანებს, ფრთხილი ნადირივით მიიკვლევდა გზას წითურ გორაკებს შორის. გაღმა სველი სოფელი ჩანდა. ხშირ ხეთა ვარჯებში კრთოდა კრამიტის სახურავები. ჩაუარეს წვიმით დამბალ ნათესებს, დანგრეულ წისქვილს, შინდის რტოებს რომ დაებურა. საკირეებიდან დინჯად იბოლქვებოდა მღვრიე კვამლი, კირქვის კლდეები უცნაური შუქით ციალებდა ნისლში.

აქ სადღაც იდგა ძველი სახლი...

მატარებელმა კივილით გადაიქროლა ხიდი. ზმანებანი გაქრა. კაცს ახლა პატარა ქალაქი გაახსენდა, სადაც პირისპირ იჯდა რესტორანში უცხო ქალთან. ის ქალიც წარსულს აგონებდა, მაგრამ მთლად უცხო გამხდარიყო. სახელიც კი გამოეცვალა. როცა კაცი მის სახელს წარმოთქვამდა, ძველი სახლი ექოდ აღარ იმეორებდა. მხოლოდ ერთხელ მოესმა შორეული გამოძახილი, მაგრამ სუსტ ოხვრასავით მალევე ჩაქრა. ნუთუ არაფერი ახსოვდათ? ცალ-ცალკე იქნებ გულით ატარებდნენ ძველი სახლის ხატებას, მაგრამ ერთად შეყრისას სახლი იბზარებოდა, იმსხვრეოდა. ბათქაშის მტვერს დაეფარა მათი სიტყვები.

ახლა ერთოთახიანი, მყუდრო ბინა მოაგონდა, შინაბერა ქალის სუნს რომ გაეჟღინთა. წინკარში ბებერი ნაგაზის ხველა ისმოდა. იატაკი ოდნავ ჭრაჭუნებდა. ავეჯს მოწყენილობის ელფერი ედო: ქალთან ერთად ჰკნებოდა სარკმლის ლინგზე მტვრიანი კაკტუსი.

ვინ იყო ეს უცხო ქალი, უზურგო სკამზე რომ იჯდა და წყლიდან ამოყვანილი ალივით შეცბუნებული შეჰყურებდა? ოდესღაც თეთრი პირისკანი გაცრეცოდა, ცხიმიანი, ლაბამოდებული ფერ-უმარილის ქვეშ გრძელი, ღრმა ნაოჭები ემჩნეოდა. ქალი ნელა აქნევდა თავს, ყელზე ძარღვი უთამაშებდა, სტუმარს სევდიანი ღიმილით ათვალიერებდა...

„მე ახლა აღარაფერი მსურს. ძველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლი? დამავიწყდა? „აჰ, ველარ მომიგონებია".

წინკარში კვლავ გაისმა ბებრული ხველა. ქალი ადგა, გავიდა.

„მეგობრებიც კი არ მჭირდება: თავი მომაბეზრეს. რაღა უნდა ვინატრო?! ერთი მყუდრო კუთხე მეც გამაჩნია".

გულგრილად ამბობდა ქალი და ყელზე ძარღვი ებურცებოდა. დილით კი, როცა კაცი გამოსამშვიდობებლად შევიდა მასთან, სამზარეულოში იდაყვდაყრდნობილი დაუხვდა. სტუმარს ხმა არ გასცა, სარკმელში იყურებოდა, მხოლოდ ერთხელ ამოხედა და კაცი მისმა შეშლილმა, მძულვარე გამოხედვამ შეაკრთო.

„ვეღარც კი ვფიქრობდი, თუ კიდევ გნახავდი".

ქალმა კვლავ არ გასცა ხმა, მაგრამ სახე დაემანჭა.

„წარსულს ველარ მოვერიე. ძველი სახლი მიხმობდა. იქ გათავდა ყველაფერი".

ქალი ანაზდად წამოიჭრა და კაცმა მის ხელში მოელვარე დანა შენიშნა.

„ჰო, გათავდა!" — დაიყვირა ქალმა. დანა ალმართა. კაცი ვერ მიმხვდარიყო, მისთვის უნდა ჩაეცა თუ თავის მოკვლა გადაეწყვიტა, მაგრამ აღარ დააცალა და მაჯა შეუპყრო. ქალი ებრძოდა, რისხვისა და ტკივილისაგან იწმაწნებოდა, შეშლილი თვალები ველურ კატასავით უბრწყინავდა...

ახლაც ყურში უდგას ის საზარელი სიცილი. როცა მისი სახლიდან გამოდიოდა, ქალი კვლავ სარკმელთან იჯდა, უსიცოცხლო, თოჯინასავით მოშვებული, არამიწიერი სევდით გაყინული...

სწორედ ეს სახე იხილა ბაქანზე. მერე რა, რომ დღევანდელი შეშლილი იმ ქალს არ ჰგავდა!

გვერდი იცვალა და ცოლს გადახედა.

ქალი თავდახრილი იჯდა, წიგნი გაეშალა, ყურადღებიანი დაძაბულობა ემჩნეოდა. მსუბუქი კმაყოფილების ციაგი დასტრიალებდა ბაგეზე. მისი გამართული ტანი, კალთაში ჩასვენებული მკლავი. მზე რომ მოჰკიდებოდა და ოდნავ შეერუჯა. სიყვარულისა და სიხალისის უხილავ და მხოლოდ ალღოთი საგრძნობ თრთოლას გაეთანგა. მაშ, რაღად იწამებს თავს? შეშლილი ქალი რომ არ შეიყვარა? კაცი შებრუნდა, გაიშოტა, ხელები თავქვეშ ამოიდო. ვაგონის სარკმელს ბინდი მოსწოლოდა. სოფლური სახლები გაქრა. მატარებელი ახლა უკუნ ღამეში მიჭქროდა.

აქ სადღაც იდგა ძველი სახლი, რომლის სახურავი თოვლსა და წვიმას დაელბო. კედლის ძირას იასამნის ყვავილდაფენილი კრამიტი ძოწისფრად ღვიოდა...

ეს მათი სახლი იყო. რადგან უცხო თვალისაგან იფარავდა. როცა ეზოში, შამბის სარეცელზე იწვნენ, სახლი ტაძარივით გადმოჰყურებდათ...

და თუმცა სხვათა ცხოვრების ამ ბერწ ნანგრევებს ჯერ კიდევ ერქვა სახლი, დროს მაინც შეემუსრა იგი, იმტვრეოდა, იბზარებოდა...

წარსულისა და ჯერაც აუხდენელი მომავლის გავლენით კაცს მოეჩვენა, რომ სულ ახლო მინებჩამსხვრეული სარკმლის მწუხრში ვიღაცის თვალებმა გაიელვეს...

კაცი შეკრთა. დაიკვნესა. მატარებელმა სვლას უმატა. თან წაიყოლა შორეული ზმანებანი. მას უკვე ეძინა. ძილში შფოთავდა, რაღაცას იხსენებდა, მაგრამ ვაგონის რწევა უშლიდა და ისიც ვეღარ უძალიანდებოდა, ნებდებოდა თანაბარ რხევას, გვერდს უქცევდა მახსოვრობის სილიან ფშანებს, ტანჯვით მიიკვლევდა გზას წვიმის ბურუსით დანისლულ გორაკებს შორის, უკვე დავიწყების ბინდი რომ ეფინათ...

და იმ დროს, როცა სამყაროს დახშული ბუდეარიდან უნდა გაეღწია, როცა ძილში ლიმმორეული იწვდიდა ხელს წარსულისაკენ, ვიღაცის მკაცრმა შემოხედვამ შეაკრთო: ეს იყო შეშლილი ქალის თვალები, უზრუნველმა და კმაყოფილმა რომ იხილა, სიბილას თვალები, მარადიული ნისლოვანებიდან გაყინული მზერით რომ შემოსცქეროდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერი ბადრიაშვილი

●

ვერ გავუძელი წუთისოფლის ლამაზ ცდუნებას
და გულმა, ჩემო, შენთან ყოფნა მოიგუნება.
უშენოდ ჩემო, ეს სამყაროც მეცოტავება!
რა ვქნა, თუ ფიქრიც სიყვარულის მახეს გაება.
ველარსად ვნახე შენზე ტკბილი ქვეყნად საუფლო,
სადაც ჩურჩულით შემეძლება გაგესაუბრო!
ნუთუ არ გიმძიმს გულგრილობის ტვირთის ტარება,
როცა გრძნობები უფსკრულისკენ მიექანება.
ბევრი მინახავს შენებრ რიხით მაგ გზით მავალი
და უტვირთია შემდეგ იმ ბევრს ცოდვა მრავალი.
იცოდე, ამ გულს ქვეყნად უკვე ვერავინ შეცვლის,
გადმოხეთქს ჯებირს ჩემი სულის უქრობი ცეცხლი.
ულელს ცხოვრების შენზე ფიქრით როცა გავიტან,
დაგელოდები და დავიწყებთ ყოველს თავიდან...

## მოხუცის ლოცვა

ო, თეთრი ფიფქი მოგონებას უჩუმრად ართავს
და თითო წობით ბუხრის ყელით აცილებს ზამთარს.
ეს წლებიც გატყდა და ამ სოფლის ამბობს სამდურავს,
რადგან კარს იქით ბედისწერას ხედავს გარდუვალს.
თვალწინ მდინარებს იმა დროთა ნაზი გალობა
დიდმა განგებამ ასე უხვად რომ გვიწყალობა.
ალბათ თუ იგრძნო განშორება ამ საწუთროსთან
ჩამომჭკნარ ლაწვებს ორი ცრემლი რომ აუთრთოლდა.
ნეტავ რა უნდა მაცხოვრის წინ მუხლებმოდრეკილს,
ზე ალუპყრია ორი ხელი — ხმელი ფოთლები.
ო, გევედრები ზეციურო ამ ჩემს ნაშიერს
წყალობა უყავ, სულიერად ნუ მოაშიებ!
ვიცი, ცხოვრების რომ გვადგია მძიმე უღელი
მაინც გვიყვარს და მაინც კიდევ მასვე ვუმღერით.
კაცი ულმერთოდ მარტო არის ქვეყნად სრულიად,
იცი, უფალო, უეშმაკოდ დღეც არ უვლია.
შენ აარიდე ყველა ბოროტს, მძიმე იარებს,
ასვი ყოველი სიკეთე და ჰყავ მგრძნობიარე.
ააგუგუნე დედო ზარი — ქვეყნის სამრეკლო,
რათა ქვეყანა ურწმუნობამ ველარ წალეკოს.
შენ იყავ მისი ფარი მტერთან ულვთო ჭიდილში,
მიეც სიმშვიდე მის სულს აშლილს, ჰყავი სიდინჯით.
ალზევებულა ძმათა შორის სისხლი მბორგავი,
სალვთო სიტყვაა — არიადნეს ძაფის გორგალი.
და თუმცა სისხლიც, უმანკოთა სისხლიც დალვრილა,
ისევ „გიყვარდეს მტერი შენი“ — მიეც ალეირად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

პეპელასავით დაფარფატებს სიმცირე წელთა
და ეს დროც თითქმის არაფრად გვილირს.
მხოლოდ ვფხიზლდებით, ანუ ვკვდებით პეპელასავებრ,
ცხოვრება როცა უკვე გვადგამს ეკლების გვირგვინს!

●

თუმცა მიყვარხარ, მაინც გაგექეც,
ფიქრია ჩემი თავშესაფარი!
ნეტავ ჩემს თითებს კვლავ თუ დაეძებს
დაუვარცხნელი შენი ფაფარი...
როგორ მინდოდა, გრძნობა ჩამეკლა,
ჩამეკლა გულში დიდი წვალებით,
მაგრამ რა გინდა, შენს მზერას კვლავაც
რომ დაეძებენ ჩემი თვალები...
ბაგეს ალმური რომ აჰყვა მწველი,
შენი სუნთქვა რომ დარჩა სახსოვრად,
მუხლებს მოვიდრეკ საკურთხეველთან,
რომ პატიება ვთხოვო მაცხოვარს!

●

დავეხეტებით უგზო-უკვლოდ, ვით მთვარეულნი
და ვეძებთ იმას, რასაც ვერ ვპოვებთ,
ვიცი, ვერასდროს...
ჩვენ ერთმანეთის ლამაზ სიტყვებს
ვახშობთ დუმილით და
მოგონების ტკივილად ვწურავთ ყველა სიხარულს...
ჩვენ ორი ხელით ვერ ვიფარავთ სულის სიშიშვლეს
და ვაქილიკებთ უსირცხვილოდ სხვათა სიყვარულს...

●

ჩემო სიყვარულო, ჩემო საოცრებავ,
სიზმარს — შეგფოფინებ, დიდ ხნის ნაოცნებარს.
ამ ჩემს ლამაზ წადილს წინ ნუ აღუდგები,
მიეც გასაქანი შენს გულს დაბუდებით.
ბევრი არა მინდა — ცოდვა ვიყო შენი
თუმცა არ ახალი, მაგრამ ნათლის მფენი
და თუ არ ისურვა გულმა აისები,
ჩემო შემოქმედო, როგორ აივსები!
ვიცი, რწმენასავით კაცთა ერთგულება
სამყაროს გადამრჩენელ ხატად გეგულება.
ვიდრე ცოცხალი ვარ, ჩემო მეუფეო,
არა შეგცოდო და არც არ მიუტეო,
და როს ჟამი მოვა დიდი გარინდების
გულს გადმომაყარე მაგ ფიქრის მინდვრები.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

აკაკი ფახაძე

# ყინულის მარწუხებში

რომანი

6.

ბავშვების ოთახიდან მაღვიძარამ გაიწკრიალა. მისმა ზარმა, პირობითი რეფლექსების აღმძვრელი გამღიზიანებელივით, თინათინი უმალ გამოაფხიზლა — დღე იწყებაო. ფეხებმა თავისთავად წამოაყენა სკამიდან და სამზარეულოსკენ დაძრა. გზად სახეზე ხელი გადაისვა, თმა შეისწორა; სამზარეულოში შევიდა, გაზქურა აანთო, ზედ ჩაიდანი დადგა და პატარა მაგიდაზე ბავშვებისთვის საუზმის გაწყობას შეუდგა.

როდესაც მაია და როსტომი დერეფანში გამოფლატუნდნენ და საპირფარეშოსა და სააბაზანოს წინ კინკლაობა დაიწყეს — რომელი რომელს სად შეასწრებდა, თინათინს უნებლიედ ალერსის ღიმმა გაურბინა სახეზე და გაიფიქრა: კიდევ კარგი, ესენი მაინც მყვანანო, გაიფიქრა ეს და — გული მოეწურა, საკუთარ თავზე გაბრაზდა და მკაცრად გასძახა ბავშვებს:

— თქვენი ალიაქოთის თავი არ მაქვს! გთხოვთ, დღეს მაინც ნუ ასტეხთ ღრიანცელს, დღეს მაინც, ძალიან გთხოვთ!

მაია და როსტომი მიყუჩდნენ, გასუსულებმა დაიბანეს ხელ-პირი; თვითონ გამოეწყვნენ სასკოლო ფორმებში, ჩანთებშიც ბეჯითად ჩაალაგეს წიგნები და რვეულები; ყოველგვარი ბუზღუნის და წუნიაობის გარეშე ისაუზმეს და სკოლისკენ გაეშურნენ.

ცხრა საათი ხდებოდა. სადაც იყო, ალმასხანიც გამოვიდოდა. თინათინი იქვე, სამზარეულოს ფანჯარასთან ჩამოჯდა, მაიას ფინჯანში ჩარჩენილი ჩაი მოსვა და გარეთ გაიხედა.

ქუჩა უკვე ახმაურებულიყო ხალხით, მანქანებით, ტროლეიბუსებით. თინათინმა დაინახა, ეზოდან გავარდნილი როსტომი და მაია გადასასვლელთან როგორ შედგნენ, ხელიხელჩაკიდებულებმა გადაირბინეს ქუჩა და, საპირისპირო ტროტუარზე, ჭადრების ძირში ხტუნვა-ხტუნვით განაგრძეს გზა სკოლისკენ.

„ლარბი სხვანაირად მიდიოდა, სულ სხვანაირად". — ბავშვების კვალში დადევნებული მზერა გაუშტერდა და უცხადესად წარმოესახა: იღლიაში ამოჩრილი ტილოს გაცრეცილი ჩანთით, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ლარბი ისე გადაჭრიდა ქუჩას, რომ აინუნშიაც არ აგდებდა მანქანებისა თუ ტროლეიბუსების გაქროლ-გამოქროლებას. მართალია, მაშინ მანქანებიც ნაკლები იყო ქალაქში, მაგრამ, ახლა როა, თუნდაც ამდენი ყოფილიყო, უთუოდ ისევე აუჩქარებლად, დიდრონი და მტკიცე ნაბიჯებით გადაჭრიდა ქუჩას. ჰო, სულ პატარობიდანვე ისე დადიოდა, თითქოს დარწმუნებული იყო, ავი ვერაფერი გაეკარებოდა. ჰო, არ ეპუებოდა არაფერს...

ნეტავ, როსტომთან და მაიასთან ერთად, ახლა, ისიც სკოლისკენ მიმავალი ჰგულებოდა; ნეტავ, ისევ პატარა ყოფილიყო... ხომ აღარ წავიდოდა არსად, ხომ ისევ თბილისში, გვერდში ეყოლებოდა... განა, ადრე, ოდესმე იფიქრებ-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 3, 4, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რომ ლარბი მოსცილდებოდა. დაშორდებოდა, გადაიკარგებოდა... განა ამისთვის ზრდიდა, ამისთვის დაჰფოფინებდა, ამისთვის იტანჯებოდა, რომ ეგრე უკან მოუბრუნებლად მიეტოვებინა სახლ-კარი. ყმაწვილქალობაში რა იცოდა, რაოდენ ძნელი ყოფილა ეს გრძნობა; არც მერე, თბილისიდან ლარბის გადახვეწამდე, არ განეცადა შვილთან დაშორების სიმწარე... ბავშვები იზრდებიან, საკუთარ ცხოვრებას იწყებენ, კაცობაში და ქალობაში შესულნი, მშობლებს შორდებიან. ჯერ მშობლებისთვის ხდება ეს ძნელი, მერე მათთვისაც, შვილებისთვისაც ძნელი ხდება ცხოვრება. თურმე, ყველაზე კარგი ყოფილა, როდესაც პატარა ხარ და არ გესმის, რამდენად ძნელია ცხოვრება, რამდენი უსამართლობაა, რამდენი გაუგებრობა... ნუთუ ყოველთვის ასე ძნელი იყო? ნუთუ ყველგან და ყველასთვის ასე ძნელია?.. როსტომისა და მაიკოსთვის ჯერ გაუგებარია ცხოვრება. ისინი კიდევ კარგა ხანს დაზღვეულნი იქნებიან მისი სიავისგან, კიდევ დიდხანს არ ეცოდინებათ მისი მუხანათური ხლართები... რარიგ განიცადეს ლარბის სიკვდილი, როგორ გაისუსნენ, დანაღვლიანდნენ და, მაინც, ჯერ მთელი სისრულით ვერ ხვდებიან; და ვერც ვერასდროს მიხვდებიან ლარბის ხვედრს... ღმერთმა ნუმც განაცდევინოს! ღმერთმა დაიფაროს!..

სიკვდილი... საშინელია.... ადამიანის ცხოვრება ისედაც, ღლითიდღე, სიკვდილისკენ მიექანება და, რაოდენ უსამართლოა, როდესაც სიკვდილს უდროოდ დაგატეხს თავს, ყოველგვარი რიგის და წესის დარღვევით — როდესაც შვილი კვდება და მშობელი რჩება... რატომ, რატომ არ იციან შვილებმა, რა ძვირფასია მათი სიცოცხლე და სიახლოვე მშობლისთვის. არა, არასდროს არ უფრთხილდებიან თავს. თითქოს მშობლების ჯიბრზეც ხდებიან თავგამეტებულნი, თითქოს მაინცადამაინც მშობლებს ექიშპებიან. კი არ მიდიან, თითქოს გტოვებენ, თითქოს გარბიან, თითქოს გეცლებიან და უარგყოფენ... ასე ხომ არ არის ცხოველებში. ყოველი ცხოველი მშობლის დახმარებით ფეხს იდგამს, სწავლობს ცხოვრების წესს და, მერე, ყოველგვარი გაჯიქების, ყოველგვარი დაპირისპირების, ყოველგვარი დადანაშაულების გარეშე შორდებიან ერთმანეთს, თავთავიანთი გზებით მიდიან. არავითარი ურთიერთწყენა, არავითარი გაქცევა ერთმანეთისგან, არავითარი ურთიერთ დადანაშაულება... ჰო, დადანაშაულება!.. ეს მხოლოდ ჩვენშია, ადამიანებშია ასე.

დანაშაული?! ის თითქოს თავიდანვე მოგვდევს, თითქოს თვალის ახელისთანავე მოსდგამს ადამიანს. ალბათ, უხსოვარი დროიდან ასე იყო და, ასეა... დანაშაული... ნეტავ, შვილები თუ გრძნობენ დანაშაულს? არა. მეც არ ვგრძნობდი. ალბათ, ჩემსავით, მხოლოდ მაშინ იგრძნობენ, როცა მშობლები გარდაეცვლებათ და თვითონ, მშობლებად ქცეულნი, საკუთარ არსებაში სულ უფრო მზარდი, ძვირფასი მიცვალებულების სულებით სულ უფრო და უფრო დამძიმებული წარსულის წინაშე პირისპირ აღმოჩნდებიან... მშობლები გაახსენდებათ და მათ ხსოვნას შესჩივლებენ, შენატრებენ... მაშინ მიუხვდებიან... მხოლოდ მაშინ იგრძნობენ საკუთარ დანაშაულს. ხოლო, სანამ მშობლები ცოცხლები ჰყავთ, შვილებისთვის სულ ისინი არიან მიუხვედრელნი, უარსაყოფნი, დამნაშავენი. უმეტესობისთვის ეს ასეა. ეგებ, სრულიად გაუცნობიერებლად, იმისთვისაც ადანაშაულებენ მშობლებს, რომ გააჩინეს. აკი, რომ წამოიზრდებიან და გონებაში შევლენ, პირველივე სიძნელით გამწარებულებს, საყვედური წასცდებათ — რატომ გამაჩინეთ. ანდა, აი, მე რომ ახლა ვფიქრობ, ასევე გაიფიქრებენ — ნეტა სულ არ გავჩენილიყავი ქვეყანაზეო. ცხოველი ამას ხომ არასდროს გაიფიქრებს. ცხოველი არ ფიქრობს. ბედნიერი! მხოლოდ ადამიანი ფიქრობს; და ფიქრობს — დანაშაულზე! თავის დანაშაულზე, სხვის დანაშაულზე... უპირა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტესად ამის განსჯაშია. არცაა გასაკვირი: საითაც უნდა გაიწიოს, ყველგან დანაშაულია, დიდი თუ მცირე, ნებითი თუ უნებური; და დანაშაულიც თან დაგვაქვს; გაუაზრებლადაც, უნდომლადაც, განუზრახველადაც თან დაგვდევს, ყველგან, ყოველთვის...

შორიდან ფლოსტების ტკაცუნი მოესმა. დერეფანში ალმასხანი გამოჩნდა. სააბაზანოსთან შედგა, სამზარეულოსკენ გაიხედა; ძილისგან შეშუპებული ქუთუთოები თითებით მოისრისა, თინათინს შეაცქერდა და ჰკითხა: „სულ არ გიძინია?“ თინათინმა ნაღვლიანად გაუღიმა, წამოდგა; მოუნდა მიახლოებოდა, თავი მის მკერდზე მიედო, მისი ალერსი და თანაგრძნობა განეცადა, თავისი უბედობა შეეჩივლა; მაგრამ, უეცრად, ადგილზე გაშეშდა — ზურგს უკანიდან თითქოს ლარბის იჭვნეული, მოსაყვედურე ხმა ჩაესმა:

— ის გიყვარს შენ?!

თინათინი სწრაფად შებრუნდა; ჩვარს წასწვდა და მაგიდა გადაწმინდა; მერე გაზქურასთან აწრიალდა და ალმასხანს, რომელიც უკვე სააბაზანოში შესულიყო, გასძახა:

— საუზმეზედ რა დაგიმზადო?

— მართალი გითხრა, ჭამა არ მინდა. ჩაის დავლევ.

— გაგიმზადებ რასმეს. უნდა ჭამო. მთელი დღე გაწამაწიაში ვიქნებით. მერე, ალბათ, შენთვის ვეღარც მოვიცლი. მეზობლებს უკვე გაუგიათ ჩვენი უბედურება და მოსახამძიმრებლად მოვლენ; ნათესავებიც, ლარბის მეგობრებიც, ალბათ, შემოივლიან... ხოდა, სადილის მზადების თავი აღარ მექნება. სჯობია, კარგად ისაუზმო.

— როგორც იტყვი, თინიკო. თვითონ მოიფიქრე; ჩემთვის სულ ერთია. ოღონდ, ნუ იჩქარებ, ჯერ წვერს გავიპარსავ.

სულ მცირე ნახევარ საათს მაინც ანდომებდა ალმასხანი დილის ტუალეტს — დაბანას, გაპარსვას, ჩაცმას. უკვე საბოლოოდ გამოწყობილი საუზმობდა. ალმასხანის მოლოდინში თინათინმა მაგიდაზე ყველი, ძეხვი და წინა დღის სადილიდან მორჩენილი ლობიო გადმოალაგა; ისევ ფანჯარასთან სკამზე ჩამოჯდა და გარეთ გაიხედა.

მარტი იწურებოდა. გაზაფხულმა ამ წელს ნაადრევად იძალა. მთაწმინდასა და ნარიყალასკენ მთების ფერდობებს დიდრონ მწვანე ლაქებად მოჰფენოდა ჩირთი ბალახი. მზის სხივი უკვე დილიდანვე სითბოს ღვრიდა ჰაერში. ფანჯარასთან ველური აკაციის ტოტებს კვირტებიც ამოეყარა. ხე ძალიან ძველი, მერქანშემხმარი და შებოლილივით შავი იყო; ტოტები ისეთი დაკრუნჩხული და ხმელი ჰქონდა, რომ, ბოლო წლების მანძილზე, ყოველი ზამთრის დამლევს, თინათინს ეგონა, აღარ აყვავილდებაო.

„რამ გამაძლებინა ამდენი..., რა მაძლებინებს, ახლაც, ამ ტკივილს. რაღაც სხვა ძალაა, ალბათ, სხვა წესია, თორემ, მარტო გული რანაირად აიტანდა... რაღაც სხვა, ბუნების ძალაა, შენდა უნებური... ეს გამხმარი ხეც, რომ მეგონა, ზამთარს ვერ გამოატანსო, აგერ, ყვავილობასაც აპირებს... მეც, ლევანის სიკვდილის შემდეგ, რომ მეგონა, მომიმთავრდაო ცხოვრება, მაინც ვიცხოვრე; ვხარობდი კიდეც. ალმასხანის წყალობაა. ალმასხანი რომ არა, ვინ იცის, რა დღე მეწეოდა, რანაირად ვიქნებოდი... ალმასხანიც, თუმცა სახე ნაოჭმა დაუღარა, თუმცა თმაც შეუთხელდა და გაუჭაღარავდა, მადლობა ღმერთს, ჯერ მხნედაა. ღმერთმა დიდხანს მიმყოფოს მისი თავი ჯანსაღად. ახლაც, ის რომ არ მყავდეს, მარტოკა რას გავაწყობდი?“. თინათინი როგორღაც თითქოს საგანგებოდ ცდილობდა, ალმასხანისადმი, მასთან გატარებული ცხოვრების შესაბამისად, მადლიერებით აღსავსე ფიქრს აჰყოლოდა და, სამზარეულოში შემოსულისთვის, უბედურებით დამდუღრული გული მოსიყვარულე ალერსით გადაეხსნა, მაგრამ უცებ, ზედ ყურთან, ისევ ჩაესმა ლარბის ხმა:

— ის გიყვარს შენ?

თინათინმა თვალები დახუჭა, სიმწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისგან გულმა გამალებით დაუწყო ცემა.

ხელმეორედ გათხოვებამდე, სანამ ალმასხანისგან ჩვეულებრივზე მეტ ყურადღებას და თავაზიანობას იგრძნობდა, ის უკვე ორი წლის ქვრივი იყო. თავისი ყოფილი სტუდენტისადმი და, შემდეგ, ლიტერატურის ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელობით მომუშავე, რუსთველოლოგიის განყოფილების უფროსი ლაბორანტისადმი, თინათინ დავლიანისადმი, ალმასხანის ქცევაში რაიმე განსაკუთრებულს ან უჩვეულოს გარეშე თვალი ძნელად თუ შენიშნავდა. ზნეობრივი წესების უშეღავათოდ დამცველ, შუახანს მიტანებულ, უკვე სახელიან მეცნიერს, ყველა სხვა ინტიმური განცდების დარად, თინათინისადმი აღძრული გრძნობაც ნებელობის მტკიცე არტახებში მოექცია. თინათინმა მხოლოდ ქალური ალღოთი აღიქვა ალმასხანისგან მასთან უფრო უშუალო დაახლოების შეფარული ლტოლვა, რამაც, თავდაპირველად, უსიამოდ დაძაბა, მერე, ვითარებას გაუყუჩდა, თითქოს ჩაუსაფრდაო და ფრთხილად დაუკვირდა, შეამოწმა, რაიმე ხომ არ მეჩვენებაო. არა, არ მოსჩვენებია. ალმასხანის ჭარბი გულთბილობა წამისწამ იფეთქებდა ინსტიტუტში მათი თვით საქმიანი შეხვედრების და საუბრების დროს — ხან მზერაში, ხან ხელის ჩამორთმევაში, ხან საკვალიფიკაციო თემაზე მუშაობის დაჟინებულ მოთხოვნებში და, რაც მთავარია, მის გალბილებულ თავაზიანობაში და ყურადღებაში. თინათინი იმასაც მიხვდა, რომ ალმასხანი, კოლეგების წრეში ყოფნისას მის მიმართ თავდაჭერილი და წინდახედული ქცევით, სხვების თვალში საკუთარი სულიერი მდგომარეობის გამოაშკარავებას არ უფრთხოდა იმდენად, რამდენადაც თინათინს უფრთხილდებოდა. ასეთმა დამოკიდებულებამ თანდათან მისდამი მადლიერებით განაწყო თინათინი. და მაშინ, გაახსენდა:

ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ლექციებზე და სემინარებზე, ალმასხანს, იმ ხანად სრულიად ახალგაზრდა ლექტორს, სტუდენტებს შორის ის გამორჩეულივით ჰყავდა, — განსაკუთრებულად აღნიშნავდა ხოლმე მისი პასუხის ან დამუშავებული თემის ღირსებებს, ხოლო ნაკლს, თითქოს გამორჩაო, წაუყრუებდა. ალმასხანის ლექციების და სემინარების შემდეგ მეგობარი გოგოები სიცილ-კისკისით შემოეხვეოდნენ თინათინს და აქეთ-იქიდან ჩაუნისკარტებდნენ: — რა გიჭირს, რა, ხუთიანი განაღდებული გაქვს, ყველაზე მეტ ყურადღებას გაქცევს და ქათინაურებს არ გაკლებს ჩვენი სიფრიფანა „წერო". „წერო" მხოლოდ გვარის გამო არ შეერქმიათ ალმასხან წეროძისთვის; იმჟამად საკვალიფიკაციო თემაზე მუშაობდა იგი და ისე გახდა, რომ ლამის ლანდი გასდიოდა; ტანად მაღალ-მაღალი, მართლაც წეროსავით გაივლიდა ხოლმე უნივერსიტეტის დერეფნებში; მერმე კიდევ, ლექციებზე გადმოცემული მასალის დაკონსპექტებას უკლებლივ ყველასგან მოითხოვდა და სემინარებისთვისაც დიდძალ საწერ სამუშაოს ავალებდა სტუდენტებს. „წეროს" ალერსით ეძახდნენ იმ კურსის სტუდენტები თავიანთ საყვარელ, სხვა პედაგოგებს შორის ახალგაზრდობითაც და წარმოსადეგობითაც გამორჩეულ ლექტორს; და ალმასხანსაც, როგორც ემჩნეოდა, სიამოვნებდა ეს მეტსახელი. ერთხელ, სემინარზე ნათამაშევი წყრომით იკითხა: მაინც რომელმა შემადარა ჭაობნარის ამ გამწლეულ ფრინველსო. ჯგუფში ალიაქოთი ატყდა — თითოეულმა სტუდენტმა დაიჩემა, პირველად მე შევარქვიო. „მე კი, ასე ვგონებ, ვინც თავჩაღუნული სდუმს, ის შემარქმევდა", — ხუმრობაში მხარი აუბა ალმასხანმა სტუდენტებს და, ვითომც დატუქსვით, თითი დაუქნია თინათინს, რომელსაც, იმ ყრიამულში, კონსპექტებში თავი ჩაერგო და სასემინარო მასალას იმეორებდა. „ნახე, ნახე, როგორ უნდა, რომ შენ შეგერქმია", — უჩქმიტა გვერდით მჯდარმა გოგონამ თინათინს. თინათინი

დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა არც მეგობარი გოგოების ნართაულებს და არც „ყველა გოგოების სანეტარო ლექტორის“ ქათინაურებს; უნივერსიტეტში ფეხის შედგმისთანავე გაგიჟებით შეუყვარდა ლევან დავლიანი და, თანაც, ყველა საგანში ბეჯითად მეცადინი, დარწმუნებული იყო, რომ თანაჯგუფელ მუშტრუკანა გოგოებზე და ტორლიალა ბიჭებზეც მეტ ქებას იმსახურებდა პედაგოგებისგან. ხოლო, უკვე ლიტერატურის ინსტიტუტში მის ხელმძღვანელად მყოფი, თმაში ჭაღარაშერეული ალმასხან წეროძისგან თავაზის და ჩვეულებრივზე მეტი ყურადღების მგრძნობს, სხვანაირად ენიშნა მისი ადრინდელი ქათინაურებიც და ამაზე თანაკურსელი მეგობარი გოგონების ქირქილიც.

თინათინს მერე ისიც სულ სხვა მხრივ ენიშნა, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, როდესაც ლიტერატურის ინსტიტუტში სამუშაოდ ეწყობოდა (რაზეც ლევანმა მრავალი, თანატოლი თუ უფროსი ნაცნობ-მეგობარი შეაწუხა) ალმასხანმა, ყოველგვარი თხოვნის გარეშე, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე, თინათინის საქმეს თავისი გადამწყვეტი სიტყა შეაწია: თინათინ მუშკუდიანი, ამჟამად ლევან დავლიანის მეუღლე, ჩემი სტუდენტი იყო, მომზადებული, გონიერი, ლიტერატურის ისტორიაში საკმაოდ გათვითცნობიერებული ახალგაზრდა ლიტერატორია და მოხარული ვიქნები, ჩემს განყოფილებაში თუ გაამწესებთო. მართალია, ლევანიც და თინათინიც მაინცდამაინც დიდი შეხედულებისა არ ყოფილან ალმასხან წეროძის პიროვნებაზე, მის შემოქმედებით უნარზე და სამეცნიერო ნაშრომებზე, მაგრამ მისმა გულითადობამ ორივე მოხიბლა, უფრო მეტად კი — გააოცა. ინსტიტუტში მოწყობის ერთი კვირის თავზე, თინათინმა დედას ტორტი გამოაცხობინა და, ლევანთან ერთად, ალმასხან წეროძეს ესტუმრენ შინ. ალმასხანმა ისინი პატივით მიიღო, ოღონდ, თინათინისგან, მისი უკვე ხელქვევითი თანამშრომლისგან მორთმეული ძღვენი იჩოთირა, სახეზე წყრომაც აღებეჭდა — ეს როგორ გეკადრებათ, ამას თქვენგან არ მოველოდიო. მასპინძლობა თუმცა ვერ გამოიჩინა ფეხიანი და ხელგაშლილი, მაგრამ ეს არც გაემტყუნებოდა — ორიოდე დღის უკან დედა საავადმყოფოში დაეწვინა, სასწრაფო ოპერაცია გაეკეთებინათ. „მუცლის არეში მოულოდნელად ტკივილმა შემოუტია, ბრმა ნაწლავის მწვავე ანთება აღმოაჩნდა და, კიდევ კარგი, დროულად უშველეს“, — განუმარტა ალმასხანმა ოჯახური მდგომარეობა და მოიბოდიშა; მის სახლში პირველად ფეხშედგმულ ძვირფას სტუმრებს რიგიანად რომ ვერ უმასპინძლებდა. „ნუ შეწუხდებით, ბატონო ალმასხან, ძალიან გთხოვთ, ნუ შეწუხდებით, ჩვენ მხოლოდ წუთით შემოვირბინეთ, მადლობა გვეთქვა. ბოდიში დაგვირჩა მოსახდელი, უდროო დროს გაუფრთხილებლად თავს დაგატყდით“, — ეუბნებოდა ლევანი, მაგრამ ალმასხანმა ხილი და ღვინო მაინც გამოიტანა, მაგიდაზე თეფშები და ჭიქები დაალაგა; ჭიქები არ მოეწონა და ფუჟერებით შეცვალა; დანებს ჩანგლებიც მოაყოლა — თუმცა ჩანგლით საჭმელი სუფრაზე არაფერი იყო. უხერხულად ირჯებოდა, ემჩნეოდა. დედა და და თავს დაჰფოფინებდნენ, უბრალო საქმეზეც ხელს არ ანძრევინებდნენ და თავადაც სამსახურის, წიგნების და ქაღალდების გარდა, არაფერი აინტერესებდა. თავის მოუხერხებლობას თვითონაც გრძნობდა და, ამის გამო, დროდადრო, თითქოს თავის თავს უწყრებაო, გაბუტულივით იბუსხებოდა. ტორტის ჭრას რომ შეუდგა, თინათინმა შეაჩერა, თორემ ერთთავად დაჩეხას უპირებდა უზომოდ დიდრონ ნაჭრებად. ბოლოს, როგორც იქნა, ჯახირი მოამთავრა, სუფრასთან მიიწვია სტუმრები და თვითონაც რომ დაჯდა, შუბლზე ისე გადაისვა ხელი, თითქოს ჭირის ოფლი ჩამოიწმინდაო. ღვინო ჩამოასხა ფუჟერებში, თინათინს ინსტიტუტში მუშაობის დაწყება მიულოცა და წარმატებული სამეცნიერო წინსვლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსურვა. „თუ მონდომებით არ შეუდგებით მუშაობას, იცოდეთ, წავიჩხუბებთ", — დაექადნა, ფუჟერიდან ოდნავ მოსვა ღვინო და საინსტიტუტო ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე შეუდგა მსჯელობას. ლევანსაც ჩაეკითხა უნივერსიტეტში მისი სამეცნიერო მუშაობის ამბავს; თავისი განყოფილების სამომავლო თემატურ გეგმებსაც გადასწვდა; თინათინს კი ლამის იქვე დაუწყო საკვალიფიკაციო თემის შერჩევა. ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა სამეცნიერო-სამსახურეობრივ საქმეებზე, თითქოს ამით დედის ავადმყოფობით აღძრული წუხილის განქარვებას ცდილობსო. და მაინც, საუბარში მოულოდნელად და უადგილოდ გაიხსენებდა ხოლმე უკვე ხანდაზმულ დედას, რომელიც, იღბლად, სასწრაფო სამედიცინო დახმარებით გამოძახებული გამოცდილი ექიმის წყალობით გადაურჩა სიკვდილს. „წარმოიდგინეთ, ის ღვთისნიერი და მცოდნე ექიმი რომ არა, ვინ იცის, ახლა რა დღეში ვიქნებოდი. კიდევ კარგი, კიდევ კარგი, ამ კოშმარმა ავბედითი შედეგების გარეშე განვლო... ახლა უკეთაა. ჩემი დაიკო თავზე ადგას. წარმოიდგინეთ, სიმსივნე ან რაიმე უბედურება აღმოჩენოდა, მაშინ... არ ვიცი, პირდაპირ, რა მეშველებოდა, რა დღეში ჩავვარდებოდი", — თქვა და ცოცხალი მშობლების სადღეგრძელო შესვა, გარდაცვლილებიც ახსენა. მერე, უცებ, ისევ საქმიან საუბარს დაუბრუნდა. თინათინს გული მოეწურა, ისეთი დაბნეულობა, ისეთი გულუბრყვილობა და, ამასთანავე, უმწეობაც სჭვივოდა ალმასხან წეროძის გარეგნულად მედიდური იერის და მკაცრად თავდაჭერილ ქცევის მიღმა.

ალმასხან წეროძესთან განზრახულზე ოდნავ გახანგრძლივებული ვიზიტის შემდეგ ქუჩაში რომ გამოვიდნენ, ლევანმა მის ქცევას და მეტყველების კილოს გასცინა და მაშინვე სახელიც მოუძებნა თინათინის მრისხანე მეცნიერ-ხელმძღვანელს: „ბუსარა! ნამდვილი ბუსარაა, მაგრამ, როგორც შევატყვე, პატიოსანი კაცია და არც ისეთი უგულო ყოფილა, გარეგნულად რომ ჩანს და მისი მოქიშპე კოლეგები რომ უგონებენ. თანაც, რაღაც აქვს, ისეთი, პიკანტური, რაღაც საოცრად გულუბრყვილო, ცოტა არ იყოს, შტერულიც, მოქცეული პრიმიტულად მედიდურ სიმკაცრეში... ისეთია, კალმის გასმად რომ ღირს, ნაღდი ლიტერატურული ტიპია. კარგი ტიპია... კერკეტა ნიგოზივითაა. თუ თემა შეგირჩია, ხელი ჩაგჭიდა და გიხელმძღვანელა — არ მოგეშვება, სანამ ნაშრომს არ დაგაწერინებს. ხოდა, ძალიან კარგი! მე მომწონს ეს ამბავი. შენ რას იტყვი?"

საკვალიფიკაციო თემის საკითხი კარგა ხნით გადაიდო, რადგან, თინათინი ინსტიტუტში რომ ჩაირიცხა, მეორე წელს ომი დაიწყო. ამას მოჰყვა ლევანის თავს დატეხილი უბედურება, ელისაბედის გარდაცვალება, ორმოცდასამის გაჭირვება. თინათინი იშვიათად თუ მოახერხებდა ინსტიტუტში გამოცხადებას, რაზეც ალმასხანს, განყოფილების უფროსის კვალობაზე, ერთი საყვედურიც არ დასცდენია. თვითონაც არ ეცალა განყოფილებაში მეცნიერული მუშაობის გასაჩაღებლად, — ომში გაწვევისგან დაჯავშნული მეცნიერი, ის პარტიული და საზოგადოებრივი დავალებების გაწამაწიაში იყო, ორმოცდაოთხი წლისთვის, საბჭოთა ჯარების გამარჯვება უეჭველი რომ გახდა და, სხვა ხალხებთან ერთად, ქართველობაც შინაური ცხოვრების მოწესრიგებაზე ზრუნვას შეუდგა, ალმასხანმა მხოლოდ მაშინ მოიცალა განყოფილებაში მეტ-ნაკლებად დადინჯებული მუშაობისთვის: გაახშირა განყოფილების სხდომები და სამეცნიერო გეგმებზე სჯა-ბაასი; თინათინსაც მიმართა, დროა, საკვალიფიკაციო თემას მივუახლოვდეთ, თემა დავადგინოთ და განვსაზღვროთო. ამის შემდეგ, ცალკეც დაიბარა რამდენჯერმე, ეთათბირა და, როცა შეატყო, თინათინი თავად ვერ ირჩევდა დასამუშავებელ პრობლემას, თვითონ შესთავაზა: „მოდით, ხელი მოვკიდოთ საშუალო საუკუნეების საქართველოში რაინდობის კულტის გაშუქებას. რას იტყვით? მე მგონი, საინტერესო საკითხია. ასე გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვსაზღვროთ — „რაინდობა საქართველოში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით“. თემა ძალზე საინტერესო იყო, მაგრამ საკმაოდ ძნელად დასამუშავებელი და ფრიად შრომატევადიც. იგი მოითხოვდა არა მარტო ქართული ლიტერატურული წყაროების დადგენას და შესწავლას, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნების სარაინდო ლიტერატურასთან პარალელების გავლებასაც. შესძლებდა კია ამდენს თინათინი?

„არაფერია, მოგეხმარებით. თქვენ დასძლევთ ამ თემას. სერიოზული შრომა მოგიწევთ, მაგრამ. ძნელბედობაში შრომა უებარი წამალივითაა. ნიჭი და განათლება არ გაკლიათ. უნდა დასძლიოთ ეს თემა. მისი დამუშავება სამომავლო მეცნიერული ძიებების გზებსაც დაგისახავთ, მრავალ პერსპექტიულ პრობლემას წამოჭრის თქვენს წინაშე... დიახ, ყოველ მხრივ მომგებიანი თემაა. რაც მთავარია, მეცნიერებაში გაგამყარებთ, მეცნიერად ჩამოგაყალიბებთ. თქვენ შვილი გყავთ და, მაშასადამე, მყარი დასაყრდენი უნდა გახდეთ მისთვის. თქვენს პიროვნებას არც შეეფერება წელგაუმართავად ყოფნა. მე ასე ვხედავ“, — შეაგულიანა ალმასხანმა და თვალებში ალერსით ჩახედა. თინათინმა იგრძნო, რომ მას კიდევ რაღაც თბილი, თანამგრძნობი სიტყვა სურდა დაერთო ნათქვამისთვის, მაგრამ თითქოს ძალით გაიმკაცრა სახე, მზერა აარიდა თინათინს და ესლა დასძინა: „საუბარს მომავალში განვაგრძნობთ, უკვე თემასთან დაკავშირებით კონკრეტულ საკითხებზე. მანამდე მოიფიქრეთ, მოზომეთ, გაისიგრძეგანეთ პრობლემა. სერიოზულად შეუდექით მეცნიერულ მუშაობას... ხო, მართლა, თუ რაიმე დაგჭირდათ, თემასთან დაკავშირებითაც და, ისეც, საერთოდ, ყოფა-ცხოვრების თვალსაზრისითაც, ესე იგი... თქვენ ჩვენი კოლეგა ხართ და, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ ყველანი მხარში უნდა ვედგეთ ერთმანეთს, განსაკუთრებით ძნელბედობაში“.

თავდაპირველად თინათინი საქმეს გულს ვერ უდებდა, თემასთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიული მასალის შეგროვებასაც რიგიანად ვერ აბამდა თავს. ალმასხანი კი თითქმის ყოველ სხდომაზე შესრულებული სამუშაოს ანგარიშს სთხოვდა, სთხოვდა დაჟინებით, ხან თავაზიანად და ხანაც ძალიან მკაცრად. ინსტიტუტიდან შინ მისული, ზოგჯერ, გაბრაზებით წამოიძახებდა: „რას გადამეკიდა?! რა უნდა ჩემგან?! თემა... თემა... თემა... რა დროს თემაა?! თემის თავი მაქვს?! ნუთუ ვერ ამჩნევს, რომ საამისოდ არც ღონეა, არც ხალისი. ასეთ თემებს უზრუნველყოფილი ქალიც ძლივს თუ მოერევა და მე კი, როგორ, რანაირად... არც ნუგეში, არც იმედი, არც არაფრის სიხარული... რა მამუშავებს, რა ძალა?!“.

გასულ წლებში მოულოდნელად თავს დამტყდარი უბედურების განცდამ თინათინს არა თუ ცხოვრების საზრისის, საკუთარი თავის შეგრძნების ძალაც ამოართვა. რაც მთავარია, ლევანთან დაკავშირებული უხერხულობის გრძნობა ბოჭავდა: მართალია, სამსახურეობრივ და ცხოვრებისეულ ურთიერთობებში სასაყვედურო ან დამადანაშაულებელი სიტყვით არავის მიუმართავს იმისთვის, რომ მის ქმარს, ლევან დავლიანს, ფაშისტებთან ომში, საბჭოეთის და, მაშასადამე, საქართველოს საწინააღმდეგო აქციებისთვისაც მხარი აება თვით ჯარის შიგნით, მაგრამ ხვდებოდა, რომ ბევრზე ბევრნი, სამშობლოს მოღალატედ მიიჩნევდნენ ლევანს და, სიტყვიერად გაუმხელელი შეფასებით, თინათინს მოღალატის ქვრივის კვალობაზე იბრალებდნენ. სტალინი, იგივე გორელი სოსო ჯუღაშვილი, საქართველოს მიწიდან აფრენილი არწივი, როგორც მას უმღეროდნენ სოფლად თუ ქალაქად, საბჭოეთის ბელადი და უმაღლესი მთავარსარდალი, მსოფლიოში განდიდებული თავისი ხატებით მუხტავდა ქართველობას, — უკლებლივ ყველას თუ არა, დიდ უმრავლესობას, საბჭოეთის მკვიდრის და უერთგულესი მებრძოლის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნებით ავსებდა, რამაც, ცხადია, თითქმის მთელი ქართველი ხალხისთვის ფაშისტებთან საბჭოთა კავშირის ომი სამამულო ომად გადააქცია. თინათინიც ასე აღიქვამდა ამ ომს და, რაც დრო გადიოდა, გულის სიღრმეში, სულ უფრო ამტყუნებდა ლევანს იმის გამო, რომ ფაშიზმთან თავდაუზოგავი, ლამის საყოველთაო, მსოფლიო ბრძოლის ქარცეცხლში, მეგობრებთან ერთად საქართველოს განთავისუფლებაზე, განცალკევებით საქართველოს ბედზე და მის უვნებლად თავდახსნაზე დაიწყო ბჭობა. ჰო, თუნდაც ბჭობა, თუნდაც მხოლოდ გეგმების დაწყობა, თუნდაც ფიქრი. მართალია, შინსახკომმა მათი საქმე გაბუქა, ფაშისტურ ჯგუფად მონათლა, შეიარაღებული აჯანყების ხასიათი მიაკერა და უსინდისო, უმოწყალო განაჩენი გამოუტანა, მაგრამ ბჭობა ხომ ღალატი იყო, როგორც ეს იმ სანდომიანი სახის სამხედრო პროკურორმა რეშეტნიკოვმა სინანულით და თანაგრძნობითაც განუმარტა — რწმენის ღალატი, ხალხის ნება-სურვილის და, რაც მთავარია, სამხედრო ფიცის ღალატი... მერედა, რა დროს, რა ვითარებაში და გარემოში. ომიც რომ არ ყოფილიყო, სხვა დროსაც და სხვანაირ ვითარებაშიც, მათ გარდა რომელი გიჟი დაიწყებდა საქართველოს გათავისუფლებაზე ბჭობას? ნეტავ, რა ეგონათ, რამდენი დაუკრავდა კვერს, რომ საქართველო არ არის თავისუფალი? ამას ასე რამდენი ჰგონებდა? რისგან, ვისგან უნდა გაეთავისუფლებინა საქართველო? რა ძალით და რა საშუალებით? რაო, რა უთხრა მაშინ, ვერის ხიდთან, დათიკო ფანცულაიასთან უნივერსიტეტის ბაღში შეხვედრის შემდეგ სახლისკენ რომ გამოაქანა? მთელი ქართველობა აღსდგებაო! რომელი ქართველობა? სტალინის მზეს რომ იფიცებს, კომუნიზმის აშენებლად რომ დარაზმულა და უკიდურეს გასაჭირშიც დღესა და ღამეს შრომაში ასწორებს მომავლის იმედით — ეს ქართველობა?.. დამოუკიდებლობაო... ნეტავ, რომელია ჩვენს გარშემო, ჩვენს მეზობლად დამოუკიდებელი? ყველანი ერთნაირად ერთ უღელ ქვეშ ვართ და ვწევთ ჩვენს ჭაპანს... ამერიკა, ინგლისი და სხვა კაპიტალისტური ქვეყნები თუ არიან დამოუკიდებლები, რა კარგ დღეშიც იმათი ხალხია ჩაყრილი, ეს ხომ ყველამ იცის რესპუბლიკური თუ ცენტრალური პრესიდან: მილიონობით უმუშევარი, უსახლკარო, მაწანწალა, საცოდავი... იმ უბედურთა სურათებიც რამდენჯერ დაუბეჭდავთ გაზეთებში... გერმანიაც დამოუკიდებელი იყო და აკი ააფრიალა ნაციზმის დროშა. მერედა, რა დღეში ჩაიგდო თავი? ყველას დაპყრობა მოინდომა და ყველა გადაიმტერა. ახლა კი, რაც მოუვა, ახია, ახი!.. ტირანებიო... მონობისგან თავდახსნის ჟამი დგებაო... ნეტავ ვინ, რომელი გრძნობს ჩვენში თავს მონად?,. თავისუფლებაო... რაღა დროის?!.. ეს ძველმანები, რა ხანია, წარსულს ჩაბარდა. იმ ეფემერული ოცნებებით ატაცებული ქართველობა ადრევე შეეწირა ბოლშევიკებთან ჭიდილს და ერთმანეთთან კინკლაობასაც; ღერ-ღერად შემორჩნენ მათი ნაშიერნი და, აჰა, ახლა, ესენიც... და იმათ შორის, ლევანიც... რატომ? რა აკლდა?.. გზა ხსნილი ჰქონდა, პატივს სცემდნენ, არ დევნიდნენ... ეხარა და თინათინიც გაეხარებინა, შვილი არ დაეობლებინა, რა იქნებოდა?!.. როგორ გაუმართლა ცბიერი იჭვი მის მოშურნეებს, ისედაც სულ კოჭებში რომ მისჩერებოდნენ ნიჭით და უნარით გალაღებულ შთამომავალს ხალხის მტრებისა?!. რა იქნებოდა, თავისი კაცობით ეცოცხლა საქართველოსთვის და, ამით არაკაცები არ გაეხარებინა?!.. სარჩოსაბადებელზე ზრუნვით და გარჯით ხალხს სული ეწურება და, ისინი კი — თავისუფლებაო... რაო, რაო, გენერალი მაღლაკელიძეო, ქართული ბატალიონებიო?... უშველა განა გენერალმა მაღლაკელიძემ და იმ ქართულმა ბატალიონებმა?!.. ასე წინდაუხედავად რამ ატეხა, რამ გააგიჟა ეს ადამიანები, აქამდე გონებას და წესს, ნიჭსა და უნარს რომ ვერავინ ვერაფერში დაუწუნებდა?!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა. ნამდვილად ეშმაკი შეუჩნდათ, ლევანსაც და მის მეგობრებსაც. მაშ, ასე რა დააბრმავებდა, რომ ჯარში, ომში, ორომტრიალში და ქარ-ცეცხლში, ასე უაზროდ, ასე ბავშვურად, ასე სულელურად...

ომის წლებში, სანამ ალმასხანზე გათხოვდებოდა, ქვრივად შთენილი, ასე ფიქრობდა ხოლმე თინათინი და, დროდადრო, გულის სიღრმეში, თავისთვის, უთქმელად, კიცხავდა კიდეც ლევანს, რადგან ხედავდა: მეზობლები და ნათესავები, ნაცნობები თუ უცნობები, მოხუცი თუ სულ ახალგაზრდა, ვინ მოთვლიდა რამდენი, მოხალისედ მიდიოდა ომში ფაშისტებთან საბრძოლველად, სამშობლოს დაცვის შეგნებით; და ასეთ სახალხო აზვავებაში საბჭოეთის ღალატის ბრალდებით გასამართლებული ორმოცამდე კაცის და საკუთრივ ლევანის საქმიანობაც, რა გასაკვირია, სხვების თვალში მამულის ღალატად თუ აღიქმებოდა. ლევანის პიროვნულ წყობასთან და მრწამსთან რა შეუსაბამოც უნდა ყოფილიყო ამგვარი ბრალდება და შებედულება, ეს მაინც ასე ჩანდა ხალხის თვალში და თინათინსაც, სხვა გასაჭირთან ერთად, სამშობლოს მოღალატის ქვრივის დაღი უნდა ეტარებინა, ყველაზე მეტად სწორედ ეს უკანასკნელი ბოჭავდა და ქმედების სწრაფვას, გაბედულებას აცლიდა.

ერთხელ, მის ინერტულობაზე მოსაყვედურე ალმასხანს, თინათინმა, უჩებურად თვალზე ცრემლმომდგარმა, თავისი სულიერი მდგომარეობა, მისი უმოქმედობის ეს უმთავრესი მიზეზი გაანდო, რაზეც ალმასხანმა, ხანმოკლე დუმილის შემდეგ, მტკიცედ და თითოეული სიტყვის გამოზომვით მიუგო: „მესმის, თინათინ, კარგად მესმის თქვენი... რატომ გგონიათ, რომ ვერ ვიაზრებდი თქვენს სულიერ მდგომარეობას. კიდევ ამიტომაც მოვითხოვდი და მოვითხოვ თქვენგან განსაკუთრებულ მეცადინეობას, მუყაითობას, საქმეში თავის ჩირგვას... თქვენ არფერ შუაში ხართ, თქვენ არავითარი ბრალი არ მიგიძღვით არც პარტიის და არც ქვეყნის წინაშე... დიახ... თქვენ თქვენი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება უნდა რწმენით, მედგრად გააგრძელოთ... დიახ, სამწუხაროა, რომ ლევანი დიდად შეცდა, დიახ, სამწუხაროა, მაგრამ, თქვენ, თქვენ ყველა უფლება გაქვთ მხნედ, მართლად იაროთ ქვეყნად და ილვაწოთ ქვეყნის სასარგებლოდ, უნდა დასძლიოთ ყველანაირი დაბრკოლება, უნდა მოიშოროთ სულის სიძაბუნე, მე თქვენ ასეთს გიცნობთ და ახლაც ასე გხედავთ, რომ უნდა დაძლიოთ".

ომი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა — საბჭოეთის, ამერიკის და ინგლისის შეიარაღებული ძალები გერმანელთა უკვე მორღვეულ ჯარებს უკან, საკუთარი ბუნაგისკენ მიერეკებოდნენ და სულ უფრო და უფრო შემჭიდროებული ცეცხლის სალტეში აქცევდნენ, რათა ფაშიზმისთვის იქვე, მის საზღვრებშივე მოეღოთ ბოლო. თბილისის მაცხოვრებლები ქუჩებში უკვე მხნედ, მღიმარნი დაიარებოდნენ და ერთმანეთს ახალახალ გამარჯვებებს ულოცავდნენ. დილიდან გვიან ღამემდე ბინებში, დაწესებულებებში, ქარხნებში, ფაბრიკებში, ქალაქად თუ სოფლად, რადიო-რეპროდუქტორებში გაისმოდა სიმღერები და ლექსები სტალინზე, საბჭოთა ქვეყნის სიდიადესა და უძლეველობაზე. „ლევან, რა აზრით, რისი იმედით?!" — სიმწრით აღმოხდებოდა ხოლმე თინათინს, მაგრამ მაშინვე შეეცდებოდა, ლევანზე წუხილი გულშივე ჩაეხშო და თავი რამენაირად გაემხნევებინა. წარსულზე ჯავრი და საკუთარ მომავალზე უნუგეშო ფიქრი რომ მოეცილებინა, ცდილობდა, საქვეყნო-საზოგადოებრივ საქმეში ჩაბმულიყო. თემაზე მაინც ვერ მუშაობდა და, ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებთან ერთად, სხვადასხვა რაიონებში მიემგზავრებოდნენ, საგაზაფხულო თუ საშემოდგომო შრომაში კოლმეურნეთა დასახმარებლად: ხან ლობიოს სათესად, ხან სიმინდის სატეხად, ხან ხილის საკრეფად, ხანაც კარტოფილის ამოსაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც, ალმასხანმა თავისი გაიტანა: განყოფილების წინაშე ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა თინათინი, რომ საკვალიფიკაციო თემაზე მუშაობა ლამის აიძულა. თემა თვითონვე ცალკეულ თავებად დაუნაწევრა და თითოეული თავი, ცალკე საკითხების სახით, საინსტიტუტო წლიურად შესასრულებელ სამუშაო გეგმებში ჩაურთო. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ხშირად უხდებოდათ შეხვედრა და საუბარი. ალმასხანი ზოგჯერ სიტყვას მოაყოლებდა პოლიტიკის, ისტორიის და ლიტერატურის სფეროებში განყენებულ საკითხებზე საუბარს; ხან დალლილობასაც წაიჩივლებდა, ხანაც თავისი შინაბერა დის უხასიათობასა და უცნაურობებზე გაიხუმრებდა, ხან კიდევ წაიხითხითებდა სადღაც ყურმოკრულ ანეკდოტზე, რომლის შინაარსი ზუსტად აღარც ახსოვდა და იქით თინათინს ჩაეკითხებოდა, თქვენც ხომ არ გაგიგონიათ ეს ანეკდოტიო; და თუ თინათინმა იცოდა, მოაყოლინებდა და უწინდელზე მეტად ახითხითდებოდა; და მაშინ, თინათინი, მასზე ნდობით მიპყრობილ ალმასხანის მზერაში, სიმარტოვის თანმხლებ ყრუ ნაღველს სჭვრეტდა. დღითიდღე სულ უფრო აშკარად ხედავდა, რომ ალმასხანი სულიერ სიმარტოვეს განიცდიდა — რომ მას არავინ ჰყავდა ისეთი, ვინც, უბრალოდ, ყურს დაუგდებდა, ნათქვამს მიუხვდებოდა. რომ იგი ცდილობდა თინათინის სახით ეპოვა სასურველი მოსაუბრეც და გულისხმიერი გამგებიც. ერთხელაც, თინათინმა თავის მხრივაც შესჩივლა ალმასხანს საკუთარი მდგომარეობის სირთულე, ლარბის ძნელად მოსათოკი ხასიათი და, იმავე წამს, უეცრად, გაიცნობიერა, რომ ისინი, თურმე, შეუმჩნევლად და უნებლიედ, შინაგანად დაახლოვებულიყვნენ. დანაშაულზე წასწრებულივით შეცბა. რატომღაც ლარბი გაახსენდა და, თითქოს შერცხვა კიდეცო.

ერთი პირობა, უკან დახევა და ალმასხანის მისდამი დაინტერესების სულ უფრო მზარდი ძაბვის ველიდან ფრთხილად, უხმაუროდ გაცლა გადაწყვიტა. შეყოყმანდა. უფროს კოლეგასთან შეხვედრა და საუბარი რა საძრახისიაო. თავი გაიმართლასავით. ალმასხანის სიკეთეც გაიხსენა. კარგის მეტი ჩემთვის რა გაუკეთებიაო. ადამიანურადაც თანაუგრძნო: სამსახურეობრივი თუ საზოგადოებრივი უფლებამოსილების, მოწესრიგებული ცხოვრების ნირისა და მედიდური, მკაცრად თვითდაჯერებული იერის მიუხედავად, ის ხომ ისეთი მარტოკა, შინაგანად ისეთი გულუბრყვილო და თითქოს დაუცველიც იყო. თანაც, გაცლას თუ დააპირებდა, რა იმისთანა სანავარდო გზების პატრონი იყო, კეთილისმყოფელის გულისხმიერი საუბრებისთვისაც ზურგი შეექცია. პირიქით, მადლობის მეტი რა ეთქმოდა ალმასხანისადმი. რა უწესობას, უხეშობას ან უზნეობას სჩადიოდა ასეთს, რომ გასცლოდა. რისგან გასცლოდა? ვის გასცლოდა? ანკი საით გასცლოდა? განა რა იყო თვითონ მისი საკუთარი ყოფა, თუ არა შუაგულ უდაბნოში მომწყვდეული ადამიანის უსაშველობა. ყვითელი ქვიშით მოფენილი სივრციდან ხსნას რომ ვერსაით ჭვრეტს და არ იცის, მათარაში ჩარჩენილი წყალივით, სანამ ეყოფა გაძლების ღონე და უნარი... ლარბიც დღითიდღე სულ უფრო ძნელად საპატრონო ხდებოდა, სულ უფრო ჯიქი და ონავარი, სულ უფრო ძნელად დასამორჩილებელი და სამართავი. „ბავშვს სულ უფრო და უფრო დასჭირდება კაცის ხელი, კაცის თვალი და პატრონობა — ხშირ-ხშირად ეტყოდა დედა.
— ჯერ სად ხარ, თანდათან მეტად გაგაწვალებს. მერე, რომ გაიზრდება, თავის გზას ეწევა. თავისი ჭკუით განსჯის. ყურსაც არ გათხოვებს. ახლა ასეთები ხართ შვილები. ეს წინათ იყო, მშობლების ნებას რომ დაჰყვებოდნენ საკუთარი ოჯახის შექმნამდე და, მერმეც, მშობლების რიდი და ხათრი რომ ჰქონდათ. თვალის გახამხამებასავით გაივლის დრო და, ლარბიც თავის ცხოვრებას გაიგნებს, ღმერთმა კეთილ გზაზე დააყენოს და ატაროს. თავის ოჯახს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნის. შენ? ადრე სულ სხვას გიჩიოდი, ახლა კი იმაზე მტკივა გული, შენ რომ დამირჩი ასეთ დღეში. თუმცა ეს რაა, ჩვენ დიდი დღე არ გვიწერია და, სიძნელე მერე ნახე, უპატრონო ქვრივად თუ დარჩი ბოლომდე".

დრო გადიოდა და, დედის ამგვარი ჩიჩინის და ალმასხანის თავაზიანობის ზეგავლენით იყო ეს თუ საკუთარი გასაჭირით და გულის ძახილით, თინათინს თანდათან უჩნდებოდა და იპყრობდა სურვილი, ვინმე გაფრთხილებოდა — სცოდნოდა, რომ ვიღაც ზრუნავს, ვიღაც ფიქრობს მასზე, მფარველობს, იცავს, მხარში უდგას. და როდესაც ალმასხან წეროძემ ცოლ-ქმრულ ცხოვრებაზე ჩამოუგდო სიტყვა, თინათინმა უარი ვერ შებედა. ომმა ძალიან ცოტა მამაკაცი და ძალიან ბევრი სიმარტოვე, უამრავი გულის ჭრილობა და მათი მოსაშუშებელი მცირედი მალამო დატოვა ტყვიებით, ყუმბარებით, ცეცხლით, სისხლითა და შიმშილით გავერანებულ ქვეყანაზე: თინათინს გაუჭირდა, ქვრივის სიკერპით ხელი აეკრა ალმასხანის მიერ შველად გამოწვდილი ხელისთვის. ალმასხანის ნდობამაც და იმდენი ხნის ერთგულებამაც ყველა წინააღმდეგობი ზღუდე როგორღაც თავისთავად მოურღვია.

„მე შენ გხედავ ჩემი ცხოვრების ზიარად. შენს მეტი ცოლი არც მდომებია და, ალბათ, არც მომინდება. თუ უარს მეტყვი, დავრჩები მარტოკა. შენ შვილი მაინც გყავს, მე კი... ლევან დავლიანს მე პატივს ვცემდი, როგორც ლიტერატორს, მწერალს, მეცნიერს. მართალია, შეცდა, უბედურება დაატყდა მასაც და შენც, თინათინ, მესმის მე ეს, მაგრამ, თუ შეძლებ, ყველაფერი წარსულს ჩაბარდეს, თუ მოახერხებ... ხომ ხედავ, სხვა ცხოვრება იწყება, ამდენი ჭირი და უბედურება გადაიტანა ხალხმა და ახლა მშვიდობიანი და კეთილი მომავლისკენ უნდა ვიბრუნოთ პირი. შრომისკენ და საქმისკენ უნდა მოვიხედოთ, ოჯახები მოვამძლავროთ, გავმრავლდეთ, გავიხაროთ, ცოტა მაინც გავიხაროთ.. შენთან სიახლოვეში, გული მითქვამს, ძალა ასკეცად მომემატება. ეგებ შევძლო, შენც გაგამხნევო, მხრებზე აკიდებული ცხოვრების ტვირთი ოდნავ მაინც შეგიმსუბუქო. თუ ხელს არ მკრავ, თუ პირს მიჩვენებ, შევეცდები, ზრუნვით და ყურადღებით მაინც, ლარბისაც მამის მაგივრობა გავუწიო". — უთხრა ალმასხანმა და თინათინმა მთელი სისრულით გაიაზრა, რომ მის წინ მდგარ ადამიანს — გარეგნულად გულცივს, საქმიანს, ერთთავად მოუცლელს და მკაცრს — წლების მანძილზე მისდამი უთქმელი, აქამომდის გაუმხელელი სიყვარული გამოჰქონდა; მან ისიც გაიაზრა, რომ ალმასხანს იგი სჭირდებოდა, სჭირდებოდა ცხოვრებისთვის, თანაზიარებისთვის, ერთგულებისთვის, მომავლისთვის. მადლიერებისა და ჩუმი სიხარულის სითბო გაედვარა ძარღვებში, ალმასხანს ხელზე ხელი ჩასჭიდა, მიუახლოვდა და მკერდზე შუბლი მიადო.

ამის შემდეგ ინსტიტუტის გარეთაც ხვდებოდნენ ერთმანეთს თავისუფალ დროს. თეატრებში, კონცერტებზე და კინოფილმების სანახავად ერთად დაიწყეს სიარული. ერთმანეთთან გულგახსნილებს და შეთანხმებულებს, დასამალი არავისთან აღარც რა ჰქონდათ. ალმასხანი რამდენჯერმე სტუმრადაც ეწვია შინ, ლარბის გაელაპარაკა, გაეთამაშა; საკუთარ ოჯახშიც მოიპატიჟა თინათინი, დედას და შინაბერა დას გააცნო მისი თავი. თინათინის მშობლებიც სიხარულით ცას ეწიენ, როცა გაიგეს ალმასხან წეროძესთან, საპატივცემულო სახელიან მეცნიერთან მათი ქვრივად შთენილი ქალიშვილის წესრიგიანი, ახლო მომავალში კანონიერი შეუღლებით დასაგვირგვინებელი სიახლოვის ამბავი და, თინათინთან წინასწარი მოთათბირებით, მცირე ვახშამი გაუმართეს.

ალმასხანი აჩქარებდა, დავქორწინდეთ და ერთად დავსახლდეთო. თინათინსაც აღარაფერი აბრკოლებდა ერთის გარდა, — მხოლოდ ერთი ბორკავდა: ლარბი მათ დაახლოებას და ახლობელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათესავებში, თეატრებში თუ კონცერტებზე ერთობლივ სადღესასწაულო მსვლელობებს პირქუში სარანგივით ესწრებოდა; ალმასხანმა თინათინთან სტუმრობას რომ მოუხშირა და სხვადასხვა საჩუქრებით შედიოდა ლარბის ოთახში, ბიჭი სულ უფრო ამრეზილი ხვდებოდა; ზოგჯერაც, თინათინისა და ალმასხანის საუბარში დაუკითხავად ჩაერთვებოდა. სრულიად უადგილო და უმიზეზოდ დაიწყებდა ლაპარაკს მამაზე და რაღაცნაირი გამომცდელი მზერით შეაცივდებოდა თინათინს. ხოლო ერთხელ, — ხო, ეს იყო ორმოცდახუთის დამლევის წინა დღეებში, — ლარბის სახემ და სიტყვებმა კინაღამ შეშალა:

იმ დღეს ალმასხანი ოდნავ გვიან, მოულოდნელად ესტუმრა. ლარბი უკვე თავის ოთახში დასაძინებლად ემზადებოდა. თინათინმა ალმასხანს ჩაი და ორცხობილა მიართვა; ალმასხანმა თავისი მძიმე სამუშაო დღის ამბავი უამბო, მოიბოდიშასავით, რომ მთელი დღის მანძილზე აქამდე ვერ ინახულა; იმაზეც ითათბირეს, ახალ წელს სად და როგორ შეხვედროდნენ; მცირე ხანს კიდევ იმასლაათეს; გამომშვიდობებისას კი, დერეფანში, თინათინმა მას ნაზად აკოცა ლოყაზე და ყურში ჩასჩურჩულა — ხვალ მთელი დღე ბიბლიოთეკაში ვიჯდები და, თუ ჩემი ნახვა მოგინდა, იქ მომაკითხეო.

ისინი მანამდეც, ჩაის სუფრასთანაც, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, რომ ლარბისთვის ძილი არ დაეფრთხოთ. ლარბის კი, თურმე, არ ეძინა და, სწორედ იმ დროს, როდესაც თინათინი ალმასხანს აცილებდა, ფეხშიშველა, თითისწვერებზე უჩუმრად გამოსულიყო საძილე ოთახიდან და სასადილო ოთახის კარის ღრიჭოდან მათთვის თვალი გაედევნებინა. ალმასხანი რომ გაისტუმრა, თინათინი ლარბისთან შევიდა. ლარბი უკვე ლოგინში იწვა, კედლისკენ შებრუნებული, გასუსული. თინათინი კარგ გუნებაზე იყო, დააპირა მძინარეს მიფერებოდა; სასთუმალთან ფრთხილად მიუჯდა და ის იყო, უნდა ეკოცნა, რომ ლარბი სწრაფად შემოტრიალდა. „შენ რა, არ გძინავს, შვილიკო?“ — ალერსით ჩახედა თვალებში თინათინმა, დააპირა თავზე ხელი გადაესვა და გასაუბრებოდა ახალი წლის დღეებზე — როგორ გაეტარებინათ, სად წასულიყვნენ. ლარბი კი ჯიქურ წამოიწია, სახეარეულმა ახედა და ცრემლისგან დაგუდული ხმით — ყვედრებით, ბრაზით და თან ვედრებით ამოილუღლუღა:

— ის გიყვარს შენ?

ბედნიერი ღიმილი სახეზე ისე შეაცივდა თინათინს, თითქოს ყინულივით წყალი გადაასხესო. ალმასხანის გახშირებულ მისვლა-მოსვლასთან, მის დაახლოება-გაშინაურებასთან დაკავშირებით დაეჭვებულ და ბრაზიან შეკითხვას თინათინი, კი, მოელოდა ლარბისგან; აქამდეც აპირებდა, თავის ყაჩაღუნასთან ესაუბრა ალმასხანზე, მათი და ალმასხანის ერთ ოჯახად შეკავშირებული ცხოვრების შესაძლებლობაზე, მაგრამ სულ სახვალიოდ სდებდა მასთან ასეთ საუბარს. თითქოს ერიდებოდა კიდეც უმამოდ შთენილი, მასზე მიჯაჭვული ლარბის რაღაცნაირი უზომოდ გაფაციცებული სიყვარულისა. ახლა კი ლარბის ასეთმა მოულოდნელმა, გამწარებულმა და პირდაპირმა შემოტევამ გააშეშა. დაბნეულობისგან კარგა ხანს გონს ვერ მოეგო. როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა და შეეცადა, დაეყვავებინა, ალერსით მოელბო და თავისი სათქმელი შეეგონებინა:

— შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, უკვე დიდი ბიჭი ხარ. იცი, რომ სიკეთის მეტი შენთვის არაფერი მინდა. შენს მეტი ვინ მყავს. ხო, გესმის, ბევრი რამ გესმის უკვე, მაგრამ, ბევრიც ჯერ არ იცი, ჩემო ყოჩაღო და ჩემო ყაჩაღუნა... იცი, რა, მე მინდა რომ იცოდე, რომ ალმასხანს შენ ძალიან უყვარხარ, ძალიან მოსწონხარ. მას შვილი არ ჰყავს, მარტოკაა, ხოდა, თუ შენც სიკეთით, სიყვარულით მოექცევი, სხვა არაფერი უნდა, მამასავით მოგეპყრობა, — მკერდში ჩაიხუტა ლარბი და ფიქრში წასულივით განაგრძო: — ცხოვრებაში ბევ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რი რამაა ისეთი, რაც თავისთავად ხდება, რაც ბუნებრივია, აუცილებელია, საჭიროა და გარდაუვალივითაა. მართალი გითხრა, ბოლომდე მეც არ მესმის კარგად, რატომ არის აუცილებელი ყველაფერი ის, რაც ცხოვრებაში ხდება, რატომ ხდება, რატომ არის საჭირო. კაცი და ქალი ერთმანეთისთვის, ერთად ყოფნისთვის არიან გაჩენილნი. ხომ ხედავ, ირგვლივ ასე ცხოვრობენ, ოჯახებად. წესია, კანონია ასეთი. ვერსად წაუხვალ. სხვაგვარად ძნელია, ძალიან ძნელია, სხვაგვარად გაუგებრობაა, სირთულეა... მე მესმის შენი, ყველაფერი მესმის უთქმელადაც, ხოდა, შენც უნდა გამიგო.

თინათინმა უცებ შეწყვიტა ლაპარაკი, რადგან მიხვდა, რომ, თანდათან, ლარბიზე მეტად, საკუთარ თავთან ამამდა საუბარს. მცირე ხნით დადუმდა და ხუმრობით, ფრთხილად ჩაეკითხა:

— რაო, განა ალმასხანი არ მოგწონს?

— ყოყლოჩინაა! ისეთი, როგორც ჩვენი ბუტია დუდუ, ეზოში საჭმელით პირგამოტენილი რომ ჩამოდის და ფეხბურთსაც გაბეყილი თამაშობს. თანაც, გაქონილივით სიფათი აქვს...

— ლარბი, რა სიტყვებით, რანაირად ლაპარაკობ!

— იმიტომ ვლაპარაკობ ასე, რომ არ მიყვარს გაქონილივით სიფათები, გაბუშტულცხვირიანები....

— ლარბი! ახლავე გაჩუმდი!

— არ გავჩუმდები, არა! იმ სიფათგაქონილ და ცხვირგაბუშტულ ბატონ თათარხანს...

— თათარხანს კი არა, ალმასხანს! ალმასხანს, გესმის?!

— სულ ერთია, ალმასხანია თუ თათარხანი, იმ...

თინათინმა მოქნეული ხელი ჰაერში ველარ შეაჩერა. ლარბის ლოყამ ხელისგული აუწვა. სასოწარკვეთისა და შეშფოთებისგან ენა ჩაუვარდა. ლარბი კი, თვალებგაფართოებული და კრიჭაშეკრული, განზე გადახრილი და თვალებრილი გაქვავებულიყო იმავ მდგომარეობაში, როგორშიც, წამს უკან, მოქნეული სილის აცდენას ინსტიქტურად შეეცადა. თინათინმა ასე შმაგად განზე კისერაწვდილი რომ დაინახა, ეს რა მომივიდაო, სახეზე ხელები აიფარა და ლარბის გვერდით ბალიშში ჩაემხო. ერთი მხრივ, ლარბის სიბრალულმა, ასე გამეტებით რომ გააწნა სილა და, მეორე მხრივ, საკუთარი ხვედრის სიმწარემ, მოთქმით აატირა, აზლუქუნა. რა ექნა, ამხელა სახლში, თავის ბიჭთან, უპატრონოდ დარჩენილს, მანუგეშებელი და წამხიდებელი რომ არავინ ჰყავდა, სულ არავინ, სიტყვა რომ დაეწია, დახმარებოდა, შეეკავებინა; რანაირად ეცოცხლა, რანაირად გაეძლო... საით ექნა თავი, რა გზას სწეოდა...

მცირე ხნის შემდეგ, მხარზე ლარბის ფრთხილი ხელის შეხება იგრძნო და ცრემლისგან ჩახრინწული ლუღლუღი ჩაესმა:

— მე ასე არ მინდოდა... ნუ სტირი... როგორც შენთვის უკეთესი იქნება, დე... მე... არაფერი... მეტს აღარაფერს... გესმის... დედიკო... როგორც შენ გინდა... მე ტყვილა ვთქვი... გესმის.

ამის გახსენებაზე თინათინს ისე მოეწვა გული, თითქოს მაშინ ლარბი გაიმეტაო. თუმცა, რაღა თითქოს?.. ჩაფიქრდა. სულში ჩაიბრუნა მზერა... ცხადია, გაიმეტა. ჰო, სიმარტოვეს ველარ გაუძლო, გაურკვეველი მომავლის წინაშე დაფრთხა; ალმასხანის სიყვარულმა, ერთგულებამ, წესიერებამ გადასძალა... ლარბიზეც ზრუნავდა, მისთვის უმჯობესსაც ჰგონებდა, ალმასხანის მფარველობით მის სამომავლო ცხოვრების გზას უფრო დაცულად და უზრუნველყოფილად ჰვრეტდა, მაგრამ, მაინც... ჰო, გაიმეტა... მაინც ასე გამოვიდა, რომ გაიმეტა, გაიფიქრა და, მაშინვე, ეს მტკივნეული შეგრძნება, მის ცნობიერებაში, უზარმაზარი სურათივით გამოიკვეთა, რომელზეც ლარბი ცხოვრებისგან გამეტებული და, იმავ დროს, მის გამმეტებელ ცხოვრებასთან გაჯიქებული მოქიშპეს სახით აღბეჭდილიყო. ყრუდ ამოიგმინასავით, ფანჯრიდან აქა-იქ ქათქათა ღრუბლებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოფენილ ცას ახედა. ურთხის გარეტიანებული მისჩერებოდა კრიალა სილურჯეს, რომელიც თითქოს მზად იყო, ყველანაირი ადამიანური მწუხარება თავის უძირო და უკიდეგანო სივრცეში გაეღვარა, გაეარვისებინა.

— იცი, რა გავიფიქრე? — ალმასხანი, უკვე საგარეოდ გამოწყობილი, ისე შევიდა სამზარეულოში, რომ თინათინმა ვერც იგრძნო.

— უი, ალმასხან, სულ გადამავიწყდა... ახლავე შეგიწვავ ერბო-კვერცხს. — თინათინი სწრაფად წამოდგა, ანთებულ გაზქურაზე პატარა ტაფა დადო, ორი კვერცხი დაახალა.

— გავიფიქრე, ლარბის, მაინცადამაინც უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლა რომ არ მოენდომებინა, ან იქ პარტკომად რობერტ ჭინჭიკაძე არ დახვედროდა... შენც ხომ იცი, ის ობერი საგანგებოდ რომ ჩააცივდა... ხოდა, რომელიმე სხვა უმაღლეს სასწავლებელში რომ შეეტანა საბუთები და ჩარიცხულიყო, მაშინ, ეგებ...

თინათინმა ერბო-კვერცხი თეფშზე გადაუღო, ჩაიც დაუსხა და ალმასხანის პირდაპირ დაჯდა. ალმასხანს სახეზე გაღიზიანებულის იერი დაჰკრავდა, უხალისოდ ღეჭავდა ლუკმას.

— ხო, იმ ამბავმა ძალიან გაუტეხა გული, არკი შეიმჩნია, მაგრამ, ასე იყო ეს.

თინათინს გულზე მალამოსავით მოეცხო ალმასხანის გულწრფელი სინანული, უნივერსიტეტში ლარბის ჩარიცხვაზე ზრუნვით იმანაც რომ ვერაფერი გააწყო, კი, რაც შეეძლო, გაისარჯა, ყველა საგანში თითქმის ყველა გამომცდელი ალმასხანის და თინათინის კეთილი ნაცნობი და მეგობარი იყო, თითოეული ინახულა, ლარბის თავი და მომზადება უქო, დახმარება სთხოვა და კარგ ნიშნებზეც დაიპირა, მაგრამ, აბა, რა იცოდა რობერტ ჭინჭიკაძის ამბავი, თანაც, რობერტ ჭინჭიკაძეს უშუალოდ არც ევალებოდა და არც ეკითხებოდა აბიტურიენტების გამოცდა. ლარბის ჩასაჭრელად მის დაინტერესებულ ძალისხმევას ვინ საიდან მოელოდა?! თინათინმა ისიც იგრძნო, რომ ალმასხანი, მის მსგავსად, ლარბის თავს დამტყდარი უბედურების თუ არა, მისი სახლიდან გადაკარგვის გამო საკუთარ თავშიც ეძებდა დანაშაულს და — შეებრალა იგი:

— ეგებ, მართალიც ხარ, ალმასხან, მაგრამ...

— იმ წელს სწავლას რომ შედგომოდა; საქმეში რომ ჩამდგარიყო...

— ხო, მართალია, მაგრამ, ბოლო ხანს ასე ვხედავ, შემთხვევა კი არაა გადამწყვეტი კაცის ცხოვრებაში, ბედია გადამწყვეტი. წინათ ასე არ ვფიქრობდი, მაგრამ, ახლა, ასე მგონია, გადამწყვეტი შემთხვევითობაც ბედს მოაქვს. ბედია, თურმე, რამდენი წასულა და გადახვეწილა, ხომ გადარჩენილა და დაბრუნებულა... დედაჩემი რომ იტყოდა, სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო, ალბათ, მართლა ასეა.

— ხომ იცი, თინათინ, ასეთებისა არ მჯერა, მაგრამ... ხო, მე ასე გავიფიქრე, როცა ვიცვამდი, რატომღაც ასე გავიფიქრე, მაშინ, სხვაგან რომ ჩაებარებინა...

— რა იცი, სხვაგანაც რობერტ ჭინჭიკაძისნაირი არ დახვედროდა. მისნაირებით მოფენილია ქვეყანა და, იმ დროს, სხვაგანაც ვერაფერი რომ ვერ გაგვეხერხებინა, სხვაგანაც ასე საგანგებოდ რომ ჩაეჭრათ...

— ბოლოს და ბოლოს, იმ დალოცვილს, ორი-სამი წელი თუნდაც სულ უსაქმოდ ეყიალა აქ, თბილისში, ასე თავქუდმოგლეჯილივით არ გავარდნილიყო, ეთქვა რამე, მოგვეთათბირა... სულ რაღაც ორი-სამი წელი და, ახლა, ოთხმოცდათექვსმეტიდან რომ დრო დადგა, ძალით ჩაჭრიდნენ კი არა, ალბათ, იქით აუწევდნენ ნიშანს.

— ესა თქვი, ხო, ორი-სამი წელი რომ დაეცადა, მაგრამ, ალმასხან, ვინ რა იცოდა, ის სისხლისმსმელი თუ ეგრე უეცრად ჩამოლდებოდა და, ერთი წლის თავზე, მეორესაც, სათვალიანსაც, იმ ღვთის რისხვასაც თუ მიაყოლებდნენ თან... ვინ იფიქრებდა, ვინ, ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია. ამნაირი პოლიტიკური ცვლილებები დაიწყებოდა საბჭოთა კავშირში? ცხადია, ამჯერად რობერტ ჭინჭიკაძეც და ყველა მისნაირი თახსირი დაუტკბებოდა, ფიანდაზად გაეფინებოდა. აკი მივწერე ორმოცდათექვსმეტშივე, რომ აუცილებლად ჩამოსულიყო და იმაზეც მივანიშნე, მამამისის საქმე რომ იყო მისახედი...

— ეგებ, აჯობებდა, ყველაფერი დაწვრილებით განგემარტა.

— წერილში? რომელი ერთი მიმეწერა? მამამისის ამბავიც, ბაბუამისისაც, ისიც განმემარტა, იმ შიშის ზარში, რატომ არაფერი გამიმხელია და, თუ ვეუბნებოდი მათზე რასმეს, მხოლოდ ტყუილს... ტყუილს... ღმერთო, რა საშინელებაა! ღმერთო, ეს როგორ, რანაირად... რას სჩადის და რას უძლებს ადამიანი... ეს რა ცოდვის გზებით გვატარეს...

— კარგი, თინიკო, კარგი, დამშვიდდი.

— ხო, ხო, გამიჭირდა, ალმასხან, ძალიან გამიჭირდა წერილში ყოველივე ერთბაშად მიმეწერა, ცალ-ცალკე კი ვერ გამომივიდა, გამიჭირდა...

წამით, ორთავე ჩაფიქრდა.

ათას ცხრაას ორმოცდათექვსმეტში, როდესაც ოცდაჩვიდმეტ წელს რეპრესირებულთა რეაბილიტაციის საკავშირო პროცესი დაიწყო და თინათინმა, მისდა გასაოცრად, შეიტყო, რომ შესაძლებელი გახდებოდა თვით ორმოცდაორში, თვით ფაშისტური ორგანიზაციის და საბჭოთა კავშირის ღალატის ბრალდებით მსჯავრდადებული ლევან დავლიანის და მისი მეგობრების რეაბილიტაციაც, მაშინვე გაუგზავნა წერილი ლარბის და სთხოვა, სასწრაფოდ ჩამოსულიყო, უმთავრესად სწორედ ამიტომ სთხოვა სასწრაფოდ ჩამოსვლა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მამამისის ნამდვილი ამბავი დაწვრილებით ეამბნა და ლარბის თვითონ ალეძრა და კიდეც განეხორციელებინა საკუთარი მამის რეაბილიტაციის საკითხი. აქამდე ხომ მასთან არც წასცდენია ლევანის რეპრესირების ამბავი. წლების მანძილზე საგანგებოდ იცავდა ლარბის ცნობიერებას, რომ, მამის რეპრესირების შეტყობით, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მძულვარება არ გასჩენოდა, უადგილო ადგილას რაიმე ანტისაბჭოური არ წამოეყრანტალა და უბედურებას არ გადაჰყროდა. ამიტომაც მოატყუა ჯერ კიდევ ომის წლებში, მამაშენი გერმანელებთან ბრძოლაში დაიღუპა და, მას მერე, ყველანაირად გაურბოდა ლევანის ხსენებასაც. ამჯერად კი, ქვეყნად სულ სხვაგვარი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ტაროსი როცა დაიჭირა, უკვე შეიძლებოდა, მეტიც, უკვე საჭირო იყო, ლარბისთვის ეამბნა არა მარტო მამამისის, არამედ მისი ბაბუის, დიდი ლევანის და, საერთოდ, მისი საგვარეულოს ნამდვილი ამბავი; მერე, ლარბისთან ერთად სხვენიდან ჩამოეტანა ლევანის დაპატიმრების დღეებში იქ გადამალული ძველი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და ხელნაწერები. ჰო, დროც და საჭიროებაც დგებოდა, დავლიანთა ოჯახის მემკვიდრე თავისი საკუთარი წარსულის პატრონად და გამგრძელებლად მომართულიყო. ახლა აღარ იყო დავლიანთა წარსულის გამო შიში; დროს ისეთი პირი უჩანდა, დღეს თუ არა ხვალ, ოციან წლებში რეპრესირებულთა რეაბილიტაციაც გახდებოდა შესაძლებელი და, აჰა, ეხარა ქალბატონი ელისაბედის სულს და მისი სათაყვანებელი მეუღლის, დიდი ლევანის პიროვნებაც და ღვაწლიც მთელი სისრულით წარმოჩენილიყო ქართველობის წინაშე. სხვა დრო, რაღაც სულ სხვა ჟამი ახლოვდებოდა, ამას უკვე უცხადესად გრძნობდა თინათინი და, გრძნობდა იმასაც, რომ იმ სხვა ჟამს, მომავალში დასამკვიდრებელს, ლარბი და ლარბისნაირები დასჭირდებოდა, რათა მართალი ჯიში და სული კვლავაც აღორძინებულიყო — რათა, როგორც ქალბატონი ელისაბედი იტყოდა, დავლიანთა დაუდგრომელ სისხლს ქვეყნისთვის ემძლავრა და ეხარა. ასეთ ჟამს, ლარბის თვითონ უნდა გაეცოცხლებინა საკუთარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსული, თვითონ უნდა ამოქმედებულიყო აქ, საკუთარ საუფლოში, აქვე თვითონ უნდა გამოეკვეთა და განემტკიცებინა თავისი მეობა, თავის მიწა-წყალზე უნდა ჩაბმულიყო ცხოვრების ფერხულში და საკუთარ წინაპართა ნაფუძვარზე ცხოვრება, საკუთარი წინაპრების მრწამსი და სულისწრაფვა გაეგრძელებინა.

პო, ლარბის გარეშე უპირდა და, თანაც, ეუხერხულებოდა ლევან დავლიანის რეაბილიტაციის საქმეს თავში ჩადგომოდა, საკუთარი სახელით დაეწერა თხოვნა პროკურატურაში და მთავრობაში, თვითონ ერბინა ზემდგომ ინსტანციებში. უნებურად დაიწყებოდა ნაცნობ-მეგობრებში და ნათესავებში მითქმა-მოთქმა, ლევანზე მოგონებები, საქმის ვითარების კითხვა-გამოკითხვა... გაუჭირდა, რადგან ლევანი, სტალინური რეპრესიების ბოროტებათა მხილების და გმობის შუქზე, თინათინის არსებაში მტკივნეულად ცოცხლდებოდა და, ამასთანავე, თითქოს საყვედურობდა კიდეც. და განა მარტო ლევანი: დიდი ლევანიც და თვით თინათინის საკუთარი წინაპრებიც — ბებიებიც და ბაბუებიც, მათი დებიც და ძმებიც, ოციან წლებში ნაწამები და დახოცილი ნათესავები და მოყვრები, თითქოს ცოცხლდებოდნენ მის არსებაში და საყვედურობდნენ; არა, კი არ საყვედურობდნენ, თინათინს თითქოს თვითონ ერცხვინებოდა, ეუხერხულებოდა, რომ აქამდე, სახელმწიფო დონეზე აღძრული რეაბილიტაციის პროცესამდე, განდგომოდა მათ ხსოვნას, ცნობიერებიდან ძალით რომ იშორებდა მათ სახეებს და სახელებს და, რაც მთავარია, სკოლის მერხიდან კომუნისტური მსოფლმხედველობით აღზრდილს, ლამის სისხლ-ხორცში გამჯდარი ლენინურ-სტალინური შეფასებებით ამტყუნებდა თითოეულის დაპირისპირებას საბჭოთა სინამდვილესთან, — რომ ცდილობდა, ფიქრიდაც არ გაევლო ისეთი ვარაუდი, თითქოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ უსაფუძვლოდ და სიავით იყვნენ მსჯავრდადებულნი. პო, სკოლის მერხიდან შესისხლხორცებული პიონერულ-კომკავშირული შეფასებებით ის არა მარტო განსჯიდა საბჭოურ სინამდვილეში მათ განსხვავებულ, გაუცხოებულ სიცოცხლეს, არამედ, საბჭოთა ხელისუფლებისგან შერისხულთა და განწირულთ, განუდგა კიდეც — განუდგა ცხოვრების კარნახის და მოთხოვნების შესაბამისად, განუდგა თითქოსდა კრემლიდან მოდენილი უსიტყვო ბრძანებით და, რაც მთავარია, შიშით, შიშით, რომელიც, როგორც სტალინის და ბერიას სიკვდილის შემდეგ გაიაზრა, გაუცნობიერებლად აპირობებდა მის სრულ თანხმობას საბჭოური ლოზუნგებისადმი, მის მხნეობას საბჭოურ სინამდვილეში და სტალინის ბრწყინვალებით მის აღტაცებასაც.

რაოდენ ძნელიც არ იყო, მან ყოველივე ეს პირუთვნელად გაუმხილა საკუთარ თავს სწორედ ლევანთან დაკავშირებით, როდესაც, სხვა რეპრესირებულებთან ერთად, მისი გამართლებაც შესაძლებელი აღმოჩნდა. სიმართლე ლევანის მხარეს რჩებოდა. მას თითქოს ხელახლა უნდა დაეწყო სიცოცხლე. რეაბილიტაციის შემდეგ უსათუოდ აღიძვრებოდა საკითხი მისი ნაწერების წიგნად გამოქვეყნებისა, შესწავლისა, მასზე წერილების წერისა და ბიოგრაფიული მასალების დადგენისა.

ლევანის ასეთი გაცოცხლება ქალბატონი ელისაბედის ხსოვნასაც უცხოველებდა; თუმცა, მასზე ფიქრს, თინათინი, კვლავაც ჯიუტად და, მისი შეგნებით, სრული უფლებით იშორებდა თავიდან. ქალბატონი ელისაბედი კი თავისას არ იშლიდა, თავისას თხოულობდა და, ერთხელ, სიზმარშიც გამოეცხადა, მისთვის ჩვეული გოროზი იერით, ქმარზე და შვილებზე მარადისი გლოვის აღმნიშვნელ თალხით მოსილი; გამოეცხადა და, უსიტყვოდ, სულ რაღაც ერთი გამოხედვით გაჰკიცხა — რატომ, რატომ განუდექი ჩემი შვილის ქვრივობასო, ვით ვერ გაიაზრე მისი სიმართლე და სიმაღლე, მისი ღირსება და ქედუხრელობა, მისი სულის ძალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავგანწირვის ვაჟკაცობაო; ეს რა ჰქენ, რანაირად უარყავ დავლიანთა ქვრივის თალხები; ახლა ხომ ხვდები, რომ ლევანი სულით მაღალი და გულით ნათელი იყო; ჯერ სად ხარ, ჩვენი სიმართლე, რაც დრო გავა, კიდევ უფრო გამობრწყინდება და უფრო თვალნათლივ წარმოაჩენს ჩვენს მწამებელთა სიბნელეს და ბოროტებასო...

ასეთმა ფიქრებმაც და ხილვებმაც აღუძრეს უხერხულობის შეგრძნება. თვითონ მოეკიდა ხელი ლევან დავლიანის რეაბილიტაციის საქმისათვის. მას შემდეგ, რაც ალმასხანზე გათხოვდა და მის გვარზე დაეწერა, თინათინზე ხომ აღარც ფორმალურად და, რაც მთავარია, აღარც ზნეობრივად, აღარ ითქმებოდა ლევან დავლიანის ქვრივობა, პოდა, ზოგ-ზოგი უთუოდ წაიჭორავებდა, დამნაშავედ შერაცხულს ზურგი შეაქცია და გამართლებულს კი იჩემებსო. რომც არ დაეწყოთ ასეთი ავყიაობა, თვითონ თინათინი ხომ იაზრებდა და გრძნობდა ამ უხერხულობას, მით უმეტეს, უხერხული ეჩვენებოდა ქვრივყოფილის სახით თავისი პირადი ძალისხმევის გამოვლენა ლევან დავლიანის რეაბილიტაციის პროცესში. ასეთ დროს, როდესაც, სტალინის სიკვდილის შემდეგ, რეპრესირებულთა ქვრივობა და შთამომავლობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლამის პრესტიჟული მდგომარეობის მოპოვების საშუალებად იქცა. ბევრს, ძალიან ბევრს უკვე დაეწყო კიდეც თავისი მიცვალებულებით, ტრაგიკულად დაღუპული ადამიანებით — ოცდაჩვიდმეტში რეპრესირებული ქმრებით, მამებით, დედებით და თვით ახლო ნათესავებითაც სპეკულაციები; ზოგ-ზოგიც, ამ გზით, არა მარტო საზოგადოებაში ხმამაღალი სიტყვის თქმის უფლებას, არამედ თანამდებობების მოპოვებასაც ცდილობდა. არა, თინათინი ამაზე ვერ წავიდოდა ლევანის ქვრივადაც რომ დარჩენილიყო, განსაკუთრებით კი ასეთ ვითარებაში, როდესაც ლევან დავლიანის ქვრივობა მასზე, წესით, აღარ ითქმებოდა — გაცლა გადაწყვიტა. არა, საზოგადოებრივი სპეკულაციებისკენ მიდრეკილება ნამდვილად არ ახასიათებდა. ზოგიერთი რეპრესირებულის ქვრივის, შთამომავლის, ძმისა თუ ახლო ნათესავის უზომო ვიშ-ვიში და წარსულში მათ ოჯახს თავს დამტყდარი უბედურებით შეუფარავი ყოყლოჩინობა აღიაზიანებდა კიდეც, ნიშანდობლივად ესახებოდა, რომ ასე იქცეოდნენ ახლობლები იმ რეპრესირებულებისა, რომლებიც ეროვნული მრწამსის დაცვის ან კიდევ კომუნისტურ მსოფლმხედველობასთან დაპირისპირების კი არა, შიდაპარტიული კინკლაობის და უფლებრივ-თანამდებობრივი ქიშპის მიზეზით იყვნენ განწირულნი სტალინის მიერ — იმ რეპრესირებულებისა, ადრე თვითონ რომ აწიოკებდნენ უდანაშაულო ხალხს, გაფთრებით იბრძოდნენ საქართველოს ძირფესვიანი გასაბჭოებისთვის, სდევნიდნენ და ხოცავდნენ არა მარტო ბოლშევიზმის საწინააღმდეგოდ ამხედრებულთ, არამედ, უბრალოდ, განსხვავებულად მოაზროვნე და თვით გარეგნობითაც დასაეჭვებელ პირებსაც. ოცდაჩვიდმეტში სტალინმა ხომ მისი ძველი თანამებრძოლებიც და, შეიძლება ითქვას, მთელი ის ნამსახურევი ბოლშევიკები, ცხრაასიანი წლებიდან გამობრძმედილი რევოლუციონერების ელიტაც გაანადგურა, ზოგი დახვრიტა და ზოგიც ციმბირს იქით გადაასახლა, — არ დაინდო თვით ისინიც, რუსეთის წითელ ჯარებს საქართველოსკენ რომ მოუძღოდნენ და საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში, ქალაქად თუ სოფლად, აბობოქრებულ ქართველობას ახოცინებდნენ.

ათეული წლების მანძილზე, რეპრესირებულთაგან ყველას — ცოდვილსაც და უცოდველსაც, მართალსაც და მტყუანსაც, კეთილსაც და ბოროტსაც, თითქმის ერთი და იგივე ბრალდებით ასამართლებდნენ და, რაც მთავარია, ერთსა და იმავე ჯოჯოხეთის ორმოში ყრიდნენ. ახლა კი, პარტიის მეოცე ყრილობის შემდეგ, ყველას ასევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთნაირად ამართლებდნენ და, სტალინის ბოროტებასთან შეპირისპირებით, ყველას ერთნაირად უცოდველად სახავდნენ. და მაინც, დაუწერელი კანონიეთ, სახელმწიფო მმართველობას ოცდაჩვიდმეტში რეპრესირებული პარტიული ელიტის ჭირისუფლები განსაკუთრებულ პატივში ჰყავდა და, ეს უკანასკნელიც, განსაკუთრებულად აქტიურობდნენ — განსაკუთრებულ აფიშირებას ახდენდნენ განვლილი ბედკრული ყოფისა და ყველაზე ხმამაღლა გმობდნენ სისხლიან რეპრესიებს საბჭოთა სინამდვილეში, ისე, თითქოს ყურმოკვრითაც არ გაეგოთ, რომ მათი წინაპრები, ადრე, ოცდაჩვიდმეტ წლამდე, ოცდაჩვიდმეტზე უსაზიზღრესი, პერმანენტული სახალხო რეპრესიების აღმძვრელნიც და აქტიური მონაწილენიც იყვნენ. ღირსეული სიდარბაისლით თავი ეჭირათ, ისევ და ისევ, სხვადასხვა წლებში რეპრესირებული მართალი ხალხის შერჩენილი ოჯახის წევრებს, რომლებსაც რეაბილიტაცია უხაროდათ არა პირადი გამორჩენა-სარგებლიანობისთვის, არამედ იმიტომ, რომ იგი უღვთოდ გაწირულ წინაპართა სახელის და ნამრომ-ნაღვაწის უშიშრად და საქვეყნოდ ხსენების უფლებას ანიჭებდა. მათ გარეგნობასა და ქცევაში მხოლოდ ის შეიცვალა, რომ საქვეყნო ჭირთა ჯერაც ურყევი არსის მცნობმა ირონიამ და, თან, ნაღველმაც იძალა. თინათინსაც, ლევანის და მრავალი სხვა რეპრესირებულის, ნათესავის თუ ნაცნობის, რეაბილიტაციასთან დაკავშირებული სიხარულის მიუხედავად, უსამართლოდ და მკრეხელობადაც მიაჩნდა, რომ ლევანსაც და ვინმე პირსისხლიან ბოლშევიკსაც, ერთი ნიხრით, ერთნაირი შეფასებით ამართლებდნენ — საქართველოს იდეით მოსულდგმულესაც და ეროვნული სულის გამაცამტვერებლებსაც. იმას თითქოს კი იაზრებდა, რა მიზნით მოახდინა ხრუშჩოვმა და საბჭოეთის ახალმა ხელმძღვანელობამ სტალინის მიერ განწირული კომუნისტების, ერთგული ლენინელების რეაბილიტაცია. მაგრამ — რა ზრახვით დაუქვემდებარა გამართლებას თვით საბჭოთა ხელისუფლების შეფარვით და აშკარადაც უარმყოფელნი, ამას ვერა და ვერ ხვდებოდა. იყო განა ჩადებული ხელისუფლების ასეთ სვლაში რაიმე განზრახვა, მიზანი, საზრისი? ერთხელ, დაძინების წინ, უკვე დასაწოლად რომ ემზადებოდნენ, ჩურჩულით შეეკითხა ალმასხანს — ვერ გამიგია, ეს რა ხდება ან რატომ ხდებაო. რაზეც ალმასხანმა ჩურჩულითვე მიუგო: „თინიკო, მე თუ ცოცხალი გადავურჩი იმ წლებს, კიდევ იმიტომაც, ამისთანებზე ფიქრიც რომ ავუკრძალე ჩემს თავს და ჩემი საქმის საზრუნავით შემოვიფარგლე. ჩემი პატიოსანი შრომით გავდიოდი და გავდივარ ფონს. მომავალშიც ასე ვამჯობინებ ცხოვრებას. მე ეს იმ უბედურების ნახვამ მასწავლა, რაც შენც გინახავს და გიწვნია კიდეც. გევედრები, ამისთანებს ნუღარ ჩამეკითხები. შენ რა, გგონია, რეაბილიტაციამ საბჭოთა სისტემა შეცვალა? არ შეცდე, თინიკო, ეს იგივე საბჭოთა წყობილებაა და, თუ არ გინდა, დავიდარაბას გადაეყარო და მეც გამრიო უბედურებაში, მაგისთანებზე ნუ მაფიქრებ და შენც ნუ იფიქრებ, გირჩევ". თინათინი ამაზე მაინც ფიქრობდა ხოლმე; მაგრამ იმ კითხვებზე პასუხს ვერა და ვერ მიაგნო, ოღონდ, როცა მთლიანობაში მოიხილა გასული წლები, ერთი ცხადზე უცხადესი გახდა მისთვის: როგორც ბოროტებაში, ასევე სიკეთეში, საბჭოთა ხელისუფლება, სულ თავიდანვე, არა მარტო ცოცხლებისადმი, არამედ მიცვალებულებისადმიც, ხან სრულ განურჩევლობას და, ხანაც, თვითნებურ და მიკერძოებულ გამორჩევას ავლენდა და, ამდენად, მისი სიკეთეც, სრულიად აღრეული, გაუგებარი და, მაშასადამე, არსშივე მრუდი რჩებოდა. „როგორ, ბაბუაჩემი, რომელსაც, როგორც დედამ მითხრა, იმისთვის ამოხადეს წამებით სული, რომ მღვდელი იყო და ეკლესიის წაბილწვისთვის კიცხავდა კომკავშირლებს და ის, ვინც იგი აწამა და ეკლესიაზე ხელი აღმართა, ერთნაირად მართალია. ერთ-

ნაირად ულოდველად უნდა შეფასდეს ახლა? როგორ, ლევანიც, რომელიც გერმანიის და საბჭოთა კავშირის ჯაზში საქართველოს გათავისუფლებას ჰგონებდა და სილიბისტრო ისაშვილიც, ოცდაერთში რომ საქართველოს დასაპყრობად მოუძლოდა რუსეთის წითელ არმიას და ოცდაჩვიდმეტში იმ გარეწარი ტროცკის მიმდევრობის ბრალდებით რომ დახვრიტეს — ორივე ერთნაირად მართალია ღვთის და ხალხის წინაშე, ორივე ერთი ნიხრით, თანაბარი უფლებით უნდა იქნას რეაბილიტირებული?“.

მრავალზე მრავალი ფიქრი და განცდა ბოჭავდა თინათინს, ლარბის ჩამოსვლამდე თვითონ მოეკიდა ხელი ლევან დავლიანის გამართლების საქმისთვის. სწორედ ამიტომ მოიხმო ლარბი. ის კი არ ჩამოვიდა. კი, უპასუხა, ჩამოვალო, მაგრამ არ ჩამოვიდა. სულ სამერმისოდ სდებდა ჩამოსვლას. რატომ? ასეთი რა აბრკოლებდა? ხან რას და ხანაც რას არ იმიზეზებდა საპასუხო წერილებში. რომ ჩამოსულიყო თბილისში და დარჩენილიყო თავის სახლში, უთუოდ, სხვაგვარად წარიმართებოდა ყოველივე; უთუოდ ცოცხალი იქნებოდა; თინათინიც ბედნიერად მიიჩნევდა თავს და აღარ დასტანჯავდა გულის ეს უჩუმრად მღრღნელი დანაშაულის გრძნობა; ალმასხანიც ასე ნირწამხდარი არ იჯდებოდა ამ სამზარეულოში; ლარბი რომ ჩამოსულიყო და თბილისში შესდგომოდა საქმიანობას, ისინიც სხვაგან გადავიდოდნენ საცხოვრებლად...

დუმილი ისევ ალმასხანმა დაარღვია და აღრეული ფიქრი შეაწყვეტინა:

— შესაძლოა, შენ მართალი ხარ და მე ვცდები, მაგრამ... ასე გავიფიქრე და, მართალი გითხრა, გული მეტკინა. იცი, თინიკო, გუშინდელს აქეთ, რაც დრო გადის,. გულს სულ უფრო მეთანაღრება მთელი ეს ამბავი. როგორც ჩანს, ვერ ვივარგეთ მაშინ და, საერთოდ, როგორც ჩანს, რაღაც შეგვეშალა...

— არა, ალმასხან, შენ რა შუაში ხარ, — სიტყვა არ დაამთავრებინა თინათინმა და თვალებში ალერსით ახედა; შეებრალა ალმასხანი, ხელი ხელზე დაადო, — შენ ყველაფერი გააკეთე, რაც შეგეძლო და, თუ მართლა ვერ ვივარგეთ, ეს შენი ბრალი არ არის. რაც იყო, იყო და მორჩა, წარსულს ვეღარ შემოვაბრუნებთ და, რომც შემობრუნდეს, ღმერთმა ნუ ქნას, მაინც ვერაფერს შევცვლიდით. შენ მაინც წარსულზე, ლარბისთან დამოკიდებულებაში, რა ბრალი მიგიძღვის? არა, არაფერი... თავს დამტყდარი უბედურებაც გვეკმაროს გულის სახეთქად და, ჩვენს თავს ძიძგნას ნუ დავუწყებთ. მომავალში, ალბათ, არა ერთი გასაჭირი გველის კიდევ ამ ცხოვრებაში, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, ხო, ცხოვრება თუ ჰქვია ამას.

ეს კი ასე მიუგო თინათინმა, მაგრამ ალმასხანი საუზმეს რომ მორჩა და სახლიდან გავიდა, თინათინი სასადილო ოთახში მაგიდას მიუახლოვდა, დეპეშას დახედა და, უცებ, წყევლა-კრულვა აღმოხდა რობერტ ჰინჰიკაძისადმი: „რატომ შენ და შენისთანა გარეწრები არ დასამარდებიან ადრე და მალე!“ ისეთი ძალით ამოიკვნესა ეს სიტყვები, რომ თავბრუ დაეხვა, სახსრებში მოეშვა, სხეულში ღონე წაერთვა; თუ არ წამოვწექი, გული შემიღონდებაო, ესღა გაიფიქრა და, რადგან საწოლ ოთახში გასვლის თავი აღარ ჰქონდა, იქვე, სასადილო ოთახში ტახტზე მიეგდო, თვალები მილულა.

ის იყო, თინათინმა სული მოითქვა და უკვე რულიც ეკიდებოდა, რომ, უეცრად, ის ზაფხული, ორმოცდათორმეტი წლის ცხელი აგვისტო გაახსენდა — უფრო ზუსტად, 17 აგვისტო, როდესაც ლარბი უნივერსიტეტში მისაღებ, უკანასკნელ გამოცდას აბარებდა საბჭოთა კავშირის ისტორიაში და რობერტ ჰინჰიკაძის მზაკვრული რუდუნებითა და მეცადინეობით, ორიანი დაუწერეს. ეს ისე თავზარდამცემი იყო თინათინისთვის — იგი ისე დარწმუნებული იყო, რომ ამ დროისთვის ლარბი სამუდამოდ ჩამოაშორა მამამისის წარსულს — ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯეროდა, რომ არა მარტო საკუთარი, არამედ ალმასხანის საზოგადოებრივი მდგომარეობითაც და მფარველობითაც, ლარბის აღარსაიდან გადაეღობებოდა რაიმე დაბრკოლება, რომ მას აღარაფერი მიეცხებოდა საბჭოთა ქვეყნის წინაშე მამისა და ბაბუის დანაშაულებრივად აღიარებული ცხოვრებიდან და, მოულოდნელად, თითქოს ქვესკნელიდანო, რობერტ ჭინჭიკაძე ეშმასავით გამოეცხადა. ეს ის რობერტ ჭინჭიკაძე იყო, ლევანის თანაკურსელი, ყოვლად უნიჭო, რეგვენი და ფარისეველი, დიპლომის აღებისთანავე უნივერსიტეტის კომკავშირის მდივნად რომ წამოასკუპეს და ორმოცდაორში დაპატიმრებული ლევან დავლიანის სახელს ყველა კრებაზე და სხდომაზე, უნივერსიტეტის კედლებში თუ მის გარეთ, უმოწყალოდ აქიაქებდა. თინათინს რა დაავიწყებდა რობერტ ჭინჭიკაძეს. მერეც ხშირად შეხვედრია და მუდამ ცდილობდა, მისგან რაც შეიძლებოდა შორს დაეჭირა თავი; ხოლო საერთო ნაცნობთა წრეში პირისპირ თუ აღმოჩნდებოდნენ, არაფერს შეიმჩნევდნენ და ცივი თავდაჭერილობით ესალმებოდნენ ერთმანეთს.

იმჟამად, ლარბი რომ გამოცდებს აბარებდა, ჭინჭიკაძე უკვე პარტკომად იყო დანიშნული და, როგორც თინათინს გაეგო უნივერსიტეტელი მეგობარი კოლეგებისგან, საბჭოთა სინამდვილის მარად ფხიზელი გუშაგივით ეჭირა თავი და თავისი კაბინეტიდან, მოენეთა ინფორმაციების მეშვეობით, მომავალი კომუნისტური საზოგადოებისთვის სასურველ და არასასურველ, სანდო და არასანდო პირთა გამჩხრეკ-გამცხრილავ მზერას არა მარტო საპროფესოროში და აუდიტორიებში, არამედ თვით საპირფარეშოებშიც და, საერთოდ, უნივერსიტეტის ყველა კუთხე-კუნჭულში აწვდენდა. იმ აბიტურიენტთა სიას, რომლებიც წარმატებით აგრძელებდნენ გამოცდების ჩაბარებას, რექტორატი და პარტკომი იხილავდა და, ლარბის გვარი და მამის სახელი თვალში რომ მოხვდა რობერტ ჭინჭიკაძეს, მაშინვე ჩაუსაფრდა; საგანგებოდ დაესწრო საბჭოთა კავშირის ისტორიაში ბოლო გამოცდას, ორიანით გაისტუმრა და ამით გზა გადაუღობა, როგორც თვითონ წარმოთქვამდა ხოლმე საერთო კრებებზე მალალფარდოვნად, მეცნიერების წმინდა ტაძრისკენ. თინათინისთვის ცხადი გახდა, რომ რობერტ ჭინჭიკაძე კომუნისტური სიფხიზლით კი არა, თავის სულის ბნელში ლევანისადმი ჩარჩენილი სტუდენტობისდროინდელი ქიშპით. შურით და ღვარძლით გადაეღობა მის შვილს, ცხოვრების გზაზე ჯერ ფეხშეუდგმელს, ჯერაც ჭაბუკს. თინათინს ეჭვიც არ ეპარებოდა, მხოლოდ ეს იყო ლარბის წინააღმდეგ რობერტ ჭინჭიკაძის დაგეშის მიზეზი. მაშ, აბა, სახელმწიფოებრივად რა საეჭვო ნიშნები უნდა მოეძია მას ლარბის პიროვნებაში?!

ლარბიმ უნივერსიტეტში საბუთები როცა შეიტანა, თინათინმა ერთი ორჯერ გაიფიქრა, რობერტ ჭინჭიკაძეც ენახა პირადად და შვილის საქმეზე მისი თანადგომის თხოვნაც გაეთამაშა. ვერა და ვერ აიძულა თავი, ეს გაეკეთებინა. ლევანზე ტკივილი თუმცა გაყუჩებოდა, მაგრამ რობერტ ჭინჭიკაძისადმი თხოვნით ხლების უბრალო წარმოდგენაც გულს ზიზღით უკაწრავდა. ლევანის დაპატიმრების დღეებში, თინათინის თავს დამტყდარი უბედურების ორომტრიალში, მან პირველად რობერტ ჭინჭიკაძის სახით შეიცნო, თუ რანაირია უსულგულო, გონებაჩლუნგი, ქვეშევრდომებთან ყეყეჩად გოროზი, ხოლო უფროსებთან კი საცოდავად მლიქვნელი პარტიული ბიუროკრატი, რომელიც. საკუთარი მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ყველანაირ სიმართლეს ისე გაწირავს, რომ წარბიც არ შეერხევა. მერე და მერე, ცხოვრების უკუღმართობასთან და სიდუხჭირესთან პირისპირ დარჩენილმა, უწინდელზე მეტის დაკვირვებით რომ მიმოიხედა გარშემო, დაინახა, რომ რობერტ ჭინჭიკაძის მსგავსნი არცთუ ცოტანი იყვნენ. მაშინ. უმწეოდ შთენილს, პირველხანობას ზო-

გიერთი მეგობრისგანაც და ნათესავისგანაც ნახევრად ზურგშექცეულს (მასთან შემთხვევით, სადმე გზად შეხვედრისას, ლევანის სახელის ხსენებასაც თავს რომ არიდებდნენ), არაერთხელ გაუფიქრია, რა ჭირი გასჩენოდა და აიძულებდა ადამიანებს დაეტოვებინათ თანალმობის გრძნობა, სინდისი და ასე გაექვავებინათ გული; და რადგან არც უნარი გააჩნდა და, ამასთანავე, რაღაცნაირი თითქოსდა გაუცნობიერებელი, საკუთარი თავის წინაშეც გაუმხელელი შიშიც ბორკავდა და არ ანებებდა, ძირისძირში ჩასძიებოდა ადამიანთა გაბედოვლათების მიზეზებს, ნაუცბადევად და ზერელედ ახსნიდა — ასეთები იბადებიანო. თუმცა გუმანი კარნახობდა ხოლმე, ადამიანთა ასეთნაირი გაუკულმართების მიზეზთ-მიზეზი ცხოვრების საყოველთაოდ დამდგენი წეს-წყობის თვით ხასიათში იძვრისო, მაგრამ, ნაპრალს მიმდგარი და კლდის ვეება ბზარის ხახაში მზერაჩაწვდენილი ზარდაცემულივით რომ უკან დაიხევს, ისე გაურბოდა იმ წამიერად გაელვებული ფიქრის უჩუმრად აყოლასაც: უკვე მასაც ძვალ-რბილში გაჯდომოდა ცხოვრების გამრიგე წესთა თვით დაეჭვებულის თვალით განჩხრეკის ამკრძალველი შეგონება — „სასიცოცხლოდ სახიფათოა!“.

დროსთან ერთად, ცხოვრების ფერხულში რომ ჩაება და, ალმასხანის თანადგომითა და ზრუნვით, საკუთარი ბედის აწყობას შეუდგა, — წელი რომ მოიმაგრა ალმასხანთან შექმნილი ოჯახით, გამხნევდა და კიდეც გახალისდა, — როდესაც წარსულს გაატანა ყველა ტკივილი, — უკვე იმდენად შეეჩვია მრავალზე მრავალ ადამიანში სიმდაბლის ხილვას, მათგან თვით ყველაზე თვალსაჩინოდ მართალი შეფასებებისგან განდგომას გარემო პირობებთან და მოთხოვნებთან მისადაგებით, რომ ფუყე პარტიულ ბიუროკრატებსაც, მედროვე მწერლებსაც და იდეოლოგიური დაკვეთით ისტორიულ დოკუმენტთა გამყალბებელ მეცნიერებსაც, თუკი მათთან ურთიერთობაში წარსულის მტკივნეულად გასახსენებელ რაიმე მწიკვლსა და ხვანჯს არ ჰქონდა ადგილი, სრულიად ჩვეულებრივად აღიქვამდა და სალმიანად, პატივისცემითაც და ხალისიანადაც ხვდებოდა სხვადასხვა ხასიათის თავყრილობებზე.

რობერტ ჰინჰიკაძესთან თხოვნით ხლების წარმოდგენამაც გული ზიზღით რომ გაუკაწრა თინათინს, მის პირადობას ეხებოდა ეს და — იმიტომ: რობერტ ჰინჰიკაძე მისი პირადი წარსულის მტკივნეულ განცდათა კუთვნილებას წარმოადგენდა, მისი გულის სიღრმეში ჩამარხული წარსულის უბედურებათა მოწმე და მონაწილე იყო. ჰო, პირადმა ტკივილმა არ დაანება, რობერტ ჰინჰიკაძეს ხლებოდა. თანაც, ლარბი საკმაოდ კარგად იყო ყველა საგანში მომზადებული და განსაკუთრებული სათხოვარი მის დასახმარებლად არავისთან ჰქონოდა არც მას და არც ალმასხანს, — მთავარი იყო, უპატრონო აბიტურიენტად არ მიეჩნიათ, ყურადღება მიექციათ, ნიშანი არ დაეკლოთ. იმაზეც გაბრაზდა. პარტკომი აქტიურად რატომ უნდა ჩაბმულიყო აბიტურიენტთა გამოკითხვაში, მათი გამოცდისა და ჩარიცხვის საქმეში. სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მართვის სისტემასა და ამ სისტემაში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ფუნქციაზე თუმცა უკვე ჰქონდა გარკვეული წარმოდგენა, მაგრამ ის აღარ იცოდა, რომ ყველა უმაღლეს სასწავლებელში პარტკომის ხელმძღვანელობით კადრების განყოფილება, გამოცდების მსვლელობის კვალად, სულ უფრო კლებადი სიის მიხედვით, სწავლობდა სტუდენტებად ჩასარიცხი აბიტურიენტების ბიოგრაფიებსაც, და არაკეთილსაიმედოდ, ანუ საეჭვოდ მიჩნეულს, წინასწარ აღნიშნავდა თავის შავ სიაში. სანამ თინათინი ამ ამბავს და ლარბის წინააღმდეგ რობერტ ჰინჰიკაძის ძალისხმევას შეიტყობდა, ლარბის ჩაჭრა მისთვის არა იმდენად გულსაკლავი, რამდენადაც მოულოდნელი

და განსაცვიფრებელი შეიქმნა. მით უმეტეს, რომ ლარბი უნივერსიტეტში ვერ ჩაირიცხა ისეთ ვითარებაში, როდესაც საბჭოთა კავშირის ისტორიაში საცოდავი, სამარცხვინო სამიახიც ჰყოფნიდა გამსვლელ ქულად, რადგან ქართულშიც, რუსულშიც და უცხო ენაშიც ხუთები მიიღო. ამასთანავე, დამცირებულად, შეურაცხყოფილადაც გრძნობდა თავს. ბოლოს და ბოლოს, სულ უვარგისიც რომ ყოფილიყო ლარბი, თინათინის და ალმასხანისათვის მაინც ხომ უნდა გაეწიათ ანგარიში? ალმასხანი — სახელიანი და ღვაწლმოსილი მეცნიერი, აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; არც თინათინს აკლდა ფილოლოგ-მეცნიერთა წრეში პატივისცემა, როგორც სპეციალისტს, მეცნიერებათა კანდიდატს, ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელს; ხოდა, მათი ოჯახის სახელით, მათი მფარველობით, შვილი კი არა, თუ წესი და ადამიანობაა, ნათესავიც არ უნდა ჩაეჭრათ.

როდესაც ლარბი უნივერსიტეტიდან შინ დაბრუნდა და მის მომლოდინე, გამოცდების წარმატებით მომთავრების მოსალოცად განწყობილ თინათინს უთხრა, ჩავიჭერიო, ის გარეგნულად და ქცევით რაღაც სასაცილო შეპარვევით გაკვირვებულს და დაინტერესებულს უფრო ჰგავდა, ვიდრე გულმოკლულს ან გაპიროტებულს. ერთთავად ხუმრობდა, ტინგიცობდა. თინათინი ჰვრეტდა, რომ მისი ხუმრობა-ტაბაცობა სახეშეცვლილი გამოსახულება იყო გულის სიღრმეში, მცირე ხნის წინათ, აბორგებული მძულვარებისა. მან უკვე კარგად იცოდა, რომ დაუმსახურებელი არათუ ასეთი მნიშვნელოვანი, თვით მცირედი შეურაცხყოფაც, თვით მცირედი საწყენიც, ლარბის არსებაში [illegible]ავდა ხოლმე [illegible]გაოეულ გამწარებას, რომელსაც რისხვის იერით და მეტად დაპირისპირებით გამოხატავდა. ხოლო, როდესაც შეურაცხყოფის ან წყენის საპასუხოდ ხუმრობას იწყებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი მძულვარება სასოწარკვეთის ზღვართან შეგუებებულიყო და გულის სიღრმეში იხუთებოდა. რათა მერე, სხვა დროს, თავისი ნამდვილი სახით ლავასავით ამოხეთქილიყო. ლარბის ასეთნაირ ქცევაზე თინათინს კიდევ უფრო ეწურებოდა გული და, თან, შიშიც იპყრობდა — ვინმეს რამე უბედურება არ დააწიოსო, რადგან ისიც იცოდა, შეურაცხყოფის შერჩენა არ სჩვეოდა ლარბის.

ძლივს დაითანხმა შეეწყვიტა სულელური ოინბაზობა და დალაგებით ეამბნა ყოველივე.

— მოკლედ, საგამოცდო ბილეთის სამი საკითხიდან, პირველი ორი ჩავუბულბულე გამომცდელს, მესამე საკითხს კი, ისე რა, ვაჯახირებდი...

— ვერ უპასუხე?

— ვინ დამაცადა. გამომცდელს რომ ვპასუხობდი, ერთი ტიპი მოგვიახლოვდა, თავს დაგვადგა და ყურის გდება დამიწყო. პასუხი არ დამამთავრებინა. გამომცდელს ჰკითხა, წინა საკითხები როგორ გიპასუხათო. იმან რაღაცნაირად დაბნეულად, შეშინებულივით, დამტკბარ- გაპრანჭული ღიმილით მიუგო, არაუშავს რა, კარგადო. ის ტიპი კი, გამომცდელ ქალს, საომარ ფილმებში გესტაპოს ფაშისტები რომ არიან, ის ისეთნაირად დაეჭვებულივით დააცქერდა, ვაჰ; რა კარგი სიფათის ტიპი იყო, თვალებს რა ეშმაკივით ჭუტავდა და აცეცებდა ხან ჩემკენ, ხან გამომცდელისკენ. ჩემი საგამოცდო ფურცელი აიღო, ჩემი გვარი, სახელი და მამის სახელი რაღაცნაირად დამარცვლით ამოიკითხა, მერე ისე შემომხედა, აი, ისე, კაცი რომ არ გევასება. ნეტავ იმ ჩემის ტუზიკას ჩემს დანახვაზე ასეთი რა მტვერი და ბუსუსი უვარდებოდა თვალში, რომ წამდაუწუმ თითებით ისრესდა და მეკითხებოდა, მერე-მერეო, ბოლოს, ყელში ამომივიდა და ვაჯახე, რაღა მერე, მოვრჩი-მეთქი. აი, კინოფილმიდან ჩამოსული ნა[illegible] ან გესტაპოელივით ჩაიცინა, ეს არის თქვენი პასუხის მომთავრებაო და შეაყოლა და შეაყოლა, თვითონ დამიწყო გამოკითხვა.

— რაო, რა კითხვა დაგისვა?

— სტალინურ კონსტიტუციაზე გამიბა ბაზარი.

— წესიერად ილაპარაკე, ლარბი!

— ასე იყო და, სხვანაირად წესიერად როგორ გითხრა, ნაღდი ბაზარი გააბა.

— მაინც?

— რატომ არის ეს კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული და ჭეშმარიტად სახალხოო.

— რა უპასუხე?

— დედი, აბა, რა უნდა მეპასუხა. ვიცი მე მსოფლიოს სხვა ქვეყნების კონსტიტუციები? გვასწავლიან, რო? ხოდა, მეც ასე ვუთხარი, სხვების კონსტიტუციები არ ვიცი და ჩვენი კი, რა თქმა უნდა, კარგია, რადგან ჩვენია-მეთქი. გავეხუმრესავით, მაშ რა მექნა.

— რაო მერე?

— ამას ჰქვია პასუხიო, ჩაიცინა და რაღაცეები მიბოდ-მობოდა. ერთი ყური უნდა გეგდო, რა გიჟმაჟურად გაახურა. ხო, ისიც მკითხა, სტალინური კონსტიტუციის მიხედვით, ხევსურეთი ან სვანეთი რომელ ქვეყანას ეკუთვნის და დღეს რა ჰქვია ამ ხალხსო. ხო, დაახლოებით ასე მკითხა. მითხარი ერთი, ამაზე პასუხის გასაცემად კონსტიტუცია რა საჭიროა?! ეგებ, წერია კიდეც რაიმე ასეთ შტერულ კითხვებზე პასუხად, მაგრამ სკოლაში, ჩვენი კონსტიტუციის მასწავლებელს, ნესტორას, ამაზე არასდროს არაფერი უთქვამს და კონსტიტუციაშიც, გამოცდის წინ წავიკითხე, ამის მსგავსი არაფერი ეწერა...

— ვინ იყო, ნეტა, ასე რად ჩაგაცივდა... უპასუხე რამე?

— რაც ვიაზრე, ვუპასუხე. ხევსურეთი ხევსურებისაა, სვანეთი — სვანების და მთლიანობაში საქართველოა-მეთქი, ხოლო ხევსურეთი და სვანეთი საქართველოს მხარეებია-მეთქი. ასეთნაირად რაღაც ჩავახუჭუჭე. ხომ ჰკვიანი ბიჭი ვარ? არა, ერთი შენ მიპასუხე, სხვას რას მეტყვი? ვერაფერს? ის კი ჩამაცივდა, მომეცით ზუსტი და განზოგადებული განსაზღვრება. გამოცდაზე არ ვყოფილიყავი, კი ვიცი, რასაც მივცემდი, მაგრამ, რა მექნა. ხაფანგში წრუწუნა რომ მოექცევა, აი, ისე საზიზღრად ვიგრძენი თავი. მაინც ვუთხარი, განზოგადებულად და მოკლედ რომ განვსაზღვროთ, საქართველო და ქართველები-მეთქი. ამაზე ის ვირიშვილი რაღაც უცნაურად დაიმანჭა. ცდებით, ყმაწვილო, ხევსურებიც და სვანებიც, მეგრელებიც და გურულებიც, კახელებიც და ქართლელებიც, იმერლებიც და აფხაზებიც და საქათველოს მიწაზე მცხოვრები ყველა ტომის და ჯურის ხალხები, დღეს, განზოგადებულად, საბჭოთა ხალხად იწოდებიან. ჩვენ, ყველანი საბჭოთა ადამიანები ვართო: საბჭოთა ხალხის და ქვეყნის ზოგადი კუთვნილებაა საბჭოთა კავშირში მყოფი ქვეყნების ტყე და ველი, მთა და ბარი, ცა, ზღვა, მდინარე და ტბა, თვით ბინძური ჭაობიც და, საერთოდ, ყველაფერი, რაც კი არის. ასე რომ, ყმაწვილო, ეს კარგად და პირველ რიგში უნდა გცოდნოდათ, რომ ხევსურეთი და სვანეთი კი არა, მთლიანად საქართველო ისევეა ქართველების, როგორც რუსების, სომხების, უკრაინელების და, საერთოდ, საბჭოთა ხალხისო. გავშტერდი, დედა! ეს რაა, ასეთი კითხვაც მოაყოლა: ერთი მიბრძანე, რას ნიშნავს საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სუვერენული უფლებებიო. სულ ყველაფერი, ეგებ, არა, მაგრამ ეს კი კარგად მახსოვდა ნესტორას გაკვეთილებიდან, რომ სუვერენულ უფლებებში იგულისხმება საბჭოთა კავშირში მყოფ ერთა ნებაყოფლობითი ერთიანობა და, ამ კავშირიდან ნებაყოფლობითი გასვლის უფლება. ეს ნაღდად მახსოვს მეცხრე კლასიდან, კონსტიტუციას რომ ვაბარებდით, მაშინ წავიკითხე რაღაც-რაღაცები. ასეც ვუპასუხე. იმან კი ქილიკურად ჩაიცინა და ასე მკითხა: კი მაგრამ, თუ საქართველოს მიწა, წყალი, ტყე და ყველაფერი სიმდიდრე ზოგადად საბჭოთა ხალხის კუთვნილებაა, შენ და შენისთანებმს გასვლა რომ მოგინდეთ საბჭოთა კავშირიდან, როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახვალთ, რითი გახვალთ და საით გახვალთო. ახლა, დედი, მითხარი ერთი, შარი არ იყო, გიჟი არ იყო, ის ვილაც შმორი? ყელში ამომივიდა და ვუთხარი, მე არსაიდან არსად გასვლას არ ვაპირებ, მაგრამ, რუსეთის მიწა თუ რუსი ხალხის არ არის, ქართველების მიწა — ქართველების, სომხეთისა — სომხების, უკრაინისა —უკრაინელების, მაშინ რაღატომ ჰქვია რუსეთს რუსეთი, ან საქართველოს საქართველო. ხომ გადატრიალდა საფლავში დავით აღმაშენებელი ამის გაგონებაზე და იქით, ალექსანდრე ნეველი ხომ აიშალა, რუსებს რუსის მიწას ვინართმევსო. აბა, ჩემი და ვინმე სხვა ქართველის საკუთრებაა რუსეთი?! უნდა გენახა, რანაირად გაწითლდა კიბორჩხალასავით. ვიფიქრე, იქით ჩავსვი და მოვაკეტინე...

— ვაი, დედა, შვილო, ასე მგონია...

— ყველაფერი გასაგებიაო, ჩაულაპარაკა ჩემს გამომცდელს, მაგ ყმაწვილმა საბჭოთა კავშირის ისტორიის არსი არ იცისო. მე კი მითხრა, ეს უპატიებელი ამბავია, კონსტიტუცია რომ არ იცით, სულ არ გცოდნიათ და, საერთოდ, გირჩევთ, უნივერსიტეტის კედლებს გარეთ, სხვა პროფესიის დაუფლების გზას დაადგეთო.

— ღმერთო, ეს რა კითხვები დაუსვამს?

— მიხვდი? კითხვები ხომ იყო და იყო, მაგრამ, თუ კონსტიტუციაში ასეთი კითხვების შესაბამისი დასტურიც წერია...

— გაჩუმდი ახლავე! ეს არ არის შენი საქმე, კონსტიტუციაში რა წერია! აქამდე ვცხოვრობ და, საერთოდ, მაგისთანებზე არც მიფიქრია. ეს ვინ გადაგკიდებია, ღმერთო. დაიმახსოვრე, ეს არ არის შენი საქმე!

— რა დაგემართა, დედი! მე რას მიყვირი?! მე რა, ჩემს საქმედ ვიჩემებდი კონსტიტუციას? მე ფილოლოგიურზე ვაბარებდი და ის ვილაც ოხერი ჩამაცივდა, თორემ... ეკითხა ისტორია?!

— ხო, კარგი... ვინ იყო, ნეტავ?

— რა ჯურის და გვარის იყო, არ ვიცი, მაგრამ შარი და ბაზარი რომ ატეხა, ეს ნაღდია. თავი ძლივს შევიკავე, იმის მურდალ სიფათში არ მეგლიჯა.

— ლარბი!

— რა, ლარბი?

— ხო, კარგი, დაწყნარდი... რაღაც უაზრობაა აქ. რამდენადაც მახსოვს, ასეთი შინაარსის საკითხები არც იყო აღნიშნული საგამოცდო პროგრამაში.

— არა, ასე დანაწევრებულად არა, მაგრამ ზოგადად, ერთიანად კი ეწერა პროგრამაში, სხვა საკითხების პარალელურად, „საბჭოთ კავშირის კონსტიტუცია, ზოგადი დახასიათება“.

— კი მაგრამ, შენ რომ შეკითხვები დაგისვა, ხომ სპეციალურია, ხომ დაკონკრეტებულია...

— რით ვერ გაიგე, შარი იყო-მეთქი, შარი და ბაზარი! კონსტიტუციაში თუ იმისთანები წერია, რომ საქართველო ქართველების არ არის, რუსეთი — რუსების, სომხეთი — სომხების და უკრაინა — უკრაინელების, კაი რამეც ყოფილა ის კონსტიტუციაც. არა, ერთი მითხარი, დედი, წერია იმ კონსტიტუციაში ასეთი რამე? შესაძლოა ასეთი სიშტერე ეწეროს? აბა, ვისია? ოჩოპინტრესი?! საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, როგორც მე მესმის და თვით სახელწოდებაც მიგვითითებს, ხუთმეტი ქვეყნის, ხუთმეტი რესპუბლიკის დაკავშირების აღმნიშვნელი სახელწოდებაა. მერედა, ეს რომელიმე კონკრეტულ ერს, რაიმე კონკრეტულ ეროვნულ ერთეულს ხომ არ აღნიშნავს. ვთქვათ, ჩვენი უბნის ბიჭები ერთმანეთთან მეგობრულ კავშირში ვართ, ერთმანეთს მხარს ვუჭერთ და ერთმანეთისთვის თავსაც დავდებთ; მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ზურას, ვანიკოს, თენგიზას და სხვა ჩვენი ძმაკაცების ოჯახები საერთოა: ზურასი ჩემია, ჩემი თენგიზისაა, თენგიზასი ვანიკოსია... ან, კიდევ, ჩვენი ძმაკაცობა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მე ზურა ვარ, ზურა ვანიკოა და, მოკლედ, ხომ გამიგე... მე ნორმალურად ვუპასუხე, როგორც, კაცი რომ გაიაზრებს, ისე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოდა, აგერ შენ და აგერ მე, მითხარი ერთი, რა ვუპასუხე დასაჭყანი იმ მაიმახს და კაცის პროვოკაციას. მითხარი ერთი, იმან რომ მითხრა, ის კრეტინობა წერია კონსტიტუციაში?

— რა ვიცი, შვილო. კონსტიტუცია აღარ მახსოვს და, მართალი გითხრა, არც მისწავლია რიგიანად. თუმცა, იმ ვილაც კაცმა, გამოცდაზე რომ ესწრებოდა, თუ ასე გითხრა, ეგებ, მართლა ამის მსგავსად წერია რაიმე... მაგრამ, აქ, რაღაც სხვა უნდა იყოს მიზეზი, რაღაც სხვაა აქ... შენ კი, ლარბი, ძალიან გთხოვ, აწი კონსტიტუციაზე და, საერთოდ, პოლიტიკაზე ლაპარაკს შეეშვი. გაფიცებ, შვილო, ჩემს სიცოცხლეს გაფიცებ, რასაც ახლა მელაპარაკები, მეგობრებთანაც არ წამოგცდეს. რა ჩვენი საქმეა კონსტიტუციის განსჯა და პოლიტიკა... რაღაც სხვა მიზეზი იყო, რაღაც სხვა.

ნამდვილი მიზეზი უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე ლარბის ჩაჭრისა თინათინმა მეორე დღესვე გაიგო ალმასხანისგან, რომელიც თინათინზე არანაკლებ იყო აღშფოთებული.

მეორე დღეს, ალმასხანი, სამსახურში მისვლისთანავე, ჯერ ტელეფონით დაუკავშირდა მასთან კეთილ ნაცნობობაში მყოფ უნივერსიტეტის პრორექტორს სასწავლო დარგში, მიაკითხა კიდეც და კარგა ხანს ესაუბრა. ნაშუადღევს, სამსახურიდან დროზე ადრე რომ დაბრუნდა, თინათინმა სახეზე შეატყო უგუნებობა. ალმასხანმა ჯერ ოთახები შეათვალიერა, ლარბი შინ ხომ არ არისო, მერე, სასადილო ოთახში ტახტზე დაჯდა, თინათინი გვერდით მოისვა, თვალებში ჩახედა და, ხანმოკლე დუმილის შემდეგ, უთხრა:

— ის კაცი, კონსტიტუციაზე შეკითხვებს რომ აძლევდა ლარბის, უნივერსიტეტის პარტკომი ყოფილა.

— ვიინ?

— შენი ძველი კაი ნაცნობი და, როგორც ვიცი, ლევან დავლიანის თანაკურსელი... ჭინჭიკაძე...

— რობერტ ჭინჭიკაძე?!

— კარგად გახსომებია. როგორც ჩანს, იმასაც არ დაუვიწყნია რაღაც-რაღაცები და, კერძოდ, ლევან დავლიანიც.

— მე იმ გარეწრის მეხსიერებისა არა მესაქმება რა. ის მითხარი, პრორექტორმა რა გითხრა?

— რომ მივედი, უკვე გაერკვია საქმის ვითარება და, ძალიან შეწუხებული დამხვდა. ისიც ლევანის თანაკურსელი ყოფილა, თურმე, დავით ფანცულაია.

— ხო, ლევანის თანაკურსელი იყო. აკი, ლარბი სანამ გამოცდებზე გავიდოდა, ვინახულე კიდეც. ის ვთხოვე მხოლოდ, ბიჭი არ დამიჩაგროს, ნიშნის მომატება არავისთვის მითხოვია, ალმასხან.

— ესეც მითხრა. ყველაფერი მითხრა, თინათინს, აწი, რა პირით შევხვდეო... გამომცდელებიც გაუფრთხილებია, ლარბის რომ ცდიდა სსრკ ისტორიაში, გვარად ცინცაძე. ჩემს მისვლამდე გამოუძახებია და გამოუკითხავს საქმის ვითარება. ცინცაძეს უთქვამს, ზედმეტი შეკითხვების მიცემას მე პირადად არც ვაპირებდი და, თუმცა მესამე საკითხზე რიგიანად ვერ მიპასუხა დავლიანმა, პირველი და მეორე საკითხები ისე კარგად მოჰყვა, რომ ოთხიანი უნდა დამეწერა და გამეშვა; მაგრამ პარტკომი დამადგა თავზე, შეკითხვები იმან დაუსვა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციასთან დაკავშირებით და ბიჭმა სწორი განმარტებები ვერ მისცაო...

— ეს ხომ უმაგაოდაც ვიცოდით, ლარბიმ თვითონ მოგვიყვა... შენ ის თუ გაარკვიე, რატომ მოხდა ეს, რატომ ვერაფერი იღონა დათიკომ?!

— ჭინჭიკაძესთან უბრად ყოფილა, რაღაცაზე წაჰკიდებიან ერთმანეთს ჯერ კიდევ გამოცდებამდე და ამისთვის ვერაფერი უთხოვია. უთხოვია კი არა... რობერტ ჭინჭიკაძეს, გამოცდების წინ, რექტორატის თათბირზე განუცხადებია, „ხალხის მტრებად" აღიარებულთა და რეპრესირებულთა შთამომავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს უნდა მკაცრად მოვეკიდოთ. შერჩევით შევუდგეთ, რომ უნივერსიტეტის კედლებში, მომავალში სავარაუდო დავიდარაბისგან თავი დავიზღვიოთ; რეპრესირებულთა შთამომავლები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნან შერჩეულ-შეფასებულნი და ჩარიცხულნიო. დათიკოს პარტკომის ასეთი განცხადება გაუპროტესტებია. მაგრამ პარტკომს მოკლედ მოუჭრია: ხვალ ან ზეგ, უნივერსიტეტის კედლებში, ხალხის მტრების შთამომავლები თავიანთი წინაპრების კვალს რომ დაადგნენ, ამისთვის, პირველ რიგში, თქვენ კი არა, მე მომთხოვენ პასუხს და უნივერსიტეტში ყოველგვარი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ვითარების წინაშე, სრულიად სამართლიანად და კანონიერად, პასუხს მე ვაგებო. მერე, ნიშნისგებით მიუმართავს დათიკოსთვის, უნივერსიტეტში პროტექციონიზმის გამძლავრებაც თუ შენიშნა ზემდგომმა ორგანოებმა, ამისთვისაც პასუხს მე ვაგებ პირველ რიგშიო. ალბათ, ენა მიუტანეს, დათიკოსთან რომ იყავი და ლარბიზე დახმარება თხოვე... მოკლედ, ვეღარავის ვერაფერი შეუბედავს პარტკომისთვის და მანაც, გამოცდებზე, ლარბის მსგავსად, ყველა წლებში რეპრესირებულთა თითქმის ყველა შთამომავალი, თითქმის სათითაოდ, პირადად გამოსცადა. მათგან მხოლოდ ისინი ჩაურიცხავთ, ვინც თვითონ პარტკომს მიუჩნევია საჭიროდ და დასაშვებად. ისეთი შეწუხებული იყო დათიკო, იქით მომიხდა მისი დაწყნარება. რა ვქნა, ჭინჭიკაძესთან ვერაფერი გავაწყვე და ბოდიში მომიხადე თინათინთანო.

— ეს რა ნიშნავს, ალმასხან?! ასე უნდა დავტოვოთ ეს საქმე?! რამე ხომ უნდა ვიღონოთ?

— რა უნდა ვქნათ, თინათინ?! რა ვიღონოთ?! რობერტ ჭინჭიკაძესთან, ახლა, ვერაფერს გავაწყობთ. რეალური მიზეზიც და მოწმეც ჰყავს, რომ ლარბიმ ბილეთის მესამე საკითხზე და დამატებით კითხვებზე ვერ უპასუხა.

— კი მაგრამ, მომავალში? ლარბის, რა, ყველგან ასე უნდა გადაეკეტოს გზა, რადგან მამა და ბაბუა რეპრესირებული ჰყავდა? ჩვენ არაფერს წარმოვადგენთ, ჩვენ რა...

— არა! არა! რა სისულელეა! რობერტ ჭინჭიკაძე, ამ საქმეში, ცხადია, ერთპიროვნულად მოქმედებდა. მე გავარკვევ ამას. მივალ სათანადო ინსტანციებში და გავარკვევ ყველაფერს. შენი თქმის არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, ლარბი ჩემი ოჯახის წევრია და, აქ, ჩემი ოჯახისადმი ნდობის საკითხი დგება. გავარკვევ ერთი, ჩემს ოჯახს თუ არ ენდობიან.

— ალმასხან, გევედრები...

— მე კი შევედრები, მაგრამ, — ალმასხანი წამით შეყოვნდა, თავი გაიქნ-გამოიქნია და ყვედრებით დასძინა: — ლარბის შენ შეევედრე, ყველანაირ კითხვებზე პასუხი აწონ-დაწონოს და თუ საგანში არ არის გარკვეული, ენას კბილი დააჭიროს, საკუთარი ჭკუით ნუ ჭრის და კერავს. იცის მან ასე, ადრეც, სკოლაში სწავლის დროსაც, საკუთარ მოსაზრებებს წამოჭყირტავდა ხოლმე. გამოცდაზეც, კონსტიტუციაზე რომ დაუსვეს შეკითხვები, თუ არ იცოდა, რაც წერია კონსტიტუციაში, ენაზე კბილი დაეჭირა და პატიოსნად ეთქვა: არ ვიციო; საკუთარი მოსაზრებები კი არ უნდა ამოეფრქვია. ასე, საჯაროდ, პარტკომის წინაშე, ვის ეკუთვნის მიწა და წყალი, ვინ ეკითხება მაგის ჭკუას...

— ალმასხან, კარგი ერთი, კონსტიტუცია ლარბიმ კი არა, მეც არ ვიცი. რა ვიცი, რა წერია შიგ. შენც რა, სულ ზეპირად გახსოვს?

— არა, მაგრამ, პროვოკაციულ შეკითხვებს მაინც არ ავყვები და ის ვიცი, რომ საკონსტიტუციო სამართლის საკითხები ჩემი განსასჯელი არ არის. ამისთანებისთვის, რაც ხდებოდა და რაც შეიძლება მოხდეს, ჩემზე ნაკლებად არ მოგეხსენება, თინათინ.

— ლარბი ბავშვია ჯერ. უეშმაკოა, ჯერ რიგიანად არაფერი ესმის. მან ხომ მამის და ბაბუის ამბავიც არ იცის. ჩვენ ხომ, ჩვენს შვილებს, ამ ცხოვრე-

ბის სიავისას, არაფერს ვუმხელთ, ჩვენ ხომ მეტისმეტად ნუფურთხილდებით ჩვენს ბავშვებს და ისე ვზრდით, რომ მათ არ იციან... არ იციან არც ქვეყნის, არც წარსულის, არც აწმყოს სინამდვილე. ლარბის ხომ იმასაც ვერ განვუმარტავთ, რატომ ჩაჭრა პარტკომმა... ჩვენ მხოლოდ იმას შევევედრებით, თავი შეიკავოს; იმას ვასწავლით, რა არ უნდა ქნას... ჩვენ თვითონაც ხომ...

— თინათინ! — ალმასხანი უეცრად შეიმართა, მკაცრად შეკრა კოპები და ამ შეძახილით სიტყვა შეაწყვეტინა თინათინს, რომელიც, ახლა, გრძნობებს აყოლილი, უკვე მოუკრეფავში მიტოპავდა და უნებურად ისეთებს ამბობდა, რისი ხმამაღლა თქმაც არ შეეფერებოდა ალმასხანის ოჯახს, რისი გაგონებაც აკრძალული ჰქონდა ალმასხანის ყურთასმენას.

თინათინი შეცბა.

— ხო, კარგი... ფიქრმა ამიყოლია, გული მაქვს მოწყურული... დასწყევლა ღმერთმა! ძნელია, ძალიან ძნელია, როცა შენ პირადად გეხება და გწიხლავს...

—თინათინ, თინათინ, რას მიშვრები, ჩემს ოჯახში, გევედრები, კონტრრევოლუციას ნუ გამიმართავთ და ყველამ ერთად ნუ დაგვღუპავთ. ჩემი თავი ჯანდაბას, როსტომს და მაიას რას ემართლები... შენთვის უნდა მჭირდებოდეს ამის თქმა?! თინათინ, რა მოგდის?! იოლი ვისთვისაა ცხოვრება, ან როდის ყოფილა ცხოვრება იოლი?! ამ ვიღაც რობერტ ჭინჭიკაძის გამო, ვაი-უშველებელს ნუ ავტეხავთ. ხომ გითხარი, მოვაგვარებ, გავარკვევ ამ საქმეს. ვნახავ მასაც.

— მაგ გათახსირებულის გამო ლარბი უმაღლესის გარეთ უნდა დარჩეს? ჩემი შვილი... მართლა ვიღაც ჭინჭიკაძეებს და ჭინჭველაშვილებს გზა ხსნილი უნდა ჰქონდეს და ლარბი დავლიანს კი... ბიჭს თავმოყვარეობა ხომ აქვს. მეზობლის ბიჭები, ვინც აბარებდნენ უმაღლესში, ყველანი მოხვდნენ, ლარბი კი...

—თინათინ, გევედრები, ისტერიკას ნუ გავმართავთ. ასეთი არ მინახიხარ. რა მოგდის?! დაწყნარდი, დამშვიდდი... ხომ არ ვიხოცებით?! მოემზადოს ცოტა ხანს, მომავალი წლისთვის ჩააბაროს და...

— თუ ჭინჭიკაძე ჩაუჯინდა... განა არ იცი, გამომცდელს თუ მოუნდა, ხუთოსანსაც ჩაჭრის, ისეთ კითხვებს შეაგებებს...

— ხო... ხო... ჭინჭიკაძე, მართლაც, რთული ვინმეა. თუმცა, მოდი, სხვაგან ჩააბაროს! აუცილებელი ხომ არაა, უნივერსიტეტში ისწავლოს. ჩააბაროს პოლიტექნიკურში, რაიმე ზუსტ სპეციალობას დაეუფლოს. და თუ მაინცდამაინც ფილოლოგობა უნდა, აგერ, უცხო ენათა ინსტიტუტში ჩააბაროს, პედაგოგიურში ჩააბაროს...

— ხო, მართალი ხარ. ასეც შეიძლება.

— ნელ-ნელა შეაპარე ეს ლარბის, რომ უნივერსიტეტში ჩაბარებაზე აიღოს ხელი. სანამ იქ ჭინჭიკაძეა, რომც ჩარიცხონ უნივერსიტეტში, რა იცი, რა პროვოკაციებს მოუწყობს.

— ხო, ალმასხან, შენი ჭირიმე. მართალი ხარ. გავა დრო და, ნელ-ნელა შევაპარებ, სხვაგან ჩააბაროს. მაგრამ, ღმერთო!

— რა იყო, რა?!

— ძნელია, ალმასხან!

— შენ მუდამ მაგარი ქალი იყავი და, ახლაც უნდა გამაგრდე. რას იზამ...

— ხო, უნდა გავმაგრდე და, მაგრად ვიქნები, ალმასხან. ერთის მეშინია, სხვაგანაც არ დაუხვდეს ჭინჭიკაძე...

— რას ამბობ, თინათინ?!

— რას და, ჭინჭიკაძე ერთი ხომ არაა. ვაითუ, უნივერსიტეტის პარტკომის პირადი ინიციატივით არ მოხდა ეს. ვაითუ, ლარბიზე, როგორც დავლიანის შთამომავალზე, საგანგებო მითითებაა, მაშინ... მაშინ, ალმასხან, ჭინჭიკაძეები ბევრნი არიან... ყველგან არიან... მაგისთანების ხელში ვართ, ალმასხან, ვერ ხედავ?! მით უმეტეს, საქართველოში, თბილისში, ყველამ ერთმანეთის ამბავი რომ იცის, ლარბიმ სად უნდა ქნას პირი, თუ რობერტ ჭინჭიკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძის პირადი ინიციატივით არ დატრიალდა ლარბის თავს ის, რაც მოხდა უნივერსიტეტის გამოცდებზე, თუ უფრო ზევიდანაა ყველაფერი, ვაი ჩვენი ბრალი, იმათ სადღა გაექცეს ჩემი ბიჭი, აქ, საქართველოში, იმათ თვალთაგან სად მიეფაროს, ისინი ხომ... დიდება შენდა ღმერთო! — თინათინს უცებ თვალები გაეყინა და სახე აერია: წამით გულს მოასკდა მთელი ის უბედურება, რომელიც წარსულში განვლო და, ალმასხანის ღონიერ ფრთას შეფარებულმა, თავი ახლანდელი ცხოვრების მიღმა დაიგულა, — როდემდე, როდემდე უნდა ამძლავრონ და ახარონ რობერტ ჭინჭიკაძეები ლარბისთანა უდანაშაულოთა გასამწარებლად, გზა-კვალის ასარევად...

— თინათინ! რას მიშვრები?! ალალმართალ კაცს, თავი ციხეში გინდა ამომაყოფინო. არ გაიგოს ვინმემ ეს შენი სიგიჟე?! რას მიშვრები?! ლარბის რაღაც საუნივერსიტეტო გამოცდებს, გინდა, ყველა გადაგვაყოლო?!

თინათინი უმალ გამოფხიზლდა. წამით გაქვავდა. ღრმად ამოისუნთქა. სახეზე ხელები აიფარა. სწრაფად წამოდგა.

— მაპატიე, ალმასხან. თითქოს შევიშალე, ისე გავხდი. გამიგე. ლარბიზე ასკეცად მეტ პასუხს ვაგებ, ლარბი ასკეცად მტკივა, ლარბი ასკეცად საფრთხილოა, ასკეცად მძიმეა...

— მესმის, თინათინ და, ამიტომაც გეუბნები. ამ საქმეს მე ასე არ დავტოვებ. მაგრამ, ვატყობ, შენი ხშირ-ხშირად გაფრთხილებაც მომიწევს. ახლა, ამას გეტყვი. ლარბისთან კრინტი არ დაძრა ამ საკითხზე; არაფერი წამოგცდეს ჩვენი საუბრიდან, განსაკუთრებით, რობერტ ჭინჭიკაძეზე... პირიქით, დაამშვიდე, დაუყვავე, ხოლო, მეც დამაცადეთ. იმ წლამდე, პირობას გაძლევ, ყველაფერს გავარკვევ და, აგერ, ნახავ, ლარბიც უმაღლესში ჩაირიცხება. ოღონდ, გაფრთხილებ, ამ ჩვენი ლაპარაკიდან მასთან ხმა-კრინტი არ დასძრა და შენც, ჩემო თინათინ, ნუ გეწყინება, მაგრამ, უფრო წინდახედულად მოზომე სათქმელი, თორემ, ჩემთან რომ მოუკრეფავში გასატოპისკენ გაიწევი, სხვებთან, შემთხვევით, ფეხი არ წაგიცდეს იქით, თორემ, ხომ იცი, ყველას ერთად წაგვიყოლიებ.

— ხო, ალმასხან, ვიცი, ამის შიში ნუ გექნება. ეს ახლა, შენთან ლაპარაკში ავყევი გულისთქმას, თორემ... ლარბისთანაც როგორ წამცდება სიტყვა.

თინათინს, მართლაც, ჩივილის ან წუხილის სიტყვა აღარ დაუძრავს ლარბისთან უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე ჩაჭრის გამო; მხოლოდ ერთიორჯერ გაიხუმრა, იმ „ვიღაც რეგვენზე“, კონსტიტუციის საკითხთან დაკავშირებით სულელური შეკითხვებით რომ ჩააცივდა; ერთი ორჯერაც დამშვიდება დაუწყო: შემდეგი წლისთვის, ოღონდ კარგად მოემზადე გამოცდებისთვის და, ყოველივე კეთილად მოგვარდებაო. ლარბიც მოღიმარი კვერს უკრავდა თინათინს და იქით ანუგეშებდა, შენ მაგაზე ნუ ინაღვლებ და მე ჩემსას მაინც გავიტანო. ისე ირჯებოდა, თითქოს აღარც ახსოვდა და არც აღარდებდა უნივერსიტეტში გამოცდებზე უსინდისოდ რომ ჩაჭრეს. ოღონდ, ერთი ეს იყო: უწინდელზე უფრო ჩაფიქრებული, უფრო სიტყვაძუნწიც და, რაც თინათინს ყველაზე მეტად აკვირვებდა, უფრო თავაზიანი და საქმიანი, რაღაც სასწრაფო საქმეებზე მისვლა-მოსვლაში აფუსფუსებული გახდა. ახალი ნაცნობმეგობრებიც გაიჩინა და ხშირ-ხშირად იმათ მიჰყვებ-მოჰყვებოდა. თინათინი როცა ჰკითხავდა, საით გაგიწევიაო, მოკლედ და ფერებით მიუგებდა: საქმეზე, დედი, დრო არის საქმეს და ჩემს თავს თვითონ მივხედოო.

ახლაც, ტახტზე ულონოდ მიგდებულს, ძილღვიძილში ორმოცდათორმეტის აგვისტო და სხვა მწუხარე დღეები რომ ეზმანებოდა, თინათინს ასე სწამდა, რომ ლარბიმ არაფერი იცოდა არც გამოცდაზე მისი ჩაჭრის ნამდვილი მიზეზისა, არც მისი მამის და ბაბუის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს დატეხილი უბედურებისა და არც ალმასხანთან თინათინის საუბრისა.

სინამდვილეში კი ლარბიმ მათი საუბარიც გაიგონა და სხვა ყველაფერზეც იმაზე მეტი გაიგო და იცოდა, ვიდრე თინათინი სავარაუდოდ მაინც დაუშვებდა.

სწორედ მაშინ, როდესაც ალმასხანს და თინათინს, სასადილო ოთახში ახლოახლო მიმჯდართ და, მათი აზრით, განმარტოებულებს, უნივერსიტეტში ლარბის ჩაჭრაზე, რობერტ ჭინჭიკაძეზე და ლარბის მომავალზე თუ ბედ-იღბალზე საუბარი გაუცხარდათ, ლარბი შინ დაბრუნდა. სახლის კარი რომ შეაღო და დერეფანში შეაბიჯა, შორიდანვე მოესმა მათი მღელვარე, დაძაბული ლაპარაკი. კარი უხმაუროდ მიხურა, ორიოდე ნაბიჯი გადადგა სასადილო ოთახისკენ და იქვე, კედელს მიფარებულმა დააყურადა. მხოლოდ მაშინ შებრუნდა და იქიდან გაცლა ამჯობინა, როდესაც ალმასხანმა თინათინს შეუტია: „რას მიშვრებით, ლარბის რაღაც საუნივერსიტეტო გამოცდებს გინდა ყველა გადაგვაყოლო?!" — ამის გაგონებაზე სიმწრით ქვედა ტუჩი მოიკვნიტა, ფეხაკრეფით გავიდა გარეთ და ზურგს უკან ისევ ისე უხმაუროდ მიიხურა კარი.

ის-ის იყო თინათინს მტანჯველი ზმანებები განექარვა და, სულით და ხორცით მოშლილ-მორღვეული, ტახტზე ულონოდ მიგდებული და თვალებმილულული, ძლივ-ძლივ ძილში იძირებოდა, რომ, უცებ, ლარბის მსუბუქი ნაბიჯებისა და კარის ფრთხილი მიხურვის ხმამ გამოაფხიზლა. თვალები გაახილა. იდაყვებზე წამოიწია, გაოგნებულმა მიმოიხედა და წამოიყვირასავით:

— ლარბი?.. შვილო!.. სად მიდიხარ?!.. სად, სად გაქრი, ბიჭო?!

პირველი ნაწილის დასასრული

# კახა ტიგინაშვილი

## სათქმელი

მე რომ უნდა გითხრა,
ის სიტყვები არავის უთქვამს,
თაობებმა გაიყოლეს სინანული,
წყარონი დაშრნენ,
უდაბნონი განქარდნენ,
ამ სიტყვების
უთქმელობით...

## არდადეგებზე

...ვშორდებოდით
დედამიწის
ხმაურიან კბილანებს
და სიჩუმეში
ვიხსნებოდით
ტიტებად.

## გაღვიძებული მისწრაფება

გაგიხსენებს ჩუმი ნამქერი,
ხელახლა იგრძნობ
გულის ნათებას
და სიმსუბუქეს,
იგრძნობ სათავეს,
საიდანაც იწყებოდი,
სადაც ძგერდი,
საიდანაც გიყვარდა...

შენ იქნები
კვლავ უსაზღვროდ ბედნიერი,
შენი ხელები
დედამიწას შემოსვწდებიან.

## განცხადება

მოერიდეთ ოდისევსს,
მას ჯერ სძინავს
ბუტაფორულ ქალაქში,
მერე სადღაც იკარგება,
უკან ტოვებს
მშრალ ონკანებს
და სითეთრით დაბრმავებულ
ცივ აბაზანებს.

●

ვეღარ მოვრთე
ჩემი დარბაზი
საზეიმოდ,
გასაბრწყინებლად,
ვერ შევეხე
იატაკზე მიყრილ ქაღალდებს,
ვედროს,
ფუნჯებს,
და ათასგვარ უცხო მოსართავს...

პირველთოვლის
გასაოცრად პირველყოფილი
ჰქონდათ სითეთრე!

## მზადება

ვეძებთ ერთმანეთს,
მზადებაა
მზაკვრული,
მშვიდი,

ეროვნული
ბიბლიოთეკ

და ჩვენს ფიქრებში
ფრინველები გალობენ
ხშირად...

## ლოცვის მაგიერ

(მარიტას)

მე შენ გიპოვი ხარებაში და აღდგომაში
ოდეს ცოდვებით აივსება მთელი
სამყარო,
ოდეს მერცხლები სამუდამოდ
მიგვატოვებენ
და ქუთუთოებს მოევლება ცრემლის
არშია.

მე შენ გიპოვი ხარებაში და აღდგომაში,
შუა ზღვიდან მოვძებნი ნაპირს –
საგნებიდან – სიცარიელეს,
დავივიწყებ ყველა წვრილმანს:
სიბერიდან – სახლის კარის გაღებამდე...

შენი ტუჩების სისველეს
ჩემი ფრთები
სადმე იგრძნობენ..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოდარ მახარაძე

## ვაზი — მამაჩემის ორეული

ეზო დაბინდული ვენახებით,
ზოგან ბალახები მორეული...
ვაზი — მამის ხელის შენახები,
ვაზი — მამაჩემის ორეული...
მისი სიყვარულით სავსე გული,
ჩემთვის შეუცვლელი გაკვეთილი...
ქვევრები პირთამდე ავსებული,
იქვე ღვინის კოპა გატეხილი.
პირქვე დაცემული საწნახელი,
შავით შემოსილი დედაჩემი...
დარდები,
დარდები გასამხელი,
დარდები სიცოცხლის განაჩენი.
ეზო დაბინდული ვენახებით,
ზოგან ბალახები მორეული...
ვაზი — მამის ხელის შენახები,
ვაზი — მამაჩემის ორეული...

## გაზაფხულის სევდა

ჩამოიძენძა შავი ღრუბელი,
მზე მოტაცებულ ქალივით ქრება...
მაქვს მწვანე ფერით სული უძლები
და გულში ერთი პატარა სევდა.
თოვლში ილვიძებს ლურჯთვალა ია,
ზამთრის ნატყვიარს იშუშებს ბალი...
მამა, შენ ახლა ჭარმაგი გქვია,
მაგრამ არა ხარ დღეს ისე ლაღი.
გრძნობ უკვე მხრებზე წელთა სიმძიმეს,
ადიხარ, დუმხარ და... მენანება...
ცხოვრების გზებზე ბევრი იცინე,
მწარე დღეების დაგაქვს ზმანებაც.
ქარტეხილები განვლე დიდებით,
ფოლადის მკერდი წლებმა გაბზარა,
შეგრჩა დახრული ტყვიით ფილტვები
და კარადაში ძველი მაზარა.
დღეს შენ ავად ხარ... იგრძენი დაღლა,
გიჭირს, გამძიმებს შენი სხეული.
გიცქერ და ვამბობ, ვამბობ ხმამაღლა —
ომის მომგონი იყოს წყეული.
ჩამოიძენძა შავი ღრუბელი,
მზე მოტაცებულ ქალივით ქრება...
მაქვს მწვანე ფერით სული უძლები
და გულში ერთი პატარა სევდა.

## თოვს

თოვს და...
ფანტელები სულში ჩამიფრინდნენ,
თოვს და...
ჩიტუნები სახლში შემოფრინდნენ...
და როგორც ჩიტუნებს გაზაფხული
უნდათ
ო, მე ისე შენთან ახლოს ყოფნა მინდა...
თოვს და...
ფანტელები სულში ჩამიფრინდნენ...

## უსასრულოდ ამრავლე

ვიცი კაცი ჭკუამოკლე,
ხელმოკლე და სულმოკლე...
მოკლე,
მოკლე,
მოკლე,
მოკლე
და საერთოდ სულ მოკლე.
ვიცი კაცი დიდი... გრძელი,
განა ნიჭით? გონებით?
მფარველებით გაბლენძილი
და აგრეთვე ქონებით.
ვიცი კაცი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ღმერთო ჩემო),
მარტოსული, სულ მარტო...
უდიდკაცოდ, უმაშველოდ
დარჩენილი სულმნათი.
არის კაცი, კაცის კაცი,
ანდა კიდევ კაცუნა...
შედარება უფრო მკაცრიც –
ცალტვინა და ბლაცუნა.
დადის კაცი მიამიტის
ნილბითა და დევიზით,
ნორმალური დიამეტრის
ეშმას შესადარისი.
არის კაცი ჭეშმარიტიც,
კაცს ამქვეყნად რა დალევს...
ღმერთო, კაცი კაცურ ნიჭის
უსასრულოდ ამრავლე!

## შემოკლებული მადრიგალი

იქნებ პატარაა ჩემი საქართველო,
შავი ღრუბლები მიტომ ელტვიან.
იქნებ პატარაა მისი მთა და მდელო –
სასაცილოა, რას არ იტყვიან...
იქნებ ღრუბლებს უნდათ ფეხით
გადათელონ,
როგორც ოდესმე შაჰს ავად უფიქრია...
როდი გაშავდება მისი მთა და მდელო –
დღეს მას ღრუბლები ფეხებზე ჰკიდია...
განა პატარაა ჩემი საქართველო...
ის ხომ დიდია...

●

ქარი სულში ყვითელ ფოთლებს
ამიწეწავს,
ცას ბავშვივით აატირებს...
ქარის ჟინით გზად მხაპუნა წვიმა
ცეკვავს...
და როდესაც გადაიღებს,
მე კვლავ მოვალ...
მე კვლავ მოვალ შენს სარკმელთან,
როგორც ფრთხილი მონადირე...

●

მშვიდია ღამე...
მშვიდი ძილით სძინავს დიდ პოეტს,
მთაწმინდის მთვარე
ექსოვება საფლავის მიწას.

მშვიდია ღამე,
გეფიცებით მშვიდია, თორემ
ამაღამ გული
გრძნობისაგან უნდა დაიწვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთევან კვინტრაძე

•

შეხედე, ვაზის ფოთოლზე ნამი
როგორ საყვარლად აცეცებს თვალებს,
წამიც...
და ვაზი ფოთოლის ხელით,
ამ თვალებს მიწის მკერდს ანაცვალებს.

შენი თვალებით მიცქერს მიდამო
ამ დილით, ნამო...

•

გახედეთ,
მთებია ისეთი მაღალი...
რიჟრაჟი პირველად
ამ მთებზე ინთება...
პეპელას ფრთებივით
მზის სხივებს დავხარი
და სიზმრებს ვნახულობ
ალუბლის კვირტებთან.

•

მიხარის თეთრი არილი,
ზედ შემოფრქვევა ლილისა,
ამოხდომილი ცის მნათი,
ციმციმი ოქროს ლილისა,
გალობა გამორჩეული
ტოროლას ენატკბილისა,
გამოღვიძება ბუნების –
სუნთქვა აკვანში ჩვილისა...

## სულის ყვავილები

ჩემში ყვავილთა მოჯარება უცხო არაა,
მე სულის ბაღნარს
უთვალავი ყვავილი მიმკობს.
ვკრეფ სიხარულით ამ ყვავილებს
და სულ უჩუმრად
მსურს მათით ხელში ველს ვშვენოდე –
სამკაულ ვიყო...
არ მენანება! –
ჰა, შენ, ჩემი სულის ყვავილი:
სიკეთევ, მადლო, ერთგულებავ,
სინათლევ, სითბოვ!
ჰა, ხელოვნებავ ჭეშმარიტო,
ჰა, მოწიწებავ,
ჰა, სიხარულო, სიყვარულო,
ლმობავ და ნიჭო...
ჩამომიარეთ ოღონდ ხშირად,
ოღონდაც მრავლად,
ოღონდაც თქვენი
სუნთქვის სიომ შემოაბიჯოს,
ჰა, ჩემი სულის ყვავილნარი
დაუნანებლად,
სამკაულ იყოს, მოძღვნად იყოს,
შეწირვად იყოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რამაზ სურმანიძე

# მურღულის ქვა

მოთხრობა

რაა გაჩერებული წისქვილი?

არაფერი...

პატარა, ჯარგვალივით შენობა, წოწოლასახურავიანი, ზედ თოვლი რომ არ შემოკავდება. გაურანდავი ფიცრის კარი დიდი დაჟანგული ბოყვით არის დაკეტილი. ჩხრიალიც ისმის, მაგრამ ეს გადაგდებული წყლის ზანტი შხუილია, ჩვეულებრივი ჩანჩქერის ხმას მოგაგონებს...

...ბრუნვა-გრიალის დროს უნდა ნახო ეს უძველესი და განუმეორებელი მოწყობილობა, ადამიანის ჭკუა-გონებას უხსოვარი დროიდან რომ შეუქმნია და მის მოწყობილობაში დღემდე არაფერი შეუცვლია...

გახედავ გაღმა წისქვილს: კარი ღიაა, შენამდე აღწევს ერთმანეთში არეული წყლის შხუილის, ბორბლის გრიალისა და სარეკელას რაკუნი.

უსმენ და ბავშვობის მოგონებებიც აიშლება...

მინდის ამღები არ იყო მაშინ, მაგრამ წისქვილს თავისი მკაცრი რიგი ჰქონდა, ნობეთს ეძახდნენ. მოვიდოდნენ სოფლელები, ზოგი დიდი ტომრით, ზოგი კოდით, ზოგიც ნათახლით, მოიტანდნენ სიმინდს, ქერს, პურს, საფქვავს ერთმანეთზე მიადგამდნენ და ისედაც პატარა ტალანს კიდევ უფრო დაავიწროებდნენ. მეწისქვილედ ის ითვლებოდა, ვისი საფქვავიც იფქვოდა, ნობეთსაც ის აწესრიგებდა. ამოიწისქვილებდა თუ არა, მომდევნო პატრონი რომც არ გამოჩენილიყო. მეწისქვილე იმის მარცვალს ხვიმირაში ჩაყრიდა, მერე თავის ფქვილს ზურგზე მოიგდებდა და სახლისაკენ გასწევდა: გამოჩნდებოდა ახალი დამფქველი და ახლა ის იყო მეწისქვილე.

მოხვიდოდი შენც, პატარა ჩახვით სიმინდს მიდგამდი, ელოდი ნობეთს და შენც გახდებოდი მეწისქვილე...

თუ წყალი ცოტა იყო და ნელა იფქვოდა, ან შორს იყო შენი ნობეთი, ღამისთევაც მოგიწევდა, მოგშივდებოდა. მეწისქვილე აბა რისი მეწისქვილეა, ხალხი თუ მშიერი ჰყავს. ჰოდა, ისიც ეზოში ცეცხლს დაანთებდა, თავის ფქვილს ცივ წყალში მოზელდა, პატარა კვერებს მქერის ან ყურძნის ფოთლებში შეახვევდა და ღადარში ჩაფლავდა... რა გემრიელი იყო ეს ნაცარკვერა!..

ასეთი მოგონებები ახლაც, ორმოცი — ორმოცდაათი წლის შემდეგ მოგანატრებენ წისქვილს და სოფელს კიდევ უფრო შეგაყვარებენ, პურიც გაქვს, მჭადიც, სხვა რამეც, მაგრამ მაინც მოგენატრება სოფელიცა და წისქვილიც. ჰოდა, თუ ასეა, აგერ არ არის, გაღმა? კარიც ღიაა... წისქვილსაც ნახავ და მეწისქვილესაც.

●

ერთადერთი სიმინდით სავსე კოდი იდგა ტალანში, მეწისქვილე ძირს გაწოლილიყო და ჩასძინებოდა. მთელი ტანი ლინგი ნაფქვავით გათეთრებოდა, თმა, წარბები, წამწამებიც დაფიფქული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა. ხელები თავქვეშ ედო, ბალიშის მაგივრობას კი ორი თხელი ქვის ნატეხი უწევდა.

ამოჯილნილ-ამოცვეთილ ზღურბლზე ჩამოვჯექი და ყური მივუგდე სარეკელის რაკუნს, თანაც თვალს ვადევნებდი თავდაყირა დაკიდებული პირამიდა-ხვიმირიდან როგორ იყრებოდა ჯამში ოქროსფერი მარცვლები. იქიდან კი მბრუნავი ლოდის პირღია მუცელში კაკალკაკალ იკარგებოდა.

ამბობენ, ადამიანი თვალდახუჭულიც ხედავსო. ხედვის რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩახჩახა სინათლეს ჩრდილი რომ აეფარება, ამას მართლაც იგრძნობს ქუთუთოჩამოფარებული თვალი... სანამ მე მარცვლების ცვენას და ფქვილის რიტმულ ფეთქვას თვალს ვადევნებდი, მეწისქვილე არქიფო წამომხტარიყო და ტანსაცმელს იფერთხავდა. თვალი გამისწორა, მომესალმა, შემდეგ ფქვილს შეუშვირა ხელი, თითებში მოსრისა, მბრუნავი ქვის მარჯვნივ, ხის სახელურს წაეტანა, წამოსწია, ქვეშ შეყენებული პატარა ხის ნაჭერი ოდნავ გამოაჩოჩა და სახელური ისევ დაუშვა. მერე კი ალაზე ჩამოჯდა, ერთმანეთი მოვიკითხეთ და საუბარი გავმართეთ.

— ქალაქელებს მჭადი გიყვართ, ხომ ასეა? ჩვენც გვიყვარს, მარა თქვენთან მაინც უფრო მეტ დაფასებაშია, ჩემი ბატონი ხარ შენ.

— გვიყვარს მჭადი ქალაქელებს, მეც მიყვარს, მაგრამ ახლა მჭადი იმდენად არა... უბრალოდ წისქვილი მომენატრა, — ვუთხარი პასუხად.

— ჰო, საყვარელია, აბა რაა, სოფლის ხალხს სული ამით გვიდგია, ჩემი ბატონი ხარ შენ. — ისევ ფქვილი დაიყარა ხელისგულზე და თითებით მოსინჯა.

— ახლა თქვენ რომ მოგეწონებათ ისეთია, აბა გასინჯეთ, — ხელი გამომიწოდა.

მეც მოვაქციე სამ თითში კამკამა ფქვილი.

— კარგია, — მოვიწონე მეც.

— ხომაა კარგი. ჰოდა, ასეთ ფქვილს გაგატან ქალაქში, ჩემი ბატონი ხარ შენ.

მე გავიპატიჟე, მაგრამ ვინ დაგიჯერა. თაროდან პატარა ჩხვი ჩამოიღო, ალაში ჩაუშვა, პირი გაუშალა, ფქვილის ნაკადს შეუშვირა დ ისევ ჩამოჯდა.

— ქალაქშიც გაქვთ წისქვილები, — ირონიულად გაიღიმა არქიფომ და შემომხედა — ჩქარა კი ფქვავს ის დალოცვილი, მარა...

— რა მარა? — ვითომ ვერ მივხვდი. ისე კი ვიცოდი, ქალაქის წისქვილზე კარგს რომ არაფერს იტყოდა.

— ერთჯერ ვჭამე მაი მჭადი და სილისგან გამომცხვარი მეგონა...

— ომის დროს მამაჩემი სიმინდის ხვიტს დააქუცმაცებდა, მარცვლებში ურევდა და ისე ფქვავდა. წყლული ნაღდად იმ მჭადმა გამიჩინა, ისე, თუთუნსაც ვეწევი. ჰოდა, ელექტროწისქვილის მჭადი იმ ხვიტნარევში ვერ გავარჩიე. საბოლოოდ დაასამარა ქალაქური წისქვილი არქიფომ.

ხმამაღლა გამეცინა. ვიუხერხულე... მზერა ავარიდე და თვალი ქვის „ბალიშებისაკნ“ გამექცა.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ ბალიშად ხის ნაჭერი ხომ არ აჯობებდა? — ნახევრად ხუმრობით ვთქვი მე.

— კი ჯობდა, რავა არა, მარა ეს ქვები აქ აწყვია და... ჩემი ბატონი ხარ შენ.

— მერე რა უნდა ამ ქვების გადაყრას?

არქიფო ჩაფიქრდა.

— არა, ამ ქვებს არავინ გადაყრის, — თავაუღებლად ჩაილაპარაკა და გვერდზე გაიხედა.

— ვითომ, რატომ? — მეღიმება, ხუმრობა მეგონა.

— რატომ და... — არ გაღიმებია, წამოდგა ალაში ჩაიხედა, ჩხვის პირი მიმოასწორა. — მანამ ჩამოიფქვევა, თავს თუ არ შეგაწყენ, მოგიყვები.

●

ამ ხეობას ერთი კარგი გვარიშვილი ჰყავდა, დურმიშხან ცისკარიძე. ობლო-

ბაში და მოჯამაგირეობაში სხვის კარზე იზრდებოდა. ცოტა რომ წამოჩიტდა, სოფელში დაბრუნდა. სახლის კარებზე გადაჭედებული წაბლის სალტე მოხსნა, ცარიელი ოთახები მოაწესრიგა, ბუხარი გაათბო და ფუტი აადინა. მერე ერთი სოფლელი გოგო შეირთო და გავერანებული სახლი გააცოცხლა.

მისი ქონება უნაგირი, თეთრი ცხენი და ათა-ბაბადან გადმოყოლილი ხანჯალი იყო... ერთი ნაბადიც ჰქონდა, ლოგინის მაგივრობასაც რომ უწევდა.

ჭკვიანი ბიჭი იყო. მთელ თემში პირველმა ისწავლა წერა-კითხვა. საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გამოცხადდა, სახალხო მილიციას ჩაუყენეს სათავეში. პირველი თემსაბჭო რომ ჩამოყალიბდა, უკეთესს ვის ნახავდნენ და, თავმჯდომარედ აირჩიეს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სისტემა რომ შეიქმნა — ახლა ამ საქმეს თავკაცობდა.

ვერ მოთვლი, რა არ გაკეთდა ამ კაცის გარჯა-მეცადინეობით: რვაკილომეტრიანი გზატკეცილი, რამდენიმე ხიდი, დაწყებითი სკოლა, მოსწავლეთა პანსიონატი, სოფლის ამბულატორია...

...წისქვილი... ჰო, ეს წისქვილიც მისი აშენებულია. დურგალი მოიყვანა, გეგმა ფიცარზე დახაზა. ხშირად თავადაც ეჭირა ხელში ცული, ბურღი, სატეხი, კვერკვეტი, ხელეჩო და ეხმარებოდა... ჰოდა, წამოჭიმეს ეს ჩვენი მარჩენალი. ჯერი დოლაბებზე მიდგა. იქეთ ეცა, აქეთ ეცა და სადღაც აღმოაჩინა, აიკიდა და აქ გადმოიტანა.

ასეთი დაუდეგარი, მეზობლის მოყვარული, გამრჯე და გონებამახვილი კაცი იყო.

მალე სახელმწიფო ჯილდოს მიიღებსო, — ამბობდნენ. მაგრამ კარგ კაცს ბევრი მტერი ჰყავსო, ამასაც იტყვიან. ჩემი ბატონი ხარ შენ, და...

●

ერთი დამწვარი მეზობელი ცხოვრობდა სოფელში. ფარეშაშვილი. კაცი სულს რომ აძლევდეს, წყალს არ ასმევსო, სწორედ იმაზე იყო ნათქვამი. ჩვენი სოფელი ძველად მეტისმეტად უწყლო ყოფილა. ამიტომ ხალხიც ნაკლებად ეტანებოდა აქაურობას, სულ რაღაც თვრამეტიოდე ოჯახში ადიოდა ფუტი. ერთადერთი წყარო სოფლის ბოლოში იყო. ზაფხულის ხვატში სანამ იქიდან სავსე ჭურჭელს ამოიტანდი, წყალიც გათბებოდა. ასეთ დროს ჭას არაფერი სჯობია. პირველად თურმე იმ მკვახერეკია მეზობელს გაუთხრია ჭა. კარგა ცივი და კრიალა წყალიც ბლომად ამოსულა, მაგრამ რად გინდა, პატრონი ჭას ახლოს არავის აკარებდა. ერთ ღამეს წყურვილისაგან პირგამშრალ მეზობელს მის უკითხავად ჭიდან ერთი ვედრო წყალი ამოუღია. ეს რომ იმ წუწურაქს გაუგია, მეორე ღამეს ჭასთან ლოგინი გამოუტანია და გალესილი ცულით იქვე დაუძინია, ვინმემ წყალი არ წაიღოსო. „ძუნწი კაცის ჯამში ლუკმა არ დასველდებაო“ — იფიქრეს მეზობლებმა, მისი იმედით ყოფნა აღარ იქნებოდა და თვითონაც გათხარეს ჭები, ცოტა ხანში დურმიშხანის თაოსნობით მთის მდინარე არხში მოაქციეს, სოფელში სახმარ-სარწყავი წყალიც მოიყვანეს, წისქვილებიც ააგრიალეს და... ახლა აქ ცხოვრებას აღარაფერი სჯობს, ხალხიც გამრავლდა.

ფერი ფერსაო, იტყვიან და იმ ფარეშაშვილს ენამრუდი ცოლი ჰყავდა, ჭორხაბარას ეძახდნენ. იმის უთქმელი ქვეყანაზე არაფერი იყო, მთელი დღე იჯდა მოღრეცილ აივანზე და ჭორს ჭორზე ბლანდავდა ეს ენაჭარტალა დედაკაცი.

— ვის რად უნდა მაი როში ფქვილი, — გდასძახა ჭორხაბარამ ეზოში შემოსულ ქმარს, რომელმაც სავსე ტომარა ზურგიდან მოიხსნა და ბალავარის თაროზე შემოდო, — ერთი დააყურე დურმიშხანის წისქვილს, რანაირი ხმა აქვს. მურღულის დოლაბები ჩაუდგამს და იმისთანა ფანკალა ფქვილს ფქვავს თურმე...

— ჩაუდგამს და ჩადგას. — თავაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებლად თქვა კაცმა, ოფლიანი შუბლი მოიწმინდა და ბალავარზე ჩამოჯდა. — ამ ფქვილით ჭადი არ გამოცხვება?

— ეგ ტვინი გამოგიცხო ღმერთმა. ჟორწანის გაზრდილი დურმიშხანას ცინტლებმა ლინგი ფქვილი ჭამონ და ჩემმა ბალნებმა მაგი ღერღილი? — აწრიოკდა ქალი.

— რას აკრიახდი, ქალო, — შეუტია კაცმა. — სულის მოთქმა არ უნდა მაცალო?

— სულიც გაგძრობია და გულიც გაგხეთქია, შე ბობორჩხიკავ! — მერე ვითომც მოეფერა ქმარს: — რაცხა მურღულია, იქიდან შენ დოლაბებს ვერ მეიტან? მურღული სადაა, იცი? — დააყარა კითხვები.

კაცი ჩაფიქრდა, პასუხი დააყოვნა.

— კი, როგორ არა. ვიცი კი არა, მურღულში ნამყოფიც ვარ, მაგრამ მაშინ ის ჩვენი იყო. ახლა ქემალ ფაშასია, ათათურქის, თუ გამიშვებენ, ჩამოგიტან.

ჭორხაბარამ, როგორც იქნა, გაიგო, რომ ახლა მურღულიდან დოლაბების ჩამოტანა არც ისე ადვილი იყო, მაგრამ მაინც არ მოეშვა ქმარს!

— კი მაგრამ, იმან, იმ ცხვირმოღრეკილმა როგორ ჩამოიტანა... როგორ ჩამოიტანა, გეკითხები, — კაცმა პირი მოარიდა. — თუ ეს არ გავარკვიო, ქალი არ ვიყო, — ეშმაკი ენაზე დაისვა დედაკაცმა.

...ის ეშმაკი ფარეშაშვილს ყურში შეუძვრა.

●

ივლისის ერთ ცხელ დღეს შარაზე მომავალი სოფლის მასწავლებელი რომ გამოჩნდა, ყველას გაუკვირდა, — გუშინ საზაფხულო არდადეგებზე წასული, დღეს უკან რამ გამოაბრუნაო. მასწავლებელმა, ჩვეულებრივ, სკოლის ჭიშკარი კი არ შეაღო, აქეთ, კოლმეურნეობის კანტორისაკენ გამოემართა და ძელსკამზე ჩამოჯდა. ორიოდე გლეხი იჯდა ნიგვზის ჩრდილში. ისინი წამოდგნენ, მასწავლებელს მიუახლოვდნენ, სალამი მისცეს და მოიკითხეს.

სხვა დროს სახენათელი, გულზიარი და ღიმილიანი დომენტი ნანეიშვილი ახლა დაღვრემილი მოეჩვენათ. სალამზე პასუხი არ დაუგვიანებია, მაგრამ დამხვდურები არ მოუკითხავს და არც ხელი გაუწოდებია.

— ხომ მშვიდობაა დომენტი მასწავლებელო? — შეეკითხა ერთი გლეხი, — ჩვენ შინ წასული გვეგონე, თქვენ კი უკან დაბრუნებულხართ.

— პირადად მე არაფერი მიჭირს, საერთო საქმე ვერ არის კარგად, — ნაღვლიანად უპასუხა მან, თეთრი ხალათის ჯიბიდან დაკეცილი გაზეთი ამოიღო და მუხლზე დაიდო. ხელის მოძრაობაზეც ნერვიულობა ემჩნეოდა.

— კრება უნდა ჩავატაროთ, ამაზე დამაბრუნეს რაიონიდან.

— კი მაგრამ, ასე საჩქარო რა იყო?

— მოუთმენლობა დაეტყოთ სოფლელებს.

— დამეხმარეთ, საჩქაროდ ხალხი შევყაროთ, — თქვა და აღელვებულმა დაუმატა: — დანარჩენს კრებაზე გაიგებთ, ბიჭებო...

ოციოდე წუთში მთელი სოფელი კანტორის ეზოში მოგროვდა. დიდი ნიგვზის ჩრდილში მაგიდა და რამდენიმე სკამი დადგეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები სკამებზე ჩამოსხდნენ, ხალხი იქვე, კორდზე განლაგდა. მოხსენებისათვის სიტყვა დომენტი ნანეიშვილს მისცეს. მან გაზეთი გაშალა, ცოტა შეყოვნდა, თითქოს სათქმელი დაავიწყდაო და გაბზარული ხმით დაიწყო:

— უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა საკრებულომ, — დაასახელა თავმჯდომარის, წევრების და მდივნის გვარები, — მიმდინარე წლის 9 ივლისის დახურულ სხდომაზე დადგენილი წესით განიხილა იმ ბრალდებულთა საქმე, რომლებიც საბჭოთა წყობილების მოწინააღმდეგე ორგანიზაციაში იყვნენ. ამ ჯგუფის მიზანი იყო გამცემლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი. ჯაშუშური. მავნებლური, დივერსიული მუშაობა რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

შემდეგ მომხსენებელმა მოკლედ გააცნო ხალხს მოღალატეთა ძირგამომთხრელი საქმიანობა და სასამართლოს განაჩენი: სასჯელის უმაღლესი ზომა:... განაჩენი სისრულეშია მოყვანილიო, — თქვა და დასძინა: მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაო.

ხალხმა ბევრი ვერაფერი გაიგო. კრების შემდეგაც ერთხანს გარინდებულნი ისხდნენ, მერე ნელ-ნელა დაიშალნენ და მოულოდნელობით გულდამძიმებულ-გაოგნებულნი სახლებისაკენ გაემართნენ.

დომენტი მასწავლებელიც უკან გაბრუნდა.

სულ ახალ-ახალი ცნობები მოდიოდა სოფლებში. ერთი კვირის შემდეგ მოსახლეობას გაზეთებმა აუწყა, რომ გამომჟღავნდა ჩაქვის მეურნეობის დირექტორისა და მთავარი აგრონომის „დივერსიული“ საქმიანობა: მათ დროზე არ შემოღობეს მეურნეობის ეზო, რის გამო ჩაის პლანტაციებში პირუტყვი შევიდა და სახელმწიფო ქონება განადგურდაო. სოფელ სამერცხლიას კოლმეურნეობის თავმჯდომარის „ოპორტუნისტული უღარდელობა“ კი იქამდეც მივიდა, რომ სიმინდის თოხნა რამდენიმე დღით გვიან დაიწყოო, პლანტაციებში სარეველები ყოფილა. ცნობები ამ „კლასობრივი მტრების“ შესახებ ბოლოვდებოდა გულის შემძვრელი ლოზუნგებით:

გავსრისოთ საზიზღარი ქვეწარმავლები!

●

სულ სამიოდე დღეში თორმეტი კაცი წაიყვანეს.

სამ კაცში ერთი აუცილებლად დამსმენი იყო.

უნდობლობამ და ეჭვმა მოიცვა ყველაფერი.

დურმიშხანი ბათუმში დაიჭირეს. სამეულმა ათი წლით ციხე და ქონების კონფისკაცია მიუსაჯა. ცოლ-შვილი სახლიდან გამოყარეს. ბინა გამომძიებელმა დაიკავა, ქონებაც მანვე დაისაკუთრა. სოფელში მიწა ჩამოართვეს და ზედ კოლმეურნეობის თამბაქო დარგეს. ოჯახს შიმშილი დაემუქრა.

სოფლის ახლად ჩამოყალიბებული ფერმისათვის მწყემსი ვერ მონახეს. მენახირეობა არავინ ისურვა. ფერმის გამგემ იფიქრა, დურმიშხანის ოჯახში უჭირთ, უარს არ იტყვიანო და მის თორმეტი წლის ბიჭს თორმეტი ძროხა ჩააბარა.

ვილაცამ გამგეს ჩააწვეთა: მავნებლის შვილისთვის ძროხების მიბარებას დანაშაულად ჩაგითვლიანო. იმსჯელეს და შეთანხმდნენ — დურმიშხანის ბიჭისათვის თხების მწყემსობა მიენდოთ.

ამაზე ბიჭის ბაბუამ თქვა უარი, ბალანას რაღაც შარში ჩააგდებენო. ბევრს ეხვეწნენ, მაგრამ ვერ დაითანხმეს. მოხუცს საბაბიც ჰქონდა: მეზობელ სოფელში ერთი მწყემსი დააპატიმრეს, მიზეზი ის იყო, რომ ჩოხატაურში თხა იყიდა და ფერმის თხებში გაურია. ჯოგში ერთი სული პირუტყვი რომ დაეცა, იმ თხას დაბრალდა — ავადმყოფი ყოფილაო, და მწყემსიც ციმბირისაკენ გაუყენესო.

რა გაეწყობოდა, შრომისუნარიანი ოჯახში სხვა არავინ იყო და ყველას რჩენა ბაბუამ იკისრა.

●

სოფელში მაღაზია გახსნეს, ნოქარი ვერ ნახეს, არავინ ისურვა ვაჭრობა. ამასაც მარიფათი უნდა, წერა-კითხვა ხომ უნდა იცოდე, ანგარიშიც უნდა გეხერხებოდეს, ცოტა რუსულიც საჭიროაო, მსჯელობდნენ გლეხები, სოფლის რწმუნებულთა კრებას რაიკოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარე ესწრებოდა.

იგი წამოდგა და ხალხს მიმართა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ ნოქარი არ მოინახა მაღაზიის გახსნის დადგენილება უნდა გაუქმდეს. აბა ამ პატარა დუქანში სამუშაოდ სხვა სოფლიდან ვინ მოვა.

— სხვა სოფლიდან არც ჩვენ გვინდა! — დაიძახა ვილაცამ.

— ჰოდა, თუ არ გინდათ, თქვენს შორის გამონახეთ, — სიტყვა შეაგება სტუმარმა.

— ჯიმშერი, დურმიშხანის ბიჭი, — გაუბედავად თქვა ვილაცამ, — ხომ არ გამოდგებოდა?

გლეხებმა ერთმანეთს გადახედეს. ზოგს ფერმის ამბავი გაახსენდა, მამამისი ხომ ყველას ახსოვდა. გაზეთებიდან ისიც იცოდნენ, დურმიშხანმა დანაშაული რომ აღიარა.

— რომელია ჯიმშერი? — სწრაფად იკითხა სტუმარმა, — კრებაზე თუ გვესწრება?

— აგერ არის, — ოდნავ შემცბარი ხმით თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. — მაგრამ რა ვიცი, ამხანაგო მევლუდ...

— როგორ თუ რა იცი, — ხმას აუწია მევლუდმა, — კაცი გვჭირდება, აბა რომელია ჯიმშერი?

დარბაზის კუთხეში საშუალო ტანის, ქერა, ხუჭუჭთმიანი ბიჭი აიტუზა, სახეზე წამოწითლდა, წამით სტუმარს შეხედა და თავი დახარა.

— რამდენი წლისა ხარ, ბიჭო? — ჰკითხა მევლუდმა.

— თხუთმეტის, — იყო პასუხი.

— განათლება?

— შვიდი კლასი.

კიდევ რამდენიმე კითხვა მისცა სტუმარმა.

— ძალზე ახალგაზრდაა, მაგრამ რას ვიზამთ, ნოქრად არც მოხუცები გამოგვადგება, ჩვენ რომ გვჭირდება, ისეთები ყველა ჯარშია.

— ასაკი არაფერია, ამხანაგო მევლუდ, ბიჭიც საკმაოდ მკვირცხლია და მოხერხებულია, მაგრამ...

— რა მაგრამ? — გაბრაზება დაეტყო თავმჯდომარეს.

პარტორგმა სტუმარს რაღაც გადაუჩურჩულა. მევლუდი სკამზე დაეშვა და წუთით ჩაფიქრდა, შემდეგ ისევ სხარტად წამოდგა:

— არა უშავს, შვილები მამის საქციელზე პასუხს არ აგებენ, — დამაჯერებლად თქვა მან, — ამის პასუხისმგებლობას ჩვენი გამგეობა კისრულობს.

დამსწრეთ სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაუარა. იმ ავბედითი წლების შემდეგ ამ სოფელში ასეთი გაბედული სიტყვა პირველად ესმოდათ.

რწმუნებულთა კრება დამთავრდა.

სტუმარი ჩქარობდა და მაშინვე კარისკენ გაემართა.

გასასვლელთან თეთრწვერა მოხუცი ჩამომჯდარიყო. მევლუდი მიუახლოვდა თუ არა, მოხუცი წამოდგა, წელში გაიმართა, ჯოხს ჩამოეყრდნო და თვალი გაუსწორა. სტუმარმა იფიქრა, გამომშვიდობებას აპირებსო და ხელი გაუწოდა. მოხუცმა ჯოხი მიაგდო და სტუმრის ხელი თავის დაძარღვულ ხელებში მოიქცია.

— თქვენი მობრძანებით სოფელი მადლიერია, მაგრამ მე ჩემი წილი მადლობა ორმაგად უნდა გადაგიხადოთ.

— რა ვქენი ასეთი, ბაბუა? — გაიღიმა მევლუდმა.

— შენ ისეთი სიტყვა თქვი, — მოხუცი შეყოვნდა: — მამის მაგივრად შვილი პასუხს არ აგებსო, ასე არ იყო? ეს ახალი და დიდი სიტყვაა, შვილო.

— კი, ბაბუა, ახალია, მაგრამ ეს სიტყვა მე არ მეკუთვნის...

— მადლობა, შვილო, შენ რომ არ გვსტუმრებოდი, ეს სიტყვა ჩვენს მიყრუებულ სოფელში ისევე ვერ მოაღწევდა, როგორც ყველა ჩვენი სატკივარი, სიტყვა და საქმე ვერ მიდის აქედან.

მევლუდი კიბეზე დაეშვა. მის სახეს კმაყოფილების ღიმილი დიდხანს არ მოშორებია.

●

მეწისქვილე შებრუნდა და ალაში ჩახედა. ჩახვი ლინგი ფქვილით გავსე-

ბულიყო. ამოიღო, გვერდები გულდასმით გადაფურცლა, თავი მოუკრა.

— ეს შენია, — მითხრა და კუთხეში დადგა.

მე ვიუხერხულე და სიტყვა ბანზე ავუგდე.

— დურმიშხან ცისკარიძე აღარ დაბრუნებულა? — შევეკითხე.

— როგორ არა, ორმოცდაშვიდის აგვისტოში ჩამოვიდა. უნდა გენახა, რა ენერგიითა და გულმოდგინებით შეუდგა შრომას. ყურადღებას არ აკლებდა არც ოჯახს და არც სოფელს, მაგრამ რად გინდა, წელიწადნახევარიც არ იყო გასული, ერთ ზამთრის დღეს კაცი ამოვიდა, თემში გიბარებენო, პირდაპირ ტყიდან წალდით და ქალამნებით წაიყვანა... სამუდამოდ ხარ გადასახლებულიო, გამოუცხადეს და ციმბირი ისევ აქეთ დარჩა.

— მიზეზი?

— არც ვინმეს უკითხავს და არც ვინმეს უთქვამს. ასეა საჭირო, მორჩა და გათავდაო, ჩემი ბატონი ხარ შენ.

გული დამიმძიმდა, შეკითხვებისათვის სიტყვებსაც ვერ ვპოულობდი, მაგრამ ინტერესი არ გამნელებია, მინდოდა გამეგო, როგორ წარიმართა იმ კაცის ცხოვრება.

— მერე?

— რაი მემრე, კიდევ რვა წელი ტკეპნა ციმბირის ყინული და ორმოცდათხუთმეტის ბოლოს ჩამოვიდა. გამართლების ქაღალდიც მიიღო და ორი თვის ხელფასიც . მისცეს, — არქიფომ ირონიულად გაიღიმა, წამოდგა და ჯამს შეხედა, შიგ ორი მუჭა მარცვალი დარჩენილიყო. ვიღაცის ტომარა ძალოსანივით სწრაფად მხარზე მოიგდო, ზესაწია და ხვიმირში გადაუშვა. მერე ლაფერი აიღო, ფქვილი ქლაში გვერდზე მიახვეტა და ცარიელ ტომარაში ჩაყრას შეუდგა.

— ცოტა ადრე ამოსულიყავი, თვითონ მოგიყვებოდა... ტკბილი და დამაჯერებელი საუბრის მოწმე გახდებოდი... ნასიამოვნები წახვიდოდი, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მეუბნება არქიფო.

მე მინდოდა მეთქვა, საუბარს კიდევ მოვასწრებთ-მეთქი მაგრამ, ამასობაში მეწისქვილემ ფქვილით სავსე ტომარა ზურგზე მოიგდო, ცალ ხელში ჩახვი დაიჭირა და გარეთ გავიდა, მეც გავყევი, გზაც ერთი გვქონდა.

სოფლის შუაგულში კარგად მოვლილ სასაფლაოსთან ჩავიარეთ. ერთ ახალ საფლავთან ორი ახალგაზრდა ფუსფუსებდა, ბალახებს გლეჯდნენ და მათ ადგილას ყვავილებს რგავდნენ.

ჩვენც იქ შევჩერდით, ჩემმა თანამგზავრმა ტომარა საფლავის ქვაზე ჩამოდო და თვითონაც ჩამოჯდა და მეც გვერდით მომისვა. ბიჭებმაც საქმეს თავი მიანებეს, მოგვიახლოვდნენ და მოგვესალმნენ.

— მისი შვილიშვილები არიან, — თემური და ზაალი. მათი ბაბუა აქ დავმარხეთ შვიდი დღის წინ, ოთხმოცდაათს მიახლოებული იყო... — მეუბნება არქიფო.

მივხვდი, ვიზეც ამბობდა. კარგა ხანს ჩუმად ვისხედით, გვერდზე მოვიხედე, ბიჭებიც ჩვენთან ჩამომსხდარიყვნენ და იმათაც ჩვენსავით თავი ჩაექინდრათ.

— იმასთან შენისთანა კაცს უნდა ესაუბრა, — დუმილი არქიფომ დაარღვია. — ბევრ ახალ ამბავს გაიგებდა და ჩაიწერდა. ახლა რაღაი... ჩემი ბადაბუდი რა მოსასმენია, ჩემი ბატონი ხარ შენ...

წამოდგა და ტომარას მოეჭიდა. მეც ავდექი და ტვირთის აწევაში მივეხმარე.

— ბედი არ გინდა? ათი დღით ადრე რომ ამოვსულიყავი, თურმე როგორ კაცს ვნახავდი, — გულდაწყვეტილმა ჩავილაპარაკე და გზას გავუდექით. ოციოდე ნაბიჯი გვექნებოდა გავლილი, ზაალმა დაგვიძახა. შევჩერდით.

— ბაბუას ხმა მაგნიტოფონზე მაქვს ჩაწერილი, მისი თავგადასავალია.

არქიფო ტვირთიანად მობრუნდა. ერთმანეთს მივაჩერდით.

●

მაგნიტოფონში ჯერ ვიღაცის შეკითხვა გაისმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...აჰა, თქვენ გაინტერესებთ რა ბრალდება წამომიყენეს? გაგეცინებათ რომ გითხრათ. საზღვარგარეთელ კონტრაბანდისტებთან გქონია საქმე, აკრძალული საქონელი შემოგქონდა და გაგქონდა, იმათ დაგაკავშირეს უცხოეთის დაზვერვასთან და ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდიო. გაგონილი მქონდა, გამომძიებლები მძიმე ბრალდებას წამოგიყენებენ, შეგაშინებენ, თუ ეს არ გამოუვიდათ, მერე პატარა ბრალდებაზე დაგითანხმებენო. აქაც ასე იყო საქმე, ისიც ვიცოდი, ამ სისულელეებს ვერ დამიდასტურებდნენ...

აღიარებ თუ არა შენს დანაშაულს? — მეკითხება გამომძიებელი, ჩემი ახლო ნაცნობი, რამდენჯერ სახლშიც მყავდა სტუმრად, მასთანაც ვყოფილვარ, თან ხელში მსხვილ მათრახს ათამაშებს.

— რას ამბობ, ისაკ, შენ თვითონ არ იცი, მე რა კონტრაბანდისტი და მზვერავი ვარ? ამის აღიარება იქნება? — ვეუბნები.

ლაპარაკი არ მაცალა, მათრახი მთელი ძალით ბეჭზე გადამარტყა. ზაფხული იყო, ტანზე მხოლოდ პერანგი მეცვა. ტკივილისაგან დავიკლაკნე, მაგრამ ეს არაფერი, მიკვირდა, გონს ვერ მოვსულიყავი, როგორ შეიძლებოდა ამ კაცს ჩემზე ხელი აღემართა.

— მურღულიდან დოლაბებიც არ ჩამოგიტანია? — მომახალა.

მე ოდნავ შევყოვნდი და მწარედ გავიღიმე.

— რას იცინი? — წამოხტა გამომძიებელი და მათრახი მომიღერა, — ზურგს აგიჭრელებ, თუ ამასაც უარყოფ, შენი...

ისაკ მესხრიკაძე აღარ ხუმრობდა!

— არა, ისაკ, ამას არ უარვყოფ. მურღულის ქვები მართლაც გვაქვს... მთელი სოფელი ხმარობს... იმ ფქვილით გამომცხვარი მჭადი ჩვენც გაგვიტეხია...

გამომძიებელი დაჯდა, მათრახი ქვემოთ ჩამოდო, საწერ-კალამი აიღო და სქლად შეკრულ ქაღალდებზე წერას შეუდგა. მე ვიჯექი, თავში მწარე ფიქრები მიტრიალებდა: თურმე რამდენიმე საათში შეიძლება კაცი გაველურდეს, მხეცად იქცეს, ყველაფერი ადამიანური დაივიწყოს და ბოროტი სული ჩაიდგას. ნათქვამია, მეგობრებიც და მტრებიც ერთი საზომით უნდა გაასამართლოო, მაგრამ ეს ხომ ნამდვილ დამნაშავეებს ეხებათ.

გამომძიებელი წერას მორჩა, მსხვილი კალმისტარი მაგიდაზე დააგდო და თავი ასწია. თვალი გავუსწორე, სახეზე კმაყოფილება შევნიშნე.

— ამგვარად, აღიარებ, რომ ოსმალეთიდან ჩამოიტანე წისქვილის ქვები, ასე არ არის? მაშინ მოაწერე ხელი, — მითხრა და ქაღალდების სქელი შეკვრა ჩემკენ შემოაბრუნა.

— კი, ბატონო, ვაღიარებ, რომ წისქვილში მაქვს მურღულის დოლაბები, მაგრამ ისინი სამოცი წლის წინ ჩემმა ბაბუამ ჩამოიტანა. იმერხევში სიძე ჰყოლია, დის ქმარი და იმას უჩუქებია რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე, მე მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი. ეს ქვები ხელუხლებლად ეგდო სახლის სხვენზე, შემთხვევით აღმოვაჩინე, თუ ისე ჩაწერთ, როგორც მოგიყევით, ხელსაც მოგიწერთ, თუ არა და, ტყუილს ვერც მათქმევინებთ და არც ვაღიარებ, — ვთქვი მე.

გამომძიებელი ექლის თვალით მიყურებს. რამდენი ხანია ვიცნობ, ამდენი ბოღმა და ცინიზმი, რაც ახლა შევნიშნე, არასოდეს შემიმჩნევია. არ ვიცი ჯალათად ქცეული „მეგობრის“ ხელში მყოფს რამ გამაბედვინა:

— რაც გითხარით ნახევარ გვერდზე დაეტევა, თქვენ კი ორასგვერდიან საქმეზე მაწერინებთ ხელს, — ვუთხარი და უნებურად ქაღალდები მისკენ გავწიე.

ჭროლა, გამყინავი თვალებით კვლავ მე მიცქეროდა. იქნებ ადამიანურმა გრძნობამ გაანათა მისი გონება. ეტყობა, რაღაცის მოფიქრებას აპირებდა, მაგრამ უცებ „საქმეს“ ორივე ხელი მოჰკიდა, დახურა და გვერდზე მიდო.

— ფარეშაშვილს იცნობ? — შემეკითხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ არა, ჩემი მეზობელია. — მივხვდი რატომ მეკითხებოდა. — იმან გამხადა კონტრაბანდისტი და მზვერავი?

— ჰო, იმან და კიდევ ერთმა შენმა ნათესავმა.

— ისაკ, მე ვხვდები, რომ უკვე განწირული ვარ, მაგრამ ერთი თხოვნა შემისრულე, შენ ამით არაფერი დაგაკლდება, — შევეცადე გამომძიებელი როგორმე კაცად მექცია. — მომიყვანე დამსმენები, დამიპირისპირე, როგორც წესია, ისინი თავისას იტყვიან, მე — ჩემსას და მერე, რაც გინდათ, ის ჰქენით.

— ვნახოთ, შეიძლება სხვა დროს დაგიპირისპიროთ, — მითხრა, მაგრამ შევნიშნე, თავისი სიტყვებისა არ სჯეროდა.

მოგვიანებით საკანში გავიგე, ფარეშაშვილს სხვებიც დაუსმენია, დაპირისპირების დროს ერთი უდანაშაულო პატიმარი გამომძიებელს დასხლტომია და დამსმენი ფანჯრიდან გადაუგდია. ჩემი ნათესავის ვინაობა მაშინ საიდუმლოდ დარჩა.

— კარგი, ხელმოწერაც აღარ არის საჭირო, ისედაც მოგისჯიან რაც გეკუთვნის, თავისუფალი ხარ, — მითხრა გამომძიებელმა.

ერთხანს გახევებული ვიყავი. ერთი ძველი შეგონება გამახსენდა: „სადაც არ არის მართლმსაჯულება, იქ ბუნაგია და არა მამული". ხმამაღლა თქმას ვაპირებდი, მაგრამ მოთმინება ვარჩიე — ესეც ხომ სიმამაცეა.

დერეფანში გამოვედი და მეშვიდე საკანისაკენ გავწიე.

მეორე დღესვე გაზეთებში დაუწერიათ: დურმიშხან ცისკარიძემ დანაშაული აღიარაო.

რაც „ვაღიარე", თქვენ თვითონ მოისმინეთ, დღესაც არ ვიცი, იმ ორასგვერდიან საქმეში რა ეწერა..."

●

უცებ ქარი ამოვარდა და სინათლე ჩაქრა. მაგნიტოფონიც დადუმდა.

— დამცველი გადაიწვებოდა! — წამოიძახა თემურმა და გარეთ გავარდა.

— ნეტავი, მართლაც რა ეწერა იმ ქაღალდებში? — მეუბნება არქიფო.

— მე მგონია, იქ ჩვეულებრივ შეთხზული, მოგონილი ბრალდებები, ცილისმწამებელთა ჩვენებები იქნება. არც ღირს წაკითხვა, ამაზე მართალს და საინტერესოს რას მოისმენ, — ვეუბნები და ხელს მაგნიტოფონისაკენ ვიწვდი.

— თქვენ მხოლოდ ათ წუთს უსმენდით, სამ საათზე მეტი დაგრჩათ. აი, შუქი ჩაირთვება და გავაგრძელოთ, — გვითხრა ზაალმა და ლამპა აანთო.

თემური დაბრუნდა. დაღვრემილი იყო.

— დამცველის ბრალი არ ყოფილა, — უთხრა ზაალს.

დიდხანს ველოდეთ სინათლეს, მაგრამ ქარი კიდევ უფრო გაძლიერდა, შუქის ჩართვის იმედი დაგვეკარგა... შეხვედრა სხვა დროისთვის გადაიდო.

# ცისანა მიქაძე

●

მე ვარ — დედა;
მე ვარ — მიწა;
არ ეგების დედამიწის დავიწყება:
ალმასების თესვასავით არის;
მარგალიტის პნევასავით არის — თესლი.
მზისგან გამონაყოფი, არ დავკარგო,
ერთიასად დაგიბრუნო ნაყოფი.
სულო, ჩემო, კუნაპეტში, თეთრ ღამეში
არ გაგეშვას, არ დაკარგო გუმან-გეში.
ალმასების თესვასავით არის;
მარგალიტის პნევასავით არის...
თავისუფალს ფერად-ფერად შიშებისგან
განთიადზე დამებადა გილგამეში.

●

დიდი ბუნების შევაღეთ კარი,
ქარის შრიალი
დასტრიალებდა ოკეანის უდაბურებას:
შენ ქარი იყავ,
მე — ოკეანე,
საღვთო შურნი შიგ ილვრებოდნენ —
უცხო წადილნი,
სხვანი და სხვანი...
შემოსძარცვოდა ხორციელი საფანელი,
შემართულიყო ცათა სასერად...
დაქროდა ქარი...
რა წარმომშობმა ძალამ აღავსო,
გაითავისა,
გამოისახა ქარის სახეში წული უფლისა.

●

ეხეთქება მსოფლიო რიფებს
მეხად ვეშაპი —
დუჟმოღვენთილი,
მუცელს გვრემს, ავად იხლართება...
მაოხრებელი მისი ხელი რასაც ეხება —
ჭირხლი ედება;
იტუსება ხე და ბალახი...
მზის დაბნელება მოჰბერს ქარიშხალს.
რწმენის კაცების გულების ფეთქვა
ქვეყნიერების სანაპიროს,
ვგონებ, მისწვდება,
აღმოცისკრდება!
შენი თვალების საწიერზე გათამაშდება
არა კვლავ შობის მისტერია,
მისი გაქრობასთან ზიარება.

●

გამყინვარების სეზონი გრძელდება...
წვეთ-წვეთად გამოდის სენი საუკუნო.
სტრიქონს ქვეტექსტად ცრემლი ეტანება.
არე ტორტმანებს. შიშველი ზმანება
ქარს მიაქვს. მიჰყვება.
ხაზი და ფორმა ხელიდან მისხლტება.
გამყინვარების სეზონი გრძელდება...
აქვს კია რეზონი პათოსს:
ამოხდების მზე!
ამოჰყვება სიცოცხლე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზაირა სამხარაძე

### მთაწმინდა

მთაწმინდიდან გადავიხედე:
ღამის ქალაქი უხმაუროდ მოქროდა
ჩემსკენ,
ვით ზღაპრული, ტურფა ხალიჩა,
ავსებული მარტოოდენ ლურჯ
ვარსკვლავებით
და მე ვიცდიდი, ველოდებოდი,
პეშვი მქონდა მომარჯვებული,

დარწმუნებული ვიყავი,
რომ უსათუოდ შევაგროვებდი,
რადგან გული
სავსე მქონდა ბედნიერებით.

### იები

დილით, როდესაც იები იბადებიან,
ზარების რეკვა სულ არ ისმის,
თუმცა, ზეცისკენ ბრუნდებიან
მათი მოლურჯო გვირგვინები.....
მარტო ჩურჩული
ავსებს მზისგან შეღებილ ჰაერს.
ნელი სურნელით შენავებულს.....
ღამით კი, როცა მოდის ჩრდილები,
ხოლო იმედი გაღმა გასცურავს,
იები დაბლა ემხობიან,
როგორც პაწია ლურჯი ზარები,
რომლებმაც დარეკეს
და დადუმებულნი მოლზე დაწვნენ...

### სიყვარული

ოდესღაც, ძალზე დიდი ხნის წინათ,
მზისგან დახრუკულ მხურვალე ქვიშაზე
შენი სახელი გამოვიყვანე...
მერე თამაშში თანდათან გავერთე,
და იმ ქვიშაში
შენგან მიძღვნილ ყვავილებთან ერთად
შენი წერილიც ჩავფალე.
გამოხდა ხანი,
მძლავრმა ქარებმა ის ქვიშა გაიტაცეს
და წერილიც შორს გადაკარგეს.
როდესაც ვიპოვე და გავხსენი,
ქაღალდი იყო სრულიად სუფთა,
როგორც პირველ დღეს.

### ნიჟარის შიგნით დარბაზში

საღამოთი ვიწყებ წერას,
ნიჟარის შიგნით, მის დარბაზში.
საღამოთი ვიწყებ,
რადგან ღამით ვაგროვებ ფიქრებს,
რათა დილით გავფანტო,
ღამის ღრუბლებში ავიდე,
და მოვამზადო სული სიხარულისთვის...
საღამოთი ვიწყებ ჩემს ამბავს
გამთბარი სხეულის შიგნით...

### პატარძლები

პატარძლები ვართ
თეთრ კაბაში გამოწყობილნი,
როცა ქათქათა, გრძელ სუფრასთა
გალობის ხმებში ჩაძირულები,
პეპლები მხრებზე გვასხდებიან...
პატარძლები ვართ
მზის ჩასვლის დროსაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა წითელი ატლასის კაბა
ტანზე ცეცხლივით გვეკიდია,
როცა ხმის დაძვრაც აღარ ძალგვიძს,
თითქოს ქვიშაში ჩაგვემარხოს
ჩვენი სულები...
პატარძლები ვართ მთვარიანშიც,
როცა ვერცხლისფერ, მბრწყინავი კაბით
ღამის ხეივანს მივაშურებთ,
ბნელს გავანათებთ
და ციცინათელებს დავემსგავსებით.

## ღამე

აჰა, მოვიდა ღამე –
თავისი შავი მარმარილოს ტანით,
ვარსკვლავებით თეთრად დაწინწკლული.
მე მას გვერდით მივუწექი,
გრილი იყო მისი სხეული,
გრილი იყო მისი მთვარე და
ვარსკვლავები,
მე ჩამეძინა მის სიგრილესა და
ბრწყინვალებაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზუმრუდ გოდერძიშვილი

## საიდუმლო სერობა

ფრესკა

და მაცხოვარმა
ჭმუნვა წამიერ,
ჩამოიცილა მშვიდად სახიდან,
წარმოსთქვა ესე:
— „ძმანო ჩემნო,
ერთმა თქვენგანმა
უკვე გამყიდა“.

## ბებერი ჭადარი

დახეთქილ ტანზე
მომედო ხავსი,
და შემომაცვდა მშრალი ფესვები,
ცხელი დღეები მიდიან ტანჯვით,
საცაა ფლატეს გადავემსხვრევი.
ქარი მალიმალ ღმუის ქადილით,
ღრუბლებმაც ჩემთან ჰპოვეს სათავე,
მეხი, გრიგალი ცაზე გადივლის
მოვა, მომნახავს და გამათავებს.

●

ალარ გეთმობი
სევდავ ჩემო,
ალარ გეთმობი,
მოხიბლული ვარ
ეგზომ შენი
ერთადერთობით.

## იასამანი

გვიან აყვავდა იასამანი,
გვიან აყვავდა — ნოემბრის თვეში,
მშვენიერ სულდგმულს ჩემი სალამი,
ჩემი სალამი მშვენიერ შეშლილს...
სავსეა კდემით და სინაზეთი,
ვით სამეჯლისო თეთრი ხატება,
რას მივაწერო მისი ასეთი
ნაგვიანევი გამოცხადება...
აყვავდა თეთრი იასამანი,
დაგვიანებით — ნოემბრის თვეში,
ჩემი სალამი, ჩემი სალამი,
ჩემი სალამი მშვენიერ შეშლილს!.

●

შემოდი დილავ ამ ბნელ ოთახში,
ჩამოხიე სველი კედლები,
დაივანე ჩემთან ცოტახნით,
ო, გევედრები.

შემოდი დილავ,
დაამსხვრიე ღამის სამანი,
ფიქრების გოდოლს ჭერი ახადე.
შენ გდის სურნელი იასამანის,
შემოდი ჩემთან
ვიდრე ვინმე დაგინახავდეს...

## რადგან მიწა ვარ

რადგან მიწა ვარ,
რადგან ცრემლი ვარ,
რადგან წვიმა ვარ,
რადგან ქარი ვარ,
თუ სადმე კვალი გადარჩენილა,
არ ვიხსენები ქვეყნად ღარიბად.
ჩემია ვაზი ათასწლეული,
ეს მთა,
ეს ძელქვაც ჩემად ითვლება,
ჩემია ლელი
და ლერწმის ყელიც,
ხვალ სალამურად რომ გაითლება...
რადგან მიწა ვარ,
რადგან ცრემლი ვარ,
რადგან წვიმა ვარ,
რადგან ქარი ვარ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მეცხრე სიმფონია, მეცხრე სიმფონია,
სიმშვიდე ფიქრებთან
უსიტყვოდ პაექრობს,
მუსიკას ცრემლივით მჭვირვალე ფონი
აქვს, —
მე გისმენთ მაესტრო,
ახლა გახსენებაც ძალიან ძნელია,
რა უნდა მენატრა, რა მსურდა საერთოდ,
თუმცა ეს მუსიკა ძალიან ძველია,
ამ წუთში საოცრად მიყვარხართ
მაესტრო,
მეცხრე სიმფონია, მეცხრე სიმფონია,
ცრემლები ახრჩობენ გულს, —
ნამდვილ კამერტონს,
სიტყვები, სიტყვები ველარ მიპოვია,
ო, გმადლობთ მაესტრო...

*

## თეძამთან

ნატვრის ხე და
ის საღამო,
დარჩენილი თეძამთან,
ო, რა დიდხანს დამეძებდა,
ო, რა დიდხანს მეძახდა,
თეთრ ხიდზე რომ გვიყვებოდნენ,
ხიდიაო თამარის.
მდინარეს რომ ერტყა
წელზე,
როგორც ვერცხლის ქამარი,
რკონის წმინდა სალოცავი,
დაბურული ნაძვნარით,
იდგა როგორც მეციხოვნე,
უმშვენესი ტაძარი,
ხვთისმშობელი
გვაცილებდა,
თავის ლოცვა-კურთხევით,
...ის ადგილი მენატრება
რალაც განსაკუთრებით.

## მთავარია

მთავარია, რომ არ ჩაქრეს კვარი,
მთავარია, არ ჩანელდეს რწმენა,
თორემ ქარმა შეისრუტა ცვარი,
დააჩქარა ხეთა ფოთოლთცვენა.
მთავარია გადარჩენა სულის,
მთავარია რწმენის გამზევება,
თორემ სხვათა დაუმცხრალი შური
იზეიმებს ველურ ალზევებას.
სადლაც ავად ფათიფუთობს იჭვი,
ცაზე ავად გადიქროლა ძერამ,
ვილაც ჩუმად ჩემს ეზოკარს ჩიჩქნის
და მიდამოს მტრული თვალით ზვერავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## უილიამ შექსპირი

# ლუკრეცია

...ძრწის გულმოწყლული, დაკოდილი, როგორც ირემი,
ტყე უსიერი ერთიანად სისხლით მოლება,
ტყით მოიქცევა გატანჯული, ნაცოდვილევი,
თუმც მარეკებთან უძნელდება ბრძოლის მოგება
და თავისივე უმწეობას ეამბოხება;
ასე — სიცოცხლე გაგამდიდრებს, გაგაბობოლებს,
დაბერდები და — ჩაგაბარებს თავის ოპონენტს.

„მაგრამ ვინ მისტვენს: — „სიკვდილიო!“ — რა ხორხოცია?
ხორცი მოვკლა და, დაბოლმილმა, სულიც წავაკლა? —
რომ ჩემი თავი ერთიანად, სულით-ხორციან
ღმერთს შევავედრო უდრტვინველად, როგორც ზვარაკმა
და გავაცხადო უკუღმართი დედის ქარაგმა, —
ერთ შვილს რომ ჰკლავს და კიდევ უფრო იმით გვაოცებს,
რომ მეორესაც მიაქანებს სასაკლაოზე.

ხორცი თუ სული — სიყვარული ვისთან საუბრობს,
კვლა — გამარჯვება ალმოჩნდება რომლის მხარეზე?
ერთი შევწირე ზეციერის წმინდა საუფლოს.
სხვა — მიწიერი ვნებებისთვის ვაასპარეზე.
მაგრამ ჩინარი უჩინოა მერქნის გარეშე:
ასევე სულიც — განძარცული ხორცის გარსიდან —
უილაჯოა სიყვარულის მუნ წარსაზიდად.

წარტყვევნილია ვანი მისი და ნატაცარი, —
შეყოლიებას სჯობიაო ძალით შეთრევა;
შელანძლულია სათნოების წმინდა ტაძარი,
არც სიყვარულის საბუდარი აღარ მეთნევა,
და მკრეხელობად რანაირად ჩამომერთმევა, —
თუ გამოგანგრევ, ბოროტების ციხე-სიმაგრევ,
და სულისათვის საიდუმლო გვირაბს მივაგნებ!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 2, 3, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ვერაგობას — ჯერარნახულს, უმაგალითოს —
ქმარს მოვახსენებ უსიკვდილოდ, ჯვარზეც გამაკრათ,
რომ სიკვდილამდე შურისგების აღთქმა დამიდოს...
ხოლო სისხლი კი. ჩემი სისხლი, აგერ სამმაგად
ტარკვინიუსმა მიითვალოს ანდერძ-ნამაგად:
    თუ მოისურვებს, — უკანასკნელ ამოოხვრამდეც
    მისი არის და საჭიროა მასვე მოხმარდეს.

ჩემს მკვლელ დანას კი, ღირსებათა ძველი სკივრიდან
უნდა მიეზღოს საზღაურად იგივ ღირსება,
რა ღირსებითაც სამსხვერპლოზე ჩემს თავს მივიტან, —
რომ დავუბრუნო შელახული პატივისცემა
სახელს, რომელიც უსამართლოდ ასე ისჯება,
    უღირსობა კი მოვაკვდინო, და ვყო სასისხლედ
    ეს ხორციელი უხამსობა და სიაზიზღრე.

მეუფევ ჩემო, ბედისაგან უარყოფილო,
აწ მიიცვალა დედოფალი უბრწყინვალესი...
შენ შეგიძლია, — მომაკვდავი ცრემლით მოფინო
და უმწეო სულს გაუნელო ცეცხლის თარეში;
და მოირები — მწუხარების ამ სიმთვრალეში —
    შურისძიების ანგელოზებს შემოგასევენ:
    „— ტარკვინიუსი უნდა მოკვდეს... მოკვდეს ასევე!..“

მაშ, გავასრულოთ: მალე სული ცას შეერწყმება,
ხორცი, შენც იცი, ჩაინქრევა, მტვერში ჩაქრება,
შენ მოგეცემა გამძლეობა, ხოლო შერცხვენა
მტერს მიეზღვება სალანძღავად, ლაფში სათრევად,
წარჩინება კი იმისთანებს მიემადლება,
    ვინც ესტუმრება ლუკრეციას ციხე-აივნებს
    და სტუმრობისას გუნებაში ცუდს არ გაივლებს.

ო, კოლატინუს! უკუნითი უკუნისამდე
შენი ვიყავ და შეწევნასაც შენ გთხოვ ხელახლა,
სისხლით მოვიბან მე ჩემს სირცხვილს... მეტსაც ვიზამდი,
რომ თვითმკვლელობით ალმეკვეთა და ამელაგმა,
რაც სიცოცხლეში დამაწია ცრუმ და ვერაგმა.
    ხელი გულს მოჰკლავს, გული — ხელებს: იცის ორთავემ,
    ერთიმეორეს რანაირი მადლით მორთავენ!..“

ასე გარიყეს მოირებმა და გამოაკლეს, —
მარგალიტებად გადმოჰყარა ცრემლი დიაცმა
და სიკვდილის წინ საწყალობლად უხმო მოახლეს...
ხოლო მოახლემ, რა თქმა უნდა, მყისვე იაზრა
და გულისყური შეაგება, ვით აიაზმა:
    დგას ლუკრეცია შეჭირხლული, ვით ცის ტატნობი —
    ზამთრის ქარ-წვიმით გალეული და დანაღნობი.

მშვიდობის დილა მოახსენა დიდი თავაზით, —
ჯერაც, ღვთის მადლით, ზრდილობისგან არ განძარცულა! —
და რა იხილა მწუხარების ბნელ აკლდამაში,
ქალს ესლა ჰკადრა: — „ქალბატონო, თქვენმა ჯვარცმულმა
სახიერებამ მშვიდობაში გადამარწმუნა:
რას მოასწავებს უთენია ასე დაბნევა,
ან ეგ ორი მზე — ორი თვალი — რამ დააბნელა?"

როგორც მზე სტირის, დაისებმა ცა თუ დახურეს,
რომ ცრემლი ჰყარონ ყვავილებმა, როგორც თვალებმა, —
ამ სანახავით დამძიმებულ მოსამსახურეს
გულს შეუღონებს ქალბატონის ჩუმი წვალება
და პირისახე ტკივილებით დაეცვარება,
და ჩაანელებს მწუხარების ულვთო თარეში
ცხარე ცრემლების მარილოვან ოკეანეში.

სპილოსძვლისდარი ნაკვეთობით, ღვთისდარ მშვენებად
ცრემლის მორევში ყელყელაობს ორი მარჯანი;
ქალის ბუნება ასეთია, მოგეხსენებათ:
ოღონდ ერთი თქვი — ცრემლიაო დასახარჯავი
და ღაპალუპით ჩამოსცვივა ცრემლი არჯალი;
ჩვენი ქალი კი, — ერთი ნახვით რაც შემიტყვია, —
ცრემლს ზრდილობისთვის ალვარლვალებს, როგორც იტყვიან...

ო, მამაკაცის ნებისყოფავ რკინისებურო, —
ქალი ცვილია, როგორც უთქვამთ, კაცი — გრანიტი:
შენ შეგიძლია ჯადოსნური ძალით შებურო
მისი ნატიფი მგრძნობელობა, და მიამიტი
ტვინი შეძრა და სამუდამოდ მოსპო ამითი...
ბევრი ეცადა ქალთაგანი, ბევრიც იურვა,
მაინც გასტეხა ძალადობამ დემონიურმა.

იწროა ქალის ბუნება და გლუვი ვაკისებრ,
ზედ მღილიც კი ჩანს — ჩვენდა სასოდ, ჩვენდა იმედად,
მამაკაცებს კი ბედისწერა სხვა როლს გვაკისრებს,
რომ გულისგულში ჩავიხვიოთ ჯანღი მღვიმეთა,
ვინც ეშმაკები საბუდრაოდ გამოიმეტა; —
კაცი სცოდავს და ცოდვებისთვის ვერ მიგვიგნია,
ქალის სახე კი ყველასათვის ღია წიგნია...

ვარდის დაზრობა, როგორც წესი, ზამთრის ბრალია, —
ღმერთმაც ხომ იცის, როგორ ვარდობს ვარდი აპრილში, —
რაც შეეხება ქალის ქცევას, ქალი ქალია
და ყველა მისი ახირება, მისი კაპრიზი
უხერხულია განსასჯელად და უკადრისი:
კაცია ქალის შემოქმედი, ქალის ავტორი
და ყოველგვარი ცოდო-ბრალის ბატონ-პატრონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუნდაც ავიღოთ მაგალითი ლუკრეციასი:
ამაზე მეტი დამცირება რაღა იქნება? —
სიკვდილის მერეც მითქმა-მოთქმა, ხალხის გნიასი...
მაგრამ სიკვდილი სიკვდილია: მკვდრის გაწითლება,
მე როგორც ვიცი, სამარცხვინო საქმედ ითვლება.
მაინც შფოთავს და ფეთიანობს მფრთხალი ჩიტივით —
არ დაცხრებაო ქვებუდანი მკვდართან ჭიდილით!..

ეს მონა-ქალიც დამღლელია და მომქანცველი,
შუშტრუკანა და, ჩვენში დარჩეს, ცოტა მობაზრე:
— „ო, ქალიშვილო, მართალია, შენი ლაწვები
ამ უთენია ცრემლით მორწყე, სისხლით მობასრე, —
ვეჭვ, წაგაქეზო ამისთანა თანალმობაზე:
ცრემლს რომ შეეძლოს რაიმეთი ჩემი შეწევნა, —
არა მგონია, დახმარება სხვასთან მეძებნა...

„— ეხლა ესა სთქვი, — მეჯავრება კია ბეზღობა, —
ტარკვინიუსმა სასახლიდან როდის გაქუსლა?"
„— გამთენიისას გაემგზავრა, — როცა, ეტყობა,
მზის სხივებიდან ასხლეტილმა ერთმა ნაკუწმა
გაალვიძა და წასასვლელად ჟინი აღუძრა;
დამნაშავე ვარ: გაპარვისას ალბათ შეელოდა
ჩემი ძილი და გულუბრყვილო უზრუნველობა".

მერე, ასე ვთქვათ, დითირამბებს მითეს-მოთესავს:
„— რამ დანისლაო სხივმოსილი თქვენი ხატება?"
„— გიპასუხებდი — მძიმედ უთხრა: — მაგრამ როდესაც
ცნობიერებას უძნელდება ყოვლის დატევა
და მწუხარება მწუხარებას აღემატება, —
ბევრად აჯობებს ერთი სიტყვა: — „ჯოჯოხეთია!" —
სიტყვიერების უსასრულო ტევრში ხეტიალს.

მაშ, რაღა დარჩა: ხვაშიადის წარმოჩენაღა,
საწერ-კალმის და მელნის პოვნას განა რა უნდა! —
ამასობაში, შესაძლოა, კაცი გენახა,
ვისაც ჩემს ბარათს ჩააბარებ და თან დაურთავ —
ჩემი პატრონის გულისსწორთან და ნანდაურთან
დაუყოვნებლივ გაფრინდი-თქო, ქარს გაუსწარი,
რომ თავის დროზე მიაწვდინო ცოლის უსტარი!.."

მხევალი გადის პალატიდან... ქალმა შფოთიან
სულწასულობით აიტაცა ხელში საწერი,
მის არსებაში გაშმაგებით მიდი-მოდიან
იჭვი, ფიქრი და სულსწრაფობა: აბა, გაძელი,
როს კარიბჭესთან, ოკრობოკრო და ალმაცერი,
ბრბო მოგაწყდება სისხლიანი, ხარბი თვალებით
და ტვინს გიბურღავს უთავბოლო არევ-დარევით!

„— ჩემო მეუფევ!" — მტკივნეულად იწყებს დიაცი: —
„შენი ღირსება სამუდამოდ გაუფასურდა!
კვლავაც თუ შეგრჩა სიყვარული ლუკრეციასი,
გადაარჩინე მისი სული, რაც უკაცურთან
ნაცრად იქცა და, დანაცრული, დაღმა დაცურდა...
დარცხვენილია ჩემი დარდიც, თვალს ვერ გისწორებს,
რაც ნაწილობრივ ამჩნევია ამ ეპისტოლეს..."

ბარათს, მისი თქმით, სათაკილოს და საიუგოს,
ცალყბად გაანდო ბანოვანმა არსი ნამდვილი:
კოლატინუსმა გაუგოსო... როგორ გაუგოს,
სიტყვებს თუ ამბობს ქარაგმულად, და დანართივით
ცრემლებს დაურთავს ალაგ-ალაგ, როგორც მარტვილი:
ისევ სჯობია გაეცალოს ამ საგარეწროს
და საკუთარი გაბახება სისხლით წარეცხოს!

ცეცხლი, რომელიც განიცადა ტანჯულის გულმა,
მიუვა მის ქმარს, ნათელს შეჰფენს და შეაქრება;
თუმც სიტყვიერად ალბეჭდილი ცრემლი და ურვა,
ჰაი-ჰუი და წარამარა ენად გაკრეფა
ამ გაჭირვებას წაადგება დია ნაკლებად:
როცა სიტყვები ვერას გაკლებთ, შხამო და კუპრო,
უპრიანია მოქმედება სიტყვებზე უფრო.

მოდის სიტყვა და მწუხარებას მოარონინებს,
რომ გულისყური შეაგებოთ, კარი გაუღოთ,
მაგრამ ყურს მაინც თვალი გვიჯობს, თუმცა ორივეს
ერთ სატკივარზე ვავარჯიშებთ უსაზღაუროდ, —
მოკლედ, ზღვის წყალი მეჩეჩებთან უფრო ხმაურობს;
ლიტონი სიტყვაც ასევეა: ქარს ჰგავს, დიახაც,
ერთს დაბერავს და გააქარწყლებს გრძნობის ნიაღვარს.

წერილს დალუქავს, გადაკეცავს... ქმართან წასაღებ
სიტყვებს ცრემლად და მწუხარებად დაახარისხებს,
ყმას შეუძახებს — გაფრინდიო არდეასაკენ,
არ შეეპუო ჩრდილოეთის ქარს და ქარიშხლებს,
და, დალოცვილი, სამრეკლოებს ისე არიგზებს, —
ღმერთო გცოდე და, აშკარაა — მაგრად შეტოპა,
ჩანს, ზედმეტობას ხშირად მოსდევს სხვა ზედმეტობა!

ყმა კი არ ჩქარობს: ჩამოართვა წიგნი კრძალულად,
მერმე თვალები მიაშტერა უხმოდ, ნელიად
და, დარცხვენილმა, წამიერად თვალი წალულა...
„ქურდს ქუდი ეწვის!" — ძველთაგანვე უთქვამთ გენიათ
და დიაგნოზიც მართებულად დაუდგენიათ;
„— მონა შეცბაო!" — ნერვიულობს უკვე დიაცი.
„ჩანს, ეცნაურა გაბახება ლუკრეციასი!"

მაგრამ მსახური — ღმერთი, რჯული! — სიტყვას ეძიებს:
ქალბატონოო, სათხოვარი კიდევ გექნებათ!
იგი არ ჰგავდა მოლაქლაქე ქარიხვეტიებს,
რომ მოდგებიან ერთგულების მქადაგებლებად,
მაგრამ საქმის დროს, ამწუხაროდ, ტვინი ებნევათ:
    ძველი ყაიდის კაცი იყო: დიდი ავანსი
    არ სჭირდებოდა საქმეების ავან-ჩავანში.

ეჭვის სადავე დედაკაცმა მაინც მიუშვა
და უნდობლობა ჩაიხვია, ჩაიშინაგნა:
რა სისაძაგლეც დამაწია ტარკვინიუსმა,
უკვე მიხვდაო გაუთლელი ჩემი შინაყმა,
და ორმა თვალმა — ანთებულმა ორმა ჩირაღმა —
    რომ შეაცბუნა ხელმეორედ მისი მსახური, —
    ჩემს გაწბილებას დასცინისო ეს უსახური!

და ისევ დარდი, ისევ ფიქრი, ისევ დაღვრემა, —
ყმამ, ეს-ესაა, გადალახა ზღურბლი სასახლის...
დრო კი არ ჩქარობს, ზანტად მიდის, — რა ენაღვლება,
თუ ლუკრეციას — წარჩინებულ ჩვენს დიასახლისს —
ცრემლის თხევა და მწუხარება ასე გადაღლის!
    დახვეულია ტკივილები სისხლის რგოლებად,
    ქალი გზას ეძებს ტკივილების დასაბრკოლებლად...

და ახსენდება ლუკრეციას ერთი ნახატი
(მოგონებებო, მძივებივით როგორ ისხმევით!):
ელენეს ცრემლი, პრიამოსის მოთქმა-ღაღადი,
როს ილიონი — უჩვეულო გაგულისებით
(რაც ხელოვანის ფრესკაშია ნაგულისხმევი) —
    ცამ აიტაცა ღრუბელ-ღრუბელ და ეამბორა, —
    ვით ურანოსმა ამბროსიით სავსე ამფორა.

რაც სიცოცხლის თვალს ბუნებაში დაუძებნია,
აქ ხელოვნების უსიცოცხლო ენას ხმარდება:
ცივი ცვარ-ნამი, მაგალითად, ცოლის ცრემლია,
რაიც მოკლულ ქმარს უშუალოდ მიემართება,
მიმხმარი სისხლი ბრძოლის ხმაა და შემართება,
    ხოლო მკვდარი მზე, — უსხივობას რომ დაახშირებს, —
    ჰგავს ბნელ ღამეში ჩარიგებულ ქვებს და ნახშირებს...

ვხედავთ გაოფლილ მიწის მუშებს, დაღლილ მეომრებს
(რას გახდებოდნენ უწვალებლად, ღამის უთევად?),
კოშკებიდან კი მერამდენედ ძალმომრეობენ
ხელმოცარული ტროელები, და მთელ უტევანს
უნუგეშობის კაეშანი ებუტბუტება...
    ასე აღბეჭდა მწუხარებამ ეს რიტუალი,
    დია განივრცო ხელოვნების რეპერტუარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება წინამძღოლებს, გეტყვით ამაზეც:
მათი ბრძოლა და თავშექცევა, მათი ლექსობა
შეხამებია ჭაბუკების ჭარბ სიმამაცეს...
დიდად გარჯილა ხელოვანი, რათა ეგზომად
დაფეთებულთა ლეგიონიც შიგ ჩაექსოვა, —
საშიშროების მოლოდინში რომ ძრწის გლეხივით —
ასე ვაგლახად მოკაკვული და მოგრეხილი.

აწ მოვიხილოთ ოდისევსი და აიაქსი:
აქ ავანსცენა აცნაურებს თავის კულისებს
და სახეები გვახედებენ სულის წიაღში...
დაბლეერილია აიაქსი, ხოლო ულისეს,
მე შენ გეტყვი და, რაიმეთი გააგულისებ:
დგას ეშმაკურად, სახეპირზე ღიმი ერევა
და ღიმთან ერთად — შეფარული თვითდაჯერება.

აჰა, ნესტორიც — მეამბოხე მამა ბერძენთა:
ისე ქუხდა და იმისთანა ცეცხლი ემოსა, —
როგორც იტყვიან, მშობიარეს გააბერწებდა!
გულს უჩქროლებდა ხმალშემართულ ყრმას თუ წვეროსანს,
ხაფი ძახილით ატოკებდა მთის კენწეროსაც, —
მტრის ლეგიონებს მილალავდა გზის გასაყართან
და მოთუხთუხე ოხშივარი ცამდე აჰყავდა!..

თანაც ამხელა ჯამაათი როგორ მოძებნა,
სად მოაქუჩა ესოდენი ფოლიანტები?
თუ — საიდანღაც მოფრენილმა სირინოზებმა
ხალხს დაახვავა სიმღერების კორიანტელი?
კიდევ — რაც მოჩანს წინა პლანზე, ორი ამდენი
ისე გითრევს და გატრიალებს წალმა-უკუღმა,
რომ ლამისაა ჩაგანელოს ღამის უკუნმა!

თავი თავს ფარავს, ზედახორამ ბევრი მოცელა,
ვისი ცხვირის ქვეშ დაიბუდა ვისმა ყურებმა
და არის ერთი რია-რია, მიწევ-მოწევა:
ეს მგლებად ნათლავს ხალხის გროვას, ეს — ურჩხულებად,
ეს — ყველა მომსვლელს გაბლეერილი ეჯუჯღურება
და მთელ ამ კრებულს სიტყვის ძალა რომ არ კვებავდეს,
დაეთმობოდა ასპარეზი ხმლების დებატებს.

ამ ზედახორას განდგომოდა თვით აქილევსი
და მხოლოდ შიშველ ფანტაზიას — ბნელს და უსიერს,
ეჩვენებოდა მისი შუბი წინა რიგებში;
და მაინც ხალხი — სინამდვილე გულს რომ უსიებს,
აღტკინებული მიჰყვებოდა ტკბილ ილუზიებს
და შუბთან ერთად, აქილევსიც — ეს ცის მსახური —
სულ თვალწინ ჰყავდა ხორციელად წარმოსახული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ნიმუში ოსტატური შემოქმედების:
გმირს რომ გუნება დაუშაქროს და დაუნექტროს,
ტროის გალავნებს ეფინება ჰიმნი დედების,
რომ აცილებენ ბრძოლის ველზე მიმავალ ჰექტორს, —
შვილებს გწირავთო სიხარულით და მუხლებს ვდრეკთო!
    მაგრამ დედის გულს ალტკინება რაში არგია? —
    ამ ფრესკიდანაც გამოსჭვივის ეს ნოსტალგია...

შენ კი — კლდეებში საბურაოდ და სადარბაზოდ
რომ მითუხთუხებ სამოსიდან დარდანელამდე,
სისხლის მდინარევ, ლამისაა, ღვარცოფს წარბამო, —
რომ გაიწვართო, როგორც გველი, მერე გველადვე
გზისპირ გაწვე და ლელიანში წითლად ელავდე,
    და ღვარს, რომელიც ხეობებში მითეს-მოთესე,
    აზვირთებდე და აქაფებდე ცისფერ კბოდეზე.

...მიდგა ფრესკასთან ლუკრეცია და მიეყუდა,
სევდის ნიშანწყალს სახეებზე დიდხანს არკვევდა,
მთელ ტროელებში ერთადერთი იყო ჰეკუბა,
რომ მიაგება უნაპირო სასოწარკვეთა,
მთლად დანაცრა და, დანაცრული, სადღაც წარხვეტა:
    იწვა პრიამოს — გაცრეცილი, ვით პაპირუსი
    და მედიდურად დასცქეროდა გულქვა პიროსი.

ამ სიუჟეტით ხელოვანმა ცხადყო სრულიად,
რომ დაძველება უწერია ყველა ახალშენს,
რომ სილამაზე დასაჭკნობად განწირულია,
რომ დრო, რომელიც ყოველივეს ასე ახავსებს,
ბოლოს და ბოლოს გაირჯება მზეთუნახავზეც, —
    იბარტყებს კია ნედლი ყლორტი ხმელი ფიცრიდან? —
    ეს წყაროც ჩაშრა, ჩაილია და ჩაიწრიტა...

ინგლისურიდან თარგმნა **ჯემალ აჯიაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ლევ ტროცკი

# სტალინი

●

საგაზეთო ტალღა მატულობდა, იზრდებოდა კავშირი მუშებთან. ყოველკვირეული ვეღარ პასუხობდა მოძრაობის მოთხოვნებს. „ზვეზდა" ყოველდღიური გაზეთისათვის ხელმოწერების შეგროვებას შეუდგა. „1912 წლის ზამთრის მიწურულს, — წერს ყოფილი დეპუტატი პოლეტაევი, — პეტერბურგში გამოჩნდა გადასახლებიდან გამოქცეული სტალინი. მუშათა გაზეთის საქმე სწრაფად დაიძრა წინ". სტატიაში „პრავდის" მეათე წლისთავისათვის" (1922 წ.) თვითონ სტალინი უვება: „ეს მოხდა 1912 წელს აპრილის შუა რიცხვებში. ერთ საღამოს პოლეტაევის ბინაში სათათბიროს ორი დეპუტატი (პოკროვსკი და პოლეტაევი), ორი ლიტერატორი (ოლმინსკი და ბატურინი) და მე, ცკ-ის წევრი, შევთანხმდით „პრავდის" პლატფორმის თაობაზე და შევადგინეთ გაზეთის პირველი ნომერი". სტალინის პასუხისმგებლობა „პრავდის" პლატფორმის შესახებ აქ თვით მის მიერ დასტურდება. ამ პლატფორმის არსი შეიძლება შევაჯამოთ სიტყვებით: „იმუშავე, დანარჩენი თვითონ მოწესრიგდება". მართალია, თვითონ სტალინი გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის დღეს, 22 აპრილს დააპატიმრეს, მაგრამ მთელი სამი თვის განმავლობაში „პრავდა" განაგრძობდა მისი მონაწილეობით შემუშავებულ პლატფორმაზე დგომას. გაზეთის ლექსიკიდან ამოირიცხა თვით სიტყვა „ლიკვიდატორი". „საქიროო იყო ლიკვიდატორებთან შეურიგებელი ბრძოლა, — წერს კრუპსკაია, — აი, რატომ აღელვებდა ვლადიმერ ილიჩს ის ამბავი, რომ დასაწყისში „პრავდა" ჯიუტად კვეცდა მისი სტატიების იმ ნაწილს, სადაც მიმდინარეობდა ლიკვიდატორებთან პოლემიკა. იგი „პრავდას" გულმოსულ წერილებს წერდა". როგორც ჩანს, მათმა მცირე ნაწილმა მოასწრო სინათლის ხილვა. „ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც, — ჩივის შემდეგ კრუპსკაია, — საერთოდ უგზოუკვლოდ იკარგებოდა ილიჩის სტატიები, ზოგჯერ კი მის წერილებს აყოვნებდნენ, მაშინვე არ ათავსებდნენ გაზეთში, მაშინ ილიჩი ნერვიულობდა, „პრავდას" გულმოსულ წერილებს უგზავნიდა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლიდა".

„პრავდის" რედაქციასთან ბრძოლა „ზვეზდასთან" ბრძოლის პირდაპირი გაგრძელება იყო. „დაუშვებელია, მავნებელია, დამღუპველია, სასაცილოა, მუშებს დავუმალოთ უთანხმოებანი", — წერს ლენინი 1912 წლის 11 ივლისს. რამდენიმე დღის შემდეგ იგი გაზეთის მდივნის, ახლანდელი სახკომსაბჭოს თავმჯდომარე მოლოტოვისაგან მოითხოვს, აუხსნან, რატომ ხდება, რომ გაზეთი „ჯიუტად, სისტემატურად შლის ჩემი და სხვა კოლეგების სტატიებიდან ლიკვიდატორების ხსენებას". ამ დროისათვის ახლოვდება მეოთხე სათათბიროს არჩევნები, ლენინი იძლევა გაფრთხილებას: „პეტერბურგში მუშათა კურიის არჩევნები აუცილებლად განვითარდება ლიკვიდატორებთან ბრძოლის თანხლებით. ეს იქნება მოწინავე მუშებისათვის ყველაზე ცხოველი საკითხი. მათი გაზეთი კი გაურბის და თავს აარიდებს სიტყვა ლიკვიდატორის... ამ საკითხების უგულებელყოფა თვითმკვლელობას უდრის".

ლენინის მახვილ მზერას კრაკოვშიც არ გამოპარვია პარტიის შემრიგებელი ზედა ფენის მდუმარე და ამით კიდევ უფრო განმტკიცებული შეთქმულება. მაგრამ იგი დარწმუნებული იყო საკუთარ სიმართლეში. მუშათა მოძრაობის სწრაფ გამოღვიძებას ჯიქურ უნდა წამოეყენებინა რევოლუციის ძირითადი პრობლემები, ფეხქვეშ გამოეცალა ნიადაგი არა მარტო ლიკვიდატორობის, არამედ შემრიგებლობისთვისაც. ლენინის ძლიერება იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ იცოდა, როგორ შეექმნა „აპარატი", — მას ამის გაკეთებაც შესანიშნავად შეეძლო

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 1, 2, 3, 4, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არამედ იმაში, რომ ყოველგვარ კრიტიკულ მომენტში მან იცოდა, როგორ წარემართა მასების ენერგია ყველანაირი აპარატისათვის დამახასიათებელი შეზღუდულობისა და კონსერვატიზმის დასაძლევად. ასე მოხდა ამჯერადაც. მუშათა მზარდი მოძრაობის და კრაკოვიდან გამათრახების წყალობით „პრავდა“, თუმცა შიგადაშიგ კვლავ ჭიუტობდა, თანდათან ტოვებდა მომლოდინე ნეიტრალიტეტის პოზიციებს.

სტალინი პეტერბურგის ციხეში ორ თვეზე ცოტა მეტ ხანს იჯდა. 2 ივლისს მას აგზავნიან ახალ გადასახლებაში, ამჯერად 4 წლით. ( ურალის იქითა მხარეს, თავისი ტყეებით, გზებითა და ჭაობებით ცნობილ ტომსკის გუბერნიის ჩრდილოეთით მდებარე ნარიმის მხარეში. დანიშნულების ადგილზე მიმავალი კობა სოფ. კოლპაშევში, სადაც რამდენიმე დღე გაატარა, ხელახლა ხვდება ჩვენთვის უკვე ცნობილ ვერეშაკს. აქვე იმყოფებოდნენ სვერდლოვი, ი. სმირნოვი, ლაშევიჩი, — ძირძველი ბოლშევიკები. მაშინ იოლი არ იყო, გეწინასწარმეტყველა, რომ ლაშევიჩს სტალინი გადასახლებაში ამოხდის სულს, სმირნოვს დახვრეტს, სვერდლოვს კი მხოლოდ ნაადრევი სიკვდილი დაიფარავს მსგავსი ხვედრისაგან. „სტალინის ნარიმის მხარეში ჩამოსვლამ, — უვება ვერეშაკი, — გამოაცოცხლა ბოლშევიკების საქმიანობა და აღინიშნა გაქცევების მთელი სერიით“. რამდენიმე სხვა გადასახლებულის შემდეგ სტალინიც გაიქცა: „ის თითქმის აშკარად გაემგზავრა პირველი საგაზაფხულო გემით...“ სინამდვილეში სტალინი ზაფხულის ბოლოს გაიქცა. ეს მისი მეოთხე გაქცევაა.

12 სექტემბერს პეტერბურგში დაბრუნებულ სტალინს საგრძნობლად შეცვლილი ვითარება ხვდება: მიმდინარეობს მშფოთვარე გაფიცვები, მუშებს ქუჩებში კვლავ გამოაქვთ რევოლუციური ლოზუნგები, მენშევიკების პოლიტიკა აშკარად კომპრომეტირებულია, ძალზე გაიზარდა „პრავდის“ გავლენა. ამასთან, ახლოვდება სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. არჩევნების აგიტაციის ძირითადი ტონი უკვე განსაზღვრულია კრაკოვის მიერ; საწყისი პოზიციები დაკავებულია; არჩევნებში ბოლშევიკები ლიკვიდატორებისაგან განცალკევებით და მათ წინააღმდეგ გამოდიან; ხდება მუშათა დარაზმვა დემოკრატიული რევოლუციის სამი უმთავრესი ლოზუნგის ირგვლივ: რესპუბლიკა, რვასაათიანი სამუშაო დღე, მემამულეთა მიწების კონფისკაცია; წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის განთავისუფლება ლიბერალთა გავლენისაგან; მუშების მხარდამხარ საბრძოლველად გლეხობის მიზიდვა — ასეთია ლენინის საარჩევნო პლატფორმის ხელმძღვანელი იდეები. აზრის გაბედულებას დეტალებისადმი შეუნელებელ ყურადღებას რომ უხამებდა, ლენინი თითქმის ერთადერთი მარქსისტი იყო, რომელმაც ბრწყინვალედ შეისწავლა სტოლიპინის საარჩევნო კანონის ყველა მახე და მარყუჟი. იგი არა მარტო პოლიტიკურ მითითებებს იძლეოდა, საარჩევნო კამპანიის ყოველდღიურ ტექნიკურ ხელმძღვანელობასაც ახერხებდა; პეტერბურგის დასახმარებლად საზღვარგარეთიდან გზავნიდა სტატიებს, ინსტრუქციებს და საგანგებოდ მომზადებულ ემისრებს.

დღეს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა კატეგორიას მიკუთვნებული საფაროვი 1912 წლის გაზაფხულზე, შვეიცარიიდან პიტერისაკენ მიმავალი, გზად კრაკოვში შეჩერდა, სადაც შეატყობინეს, რომ საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად მიემგზავრება, აგრეთვე, ინესაც, ლენინთან დაახლოებული პირი, პარტიის ცნობილი მოღვაწე. „მთელი ორი დღის განმავლობაში ილიჩი პირდაპირ თავში გვიტენიდა ინსტრუქციებს“. მუშათა კურიის რწმუნებულთა არჩევნები პეტერბურგში 16 სექტემბრისათვის დაინიშნა, 14-ში ინესა და საფაროვი დააპატიმრეს.

„მაგრამ პოლიციამ ჯერ არ იცოდა, — წერს კრუპსკაია, — რომ 12-ში დაბრუნდა გადასახლებიდან გამოქცეული სტალინი. მუშათა კურიის არჩევნები წარმატებით ჩატარდა“. კრუპსკაია არ აღნიშნავს, „სტალინის წყალობითო“, იგი, უბრალოდ, ერთმანეთის მიმდევრობით წერს ორ ფრაზას. ეს გახლავთ პასიური თავდაცვის ხერხი. „ქარხნებში მოწყობილ სახელდახელო შეკრებებზე, — ვკითხულობთ ყოფილი დეპუტატის, ბადაევის მოგონებების ახალ (ძველში ეს ფრაზა არ იყო) გამოცემაში, — გამოდიოდა ნარიმიდან ახლახანს გამოქცეული სტალინი“, ალილუევი, რომელმაც თავისი მოგონებები მხოლოდ 1937 წელს დაწერა, გვამცნობს: „სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობდა IV სათათბიროს არჩევნების ვეებერთელა კამპანიას... იგი არალეგალურად იყო პიტერში, მუდმივი თავშესაფარი არ გააჩნდა და კონსპირაციული მოსაზრებით და იმის გამოც, რომ არ სურდა, გვიან ღამემდე გაჭიანურებული კრებიდან დაბრუნებულს რომელიმე ახლო ამხანაგი შეეწუხებინა, ხშირად ღამის დარჩენილ ნაწილს ჭიქა ჩაიზე ათენებდა რომელიმე ტრაქტირში“. ზოგჯერ „წეკოს ბოლით გაჭვარტლულ ტრაქტირში მჯდომი „ჩათვლემასაც“ მოახერხებდა ხოლმე“.

არჩევნების დასასრულს, უდაბლეს ეტაპზე, სადაც საქმე უნდა ჰქონოდა უშუალოდ მუშაამომრჩევლებთან, სტალინი დიდი გავლენის მოხდენას ვერ შეძლებდა არა მარტო თავისი ორატორული რესურსების ნაკლებობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მის განკარგულებაში ოთხი დღეც არ იყო. სამაგიეროდ, მას დიდი როლი უნდა ეთამაშა მრავალსართულიანი სისტემის შემდეგ ეტაპებზე, სადაც საჭირო იყო რწმუნებულთა შეკავშირება და მათი ხელმძღვანელობა კულისებიდან, ლეგალურ აპარატზე დაყრდნობით. ამ სფეროში სტალინი, ეჭვგარეშეა, გაცილებით უკეთ მოერგო თავის ადგილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე ვინმე სხვა. საარჩევნო კამპანიის მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო „პეტერბურგელ მუშათა განაწესი თავიანთი დეპუტატისადმი". თავისი მოგონებების პირველ გამოცემაში ბადაევი ამბობს, რომ განაწესი ცენტრალურმა კომიტეტმა შეადგინა, ახალ გამოცემაში კი ავტორობა პირადად სტალინს მიეწერება. სარწმუნოა, რომ განაწესი კოლექტიური შრომის შედეგი იყო, ამ კოლექტივში კი გადამწყვეტი სიტყვა, ალბათ, უნდა ეთქვა სტალინს, როგორც ცკ-ის წარმომადგენელს.

„ჩვენ ვფიქრობთ, — აღნიშნულია „განაწესში" — რომ რუსეთში მომავალი მასობრივი მოძრაობის წინადღე დგას. შესაძლოა, უფრო ღრმა მოძრაობის, ვიდრე ხუთ წელში... ამ მოძრაობის მოთავე, როგორც ხუთში, ახლაც რუსული საზოგადოების შედარებით მოწინავე კლასი, პროლეტარიატი იქნება. მისი მოკავშირე შეიძლება გახდეს რუსეთში ბატონყმობის უღლის გადაგდებით სისხლხორცეულად დაინტერესებული მრავალტანჯული გლეხობა". ლენინი „პრავდის" რედაქციას წერს: „დაუყოვნებლივ მოათავსეთ ეს განაწესი... თვალსაჩინო ადგილზე, მსხვილი შრიფტით". რწმუნებულთა საგუბერნიო ყრილობამ ბოლშევიკური განაწესი ხმათა დიდი უმრავლესობით მიიღო. ამ ცხარე დღეებში სტალინი გაცილებით აქტიურია, როგორც პუბლიცისტი: კვირის განმავლობაში „პრავდაში" დავითვალეთ მისი ოთხი წერილი; პეტერბურგში, ისე როგორც, საერთოდ, ყველა სამრეწველო რაიონში, არჩევნების შედეგები ძალზე სასურველი აღმოჩნდა. ბოლშევიკთა კანდიდატებმა გაიმარჯვეს ექვს ყველაზე მნიშვნელოვან სამრეწველო გუბერნიაში, რომლებზეც მუშათა კლასის 4/5 მოდიოდა. უმთავრესად წვრილი ბურჟუაზიის ხმებით გავიდა შვიდი ლიკვიდატორი. „1907 წლის არჩევნებისაგან განსხვავებით, — წერდა სტალინი ცენტრალური ორგანოსათვის გაგზავნილ კორესპონდენციაში, რომელიც საზღვარგარეთ გადიოდა, — 1912 წლის არჩევნები მუშათა რიგებში რევოლუციურ აღმავლობას დაემთხვა". სწორედ ამიტომ ბოიკოტიზმის ტენდენციისაგან შორს მდგომი მუშები აქტიურად იბრძოდნენ თავიანთი საამომრჩევლო უფლებისათვის. სამთავრობო კომისია შეეცადა, პეტერბურგის ყველაზე დიდ ქარხნებში ჩატარებული არჩევნები ბათილად ჩაეთვალა. მუშებმა ამ ცდას საპროტესტო გაფიცვებით უპასუხეს და წარმატებასაც მიაღწიეს. „ზედმეტი არ იქნება, შევნიშნოთ, — უმატებს კორესპონდენციის ავტორი, — რომ საგაფიცვო კამპანიის ინიციატივა ეკუთვნოდა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს..." აქ ლაპარაკია თვითონ სტალინზე. საარჩევნო კამპანიის პოლიტიკური დასკვნები: „რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობა და სიძლიერე — ასეთია პირველი დასკვნა; ლიკვიდატორთა პოლიტიკური გაბანკროტება — ასეთია მეორე დასკვნა". ეს სიმართლე გახლდათ.

●

მენშევიკების შვიდეული, რომელთაგან უმეტესობა ინტელიგენტი იყო, ცდილობდა, ნაკლები პოლიტიკური გამოცდილების მქონე ბოლშევიკების ექვსეული, ძირითადად მუშები, თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია. ნოემბრის ბოლოს ლენინი წერს პირადად სტალინს („ვასილიევს"): „თუ ჩვენი ექვსივე დეპუტატი მუშათა კურიიდან არის, დაუშვებელია უხმოდ დავემორჩილოთ ვიღაც ციმბირელებს. ექვსეულმა აუცილებლად უნდა გამოხატოს მტკიცე პროტესტი, თუ მის დამორჩილებას ცდილობენ". სტალინის პასუხი ამ წერილზე, როგორც სხვა დანარჩენიც, კვლავ ცხრაკლიტულში რჩება; მაგრამ ლენინის მოწოდება თანაგრძნობას არ იწვევს: ექვსეულმა თვითონ დააყენა „პარტიის გარეთ მდგომ" ლიკვიდატორებთან ერთობა საკუთარ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე მაღლა; „პრავდაში" გამოქვეყნებულ სპეციალურ რეზოლუციაში გაერთიანებულმა ფრაქციამ ცნო „სოციალ-დემოკრატთა ერთიანობა გარდაუვალ აუცილებლობად". აზრი გამოთქვა, „პრავდა" შეერთებოდა ლიკვიდატორთა გაზეთ „ლუჩს"; ამ გზაზე ერთ-ერთ ნაბიჯად ჩაითვლება ის, რომ რეზოლუცია პარტიის ყველა წევრს მოუწოდებდა, ეთანამშრომლა ორივე გაზეთში. 18 დეკემბერს მენშევიკურმა გაზეთმა „ლუჩმა" თავის თანამშრომელთა სიაში საზეიმოდ გამოაქვეყნა ოთხი ბოლშევიკი-დეპუტატის სახელი (ორმა უარი განაცხადა). ამავე დროს, „პრავდაში" გაჩნდა მენშევიკური ფრაქციის წევრთა სახელები. შემრიგებლობამ კვლავ გამარჯვება იზეიმა, რაც, არსებითად, პრაღის კონფერენციის სულისკვეთების დამხობას ნიშნავდა.

მალე „ლუჩის" თანამშრომელთა სიაში გაჩნდა კიდევ ერთი სახელი — გორკი! ამას უკვე შეთქმულების სუნი დაკრავდა. „მაინც როგორ აღმოჩნდით „ლუჩში"??? — წერდა ლენინი გორკის და წინადადებას სამი კითხვის ნიშნით ამთავრებდა. — ნუთუ დეპუტატების კვალდაკვალ? მაგრამ ისინი ხომ, უბრალოდ, მახეში გაებნენ".

შემრიგებელთა ეფემერული ზეიმის ჟამს სტალინი პეტერბურგში იმყოფებოდა და ფრაქციასა და „პრავდაზე" ცკ-ის კონტროლს ახორციელებდა. არაფერია ცნობილი მის მიერ ამ გადაწყვეტილების გაპროტესტების თაობაზე, რომელმაც მკაცრი დარტყმა მიაყენა ლენინის პოლიტიკას. უფრო დამაჯერებელია, რომ შემრიგებელთა მანევრების კულისებში თვითონ სტალინი იდგა.

სათათბიროს ფრაქციის მერყეობა „პრავდის" პოლიტიკას უკავშირდებოდა. „ამ დროს, — წერდა ბადაევი 1980 წელს, — „პრავდას" ხელმძღვანელობდა სტალინი, რომელიც არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა". ამასვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმეორებს ამ საკითხებში კარგად გარკვეული საველიევი: „1912 წლის შემოდგომისა და 1912-13 წწ. ზამთრის განმავლობაში გაზეთს, ფაქტობრივად, ხელმძღვანელობდა არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი სტალინი. მთელი ამ ხნის მანძილზე იგი ძალზე ცოტა ხნით თუ გაემგზავრებოდა ხოლმე საზღვარგარეთ, მოსკოვში ან სხვაგან".

ეს ცნობები სხვა ფაქტობრივ მასალებთან შესაბამისობაშია და ეჭვს არ იწვევენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლაპარაკი იმაზე, რომ სტალინი იყო ხელმძღვანელი, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, მაინც არ შეიძლება. გაზეთის ნამდვილი ხელმძღვანელი იყო ლენინი. იგი ყოველდღიურად აგზავნიდა სტატიებს, კრიტიკულ წერილებს, წინადადებებს, ინსტრუქციებს, შესწორებებს. სტალინი, მისთვის დამახასიათებელი დინჯი აზროვნებით, ვერ შეძლებდა, თვალი მიედევნებინა წინადადებათა და განზოგადებების ამ ცოცხალი ნაკადისათვის, რომელთა 9/10 მაინც ზედმეტად ან გაზვიადებულად მიაჩნდა. რედაქციას, ძირითადად თავდაცვითი პოზიცია ეკავა, საკუთარი პოლიტიკური იდეები არ გააჩნდა და მხოლოდ იმას ცდილობდა, კრაკოვის პოლიტიკისათვის წამახული კუთხეები ჩამოემტვრია. მაგრამ ლენინმა იცოდა, როგორ შეენარჩუნებინა ეს მახვილი კუთხეები და, ამასთან, იმასაც შესანიშნავად ახერხებდა, ხელმეორედ ელესა ისინი. აი, ასეთ პირობებში სტალინი ბუნებრივად იქცა ლენინის გავლენის საწინააღმდეგო შემრიგებლური ოპოზიციის სულისჩამდგმელად.

„ახალი კონფლიქტები, — გვაცნობებს ლენინის „თხზულებათა" რედაქცია (ბუხარინი, მოლოტოვი, საველიევი), — წარმოშვა საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ ლიკვიდატორებთან არასაკმარისი ენერგიით წარმართულმა პოლემიკამ და, აგრეთვე, „პრავდაში" „ვპერიოდოვცების" სათანამშრომლოდ მოწვევამ. ურთიერთობები კიდევ უფრო გამწვავდა 1913 წლის იანვარში, მას შემდეგ, რაც სტალინმა პეტერბურგი დატოვა". ეს კარგად მოფიქრებული გამოთქმა: „კიდევ უფრო გამწვავდა" მოწმობს, რომ სტალინის გამგზავრებამდეც ლენინის დამოკიდებულება რედაქციისადმი მაინცდამაინც მეგობრული არ ყოფილა, მაგრამ სტალინი ყველანაირად ერიდებოდა „სამიზნედ" გადაქცევას.

რედაქციის წევრები პარტიული თვალსაზრისით ნაკლებგავლენიანი, ზოგჯერ კი შემთხვევითი ადამიანები იყვნენ. მათ რიგებში არევ-დარევის გამოწვევა ლენინისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ მათ ძლიერი საყრდენი ჰქონდათ პარტიის ზედა ფენის და, კერძოდ, ცკ-ის წარმომადგენლის სახით. რეაქციასთან და ფრაქციასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტალინთან მწვავე კონფლიქტი უდავოდ გამოიწვევდა პარტიული შტაბის შერყევას; ამით აიხსნება, რომ, მიუხედავად მისთვის დამახასიათებელი სიმტკიცისა, ლენინის პოლიტიკა ამ საკითხში ერთობ ფრთხილი გახლდათ. 13 სექტემბერს იგი „უსაზღვრო სინანულით" საყვედურობს რედაქციას, რომელიც არ გამოეხმაურა გაზეთში საერთაშორისო კონგრესის გახსნას. „...ასეთი სტატიის დაწერა სრულებით არ იქნებოდა ძნელი, ის კი, ყრილობა კვირას რომ იხსნება, „პრავდის" რედაქციამ იცოდა".

სტალინი, ალბათ, გულწრფელად გაოცდა: საერთაშორისო კონგრესი? ბაზელში? ეს ძალზე შორს იყო მისგან.

მაგრამ უკმაყოფილების საფუძველს ცალკეული, თუნდაც გამუდმებული, შეცდომები კი არ წარმოადგენდა, არამედ პარტიის განვითარების გზების შეცნობაში არსებული ძირეული განსხვავებები. ლენინის პოლიტიკას აზრი ჰქონდა მხოლოდ გაბედული რევოლუციური პერსპექტივის გათვალისწინებით. გაზეთის ტირაჟისა და აპარატის მშენებლობის თვალსაზრისიდან გამომდინარე კი იგი აუცილებლად გაზვიადებული მოგეჩვენებათ. სულის სიღრმეში სტალინი „ემიგრანტ" ლენინს კვლავ სექტანტად მიიჩნევდა.

შეუძლებელია, აქ არ გავიხსენოთ ერთი საჩოთირო ეპიზოდი. ლენინს იმ ხანებში ძალზე უჭირდა, როგორც კი მყარად დადგა ფეხზე, „პრავდის" რედაქციამ სულისჩამდგმელსა და მთავარ თანამშრომელს ჰონორარი დაუნიშნა. თანხა მეტისმეტად მოკრძალებული იყო, მაგრამ ლენინის ფინანსური მდგომარეობა მაინც დიდად იყო მასზე დამოკიდებული.

კონფლიქტის გამწვავებისას ფულის მიღება შეწყდა. განსაკუთრებული დელიკატურობის მიუხედავად, რაც ასეთ საკითხებში ახასიათებდა, ლენინი იძულებული გახდა, თავი შეეხსენებინა: „რატომ არ მიგზავნით კუთვნილ ფულს? მისი დაგვიანებით ძალზე შეჭირვებულები ვართ. გთხოვთ, ალარ დაგვიგვიანოთ".

ალბათ, სწორი არ იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ფულის დაკავება ერთგვარი ფინანსური რეპრესია იყო (თუმცა შემდგომში, ხელისუფლების სათავეში ყოფნისას სტალინს არ ერიდებოდა, ყოველ ნაბიჯზე გამოეყენებინა ამგვარი ხერხები), მაგრამ კიდეც რომ ვიფიქროთ, თითქოს საქმე, უბრალოდ, უყურადღებობასთან გვქონდა, მაინც ნათლად დავინახავთ, რა ურთიერთობა არსებობდა კრაკოვსა და პეტერბურგს შორის. ჭეშმარიტად, ეს ურთიერთობა ძალზე შორს იდგა გულითადობისაგან.

„პრავდით" აღშფოთება აშკარად გამოხეთქავს ლენინის წერილებში სტალინის კრაკოვში, პარტიული შტაბის კრებაზე გამგზავრებისთანავე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ლენინი მოუთმენლად ელოდა ამ გამგზავრებას, რათა გაენადგურებინა პეტერბურგის შემრიგებლური ბუდე და, ამასთან, შეენარჩუნებინა სტალინთან მშვიდობიანი შეთანხმების შესაძლებლობა. მაშინვე, როგორც კი შედარებით გავლენიანი მო-

წინააღმდეგე გაიგულა. ლენინმა პეტერბურგის რედაქციის წინააღმდეგ გამანადგურებელი შეტევა წამოიწყო. 12 იანვარს ნდობით აღჭურვილი პირისადმი პეტერბურგში გაგზავნილ წერილში იგი ლაპარაკობს „შეუწყნარებელ სისულელეზე“, რომელიც „პრავდამ“ ფეიქართა გაზეთთან დაკავშირებით ჩაიდინა. მოითხოვს გამოასწორონ „საკუთარი სისულელე“ და სხვ. მთელი წერილი კრუპსკაიას ხელითაა ნაწერი, შემდეგ ლენინს მიუწერია: „რედაქციიდან სულელური და თავხედური წერილი მივიღეთ. არ ვპასუხობთ, უნდა გადავიტანოთ... განსაკუთრებით გვაღელვებს რედაქციის რეორგანიზაციის გეგმის შესახებ ყოველგვარი ცნობების უქონლობა... რეორგანიზაცია აუცილებელია, სულაც უკეთესი იქნებოდა ყველა ძველის გაძევება: უცნაურად მართავენ, აქებენ და ადიდებენ ბუნდს და „ცეიტს“ (ოპორტუნისტული ებრაული გამოცემა). ეს პირდაპირ უნამუსობაა, ვერ ახერხებენ „ლუჩის“ საწინააღმდეგო ხაზის გატარებას, სამაგლად ექცევიან სტატიებს (ე. ი. თვითონ ლენინის სტატიებს). პირდაპირ მოთმინება აღარაა“.

წერილის ტონი მიგვანიშნებს, რომ ლენინის უკმაყოფილებამ, თუმცა მას შეეძლო, როცა საჭირო იყო, თავი შეეკავებინა, — უმაღლეს წერტილს მიაღწია. გაზეთის გამანადგურებელი შეფასება ვრცელდება იმ პერიოდზე, როდესაც მისი ხელმძღვანელობა უშუალოდ სტალინს ეკისრებოდა. კერძოდ ვისი დაწერილი იყო ეს „სულელური და თავხედური წერილი რედაქციიდან“, დღემდე არ გამჟღავნებულა და, რა თქმა უნდა, არც შემთხვევით. არა გვგონია, რომ იგი სტალინს დაეწერა: საამისოდ ის ერთობ ფრთხილია, ამასთან, ამ დროს, ალბათ, უკვე შორს იყო პეტერბურგიდან. ყველაზე სარწმუნოა, რომ წერილი რედაქციის ოფიციალურმა მდივანმა მოლოტოვმა შეადგინა, რომელიც ისეთივე უხეში იყო, როგორც სტალინი, მაგრამ აკლდა მისეული მოქნილობა. ძნელი არ არის „სულელური და თავხედური წერილის“ ხასიათის დადგენა: „ჩვენ — რედაქცია“; „ჩვენ“ ვწყვეტთ; თქვენი საზღვარგარეთული პრეტენზიები ჩვენთვის არის „ქარიშხალი ჭიქა წყალში“. თუ გნებავთ, შეგიძლიათ „გაცოფდეთ“, ჩვენ განვაგრძობთ „მუშაობას“.

იმაზე, თუ ამჯერად რამდენად მტკიცედ მიუდგა ლენინი ამ ფესვგადგმულ კონფლიქტს, მიგვანიშნებს წერილის შემდეგი სტრიქონები: „რა გაკეთდა ფულის კონტროლთან დაკავშირებით? ვინ მიიღო ხელმოწერის თანხები? ვის ხელშია ისინი? რამდენია?“ ლენინი, როგორც ჩანს, არ გამორიცხავს განხეთქილების შესაძლებლობას და ცდილობს, ფინანსურ ბაზებს თავის ხელში მოუყაროს თავი. მაგრამ საქმე განხეთქილებამდე არ მისულა. თავგზააბნეული შემრიგებლები ამაზე ფიქრსაც ვერ ბედავდნენ, მათი ერთადერთი იარაღი პასიური წინააღმდეგობა იყო და ახლა ეს იარაღიც ხელიდან ეცლებათ.

შკლოვსკის მიერ ბერნიდან გამოგზავნილ პესიმისტურ წერილს რომ პასუხობს, რითაც ამტკიცებს, რომ ბოლშევიკების საქმეები არც ისე ცუდად მიდის, კრუპსკაია აღიარებს: „რა თქმა უნდა, „პრავდას“ ცუდად მართავენ“. ეს ფრაზა ისე ჟღერს, როგორც ისეთი რამ, რაც კამათს არ საჭიროებს. „რედაქციაში ათასი ჯურის ძაღლი და კატაა თავმოყრილი, უმეტესობა ლიტერატორიც არ არის... პოლემიკისაგან თავის არიდების მიზნით არ აქვეყნებენ მუშათა პროტესტებს „ლუჩის“ წინააღმდეგ“. კრუპსკაია აღნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში მოსალოდნელია „არსებითი ცვლილებები“. წერილი 19 იანვარს დაიწერა, მეორე დღეს ლენინი კრუპსკაიას მეშვეობით პეტერბურგს წერს: „აუცილებელია „პრავდის“ ჩვენეული რედაქციის დაარსება და ახლანდელის დაშლა. ახლა საქმეები ძალზე ცუდად მიდის. დაბლიდან ერთობისთვის კამპანიის გაუმართაობა — სისულელეა და უნამუსობა... აბა, ეს რა რედაქტორებია? ეს პიროვნებები კი არა, საბრალო, უნებისყოფო ხალხია, რომლებიც ღუპავენ საქმეს!“ ეს ის სტილი გახლავთ, რომელსაც ლენინი მაშინ იყენებდა, როცა სურდა, ეჩვენებინა, რომ ბოლომდე არ დათმობს.

პარალელურად მან უკვე მოასწრო საგულდაგულოდ განლაგებული ბატარეებიდან ცეცხლი გაეხსნა სათათბიროს ფრაქციის შემრიგებლობის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 3 იანვარს ლენინი პეტერბურგში წერდა: „მიაღწიეთ რომ ყოველ მიზეზგარეშე დაიბეჭდოს ბაქოელი მუშების წერილი, რომელსაც გიგზავნით“.

წერილი მოითხოვს, რომ ბოლშევიკმა-დეპუტატებმა უარი თქვან „ლუჩთან“ თანამშრომლობაზე. ბაქოელი მუშები მიუთითებდნენ, რომ 5 წლის მანძილზე ლიკვიდატორები „სხვადასხვა ხმაზე იმეორებდნენ, პარტია მოკვდაო“ და სვამდნენ კითხვას: „მაშ, საიდან გაუჩნდათ მკვდართან გაერთიანების სურვილი?“ კითხვა სულაც არ არის სიზუსტეს მოკლებული. „როდის გამოვა ოთხეული „ლუჩიდან?“ — კითხულობს, თავის მხრივ, ლენინი. — განა კიდევ შეიძლება ლოდინი?.. შორეული ბაქოდანაც კი 20 მუშა პროტესტს აცხადებს“.

დიდ რისკთან სულაც არ იქნება დაკავშირებული, ვივარაუდოთ, რომ რადგან წერილების საშუალებით დეპუტატების „ლუჩთან“ თანამშრომლობას ვერაფერი მოუხერხა, ლენინი ჯერ კიდევ სტალინის პეტერბურგში ყოფნისას ფრთხილად შეუდგა დაბალი ფენების მობილიზებას. უეჭველია, სწორედ მისი ინიციატივით იშვა ბაქოელი მუშების პროტესტი, ბაქო კი შემთხვევით სულაც არ შეურჩევია. თანაც, პროტესტი „პრავდის“ რედაქციას კი არ გაუგზავნეს, რომელსაც ბაქოელთა ბელადი კობა ხელმძღვანელობდა, არამედ ლენინს, კრაკოვში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფლიქტის ჩახლართული ძაფები აქ უკვე აშკარად გამოჩნდა. ლენინი შეტევაზე გადადის, სტალინი მანევრირებას იწყებს. შემრიგებლების წინააღმდეგ მოქმედებს და ამაში, არცთუ უნებლიეთ, ლიკვიდატორები ეხმარებიან, რომლებიც თანდათან მეტად ამჟღავნებენ თავიანთ ოპორტუნიზმს.

ლენინმა შეძლო, მალე მიეღწია იმისათვის, რომ დეპუტატი-ბოლშევიკები პროტესტის აშკარად გამოხატვით ტოვებენ „ლუჩის" რედაქციას, მაგრამ ისინი ძველებურად ხელშეკრულნი რჩებიან სათათბიროს ფრაქციის ლიკვიდატორული უმეტესობის დისციპლინით.

ყველაზე უარესის, თვით განხეთქილებისთვისაც კი, რომ ემზადება, ლენინი, როგორც ყოველთვის, ღებულობს ზომებს, რათა პოლიტიკურ მიზნებს რაც შეიძლება ნაკლები რყევებითა და მსხვერპლით მიაღწიოს. სწორედ ამიტომ იყო, რომ სტალინი საზღვარგარეთ გამოიძახა და შეძლო დაერწმუნებინა, „რეფორმის" გატარების ჟამს მისთვის უმჯობესი იქნებოდა, ჩამოსცილებოდა „პრავდას". პეტერბურგში გაიგზავნა ცკ-ის მეორე წევრი, სვერდლოვი, საბჭოთა რესპუბლიკის მომავალი პირველი თავმჯდომარე. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი ოფიციალურად დასტურდება: „რედაქციის რეორგანიზაციის მიზნით, — გვამცნობს ლენინის „თხზულებათა" XVI ტომის შენიშვნები, — ცკ-მა პეტერბურგს მიავლინა სვერდლოვი". აი, რას წერს მას ლენინი: „დღეს შევიტყვეთ „პრავდაში" დაწყებული რეფორმის შესახებ. ათასი სალამი, მოლოცვა და წარმატების სურვილი... ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მოგვქანცა ამ მტრულად განწყობილ რედაქციასთან თანამშრომლობამ". ამ სიტყვებით, სადაც დაგროვილი წყენა შვების ამოსუნთქვას ერთვის, ლენინი აჯამებს რედაქციასთან თავის ურთიერთობას იმ პერიოდის განმავლობაში, როცა, როგორც მოვისმინეთ, „სტალინი, ფაქტობრივად, ხელმძღვანელობდა გაზეთს".

●

„ამ სტრიქონების ავტორს კარგად ახსოვს, — წერდა ზინოვიევი 1934 წელს, როცა მის თავზე უკვე ეკიდა დამოკლეს მახვილი, — რა მოვლენად იქცა სტალინის ჩამოსვლა კრაკოვში". ლენინი ორმაგად ხარობდა: ჯერ ერთი, იმით, რომ პეტერბურგში სტალინის არყოფნის ჟამს შესაძლო იყო იქ დელიკატური ოპერაციის ჩატარება და, მეორეც, როგორც ჩანს, საქმე მოგვარდებოდა ცკ-ში ყოველგვარი ძვრების გარეშე.

სტალინის კრაკოვში ყოფნის თაობაზე ძუნწ და ფრთხილ ნაამბობში კრუპსკაია როგორღაც გაკვრით შენიშნავს: „ილიჩი „პრავდის" გამო ნერვიულობდა, ნერვიულობდა სტალინიც; მოითათბირეს, როგორ გამოესწორებინათ საქმე".

წინასწარგანზრახული ბუნდოვანებით დაწერილი ეს მრავლისმეტყველი სტრიქონები დარჩა, როგორც ჩანს, უფრო გულახდილი ტექსტიდან, რომელიც ცენზორის მოთხოვნით ამოიღეს. ჩვენთვის უკვე ნაცნობი გარემოების გამო, ალბათ, ძნელია, ეჭვი შევგეპაროს, რომ ლენინი და სტალინი სულ სხვადასხვაგვარად „ნერვიულობდნენ". ორივე ცდილობდა საკუთარი პოლიტიკის გამართლებას, მაგრამ ბრძოლა მეტისმეტად არათანაბარი იყო: სტალინს უკან დახევამ მოუწია.

თათბირი, რომელზეც სტალინი მიიწვიეს, 1913 წლის 28 დეკემბერს — 1 იანვარს გაიმართა 11 კაცის, ცკ-ის წევრების, სათათბიროს ფრაქციის წარმომადგენლების და ადგილობრივი მუშაკების შემადგენლობით.

ახალი რევოლუციური აღმავლობის პირობებში საერთო პოლიტიკური ამოცანების გვერდით თათბირი განიხილავდა პარტიის შიდა ცხოვრების მწვავე პრობლემებს: სათათბიროს ფრაქციის, პარტიული პრესის, ლიკვიდატორობასთან და ლოზუნგთან „ერთობა" დამოკიდებულებას. მთავარი მოხსენება გააკეთა ლენინმა. უნდა ვივარაუდოთ, რომ დეპუტატებს და მათ ხელმძღვანელს, სტალინს, ბევრი მწარე სიმართლის მოსმენამ მოუწიათ, თუმცა ეს მწარე სიმართლე მეგობრული ტონით იყო გამოთქმული. თათბირზე სტალინი, როგორც ჩანს, დუმილს ამჯობინებდა. მხოლოდ ამით თუ აიხსნება ის ფაქტი, რომ თავისი მოგონებების პირველ გამოცემაში (1929 წ.) ბადაევს ავიწყდება მისი დასახელება თათბირის მონაწილეთა შორისაც კი. ამასთან, კრიტიკულ მომენტში გაუჩუჩება სტალინის საყვარელი ფანდია... თათბირის ოქმები და სხვა მასალები „აქამდე არ არის მოძებნილი". დარწმუნებული ვარ, რომ ამ „არმოძებნისათვის" სპეციალური ღონისძიებები გატარდა.

კრუპსკაიას მიერ რუსეთში გაგზავნილ ერთ-ერთ იმდროინდელ წერილში ვკითხულობთ: „ძალზე საინტერესო იყო ადგილებიდან ჩამოსულთა მოხსენებები. ყველა აღნიშნავდა, რომ მასა გაიზარდა... არჩევნების ჩატარებისას გამოირკვა, რომ ყველგან არსებობს მუშათა თვითმყოფადი ორგანიზაციები... უმეტეს შემთხვევაში ისინი არ არიან პარტიასთან დაკავშირებულნი, მაგრამ პარტიულები არიან თავიანთი სულისკვეთებით". გორკისადმი მიწერილ წერილში ლენინიც აღნიშნავს, რომ თათბირი „გამოვიდა" და „შეასრულებს თავის როლს". აქ იგი, პირველ ყოვლისა, გულისხმობდა პარტიის პოლიტიკის გამოსწორებას.

პოლიციის დეპარტამენტი ერთგვარი ირონიით ატყობინებდა თავისი საზღვარგარეთული აგენტურის უფროსს, რომ, მათგან მოწვდილი ცნობის საწინააღმდეგოდ, თათბირს ესწრებოდა არა დეპუტატი პოლეტაევი, არამედ იყვნენ შემდეგი პირები: ლენინი, ზინოვიევი, კრუპს-

კაია; დეპუტატები: მალინოვსკი, პეტროვსკი, ბადაევი, ლობოვა, მუშა მედვედევი, რუსული არტილერიის პორუჩიკი ტროიანოვსკი (მომავალი ელჩი აშშ-ში), ტროიანოვსკის ცოლი და კობა. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სახელთა რიგი: დეპარტამენტის სიაში კობა უკანასკნელია მოხსენიებული. ლენინის „თხზულებათა“ შენიშვნებში (1929 წ.) იგი რიგით მეხუთეა ლენინის, ზინოვიევის, კამენევისა და კრუპსკაიას შემდეგ, თუმცა უკვე დიდი ხანია ზინოვიევი, კამენევი და კრუპსკაია შერისხულები იყვნენ. უახლესი ეპოქის ჩამოთვლებში სტალინი უცვლელად იჭერს მეორე ადგილს, მას ახსენებენ მაშინვე, ლენინის შემდეგ. ეს გადაადგილებები არასასურველად სულაც არ ცვლიან ისტორიული კარიერის ტაქტს.

ხალხის ნაკლებობის მიუხედავად ლენინმა ვერ გადაწყვიტა, სტალინი რუსეთში გაეშვა. პეტერბურგში „არსებითი რეფორმების“ დამთავრება აუცილებლად უნდა მოესწროთ მის დაბრუნებამდე. მეორე მხრივ, კრაკოვის თათბირის შემდეგ, რომელიც მისი პოლიტიკის არაპირდაპირ, მაგრამ არცთუ ორაზროვან განსჯას წარმოადგენდა, თვითონ სტალინიც მაინცდამაინც დიდად არ მიიწევდა ძველი დანიშნულების ადგილისაკენ. როგორც ყოველთვის, ლენინმა ახლაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა დამარცხებულს საშუალება ჰქონოდა, ღირსეულად დაეხია უკან. შურისგება მისთვის სრულიად უცხო იყო. ამ კრიტიკულ პერიოდში სტალინი საზღვარგარეთ რომ დაეტოვებინა, ლენინმა იგი ეროვნულ საკითხებზე მუშაობით დააინტერესა: ლენინისათვის სავსებით დამახასიათებელი კომბინაცია!

კავკასიის შვილისათვის, კავკასიისა, რომელშიც ათეულობით ნახევრად კულტურული და პირველყოფილი, მაგრამ სწრაფად გამოფხიზლების მქონე უნარის ხალხები ცხოვრობდნენ, ეროვნული საკითხის მნიშვნელობას დიდი ახსნა არ ჭირდებოდა. ეროვნული დამოუკიდებლობის ტრადიცია საქართველოში კვლავ ცოცხლობდა. პირველი რევოლუციური იმპულსი კობამ სწორედ ამ მხრივ მიიღო. მისი ფსევდონიმიც ხომ ეროვნული გრძნობის გამოძახილი იყო, თუმცა რევოლუციის წლებში, როგორც ირემაშვილი ამბობს, მან მოასწრო, გულგრილი გამხდარიყო ქართული პრობლემებისადმი. „ეროვნული თავისუფლება... მისთვის უკვე აღარაფერს ნიშნავდა. მას აღარ სურდა ძალაუფლებისადმი თავისი სწრაფვა რაიმე საზღვრებში მოექცია. მისთვის ღია უნდა ყოფილიყო რუსეთიც და მთელი სამყაროც“. ირემაშვილი აშკარად უსწრებს უფრო გვიანდელი ხანის ფაქტებს და განწყობილებებს. უეჭველია მხოლოდ ის, რომ, როგორც კი ბოლშევიკი გახდა, კობამ თავი ანება ნაციონალურ რომანტიკას, რომელიც კვლავ განაგრძობდა მშვიდ თანაარსებობას ქართველი მენშევიკების ბუნდოვან სოციალიზმთან. მაგრამ, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეაზე უარი რომ თქვა, კობას, მრავალი ველიკორუსის მსგავსად, არ შეეძლო საერთოდ გულგრილი დარჩენილიყო ნაციონალური საკითხისადმი. ქართველების, სომხების, რუსების და სხვ. ურთიერთდამოკიდებულება ყოველ ნაბიჯზე ართულებდა კავკასიაში რევოლუციურ მუშაობას.

თავისი შეხედულებებით კობა ინტერნაციონალისტი გახდა. მაგრამ გახდა იგი ინტერნაციონალისტი შეგრძნებით? ველიკორუსი ლენინი ორგანულად ვერ იტანდა ისეთ ხუმრობებსა თუ ანეკდოტებს, რომელთაც შეიძლებოდა გული ეტკინა ჩაგრული ხალხებისათვის. სტალინმა თავის თავში შემოინახა ძალზე ბევრი რამ სოფელ დიდილილოელი გლეხისაგან. რევოლუციის წინა წლებში მას, რასაკვირველია, არ შეეძლო, ეთამაშა ეროვნულ ცრურწმენებზე, როგორც ამას შემდგომში აკეთებდა, როცა ხელისუფლებაში მოექცა. მაგრამ წვრილმანებში მისი ეს დამოკიდებულება უკვე მაშინ იჩენდა ხოლმე თავს. ლონდონის 1907 წლის ყრილობაზე მენშევიკურ ფრაქციაში ებრაელთა უმეტესობას რომ უსვამდა ხაზს, კობა წერდა: „ამ საკითხთან დაკავშირებით რომელიღაც ბოლშევიკმა (მგონი, ამხ. ალექსინსკიმ) ხუმრობით შენიშნა, რომ მენშევიკები ებრაული ფრაქციაა, ბოლშევიკები — ჭეშმარიტად რუსული, ჩემი აზრით, ზედმეტი არ იქნებოდა, რომ ჩვენ, ბოლშევიკებს, მოგვეწყო პარტიის რბევა“. ახლაც კი შეუძლებელია არ გაოცდე, რომ კავკასიისათვის განკუთვნილ სტატიაში, სადაც ატმოსფერო ნაციონალური შუღლით იყო მოწამლული, სტალინმა შესაძლებლად ჩათვალა საეჭვო არომატით გაჟღენთილი ხუმრობის ციტირება. ამასთან, საქმე ეხებოდა არა შემთხვევით უტაქტობას, არამედ შეგნებულ გაანგარიშებას. იმავე სტატიაში, როგორც გახსოვთ, ავტორი უბოდიშოდ „ხუმრობდა“ ყრილობის რეზოლუციაზე, რომელიც ექსპროპრიაციას შეეხებოდა: ამით მას სურდა, გაეფანტა კავკასიელ მებრძოლთა ეჭვები. დარწმუნებით შეიძლება ვარაუდი, რომ იმ დროს ბაქოს მენშევიკურ ორგანიზაციას სათავეში ებრაელები ედგნენ და თავისი ხუმრობით „რბევის“ თაობაზე ავტორს სურდა, მოეხდინა ფრაქციული მოწინააღმდეგეების კომპრომეტირება დანარჩენი მუშების თვალში. ეს გაცილებით იოლია, ვიდრე დაარწმუნო და აღზარდო და სტალინიც ყველგან და ყველაფერში ეძებდა ნაკლები წინააღმდეგობების შემცველ ხაზს. აქვე დავამატებთ, რომ ალექსინსკის „ხუმრობაც“ არ იყო შემთხვევითი: მოგვიანებით ეს ულტრამემარცხენე ბოლშევიკი აშკარა რეაქციონერი და ანტისემიტი გახდა.

პოლიტიკურ მუშაობაში კობა, რა თქმა უნდა, პარტიის ოფიციალურ პოზიციას მისდევდა, თუმცა, საზღვარგარეთ გამგზავრებამდე მისი ამ თემისადმი მიძღვნილი სტატიები ყოველდღიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი პროპაგანდის ფარგლებს არ გასცილებია. მხოლოდ ახლა, ლენინის ინიციატივით, მიუდგა იგი ნაციონალურ პრობლემებს გაცილებით ფართო თეორიული და პოლიტიკური თვალთახედვით. კავკასიური ნაციონალური ურთიერთობების ცხოვრებისეული გამოცდილება მას, უეჭველად, უადვილებდა გარკვეულიყო ამ რთულ საკითხებში. რეაქციის პერიოდმა მეტისმეტად გაამწვავა ეროვნული საკითხი რუსეთში. „მებრძოლი ნაციონალიზმის ზემოდან დაძრული ტალღა, — წერდა სტალინი, — მთელი რიგი რეპრესიები ძალაუფლების მქონეთა მხრიდან, რომლებიც შურს იძიებდნენ განაპირა მხარეებზე მათი თავისუფლებისმოყვარეობისათვის, იწვევდა დაბლიდან შემხვედრ ნაციონალურ ტალღას, რომელიც უხეშ შოვინიზმში გადადიოდა". ეს იყო კიეველი ებრაელის ბეილისის საწინააღმდეგო რიტუალური პროცესის ჟამი, რეტროსპექტულად, ცივილიზაციის უახლესი მონაპოვრების შუქზე, განსაკუთრებით გერმანიასა და სსრკ-ში, ამ პროცესმა, ჩანს, გაიოგნა მთელი მსოფლიო. ნაციონალიზმის საწამლავი ემუქრებოდა მუშათა კლასის ფართო ფენებსაც. გორკი შეშფოთებით წერდა ლენინს შოვინისტური გაველურების საწინააღმდეგო ქმედების აუცილებლობაზე.

„ნაციონალიზმის საკითხს კი, მთლიანად გეთანხმებით, — პასუხობდა ლენინი, — საჭიროა უფრო სერიოზულად მივხედოთ. ჩვენთან ერთი შესანიშნავი ქართველი ჩაუჯდა და ყველა ავსტრიული და სხვა მასალების შეკრების შემდეგ „პროსვეშჩენიე"-სთვის დიდ სტატიას წერს. ჩვენც სწორედ მას დავეყრდნობით". ლაპარაკი იყო სტალინზე. პარტიასთან დიდი ხნის წინ დაკავშირებული გორკი კარგად იცნობდა მის ხელმძღვანელ კადრებს. მაგრამ სტალინი, როგორც ჩანს, მისთვის სრულიად უცნობი იყო, რადგან ლენინი იძულებული შეიქნა ისეთი მოსაფერებელი, მაგრამ აბსოლუტურად უსახო განსაზღვრებისათვის მიემართა, როგორიც არის „ერთი შესანიშნავი ქართველი". ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ლენინი ცნობილ რუს რევოლუციონერს ეროვნულობის ნიშნით ახასიათებს. მას მხედველობაში ჰყავდა არა მაინცდამაინც ქართველი, არამედ კავკასიელი: პირველყოფილების ელემენტი, ეჭვგარეშეა, ხიბლავდა ლენინს. ტყუილად არ იყო, რომ ის ასეთი სინაზით ეპყრობოდა კამოს.

საზღვარგარეთ ორთვიანი ყოფნის პერიოდში სტალინმა დაწერა პატარა, მაგრამ ერთობ შინაარსიანი გამოკვლევა: „მარქსიზმი და ეროვნული საკითხი". რამდენადაც ლეგალური გაზეთისთვისაა განკუთვნილი, სტატია ფრთხილი ლექსიკით სარგებლობს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მისი რევოლუციური ტენდენციები აშკარად არის გამოკვეთილი.

ავტორი იწყებს ერის ისტორიულ-მატერიალისტური განსაზღვრების ავსტრიული სკოლის აბსტრაქტულ-ფსიქოლოგიურთან დაპირისპირებით. „ერი, — წერს იგი, — ეს არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა ენისა, ტერიტორიისა, ეკონომიკური ცხოვრების და ფსიქიკური წყობისა, რომელიც თავს იჩენს კულტურის ერთიანობაში".

ეს კომბინირებული განსაზღვრება, რომელიც ერის ფსიქოლოგიურ ხასიათს გეოგრაფიული და ეკონომიკური განვითარების პირობებთან შეთანხმებაში განიხილავს, არა მარტო თეორიულად არის სწორი, არამედ ნაყოფიერია პრაქტიკული თვალსაზრისითაც, რადგან გვავალდებულებს, თითოეული ერის ბედის საკითხის გადაწყვეტა დავუკავშიროთ მისი მატერიალური პირობების ცვლას. დაწყებული ტერიტორიით, ბოლშევიზმის სახელმწიფო არასოდეს არ ცნობდა საზღვრებისადმი გაფეტიშებულ დამოკიდებულებას. პოლიტიკურად საქმე მიდიოდა იქით, რომ ხალხთა საპყრობილე, მეფის რუსეთი გარდაქმნილიყო ტერიტორიულად, პოლიტიკურად და ადმინისტრაციულად თვით ხალხების მოთხოვნილებებისა და სურვილების შესაბამისად.

„მარქსიზმი და ეროვნული საკითხი" უეჭველია, წარმოადგენს სტალინის ყველაზე მნიშვნელოვან, უფრო სწორად, ერთადერთ თეორიულ ნაშრომს. ამ ერთადერთი სტატიით, რომელიც 40 ნაბეჭდ გვერდს მოიცავს, შესაძლებელი იქნებოდა, მისი ავტორი გამოჩენილ თეორეტიკოსად გვეღიარებინა. გაუგებარი რჩება მხოლოდ ერთი: რატომ არც მანამდე და არც მას შემდეგ მას აღარ დაუწერია არაფერი, რაც რამდენადმე მაინც მიუახლოვდებოდა ამ დონეს. საიდუმლოს გასაღები იმაშია, რომ ნაშრომი მთლიანად შთაგონებულია ლენინის მიერ, დაწერილია მისი უშუალო ხელმძღვანელობით და სტრიქონ-სტრიქონ მისი რედაქტირებულია.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ლენინმა ორჯერ გაწყვიტა ურთიერთობა უახლოეს თანამშრომლებთან, რომლებიც დიდი თეორიული მომზადებით გამოირჩეოდნენ. პირველად ეს მოხდა 1903-1904 წწ. როცა იგი დაცილდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ყველა ძველ ავტორიტეტს: პლეხანოვს, აქსელროდს, ზასულიჩს და გამოჩენილ ახალგაზრდა მარქსისტებს მარტოვს და პოტრესოვს. მეორე იყო რეაქციის წლებში, როცა მას ჩამოშორდნენ ბოგდანოვი, ლუნაჩარსკი, პოკროვსკი, როჟკოვი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე მწერლები. ზინოვიევი და კამენევი, მისი უახლოესი თანამშრომლები, თეორეტიკოსები არ ყოფილან. ამ გაგებით ახალმა რევოლუციურმა აღმავლობამ ლენინს მარტოს მოუსწრო. ბუნებრივია, რომ ის ხარბად ეძიდებოდა ყველა ახალგაზრდას, რომელსაც პარტიული პროგრამის შემუშავებისას ამა თუ იმ დარგში მონაწილეობის მიღება შეეძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამჯერად, — იგონებს კრუპსკაია, — ილიჩი ბევრს საუბრობდა სტალინთან ეროვნულ საკითხზე; უხაროდა, რომ შეხვდა ადამიანს, რომელსაც სერიოზულად აინტერესებდა ეს თემა და ერკვეოდა მასში. მანამდე სტალინი ორიოდე თვეს ვენაში ცხოვრობდა, სადაც სწავლობდა ეროვნულ საკითხს და ახლოს გაეცნო ჩვენს ვენის საზოგადოებას: ბუხარინს, ტროიანოვსკის".

აქ ყველაფერი ბოლომდე არ არის ნათქვამი. „ილიჩი ბევრს საუბრობდა სტალინთან" ნიშნავს: აძლევდა სახელმძღვანელო იდეებს, ყოველმხრივ აშუქებდა მათ, უხსნიდა, რაც გაუგებარი იყო, უთითებდა ლიტერატურას, ყურადღებით ათვალიერებდა პირველ ნაბიჯებს და შეჰქონდა შესწორებები.

„მახსენდება, — წერს იგივე კრუპსკაია, — ილიჩის დამოკიდებულება ნაკლები გამოცდილების მქონე ავტორებისადმი. იგი აკვირდებოდა არსს, საფუძველს, ფიქრობდა, როგორ დახმარებოდა, გაესწორებინა. მაგრამ ყველაფერ ამას როგორღაც მორიდებით, ფრთხილად აკეთებდა, ისე რომ, ავტორი ვერც ხვდებოდა, თუ რაიმე გაუსწორეს. მუშაობაში მოხმარება კი ილიჩმა მართლაც კარგი იცოდა. სურს, მაგალითად, ვინმეს სტატიის დაწერა მიანდოს, მაგრამ არ არის დარწმუნებული, ისე დაწერს თუ არა, როგორც საჭიროა. ჰოდა, თავდაპირველად იწყებდა მასთან ამ თემაზე დაწვრილებით საუბარს, განავითარებდა საკუთარ აზრს, დააინტერესებდა ადამიანს, მოსინჯავდა მას როგორც წესია და შემდეგ შესთავაზებდა: „ხომ არ დაწერდით ამ თემაზე სტატიას?" ავტორი ვერც კი ამჩნევდა, როგორ მოეხმარა ილიჩთან საუბარი და თავისთვისაც შეუმჩნევლად სტატიაში იყენებდა ილიჩის გამოთქმებსა და კონსტრუქციებს".

კრუპსკაია, რა თქმა უნდა, სტალინს არ ასახელებს, მაგრამ ლენინის, როგორც ახალბედა ავტორების დამრიგებლის, ეს დახასიათება მას „მოგონებების" იმ თავში აქვს ჩართული, სადაც საუბარია ეროვნულ საკითხებზე სტალინის მუშაობის შესახებ: კრუპსკაია ზოგჯერ იძულებულია, შემოვლით გზებს მიმართოს, რათა ნაწილობრივ მაინც დაიცვას ლენინის ინტელექტუალური უფლებები უზურპაციისაგან.

სტალინის სტატიაზე მუშაობის მიმდინარეობა ჩვენს წინაშე საკმაოდ ნათლად იხატება. თავდაპირველად — ლენინის მისახვედრი საუბრები კრაკოვში, სახელმძღვანელო იდეების და აუცილებელი ლიტერატურის მითითება. სტალინის მოგზაურობა ვენაში, „ავსტრიული სკოლის" ცენტრში. გერმანული ენის უცოდინარობის გამო წყაროებით დამოუკიდებლად სარგებლობა მას არ შეეძლო. სამაგიეროდ, ბუხარინმა, რომელსაც უდავოდ თეორიული თავი ჰქონდა, იცოდა ენები, იცნობდა ლიტერატურას, შეეძლო დოკუმენტების გამოყენება. ბუხარინმა და ტროიანოვსკიმ ლენინისაგან მიიღეს დავალება, დახმარებოდნენ „შესანიშნავ", მაგრამ ნაკლებად განათლებულ ქართველს. როგორც ჩანს, მათვე შეკრიბეს უმნიშვნელოვანესი ციტატები. სტატიის ლოგიკურ აგებაზე, რომელიც მოკლებული არ არის პედანტიზმს, თავისი კვალი დაამჩნია, როგორც ჩანს, ბუხარინმა, რომელსაც, ლენინისაგან განსხვავებით, გული პროფესიული ხერხებისკენ მიუწევდა; ლენინთან ხომ ნაწარმოების სტრუქტურას მთლიანად განსაზღვრავდა პოლიტიკური ან პოლემიკური ინტერესი. ბუხარინის დახმარება ამით ამოიწურება, რადგან ეროვნულ საკითხში იგი როზა ლუქსემბურგის შეხედულებებს უფრო იზიარებდა, ვიდრე ლენინისას. რა როლი ითამაშა ტროიანოვსკიმ, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ სწორედ ამ დროიდან იწყება მისი კავშირი სტალინთან, რომელმაც წლების შემდეგ, ვითარების ცვალებადობის წყალობით, უმნიშვნელო და არამტკიცე ტროიანოვსკი ერთ-ერთი პასუხსაგები დიპლომატური პოსტით უზრუნველყო.

ვენიდან სტალინი თავისი მასალებიანად კრაკოვს დაბრუნდა. აქ კვლავ დადგა ლენინის, ყურადღებიანი და დაუღლელი რედაქტორის რიგი. მისი აზროვნების ბეჭედი და კალმის ნაკვალევი დიდი გარჯის გარეშე შეგიძლიათ აღმოაჩინოთ ყოველ გვერდზე. რამდენიმე ფრაზა, რომლებიც ავტორს მექანიკურად ჩაურთავს ან ცალკეული სტრიქონები, რომლებიც აშკარად რედაქტორის ჩანაწერებია, მოულოდნელი და გაუგებარი ჩანს ლენინის შესაბამის შრომათა გარეშე.

„რუსეთში პროგრამის ბედს წყვეტს არა ნაციონალური, არამედ აგრარული საკითხი, — ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წერს სტალინი, — ეროვნული საკითხი მას ექვემდებარება". ეს სწორი და ღრმა აზრი აგრარული და ეროვნული საკითხების შეფარდებითი წონის შესახებ რუსული რევოლუციის მიმდინარეობაში მთლიანად ეკუთვნოდა ლენინს და რეაქციის წლებში არაერთხელ გამოუთქვამს კიდეც. იტალიასა და გერმანიაში ეროვნული განთავისუფლების და გაერთიანებისათვის ბრძოლა თავის დროზე ბურჟუაზიული რევოლუციის ღერძს წარმოადგენდა. სხვაგვარად იყო რუსეთში, სადაც მეთაური ეროვნება, ველიკორუსული, არ განიცდიდა ეროვნულ ჩაგვრას, პირიქით, სხვებს ჩაგრავდა. სამაგიეროდ, მთავარი, გლეხთა მასა, მასა ყველაზე უფრო ველიკორუსებისა, განიცდიდა მემამულეთა მძიმე ბატონობას. ასეთი სახის რთულ და სერიოზულად აწონდაწონილ აზრებს ნამდვილი ავტორი არასოდეს არ მოიხსენიებდა გაკვრით, როგორც რაღაც საერთოს, მტკიცებებისა და კომენტარების გარეშე.

ზინოვიევმა და კამენევმა, რომლებიც დიდხანს ცხოვრობდნენ ლენინის გვერდით, შეითვისეს არა მარტო მისი იდეები, არამედ მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტრუქციები და ხელწერაც კი. სტალინის შესახებ ამის თქმა არ შეიძლება. რა თქმა უნდა, ისიც ლენინის იდეებით ცხოვრობდა, მაგრამ შორს, გვერდზე და მხოლოდ იმ საზღვრებში, რაც საკუთარი მიზნებისათვის ესაჭიროებოდა. იგი ძალზე მტკიცე, ჯიუტი და შეზღუდული იყო იმისათვის, რომ შეეთვისებინა მასწავლებლის ლიტერატურული ხერხები. ამის გამოა, რომ ლენინისეული ჩასწორებები მის ტექსტში გამოიყურებიან, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ: „როგორც ნათელი საკერებელი გაცვეთილ ძონძზე".

ავსტრიული სკოლის, როგორც „ნაციონალიზმის დახვეწილი სახის" მხილება, ისევე როგორც მთელი რიგი მარტივი, მაგრამ ზუსტი ფორმულები, ეჭვგარეშეა, ლენინს ეკუთვნის. სტალინი ასე არ წერდა. ბაუერისეული ერის განსაზღვრების, როგორც „ხასიათთა შედარებითი ერთობის", თაობაზე სტატიაში ვკითხულობთ: „მაშინ რით განსხვავდება ბაუერისეული ერი სპირიტუალისტთა მისტიკური და თვითგვემადი „ეროვნული სულისაგან?"

ეს ფრაზა ლენინის დაწერილია. არც მას შემდეგ, არც მანამდე სტალინი ასე არ მეტყველებდა. და შემდეგ, როცა სტატია პასუხობს ბაუერის ერის განსაზღვრების საკუთარ ფორმულაში მის მიერვე შეტანილი ეკლექტიკური შესწორებების თაობაზე „...ასე უარყოფს საკუთარ თავს იდეალისტური ძაფებით ნაკერი თეორია". აქ შეუძლებელია, მაშინვე არ იცნოთ ლენინის კალამი. იგივე ითქმის ინტერნაციონალური ტიპის მუშათა ორგანიზაციის დახასიათების თაობაზეც, სადაც იგი იხატება, როგორც „მეგობრული გრძნობების სკოლა", სტალინი ასე არ წერდა. მეორე მხრივ, არსად ნაშრომში, მიუხედავად მრავალწახნაგოვნებისა, არ გვხვდება არც კურდღლის შეფერილობამიღებული ქამელეონი, არც მიწისქვეშა მერცხლები და არც ცრემლის შირმები. ლენინმა ამოძირკვა ყველა ეს სემინარული სილამაზე. გასწორებული ხელნაწერის დამალვა, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ არაფრით არ ხერხდება, დამალო ის გარემოება, რომ ციხეში პატიმრობისა და გადასახლების წლებში სტალინს არ შეუქმნია არაფერი ისეთი, რაც ცოტათი მაინც ემსგავსება ვენაში და კრაკოვში რამდენიმე კვირის მანძილზე შესრულებულ ნამუშევარს.

8 თებერვალს, როცა სტალინი ისევ საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ლენინი „პრავდის" რედაქციას ულოცავდა „გაზეთის წარმოებაში ვეებერთელა წინსვლას და გაუმჯობესებას, რაც აშკარად იგრძნობა უკანასკნელ დღეებში". ამ გაუმჯობესებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა და უმთავრესად ლიკვიდატორებთან ბრძოლის გაძლიერებაში გამოიხატებოდა. სამოილოვის მონაყოლით, მაშინ ფაქტობრივი რედაქტორის მოვალეობას ასრულებდა სვერდლოვი. იგი არალეგალურად ცხოვრობდა და არ გამოდიოდა „ხელშეუხებელი" დეპუტატების ბინიდან. სვერდლოვი მთელი დღეების განმავლობაში თავს დატრიალებდა ხელნაწერებს. „გარდა ამისა, იგი ძალიან კარგი ამხანაგი იყო ცხოვრებაში". ეს სიმართლეა. სტალინზე, რომელთანაც ძალზე ახლოს იყო და დიდ პატივსაც სცემდა, სამოილოვი ამას არ წერს.

10 თებერვალს პოლიციამ შეაღწია „ხელშეუხებელ" ბინაში, დააპატიმრა სვერდლოვი და სულ მალე ციმბირში გადაასახლა. ეჭვგარეშეა, მალინოვსკის დასმენის წყალობით. თებერვლის ბოლოს იმავე დეპუტატებთან დასახლდა საზღვარგარეთიდან დაბრუნებული სტალინი. „ჩვენი ფრაქციისა და „პრავდის" ცხოვრებაში იგი ხელმძღვანელ როლს თამაშობდა, — გვიამბობს სამოილოვი, — ის ესწრებოდა არა მარტო ჩვენს მიერ და ჩვენს ბინებში მოწყობილ შეკრებებს, არამედ ხშირად, დიდი რისკის ფასად, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის კრებებზეც დადიოდა, სადაც მენშევიკებთან სხვადასხვა საკითხებზე კამათისას ჩვენს პოზიციას იცავდა და დიდ სამსახურს გვიწევდა".

სტალინს პეტერბურგში მნიშვნელოვნად შეცვლილი ვითარება დახვდა. მოწინავე მუშები მტკიცედ უჭერდნენ მხარს სვერდლოვის რეფორმას, რომელიც ლენინის მიერ მომზადდა. „პრავდის" შტაბი მთლიანად განახლებული იყო. შემრიგებლები შევიწროებულნი აღმოჩნდნენ. სტალინს არც უფიქრია, ძირითადში მაინც დაეცვა ის პოზიციები, რომლებსაც 2 თვის წინათ ჩამოაშორეს. ეს მის სულისკვეთებას არ შეეფერებოდა. მისი უმთავრესი საზრუნავი ახლა სახის შენარჩუნება იყო. 26 თებერვალს იგი „პრავდაში" ბეჭდავს სტატიას, რომელშიც მუშებს მოუწოდებს „ხმა აიმაღლონ ფრაქციის შიგნით განხეთქილების მცდელობის წინააღმდეგ, საიდანაც უნდა მოდიოდეს იგი". არსებითად, სტატია შედის სათათბიროს ფრაქციის განხეთქილების მოსამზადებელ კამპანიაში, მთელი პასუხისმგებლობა კი მოწინააღმდეგეს ეკისრება. მაგრამ საკუთარი გუშინდელი დღით შებოჭილი სტალინი ცდილობს, ახალი მიზანი ძველი ფრაზეოლოგიით დაფაროს. ამის შედეგია ორაზროვანი წინადადება განხეთქილების მცდელობაზე „საიდანაც უნდა მოდიოდეს იგი".

ყოველ შემთხვევაში, სტატიიდან ნათელია, რომ კრაკოვის სკოლაში ყოფნის შემდეგ ავტორი ესწრაფვის მხოლოდ იმას, რაც შეიძლება შეუმჩნევლად შეიცვალოს ფრონტი და ჩაერთოს ახალ პოლიტიკაში. მაგრამ მასში მონაწილეობამ თითქმის არ მოუწია: იგი მალე დააპატიმრეს.

ყოფილი ქართველი ოპოზიციონერის ქავთარაძის მოგონებებში მოთხრობილია, როგორ შეხვდა სტალინს პეტერბურგის ერთ-ერთ რესტორანში ჯაშუშთა ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ. როცა მოსაუბრეებმა გადაწყვიტეს, რომ შეძლეს მოთვალთვალეთა ჩამოშორება, სტა-

ლინი მარხილით გაემგზავრა, მაგრამ მის უკან დაუყოვნებლივ დაიძრა მეორე, ჯაშუშის მარხილი. ქავთარაძემ გადაწყვიტა, რომ მისი თანამემამულე ამჯერად ვეღარ დააღწევდა თავს დაპატიმრებას, მაგრამ მისდა გასაოცრად გაიგო, რომ სტალინი თავისუფალია. ცუდად განათებულ ქუჩაზე სტალინი მოიკუნტა, შეუმჩნევლად გაცოცდა მარხილის ზურგისაკენ და ქუჩის კუთხეში თოვლის ნამქერში ჩაეფლო. მეორე მარხილი რომ გაცდა, ადგა, თოვლი ჩამოიბერტყა და ამხანაგთან შეაფარა თავი. სამი დღის შემდეგ სტუდენტურ ტანსაცმელში გადაცმულმა დატოვა თავშესაფარი და „განაგრძო პიტერის იატაკქვეშეთის ხელმძღვანელობა“.

თავისი აშკარად სტილიზებული მოგონებებით, ქავთარაძე ცდილობდა, როგორმე აეცილებინა მასზე ალმართული მახვილი, მაგრამ, როგორც ბევრმა სხვამ, ამ დამცირების ფასად მანაც ვერაფერი შეიძინა. ოფიციალური ისტორიული ჟურნალის რედაქციამ მოახერხა, არ შეენიშნა, რომ 1911 წელს, რომელსაც ქავთარაძე მიაკუთვნებს აღწერილ ეპიზოდს, სტალინი პეტერბურგს მხოლოდ ზაფხულის თვეებში ეწვია, როცა შეუძლებელია ქუჩებში თოვლის ნამქერი ყოფილიყო. ამბავი რომ ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ, იგი 1912 წლის დასასრულს ან 1913-ის დასაწყისში უნდა მომხდარიყო, როცა საზღვარგარეთიდან დაბრუნებული სტალინი 2-3 კვირის განმავლობაში თავისუფალი იყო.

მარტში ბოლშევიკური ორგანიზაცია „პრავდის“ ფირმით საღამო-კონცერტს მართავდა. სტალინმა „მოინდომა იქ წასვლა“, — უვება სამოილოვი. — საღამოზე ბევრი ამხანაგის ნახვა შეიძლებოდა. იგი რჩევას ეკითხებოდა მალინოვსკის: ღირს წასვლა? საშიში ხომ არაფერია? ვერაგმა მრჩეველმა უპასუხა, რომ, მისი აზრით, საშიშროება არ ჩანს. საშიშროება კი თვით მალინოვსკის მიერ იყო მომზადებული. სტალინის მისვლისთანავე დარბაზი ჯაშუშებით გაივსო. შეეცადნენ, გაეყვანათ იგი სამსახიობოდან, მანამდე კი ქალთა როტონდის გავლა მოუწიათ, მაგრამ სტალინი მაინც დააპატიმრეს. ამჯერად მას ზუსტად 4 წლით მოუხდა ასპარეზის დატოვება.

ამ დაპატიმრებიდან ორი თვის შემდეგ ლენინი „პრავდაში“ წერდა: „გილოცავთ წარმატებას... გაუმჯობესება ვეებერთელაა და სერიოზული. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მყარი და საბოლოოც... ოღონდ თვალი არ ეცეს!“ სრული სურათის მიღების თვალსაზრისით შეუძლებელია, არ მოვიყვანოთ ციტატი ლენინის წერილიდან, რომელიც მან პეტერბურგს გაგზავნა 1913 წლის ოქტომბერში, როცა სტალინი უკვე შორეულ გადასახლებაში იყო, რედაქციას კი კამენევი განაგებდა.

„აქ ყველა კმაყოფილია გაზეთით და მისი რედაქტორით. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი ცუდი სიტყვაც არ გამიგონია... ყველა კმაყოფილია, მე განსაკუთრებით: რადგან წინასწარმეტყველი გამოვდექი. ხომ გახსოვთ?“ წერილის ბოლოს ვკითხულობთ: „ძვირფასო მეგობარო! მთელი ყურადღება ახლა გადატანილია თანაბარუფლებიანობისათვის ექვსეულის ბრძოლაზე. გევედრებით, მთელი ძალები გამოიყენოთ და არც გაზეთს, არც მარქსისტულ საზოგადოებრივ აზრს არ მისცეთ თუნდაც ერთხელ შეყოყმანების საშუალება“.

ყველა მოტანილი ციტატიდან გამომდინარეობს სავსებით უცილობელი დასკვნები: გაზეთის საქმე, ლენინის აზრით, ხელიდან წასული იყო იმ პერიოდში, როცა მას სტალინი ხელმძღვანელობდა. ამავე პერიოდში სათათბიროს ფრაქცია შემრიგებლობისაკენ იხრებოდა. გაზეთი პოლიტიკურად გამოსწორდა მას შემდეგ, რაც სვერდლოვმა, სტალინის არყოფნის პერიოდში, ჩაატარა „არსებითი რეფორმები“, ხოლო გაიმართა და დამაკმაყოფილებელი გახდა, როცა მას სათავეში ჩაუდგა კამენევი. მისივე ხელმძღვანელობით მოიპოვეს სათათბიროს ბოლშევიკმა დეპუტატებმა დამოუკიდებლობა.

ფრაქციის განხეთქილებაში აქტიურ როლს, ერთდროულად ორსაც კი, თამაშობდა მალინოვსკი. ჟანდარმერიის გენერალი სპირიდოვიჩი ამის თაობაზე წერს: „მალინოვსკიმ, ლენინისა და პოლიციის დეპარტამენტის დირექტივებს რომ ასრულებდა, მიაღწია იმას, რომ 1913 წლის ოქტომბერში „შვიდეული“ და „ექვსეული“ საბოლოოდ წაიჩხუბნენ“. თავის მხრივ მენშევიკებიც არაერთხელ გაუხარებია ლენინისა და პოლიციის დეპარტამენტის პოლიტიკის „დამთხვევას“.

პოლიციის დეპარტამენტს იმედი ჰქონდა, რომ სოციალ-დემოკრატიის განხეთქილება დაასუსტებდა მუშათა მოძრაობას. ლენინი, პირიქით, თვლიდა რომ განხეთქილება უზრუნველყოფდა მუშებს აუცილებელი რევოლუციური ხელმძღვანელობით. პოლიციის მაკიაველები აშკარად მოტყუვდნენ ანგარიშში. მენშევიკები არარაობისთვის განწირულნი აღმოჩნდნენ. ბოლშევიზმმა გაიმარჯვა ყველა მიმართულებით.

ბოლო დაპატიმრებამდე სტალინმა 6 თვეზე მეტი დაუთმო პეტერბურგსა და უცხოეთში ინტენსიურ მუშაობას. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სათათბიროს არჩევნების კამპანიის ჩატარებაში, ხელმძღვანელობდა „პრავდას“, მონაწილეობდა საზღვარგარეთ გამართულ პარტიული შტაბის მნიშვნელოვან თათბირში და დაწერა ნაშრომი ეროვნულ საკითხზე. ამ ნახევარ წელს უეჭველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი პიროვნული განვითარებისათვის. პირველად იყო მუშაობაზე პასუხისმგებელი დედაქალაქში, პირველად მიეახლა დიდ პოლიტიკას, პირველად მივიდა ასე ახლოს ლენინთან. მოჩვენებითი უპირატესობის ის გრძნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, რომელიც მას ჰქონდა, როგორც რეალისტ „პრაქტიკოსს“, არ შეიძლებოდა, არ შერყეულიყო დიად ემიგრანტთან პირად კონტაქტში. თვითშეფასება გაცილებით კრიტიკული და ფხიზელი უნდა გამხდარიყო, პატივმოყვარეობა — უფრო ჩაკეტილი და მშფოთვარე. შელახული პროვინციული თვითკმაყოფილება აუცილებლად შეიფერებოდა შურით, რომელსაც მხოლოდ სიფრთხილე იმორჩილებდა. გადასახლებაში სტალინი კბილების ღრჭიალით მიემგზავრებოდა.

## ომი და გადასახლება

●

ენისეის გუბერნიის ჩრდილოეთით, 30 000 კვადრატულ მილზე მდებარე ტურუხანის მხარის მოსახლეობა 10 000 სულს ითვლიდა. მათ შორის იყვნენ რუსები და არარუსები. ერთიმეორისაგან ასობით ვერსით დაშორებულ თითოეულ დასახლებაში ორიდან ათამდე ოჯახი ცხოვრობდა. იშვიათი იყო უფრო მრავალკომლიანი დასახლება... მიწათმოქმედების განვითარება აქ, სადაც რვა თვე ზამთარია, სრულიად შეუძლებელია... აქაურები თევზს იჭერენ, ნადირობენ — თევზიც და ნადირიც ბევრია. სტალინი ამ არასტუმართმოყვარე მხარეში, სადაც უკვე იმყოფებოდა სვერდლოვი, 1913 წლის შუახანებში ჩამოვიდა. მალე ალილუევმა მიიღო წერილი, რომელშიც სტალინი თხოვდა მას, დაეჩქარებინა დეპუტატი ბადაევი, რათა დროულად მიეწვდინა ლენინის მიერ უცხოეთიდან გადმოგზავნილი ფული... „სტალინი დაწვრილებით მიხსნიდა, რომ ფული სასწრაფოდ ჭირდება, რათა მოასწროს აუცილებელი პროდუქტების, ნავთის და სხვა ნივთების მომარაგება, ვიდრე პოლარული მკაცრი ზამთარი დადგებოდეს“.

25 აგვისტოს პოლიციის დეპარტამენტი აფრთხილებს ენისეის ჟანდარმერიას, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გადასახლებულების: სვერდლოვისა და ჯუღაშვილის მხრივ გაქცევის ცდას. 18 დეკემბერს დეპარტამენტი უკვე ტელეგრაფით მოითხოვს ენისეის გუბერნატორისაგან მიიღოს ზომები გაქცევის თავიდან ასაცილებლად. იანვარში დეპარტამენტი ასევე ტელეგრაფით ატყობინებს ენისეის ჟანდარმერიას, რომ სვერდლოვი და ჯუღაშვილი, ადრე მიღებული 100 მანეთის გარდა, კიდევ ელოდებიან, გაქცევისათვის საჭირო 50 მანეთს. მარტში ოხრანკის აგენტებმა ისიც კი შეიტყვეს, თითქოს სვერდლოვი მოსკოვში ნახეს. ენისეის გუბერნატორი ჩქარობს, აცნობოს, რომ „ორივე გადასახლებული ადგილზეა და მიღებულია ყველა ზომა, რათა აღიკვეთოს გაქცევა“. ამაოდ წერდა სტალინი ალილუევს, თითქოს ლენინის გამოგზავნილი ფული ნავთისა და სხვა პროდუქტებისათვის ჭირდებოდა: პირველი პირისგან, ანუ კვლავ მალინოვსკის წყალობით დეპარტამენტმა იცოდა, რომ მზადდებოდა გაქცევა.

1914 წლის თებერვალში სვერდლოვი თავის დას წერდა: „მე და იოსებ ჯუღაშვილი კიდევ 100 ვერსით გადავუყავართ ჩრდილოეთისაკენ — პოლარული წრის ჩრდილოეთით 80 ვერსზე. ზედამხედველობა გაგვიძლიერეს, ფოსტას მოწყვეტილები ვართ, ბევრი-ბევრი — თვეში ერთხელ მივიღოთ, „ხოდოკის“ მეშვეობით, რომელიც ხშირად იგვიანებს. პრაქტიკულად, წელიწადში 8-9 ფოსტაზე მეტი არ მოდის!..“ ახალი გადასახლების ადგილია მიგდებული დასახლება კურეიკა, მაგრამ ესეც ეცოტავებათ: „ჯუღაშვილს ფულის მიღების გამო 4 თვით მოუხსნეს დახმარება, ფული ჰაერივით გვჭირდება მეც და იმასაც, მაგრამ ჩვენს სახელზე გამოგზავნა არ შეიძლება“. დახმარების დასეკვესტრებით პოლიცია შეღავათს აძლევდა მეფის ბიუჯეტს და ამცირებდა გაქცევის შანსს.

კურეიკიდან გამოგზავნილ პირველ წერილში სვერდლოვი დაწვრილებით აღწერს სტალინისა და მის ყოფას. „ამ ახალ ადგილზე გაცილებით ცუდად ვარ. ისიც საკმარისია, რომ ერთ ოთახში ორნი ვცხოვრობთ. ჩემთან ერთად არის ქართველი ჯუღაშვილი, ძველი ნაცნობი, რომელთანაც უკვე მოვხვდი ადრე გადასახლებისას. კარგი ყმაწვილია, მაგრამ ყოველდღიურ ყოფაში ძალიან დიდი ინდივიდუალისტია. მე ხომ მინიმალური წესრიგის მომხრე ვარ. ამის გამო ხანდახან ვნერვიულობ, მაგრამ ამას კიდევ მოევლება, გაცილებით უარესია, რომ სახლის პატრონისაგან იზოლირება სრულიად შეუძლებელია. ოთახი მეპატრონის ოთახის გვერდითაა და ცალკე შესასვლელი არა აქვს. სახლის პატრონებს ბავშვები ჰყავთ. ბუნებრივია, საათობით ტრიალებენ ჩვენს ირგვლივ. ზოგჯერ ხელს გვიშლიან. ხშირად გვაკითხავენ სოფლის ბინადარნიც: მოვლენ, მოიკალათებენ, ერთი ნახევარი საათი მდუმარედ სხედან და უცბად წამოდგებიან: „აბა, წასვლის დროა, ნახვამდის!“ ის-ისაა წავიდნენ, ახლა სხვა ვინმე შემოივლის და კვლავ იგივე მეორდება. არადა, სწორედ მუშაობისათვის ყველაზე უკეთეს დროს — საღამოს მოდიან, გასაგებია, დღისით მუშაობენ. ძველ რეჟიმს გამოვეთხოვე, დღის ხელახლა გადანაწილებამ მომიწია. იძულებული ვარ, უარვყო ნაშუაღამევს წიგნის კითხვის ჩვეულებაც — ნავთი სულ არა გვაქვს, სანთლებს ვანთებთ. ჩემი მხედველობის პატრონისთვის ეს სინათლე საკმარისი არ არის. ასე რომ, ყოველგვარი სამუშაო დღისით უნდა შევასრულო. სხვათა შორის, ბევრს ვერ ვმუშაობ, წიგნები თითქმის არა გვაქვს“. ასე ცხოვრობდნენ საბჭოთა რესპუბლიკის მომავალი პირველი პრეზიდენტი და გასაბჭოებული რუსეთის მომავალი დიქტატორი.

ჩვენთვის წერილში ყველაზე საინტერესოა სტალინის თავშეკავებული დახასიათება: „კარგი ყმაწვილია, მაგრამ ძალზე დიდი ინდივიდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალისტი". ამ წინადადების პირველი ნაწილი მიზნად ისახავს, შეარბილოს მეორე ნაწილი. „ინდივიდუალისტი ყოველდღიურ ყოფაში" ამ შემთხვევაში ნიშნავს კაცს, რომელიც, იძულებულია რა იცხოვროს სხვა ადამიანის გვერდით, არ ითვალისწინებს არც მის ზნე-ჩვეულებებს, არც მის ინტერესებს. „მინიმალური წესრიგი", რომელსაც უიმედოდ ესწრაფოდა სვერდლოვი, მასთან მცხოვრები კაცისგან ერთგვარ თვითშეზღუდვას მოითხოვდა. სვერდლოვი ბუნებით დელიკატური პიროვნება იყო. სამოილოვი ახასიათებდა მას, როგორც პირად ურთიერთობაში „დიდებულ ამხანაგს". სტალინის ბუნებაში დელიკატურობის აჩრდილიც არ მოიძებნებოდა. ამასთან, არ დაგვავიწყდეს, რომ სწორედ სვერდლოვს მიენდო „პრავდის" რედაქციის ლიკვიდაცია, რომელსაც სტალინი ლენინის საწინააღმდეგოდ იყენებდა. ასეთ რამეს სტალინი არ პატიობდა. ის საერთოდ არავის არაფერს არ პატიობდა. 1924 წელს დაგვპირდნენ სვერდლოვის ტურუხანის პერიოდის მთლიანი მიმოწერის გამოქვეყნებას, მაგრამ ეს დაპირება აღარ განხორციელებულა: იგი, როგორც ჩანს, ურთიერთობის შემდგომ გამწვავებას ასახავდა.

ცკ-ის მესამე წევრის სპანდარიანის მეუღლე შვაიცერი, რომელიც ომის დაწყების წინადღეს ჩავიდა კურეიკაში, მაშინ, როცა სვერდლოვი უკვე გადაყვანილი ჰყავდათ იქიდან, გვატყობინებს, რომ სტალინის ოთახში „მაგიდაზე დახვავებული იყო წიგნები და გაზეთების დიდი დასტები, კუთხეში კი თოკზე ეკიდა თვითნაკეთი სათევზაო და სანადირო მოწყობილობა".

როგორც ჩანს, სვერდლოვის ჩივილმა წიგნების ნაკლებობის თაობაზე შედეგი გამოიღო: მეგობრებმა შეავსეს კურეიკის ბიბლიოთეკა. „თვითნაკეთი" მოწყობილობა კი, რასაკვირველია, თოფი და ცეცხლსასროლი იარაღი არ იქნებოდა. საქმე ეხებოდა თევზის დასაჭერ და კურდღლისა და სხვა ცხოველისთვის დასაგებ ხაფანგს. სტალინი არც შემდგომში ყოფილა მსროლელი და მონადირე ამ სიტყვის სპორტული გაგებით და, საერთოდ, მისი ბუნებიდან გამომდინარე, უფრო იოლია იმის წარმოდგენა, როგორ აგებს ღამით ხაფანგებს, ვიდრე იმისა, როგორ უმიზნებს თოფს გაფრენილ ჩიტს.

სოციალისტ-რევოლუციონერი კარგანოვი, რომელიც შემდეგ ოპერის მომღერალი გახდა, სტალინთან ტურუხანის გადასახლებაში შეხვედრას 1913 წლის ნაცვლად 1911 წლით ათარიღებს. ასეთ შემთხვევებში ქრონოლოგიური შეცდომები ჩვეულებრივი რამაა. სხვა ამბებთან ერთად კარგანოვი მოგვითხრობს, როგორ დაიცვა სტალინმა სისხლის სამართლის დამნაშავე, მეტსახელად ჩაიკა, რომელმაც გლეხი გაძარცვა. იგი ამტკიცებდა, რომ ჩაიკას გასამართლება არ შეიძლება. საჭიროა მოვიმხროთ იგი ჩვენსკენ, რადგან ასეთი ადამიანები დაგვჭირდება მომავალ ბრძოლებშიო. სისხლის სამართლის დამნაშავეებისადმი კობას ლტოლვის შესახებ ჩვენ უკვე მოვისმინეთ ვერეშჩაკისაგან, რომელიც უყვება, თითქოს ერთხელ კამათისას სტალინმა გამოამჟღავნა საკუთარი თავი, როგორც ანტისემიტი; მან ებრაელების წინააღმდეგ უხეში ქართული გამოთქმები მოიშველია. დაარღვია რა გადასახლებულთა ყოველგვარი ტრადიციები, თუ კარგანოვს დავუჯერებთ, მან ახლო ურთიერთობა დაამყარა პოლიციის ბოქაულთან, ოს კიბიროვთან. ამხანაგების საყვედურზე სტალინმა უპასუხა, რომ ეს ურთიერთობა, თუ საჭირო შეიქნა, ხელს არ შეუშლის მას, მოსპოს ბოქაული, როგორც პოლიტიკური მტერი. იგივე კარგანოვის თქმით, სტალინი აოცებდა გადასახლებულებს „თავისი სრული უპრინციპობით, ეშმაკობითა და განსაკუთრებული სისასტიკით... წვრილმანებშიც კი ვლინდებოდა მისი არაჩვეულებრივი პატივმოყვარეობა". ძნელი გადასაწყვეტია, სად იწყება აქ გამონაგონი და სად მთავრდება სიმართლე. საერთოდ კი კარგანოვის მონაყოლი საკმაოდ ახლოსაა ვერეშჩაკის ბაქოს ციხიდან შემორჩენილ შთაბეჭდილებებთან.

საფოსტო და სხვა სახის კავშირებს კურეიკა ამყარებდა სოფელ მონასტირსკის მეშვეობით, საიდანაც ძაფები გაბმული იყო ენისეისკსა და უფრო შორს, კრასნოიარსკში. ყოფილი გადასახლებული გავენი, რომელიც ახლა უგზოუკვლოდ გამქრალთა შორისაა, გვიამბობს, რომ ენისეის კომუნა როგორც ლეგალური, ისე იატაკქვეშა პოლიტიკური ცხოვრების კურსში იყო. მას მიმოწერა ჰქონდა როგორც გადასახლების სხვა რაიონებთან, ისე კრასნოიარსკთან, რომელსაც თავის მხრივ, დაკავშირებული იყო. ბოლშევიკების პიტერისა და მოსკოვის კომიტეტებთან და გადასახლებულთ იატაკქვეშეთის დოკუმენტებით ამარაგებდა. ადამიანები ახერხებდნენ აქაც, პოლარულ გარემოში ეცხოვრათ პარტიის ინტერესებით, იკრიბებოდნენ ჯგუფებად, ყელის ჩახლეჩამდე კამათობდნენ, ზოგჯერ კი სიძულვილამდეც მიდიოდნენ. სხვათა შორის, გადასახლებულთა პრინციპული გამიჯვნა დაიწყო მხოლოდ 1914 წლის შუახანებში, ტურუხანის მხარეში ცკ-ის მესამე წევრის, მძვინვარე სპანდარიანის ჩამოსვლის შემდეგ.

რაც შეეხება სტალინს, იგი განმარტოებას ამჯობინებდა. შუმიაცკის, მომავალი საბჭოთა კინემატოგრაფიის უფროსის სიტყვით, „სტალინი... ჩაიკეტა საკუთარ თავში. ნადირობასა და თევზაობაში გართული, იგი თითქმის მარტოდმარტო ცხოვრობდა... ადამიანებთან ურთიერთობას როგორღაც არ საჭიროებდა და მხოლოდ იშვიათად სტუმრობდა თავის მეგობარ სურენ სპანდარიანს სოფელ მონასტირსკში. რათა შემდეგ კვლავ დაბრუნებოდა თავის განდეგილის ბუნაგს. იგი ძუნწად გამოისროდა ხოლმე რაიმე შენიშვნას ამა თუ იმ საკითხთან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირებით. რამდენადაც უწევდა დასწრება კრებებზე, რომლებსაც გადასახლებულები აწყობდნენ". ეს სტრიქონები, რომლებიც შემდეგი გვიანი ხანის გამოცემაში შეარბილეს და შეალამაზეს (სიტყვა „ბუნაგიც" კი რატომღაც „ლაბორატორიად" გადაკეთდა), ისე უნდა გავიგოთ, რომ სტალინმა გადასახლებულთა უმეტესობასთან შეწყვიტა ურთიერთობა და გაურბოდა მათ. გასაოცარი არ არის, თუ სვერდლოვთანაც შეწყვიტა კავშირი: გადასახლების მონოტონურ პირობებში უფრო ადვილად შემგუებელი ბუნების ადამიანებიც არ არიან დაზღვეულნი კინკლაობისაგან. „მორალური ატმოსფერო, — ერთგვარი სიფრთხილით წერდა სვერდლოვი ერთ-ერთ წერილში, რომელმაც მოასწრო ბეჭდვით ორგანოებში გამოჩენა, — არცთუ ისე სახარბიელოა... კონტრების წყება (პირადი კონფლიქტები), რომელიც მხოლოდ ციხესა და გადასახლებაშია დასაშვები, მათი წვრილმანი ხასიათის მიუხედავად, გვარიანად გაწყვეტენ ნერვებს". ამ „კონტრების" გამო სვერდლოვმა მიაღწია, რომ სხვა დასახლებაში გადაეყვანათ. კურეიკის დატოვება დააჩქარა კიდევ ორმა ბოლშევიკმა: გოლოშჩეკინმა და მედვედევმა, რომლებიც ახლა, აგრეთვე, უგზოუკვლოდ დაკარგულთა რიცხვში არიან. ბოღმიანი, უზეში პატივმოყვარეობით დაღრღნილი სტალინი სულაც არ გახლდათ იოლად ასატანი მეზობელი.

ბიოგრაფები აშკარად აჭარბებენ, როცა წერენ, რომ ამჯერად გაქცევა შეუძლებელი იყო, მაგრამ სერიოზულ სიძნელეებს კი ნამდვილად შეიცავდა. სტალინის წინა გაქცევები, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, გაქცევა კი არ იყო, არამედ გადასახლების ადგილების თვითნებური მიტოვება. სოლვიჩეგოდსკიდან და ვოლოგდიდან, თვით ნარიმის მხარიდან მიმალვა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ერთადერთი, უნდა გადაგეწყვიტა, დაგეთმო „ლეგალურობა". ტურუხანის მხარე სულ სხვა გახლდათ: აქ საჭირო იყო მძიმე მოგზაურობა ირმებით ან ძაღლებით. ზაფხულში კი ნავით ანდა ტრიუმის ფიცრების ქვეშ გულდაგულ დამალულს უნდა მოგეხერხებინა გაქცევა, იმ შემთხვევაში, თუ თბომავლის კაპიტანი კარგი თვალით უყურებდა პოლიტიკურ დამნაშავეებს. მოკლედ, ამჯერად გაქცევა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ეს სიძნელეები დაუძლეველი რომ არ იყო, ამას ყველაზე უკეთ მოწმობს ის ფაქტი, რომ ტურუხანიდან იმ წლებში წარმატებით გაიქცა რამდენიმე კაცი. მართალია, მას შემდეგ, რაც მათი გაქცევის გეგმის შესახებ გაიგო, პოლიციის დეპარტამენტმა, სტალინსა და სვერდლოვს განსაკუთრებული ზედამხედველობა დაუწესა, მაგრამ იმიერპოლარეთის ზარმაც და ღვინოზე დახარბებულ „სტრაჟნიკებს" ჯერ არავისთვის არ შეუშლიათ ხელი გაქცევაში. ტურუხანის მხარეში გადასახლებულნი საკმაოდ თავისუფლად გადადიოდნენ ერთიდან მეორე ადგილზე. „სტალინი ხშირად დადიოდა სოფელ მონასტირსკში, — წერს შვეიცერი, — სადაც იკრიბებოდნენ გადასახლებულები. ამისათვის იგი იყენებდა როგორც არალეგალურ გზებს, ისე ყველანაირ ლეგალურ მიზეზებს". ჩრდილოეთის უსაზღვრო უდაბნოებში ზედამხედველობა არც ისე შედეგიანი იყო. პირველი წლის განმავლობაში სტალინი, როგორც ჩანს, აკვირდებოდა გარემო პირობებს და აუჩქარებლად ემზადებოდა: ის ფრთხილი გახლდათ. მეორე წელს, ივლისში უკვე ომი დაიწყო. გაქცევის ფიზიკურ და პოლიციურ სიძნელეებს დაერთო ომის რეჟიმში არალეგალური ცხოვრების საშიშროებაც. სწორედ ამ მომატებული საშიშროების გამო იკავებდა სტალინი თავს გაქცევისაგან.

„სტალინმა, — წერს შვეიცერი, — გადაწყვიტა, დარჩენილიყო გადასახლებაში. აქ იგი განაგრძობდა ეროვნული საკითხის დამუშავებას, ასრულებდა თავისი წიგნის მეორე ნაწილს". სტალინის მიერ ამ თემის დამუშავების შესახებ გვესაუბრება შუმიაცკიც. სტატია ეროვნულ საკითხზე სტალინმა ნამდვილად გადასახლების პირველ თვეებში დაწერა: ამის თაობაზე ჩვენ მოგვეპოვება ალილუევის კატეგორიული მოწმობა. „იმავე (1913 წ.) ზამთრის დასაწყისში, — წერს იგი, — სტალინისგან მეორე წერილი მივიღე... კონვერტში იდო სტატია ეროვნულ საკითხზე. სტალინი მთხოვდა, გადამეგზავნა ნაშრომი „საზღვარგარეთ, ლენინისათვის". ნაშრომი, როგორც ჩანს, არც ისე დიდი მოცულობის იყო. — იგი ადვილად თავსდებოდა წერილისათვის განკუთვნილ კონვერტში. მაგრამ რა ბედი ეწია ამ სტატიას? მთელი 1913 წლის მანძილზე ეროვნულ პროგრამას რომ ავითარებდა და აზუსტებდა, ლენინი არ შეიძლება მაშინვე არ დახარბებოდა სტალინის ამ ახალ ნამუშევარს. სტატიის შესახებ გამეფებული დუმილი, უბრალოდ, მოწმობს, რომ იგი გამოსაქვეყნებლად უვარგისად სცნეს. იმ აზრის დამოუკიდებლად გადამუშავების ცდამ, რომელიც მას კრაკოვში მიაწოდეს, სტალინი მიიყვანა მცდარ გზასთან, ისე რომ, ლენინმა შეუძლებლად ჩათვალა სტატიის გასწორება. მხოლოდ ამით აიხსნება ის გასაოცარი ფაქტი, რომ გადასახლების დანარჩენი სამწელიწადნახევარი სტალინმა ისე გაატარა, გაბრაზებულს ერთხელაც აღარ უცდია დაბეჭდილიყო ბოლშევიკურ პრესაში.

●

გადასახლებაში, ისე როგორც ციხეში, დიდი მოვლენები განსაკუთრებულად დაუჯერებელი გეჩვენება. შუმიაცკის გადმოცემის თანახმად, „ომის შესახებ ცნობამ გააშეშა საზოგადოება და ცალკეული პირები სრულიად მცდარ ნოტებს იღებდნენ"... „თავდაცვითი მიმდინარეობა გადასახლებულთა შორის ძლიერი იყო. ყველა დეზორიენტირებული იყო", წერს გავენი. გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოცარი არაფერია: დეზორიენტირებულნი იყვნენ ბოლშევიკები პეტერბურგშიც, რომელსაც უკვე პეტროგრადი ეწოდა. „მაგრამ იმდენად ძლიერი იყო სტალინის ავტორიტეტი ბოლშევიკთა შორის, — აცხადებს შვაიცერი, — რომ მისმა პირველმა წერილმა გადასახლებულთადმი ბოლო მოუღო ეჭვებს და გამოაფხიზლა მოჭოჭმანენი“. რა დაემართა ამ წერილს? ასეთი სახის დოკუმენტებს იწერდნენ და გადასახლების კოლონიებში უამრავ ეგზემპლარად ვრცელდებოდა. წარმოუდგენელია ყველა ასლი დაკარგულიყო. ისინი, რომლებიც პოლიციას ჩაუვარდა ხელში, მის არქივებში უნდა აღმოგვეჩინა. სტალინის ისტორიული „წერილი“ არ შემონახულა მხოლოდ იმიტომ, რომ არც არასოდეს დაწერილა. თავისი შაბლონურობით შვაიცერის ეს მოწმობა ტრაგიკული ადამიანური დოკუმენტია. მოგონებები დაიწერა 1937 წ. მოვლენებიდან საუკუნის მეოთხედის გასვლის შემდეგ, იძულებითი ბეგარის წესით. შვაიცერი აიძულეს, სტალინისთვის მიეწერა ის პოლიტიკური დამსახურება, რომელიც სინამდვილეში, მართალია, გაცილებით მოკრძალებულ მასშტაბებში, მიეკუთვნებოდა მის მეუღლეს, დაუოკებელ სპანდარიანს, რომელიც გადასახლებაში გარდაიცვალა 1916 წ. შვაიცერმა, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცის, როგორც იყო საქმე, მაგრამ ფალსიფიკაციის კონვეიერი ავტომატურად მუშაობს.

სინამდვილესთან უფრო ახლოსაა შუმიაცკის მოგონებები, რომელიც შვაიცერის მოგონებებზე 18 წლით ადრე გამოქვეყნდა. პატრიოტების წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში შუმიაცკი ხელმძღვანელ როლს სპანდარიანს აკუთვნებს. „მან ერთ ერთმა პირველთაგანმა დაიჭირა „პორაჟენელობის“ შეურიგებელი პოზიცია და შეკრებებზე, რომლებიც დროგამოშვებით იმართებოდა, სარკასტულად დასცინოდა სოციალ-პატრიოტებს...“ გვიანდელ გამოცემაშიც შუმიაცკისთან კვლავ ვხვდებით ფრაზას: „ყველაფერს ნათლად და ზუსტად აანალიზებდა განსვენებული სპანდარიანი...“ დანარჩენებს, როგორც ჩანს, ნაკლებად ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ საქმის არსზე: ეს კია, შუმიაცკი, რომელიც არასოდეს არ ყოფილა კურეიკაში, ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად განმარტოს, რომ „სტალინი, რომელიც სრულიად იზოლირებული იყო საკუთარ ბუნაგში, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაადგა „პორაჟენულ“ გზას“ და რომ სტალინის წერილები „ამხნევებდნენ სურენს მოწინააღმდეგეებთან ბრძოლისას“.

ამ ჩანართის დამაჯერებლობა, რომლითაც ავტორი ცდილობს, მტკიცედ დაუმკვიდროს სტალინს მეორე ადგილი „პორაჟენელებს“ შორის, თვით შუმიაცკის მონათხრობითვე ხდება საეჭვო. „მხოლოდ 1914 წლის ბოლოს და 1915-ის დასაწყისში, — წერს იგი შემდეგ, — როდესაც სტალინმა მოახერხა ჩასულიყო მონასტირსკში და მხარში ამოდგომოდა სპანდარიანს, შეწყდა ამ უკანასკნელზე მოკიშკე დაჯგუფებების თავდასხმები“.

გამოდის, რომ ინტერნაციონალური პოლიტიკა სტალინს მხოლოდ სპანდარიანთან შეხვედრის შემდეგ დაუკავებია და არ ომის დასაწყისშივე. შუმიაცკი ახალ გამოცემაში შეეცადა, შეენიღბა სტალინის ასეთი ხანგრძლივი დუმილი, მაგრამ თავისდაუნებურად კიდევ უფრო ხაზგასმით წარმოაჩინა იგი იმით, რომ ამოიღო მტკიცება სტალინის მონასტირსკში „მხოლოდ 1914 წლის ბოლოს და 1915-ის დასაწყისში“ ჩასვლის თაობაზე.

სინამდვილეში, ეს ფაქტი ემთხვევა 1915 წლის თებერვლის ბოლოს, იმ დროს, როცა ომის შვიდთვიანი გამოცდილების წყალობით არა მარტო მერყევნი, ბევრი აქტიური „პატრიოტიც“ კი გამოფხიზლდა. არსებითად, სხვაგვარად ვერც მოხერხდება. პეტერბურგის, მოსკოვის და პროვინციების ხელმძღვანელი ბოლშევიკები ლენინის თეზისებს ეჭვითა და შეშფოთებით შეხვდნენ და ვერავინ გაბედა მათი სრულად გაზიარება. ამიტომ არც იყო მოსალოდნელი, რომ სტალინის შენელებული და კონსერვატული აზროვნება დამოუკიდებლად ჩაწვდებოდა იმ დასკვნებს, რომლებსაც სრული გადატრიალება უნდა მოეხდინათ მუშათა მოძრაობაში.

გადასახლების მთელი პერიოდიდან ცნობილია მხოლოდ ორი დოკუმენტი, რომლებშიც აისახა სტალინის დამოკიდებულება ომისადმი. ეს არის მისი პირადი წერილი ლენინისადმი და ხელმოწერა ბოლშევიკთა ჯგუფის კოლექტიურ განცხადებაზე.

ლენინთან მონასტირსკიდან 27 თებერვალს გაგზავნილი ბარათი პირველი და, როგორც ჩანს, მთელი ომის განმავლობაში სტალინის ერთადერთი მიმართვაა ლენინისადმი. მოგვყავს იგი მთლიანად:

„ჩემო სალამი, ძვირფასო ილიჩ, მხურვალე, მხურვალე სალამი. სალამი ზინოვიევს, ნადეჟდა კონსტანტინოვნას. როგორ ცხოვრობთ, ხომ ჯანმრთელად ხართ? მე ძველებურად ვარ, ვღოღნი პურს და მოვგუდე სასჯელის ნახევარი. მოწყენილობაა, მაგრამ ვერაფერს გააწყობ. თქვენი საქმეები როგორღაა? თქვენთან, ალბათ, მეტი ხალისია... ამ ცოტა ხნის წინ კროპოტკინის სტატია წავიკითხე — ბებერი ბრიყვი, სულ გამოჩერჩეტდა. „რეჩში“ პლეხანოვის პატარა სტატიაც ვნახე — გამოუსწორებელი ბებერი ყბედი დედაკაცია. ეხ! ახლა ლიკვიდატორები თავიანთი თავისუფალი ეკონომიკური საზოგადოების დეპუტატ-აგენტებიანად? მიმბედავი არავინაა, ეშმაკმა დალახვროს! ნუთუ ასე დაუსჯელად უნდა იპარპაშონ? გაგვახარეთ და გვაცნობეთ, რომ მალე გამოჩნდება ისეთი ორგანო, სადაც მათ როგორც წესია, ისე გაუმათრახებენ სიფათებს, დაუღალავად. თუ წერილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწერას გადაწყვეტთ. მოგვწერეთ მისამართზე: ტურუხანის მხარე, ენისეის გუბერნია, სოფ. მონასტირსკი, სურენ სპანდარიანს. თქვენი კობა. ტიმოთე (სპანდარიანი) გთხოვთ, გადასცეთ მისი მწვავე სალამი გედს, სამბას და ვანდერველდეს თავიანთ დიდებულ — ჰე-ჰე! — მინისტრთა პოსტებზე".

სტალინის პოზიციის გასაგებად ეს წერილი, რომელიც სპანდარიანთან საუბრების აშკარა გამოძახილია, ბევრს არაფერს გვაძლევს. ხანშიშესული კროპოტკინი, წმინდა წყლის ანარქისტ-თეორეტიკოსი, ომის დასაწყისში გააფთრებული შოვინისტი გახდა. მთლად უკეთესად არც პლეხანოვი გამოიყურებოდა, რის გამოც მენშევიკებიც კი განუდგნენ. ვანდერველდე, გედი და სამბა, როგორც ბურჟუაზიული მინისტრები, მშვენიერ სამიზნეს წარმოადგენდნენ. სტალინის წერილში გადაკვრითაც არაფერია ნათქვამი იმ ახალ პრობლემებზე, რომლითაც დაკავებული იყო ყველა რევოლუციონერი მარქსისტის გონება. იმ დროისათვის გამართულ უსასრულო დებატებზე ყურადღების ცენტრში იდგა ისეთი საკითხები, როგორიცაა პაციფიზმისადმი დამოკიდებულება, ლოზუნგები: „პორაჟენელობა" და „იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად", ახალი ინტერნაციონალის პრობლემა... ლენინის იდეებს დიდი აღიარება არ ჰქონდათ. თუ სტალინი მართლაც სოლიდარობას უცხადებდა ლენინს, განა ბუნებრივი არ იყო, გადაკვრით მაინც მიენიშნებინა წერილში ამის თაობაზე? შვაიცერს თუ ვენდობით, პირველად სწორედ აქ, მონასტირსკში გაეცნო სტალინი ლენინის თეზისებს. „ძნელი გადმოსაცემია, — წერს იგი ბერიას სტილით, — როგორი სიხარულით, რწმენითა და აღფრთოვანებით კითხულობდა სტალინი ლენინის თეზისებს, რომლებიც ადასტურებდნენ მის საკუთარ მოსაზრებას..."

რატომ ერთი სიტყვითაც არ ახსენებს იგი წერილში ამ თეზისებს?

თუკი სტალინი დამოუკიდებლად მუშაობდა ახალი ინტერნაციონალის პრობლემების გადასაჭრელად, არ შეიძლებოდა, რამდენიმე სიტყვით მაინც არ ეცნობებინა თავისი მასწავლებლისათვის საკუთარი დასკვნების თაობაზე და არ დაესვა მისთვის მეტნაკლებად საჭირბოროტო კითხვები? არაფერი ამის მსგავსი წერილში არ არის. ლენინის იდეებიდან სტალინი ღებულობდა იმას, რაც მის თვალსაწიერს პასუხობდა სხვა ყველაფერი კი თუ „ჭიქა წყალში ამოვარდნილ ქარიშხლად" არა, მომავლის საქმედ მაინც ეჩვენებოდა. ასეთი შეხედულებებით შეაბიჯა მან თებერვლის რევოლუციაში.

მონასტირსკიდან გამოგზავნილი გათამაშებული სიყოჩაღის ტონით დაწერილი ეს ბარათი, რომელიც შინაარსით მაინცდამაინც ვერ დაიტრაბახებს („ეშმაკმა დალახვროს", „ჰე-ჰე!" და სხვ.) უფრო მეტ რამეს გვიმხელს, ვიდრე ეს ავტორს სურდა. „მოწყენილობაა, მაგრამ ვერაფერს გააწყობ", — ადამიანი, რომელიც დაძაბულ გონებრივ შრომას ეწევა, ასე არ წერს. „თუ გადაწყვეტთ წერილის მოწერას, მოგვწერეთ მისამართზე..." ასე არ წერს ადამიანი, რომელიც აფასებს აზრის თეორიულ გაზიარებას. წერილს ისევ და ისევ ის სამმაგი ბეჭედი აზის: ეშმაკობის, შეზღუდულობის და ვულგარულობისა. მიუხედავად იმისა, რომ ლენინი ძალზე უფრთხილდებოდა თანამოაზრეებთან კავშირს და ახერხებდა მის შენარჩუნებას, გადასახლების 4 წლის მანძილზე არა და არ მოხერხდა მასთან სისტემატური მიმოწერის დამყარება. 1915 წლის შემოდგომაზე ლენინი ეკითხება ემიგრანტ კარპინსკის: „დიდი თხოვნა მაქვს: გამიგეთ... „კობას" გვარი (იოსებ ჯ...?? დაგვავიწყდა). ძალიან გვჭირდება!!!" „იოსებ ჯუღაშვილი" — აცნობებს კარპინსკი. რაში იყო საქმე? ფულის გაგზავნა უნდოდათ თუ წერილის? ყოველ შემთხვევაში, რადგან გვარი არ ახსოვდათ, ე. ი. მუდმივი მიმოწერაც არ არსებულა.

მეორე დოკუმენტი, რომელზეც სტალინის ხელმოწერაა, გახლავთ გადასახლებულების მიმართვა ლეგალური ჟურნალის რედაქციისადმი, რომელიც ეძღვნებოდა მუშათა დაზღვევას. „დაე, „ვოპროსი სტრახოვანია" მთელი ღონისძიებითა და მონდომებით შეეცადოს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის იდეურ დაზღვევას მოქ. პოტრესოვების, ლევიცკებისა და პლეხანოვების გამხრწნელი ანტიპროლეტარული და საფუძველშივე საერთაშორისო პრინციპების წინააღმდეგ მიმართული მცდარი ქადაგებისაგან". ეს გახლდათ სოციალ-პატრიოტიზმის საწინააღმდეგო აშკარა მანიფესტაცია. მაგრამ იგი მაინც იმ იდეების საზღვრებში იყო მოქცეული, რომლებიც საერთო ჰქონდათ არა მარტო ბოლშევიკებს, არამედ მენშევიკების მემარცხენე ფრთასაც. წერილი, რომელიც, სტილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კამენევის დაწერილი უნდა იყოს, დათარიღებულია 1916 წლის 12 მარტით, ე. ი. მიეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც რევოლუციური მიმართულება ძალზე გაძლიერდა, ხოლო პატრიოტული მეტისმეტად შესუსტდა.

კამენევი და მასთან ერთად გასამართლებული დეპუტატები ტურუხანის გადასახლებაში 1915 წლის ზაფხულში ჩავიდნენ. პარტიის რიგებში კვლავ გრძელდებოდა კამათი სასამართლოზე დეპუტატების მოქმედების თაობაზე. მონასტირსკში ჩამოვიდა 18 ბოლშევიკი, მათ შორის 4 ცენტრალური კომიტეტის წევრი: სპანდარიანი, სვერდლოვი, სტალინი და კამენევი. პროცესის შესახებ მოხსენება გააკეთა პეტროვსკიმ, შეავსო კამენევმა. კამათის მონაწილეები, — გვიყვება სამოილოვი, „მიგვითითებდნენ სასამართლოზე ჩვენს მიერ დაშვებულ შეცდომებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით მკაცრად ლაპარაკობდა სპანდარიანი. დანარჩენები — შედარებით რბილად გამოთქვამდნენ საკუთარ აზრს". სამოილოვი საერთოდ არ ლაპარაკობს კამათში სტალინის მონაწილეობაზე. სამაგიეროდ, სპანდარიანის ქვრივი კვლავ იძულებულია, მიაწეროს სტალინს ის, რასაც სინამდვილეში მისი ქმარი ასრულებდა. „კამათის შემდეგ, — განაგრძობს სამოილოვი, — გამოიტანეს რეზოლუცია, რომელიც, ძირითადად, იწონებდა... ფრაქციის მოქმედებას სასამართლოზე". ეს დათმობა ძალზე შორს იდგა ლენინის შეურიგებელი ბუნებისაგან, რომელმაც კამენევის საქციელი ბეჭდვით ორგანოებში „რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატისათვის შეუფერებლად" გამოაცხადა.

ლენინის დავალებით შკლოვსკი ბერნიდან ქარაგმულად წერდა მონასტირსკში სამოილოვს: „ძალიან მიხარია, რომ არ გსურთ ჩემს ოჯახთან შეკამათება, მაგრამ რამდენი უსიამოვნება მოგვაყენა მან (კამენევმა) ჩვენ (და არა მარტო მან)... არავინ არის დაზღვეული შეცდომისა და სისულელისაგან, მაგრამ, თუკი მისთვის და მისი მეგობრებისათვის ძვირფასია ჩემი და ჩემი ახლობლების ღირსება, ვალდებულია, გამოასწოროს ეს შეცდომა თუნდაც საჯაროდ ბოდიშის მოხდით". „სიტყვებში „ჩემი ოჯახი" და „ჩემი ახლობლები" — განმარტავს სამოილოვი, — იგულისხმება პარტიის ცენტრალური კომიტეტი".

ეს ულტიმატუმის ხასიათის წერილი კი მიიღეს, მაგრამ არც კამენევს და არც მის მეგობრებს არ გაუკეთებიათ განცხადება, რომელსაც ლენინი მოითხოვდა. არავითარი საფუძველი არა გვაქვს, ვიფიქროთ, რომ სტალინი მხარს უჭერდა ლენინის ამ მოთხოვნას, თუმცა შკლოვსკის წერილი მონასტირსკში კრებამდე ცოტა ხნით ადრე მიიღეს.

სტალინის ეს დამთმობლობა დეპუტატების წინაშე სხვა არ იყო რა, თუ არა მათდამი სოლიდარობის ფრთხილი გამოხატულება. სასამართლოს წინაშე, რომელიც მძიმე სასჯელით იმუქრებოდა, ლენინის ეს მკაცრი ფორმულები ორმაგად უადგილო უნდა გამოჩენილიყო: რა აზრი აქვს, თავი გასწირო იმისათვის, რაც მცდარად გეჩვენება? თვითონ სტალინსაც წარსულში არასოდეს გამოუმჟღავნებია იმის სურვილი, რომ მსჯავრდებულის სკამი რევოლუციის ტრიბუნად გამოეყენებინა: აკი ბაქოს მანიფესტანტების პროცესის მზადებისას ყველანაირ საეჭვო ხერხს მიმართავდა, რომ დანარჩენი მსჯავრდებულებისაგან განცალკევება მოეხერხებინა. კამენევის ტაქტიკას იგი უფრო საომარი ეშმაკობის თვალსაზრისით აფასებდა, ვიდრე პოლიტიკური აგიტაციისა. ყოველ შემთხვევაში, იგი როგორც გადასახლებაში, ასევე რევოლუციის პერიოდშიც საკმაოდ ახლოს იყო კამენევთან. ჯგუფურ ფოტოზე, რომელიც მონასტირსკშია გადაღებული, ისინი ერთმანეთის გვერდით დგანან. მხოლოდ 12 წლის შემდეგ წაუყენა მან კამენევს სასამართლოზე გამოჩენილი სისუსტე უმძიმეს ბრალდებად, მაგრამ ამჯერად ბრძოლა პრინციპების დასაცავად კი არ მიმდინარეობდა, არამედ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად... არადა, შკლოვსკის წერილს თვალნათლივ უნდა დაენახვებინა სტალინისათვის, რომ საქმე გაცილებით უფრო სერიოზული იყო, ვიდრე მას ეჩვენებოდა და რომ ლოდინის პოზიციაზე ყოფნა შეუძლებელი შეიქმნა. აი, რატომ წერს იგი ლენინს სწორედ ამ დღეებში, და წერილის მოურიდებელი ფორმით ცდილობს, შენიღბოს პოლიტიკური მერყეობა.

1915 წელს ლენინმა სცადა, მოსკოვში დაეარსებინა ლეგალური მარქსისტული კრებული; რომელიც სანახევროდ მაინც გამოხატავდა ბოლშევიკური პარტიის ომისადმი დამოკიდებულებას. კრებული ცენზურამ აკრძალა, მაგრამ სტატიები შემოინახა — ისინი რევოლუციის შემდეგ დაიბეჭდა. ავტორთა შორის ლენინის გარდა არიან ლიტერატორი სტეფანოვი, ჩვენთვის უკვე ცნობილი ოლმინსკი, შედარებით ახალბედა ბოლშევიკი მილიუტინი, შემრიგებელი ნოგინი — არც ერთი მათგანი ემიგრანტი არ არის და, ბოლოს, სვერდლოვმა გამოგზავნა სტატია „გერმანული სოციალ-დემოკრატიის განხეთქილების შესახებ". სტალინს კი, რომელიც გადასახლებაში ისეთივე პირობებში იმყოფებოდა, როგორც სვერდლოვი, არაფერი არ დაუწერია. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ეშინოდა, ვაითუ ისე ვერ ეთქვა, როგორც ამას გარემოება მოითხოვდა, ანდა ისევ გაღიზიანებული იყო იმის გამო, რომ არ დაიბეჭდა მისი სტატია ეროვნულ საკითხზე. მას ხომ ისევე ახასიათებს გულღვარძლიანობა და ჭირვეულობა, როგორც სიფრთხილე.

შუმიაცკი აღნიშნავს, რომ სტალინი გადასახლებაში სამხედრო მოვალეობის მოსახდელად გამოიძახეს. ეს, ალბათ, 1916 წელს მოხდებოდა, როცა უფროსი ასაკის მოქალაქეთა მობილიზება დაიწყო (ამ დროისათვის იგი 37-ე წელშია), მაგრამ არმიაში არ მოხვდა თავისი უძლური მარცხენა ხელის გამო. იგი მოთმინებით განაგრძობდა პოლარული წრის მიღმა სასჯელის მოხდას, თევზაობდა, მახეს უგებდა კურდღლებს, კითხულობდა და, ალბათ, წერდა კიდეც. „მოწყენილობაა, მაგრამ ვერაფერს გააწყობ", თავის თავში ჩაკეტილი, სიტყვაძვირი, ბოღმიანი სტალინი გადასახლებაში ცენტრალურ ფიგურად არ ქცეულა.

„ტურუხანელების მეხსიერებაში სხვებთან შედარებით ნათლად აღიბეჭდა, — წერდა სტალინის მომხრე შუმიაცკი, — მტკიცე რევოლუციონერ-მარქსისტისა და დიდი ორგანიზატორის... სურენ სპანდარიანის მონუმენტური ფიგურა". სპანდარიანი ტურუხანაში სტალინზე ერთი წლით გვიან, ომის დაწყების წინ ჩავიდა, „მშვენიერი წყნარი ცხოვრება და სამოთხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგიწყვიათ. — სარკასტულად ამბობდა იგი, — ყველა ყველაფერზე თანახმაა — ესერებიც, ბოლშევიკებიც, მენშევიკებიც, ანარქისტებიც... ნუთუ არ იცით, რომ გადასახლებულთა ხმას ყურს უგდებს პიტერის პროლეტარიატი?“ სურენმა პირველმა დაიკავა ანტიპატრიოტული პოზიცია და აიძულა ყველა, მას გაყოლოდნენ. ამხანაგებში პირადი გავლენის თვალსაზრისით პირველთაგანი იყო სვერდლოვი, ეს „ცოცხალი და გულღია“ ადამიანი, რომლის ბუნებაც ვერ ეგუებოდა საკუთარ თავში ჩაკეტვას. ყოველთვის ახერხებდა სხვების დარაზმვას, კრებდა მნიშვნელოვან ახალ ამბებს და ავრცელებდა კოლონიებში, ჩამოაყალიბა გადასახლებულთა კოოპერატივი, აწარმოებდა მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს. სპანდარიანსა და სვერდლოვს შორის დაძაბული ურთიერთობა სუფევდა. დანარჩენი გადასახლებულები ამ ორი ადამიანის ირგვლივ იკრიბებოდნენ. ადმინისტრაციის წინააღმდეგ ორივე ჯგუფი ერთად იბრძოდა, მაგრამ, შუმიაცკის თქმით, „გავლენის სფეროების მოსაპოვებლად“ ერთმანეთს შორის ქიშპი არ წყდებოდა; ბრძოლის პრინციპული საფუძვლების დადგენა ახლა არ ხერხდება. სვერდლოვთან მტრულ დამოკიდებულებაში მყოფი სტალინი ფრთხილად, შორიდან უჭერდა მხარს სპანდარიანს.

თავისი მოგონებების პირველ გამოცემაში შუმიაცკი წერდა: .....მხარის ადმინისტრაცია სურენ სპანდარიანში ყველაზე აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეს ხედავდა და ერთგვარად მეთაურადაც მიიჩნევდა“. შემდგომ გამოცემაში ეს ფრაზა უკვე ორ პიროვნებაზე — სპანდარიანსა და სვერდლოვზე ვრცელდება. ბოქაულმა კიბიროვმა, რომელთანაც სტალინს თითქოსდა კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონდა, სპანდარიანსა დს სვერდლოვს გაძლიერებული ზედამხედველობა დაუწესა, რადგანაც თვლიდა, რომ სწორედ ისინი იყვნენ „მთელი გადასახლების მოთავენი“. შუმიაცკის დროებით ხელიდან უსხლტება ოფიციალური ძაფი და ამჯერად ავიწყდება სტალინის მოხსენიება. ეს სულ იოლი ასახსნელია: ტურუხანის გადასახლებულთა საერთო დონე საშუალოზე ბევრად მაღალი იყო. აქ ერთდროულად იმყოფებოდა რუსული ცენტრის ძირითადი ბირთვი: კამენევი, სტალინი, სპანდარიანი, სვერდლოვი, გოლოშჩეკინი და კიდევ რამდენიმე ცნობილი ბოლშევიკი. აქ არ არსებობდა ოფიციალური პარტიული „აპარატი“ და შეუძლებელი იყო კულისებიდან ანონიმურად გემართა მოვლენები. თითოეული ყველას წინაშე ისეთი ჩანდა, როგორიც იყო სინამდვილეში. ამ ბევრის მნახველი ხალხის დასარწმუნებლად საკმარისი სულაც არ იყო ეშმაკობა, სიმტკიცე და უინიანობა. საჭირო იყო განათლება, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სიზუსტე კამათისას. აშკარაა, სპანდარიანი გამოირჩეოდა აზრის გაბედულებით; სვერდლოვი — ალქმის დიდი უნარით, ინიციატივიანობითა და მოქნილობით; კამენევი — დიდი ნაკითხობითა და გაცილებით ფართო თვალსაწიერით; სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ სტალინი „ჩაიკეტა საკუთარ თავში“ და მარტოდენ შენიშვნებით კმაყოფილდებოდა. მხოლოდ მოგონებების ახალი გამოცემისას მიხვდა შუმიაცკი, რომ საჭირო იყო დაეხასიათებინა ეს შენიშვნები ეპითეტით „ზუსტი“.

თუ სწავლობდა სტალინი რაიმეს გადასახლებაში? ის კარგა ხანის წინ გამოვიდა იმ ასაკიდან, როცა უმიზნოდ და უსისტემოდ კითხულობენ. შემდგომი წინსვლისათვის მას უნდა შეესწავლა განსაზღვრული საკითხები, გაეკეთებინა ამონაწერები და წერილობითვე ჩამოეყალიბებინა საკუთარი დასკვნები. უკვე ნახსენები სტატიის გარდა, რომელიც ეროვნულ საკითხს შეეხებოდა, გადასახლების ოთხი წლის მანძილზე არავინ არსად არ ახსენებს სტალინის გონებრივი შრომის რაიმე ნაყოფს. სვერდლოვი, რომელიც სულაც არ ყოფილა თეორეტიკოსი და ლიტერატორი, გადასახლების წლებში რამდენიმე სტატიას წერს, თარგმნის უცხოურიდან, თანამშრომლობს ციმბირის პრესაში. „ამ მხრივ საქმე არცთუ ურიგოდ ავაწყვე“ — საკმაოდ ხალისიანად წერს იგი ერთ მეგობარს. ორჯონიკიძის გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულიად მოკლებული იყო თეორიული შრომის უნარს, მისი მეუღლე ასე იგონებდა გარდაცვლილის მიერ ციხეში გატარებულ წლებს: „იგი ბევრს მუშაობდა საკუთარ თავზე და კითხულობდა, კითხულობდა დაუსრულებლად, სქელმა მუშამბისყდიანმა რვეულმა, რომელიც სერგოს ციხის უფროსების ნებართვით გამოუყვეს, შემოინახა მის მიერ ამ პერიოდში წაკითხული ლიტერატურის გრძელი სია“. ყველა რევოლუციონერს გამოჰქონდა ციხიდან თუ გადასახლებიდან ასეთი მუშამბისყდიანი რვეული. მართალია, ბევრი რამ გაქცევისას და ჩხრეკისას იკარგებოდა, მაგრამ ბოლო გადასახლებიდან სტალინს ყველაფრის წამოღება შეეძლო, რაც სურდა. შემდგომში კი იგი აღარავის გაუჩხრეკია — პირიქით, თვითონ ჩხრეკდა სხვებს. არადა, აზრი არა აქვს ამ წლებში, მისი განმარტოებული ცხოვრებისა და მოცლილობის ჟამს შექმნილ რაიმე სულიერ ფასეულობას დავუწყოთ ძებნა. რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის, მსოფლიო ომის, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მსხვრევის, სოციალიზმში მწვავე იდეური ბრძოლის, ახალი ინტერნაციონალისათვის მზადების ამ ოთხი წლის განმავლობაში წარმოუდგენელია, სტალინს ერთხელაც არ აეღო ხელში კალამი. მაგრამ მის ნაწერებში, როგორც ჩანს, არ აღმოჩნდა ისეთი სტრიქონიც კი, რომელიც მისი შემდგომი რეპუტაციის განმტკიცებისათვის გამოდგებოდა. სტალინის იდეურ ბიოგრაფიაში ომის წლები და ოქტომბრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციისათვის მზადების ხანა ცარიელ ადგილად დარჩა.

რევოლუციურმა ინტერნაციონალიზმმა ჩამოყალიბებული სახე მიიღო „ემიგრანტ" ლენინის ნაწერებში. ერთი რომელიმე ქვეყნის, მით უფრო, ჩამორჩენილი რუსეთის მასშტაბები ერთობ ვიწრო იყო იმისათვის, რომ შესაძლებელი შექმნილიყო მსოფლიო პერსპექტივის სწორი შეფასება. როგორც ემიგრანტ მარქსს ესაჭიროებოდა ლონდონი, მაშინდელი კაპიტალიზმის დედაქალაქი იმისათვის, რომ დაეკავშირებინა გერმანული ფილოსოფია და ფრანგული რევოლუცია ინგლისის ეკონომიკისათვის, ასევე ლენინიც ომის წლებში უნდა ყოფილიყო ევროპული და მსოფლიო მოვლენების შუაგულში, რათა მარქსიზმის წანამძღვრებიდან საბოლოო რევოლუციური დასკვნები გაეკეთებინა. მანუილსკი, რომელიც ბუხარინის შემდეგ, დიმიტროვამდე კომუნისტური ინტერნაციონალის ოფიციალური ბელადი იყო, 1922 წ. წერდა: „შვეიცარიაში ლენინისა და ზინოვიევის მიერ გამოცემული „სოციალ-დემოკრატი" და პარიზის „გოლოსი" („ნაშე სლოვო"), რომელსაც ტროცკი ხელმძღვანელობს, III ინტერნაციონალის მომავალი ისტორიკოსებისათვის ის ძირითადი ფრაგმენტები იქნება, რომელთაგანაც საერთაშორისო პროლეტარიატის ახალი რევოლუციური იდეოლოგია გამოიჭედა". ჩვენ ვაღიარებთ, რომ მანუილსკი რამდენადმე გადაჭარბებით აფასებს ტროცკის როლს, მაგრამ ესეცაა, სტალინის დასასახელებლად მან ვერა და ვერ მონახა მიზეზი. სხვათა შორის, შესაძლებლობის მაქსიმალური დაძაბვით იგი ამ სიცარიელეს რამდენიმე წლით გვიან შეავსებს.

თოვლიანი უდაბნოს მონოტონურ რიტმში ჩაფლული გადასახლებულებისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა 1917 წლის თებერვლის მოვლენები. მოულოდნელობისაგან ყველა გაოგნდა, თუმცა მუდამ ცხოვრობდნენ რწმენით, რომ რევოლუცია გარდაუვალია. „პირველ ხანებში, — წერს სამოილოვი, — თითქმის ერთბაშად მიგვავიწყდა ყოველგვარი უთანხმოება... პოლიტიკური კამათი და ურთიერთის მიმართ არსებული ანტიპათია სადღაც გაქრა..." ეს საინტერესო აღიარება ყველა მაშინდელ გამოცემაში, სიტყვებსა და პრაქტიკულ ნაბიჯებში დასტურდება. ბოლშევიკებსა და მენშევიკებს, ინტერნაციონალისტებსა და პატრიოტებს შორის აღმართული წინაღობები ამოყირავდა. ხალისიანი, მაგრამ ვიწრო თვალსაწიერის მქონე, მრავალსიტყვაობის მოყვარული შემრიგებლობა მთელ ქვეყანას მოედო. ადამიანები იგუდებოდნენ პათეტიკური ფრაზისაგან, რომელიც თებერვლის რევოლუციის უმთავრეს ელემენტს შეადგენდა, განსაკუთრებით პირველი კვირეების მანძილზე. ციმბირის ყველა მხრიდან იკრიბებოდნენ გადასახლებულები და მიემართებოდნენ დასავლეთის ამაღლებული ატმოსფეროსაკენ.

ციმბირში გამართულ ერთ-ერთ მიტინგზე კამენევი, რომელიც პრეზიდიუმში ლიბერალებთან, ხალხოსნებთან და მენშევიკებთან ერთად იყო, როგორც შემდეგ ყვებოდნენ, შეუერთდა იმ დეპეშაზე ხელმომწერთ, რომელიც დიდ მთავარს, მიხეილ რომანოვს გაუგზავნეს. დეპეშა მიესალმებოდა დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ტახტიდან გადადგომის ვითომდა დიდსულოვან, სინამდვილეში კი ლაჩრულ ნაბიჯს. გამორიცხული არ არის, რომ რბილი ბუნების კამენევმა გადაწყვიტა თავისი უარით არ გაენაწყენებინა პრეზიდიუმში მსხდომნი. იმ აურზაურში ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია და სტალინსაც, რომლის პრეზიდიუმში შეყვანაზე არავის უფიქრია, კამენევის ეს ახალი შეცოდება მანამდე არ გაუპროტესტებია, ვიდრე მათ შორის სასტიკი ბრძოლა არ დაიწყო.

მუშათა მნიშვნელოვანი რაოდენობის მხრივ მზად პირველი დიდი პუნქტი იყო კრასნოიარსკი. აქ უკვე არსებობდა დეპუტატთა საბჭო. ადგილობრივი ბოლშევიკები, რომლებიც მენშევიკებთან ორგანიზაციულ კავშირში იყვნენ, დირექტივებს ჩამოსული ბელადებისგან ელოდნენ. გამაერთიანებელი ტალღის გავლენის ქვეშ მთლიანად მოქცეულ ბელადებს დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნაც კი არ მოუთხოვიათ. რა საჭიროა? ბოლშევიკებიც, ისევე როგორც მენშევიკები, მხარს უჭერდნენ დროებით მთავრობას, რომელსაც ლიბერალი თავადი ლვოვი ხელმძღვანელობდა. უთანხმოებები მოისპო ომის საკითხშიც: საჭიროა რევოლუციური რუსეთის დაცვა! ამ განწყობით დაიძრნენ პეტროგრადისაკენ სტალინი, კამენევი და სხვები. რკინიგზით მგზავრობა, იგონებს სამოილოვი, „სულაც არ იყო ჩვეულებრივი. ხმაურით მოვემგზავრებოდით, იყო უამრავი შეხვედრა, მიტინგი და სხვ." სადგურებზე გადასახლებულთ ხვდებოდნენ აღფრთოვანებული მცხოვრებლები, სამხედრო ორკესტრები მარსელიოზას უკრავდნენ: ინტერნაციონალის ხანა ჯერ არ დამდგარა. შედარებით დიდ სადგურებზე საზეიმო სუფრები ეწყობოდა. ამინისტირებულებს უწევდათ „ელაპარაკათ, ელაპარაკათ უსასრულოდ". ბევრმა ხმა დაკარგა, გადაღლილობისაგან ავად გახდნენ და ვაგონებიდან გადმოსვლაზე უარს აცხადებდნენ. „მაგრამ არც ვაგონებში გვანებებდნენ თავს".

სტალინს ხმა არ დაუკარგავს. იგი სიტყვით არსად გამოსულა. ბევრი მათ შორის, სუსტი ალნაგობის სვერდლოვი თავისი ძლიერი ბანით გაცილებით დახელოვნებული ორატორი იყო. სტალინი კვლავ განზე რჩებოდა. თავის თავში ჩაკეტილი, გაზაფხულის სტიქიით შეშფოთებული და, როგორც ყოველთვის, არაკეთილმოსურნე. შედარებით ნაკლები წონის

მქონე ადამიანები კვლავ ავიწროებდნენ მას, არადა, მის ზურგს უკან უკვე რევოლუციური მუშაობის ორი ათეული წელი იყო: ამ მუშაობას ზოგჯერ დაპატიმრებები კვეთდა, მაგრამ გაქცევის შემდეგ ისევ განახლდებოდა ხოლმე.

თითქმის ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კობამ სამრეწველო ცენტრ ბაქოში მოღვაწეობის მიზნით დატოვა თბილისის „უძრავი ჭაობი". მაშინ მან ნავთობის დედაქალაქში 8 თვე იმუშავა, 8 თვემდე ბაქოს ციხეში იჯდა, დაახლოებით ათი თვე კი ვოლოგდის გადასახლებაში გაატარა, ერთი თვის იატაკქვეშა მუშაობისათვის ორთვიანი სასჯელი მიიღო. გაქცევიდან ცხრა თვის განმავლობაში კვლავ იატაკქვეშეთში მუშაობს, 6 თვით ციხეში ხვდება და 9 თვეს გადასახლებაში ყოფნა უწევს — ამჯერად შედარებით უკეთესი შეფარდებაა. გადასახლების დამთავრების შემდეგ — ორ თვეზე ნაკლები არალეგალური მუშაობისა, სამ თვემდე ციხე, ორიოდე თვე ვოლოგდის გუბერნიაში; ე. ი. ერთი თვის მუშაობისათვის ორთვენახევარი სასჯელს იხდიდა, ისევ ორი თვე იატაკქვეშეთში, ოთხი თვე ციხესა და გადასახლებაში, ახალი გაქცევა. ნახევარ წელზე მეტი რევოლუციური მუშაობა, შემდეგ — ციხე და გადასახლება, ამჯერად თებერვლის რევოლუციამდე, ე. ი. 4 წლის განმავლობაში. საერთოდ, რევოლუციური მუშაობის 19 წლიდან 2 და 3/4 წელი ციხეზე, 5 და 3/4 კი გადასახლებაზე მოდის. ასეთი შეფარდება არცთუ ცუდად ჩაითვლება: პროფესიონალი რევოლუციონერების უმეტესობამ ციხეებში გაცილებით ხანგრძლივი დრო გაატარა.

ამ ცხრამეტი წლის განმავლობაში სტალინი არათუ პირველი, მეორე რიგის მოღვაწეთა შორისაც არ ყოფილა. მას არ იცნობდნენ. როცა კობას მიერ სოლვიჩეგოდსკიდან მოსკოვში გამოგზავნილი წერილი ჩაიგდო ხელთ, თბილისის ოხრანკის უფროსმა 1911 წელს იოსებ ჯუღაშვილზე გასცა დაწვრილებითი ცნობა, რომელშიც არც რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტია, არც გამოკვეთილი თვისებები, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ „სოსომ", იგივე „კობამ" მოღვაწეობა დაიწყო, როგორც მენშევიკმა, მაშინ, როცა გურგენის (ცხაკაიას) შესახებ, რომელიც აქ გაკვრითაა მოხსენიებული, ჟანდარმი აღნიშნავს, რომ იგი „დიდი ხანია ეკუთვნის სერიოზულ რევოლუციურ მოღვაწეთა რიცხვს". გურგენი, ცნობის თანახმად, დაუპატიმრებიათ „ცნობილ რევოლუციურ მოღვაწე ბოგდან კნუნიანცთან ერთად". იმაზე კი, რომ თვითონ სტალინი „ცნობილი" იყო, მინიშნებაც არსადაა, არადა კნუნიანცი კობას მარტო თანამემამულე კი არა, თანატოლიც იყო.

ორი წლის შემდეგ, ბოლშევიკური პარტიისა და მისი ხელმძღვანელი შტაბის დაწვრილებითი დახასიათებისას, პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი გაკვრით აღნიშნავს, რომ კონსპირაციის გზით ბიუროს შემადგენლობაში შევიდნენ სვერდლოვი და „ვინმე იოსებ ჯუღაშვილი". სიტყვა „ვინმე" გვიჩვენებს, რომ 1913 წელსაც კი პოლიციის მეთაურს არაფერს ეუბნებოდა ჯუღაშვილის სახელი, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ცნობების ისეთი მიმწოდებელი, როგორიც გახლდათ მალინოვსკი. სტალინის რევოლუციური ბიოგრაფია 1917 წლის მარტამდე სრულიად ჩვეულებრივი იყო. თუ ასეულები არა, ათეულობით პროფესიონალი რევოლუციონერი მაინც ასრულებდა ასეთივე სამუშაოს: ერთნი — უკეთესად, მეორენი — უარესად.

შრომისმოყვარე მოსკოველმა კვალმაძიებლებმა გამოთვალეს, რომ 1906-1909 წწ. კობამ დაწერა 87 მოწოდება და საგაზეთო სტატია, ე. ი. თვეზე ორი სტატიაც არ მოდის. არც ერთი ამ სტატიებიდან, რომლებიც მიზნად ისახავდნენ კავკასიური აუდიტორიისათვის სხვისი აზრების მიწოდებას, ქართულიდან რუსულად არ თარგმნილა და არც პარტიისა თუ ფრაქციის ხელმძღვანელ ორგანოებში გადაბეჭდილა. იმ პერიოდის პეტერბურგის, მოსკოვის ან საზღვარგარეთის ლეგალური თუ არალეგალური გამოცემების, გაზეთის, ჟურნალისა თუ კრებულის არც ერთ სიაში არ გვხვდება სტალინის არც სტატიები, არც ამ სტატიების დამოწმება. მას კვლავ თვლიდნენ არა მარქსისტ ლიტერატორად, არამედ რაიონული მასშტაბის პროპაგანდისტად და ორგანიზატორად.

1912 წელს, როცა მისმა სტატიებმა ასე თუ ისე სისტემატურად დაიწყეს პეტერბურგის პრესაში გამოჩენა, კობამ დაიმკვიდრა ფსევდონიმი სტალინი, იგი ნაწარმოებია სიტყვისაგან ფოლადი (сталь), ისევე, როგორც უფრო ადრე სიტყვიდან ქვა (камень), როზენფელდმა მიიღო ფსევდონიმი კამენევი. ასეთი მაგარ-მაგარი ფსევდონიმები ახალგაზრდა ბოლშევიკებში მოწონებით სარგებლობდა.

სტალინის ხელმოწერით გამოქვეყნებული სტატიები არაფრით არ იპყრობენ ყურადღებას; გადმოცემის უხეშ ფორმაზეც რომ არაფერი ვთქვათ, ისინი მოკლებულნი არიან ინდივიდუალობასაც. ვიწრო ხელმძღვანელი წრის გარდა არავინ იცოდა, ვინ იყო სტატიების ავტორი და არც მგონია, რომ ბევრს აინტერესებდა მისი ვინაობა. 1913 წელს რუბაკინის ცნობილი ბიბლიოგრაფიული ცნობარისათვის ლენინი საგულდაგულოდ დაზუსტებულ შენიშვნაში ბოლშევიზმის შესახებ წერს: „უმთავრესი მწერალი ბოლშევიკები: გ. ზინოვიევი, ვ. ილიჩი, ი. კამენევი, პ. ორლოვსკი და სხვ.", ლენინს აზრადაც არ მოსვლია ბოლშევიზმის მთავარ „მწერლად" დაესახელებინა სტალინი, რომელიც სწორედ იმხანად საზღვარგარეთ იმყოფებოდა და თავის „ეროვნულ" სტატიას ამუშავებდა.

პიატნიცკი, რომელიც განუყრელად იყო დაკავშირებული პარტიასთან, მის საზღვარგარე-

თულ შტაბთან და რუსეთის იატაკქვეშა აგენტურასთან, ლიტერატორებთან და არალეგალურ ტრანსპორტიორებთან თავის ძირითადად. კეთილსინდისიერ მოგონებებში, რომელიც 1896-1917 წლებს მოიცავს, გვიამბობს თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილ ბოლშევიკზე, მაგრამ ერთხელაც არ ახსენებს სტალინს: ეს სახელი წიგნზე დართულ საძიებელშიც კი არ არის შეტანილი. აღნიშნული ფაქტი მით უფრო საყურადღებოა, რომ პიატნიცკი სულაც არ არის სტალინისადმი მტრულად განწყობილი, პირიქით, ამჟამად მისი ამალის მეორე რიგის ერთ-ერთი წევრია. მოსკოვის ოხრანკის მასალების დიდ კრებულში, რომელიც მოიცავს ბოლშევიზმის 1903-1917 წლების ისტორიას, სტალინი სამჯერ მოიხსენიება: მისი ცკ-ში კოოპტირების თაობაზე, ცკ-ს ბიუროში მის დანიშვნასთან და კრაკოვის თათბირში მონაწილეობასთან დაკავშირებით. არაფერია ნათქვამი მისი მუშაობის შესახებ, არც ერთი სიტყვა ამ მუშაობის შესაფასებლად, არც ერთი ინდივიდუალური შტრიხი!

ისევე, როგორც პარტიის, პოლიციის მხედველობის არეშიც, სტალინი პირველად მოხვდა არა როგორც პიროვნება, არამედ როგორც ბოლშევიკური ცენტრის წევრი. ჟანდარმთა ჩანაწერებში, რევოლუციური მემუარების მსგავსად, იგი არასოდეს არ მოიხსენიება, როგორც ბელადი, ინიციატორი, ლიტერატორი, არსად ახსენებენ მის საკუთარ იდეებსა და მოქმედებებს. ყველგან ჩანს, როგორც აპარატის შემადგენელი ნაწილი, როგორც ადგილობრივი კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის წევრი ან გაზეთის ერთ-ერთი თანამშრომელი, როგორც თათბირის მონაწილე და სხვებთან ერთად გადასახლებული და, ამასთან, არასოდეს ჩამოთვლილ გვარებში მისი სახელი პირველი არ ფიგურირებს. შემთხვევითი არ იყო, რომ ცენტრალურ კომიტეტში იგი თავის თანატოლებზე გაცილებით გვიან მოხვდა და ისიც არჩევნებში მონაწილეობით კი არა, კოოპტაციის წესით.

პერმიდან შვეიცარიაში ლენინს გაუგზავნეს ტელეგრამა: „ძმური სალამი, დღეს პეტროგრადისკენ მივემგზავრებით. კამენევი, მურანოვი, სტალინი". ტელეგრამის გაგზავნის აზრი, რა თქმა უნდა, კამენევს ეკუთვნოდა. სტალინი ბოლოს აწერს ხელს. ეს სამეული ერთმანეთთან სოლიდარობის გრძნობით იყო დაკავშირებული. ამინისტიამ პარტიის საუკეთესო ძალები გაანთავისუფლა და სტალინი შეშფოთებით ფიქრობდა რევოლუციურ დედაქალაქზე. მას ესაჭიროებოდა კამენევის პოპულარობა და მურანოვის დეპუტატის წოდება. ასე ჩამოვიდნენ ისინი სამივე ერთად რევოლუციისაგან შეძრულ პეტროგრადში. „მისი სახელი, — წერს ხ. ვინდეკე ერთ-ერთი გერმანელი ბიოგრაფი, — მაშინ ცნობილი იყო მხოლოდ ვიწრო წრეებში. მას წითელი დროშებითა და მუსიკით არ შეხვედრია აღფრთოვანებული მასა, ისე როგორც ერთი თვის შემდეგ შეხვდნენ ლენინს. მის მისასალმებლად არ გამოსულა დეპუტაცია, ისე როგორც ეს მოხდა ორი თვის შემდეგ, როდესაც ამერიკიდან ჩამოსული ტროცკი მათ ხელში აყვანილი გამოიყვანეს. იგი უხმაუროდ ჩამოვიდა და შეუდგა მუშაობას... მის არსებობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ რუსეთის ფარგლებს გარეთ.

თარგმნეს ელზა მეტრეველმა და დავით მჭედლურმა

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურამ ფანჯიკიძე

# ედუარდ შევარდნაძე — შტრიხები პოლიტიკური პორტრეტისათვის

ავტორისაგან: ნარკვევს ბოლოში შეგნებულად ვუსვამ თარიღს. დღეს მოვლენები ძალზე სწრაფად იცვლება და, ბუნებრივია, ჟურნალის გამოსვლამდე სტამბაში ორი თვით ადრე ჩაშვებულ სტატიაში ყველაფერს ვერ გავითვალისწინებდი.

ედუარდ შევარდნაძე რომ გადადგა, მეორე დღეს ჩავედი ნიუ-იორკში. გულწრფელად რომ გითხრათ, მჯეროდა, რომ მას მთელ მსოფლიოში და, კერძოდ, ამერიკაში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, მაგრამ მსგავსს არაფერს მოველოდი. უკლებლივ ყველა გაზეთი, უკლებლივ ყველა რადიო თუ ტელეკომპანია უზარმაზარ ადგილს და დროს უთმობდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილების განსჯას და შეფასებას.

„შევარდნაძის განცხადებამ გააოგნა მსოფლიო", — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა წერილი „ვაშინგტონ პოსტმა".

„შევარდნაძის გადადგომამ საერთაშორისო წრეებში გამოიწვია საერთო შეშფოთება ბონიდან ტოკიომდე, ვაშინგტონიდან — კოპენჰაგენამდე". — იუწყებოდა „აპ"-ს სააგენტო.

„გადადგა ამერიკელთა საყვარელი საბჭოთა მინისტრი „შევი". — ამ სათაურით კი „ნიუ-იორკ პოსტმა" გამოაქვეყნა ვრცელი სტატია.

პატარა ნაწყვეტი მინდა მოვიტანო ნიუ-იორკში გამომავალ გაზეთ „ნოვოე რუსსკოე სლოვოდან" (27.XII.90): „შეთქმულებივით, ყველამ მეგობრულად დაიწყო იმის გამოთვლა, თუ რამდენჯერ შეხვდა ბეიკერს შევარდნაძე... „ოცდახუთჯერ ბუშის ადმინისტრაციის პირველი დღიდან, — თქვა ტელეკომპანია „პი-ბი-ეს"-ის პოლიტიკურმა მიმომხილველმა; „ოცდაორჯერ", — განაცხადა ინტერვიუში „იზვესტიის" ნიუ-იორკელმა კორესპონდენტმა ალექსანდრე შალნევმა; „ოცდახუთჯერ და მეტჯერ", — დაწერა გაზეთმა „უოლ სტრიტ ჯორნელმა"; „ცხრამეტჯერ მხოლოდ წლევანდელ წელს". — განაცხადა კრემლოლოგმა რობერტ ლეგვოლდმა; „ოცჯერ მხოლოდ ამ წელს, — თქვა „ენ-ბი-სის" მოსკოველმა კორესპონდენტმა ჯიმი მასედამ.

ცნობილი იყო განსხვავებანი მათი შეხედულებებისა, მაგრამ ყველანი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ბეიკერს ძალიან გაუჭირდება დაამყაროს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ნებისმიერ მემკვიდრესთან ისეთივე თბილი დამოკიდებულება, როგორიც მას შევარდნაძესთან ჰქონდა. ისინი ისე ხშირად საუბრობდნენ ტელეფონით, რომ ორაშაბის რეპორტიორებმა ბრიუსელში ბეიკერის პრესმდივანს ჰკითხეს, ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ხომ ყველაფერი კარგად არისო. ეს შეკითხვა იმ მიზეზით ყოფილა მოტივირებული, რომ ამერიკის სახელმწიფო მდივანსა და საბჭოთა მინისტრს შორის მ თ ე ლ ი ს ა მ ი დ ღ ი ს მ ა ნ ძ ი ლ ზ ე (ხაზი ჩემია — გ. ფ.) არ შემდგარა სატელეფონო საუბარი".

მკითხველი დამეთანხმება, იმ ზღვა სათაურებიდან და სტატიებიდან მოტანილი მხოლოდ ეს სამი ნიმუში და ერთიც პატარა ნაწყვეტი იკმარებდა, ნათლად დაგვენახა და შეგვეგრძნო ედუარდ შევარდნაძის საერთაშორისო აღიარება, და თან ამ აღიარებაში ორი ძირითადი მომენტია გაერთიანებული, პირველი — თვით ედუარდ შევარდნაძის რთული და, ამავე დროს, ძალზე გამოკვეთილი, ჭკვიანი და ძლიერი პიროვნება; მეორე — ის მსოფლიო მასშტაბის საერთაშორისო ურთიერთობანი, რომელსაც მან ჩაუყარა საფუძველი. რასაკვირველია, „გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქმნის“ ავტორი და „ახალი აზროვნების“ მამამთავარი მიხეილ გორბაჩოვი გახლავთ. მაგრამ, როგორც თვითონ პრეზიდენტმა აღიარა, გარდაქმნას სათავე თვით ედუარდ შევარდნაძის ნათქვამმა დაუდო: „ბიჭვინთაში სეირნობისას შევარდნაძეს გორბაჩოვისათვის უთქვამს — „ირგვლივ ყველაფერი დაწყლულდა, ყველაფერი უნდა შეიცვალოს“, ამ ციტატიდან, 1990 წლის დეკემბერში „პრავდაში“ რომ გამოქვეყნდა, სხვა რამეც შეიძლება ამოიკითხოს კაცმა, — რა ახლოს ყოფილან, რა მეგობრული ურთიერთობა ჰქონიათ მაშინ მიხეილ გორბაჩოვსა და ედუარდ შევარდნაძეს. ეს იმიტაც არის საინტერესო, რომ მათ მეგობრობაზე მაშინ კაციშვილმა არაფერი იცოდა და იმიტომაც დარჩნენ გაოცებულნი, ედუარდ შევარდნაძე უეცრად მოსკოვში რომ გადაიყვანეს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე და პოლიტბიუროს წევრადაც აირჩიეს.

აღარავის ეგონა, სტალინისა და ბერიას შემდეგ ქართველი კაცი თუ კვლავ დადგებოდა ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე, კვლავ გახდებოდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმნიშვნელოვანესი მოღვაწე. ამ რწმენის განმტკიცებას ისიც უწყობდა ხელს, თუ რა ისტორიული ბრძოლა გააჩაღა კომუნისტურმა საბჭოთა პარტიამ, მთავრობამ, პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ სტალინის წინააღმდეგ. უფრო სწორად კი — ქართველი ხალხის წინააღმდეგ. თუ სტალინის და ბერიას ფენომენს მხოლოდ ქართველობით ავხსნით, რასაც ასე ცდილობდნენ და ცდილობენ დღესაც, მაშინ, ბუნებრივია, ქართველი კაცისათვის სამუდამოდ უნდა ყოფილიყო დაკეტილი კრემლის კარიბჭე.

●

მაშ, როგორ მოიპოვა შევარდნაძემ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ესოდენ საპატიო და საპასუხისმგებლო პოსტი?

მახსოვს, ახლად აშენებულ სპორტის სასახლეში როგორ მიმართა ნიკიტა ხრუშჩოვს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ.

მოვიტან მხოლოდ ერთ ნაწყვეტს:

„ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ! გადმოგცემთ რა ამ წერილს (ლაპარაკია საქართველოს ახალგაზრდობის ხრუშჩოვისადმი მიძღვნილ წერილზე. — გ. ფ.) და შეგნებული გვაქვს რა მთელი პასუხისმგებლობა პარტიის, სამშობლოს, ხალხის წინაშე, ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენი წერილის ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა მთელი ქართველი ახალგაზრდობის გულის სიღრმეში წარმოიშვა. ეს არის ჩვენი თაობის ფიცი, ეს არის სიმბოლო უსაზღვრო ერთგულებისა, შეკავშირებისა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო“.

ხოლო დიდი „მგზნებარებით“ დაწერილ წერილში ასეთ ფრაზებსაც ვკითხულობთ:

„გარწმუნებთ, ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ, რომ საქართველოს ჭაბუკები და ქალიშვილები მუდამ აღიზრდებიან მტკიცე მარქსისტ-ლენინელებად.

ხრუშჩოვი — ეს სახელი არის დროშა კაცობრიობის დიადი ბრძოლის, მთელს მსოფლიოში სამარადჟამო მშვიდობისათვის.

შენ გმირთა მზე ხარ, პარტიავ, დიადო!

შენ ოკეანე ხარ, პარტიავ, დიადო!

შენ ჩვენი მშობელი და მზრუნველი მამა ხარ, პარტიავ დიადო! დედა ხარ და სისხლის ყოველი წვეთის მოძრაობაც შენა ხარ, პარტიავ, დიადო!“

ასეთი სიტყვებით მიმართვა მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო და იგი არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ ხრუშჩოვი საქართველოში ჩამოვიდა 1956 წლის 9 მარტის სისხლისღვრის შემდეგ. ხალხი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული სტალინური დემონიზმისაგან, ხოლო ხრუშჩოვი ის პიროვნება გახლდათ, რომელმაც აღმართა ხელი არა მარტო ქართველებისათვის, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხალხთა დიდი ნაწილისათვისაც კი ღმერთად აღიარებულ კაცზე; სტალინის დაგმობა მაშინ ორმხრივ დარტყმად მიიღო ქართველმა ხალხმა, ქართველებს ტყვიასავით მოხვდათ გულში ხრუშჩოვის ცინიკური გამოთქმა: ხალხთა მამა და ბელადი, როგორც მას უწოდებდნენ თავის სამშობლო-საქართველოში. დიახ, სტალინის სიკვდილის შემდეგ ასე მსჯელობდა ნიკიტა ხრუშჩოვი; რომლის მლიქვნელობის ყოველგვარ ზღვარს გადასული სიტყვები სტალინის მიმართ უხვადაა დაბეჭდილი საბჭოეთის ჟურნალ-გაზეთებსა თუ ცალკეულ წიგნებში.

და აი, მაშინ, სრულიად ახალგაზრდა ედუარდ შევარდნაძეს ეყო გამბედაობა, ფიცი მიეცა ქართველი ხალხის ერთსულოვნად საძულველი პიროვნებისათვის, კაცისათვის, უქართველებო საქართველოზე რომ ოცნებობდა.

თუმცა ვიყოთ სამართლიანნი და ვაღიაროთ, თვით ქართველ ხალხს კი ეყო გამბედაობა, ხრუშჩოვისათვის საზეიმო შეგებების ნაცვლად ზურგი რომ ეჩვენებინა? თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების ქუჩებში განა ათეულ ათასობით ადამიანი ტაშითა და შეძახილებით არ ესალმებოდა მკუათხელ ჯალათს?!

ნიკიტა ხრუშჩოვს ლოთი კაცის სანტიმენტალიზმი შემოაწვა და საქართველოში შიშით ჩამოსულმა ტრიუმფის აპოთეოზი რომ შეიგრძნო, ედუარდ შევარდნაძე გულში ჩაიკრა და გადაკოცნა.

მაშინ ქვეყნის მესაჭის უბრალო სიტყვას კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, გაღიმებასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მით უმეტეს — კოცნას!

უმალვე გავარდა ხმა, შევარდნაძეს გიორგი გეგეშიძის ადგილზე ნიშნავენო, რომელიც მაშინ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო.

გიორგი გეგეშიძე ძალზე გავლენიანი პიროვნება გახლდათ. მას პარტიულ წრეებში თუ მთავრობაში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და, ფაქტობრივად, იგი მართავდა რესპუბლიკას. ეტყობა, ხრუშჩოვის კოცნამ გააღიზიანა გ. გეგეშიძე და არამარტო იგი. ე. შევარდნაძის მოწინააღმდეგენი, ბუნებრივია, დაელოდნენ ხრუშჩოვის წასვლას, ცოტა მიაწყნარეს მითქმა-მოთქმა და ედუარდ შევარდნაძე პარტიის მცხეთის რაიკომის პირველ მდივნად გადაიყვანეს. მცხეთაში კი რა უნდა ექნა, ფრთები როგორ უნდა გაეშალა უზარმაზარი ენერგიისა და გამჭრიახი გონების მქონე ახალგაზრდა კაცს? ამ პატარა, ისტორიული ძეგლებით სავსე რაიონში ნამდვილად არ იყო ასპარეზი დიდი, მასშტაბური საქმეების საკეთებლად. ბევრმა იფიქრა, მცხეთაში დამთავრდა ედუარდ შევარდნაძის კარიერაო. არცაა გასაკვირი, ასეთი აზრი დაუფლებოდათ თვით მის ახლობელ ადამიანებსაც კი. მაშინ იგი სრულიად ახალგაზრდა იყო და თვით ოჯახის წევრებიც როდი იცნობდნენ მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრის სულიერ და გონებრივ შესაძლებლობებს, ნიჭსა და ბრძოლის ენერგიას, მის რთულ, წინააღმდეგობებით სავსე ბუნებას.

ედუარდ შევარდნაძეს ერთი წუთითაც არ დაუყრია ფარ-ხმალი, არ მისცემია სასოწარკვეთას. სწორედ აქ გამოიჩინა მან მიზნისაკენ დაუოკებელი ლტოლვა და ნებისყოფა.

არც ის დავიწყნია, მას უკვე დაუძინებელი მტრები რომ ჰყავდა და საჭირო იყო მრისხანე მტრის ბოლომდე განადგურება. უფრო მეტიც, შევარდნაძემ იცოდა, რომ უფროსი თაობის კომუნისტებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, საქართველოს კომუნისტურ ცაზე ამომავალი ვარსკვლავისათვის მცხეთაშივე მოეღოთ ბოლო.

რით უნდა შებრძოლებოდა იგი თავის მოსისხლე მტერს და რითი უნდა გასულიყო დიდ ასპარეზზე?

ედუარდ შევარდნაძის ნათელმა გონებამ სწრაფად შეაფასა მაშინდელ საქართველოში გამეფებული სიტუაცია და ქართველი ხალხის განწყობილება, ღრმად ჩაიხედა უსამართლობით, კორუფციით გაწამებული ხალხის სულში და აირჩია ძალაუფლებისა და პოპულარობის მოპოვების იმ მომენტისათვის ყველაზე სწორი გზა, — იგი წინ აღუდგა უსამართლობას! მართალია, უსამართლობას წინ აღუდგა მხოლოდ თავის პატარა რაიონში, მაგრამ კარგად იცოდა, უსამართლობა არ იყო მარტო მცხეთის რაიონის პრობლემა, ეს მთელი ქართველი ერის, საქართველოს პრობლემა იყო. ედუარდ შევარდნაძე ნიჭიერი ფსიქოლოგიც გახლდათ და მიხვდა, თუ იგი სიმართლისათვის, შევიწროებული ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი კაცის სახელით მოინათლებოდა, უმალვე მოექცეოდა ხალხის ყურადღების ცენტრში. ისიც მშვენივრად იცოდა, უმალვე შეითხზვებოდა მასზე ლამაზი ლეგენდები და გაკეთებული საქმეც ერთი ათად გამოჩნდებოდა.

იქნებ ძალმომრეობის, უსამართლობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა მისი ჭეშმარიტი ბუნება იყო და არის? მაქვს თუ არა უფლება ვამტკიცო, რომ იგი უსამართლობის წინააღმდეგ მხოლოდ ხალხის მისამხრობად და კარიერისტული მიზნებით იბრძოდა?

არა მაქვს!

იქნებ ეს ასეც იყო, იქნებ არც იყო! მე მხოლოდ მისი ცხოვრების რთულ გზას წარმოვაჩენ, დასკვნები კი მკითხველმა გააკეთოს.

მცხეთაში მაშინ საშინელი ქაოსი სუფევდა. ცალკეული ორგანიზაციებისა და მოსახლეობის მიერ მიწების დატაცება ჩვეულებრივი ამბავი იყო. შევარდნაძემ კანონიერების აღდგენა მოითხოვა და მიწების დატაცების წინააღმდეგ მისთვის ჩვეული ენერგიით გაილაშქრა.

სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ მიწის დამტაცებლებმა სამი მილიონი მანეთი შეაგროვეს და ამ სამი მილიონის საფასურად ახალ პირველ მდივანს მოსთხოვეს, წესრიგი მისი დანიშვნის დღიდან დაეცვა, ხოლო რაც მანამდე მოხდა, ყველაფერზე თვალი დაეხუჭა.

სამი მილიონი მანეთი!

თანაც მაშინდელი სამი მილიონი, დღეს რომ, ალბათ, 80 მილიონს მაინც უდრის.

ძნელია ახალგაზრდა კაცმა გაუძლო ცთუნებას. ძნელია თავი შეიკავო მაშინ, როცა იცი, რომ სამუდამოდ გაგწირეს. ისიც იცი, რომ უძლიერესი მტერი არც ამ ადგილზე გაგაჩერებს დიდხანს, რაიმე მიზეზს გამოგიძებნის და კიდევ უფრო დაბალ საფეხურზე მოგადენინებს ზღართანს.

სამი მილიონი მანეთი შეიძლება ბევრისთვის იყოს თავბრუდამხვევი საცდუნებელი, მაგრამ იმ კაცისათვის, რომელიც უსაზღვროდაა დარწმუნებული თავის ნიჭსა და ენერგიაში, რომელსაც აქვს უსაზღვრო სწრაფვა დასახული მიზნისაკენ, ეს თანხა არაფერს არ წარმოადგენდა.

როცა ვერაფერს გახდნენ, მცხეთაში შეგროვილმა სამმა მილიონმა მანეთმა მისამართი შეიცვალა. სხვაგან და სხვა, ძალზე გავლენიანი ადრესატი მონახა. თხოვნა მოკლე იყო და მრავლისმეტყველი. შევარდნაძე აქედან გადაიყვანეთ, თუნდაც დააწინაურეთ, ოღონდ მცხეთიდან მოგვაცილეთო.

დაწინაურება მართლაც რომ უებარი ხერხია მსგავს სიტუაციაში. ვერც თვითონ დაწინაურებული იტყვის საყვედურს და ხალხსაც არ მიეცემა ჭორაობის საშუალება.

ედუარდ შევარდნაძე, მართალია, ჰორიზონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალურად გადაადგილეს, მაგრამ გაცილებით რთულ პოსტზე, — თბილისის მაშინდელი პირველი მაისის რაიკომის პირველ მდივნად გადაიყვანეს.

მისმა მტრებმა დროებით თვალი დახუჭეს შევარდნაძის დედაქალაქში გადმონაცვლებაზე. ხაზს ვუსვამ, დროებით! შემდეგ კი დაიწყეს ფიქრი მომავალ სვლაზე, რათა სახიფათო კონკურენტი ისეთ ადგილზე გადაეყვანათ, საიდანაც წელს ვეღარასდროს წამოსწევდა. მალე ასეთი თანამდებობაც მოინახა. განთავისუფლდა ციხეებისა და კოლონიების უფროსის ადგილი და უმალვე შესთავაზეს ვასილ მჟავანაძეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, თავისი გულუბრყვილობით, სიბრიყვით ცნობილ შინაგანად კეთილ ადამიანს. ციხეებისა და კოლონიების უფროსის ადგილი განთავისუფლდა, იქ, იმ ბნელ სამუშაოზე, სანთლივით პატიოსანი და კრისტალური ადამიანი გვჭირდება და კარგი იქნება, თუ ედუარდ შევარდნაძეს გადავიყვანთო.

თუკი ასეთი პატიოსანია — უთქვამს ვ. მჟავანაძეს, — აგერ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ადგილი განთავისუფლდა და იქ გავუშვათო.

მის მტრებს, ეტყობა, სათანადოდ არ ჰქონდათ შეფასებული შევარდნაძის ნიჭი და შესაძლებლობანი, თორემ ჩვეული ოსტატობით შეძლებდნენ, საქმე მარჯვე შემთხვევამდე გადაედოთ და შემდგომ თავიანთი ჩანაფიქრი მჟავანაძისათვის კვლავ თავზე მოეხვიათ. ალბათ, გაიფიქრეს, ამ ეტაპზე მთავარია შევარდნაძე პარტიულ სამუშაოს მოვაშოროთო. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეობიდან მნიშვნელოვან პოსტზე დაწინაურებული კაცი მანამდე არავის ენახა და არც მომავალში ელოდნენ იქიდან საფრთხეს. ამიტომაც უყოყმანოდ „აღიარეს" მჟავანაძის წინადადების „სიბრძნე".

რა იცოდნენ მაშინ, რომ სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმით, ამ გადაწყვეტილების მიღებით გამოუტანდნენ საკუთარ თავს უმკაცრეს განაჩენს.

ასე დაიკავა მომავალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა.

მოხდა საოცრება. ედუარდ შევარდნაძე, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის რიგითი მოადგილე, კაბინეტში შესვლისთანავე ხალხის თვალში იქცა მინისტრადაც და საქართველოში გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ ერთადერთ პიროვნებად. მისი დუელი მტრების წინააღმდეგ ახალი ძალით განახლდა. რამდენიმე „მსხვილმა საქმემ", რომელიც შევარდნაძემ ამოატივტივა, მთელი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მისი ავტორიტეტი საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. უსამართლობასთან, ძალმომრეობასთან, კორუფციასთან, ნაძირალებთან გაჩაღებული დაუნდობელი და ეფექტური ბრძოლა პატიოსანი ადამიანების სულს მალამოსავით ედებოდა. მის მხარეს ერთსულოვნად დადგნენ მწერლები, ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები, მშრომელი და პატიოსანი ადამიანები. ედუარდ შევარდნაძემ ენერგიულად შეუტია თავის მტრებს და მათი განადგურების შემდეგ, როცა უკვე მინისტრი გახდა, საქართველოში ბარიერთან პირისპირ დარჩნენ ვასილ მჟავანაძე და ედუარდ შევარდნაძე. ვასილ მჟავანაძის მხარეს იყო უზარმაზარი თანამდებობა, საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატობა. მას მოსკოვში ჰყავდა ძალზე გავლენიანი მეგობრები და მფარველები. გარდა ამისა, ზუსტად მჟავანაძისნაირი ხელმძღვანელები სჭირდებოდა ცენტრს რესპუბლიკებში. ედუარდ შევარდნაძე კი რით უნდა დაპირისპირებოდა პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის უსაზღვრო ძალაუფლებას? თავისი რიგითი მინისტრობით ან სიმართლით? ან იქნებ იმით, რომ სამინისტროში მუშაობის პერიოდში მან ძირფესვიანად შეისწავლა საეჭვო პიროვნებათა საქმეები და მათზე ცალკე საქაღალდეები გახსნა!?

არავითარ შემთხვევაში!

ეს იქნებოდა საშინელი გულუბრყვილობა.

სამეფო კარის რა ლაბირინთებშიც არ უნდა ჩაეხედა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს და რა მამხილებელი დოკუმენტებიც არ უნდა ეგდო ხელთ, უმალვე მოსპობდნენ თავის დოკუმენტებიანად.

დიახ, ბარიერის ერთ მხარეს დადგა არა „საიდუმლო საქმეებით" აღჭურვილი შინაგან საქმეთა მინისტრი, არამედ პიროვნება — ედუარდ შევარდნაძე, სიმართლისათვის, პატიოსნებისათვის მებრძოლი კაცი, რომელიც შეიყვარა ქართველმა ხალხმა და რომელშიც ხედავდნენ მხსნელსა და იმედს.

მეორეს მხრივ, ისიც გულუბრყვილობა იქნება დავასკვნათ, რომ გაიმარჯვა სიმართლემ, გაიმარჯვა ხალხის რჩეულმა, გაიმარჯვა ნიჭმა და ენერგიამ.

საბჭოთა კავშირმა ცოტა როდი იცის მაგალითი, კვირტშივე რომ ჩაუკლავთ მართლაც პატიოსანი, ენერგიული და გონიერი პიროვნებანი.

ედუარდ შევარდნაძემ იცოდა, ხალხის სიმპათიას, უფრო მეტიც, სიყვარულსა და მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ისიც მშვენივრად იცოდა, რა ქვეყანაშიც ცხოვრობდა და რა ფასიც ჰქონდა დიად საბჭოეთში ადამიანთა ნება-სურვილს.

მომავალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ისიც მშვენივრად იცოდა, მჟავანაძისათვის მიქნეული სილა მოსკოვში, კრემლში და არამარტო კრემლში, მრავალ ადამიანს რომ აუწვავდა ლოყას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს თეორიულად ადვილი მისახვედრი და წარმოსადგენი იყო. ძნელი კი ის გახლდათ, ვინ გამოეძებნა, ვინ გამოენახა, იმედიანად რომ დაყრდნობოდა, რათა სილით ლოყააწითლებული ყოვლისშემძლე პიროვნებების რისხვას გადარჩენოდა. უფრო მეტიც, მხოლოდ კი არ გადარჩენოდა, გადარჩენასთან ერთად, მოსკოვში მტკიცე პლაცდარმიც რომ შეექმნა. აი, აქ არ უნდა შეშლოდა, ბრძოლის ფართო და დაუნდობელ ასპარეზზე გამოსვლის წინ ორიენტაცია არ უნდა დაეკარგა. დღეს ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ედუარდ შევარდნაძეს ალღომ არ უმტყუნა, მისი არჩევანი სწორი გამოდგა. ბრეჟნევის მაშინდელი ფავორიტი, შინაგან საქმეთა მინისტრი შჩოლოკოვი იყო ის კაცი, ვისაც შევარდნაძემ დაადგა თვალი. ედუარდ შევარდნაძის ნათელ გონებას, შინაგან მომხიბვლელობასა და მახვილგონიერებას, რომელიც ასე მოაჯადოებდა მომავალში რეიგანს, ტეტჩერს, ბუშს, კოლს, შულცს, გენშერს, ბეიკერსა თუ სხვებს, მით უმეტეს არ შეიძლებოდა არ მოენუსხა გალაღებული, გათავხედებული, ხარბი და ფსევდოგანათლებული ბოგანო.

ედუარდ შევარდნაძე თანმიმდევრულად ხდება ჯერ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, შემდეგ კი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. ეს უბრალოდ და იოლად არ მომხდარა. ედუარდ შევარდნაძეს თითქოს დაებედა ბეწვის ხიდზე სიარული. იმ დღეებში, რესპუბლიკის საჭესთან რომ დადგა, იყო ორი ავბედითი დღეც, როდესაც მისი კარიერა კი არა, იქნებ სიცოცხლეც ბეწვზე ეკიდა. მოსკოველმა მეხარკეებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ იგი დაეპატიმრებინათ. შევარდნაძემ შესძლო შეუძლებელი: ორ დღეში, რასაკვირველია, შჩოლოკოვის თავგანწირული და ენერგიული დახმარებით, ლამის უიმედო საქმე ამოატრიალა და რესპუბლიკის სათავეში მოექცა.

ედუარდ შევარდნაძის გამარჯვება ნაძირალებისა და მისი პირადი მტრების გარდა ყველას გაეხარდა. ამ გახარებულთა შორის ვიყავი მეც, მისი გულწრფელი მომხრე, რომელსაც შემდგომში, განსაკუთრებით პირველ წლებში, არა ერთი და ორი კეთილი სიტყვა მიმიძღვნია მისთვის.

რასაკვირველია, პრობლემებს რეალურად ვაფასებდი და ილუზიებით არ ვიკვებებოდი. ვიცოდი, საბჭოეთის ბლოკირებულ საჭეს იგი მკვეთრად ვერ მოატრიალებდა, მაგრამ მინდოდა მეწამა, რომ პატიოსან კაცს, ასე თუ ისე, ეშველებოდა, თეთრს თეთრი დაერქმეოდა და შავს შავი.

ერთხელ ბატონ ედუარდს ვუთხარი კიდეც, მარტო თქვენი პატიოსნება, ნიჭი და ენერგია საქმეს ვერ უშველის-მეთქი. თქვენ უსამართლობის დიდ მდინარეს, ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო რომ ჩაითრია, დიდი კაშხალი ჩაუდგით და ლამის ყველა უკუღმართობა შეაჩერეთ. მაგრამ ხომ არ გვავიწყდება, რომ ამით ბოროტება კი არ ისპობა, კაშხალში გროვდება, კაშხალი კი თანდათანობით ივსება და ერთ მშვენიერ დღეს იგი კაშხალის ზემოდან კიდევ უფრო დიდი ძალით გადმოვა-მეთქი.

ჩემმა ნათქვამმა განარისხა, თვალები გაუნაცრისფერდა. სიბრაზე ვერ დამალა. უფრო სწორად, არ უცდია მრისხანების დამალვა, თორემ მას შესანიშნავად შეეძლო თავის მოთოკვა.

მთავარი უკვე ნათქვამი იყო, უკან დახევას აზრი აღარ ჰქონდა და სათქმელი დავამთავრე. მთავარია მოაშთოთ ბოროტების სათავე, ამ სათავის მოსაშთობად კი არ კმარა თქვენს მიერ გატარებული ღონისძიებები, ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს სახელმწიფო სტრუქტურები, წინა პლანზე უნდა გამოვიდეს ზნეობის კატეგორიები, ადამიანის კეთილდღეობა. ამას კი თქვენ ვერ შეძლებთ, რადგან დამოუკიდებელი ქვეყნის ხელმძღვანელი არ ბრძანდებით-მეთქი.

როგორ დაიწყო ედუარდ შევარდნაძემ თავისი მოღვაწეობა? პირველსავე დღეებში სტუმრად ეწვია კონსტანტინე გამსახურდიას. შემდეგ კი, ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე, ერთი კაცის, თუ არ ვცდები, მაშინდელი კალინინის რაიკომის პირველი მდივნის — გურამ ენუქიძის თანხლებით მწერალთა კავშირს ეწვია და ქართველ მწერლებს თავის მომავალ გეგმებზე გულახდილად ესაუბრა.

ეს უკვე იყო ხმამაღალი განაცხადი, რომ ედუარდ შევარდნაძე მწერლების, კულტურის მოღვაწეების, მეცნიერების, ინტელიგენციის, ყველა პატიოსანი მშრომელის ქომაგი და დამცველი იქნებოდა.

ყოველივე ამას მართლაც მოჰყვა ძალზე ამაღელვებელი და გაბედული ღონისძიებანი, დაარსდა ალმანახი „განთიადი", ძალზე გაიზარდა „ლიტერატურული საქართველოს" მოცულობა, ქუთაისში დაარსდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" ფილიალი, სიმფონიური ორკესტრი, მუდმივმოქმედი საგამოფენო დარბაზი-გალერეა. იმ დროს ყოველი ასეთი ეროვნული ნაბიჯის გადადგმა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მოსკოვი გაფთრებული იბრძოდა, რომ ყველა რესპუბლიკისათვის შემუშავებული სტანდარტის ჩარჩოები ოდნავადაც არ „დეფორმირებულიყო".

მაშინ გულწრფელად მეგონა, რომ შევარდნაძის ეს ნაბიჯი რაღაცას ნიშნავდა. მქონდა კიდეც ამის საფუძველი — მის მიერ განვლილი გზა, უკეთურ ადამიანებთან გადატანილი ბრძოლები და ის მრავალი ეროვნულ-პატრიოტული ღონისძიებანი, რაც მან განახორციელა თავისი „მეფობის" დასაწყისში.

შემდგომში თანდათანობით ეჭვი შემეპარა, რომ იგი ორ ფრონტზე მუშაობდა. არც ქართველი ხალხის სიყვარულის დაკარგვა სურდა და მოსკოვსაც წითელ კვერცხს უგორებდა. უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოგიტყდეთ, რომ იმასაც კი ვცდილობდი, მისი მოქმედებისათვის გამართლება მომენახა. ვიცოდი, დიდი და გავლენიანი თანამდებობა ჰყავდა; ვიცოდი, გამარჯვების მიუხედავად მისი ბედი შემდგომშიც ბევრჯერ ეკიდა ბეწვზე. იქნებ ამიტომაც იყო იძულებული ედიპლომატა და ასე მოქცეულიყო?! დიახ, ვცდილობდით, მისი საქციელისათვის რაღაც გამართლება მოგვენახა. უფრო სწორად, არ გვინდოდა, მოტყუებულთა შორის აღმოვჩენილიყავით, მაგრამ ბოლოს მაინც დადგა მომენტი, სიმართლისათვის თვალი რომ უნდა გაგვესწორებინა.

მოპოვებულ წარმატებას განმტკიცება სჭირდებოდა. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ლიდერთა შორის მჟავანაძის შემდეგ არცერთი არ იყო საკავშირო კომპარტიის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. ვინმე ხომ უნდა ყოფილიყო. ტრადიციულად, უფრო სწორად, ქართველთა გაგებით, ეს უპირატესობა ქართველებს ეკუთვნოდა. მაგრამ, იმ პერიოდში, აზერბაიჯანელი ჰეიდარ ალიევის სახელი უკვე საქვეყნოდ „მქუხდა", ედუარდ შევარდნაძე კი ახალბედა პირველი მდივანი იყო. რით უნდა ეჯობნა მას აზერბაიჯანელი „გმირისათვის?" არადა, არჯობნა არ შეიძლებოდა, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობა სულ სხვა საფეხურზე, სულ სხვა სიმაღლეზე ახტომას ნიშნავდა, რაც მის ავტორიტეტს კიდევ უფრო განამტკიცებდა როგორც საკუთარი ხალხის, ასევე მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის თვალში. გადასადგმელი იყო დიდი და მძიმე ნაბიჯი. ედუარდ შევარდნაძემ გადაწყვიტა ეს ნაბიჯი აუცილებლად გადაედგა, თუნდაც ამისათვის მზე საქართველოში ჩრდილოეთიდან ამოეყვანა.

შეცდა ედუარდ შევარდნაძე. ვერ აუჩუყა გული ლოთ სანტიმენტალს ლეონიდ ბრეჟნევს. მით უმეტეს, პოლიტბიუროს წევრებს, დაეჭვებული თვალებით რომ ბურღავდნენ ტრიბუნასთან მდგომი ახალგამომცხვარი პირველი მდივნის ზურგსა და კეფას.

ალბათ მაშინ საბოლოოდ დარწმუნდა ედუარდ შევარდნაძე, რომ მხოლოდ ლამაზი სიტყვებისათვის არ ირჩევდნენ ხელმძღვანელ ამხანაგებს პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

იმასაც მშვენივრად მიხვდა, რომ იგი ჯერ დიდი გზის სასტარტო ხაზთან იდგა, რომ წინ მრავალი ფათერაკი და მძიმე გამოცდა ელოდა.

რაღა თქმა უნდა, ისიც ნათელი გახდა, რომ მას კრემლის მესვეურთათვის კიდევ არაერთგზის უნდა დაემტკიცებინა თავისი ურყევი კომუნისტური ერთგულება.

თუმცა მისახვედრი რა იყო? განა ედუარდ შევარდნაძე იმას არ მიხვდა და იმაში არ დარწმუნდა, რაც ადრეც მშვენივრად იცოდა?! თუნდაც მაშინ, სპორტის სასახლეში ხრუშჩოვს რომ სიყვარულსა და ერთგულებას ეფიცებოდა?!

რასაკვირველია, დიდი კარიერის გზაზე მტკიცედ შემდგარმა გამჭრიახმა და ენერგიულმა კაცმა ყველაფერი კარგად იცოდა, მაგრამ მოტყუვდა. მან, უბრალოდ, იჩქარა. იჩქარა და სერიოზული შეცდომა დაუშვა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მძიმე შეცდომა, რომელიც კი მას მოსვლია თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე.

პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად კი იგი მაშინ აირჩიეს, როცა უნდა აერჩიათ. მან კრემლის წინაშე წარმატებით დაიჭირა სათანადო გამოცდები, გამოცდები, რომლებიც ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს უპირისპირდებოდა.

●

ედუარდ შევარდნაძის პორტრეტში ერთი შეხედვით თეთრი თმა, ფართო შუბლი და თმაში ღრმად შეჭრილი საფეთქლები დომინირებს. თუ მიუახლოვდი, არ შეიძლება ყურადღება არ მიიპყროს მისმა ძლიერმა, მოცისფრო-მონაცისფრო თვალებმა. ხოლო ღიმილი, მომხიბვლელი ღიმილი, რომელსაც შეუძლია გაგათბოს, გულწრფელი გაგხადოს, აგალაპარაკოს და გული გადმოგაშლევინოს, მისი გამომეტყველების უპირველესი ატრიბუტია. როცა შევარდნაძე არ იღიმება, მის პორტრეტს რაღაც აკლია. როცა იგი იღიმება, თქვენ უკვე იმ შევარდნაძეს ხედავთ, როგორიც იგი გგონიათ და წარმოგიდგენიათ.

დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, ორნაირი ღიმილი იცის ედუარდ შევარდნაძემ. ერთია, როცა იგი ნამდვილად იღიმება, გულით იღიმება. ამ დროს მისი თვალებიც იღიმება, სახეზე ნათელი გადაეფინება ხოლმე. ამ დროს თითქმის აშკარად გრძნობ მისი სახიდან გადმოფრქვეულ სითბოს.

ასეთი ღიმილით ედუარდ შევარდნაძე თვით მეგობრებშიც და შინაურებშიც კი იშვიათად იღიმება. თანაც წამიერია მისი კეთილი ღიმილი. მერე თითქოს გაახსენდება, გულწრფელი ღიმილის უფლება არა მაქვსო და სახე უმალვე მოეღრუბლება.

მისი მეორენაირი ღიმილი სულ სხვაა. იგი ღიმილი როდია, დიპლომატიური ხერხია, უფრო სწორად, მისი დიპლომატიის ნაწილია, კიდევ უფრო ზუსტად, მისი მძლავრი იარაღია. იარაღი, რომელსაც იგი უნაკლოდ იყენებს ადამიანის მოსანუსხად, თავისი გავლენის სფეროში მოსაქცევად, მისამხრობად დასათრგუნავად, გააჩნია, ვის ესაუბრება იგი და რა მიზნები ამოძრავებს.

ასეთი ღიმილის დროს შევარდნაძის მხოლოდ ბაგეებს ადგება ძალა, მის თვალებში კი ოდნავაც არ ირეკლება ბაგეზე გამოხატული ღიმილი. და თუ ამ დროს თვალებში ჩახედავთ, შეკრთებით, სიცივეს იგრძნობთ, ისეთი მკაცრია, მრისხანე და ეჭვიანი მისი გამოხედვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაური გრძნობა შეგიპყრობთ. გეგონებათ მწონისო, რაღაც უხილავი აპარატით თვალებს სულში მიფათურებსო. ისეთი განცდა გეუფლებათ, თითქოს ეჭვი ეპარება თქვენს პატიოსნებაში, გულწრფელობაში, ეს საოცარი თვისება შევარდნაძეს ხელს უწყობს დაგაბნიოს, დამაჯერებლობა დაგაკარგვინოს, ამით თავის გავლენის სფეროში მოგაქციოს, ზედმეტად გულწრფელი გაგხადოს და თავისი ნება-სურვილი მოგახვიოს.

ედუარდ შევარდნაძე საშუალო სიმაღლისაა. სიარულისას ნაბიჯებს ფრთხილად, შემპარავად ადგამს. ეტყობა, ეს მისი ბრტყელი ტერფების ბრალია. სიარულის დროს მისი ძლიერი გამოხედვა ერთგვარად კნინდება. არც ხელის მტევნები აქვს ძლიერი და მის მთლიანობას ძალა შესამჩნევად ეკარგება.

იგი ძლიერია და მრისხანე, როცა ზის, როცა შენს გონებაში მხოლოდ მისი მოღრუბლული სახე და მონაცრისფრო თვალების მკაცრი გამოხედვა ფოკუსირდება.

ედუარდ შევარდნაძე ცბიერია. თუმცა ისიც მინდა აქვე დავძინო, რომ ცბიერება დიპლომატისა და სახელმწიფო მოღვაწისათვის სულაც არ აღიქმება უარყოფით თვისებად. დიახ, ცბიერების გარეშე ცალმხრივი იქნებოდა მისი დიპლომატიური თუ სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. ისიც მნიშვნელოვანი თვისებაა, რომ ლაპარაკის დროს ვერასდროს ვერ იგრძნობთ მის ცბიერებას. შევარდნაძის ცბიერებას მხოლოდ შემდგომ გრძნობ, ან მისი კაბინეტიდან გამოსვლისთანავე, ან უფრო გვიან, რადგან აქვს შესანიშნავი უნარი, ყველაზე ეშმაკური ნაბიჯიც კი გულწრფელობის ნაზ ბურუსში გაახვიოს.

ედუარდ შევარდნაძის ერთ-ერთი უძლიერესი იარაღია შესაშური და იშვიათი თვისება ადამიანისა — მოსმენის საოცარი უნარი. როცა ელაპარაკები, მშვიდად გისმენს, თან ყურადღებით აკვირდება შენს გამოხედვას. ისე გიცქერის, თითქოს ცდილობს სადღაც, შენი შუბლის მიღმა დაინახოს, როგორ იბადება შენი აზრები და იქვე აწონ-დაწონის, რამდენად გულწრფელია ისინი. არასდროს შეგაწყვეტინებს დროს, სახეზე არ გამოეხატება უკმაყოფილება ან დაღლილობა, თანაც, რაც მთავარია, მოსმენის დროს ვერაფრით ვერ მიხვდები, მოსწონს თუ არ მოსწონს შენი საუბარი. გაქვავებული სახე, არცერთი გრიმასი, მხოლოდ თქვენს სულში და სახეზე მოფათურე მკაცრი თვალები. ხანდახან, იშვიათად, მაგრამ მაინც ორიოდე სიტყვას თუ ჩაინიშნავს შენი ნათქვამიდან. ეს კიდევ უფრო გაბნევს, რადგან ჩაწერის დროს კვლავ ვერ შენიშნავ, მოეწონა თუ არ მოეწონა ის, რაც შენი ნათქვამიდან ჩაიწერა. და ამ უსიამოვნო დუმილის დროს, როცა გთრგუნავს მისი ცივი სახე და კიდევ უფრო ცივი თვალები, როცა ვერ გრძნობ, მოსწონს თუ არ მოსწონს შენი ნააზრევი, ნელ-ნელა და საფუძვლიანად გეუფლება გაურკვევლობისა და დაბნეულობის განცდა, საბოლოოდ კი გიპყრობს ეჭვი, რომ არ მოეწონა შენი ნალაპარაკევი, გენგრევა წინასწარ აწყობილი გეგმა, რომელიც საგანგებოდ გქონდა შეკმაზული დიპლომატიური მომენტებით და მის წინაშე რჩები განიარაღებული და ზედმეტად გულწრფელი.

ედუარდ შევარდნაძის, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა და დიპლომატის კიდევ ერთი დიდი და შესაშური თვისებაა მოთმენის უნარი.

კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით გავიმეორო, რომ ჩვენ ვხატავთ სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის პოლიტიკურ პორტრეტს და არა, ვთქვათ, მეცნიერის ან პოეტის სულიერ სამყაროს.

ერთხელ ჩერჩილმა ჩემბერლენზე თქვა, იგი ყოველთვის წესების მიხედვით თამაშობდა და, ამიტომაც, ყოველთვის აგებდაო. ამ ნახევრად ხუმრობით ნათქვამ ფრაზაში დიდი პოლიტიკის არსია ჩადებული, არსი პოლიტიკოსის ნიჭისა და უნარის შეფასების კრიტერიუმადაც რომ გამოდგება.

შევარდნაძე არასდროს რა ჩქარობს, მაგრამ არც აგვიანებს. მისი პრინციპი უტყუარი საათის პრინციპია. ვთქვათ, მოწინააღმდეგეს მან ანგარიში უნდა გაუსწოროს დღის 12 საათზე. თორმეტს რომ ხუთი წუთი აკლია, შეუძლია მოწინააღმდეგე დაიბაროს, გულთბილად ესაუბროს, ახალი დავალებები მისცეს. არასდროს წასძლევს სულის დამატკბობელი შურისძიება, მრისხანება ვერასდროს ვერ დარევს ხელს, სანამ ზუსტად 12 საათი არ შესრულდება.

ედუარდ შევარდნაძე უძლიერესი პიროვნებაა პოზიციურ ბრძოლაში. იგი ამავე დროს ბრწყინვალე დუელანტიც გახლავთ.

თუ საქმე მოითხოვდა, თუ დიპლომატიური ხერხებით მტრის დათრგუნვას დრო სჭირდებოდა და ეს დრო კი არ იყო, იგი ბარიერთან დგებოდა.

აქ არ მინდა ხალხს გული ვატკინო და იმათი გვარები ჩამოვთვალო, ვინც უშუალოდ იწვნიეს მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრის მრისხანება.

თუ აუცილებელი არ გახლდათ, იგი დუელს გაურბოდა. გაურბოდა არა იმიტომ, რომ ეშინოდა, ედუარდ შევარდნაძე უშიშარი, მამაცი კაცი გახლავთ. გაურბოდა იმიტომ, რომ დუელში პოზიციები ძალზე აშკარადაა გამოხატული, მათი შენიღბვა არ ხერხდება, ხალხსაც კონფლიქტის ჭეშმარიტი მიზეზები უფრო გამოკვეთილად ხვდება თვალში. დიპლომატისა და სახელმწიფო მოღვაწისათვის კი, მოგეხსენებათ, შენიღბული მოქმედება გაცილებით ძვირად ფასობს. რასაკვირველია, იგულისხმება, როცა მტრების განადგურებაზეა საუბარი. როცა მტერს დინჯად, შენიღბულად და მეთოდურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანადგურებ, ხალხს უფრო არწმუნებ შენს სიმართლესა და მტრის დანაშაულში.

დუელის დროს კი, ერთხელ უკვე მოგახსენეთ, პოზიციები მკვეთრად იკვეთებოდა, პოზიციები, რომელთა დიდი ნაწილიც სულაც არ „მუშაობდა“ ედუარდ შევარდნაძის სასარგებლოდ.

დიახ, თუკი საქმის ვითარება საშუალებას იძლეოდა, იგი დუელს გაურბოდა, ამჯობინებდა, მოწინააღმდეგე დაეტუქსა, დაეტუქსა ისე, რომ მისთვის გულში გადარჩენის და კრიზისიდან „გამოძრომის“ იმედის ნაპერწკალი დაეტოვებინა. ამით შევარდნაძე მოწინააღმდეგეს შემდგომი ბრძოლის სურვილს უსპობდა. მის მიერ სატყუარასავით გადმოგდებულ პატარა იმედს ჩაბღაუჭებული მოწინააღმდეგე კნინდებოდა, უძლურდებოდა, პოზიციას ჰკარგავდა. გულში იმედი უღვივდებოდა, რომ შემდგომში ერთგული მუშაობით თავისი პატრონის ნდობას კვლავ მოიპოვებდა, თანამდებობას და კეთილდღეობას კვლავ შეინარჩუნებდა. ასეთი შემთხვევების დროს ედუარდ შევარდნაძე ისე მოქმედებდა, თითქოს ნაღმი უნდა გააუვნებლოსო. მუშაობდა დინჯად, ზუსტად, დაკვირვებულად და მოწინააღმდეგეს მაშინ გასწირავდა საბოლოოდ, როცა მისი გულიდან ასევე საბოლოოდ აღმოფხვრიდა ეჭვსა და უნდობლობას. გასწირავდა შეწუხებული, დაღონებული, თითქოს იქით სდებდა ბრალს, გული რატომ მატკინე, ამ დღეში რატომ ჩამაგდე, იძულებული რატომ გამხადე, უკიდურესი ზომა მიმეღოო.

ზემოთ უკვე ვთქვი, ედუარდ შევარდნაძე უშიშარი კაცი გახლავთ-მეთქი. გავიხსენოთ იგი, მარტოდმარტო როგორ გადავიდა მოედანზე, მრავალათასიან აბობოქრებულ ბრბოში. საკმარისი იყო, ვინმე თავშეუკავებელ ხულიგანს ან წონასწორობიდან გამოსულ პიროვნებას შევარდნაძისათვის რაიმე შეურაცხყოფა მიეყენებინა, რომ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი უმალვე დაკარგავდა ყველაფერს, რაც კი აქამდე ალესილი დანის პირზე სიარულით ჰქონდა მოპოვებული.

გამბედაობა ორნაირია. ერთია წამიერი, იმპულსური. აღგზნებული კაცი ერთ სიტუაციაში შეიძლება ტანკს ქვეშ შეუვარდეს, მეორე სიტუაციაში კი ლაჩარივით გაიქცეს ბრძოლის ველიდან.

გამბედაობა გაცილებით ძვირად ფასობს, როცა იგი გონებისმიერია, როცა ხანგრძლივი და უთანასწორო ბრძოლისას ყველა მოსალოდნელი უბედურება გათვალისწინებულია და მაინც არაფრისა გეშინია.

გავიხსენოთ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის რიგითი მოადგილე როგორი შემართებით იბრძოდა მჟავანაძისა და მისი კაბინეტის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მან ათასობით პირადი მტერი შეიძინა, სიამოვნებით რომ დალევდნენ ედუარდ შევარდნაძის სისხლს. მაგრამ ერთი წუთითაც არ შემდრკალა. გულში შიში არ შეჰპარვია, თუმცა მშვენივრად იცოდა, დამარცხების შემთხვევაში რაც ელოდა.

ედუარდ შევარდნაძე სასტიკი კაცი გახლავთ. უფრო მეტიც, დაუნდობელი. გავიხსენოთ, როგორ გასწირა მან სასიკვდილოდ თბილისის ოცდაექვსი კომისრის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე იუზა კობახიძე.

რა იყო ამ, დიპლომატიური თუ მორალური თვალსაზრისით (ადამიანურზე აღარაფერს მოგახსენებთ) წამგებიანი მრისხანების მიზეზი? — იქნებ მხოლოდ ის, რომ კობახიძე მექრთამე გახლდათ? განა სასაცილო არ იყო, იმ პერიოდში მექრთამეობისთვის კაცის დახვრეტა?! განა მაშინ ფუნქციონერთა მაქსიმალური უმრავლესობა სხვადასხვა ზომისა და მასშტაბის კობახიძეები არ იყვნენ? იქნებ პიროვნულმა ღალატმა ან საზოგადოებისათვის დღემდე უცნობმა მიზეზმა განაპირობა მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრის სისასტიკე?

ულმობელმა, სასტიკმა განაჩენმა ედუარდ შევარდნაძის სახელსა და პიროვნებას ვერაფერი შემატა, დაკლებით კი ბევრი დააკლო.

ედუარდ შევარდნაძემ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დახვრიტა თვითმფრინავის გამტაცებელი ყმაწვილები და... სრულიად უდანაშაულო მღვდელი. მანამდე მთელს საბჭოეთში, ამ მართლაც ბოროტების იმპერიაში, მსგავსი დანაშაულისათვის არავინ დაუსჯიათ ასეთი სიმკაცრით. რატომ გასწირა მან სასიკვდილოდ ყმაწვილები? განა სასჯელის სხვა მკაცრი ზომა არ არსებობდა?

ჩემთვის ედუარდ შევარდნაძის ეს სისხლიანი ნაბიჯი დღესაც აუხსნელია. თუნდაც იმიტომ, რომ ამ გადაწყვეტილებაში მარტო სიმკაცრე და სისასტიკე როდი ჩანს მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრისა, არამედ ადვილად გამოგვაქვს სამართლიანი დასკვნა, რომ ზოგჯერ მას უხეში შეცდომებიც მოსდიოდა. თუმცა ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებ.

თუ ამ ახალგაზრდების სიკვდილით დასჯის მიზანი ჩემთვის გაუგებარი დარჩა, სამაგიეროდ, სავსებით გასაგებია, რატომ გასწირა მან უდანაშაულო მღვდელი. მისი უდანაშაულობა ხომ ყველასათვის აშკარა იყო! ღვთის მსახურის დახვრეტამ ხომ ხალხის თვალში ძალზე დააკნინა შევარდნაძის ავტორიტეტი. განა მან ვერ განსაზღვრა, რომ ორი ძმის დახვრეტა, როცა მშობლებს მეტი შვილი აღარ ჰყავდათ, მის სახელს ვნებას მოუტანდა? იცოდა, მშვენივრად იცოდა. მაგრამ იმ ხალხს მაინც რისხვა დაატეხა თავზე, ვინც გაბედა და ყმაწვილების შეწყალების თხოვნას ხელი მოაწერა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ედუარდ შევარდნაძეს მაშინ რაღაც უჭირდა, ძალიან უჭირდა. მას თვითმფრინავის გატაცების ძალზე გამბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურებულმა, სენსაციად ქცეულმა ფაქტმა, დღეს რომ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. რაღაც მიზნისაკენ მიმავალი გზა გადაუჭრა. მღვდელი კი იმიტომ დახვრიტა, რომ მოსკოვისათვის დაენახებინა, ახალგაზრდების მიერ თვითმფრინავის გატაცება სოციალური მოვლენებით კი არ არის განპირობებული, რელიგიის სფეროში უნდა ვეძებოთ დანაშაულის გამომწვევი მიზეზებიო.

ვთქვათ, მან მოსკოვი მაშინ მართლაც დააჯერა და დაარწმუნა, დანაშაული მღვდელმა და რამდენიმე ფანატიკოსმა ახალგაზრდამ ჩაიდინა, რომ მათ საქციელს არავითარი კავშირი არ ჰქონდა სოციალურ გარემოსთან, მის მიერ გატარებულ რეფორმებთან, მაგრამ განა ედუარდ შევარდნაძემ არ იცოდა, საკუთარ ხალხს, ფართო საზოგადოებრიობას რომ ვერ მოატყუებდა?!

იქნებ იმ დროს საკუთარი ხალხის აზრი აღარ აინტერესებდა?

იქნებ პიროვნული მიზანი იმდენად დიდი იყო და მნიშვნელოვანი, რომ საკუთარი ხალხის გულისწყრომა აღარ აღელვებდა და აღარაფრად უღირდა?!

იქნებ ვცდები.

არაა გამორიცხული, რომ ვცდებოდე!

ედუარდ შევარდნაძემ დათმობაც და უკან დახევაც იცოდა, თუკი ამას საქმე მოითხოვდა. ერთხელ მან თავისი განყოფილების გამგე გაგზავნა მოსკოვში დასამტკიცებლად. გვარებს, კიდევ ვიმეორებ, განგებ არ ვწერ, არ მინდა ვინმეს გული ვატკინო. საკავშირო ცენტრალური კომიტეტის სათანადო განყოფილების გამგეს არ მოეწონა კანდიდატურა. გასაუბრების შემდეგ უმალვე შევარდნაძეს დაურეკა და უთხრა, ეს კაცი არ არის თქვენი დღევანდელი დონის შესაფერისიო. შევარდნაძემ თავისი დანიშნული და მოსკოვში დასამტკიცებლად გაგზავნილი კაცი თვითმფრინავშივე გაანთავისუფლა და მის ნაცვლად მოსკოველი განყოფილების გამგის მეგობარი დანიშნა!

პირიქითაც ხდებოდა ხოლმე. ედუარდ შევარდნაძეს ერთი კაცის განთავისუფლება სურდა, ვერ მოასწრო, გაისმა მოსკოვიდან ტელეფონის ზარი, სუსლოვი ურეკავდა, როგორ მიდის საქართველოში საქმეებით, შემდეგ კი სხვათა შორის იკითხა, როგორ არის ესა და ეს პიროვნებაო, მოიჩა და გათავდა. ედუარდ შევარდნაძემ არა მარტო ვერ ... ხსნა ის კაცი, იძულებული გახდა, დეპუტატადაც კი აერჩია.

ედუარდ შევარდნაძე ძალზე ყურადღებიანი კაცი გახლავთ.

ერთხელ მე მას მოსკოვში წერილი გავუგზავნე და ვთხოვე, მონღოლეთში საბჭოთა კავშირის საელჩოში უსამართლოდ დაჩაგრულ ჩემს მეგობარს იური კრუჩკინს გამოსარჩლებოდა. მას საბჭოთა ელჩი დაპატიმრებასაც კი უპირებდა თავისი მოწინავე იდეებისა და მონდომების გამოქომაგებისათვის.

ბატონი ედუარდის პასუხი არ მიმიღია. მივიღე მხოლოდ ი. კრუჩკინის დიდი მადლობა, აქედან დავრწმუნდი, რომ უზარმაზარ საქმეებში ჩაფლულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მონახა დრო, ყურადღება მიექცია ჩემი თხოვნისათვის.

წელან შეცდომა ვახსენე.

მოსდიოდა თუ არა ედუარდ შევარდნაძეს შეცდომები?

რასაკვირველია, შეცდომები მოსდის მას, ვინც რაღაცას აკეთებს, თანაც ჩემი და არამარტო ჩემი აზრით, შეცდომის დაშვების შესაძლებლობა გაცილებით მეტია მაშინ, როცა დიდ და მრავალმხრივ საქმეს ხარ შეჭიდებული.

ერთხელ, ზუსტად ვერ ვიტყვი რომელ წელს, რესპუბლიკის აქტივის კრებაზე თუ პლენუმზე ედუარდ შევარდნაძემ საკითხი ასე დააყენა, უფრო სწორად, გაილაშქრა ერთი საყოველთაოდ ცნობილი დებულების წინააღმდეგ. შეცდომა იმას არ მოსდის, ვინც არაფერს აკეთებს. მთავარია, ჩვენ ისე ვაკეთოთ დიდი საქმეები, რომ შეცდომა არ მოგვივიდესო.

და აი, ამ მოსაზრების ავტორმა, ბევრი შეცდომა თვითონვე დაუშვა. მე მხოლოდ რამდენიმე მათგანი მინდა გამოვყო, რომლებიც ყველაზე უფრო გამოდგება ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური პორტრეტის დასახატად. თუნდაც იგივე იუზა კობახიძის დახვრეტა. თვითმფრინავის გამტაცებელი ახალგაზრდების და სრულიად უდანაშაულო მღვდლის სიკვდილით დასჯა.

ედუარდ შევარდნაძის ამ შეცდომებს ლმობიერებისა და ჰუმანიზმის თვალსაზრისით როდი ვაფასებ. ჭეშმარიტი ლმობიერება და ჰუმანიზმი არ უნდა მოსთხოვო იმპერიაში დიდი მასშტაბის პოლიტიკურ მოღვაწეს. თუ იგი ლმობიერებას იჩენს, უნდა იცოდეთ, რომ მისი ლმობიერება ჭეშმარიტი როდია, უბრალოდ, დიპლომატიური ხერხია, ხალხის მომხრობის საშუალებაა, საზოგადოების გულის მონადირების მცდელობაა.

დიახ, ახალგაზრდების დახვრეტის ფაქტს ამ შემთხვევაში სამართლებრივი ან ჰუმანური თვალსაზრისით როდი ვიხილავ. საკითხის წმინდა დიპლომატიურ მხარეზე ვამახვილებ ყურადღებას.

ედუარდ შევარდნაძეს თავი უნდა მოეთოკა და სისხლიანი ნაბიჯისაგან თავი უნდა შეეკავებინა. მას უნდა სცოდნოდა, რომ გაივლიდა დრო და ეს შეცდომა მთელი სისასტიკით დაზვდებოდა წინ.

მესამე და, ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა, ისე რომ ჩაეჭედა ხალხს გონებაში, იყო ედუარდ შევარდნაძის „ასტრონომიული აღმოჩენა“ მზის ჩრდილოეთიდან ამოსვლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი იყო მაშინ ცთუნება, გამხდარიყო საკავშირო პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. ედუარდ შევარდნაძემ მშვენივრად იცოდა, თვითონ ახალი ასული იყო რესპუბლიკის სამეფო ტახტზე, ხოლო აქვე, გვერდით აზერბაიჯანში გაცილებით „დამსახურებული" ალიევი იბრძოდა იმავე მიზნის მისაღწევად. ეს ის ალიევი გახლდათ, მოსისხლე მტრად რომ გაუხდა ედუარდ შევარდნაძეს. რატომ? რისთვის? მხოლოდ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობისათვის?

არა! მაშინ ალიევი საკავშირო ასპარეზზე გაცილებით ღონივრად გრძნობდა თავს, მაგრამ იგი უმალვე მიხვდა, რომ ედუარდ შევარდნაძე მას ნიჭითაც აღემატებოდა, განათლებითაც, მოქნილობითაც და ენერგიითაც. როგორც მალე გახდა ცნობილი, ალიევი მოსკოვში თურმე არცერთ შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, ედუარდ შევარდნაძისათვის რომ არ ექბინა, ვნება არ მიეყენებინა.

ედუარდ შევარდნაძემ მშვენივრად იცოდა, რომ იმ წუთში ალიევს გაცილებით მომგებიანი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ თავისი მაინც სცადა, კამათელი მაინც გააგორა.

სულერთია, რაც არ უნდა დიდი ყოფილიყო ცთუნება, ისეთ გამჭრიახ და ჭკვიან დიპლომატს, ედუარდ შევარდნაძე რომ გახლავთ, ასეთი შეცდომა არ უნდა მოსვლოდა. ყმაწვილკაცობაში პოეტობის მოსურნეს, კარგად უნდა სცოდნოდა სიტყვის, მით უმეტეს, შედარების ზომა და წონა. აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მისი ცნობილი, უიღბლო ასტრონომიული შედარება თვითონ მოიფიქრა, თუ სხვამ შეაჩეჩა ხელში!

ედუარდ შევარდნაძის ბიოგრაფიას ვერ დაამშვენებს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი გრანდიოზული „ზეიმი", სიყალბისა და არაგულწრფელობის აპოთეოზი.

უდიდესი და გამოუსწორებელი შეცდომა იყო როკის გვირაბის გაყვანა, შუბივით რომ გაერჭო საქართველოს სხეულს. კიდევ კარგი, რომ ვერ მოასწრო ტრანსკავკასიის რკინიგზის გაყვანა.

უკვე ფონს გასული კაცის, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრისა და პოლიტბიუროს წევრის უზარმაზარი შეცდომა იყო, როცა საქართველოში უკვე მოსკოვიდან ჩამოსულმა დიდმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა პლენუმზე ბრძანა, — გადავაქციოთ საქართველო ერების ინტერნაციონალური შერწყმის ლაბორატორიად.

ბევრი ამ შეცდომათაგანი უნებლიე შეცდომა როდი იყო. სამწუხაროდ, ისინი „შეგნებული" შეცდომები გახლდათ. კერძოდ, ეს ბოლო ფრაზა დაგვირგვინება იყო იმ პოლიტიკისა, ედუარდ შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩევის პირველივე დღიდან რომ ეწეოდა. მან ხომ თავიდანვე აიღო კურსი, ქართველი ერისათვის დაეკისრებინა დიდი ერის ფუნქციები. ცილი დასწამა საკუთარ ერს, დააბრალა ანტიინტერნაციონალისტობა და დაიწყო რესპუბლიკის გაინტერნაციონალების ყალბი და თითიდან გამოწოვილი კომპანია. მან გადაწყვიტა ყოფილიყო არამარტო ქართველების, არამედ რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების, აფხაზების, ოსების, ბერძნებისა და სხვათა ბელადი, მათი ინტერესების დამცველი, დიდი ინტერნაციონალისტი და ჰუმანისტი.

დაკვირვებულ თვალს თავიდანვე უნდა ეგრძნო, რომ ედუარდ შევარდნაძეს რესპუბლიკის კომპარტიის პირველი მდივნობა და პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობა თავის „ჭერად" არ მიაჩნდა.

სამწუხაროდ, მშობელი ერის მიმართ ასეთმა დამოკიდებულებამ ვერ „შემოუმტკიცა" სხვა ერების წარმომადგენლები. პირიქით, დაარწმუნა რა ისინი, რომ თურმე ჩვენ, ქართველები, აქამდე მათ ვავიწროვებდით, ყველანი ერთხმად აუმხედრდნენ მომავალ საგარეო საქმეთა მინისტრს.

დიდი შეცდომა იყო, ალბათ, როცა მან ლიგაჩოვი დაიცვა ბორის ელცინისაგან. მართალია, ყველამ იცოდა, რომ შევარდნაძე გორბაჩოვის გუნდში იყო, და, აქედან გამომდინარე, ლიგაჩოვი გულზე არ ეხატებოდა, ისიც იცოდნენ, რომ მაშინ გამოუვალი, მძიმე სიტუაცია შეიქმნა და ყველას ხმა ჩაუვარდა, რომ მაშინ, ფაქტობრივად, ლიგაჩოვის გამოსარჩლება მხოლოდ სიტუაციის განმუხტვა იყო და მეტი არაფერი, მაგრამ დარჩა სიტყვები, „კრისტალივით წმინდა კაცის" ეგორ ლიგაჩოვის დასაცავი სიტყვები, რომლებიც შეიძლება საერთო სურათს მეტისმეტად არ ამუქებენ, მაგრამ, დამეთანხმებით, გარკვეულწილად მაინც ამძიმებენ სიტუაციას.

●

თბილისსა და მთელ საქართველოს ელვისებურად მოედო ედუარდ შევარდნაძის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის ამბავი.

ხალხმა გოცებისაგან პირი დააღო.

მაინც რამ გააოცა ისინი?

არ შევცდები თუ ვიტყვი, — ორმა გარემოებამ. არავინ იცოდა, თუ გორბაჩოვი ასე უჭერდა მხარს ედუარდ შევარდნაძეს. მით უმეტეს, რომ იგი ბრეჟნევის დასუსტებისა და მოსალოდნელი სიკვდილის პერიოდში თავისი მრჩევლების, პირველ რიგში ს. ხაბეიშვილის რჩევით, ჩერნენკოზე იღებდა ორიენტაციას.

მაშინ მე გამომცემლობის დირექტორი გახლდით და მახსოვს, როგორი სისწრაფით გამომაცემინეს ჩერნენკოს უზარმაზარი წიგნი — „პარტიული მშენებლობის საკითხები" და როგორი პატივით გამაგზავნინეს ავტორისათვის სასიგნალო ეგზემპლარები.

ისიც გავიხსენოთ, როგორი პატივით მიიღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩერნენკო საქართველოში. შეიძლებოდა კაცს ჰგონებოდა, ბრეჟნევმა უკვე მიაბარა უფალს სული და იმპერიის ტახტზე ჩერნენკო აბრძანებულაო.

შეცდნენ ედუარდ შევარდნაძე და მისი მრჩევლები. ჩერნენკოს ანდროპოვმა გადაუჭრა გზა. კიდევ ერთხელ შედგა ედუარდ შევარდნაძე გალესილი დანის პირზე. კიდევ ერთხელ უნდა გაევლო ბეწვის ხიდზე. თანაც იცოდა, რომ ხიდის მეორე თავში იჯდა კაცი, რომელსაც შევარდნაძე გულზე არ ეხატებოდა.

მომავალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა არამარტო მშვიდობიანად გაიარა ბეწვის ხიდზე, არამედ შესძლო მოეხიბლა სუკ-ის ყოფილი შეფი და შჩოლოკოვის მოსისხლე მტერი. ერთხელ იგი დაღვრემილი, მხრებჩამოყრილი შევიდა ანდროპოვის კაბინეტში, ხანგრძლივი საუბრის შემდეგ გაახალგაზრდავებული და ფრთაშესხმული გამოვიდა ტახტის ახალი მფლობელის კაბინეტიდან. მალე ანდროპოვმა თავის სიტყვაში მოწინავე რესპუბლიკებს შორის საქართველოც მოიხსენია და ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ედუარდ შევარდნაძემ მასაც მოარგო გასაღები.

მალე ანდროპოვიც მიიცვალა და ჩერნენკოზე აღებულმა ორიენტაციამ ახალი ძალით იჩინა თავი.

მისდა სამწუხაროდ, ვერც ჩერნენკომ იცოცხლა დიდხანს.

და აი, როცა გორბაჩოვი მოექცა იერარქიის სათავეში, არავინ არაფერი იცოდა შევარდნაძისა და გორბაჩოვის ურთიერთობის თაობაზე, არც ცუდი, არც კარგი!

საქართველოში მხოლოდ ის იცოდნენ, რომ მიხეილ გორბაჩოვი იყო ჯუმბერ პატიაშვილის მეგობარი, რომ ამ უკანასკნელს პარტიულ კურსებზე ერთად ყოფნის პერიოდში ძალზე მოუხიბლავს გორბაჩოვი, ისიც იცოდნენ, რომ შევარდნაძესა და პატიაშვილს შორის უკვე გაერბინა შავ კატას.

და უცებ, ერთ მშვენიერ დღეს, მთელ საქართველოში გავარდა ხმა, რომ ედუარდ შევარდნაძე მოსკოვს გამოიძახეს და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ჩააბარეს. თან, პოლიტბიუროს წევრად აირჩიეს.

საიდან გაჩნდა ამდენი მხარდაჭერა, ნდობა და რწმენა?

ეტყობა, ედუარდ შევარდნაძე სადღეისო ორიენტაციას ჩერნენკოზე რომ იღებდა, სახვალიო ორიენტაციის ობიექტი უკვე კარგად ჰყავდა შერჩეული და ყველასათვის, შინაურთათვის და გარეულთათვის შეუმჩნევლად, ძალზე ეფექტურ სვლებს აკეთებდა. სულ ახლახან კი, როცა საბჭოეთის პრეზიდენტმა აღიარა გარდაქმნის იდეები ბიჭვინთაში ხეირნობის დროს ედუარდ შევარდნაძემ მომაწოდაო, თვალსაჩინო გახდა, რომ ჩერნენკოს ხელმწიფობის უღმერთოდ ხანმოკლე პერიოდში მომავალ საგარეო საქმეთა მინისტრს დრო ტყუილად არ დაუკარგავს.

დიახ, ედუარდ შევარდნაძის მოსკოვში გადაყვანამ ორი მიზეზის გამო გააოცა ხალხი.

პირველზე უკვე ვილაპარაკეთ.

ახლა მეორე მიზეზიც გავიხსენოთ.

— ედუარდ შევარდნაძე საგარეო საქმეთა მინისტრი?! — მხრებს იჩეჩდა ხალხი.

მაინც რატომ იჩეჩდნენ მხრებს? ედუარდ შევარდნაძის ნიჭში, პოლიტიკურ გამჭრიახობაში, ენერგიაში თუ პიროვნულ მომხიბვლელობაში ეპარებოდათ ეჭვი?

არა. მის შესაძლებლობებში ეჭვი არავის ეპარებოდა, უბრალოდ, ხალხს დიპლომატიაზე სულ სხვანაირი წარმოდგენა ჰქონდა. საგანგებო და სპეციალური განათლება, ენების ცოდნა, დიპლომატიური ეტიკეტის შესისხლხორცება, მანერების დახვეწილობა, ათასგვარი პროფესიული ნიუანსების დაუფლება... აი, როგორი წარმოედგინათ მათ საგარეო საქმეთა მინისტრი. ამავე დროს ავიწყდებოდათ, რომ ედუარდ შევარდნაძემდე საგარეო საქმეთა მინისტრი გრომიკო გახლდათ, ხოლო მისი პოლიტიკური თუ პიროვნული პორტრეტი სრულებით არ შეესაბამებოდა იმ პიროვნების პორტრეტს, მეოცე საუკუნის მიწურულს რომ უნდა იდგეს ქვეყნის ამ ერთ-ერთ უდიდეს და სასიცოცხლო საჭესთან.

იქნებ ბევრმა არ იცის, რომ მთელი მსოფლიოს პრესა შემოირბინა მიხეილ გორბაჩოვის უტაქტო საქციელმა, როცა მან ინგლისის დედოფალს მიღებაზე პირველმა გაუწოდა ხელი. ადამიანთა შეგნებაში მსგავსი შეცდომები ეპატიება ყველას, გარდა დიპლომატისა. და აი, ხალხის გონება დიპლომატის მკაცრ, შეზღუდულ, ცერემონიათა არტახებში მოქცეულ საქციელს, თითქმის ბავშვობიდან რომ უნდა შეისისხლხორცოს ადამიანმა, ვერ შეუსაბამა ედუარდ შევარდნაძის პიროვნება.

მოხდა საოცარი რამ, თითქმის უპრეცედენტო შემთხვევა დიპლომატიის ისტორიაში. ედუარდ შევარდნაძე კი არ მოერგო მსოფლიო დიპლომატიის ადათ-წესებსა და უმკაცრეს კონსერვატიულ არტახებს, მან თვითონ, თავის ბუნებას მოარგო ისინი და თვითონ შექმნა მსოფლიო დიპლომატიაში პრინციპულად ახალი მეთოდები, ურთიერთობათა სრულიად ახალი ფორმები და საშუალებანი.

საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნისთანავე ამერიკის სახელმწიფო მდივანმა, ფაქტობრივად, იგივე საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯორჯ შულცმა ედუარდ შევარდნაძეს ოფიციალურად დეპეშით მიულოცა ახალი პოსტი, ხოლო ამერიკაში საბჭოთა კავშირის მაშინდელ ელჩს დობრინინის სთხოვა, გადაეცით ბატონ ედუარდს, რომ არც ის გახლავთ პროფესიონალი დიპლომატი და არც მე, ამიტომაც გაცილებით უკეთ გავუგებთ ერთმანეთს.

მართლაც რომ უკეთ გაუგეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ვიმეორებ, დაამსხვრია რა კლასიკური დიპლომატიის ბევრი რიტუალი, ედუარდ შევარდნაძემ კლასიკურ, გარეგნულად მომხიბვლელ, მაგრამ ცივ კანონებს და წესებს დაუპირისპირა ადამიანური ინტიმი, გულითადი ღიმილი („შევარდნაძისეული ღიმილი, რომლის უკან მიმალული მრისხანებაც არ გამორჩენიათ უცხოელ ჟურნალისტებს), უბრალო, გულითადი, მეგობრული, შინაურული, პიროვნული ურთიერთობანი. გრომიკოს შემცვლელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა შულცის არამარტო პოლიტიკური ნდობა მოიპოვა, არამედ მეგობრული ურთიერთობაც დაამყარა მასთან. ისინი ოჯახებითაც დაახლოვდნენ ერთმანეთთან და თავისუფალ დროს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ამერიკის სახელმწიფო მდივნის ოჯახში ატარებდა. წარმოიდგინეთ წინსაფრიანი ჯორჯ შულცი, თავისი ხელით რომ წვავდა მაყალზე მწვადებს ედუარდ შევარდნაძისა და მისი მეუღლის საპატივცემლოდ.

ალბათ გახსოვთ, მოსკოვში ამერიკის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი რომ ჩამობრძანდა, აეროპორტიდან სატელევიზიო გადაცემას თითქმის მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალყურს. რეიგანისა და მისი მეუღლის შემდეგ ტრაპზე ჯორჯ შულცი და მისი მეუღლე გამოჩნდნენ. შულცი ჯერ ედუარდ შევარდნაძეს გადაეხვია, შემდეგ მის მეუღლეს. თავის მხრივ შევარდნაძემაც გადაკოცნა შულცის მეუღლე. ეს იყო მსოფლიო დიპლომატიაში თითქმის არნახული შემთხვევა. დიპლომატიური ურთიერთობისას ყოველ ჟესტში რაღაც იდეა ან დამოკიდებულებაა ჩადებული. გავიხსენოთ, აჯუბეი რა დიდი მონდომებით და გულმოდგინებით გვიმტკიცებდა, გაერთიანებული ერების ასამბლეაში ხრუშჩოვმა რომ ფეხსაცმელი გაიხადა და გაგულისებული მაგიდას რომ ურტყამდა, თურმე მარტო ამას კი არ ჰქონია დიდი ქვეტექსტი. მთავარი სულ სხვა რამ ყოფილა. თურმე ხრუშჩოვს ისე ეჭირა ფეხსაცმელი, რომ წვერით ამერიკისკენ ჰქონია მიმართული, ქუსლით კი მექსიკისაკენ.

მართალია, მსოფლიოსათვის და პირადად ჩემთვის დღემდე გაუგებარია ხრუშჩოვის მოქმედების ქვეტექსტი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ შულცის საქციელში მსოფლიოში ყველაზე მაღალი დონისა და ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრის დროს ხალხმა, ალბათ, ადამიანური უბრალოება და გულითადობა დაინახა. თანაც სამართლიანად დაასკვნა, რომ მსოფლიო დიპლომატიაში იწყება თვისობრივად ახალი პერიოდი, ადამიანური, გულწრფელი ურთიერთობების პერიოდი, რომლის დამამკვიდრებელიც, ჩემის აზრით, გარკვეულწილად ედუარდ შევარდნაძე გახლავთ.

შულცი ბეიკერმა შეცვალა, სურათი კი არ შეცვლილა. ამჯერად ბეიკერი გახდა შევარდნაძის საუკეთესო მეგობარი. დიახ, მეგობარი!

ძვირფასო მკითხველო, მანამდე გსმენიათ, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი მეგობარი ყოფილიყოს ამერიკის, ინგლისის, გერმანიისა და სხვა „მტრული“ კაპიტალისტური სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებისა?

აი, რას წერდა ამერიკული გაზეთი „ნოვოე რუსსკოე სლოვო“:

„უკანასკნელ ხუთ წელიწადში შევარდნაძესა და მის ამერიკელ კოლეგებს შორის — ჯერ რეიგანის ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივანს ჯორჯ შულცსა, ხოლო შემდეგ ახლანდელ სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს შორის დამყარდა ახლო ურთიერთობა. განსაკუთრებით დაუმეგობრდა იგი ჯეიმს ბეიკერს. მათი ურთიერთობა უკვე აღარ იყო ოფიციალური, ისინი პოულობდნენ დროს ერთად თევზაობისათვის და დასვენების დროსაც მსჯელობდნენ ამა თუ იმ საქმეზე“. (21.XII.90).

ერთი წუთით ფანტაზიას მოვუხმოთ და წარმოვიდგინოთ ამერიკაში ბეიკერთან ერთად მოთევზავე ანდრეი გრომიკო!

ედუარდის გადადგომით შეშფოთებული ბეიკერი წერდა, მე ვამაყობ შევარდნაძესთან მეგობრობით, ახლა კი შევარდნაძის გარეშე ძალიან გამიჭირდება.

ედუარდ შევარდნაძეს თავის პირად მეგობრად თვლიდა აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გენშერი.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრით ძალზე მოხიბლული იყო რკინის ლედი, მარგარეტ ტეტჩერი. „64“-ის მკითხველს ალბათ ახსოვს ინგლისის პრემიერ-მინისტრის სიტყვა, კასპაროვ-კარპოვის მატჩის გახსნის წინ რომ წარმოსთქვა: მე შევასრულე თქვენი თხოვნა, ჩავიცვი შავი კაბა და თეთრი პერანგი, მაგრამ არ გეგონოთ, რომ ჭადრაკის დაფა და ფიგურები მხოლოდ შავი და თეთრი ფერისაა. მე ედუარდ შევარდნაძემ მაჩუქა ჭადრაკი, რომლის დაფის უჯრედები და ფიგურები ცისფერი და თეთრი ფერისანი არიან.

ედუარდ შევარდნაძის ჩანაფიქრის მისახვედრად შეგახსენებთ, რომ ტეტჩერის პარტიის დროშა თეთრ-ცისფერი გახლავთ.

მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება, მაგრამ დამეთანხმებით, ედუარდ შევარდნაძე დიპლომატიურ სამყაროში ქცევის კონსერვატიული მანერების მსხვრევით და ადამიანური ინტიმით ვერ გახდებოდა ის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომლის გადადგომამაც „შეძრა მსოფლიო“.

ავღანეთის უაზრო ომის შეწყვეტა, აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლება, ამერიკის, როგორც მოწინააღმდეგის ცნების დამსხვრევა და ამერიკის, როგორც პარტნიორის ცნების დამკვიდრება, მსოფლიოში საბჭოთა კავშირისადმი შიშის გაქარწყლება და მსოფლიო კაპიტალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტური ქვეყნების ნდობის მოპოვება, თანდათან რომ გადაიზარდა დიპლომატიურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში, მოსკოვში ისრაელის საკონსულოს გახსნა და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება. გრომიკოსა და სხვათა ხელში წარმოუდგენელი რომ გვეჩვენებოდა, გადაიჭრა და მოგვარდა ედუარდ შევარდნაძის უშუალო ხელმძღვანელობით, გამჭრიახობითა და ორგანიზატორული ნიჭით. არც ეს იყო საკმარისი, მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ გორბაჩოვის კაბინეტს ეღიარებინა ედუარდ შევარდნაძის ხაზი. რასაკვირველია, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ყველაფერი შევარდნაძემ ჩააგონა თავის ახალ შეფს, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მისმა ნიჭმა და მცდელობამ დიდი როლი ითამაშა საგარეო პოლიტიკის სასიკეთოდ შემობრუნებაში, რამაც მსოფლიოში დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა როგორც გორბაჩოვს, ასევე თვითონ ედუარდ შევარდნაძეს.

ერთხელ უკვე ვწერდი, რომ ისრაელში ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა დიდი წერილი მიხეილ გორბაჩოვზე. წერილს თავშივე ამშვენებდა საბჭოთა ლიდერის ფოტოსურათი. სტატიის შუაგულში კი რატომღაც ედუარდ შევარდნაძის ფოტოც იყო მოთავსებული. ეს მით უფრო საკვირველი გახლდათ, რომ სტატიაში ერთი სიტყვაც კი არ იყო თქმული შევარდნაძეზე. უბრალოდ, მისი გვარიც კი არ იყო მოხსენიებული თუნდაც ერთ ადგილზე. ჩემის აზრით, ისრაელელთა ჟურნალისტური ხერხი სიმბოლურად გამოხატავდა შემდეგს: ყველაფერს, რასაც მიხეილ გორბაჩოვზე ლაპარაკობდნენ, ეკუთვნოდა ედუარდ შევარდნაძესაც, როგორც მის თანამოაზრეს და თანაავტორს.

ედუარდ შევარდნაძეს ბევრჯერ მოუხდა მიხეილ გორბაჩოვის სიფიცხით გაფუჭებული საქმის „ამოქაჩვა". გავიხსენოთ თუნდაც რეიკიავიკის შეხვედრა ამერიკის პრეზიდენტთან. იქ, მას, მართალია, თავისი „დიდი" წინაპარივით, ხრუშჩოვივით, ფეხსაცმელი არ გაუხდია, მაგრამ ბევრი აღარაფერი დაჰკლებია. რეიკიავიკის შეხვედრა სრული კრახით დამთავრდა. უკან დაბრუნებული გორბაჩოვი ცოფებს ყრიდა და ინტერვიუებში გაანჩხლებული წერდა, რეიგანი რეიკიავიკში ძველი აზროვნებით, ცარიელი პორთფელებითა და ჯიბეებით ჩამოვიდა, როცა ჩვენ მოსაზრებათა და ღონისძიებათა რამდენიმე პაკეტი ჩავიტანეთო. მერე თანდათან მოეგო გონს. ვფიქრობ, ამაში დიდი როლი შეასრულა უცხოეთის პრესამაც, სადაც ობიექტურად იქნა განხილული შეხვედრის ჩაშლის საბჭოური მიზეზები. გორბაჩოვმა თანდათან უკან დაიხია და ისიც კი განაცხადა, თანაც არაერთგზის, რომ რეიკიავიკის შეხვედრას მნიშვნელობა მაინც ჰქონდაო. ედუარდ შევარდნაძე კი სასწრაფოდ აფრინა ვაშინგტონში. არ ვიცი, იქ საგარეო საქმეთა მინისტრმა რა ჯადო იხმარა, რეიგანი, რომელსაც თითქმის საბოლოოდ ჰქონდა ხელი ჩაქნეული ბოროტების იმპერიაზე, კვლავ დასთანხმდა შეხვედროდა მიხეილ გორბაჩოვს.

ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტი მსოფლიოში განუხრელად იზრდებოდა. უჩვეულო მოვლენა იყო, როცა ნატოელი გენერლები ნატოს შტაბბინაში სტუმრად მისულ საგარეო საქმეთა მინისტრს ტაშით შეეგებნენ. უჩვეულო იყო ტაშიც და თვით ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა პირველად შეაბიჯა ნატოს შტაბბინაში. შემდგომში კი ტაში ტრადიციად იქცა შევარდნაძესთან შეხვედრისას. იმ პერიოდში განუზომლად დიდი იყო გორბაჩოვის ავტორიტეტი მთელს მსოფლიოში. მაგრამ მან ვერ იქნა და ვერ მოიპოვა საბჭოთა ხალხის არამცთუ სიყვარული, სიმპათიაც კი. ედუარდ შევარდნაძემ თავისი შეფისაგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირშიც დიდი აღიარება და პატივისცემა მოიპოვა, თუ არ ვცდები, ედუარდ შევარდნაძე იყო ერთადერთი პიროვნება, რომელიც ყრილობაზე ერთხმად აირჩიეს თავის პოსტზე.

თუმცა, გორბაჩოვისა არ იყოს, თავის სამშობლოში, საქართველოში მან მაინც ვეღარ დაიბრუნა დაკარგული ნდობა და სიყვარული.

ბუნებრივია, რომ ქვეყნის პრეზიდენტიც ადამიანია და მისთვის მაინცდამაინც როდი იქნებოდა სასიამოვნო ედუარდ შევარდნაძის ასეთი პოპულარობა. მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში პერესტროიკის ავტორებად ხშირად ერთად იხსენიებდნენ გორბაჩოვსა და შევარდნაძეს.

მიხეილ გორბაჩოვს, ალბათ, არც ის ესიამოვნა, მსოფლიოში რა გამოხმაურებაც მოჰყვა ედუარდ შევარდნაძის გადადგომას. საპასუხო რეაქციამაც არ დააყოვნა. გორბაჩოვმაც და მისმა ახლადგამორჩეულმა ვიცეპრეზიდენტმა იანაევმა ინტერვიუებში ხაზგასმით აღნიშნეს, საგარეო საქმეებში მოპოვებული წარმატებები ჩვენს მიერ შემუშავებული გეგმებისა და მიმართულებების შედეგია და არა ვინმეს პიროვნული დამსახურებაო.

ამ არგუმენტმა მხოლოდ ღიმილი შეიძლება მოჰგვაროს კაცს. რასაკვირველია, საგარეო საქმეთა მინისტრი დამოუკიდებლად როდი მოქმედებს. იგი მთავრობის ხაზს ატარებს, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რამდენი წვლილი აქვს მას შეტანილი ამ ხაზის შემუშავებაში, შემდგომ კი მის განხორციელებაში.

გორბაჩოვი და მისი აპარატი განა სხვა სამინისტროებსაც არ აძლევენ სათანადო მითითებებს? მაშ რა ღმერთი გაუწყრათ, რატომ დადგა უკლებლივ ყველა სამინისტრო კატასტროფის საშიშროების წინაშე?!

ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება „სი-ენ-ენის" ინტერვიუ ორ ამერიკელ სოვეტოლოგთან მარშალ შულმანთან და დანიელ ჰეპთან, რომლებმაც ერთხმად განაცხადეს: შევარდნაძე მთავარ როლს თამაშობდა უდიდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოებთან ურთიერთობის მოგვარებაშიო. შულმანმა დასძინა: „იგი მთავარი გამტარებელი იყო საბჭოთა „ახალი აზროვნების" საგარეო პოლიტიკაში".

და აი, ამ ფონზე როგორი მრავლისმეტყველია გენერალ მაკაშოვის ცინიკური განცხადება: „ჩემთვის გაუგებარია, რატომ ატყდა ამდენი ხმაური — არ უნდა კაცს მუშაობა, უკვე ასაკშია, დაიღალა ამდენი ფრენით და უნდა დაისვენოს. რაც შეეხება პოლიტიკას, მას ქმნის მთავრობა და არა მინისტრი. მინისტრი, უბრალოდ, გამტარებელია. ნუ გადავაჭარბებთ, როცა ვამბობთ, რომ შევარდნაძე შეუცვლელია".

როგორა ჰგავს მაკაშოვის სიტყვები გორბაჩოვისა და იანაევის სიტყვებს.

თანდათანობით პარლამენტშიც და არმიაშიც ედუარდ შევარდნაძეს წინ აღუდგა ოპოზიცია ორი „უმანწვილი პოლკოვნიკის" მეთაურობით, როგორც მან უწოდა ალკსნისსა და პეტრუშენკოს. მაინც იმძლავრა იმპერიულმა ამბიციებმა, ვერ აპატიეს ვერც შევარდნაძესა და ვერც გორბაჩოვს ევროპის სოციალისტური ქვეყნების, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ გერმანიის დაკარგვა, ამ მოვლენებს, როგორც ლოგიკური გაგრძელება, მოჰყვა ანექსირებული ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, მოლდოვასა და საქართველოს კანონიერი მოთხოვნა, გასულიყვნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. ერთხელ, ალბათ, ორი წლის წინ, ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტში განაცხადა, ვიტოვებ გადადგომის უფლებასო.

ედუარდ შევარდნაძე არაა ის კაცი, ოღონდ რომ შეელიოს თანამდებობას. იგი კარგა ხანია გრძნობდა, რომ პერესტროიკა დასაღუპავად იყო განწირული. მთელი გარდაქმნა მხოლოდ ლაყბობის დონეზე დარჩა, არავითარი სტრუქტურული ცვლილებები არ მომხდარა ეკონომიკაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში. გორბაჩოვის ავტორიტეტიც თითქმის ნულამდე დავიდა. იგი ჯერ კიდევ ძველი ინერციით დგას გვერდებშელეწილი და მართვის უნარდაკარგული გიგანტური ხომალდის საჭესთან. რაღა დარჩენია მას? მხოლოდ ერთი გზა, დიქტატურის განმტკიცება, ბნელი კავშირი იმპერიულ და სამხედრო ძალებთან.

მიხვედრის თვალსაზრისით ამ მოვლენების მიხვედრა და განჭვრეტა ძნელი როდი იყო. მაგრამ მთავარი მიხვედრა და სიტუაციის შეფასება როდი გახლავთ. მთავარი მაინც ისაა, გასწირო კარიერა და თანაც გასწირო ლამაზად, ვაჟკაცურად, ყველაზე ეფექტურ მომენტში.

ზემოთ უკვე ვთქვი, ედუარდ შევარდნაძე რომ გადადგა, ნიუ-იორკში ვიყავი. იმ თოთხმეტი დღის მანძილზე, რაც მე იქ დავყავი, ტელევიზიით ყოველდღიურად, თითქმის ყველა საინფორმაციო თუ პოლიტიკურ გადაცემაში მასზე დიდი სინანულით ლაპარაკობდნენ ჟურნალისტები თუ პოლიტიკური მოღვაწენი. გაზეთები აქრელებული იყო ამ სენსაციური მოვლენის ანალიზით და კომენტარით. მოვიტან კიდევ რამდენიმე მათგანს:

„თუკი ხუთი წლის უკან შევარდნაძის დანიშვნას საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე თავშეკავებული რეაქცია მოჰყვა, სამაგიეროდ ახლა კომენტატორები ხოტბას ასხამდნენ მას. ბი-ბი-ესმა გადმოსცა ინგლისელი ტელეჟურნალისტის დევიდ სმიტის მოსკოვური რეპორტაჟი, სადაც ნათქვამია, რომ „შევარდნაძე იყო სსრკ-ს ყველაზე კულტურული და ჭკვიანი საგარეო საქმეთა მინისტრი მთელი ომის შემდგომი პერიოდისა". თუმცა იქნებ ზოგიერთებს ეს კომპლიმენტი არც თუ ისე გრანდიოზული ეჩვენოთ, რაკი მთელი ამ ხნის მანძილზე საბჭოთა კავშირს წარმოადგენდნენ მოლოტოვი და გრომიკო, „მისტერ უარად" წოდებულნი სახელმწიფო დეპარტამენტში". („ნრს", 27.11.90).

ამერიკა მეტისმეტად შეაშფოთა შევარდნაძის გადადგომამ და, რაც მთავარია, მისმა განცხადებამ დიქტატურის მოახლოების თაობაზე და თანაც როდის, ერაყთან მომავალი ომის წინ, სპარსეთის ყურეში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ერთნაირ პოზიციას უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა და ვაითუ, შევარდნაძის გადადგომას და განცხადებას დიქტატურის მოახლოების თაობაზე მოჰყოლოდა ტანჯვით მოპოვებული ბალანსების რღვევა.

„მართალია, ამერიკული ადმინისტრაცია ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, ვითომ არაფერი ისეთი უსაშველო არ მომხდარიყოს. ბეიკერმა მაინც საჭიროდ მიიჩნია ხაზგასმით ეთქვა, რომ ვაშინგტონი შეშფოთებულია საბჭოთა კავშირში რეჟიმის მოსალოდნელი გამკაცრების გამო.

ჩვენი ახალი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულია იმაზე, ძველებურად აილებს თუ არა იგი კურსს დემოკრატიზაციასა და რეფორმებზე, — განაცხადა შევარდნაძის გადადგომის შემდეგ სახელმწიფო მდივანმა, — მე ვფიქრობ, ჩვენი მხრივ უგუნურება იქნება, სერიოზულად თუ არ მოვეკიდებით მინისტრის განცხადებაში მოცემულ გაფრთხილებას". („ვაშინგტონ პოსტი", 28.XII.90).

იგივე შეშფოთება გამოთქვა კონსერვატიულმა გაზეთმა „ნიუ-იორკ პოსტმა", რომელმაც თავის 28 დეკემბრის ნომერში გამოაქვეყნა მასალა სათაურით „შემაშფოთებელი ამბავი". მოვიტანთ პატარა ნაწყვეტს:

„გადადგომის წინ მინისტრმა გააფრთხილა საზოგადოება, რომ საბჭოთა კავშირში სულ მალე შეიძლება დამყარდეს დიქტატურა და ჩვენ არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია ვიფიქროთ, თითქოს იგი უფრო ცუდად ერკვეოდეს მოსკოვში მიმდინარე პროცესებში, ვიდრე ამერიკელები, დღემდე რომ ეიფორიულ მდგომარეობაში იმყოფებიან პერესტროიკის გამო. შევარდნაძის ამ ნაბიჯმა ამერიკელები უნდა აიძულოს სულ ცოტა, გადახედონ მაინც თავიანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეფასებას საბჭოთა კავშირის მიერ აღებული გეზის გამო". (ნრს, 27.XII.90).

შევარდნაძის გადადგომამ და განცხადებამ კიდევ უფრო შემზარავი შთაბეჭდილება ევროპაში მოახდინა. განსაკუთრებით გაერთიანებულ გერმანიაში. საიდანაც საბჭოთა ჯარების გაყვანა 1994 წლამდე ვერ მოხერხდება. რა იქნება შემდგომ? ხომ არ გადაიფიქრებს დიქტატურა გერმანიიდან ჯარების გაყვანას? მაშინ ხომ გერმანია კიდევ უფრო სავალალო დღეში აღმოჩნდება. თუ უწინ საბჭოთა კავშირს ჯარები მხოლოდ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჰყავდა. ამჯერად ხომ გაერთიანებულ გერმანიაში იმყოფებიან ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შეიარაღებული საბჭოთა ლეგიონები?

ჩემის აზრით, სწორედ ამ მიზეზებმა შეაშფოთა ისინი და ამიტომაც კიდევ უფრო მეტი მონდომებით იბრძვიან გორბაჩოვის დასახმარებლად, რომ უკანასკნელ ჟამს ყველაფერი წყალში არ გადაიყაროს.

ამიტომაც წერდა „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი":

„აპ-ის სააგენტოს ცნობით, შევარდნაძის გადადგომამ გამოიწვია შეშფოთება საერთაშორისო წრეებში „ბონიდან ტოკიომდე, ვაშინგტონიდან-კოპენჰაგენამდე". გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ამ ცნობას უპასუხეს მოწოდებით — „გორბაჩოვის რეფორმებს ეკონომიკური დახმარებით დაუჭირონ მხარი". „ᲔᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲘᲧᲝ". (ხაზი ჩემია, — გ. ფ.) — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს დიტრიჰ გენშერმა, რომელიც თავს შევარდნაძის პირად მეგობრად თვლის".

მიხეილ გორბაჩოვი, ეტყობა, არ ელოდა შევარდნაძის გადადგომას. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც შევარდნაძის რეფერენტმა ოფიციალურად განაცხადა, ბოლო ორი თვე იგი უკვე აღარ იყო შევარდნაძის მეგობარი. მის გადადგომას კი მაინც არ ელოდა. ალბათ, ყველაფერს თავის საზომით ზომავდა და იმიტომ. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია პრესას. მაგალითად, ნიუ-იორკის მოსკოველი საპარლამენტო კორესპონდენტი მ. ლეონტიევი წერდა: „გორბაჩოვის ცდები, — „აეცილებინა" შევარდნაძის დარტყმა და შეენელებინა მოკური შთაბეჭდილება, ძნელად თუ მოატყუებს ვინმეს... ალბათ, გარდა პრეზიდენტის უპრინციპო აპოლოგეტის — როი მედვედევისა. მან შევარდნაძის საქციელი ახსნა... საქართველოში სეპარატისტული განწყობილების ზეგავლენით...

...შევარდნაძე სწორად რომ ვაჟკაცურად მოიქცა, დაარღვია რა აპარატული ეთიკის ყველა ნორმა, მან „ცეცხლს თვითონ მიუშვირა მკერდი" და სამხედრო გადატრიალების თემას პრაქტიკულად ოფიციალური ხასიათი მიანიჭა. შევარდნაძემ პრეზიდენტს ყველაზე მტკივნეულ ადგილზე დაარტყა და გაჰკრა მისი უძლიერესი კოზირი — დასავლეთის რეიტინგი. და ეჭვი არაა, გორბაჩოვი ამას არ აპატიებს".

(„ნ.რ.ს." 21.XII.90).

•

რატომ გადადგა ედუარდ შევარდნაძე?

აი, შეკითხვა, რომელიც ასე აინტერესებდა და აინტერესებს მთელს მსოფლიოს, განსაკუთრებით კი დასავლეთის მმართველ წრეებს. ამიტომაც წერდნენ ისინი, შევარდნაძის წასვლა ნამდვილად შეიძლება საბჭოეთში მიმდინარე რეფორმების სამგლოვიარო ზარის რეკვად იქცესო.

28 დეკემბერს ტელევიზიით გამოსვლისას აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორმა ჯეიმს ბილინგტონმა აღნიშნა, რომ ამერიკელებს როგორღაც გამორჩათ „სსრკ-ს უაღრესად კონსერვატული, ლამის რეაქციული ტენდენციები, რომელთა კალაპოტშიც გაზაფხულიდან მოყოლებული მოქმედებს გორბაჩოვი". „სსრკ-ში მემარჯვენე წრეებისა და სამხედრო ძალების ზეგავლენა, როგორც ჩანს, იმაზე გაცილებით ძლიერია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია, — აღნიშნა ენ-ბი-სის ტელეკომპანიის პოლიტიკურმა მიმომხილველმა ტომ ბროკომ".

არანაკლებ შეშფოთებულები ჩანდნენ სხვა გამომსვლელები თუ პოლიტიკური მიმომხილველები.

გორბაჩოვზე ძალზე სკეპტიკური აზრი გამოთქვა „ნიუ-იორკ ტაიმსის" ლიბერალურმა მიმომხილველმა ენტონი ლიუისმა, ბოლო ლიბერალმა სოვეტოლოგმა ჯერი ხაფმა გაზეთის იმავე სვეტში დაწერა, ვაშინგტონს არ მართებს თავისი საგარეო პოლიტიკის მხოლოდ გორბაჩოვზე ორიენტირება, რადგან მას ჯერ კიდევ მშვენივრად შეუძლია დიქტატორი გახდესო.

მე, შეკითხვა, რატომ გადადგა ედუარდ შევარდნაძე, სულ სხვანაირად მაინტერესებს. გადადგომის ჭეშმარიტმა მიზეზებმა უნდა ჩაგახედოს მის სულში, სწორად უნდა შეგაძლებინოს მისი პიროვნულ-პოლიტიკური პორტრეტის დახატვა.

დასმულ შეკითხვაზე მიახლოებითი პასუხი რომ მაინც გამოვთქვა, კვლავ, ამჯერად უკვე შეჯამების სახით, ძალზე მოკლედ უნდა დავახასიათო საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ განვლილი გზა. იგი პირობითად შეიძლება სამ პერიოდად დავყოთ. პირველი, როცა შევარდნაძე მოგვევლინა უპატიოსნეს პიროვნებად, უსამართლობასთან შეურიგებელ და მთელი თავისი შესაძლებლობებით დაპირისპირებულ ადამიანად, ქართველი ხალხის, ქართული კულტურის კეთილდღეობისათვის მებრძოლ სახელმწიფო მოღვაწედ.

შემდგომი, მეორე პერიოდი გახლავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის

პირველი მდივნობა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის მოპოვებამდე. ეს პერიოდი, რომელიც თითქმის 15 წელიწადს გაგრძელდა, ვერაფრით ვერ დაამშვენებს ედუარდ შევარდნაძის ბიოგრაფიას.

მესამე პერიოდმა საყოველთაოდ გაუთქვა სახელი ედუარდ შევარდნაძეს. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მოღვაწეობის წლები იყო უაღრესად ნაყოფიერი და პროგრესული პერიოდი, როცა იგი მსოფლიოს მოევლინა როგორც საბჭოთა დიპლომატიის რეფორმატორი, ცივი ომის ერთ-ერთი დამასამარებელი, მრავალი მისასალმებელი და ჰუმანური ნაბიჯის გადამდგმელი და, რაც მთავარია, უზარმაზარი საერთაშორისო რეფორმების თანაავტორი და უშუალო განმახორციელებელი. კვლავ გავიხსენოთ ავღანეთის ომის შეწყვეტა, სოციალისტური ევროპის განთავისუფლება, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობების დამყარება.

სასაცილოა დავიჯერო, რომ ედუარდ შევარდნაძე „ორმა ყმაწვილმა პოლკოვნიკმა" აიძულა გადამდგარიყო. განა თვითონ პოლკოვნიკი ალკსნისი არ ამბობს თავის ინტერვიუში: „მე ხომ შეშლილი ვიქნებოდი, რომ მეყვირა: დიახ, მე გავანთავისუფლე შევარდნაძე! თვით იმის გაფიქრებაც, რომ პოლკოვნიკმა მოინდომა საგარეო მინისტრის გაგდება და გააგდო კიდეც, — პროფანაციაა. ამ გაძევებით სახელის მოპოვება ხელსაყრელია. ვისთვის? უნდა დააკვირდეთ შევარდნაძის ნამდვილ მტრებს. მე მათ კარგად ვიცნობ. ისინი მისი ტოლნი არიან სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მდგომარეობით... უნებურად მე მათი დამხმარე აღმოვჩნდი". („მოსკოვსკიე ნოვოსტი", 10.11.91).

მართალია ალკსნისი. დღევანდელ პარლამენტში რას ნიშნავს კრიტიკა? [illegible] იგი ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენშიც და საზღვარგარეთაც. სასაცილოა, დაიჯერო, რომ „ყმაწვილი პოლკოვნიკებისა" და „სოიუზის" კრიტიკას ვერ გაუძლო ედუარდ შევარდნაძის მტკიცე ნერვებმა. მისი გადადგომის მიზეზი ალბათ სულ სხვა რამ გახლავთ და, ალკსნისისა არ იყოს, მისი მტრები სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ. პირველ რიგში, ალბათ, თვით გორბაჩოვი გახდა საგარეო საქმეთა მინისტრის მტერი. უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ გორბაჩოვი გახდა მისი მეგობარი-მტერი. გორბაჩოვის მტრობა ედუარდის მიმართ განაპირობა პრეზიდენტის სამხედროებისაკენ და, აქედან გამომდინარე, დიქტატურისაკენ შებრუნებამ. ახალ სიტუაციაში საგარეო საქმეთა მინისტრი ძალაუნებურად პრეზიდენტის მოწინააღმდეგე მხარეს აღმოჩნდა. გავიხსენოთ, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გავრილ პოპოვის სიტყვები: „მე მგონია, შევარდნაძე ხუმრობს, და თუ არ ხუმრობს, მაშინ ძალიან მალე გადადგებიან გავრილ პოპოვი, ანატოლი სობჩაკი, გამორიცხული არ არის, თვით ბორის ელცინიც..." („ერი", 8.1.91). იქნებ თვითონ ედუარდ შევარდნაძე გვეუბნება გულწრფელად თავისი გადადგომის ნამდვილ მიზეზს? განა მან ყველაზე უკეთ არ იცის, რატომ გადადგა თვითონ? რატომ უნდა ვიმკითხაოთ, მოდით, თვითონ მას მოვუსმინოთ.

„ლიტერატურნაია გაზეტას" 10 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუ. ერთგან იგი ამბობს: „ჩემთვის აუტანელი იყო იმაზე ფიქრი, რომ თუ ამ ნაბიჯს არ გადავდგამდი (იგულისხმება გადადგომა. — გ. ფ.), იძულებული გავხდებოდი, მონაწილეობა მიმეღო იმ საქმეებში, რაც არაფრით არ ეთანხმება ჩემს რწმენას".

დავიჯეროთ, ის სიტყვები, რომლითაც მან ხრუშჩოვს მიმართა და მთელი შემდგომი პერიოდი საქართველოს კომპარტიის პირველ მდივნად რომ მუშაობდა, ეთანხმებოდა მის რწმენას? მაშინ არ აწუხებდა სინდისის ქენჯნა?!

ერთი სიტყვით, ვერც თვითონ ედუარდ შევარდნაძემ აგვიხსნა, უფრო სწორად, არ გაგვიმხილა გადადგომის ნამდვილი მიზეზი. ფაქტი ერთია, — იგი გადადგა. პოლიტიკისათვის ლირიკა და სანტიმენტალიზმი უცხო სხეულებია. შევარდნაძე მიხვდა, რომ გორბაჩოვმა იგი გასწირა, რომ მის საგარეო საქმეთა მინისტრობას ყაული გაუვიდა. მიხვდა და ლამაზად, ვაჟკაცურად წავიდა. ყველას როდი შესწევს უნარი, გადადგას მსგავსი ნაბიჯი. მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. რიჟკოვიც გვეყოფა. რამდენი შეურაცხყოფა გადაყლაპა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, კაბინეტიდან კი ფეხი არაფრით არ მოიცვალა. ვნებათაღელვამ მაინც თავისი გაიტანა, გულმა უმტყუნა და... თანამდებობას სამარცხვინოდ დაემშვიდობა.

რისი იმედი ჰქონდა ან აქვს შევარდნაძეს გადადგომის შემდეგ?

თითქმის არაფრის.

იგი ელცინი როდი გახლავთ, განთავისუფლების შემდეგ თავის ქვეყანაში რომ კვლავ აღზევდა. შევარდნაძე უცხო კაცი იყო რუსეთისათვის. ამიტომაც, გარკვეული პოლიტიკური ქარტეხილები რომ დატრიალდეს, არა მგონია, იგი ვინმეს გაახსენდეს.

მაინც გადადგა.

იქნებ თავისთვის გაიანალიზა, რომ სხვის სამშობლოში კარიერის მაქსიმუმს უკვე მიაღწია, და, როგორც ქართველ კაცს, მეტის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა? ბუნებრივია, მიხვდა, რომ სტალინის მაგალითი, სრულიად გარკვეული მიზეზების გამო, არ გამოადგებოდა. გადადგა იმიტომ, რომ შეენარჩუნებინა თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკური სახე და გადაერჩინა თავისი რეპუტაცია, გაემართლებინა ის იმიჯი, მისი პიროვნების ირგვლივ რომ შექმნა მსოფლიოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, რას წერს ნიუ-იორკის გაზეთი „ნოვოე რუსსკოე სლოვო“: „ამ დემარშით მინისტრმა არამარტო გამორიცხა მისი „წუნარად“ განთავისუფლება, არამედ შეინარჩუნა დამოუკიდებელი და გორბაჩოვის გავლენებისაგან თავისუფალი პოლიტიკური სახე. ყველასათვის გასაგებია, რომ მემარცხენეების კოალიციის ყოველი კომბინაციისას შევარდნაძე პირველი ხომერი ფიგურა იქნება. ყოველი სხვა კომბინაციისას ედუარდ შევარდნაძემ თვითონაც მშვენივრად იცის, რომ მისი საქმე დამთავრებულია“.

მემარცხენეთა კოალიციაზე, ალბათ, კიდევ მოგვიწევს საუბარი. პირადად მე ედუარდ შევარდნაძე მიმაჩნია ორმოქმედებიანი დრამის ერთ-ერთ მთავარ გმირად, მეორე მთავარი გმირისგან განსხვავებით, პირველსავე მოქმედებაში რომ „კლავენ“, და ფარდის დახურვისთანავე გასახდელში რომ გარბის, იცვამს, აღარ ელოდება მეორე მოქმედების არამცთუ დასრულებას, დაწყებასაც კი და შინ მიდის.

შესაძლოა მეორე ვარიანტიც. ედუარდ შევარდნაძე ბაკატინი როდი იყო, იოლად გაეწირათ. არ შეიძლებოდა არ გაეთვალისწინებიათ მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებში მისი დიდი ავტორიტეტი, და, როგორც გორბაჩოვმა განაცხადა, თურმე იგი შევარდნაძის ვიცე-პრეზიდენტობასაც ფიქრობდა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ყველაზე კარგად უწყოდა, რომ მას აღარ დატოვებდნენ საგარეო საქმეთა სათავესთან, თუმცა ისეთ თანამდებობას კი მისცემდნენ, მეორე ეშელონში რომ მაინც მდგარიყო. შევარდნაძემ ეს არ ისურვა. კიდევ ვიმეორებ, მან მშვენივრად იცოდა, რომ ამ გადადგომით მთავრდებოდა მისი დიდი კარიერა, მაგრამ ისიც მშვენივრად იცოდა, რომ ისეთი გადადგომა კიდევ უფრო გაზრდიდა მსოფლიოში მის წონასა და ავტორიტეტს, მის პოპულარობას.

იქნებ იგი, როგორც პიროვნება, მართლა აალევა დემოკრატიის ბედმა? რატომ უნდა გამოვრიცხოთ შესაძლებლობა, რომ ედუარდ შევარდნაძის გადაწყვეტილება მორალური მიზეზებით იყო განპირობებული? მოახლოებული დიქტატურის პირობებში ხომ წყალში იყრებოდა მთელი მისი დიდი მცდელობანი და მსოფლიოს დემოკრატიზაციის პერიოდში მისი დიდი პოლიტიკური ღონისძიებანი? და მან გადაწყვიტა, პირადი კეთილდღეობა ენაცვალებინა იმ იდეებისათვის, რომელთა განხორციელებასაც ხუთი წელი მოანდომა, რათა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში შეენარჩუნებინა პრინციპული დემოკრატის, დაუღალავი მოღვაწისა და საბჭოთა დიპლომატიის რეფორმატორის სახელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, აღარ დაიწერებოდა ასეთი სიტყვები: „მე ვთვლი, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამდვილად გაგვიმართლა. გორბაჩოვს არ უმტყუნა ინტუიციამ. საბჭოთა დიპლომატიის ისტორიაში ე. ა. შევარდნაძე დაიკავებს ადგილს გ. ვ. ჩიჩერინისა და მ. მ. ლიტვინოვის გვერდით“. (ა. ბოვინი, „იზვესტია“, [illegible] წ.).

დიახ, იქნებ [illegible] ვარიანტი უფრო ახლოა სიმართლესთან, [illegible] შევარდნაძის გადადგომის ჭეშმარიტ მიზეზებს რომ ვეძიებთ?!

ეტყობა, ჩემნაირი აზრები სხვებსაც ბევრს დაბადებია. აი, რას ეკითხება „სოვეტსკაია ესტონიას“ კორესპონდენტი ვ. ივანოვი პოლიტოლოგ პროფესორს ი. ბესტუჟევ-ლადას:

„— თქვენ ხომ ვერ ხედავთ, რომ შევარდნაძის გადაწყვეტილებაში შეგნებულად თუ გაუთვითცნობიერებლად არის მცდელობა, გაეერთიანებინა პოლიტიკა და მორალი?“

„— არა, — გადაჭრით პასუხობს პროფესორი, — მე ვფიქრობ, რომ ასეთ დონეზე არ შეიძლება საკითხი ასე დავაყენოთ. ეს პოლიტოლოგიის საკითხია. არ ვიცი... ვფიქრობ, რომ ამ დონეზე მ ო რ ა ლ ი ა ღ ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს (ხაზი ჩემია, გ. ფ.). ისინი პოლიტიკოსები არიან, იქ მორალს რა ხელი აქვს?! ასეთ შემთხვევაში მეგობრობაც და მორალიც ძალიან შორს გადადიან, უკანა პლანზე.

— მე შეკითხვის დასმისას ვგულისხმობდი მინისტრის საქციელის წმინდა ადამიანურ მხარეს. სურვილს, გადაერჩინა თავი დამამცირებელი გადაყენებისაგან. განა ეს არაფერს გვეუბნება მინისტრის სურვილზე — შეინარჩუნოს პირადი ღირსება და საკუთარი გაგება პიროვნების ღირსებისა?!

— ამ საკითხში გეთანხმებით... მაგრამ ეგ მორალი არაა, ეგ უფრო პირადი საქმე გახლავთ. მას არ უნდოდა ისე დაემცირებინათ, ბაკატინი რომ დაამცირეს...“

ბუნებრივია, შევარდნაძის გონებაში გაიელვებდა მესამე ვარიანტიც. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს რომ შეუნარჩუნებდა, საკმარისი იყო, მასაც ისე შეეცვალა მოქმედების მიმართულება, გორბაჩოვმა რომ შეცვალა, საკმარისი იყო, მასაც გადაედგა ორიოდე ნაბიჯი სამხედროებისაკენ და ვინ იცის, საქმე როგორ წარიმართებოდა.

სხვათა შორის, ამის თაობაზე ძალიან საინტერესო აზრი გამოთქვა ამერიკელმა ჟურნალისტმა რ. ფრაგერმა თავის სტატიაში „შევარდნაძის გადადგომა“, რომელიც ნიუ-იორკის გაზეთმა „ნრს.“-მა გამოაქვეყნა, გასული წლის 21 დეკემბრის ნომერში:

„თუ გავიხსენებთ შევარდნაძის წარსულს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი მშვენივრად ჩაეწერებოდა კრემლის ნებისმიერ ხელისუფლებაში, თუნდაც მას დიქტატურის ხასიათი შეეძინა. წესით, კომკავშირს (მან მიაღწია საქართველოს კომკავშირის ცკ-ს პირველი მდივნის პოსტს) და შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურს (იგი მეთაურობდა საქართველოს შსს-ს) შევარდნაძისათვის უნდა მოესპო ყოველგვარი დემოკრატიული ილუზია, იგი უნდა მისჩვეოდა

იმ აზრს, რომ დიქტატურა არცთუ ისე ცუდი რამაა, თუკი, ცხადია, იგი „მშობლიური პარტიის", „მშობლიური მთავრობის", „საყვარელი ბელადისა", ან თუნდაც „პროლეტარიატის" დიქტატურაა.

ოღონდ ესაა, რომ ასაკის მომატებასთან ერთად ადამიანები იცვლებიან. რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ შევარდნაძე შეიცვალა? უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, რაც იგი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, დედამიწის რომელი კუთხე აღარ მოიარა, და თან, ყველაზე ხშირად, ამერიკის შეერთებულ შტატებში უხდებოდა ყოფნა. იქნებ ამ მოგზაურობებმა, ნანახმა და გაგონილმა, შეხვედრებმა და საუბრებმა თავისუფალი სამყაროს არა ერთ და ორ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწესთან ზეგავლენა მოახდინა შევარდნაძეზე? ვინ იცის..."

ვფიქრობ, ძალზე საყურადღებო მოსაზრებაა.

●

პენსიონერები საღამოობით უახლოეს ბაღებში იკრიბებიან ხოლმე. იკრიბებიან ერთხელ ამორჩეულ თუ ამოჩემებულ ადგილზე და იწყება „მოგონებანი გარდასულ დღეთა".

იქნებ მოსკოვში, ლაზარევის შესახვევში ედუარდ შევარდნაძის მიერ გახსნილი ასოციაცია თავისებური „მაღალი დონის" პენსიონერების ბაღია"?!

„ლიტერატურნაია გაზეტას" 11 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში იგი ამბობს:

„მე არასოდეს მქონია სურვილი მეთამაშა რაიმე მნიშვნელოვანი როლი და მით უმეტეს ახლა არა მაქვს ამის პრეტენზია. მაგრამ მე მინდა მთელი ჩემი ძალები, გამოცდილება და ცოდნა მოვახმარო გარდაქმნის, დემოკრატიისა და დემოკრატიული მონაპოვრის გადარჩენის საქმეს. მე შემთხვევით როდი წამოვაყენე ამ ასოციაციის შექმნის იდეა. წესდების მიხედვით ეს დამოუკიდებელი, არასამთავრობო ორგანიზაციაა. მისი მიზანია დაეხმაროს პოზიტიურ პროცესებს, გადაარჩინოს და დაიცვას ახლებური აზროვნება, მისი პრინციპები..."

თუ ეს ასეა, მაშინ, ალბათ, შევარდნაძის ასოციაცია მართლაც „მაღალი დონის პენსიონერთა ბაღი" ყოფილა, მაგრამ არა მგონია, მხოლოდ ამით დაკმაყოფილდეს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი. რამდენად გამოუვა საიდუმლო ჩანაფიქრის განხორციელება, ეს არ ვიცი, თუმცა, მიზანი რომ ნამდვილად უფრო დიდი აქვს, ეჭვი არ მეპარება.

გადადგომის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე ეწვია რომს, ვატიკანს. იგი მიიღო რომის პაპმა ბეიკერმა მოსკოვში საგანგებოდ მოინახულა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან. ინგლისში გამგზავრების წინ მას ასევე საგანგებოდ ესტუმრა და ესაუბრა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ჰარდი. იაპონიის ყველაზე პოპულარული გაზეთის „ასახის" კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა ედუარდ შევარდნაძეს.

ამ ინტერვიუში ერთი რამ არის ფრიად საყურადღებო. ედუარდ შევარდნაძე კვლავ რჩება მიხეილ გორბაჩოვის ერთგულ მეგობრად. კერძოდ, კორესპონდენტის შეკითხვაზე, თქვენი გადადგომის შემდგომ გორბაჩოვი ხომ არ შეცვლილაო, ედუარდ შევარდნაძე პასუხობს: „რამდენადაც მე შემიძლია განვსაჯო, მასში არ მომხდარა რაიმე სერიოზული ცვლილება. იგი კვლავინდებურად მთლიანად დემოკრატიას უჭერს მხარს. მე არ მსურს, რომ იგი სხვანაირი გახდეს და შეიცვალოს მისი მსოფლმხედველობა. სიტუაციის გაუთვალისწინებლად არცერთ ლიდერს არ შეუძლია დამოუკიდებლად იმოქმედოს. კიდევ რა შეიძლება ითქვას ამ შეკითხვაზე? პრობლემის არსია არა პრეზიდენტი, არამედ ის, რომ არ არსებობს დემოკრატიული ძალების მთლიანობა".

მეორეგან იგი ამბობს: „მე არ მიმაჩნია, რომ გორბაჩოვმა მიაღწია თავისი შესაძლებლობების ზღვარს... ოღონდ, როცა გორბაჩოვს უნდა გადადგას რაიმე ნაბიჯი, მას ხელს უშლის დემოკრატიული ბანაკის სისუსტე".

ამ ბოლო დროს საკავშირო პრესიდან ისიც შევიტყეთ, რომ ედუარდ შევარდნაძის სახელი და გვარი შეტანილი ყოფილა იმ ოცდახუთკაციან სიაში, მომავალ არჩევნებში რომ კენჭს უყრიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პოსტზე.

ამ ცნობამ, ბუნებრივია, ახალი და რთული გამოცანის წინაშე დაგვაყენა. რაიმე ახალი და რთული კომბინაცია ხომ არ წამოიწყო ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა? ან რით უნდა ავხსნათ გორბაჩოვისადმი მისი ძველებური ერთგულება? იქნებ მან, კრემლის საქმეებში ნებისმიერ ჩვენთაგანზე კარგად და ღრმად ჩახედულმა კაცმა, უპერსპექტივოდ მიიჩნია ელცინის მისწრაფებანი? იქნებ მას მერე, ელცინის საწინააღმდეგოდ ლიგაჩოვს რომ „კრისტალური პიროვნება" უწოდა და ლამის მუქარით თითი დაუქნია, აღარა აქვს მასთან მისასვლელი პირი? და ბოლოს, რაკი იგი ასე შთამბეჭდავად გადადგა, რაკი მან მსოფლიოს თვალში შეინარჩუნა თავისი დემოკრატიული სახე, თავიდან აიცილა ბალტიისპირეთის სისხლიანი დღეები და მრავალი სამარცხვინო აქტი, უშუალოდ გორბაჩოვის სახელს რომ უკავშირდება, რატომ დებს თავს კვლავ ხაზგასმულად პრეზიდენტის მეგობრობაზე?!

იქნებ მხოლოდ ძველი მეგობრობის ან რაინდობის გამო?

არა მგონია!

თუ ნაწყენი ხარ, და გაქვს კიდეც დიდი და საფუძვლიანი მიზეზი ნაწყენი იყო, ბუნებრივია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაინდმა კაცმა, უნდა სძლიო საკუთარ თავს და ყოფილი მეგობარი არ უნდა ლანძღო.

მაგრამ არც თავგადაკლული ქება ჩაითვლება მაინცდამაინც კარგ ტონად!

პირიქით, ასეთი მოქმედება ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ გორბაჩოვისა და შევარდნაძის ალიანსი კვლავ გრძელდება.

აი, რას ამბობს ამის თაობაზე ე. ლიგაჩოვი იტალიური გაზეთის „სტამპას" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში:

„საეჭვოდ მეჩვენება მისი მეგობრობა გორბაჩოვთან. მან ხომ განაცხადა — დიდი მეგობრები ვართო. თუ მართლა ასეა, მაშინ ძნელია მისი საქციელის ახსნა. შევარდნაძემ ხომ გადადგომის თაობაზე გაკეთებული განცხადებით უდიდესი ვნება მიაყენა პრეზიდენტს, ვინაიდან ხელის ერთი მოსმით ეჭვქვეშ დააყენა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაც, პერესტროიკაც და მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, დიქტატურა მოდისო".

საყურადღებო სიტყვებია და მით უფრო დამაბნეველია ედუარდ შევარდნაძის შებრუნება გორბაჩოვისაკენ.

სწორია ვითომ შევარდნაძის ორიენტაცია? აგერ, 9 აპრილის, „ნეზავისიმაია გაზეტაში" პირდაპირ წერდნენ, გორბაჩოვს 19 აპრილს, ან უახლოეს დღეებში გადააყენებენ. არ ვიცი, საიდან გამოაქვთ ასეთი დასკვნა უზენაესი საბჭოს დეპუტატებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჯგუფმა „სოიუზმა" უკვე შეაგროვა საკმაო ხელმოწერა გორბაჩოვის გადასაყენებლად.

რაღა დარჩენია იმპერიის პრეზიდენტს? ან უნდა გადადგეს, ან უნდა გახდეს დიქტატორი.

რაღა დარჩენია შევარდნაძეს? გორბაჩოვის გადადგომის შემდეგ იგი სულ მარტო რჩება. გორბაჩოვის გადიქტატორების შემთხვევაში, იგი თავის განცხადებას, რომელმაც „შესძრა მსოფლიო", — დიქტატურა მოდისო, ვერ გადაახტება. მაშ რა აზრი აქვს გადადგომის შემდგომაც გორბაჩოვის ერთგულების ასე საჯაროდ მტკიცებას?! დავიჯეროთ, ამას ვერ გრძნობს და ვერ აანალიზებს ედუარდ შევარდნაძე?!

რაკი ედუარდ შევარდნაძე კვლავ გორბაჩოვზე იღებს ორიენტაციას, მას ალბათ სჯერა, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ჯერ კიდევ მტკიცედ ზის ტახტზე. ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროით მაინც.

გორბაჩოვი თუ ელცინი? აი, როგორ სვამენ პოლიტიკოსები საკითხს დღეს.

ძალზე საინტერესო და განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა ამის თაობაზე ოლეგ პოპტოვმა: „პრეზიდენტის" ხსნაა პოლიტიკურ არენაზე ელცინის შენარჩუნება. ყველაზე დიდი პარადოქსი კი ისაა, რომ იგი უნდა შეინარჩუნოს არა სიმბოლურად, არამედ ფიგურად, რომელსაც აქვს გარკვეული რეალური ძალაუფლება". („მოსკოვსკიე ნოვოსტი", 31.III.91).

— რატომ? — შეიძლება შეეჭვდეს მკითხველი.

იმიტომ, რომ რეაქციული ძალები კიდევ უფრო მეტი გამწარებით ებრძვიან ელცინს, ებრძვიან, რადგან გრძნობენ და ხედავენ, რომ მას თითქმის მთელი რუსეთი უჭერს მხარს. ან, როგორც ოლეგ პოპტოვი წერს: „მათ უნდათ გაანადგურონ ელცინი, რადგან იგი არის ფიგურა, რომელიც, ასე თუ ისე, აერთიანებს დემოკრატიულ მიმდინარეობათა უმრავლესობას. პრეზიდენტი კი (მ. გორბაჩოვი. გ. ფ.) მათ სჭირდებათ როგორც ტარანი. აი, ამიტომ ითმენენ ისინი გორბაჩოვს გენერალური მდივნის პოსტზე. ელცინი, მისი გუნდი და „ეგრეთწოდებული დემოკრატები" მემარჯვენეებს აიძულებენ ძირითადი ძალები ამ ფრონტისაკენ წარმართონ. დაამხობენ რა ისინი ელცინს, პრეზიდენტი შვებულებაში წასვლასაც კი ვეღარ გაბედავს".

მით უმეტეს, გორბაჩოვი არ დაკარგავს ედუარდ შევარდნაძეს, რომელსაც, როგორც უკვე ვთქვით, პირი აქვს შერცხვენილი ბორის ელცინთან. უფრო მეტიც, მსოფლიოში თავისი დიდი ავტორიტეტის გამო შევარდნაძეს გარკვეულწილად შეუძლია პრეზიდენტს დროდადრო პირი მოჰბანოს და მისი დაბლა დაქანებული რეიტინგი გარკვეულ დონეზე გარკვეული დროით მაინც შეაჩეროს.

ბუნებრივია, ამ მისიას შევარდნაძე მაშინ უფრო მასშტაბურად და ეფექტურად განახორციელებს, თუ მას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივნად აირჩევენ.

მაშ რატომ არ უნდა სცადონ ბედი?

რატომ არ უნდა გააგორონ კამათელი?

●

ალბათ ყველას გახსოვთ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ცხრა აპრილის ტრაგედიის შემდეგ. მან იქ ხაზგასმულად, დაუფარავი სიამაყით განაცხადა, რომ იგი ახლა სულ სხვა პიროვნებაა, რომ საერთაშორისო ასპარეზზე და უმაღლეს დონეებზე მოღვაწეობამ იგი სულ სხვა აზროვნებისა და მასშტაბების ადამიანად აქცია. არც თავისი ძალებისა და შესაძლებლობების დემონსტრაცია დავიწყებია, — ჩემი ერთი სიტყვაც საკმარისია, თბილისში რომ საგანგებო წესები გავაუქმოო.

გამჭრიახი კაცი ბრძანდება ბატონი ედუარდი. დარწმუნებული ვარ, პირველი წუთებიდანვე შეიგრძნო, რა ცივად შეხვდა ქართველი ხალხი. ყოველმა შემდგომმა შეხვედრამ, მჯერა, კიდევ უფრო განუმტკიცა პირველი შთაბეჭდილება. მიხვდა, საქართველოსთვის ის აღარ იყო ქართველი კაცი. ქართველი ხალხისთვის ის იყო დიდი, მაგრამ საძირკველშერყეული იმპერიის წარმომადგენელი. თუმცა, განა თვითონვე კი არ იცოდა მშვენივრად, იგი იმპერიის სამსახურ-

ში მაშინ კი არ ჩადგა, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი რომ ჩაიბარა, იმ დღიდანვე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად რომ აირჩიეს.

მჯერა, ამ მძიმე დღეებში აუცილებლად გაახსენდებოდა თავისი მოღვაწეობის ის პერიოდი, როცა ქართველ ერს იგი მართლაც გულწრფელად უყვარდა.

ღირდა კი ამ სიყვარულის დაკარგვა?

1991 წლის მარტი.

## მინაწერი 11 ივნისს

ამ რამდენიმე დღის წინ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ლოს-ანჯელესის ქალაქის საბჭოში განაცხადა: „მე მდგომარეობას ვაფასებ შემდეგნაირად: ჩვენ დაგვრჩა სამი ან ოთხი თვე. თუ ამ ხნის მანძილზე ვერ დავძლევთ წინააღმდეგობებს, შესაძლოა ქვეყანაში გამანადგურებელი დიქტატურა დამყარდეს" („საქ. რესპ." 28.V.91).

ვფიქრობ, მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ე. შევარდნაძემ კიდევ ერთი მაშველი რგოლი გადაუგდო გორბაჩოვს.

ამერიკელებს ძალზე ეშინიათ, რომ გორბაჩოვის შემდგომ სამხედროები არ მოექცნენ მძიერი გიგანტის — საბჭოეთის სათავეში, ამიტომაც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გორბაჩოვი გადაარჩინონ. თუ ბუშის ბოლო გამოსვლებს გავიხსენებთ, ე. შევარდნაძის განცხადებამ მიზანს მიაღწია. ისიც გავიხსენოთ, რა თქვა ვენაში მიცემულ ინტერვიუში: რსფსრ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში ელცინის გამარჯვება უფრო სასურველია, საერთო ენას ელცინი და გორბაჩოვი უკეთ გამონახავენო.

ორ კურდღელს რომ თავი დავანებოთ, უნდა დავასკვნათ, რომ გორბაჩოვისა და შევარდნაძის ურთიერთობა გაცილებით რთულია, ვიდრე იგი ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათო მაღრაძე

# ისტორიული პარალელები

რუსეთ-საქართველოს შეერთების დღიდან სათავეს იღებს ამ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის ამსახველი, მეტნაკლებად არამართებული მატიანე.

ხინამდვილე კი სხვას ჰღაღადებს...

1801 წელს საქართველომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაკარგა.

1811 წელს ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის თვითმმართველობის ინსტიტუტი. საქართველოს ეკლესიას სათავეში რუსეთის სინოდის განყოფილება — დიკასტერია ჩაუდგა. კათოლიკოსობის ნაცვლად ეგზარქოსის თანამდებობა დააწესეს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II რუსეთში გაიწვიეს.

ზემოჩამოთვლილ ფაქტებს, ჩვენთვის რა სავალალო შედეგები მოჰყვა, საყოველთაოდ ცნობილია და ჩვენც შევეცადეთ გაგვეანალიზებინა ნაშრომში — „რამეთუ ვიყვნეთ ყოველი ერთგვამ"[1].

აღნიშნულ წერილში, იმჟამინდელი საქართველოს სულიერი და პოლიტიკური ვითარების ფონზე, შეძლებისდაგვარად, წარმოვაჩინეთ კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II ცხოვრება და მოღვაწეობა. მისი შეურიგებელი ბრძოლა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის დაბრუნებისათვის, რაც 1917 წელს მისი უწმინდესობისა და მთელი ქართული სამღვდელოების ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა, აღდგა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა. ამავე წლის 17 სექტემბერს მისი უწმინდესობა კირიონი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად იქნა არჩეული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შეერთებისას, როცა ერთი მათგანი სახელმწიფოებრიობას ჰკარგავს, ხოლო მეორე, კერძო შემთხვევაში რუსეთი, რუსიფიკატორული პოლიტიკის მქონე იმპერიაა, მოულოდნელობას არ წარმოადგენს, რომ ამ ქვეყანათა კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის ამსახველი მატიანეც არაობიექტურობის ნიშნითაა აღბეჭდილი.

რუსეთის იმპერიის მიზანი იყო ქართველში ქართული ცნობიერება სამუდამოდ ჩაეკლა. ქართველი ერი, როგორც ეთნოსი, ისტორიიდან გადამენებულიყო, ხოლო მის ნაცვლად აღმოცენებულიყვნენ გარუსებული ადამიანები, რომელთაც ნოსტალგიაც კი არ ექნებოდათ ძველი სამშობლოსი.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ამსახველი მატიანის არაობიექტურობა სწორედ, იმპერიის ზემოაღნიშნულმა მიზანმა განაპირობა.

როცა ადამიანს მამის სულის წართმევას უპირებენ და მამინაცვლის სული უნდათ აჩუქონ, ბუნებრივია, ამ მიზნის მისაღწევად ყოველ ღონეს იხმარენ, რომ მამის ღირსებანი შებღალონ, დააკნინონ და დავიწყებას მისცენ, ხოლო მამინაცვლისა განადიდონ და გაბუქონ ელემენტარული ლოგიკაა: მცირეს და არაღირებულს უფრო ადვილად შეელევა კაცი, რომელსაც სანაცვლოდ ძვირფასსა და დიდს სთავაზობენ.

1898 წლის ნოემბერში ილია ჭავჭავაძე თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორს არქიმანდრიტ სერაფიმს (იაკობ მეშჩერიაკოვს) სწერდა:

«...По всему этому идеи обрусения, понятая в смысле пересоздания и перерождения людей по одному и тому же образу и подобию, в существе своем антирелигиозна, ибо она в этом виде не что иное, как отрицание воли божьей, проявившейся в создании разнообразных племен и народов для своих божественных целей».

ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი და მათი თანამოაზრეები იმპერიას ძალუმ წინააღმდეგობას უწევდნენ და ქართველ ერში მინავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ ეროვნულ თვითშეგნებას კვლავ აღვიძებდნენ.

რუსეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა მკვლევარნი ძირითადად აღნიშნავენ, რა დადებითი კულტურული გავლენა მოახდინა რუსეთმა დაპყრობილ საქართველოზე. ხოლო თუ საქართველოსაც რაიმე სასიკეთო ძვრები შეეძლო გამოეწვია რუსეთის სულიერ ცხოვრებაში, მეცნიერულ-ლიტერატურული კვლევისას ეს პროცესები იგნორირებულია, უკეთეს შემთხვევაში დაკნინებული.

1921 წელს, როცა რუსეთმა საქართველოს ანექსია განახორციელა და ქართველ ერს ოკუპაციის შედეგად ქედზე კვლავ მონობის უღელი დაედგა, ზემოაღნიშნულ ტენდენციას, რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის სუბიექტურ კვლევას, უფრო ფართო ასპარეზი მიეცა.

პირადი, გათითოკაცებული ინტერესებიდან გამომდინარე, ძლიერთა მაამებლობის პრინციპით, ჩვენი ადგილობრივი ხელისუფლება ამ პროცესს დიდად უწყობდა ხელს.

ერის ხატი — ენა, მამული, სარწმუნოება, რუსეთის მიერ საქართველოში დამცრობილ და შელახულ იქნა.

ქართულ ენას, 1811 წლიდან მოყოლებული, ეკლესიიდან სდევნიდნენ და სასწავლებლებში კრძალავდნენ.

აკაკი, გიმნაზიაში სწავლის პერიოდის აღწერისას, იხსენებს: „...იმ დროს შემოღებული იყო საზოგადოდ თუნუქის ფირფიტა, რომელსაც „მარკას" ეძახდნენ. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩერჩებდნენ ხელში და თანაც გრძელ ფიცარს — სახაზავს დაჰკრავდნენ ხელის გულზე"[2].

ქართველი ყმაწვილების, ცნობიერებიდან მშობლიური ენის დევნით გულგასენილი ილია ვინმე ნათიევს სამართლიანი აღშფოთებით ედავება და ამხელს: „პროსემინარიის პირველს განყოფილებაში თუმცა ქართულს ასწავლიან თურმე, მაგრამ ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ბავშვმა ჩათვლით კითხვისა და ქართულის ასოების ჯღაბნის მეტი არა ისწავლოს-რა[3]".

იმის შესახებ, რუსეთის იმპერიამ როგორ გაანელა ქართველთა ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილის დედაეკლესიისკენ ლტოლვა, ვისაუბრეთ ნაშრომში: „რამეთუ ვიყვნეთ ყოველი ერთგვამ".

იმპერიამ ამ მიზანს მიაღწია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისა და საკათოლიკოსოს გაუქმებით, ეგზარქატის დაწესებით და **ეკლესიაში ქართველთათვის უცხო, რუსული ენის გაბატონების მცდელობით.**

წინა ნაშრომში შეძლებისდაგვარად ვიმსჯელეთ, რომ შეუძლებელია მრევლმა ლიტურგიაში მონაწილეობა მიიღოს, როცა წირვა-ლოცვა მისთვის გაუგებარ ენაზე ტარდება.

შეუძლებელია ეკლესიამ მრევლი მოიზიდოს, მოკრიბოს, სინანულში მოიყვანოს, მისგან აღსარება მოისმინოს, აზიაროს იგი, როცა მისთვის გაუგებარი ენით მეტყველებს.

გერმანელი მკვლევარი კარლ პოლი აღნიშნავს, რომ ქრისტიანულ ეკლესიას ბრძოლა არასდ გამოუცხადებია ადგილობრივი ხალხის სამეტყველო ენისათვის.

წმინდა წერილიდან ვიცით, როდესაც ქრისტემ მოციქულებზე სული წმიდა გარდამოიყვანა, მოციქულებს ქადაგების უნარის გარდა უცხო ენათა ცოდნაც მიენიჭათ, რათა რომელ ქვეყანაშიც უფლის სიტყვის საქადაგებლად მივიდოდნენ, იმ კუთხის შვილთა მშობლიური ენითექადაგათ.

„და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყუად უცხოთა ენითა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყუად" („საქმე წმიდათა მოციქულთა", თავი მე-2, მუხლი მე-4).

ამრიგად ნათელია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, ღვთის სიტყვა ყველა ერს საკუთარ სამშობლოში მშობლიური ენით ექადაგოს.

რუსეთის წმინდა სინოდის მიერ კი „საქმე მოციქულთა" ჩვენში ისე იქნა გააზრებული, როგორც უკვე მოგახსენეთ.

ეკლესიაში „ენის საკითხს" ასე ჩაძიებით მისთვის შევეხეთ, რომ ჩვენი რწმენით, როდესაც ლიტურგიაში მონაწილე ქრისტიანი სულიერად ვერ მონაწილეობს, როცა მისი გული დედაეკლესიის მიმართ მნიშვნელოვნად ცივდება, როცა ღვთიური მადლი და შთაგონება მასში ძალუმი მოზღვავებით ველარ დაივანებს, ასეთი ვითარებისას, ქრისტიანის ნაყოფიერებას არა მარტო კულტურის სფეროში, არამედ ყველა კეთილ საქმეში, ბევრად აღემატება მისი სულიერი პოტენციალი.

მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიამ საქართველოში მნიშვნელოვანწილად მიაღწია სანუკვარ მიზანს — ქართული მართლმადიდებელი ეკლესია „ქვაბავაზაკთად" აქცია, იგი რუსეთის იმპერიის ბიუროკრატიული აპარატის დანამატი გახდა.

ნიკოლოზ დურნოვო — საფუძვლიანი მცოდნე ღვთისმეტყველებისა, განსაკუთრებით საეკლესიო ისტორიისა და კანონმდებლობისა, როგორც კანონისტი ავტორიტეტი არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მართლმადიდებელ სამყაროში, წერდა: „სცნო რა რუსეთის უმაღლესი ძალაუფლება და დადგა რა აღმოსავლეთ საზღვარზე რუსთა ინტერესების დამცველად, ქართველი ხალხი ერთ რამეს მოითხოვდა: ძალმომრეობას ნუ გამოიჩენდნენ იმაზე, რაც მათთვის ყველაზე მეტად ძვირფასია, და, რა თქმა უნდა, რუსებისთვისაც, სახელდობრ: წმინ. და სარწმუნოება, ეკლესია და ენა... **მმართველ სინოდს, გარდა საშინელი გორონებისა და ზიანისა, არაფერი მოუტანია ქართული ეკლესიისათვის.** მისთვის ეს ეკლესია იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარბაროსების ქვეყანა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ყველა საეკლესიო კანონი და დადგენილება, რაც ქართულ ეკლესიას შეეხებოდა, მდინარე მტკვარში ჩაყარეს, ბევრი უძველესი საეკლესიო დოკუმენტი ცეცხლის ალს მისცეს, სხვები პეტერბურგში წაიღეს და სამთავრობო სინოდის დამქაშებმა ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია წაართვეს. დახურეს 25 ეპარქია, რომელთაგან ზოგიერთი საქართველოში ქრისტიანობის შემოღების დასაწყისიდანვე არსებობდა. ე. ი. დაახლოებით 15 საუკუნე. გაანადგურეს ბევრი უძველესი მონასტერი, დაბეჭითებით მოითხოვდნენ, ჩამორთმეოდათ და ხაზინას გადასცემოდა ქართული საეკლესიო მამულები და ქართული ეკლესია იმ სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ ამჟამად 860-ზე მეტი ტაძარი ღვთისმსახურების გარეშეა დარჩენილი"[6]. (ხაზი ჩვენია — დ. მ.).

ნ. ევრეინოვი აღნიშნავდა: „მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის დაცინვად შეიძლება მივიჩნიოთ რასპუტინის მიერ საქართველოს ეგზარქოსად ისეთი ცნობილი მექრთამის, ყოვლად სახელგატეხილი ფსკოველი ალექსის დანიშვნა, რომლის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგაც, მისი მდივანი იძულებული გახდა თავი მოეკლა, რათა პასუხი არ ეგო ეგზარქოსის ფულად დარღვევებზე"[7].

ყოველივე ამის შემდეგ ქართველისათვის ძნელია გულდინჯად გააანალიზოს რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა და საქართველოში რუსული კულტურის ღვაწლის შესახებ მიუკერძოებული დასკვნები გააკეთოს. მაგრამ მეცნიერული ეთიკა მოითხოვს, რომ ისტორია, ობიექტურად იქნას შეფასებულ-გააზრებული.

სამართლიანობის პრინციპის თანახმად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მე-19 საუკუნეში, ქართული კულტურის განვითარების გზები გარკვეულწილად რუსეთზე გადიოდა. ჩვენი ნათქვამის დასტურად კვლავ დიდ ილას დავესესხებით: „...ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აადგმევინოს"[8].

აქვე გვსურს შევნიშნოთ, რომ ილიამ სხვა, დიდი ცივილიზაციის ქვეყანათაგან რუსეთი რაიმე უპირატესი ნიშნით კი არ გამოარჩია, არამედ მხოლოდ იმ მოტივით, რომ ცოდნის გაფართოების მიზნით ქართველთა უცხოეთს გამგზავრება რუსეთში უფრო რეალური იყო, ვიდრე სხვა, მაღალი კულტურის, განვითარებულ ქვეყნებში.

რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის შეფასების საქმეში ჩვენი პოზიცია ასეთია:

მიუხედავად მრავალი უგვანი და შემზარავი საქმისა, რაც რუსეთის იმპერიამ საქართველოში განახორციელა, რუსულმა და რუსეთის გზით ევროპულმა კულტურებმა მრავალი სასიკეთო ბიძგი მისცა ქართველი ერის სულიერ ენერგიას, მაგრამ არც ქართული კულტურის გავლენა რუსეთზე, შემოიფარგლება საქართველოს მთაგორიანი ლანდშაფტით, რომელიც აღაფრთოვანებდა და შთააგონებდა რუს მწერალთა და მოაზროვნეთ.

რუსი მწერლების საქართველოში მოგზაურობას და ქართველ მწერლებთან ურთიერთობას ლიტერატურათმცოდნენი შემდეგნაირად განსაზღვრავდნენ: „პუშკინი და საქართველო", „ლერმონტოვი და საქართველო"; „გორკი და საქართველო" და ასე შემდეგ.

ჩვენი ღრმა რწმენით, როგორ დიდ გენიასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, არ შეიძლება ისეთი სასწორი გამოიძებნოს, რომლის ერთ მხარესაც კონკრეტული პიროვნების გვარ-სახელი დაიდება, ხოლო, მეორე მხრივ, მთელი ერი, თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

ერისა და პიროვნების ურთიერთმიმართების ამგვარად გადაწყვეტა, ვფიქრობთ, აბსურდულია და ერისათვის დამამცირებელი.

რაც შეეხება ჩვენში ქრისტიანული კულტურის თავისუფალ კვლევას, ბოლო ათწლეულების მანძილზე, ათეისტური თვალთახედვის ოფიციოზის მიერ საზოთიროდ იყო მიჩნეული და ამრიგად, მრავალი გარემოებით შეზღუდული გახლდათ.

1910 წელს, თბილისში, რუსულ ენაზე წიგნად დაისტამბა ეპისკოპოს კირიონის ნაშრომი: „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში"[9]. ამ შრომის გათვალისწინებით, შევეცდებით შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ საქართველოსა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ასპარეზი მართლმადიდებლურ სამყაროში და ქართული კულტურის მნიშვნელობა რუსული ქრისტიანული კულტურისათვის.

1902 წელს ეპისკოპოს კირიონს კამენეც-პოდოლსკის ეპარქიის ხელმძღვანელად ნიშნავენ. როგორც ზემოაღნიშნული ნაშრომის წინასიტყვაობიდან ვიტყობთ, სწორედ აქ, სასულიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში პირველწყაროთაგან დაუწყია რუსეთის ისტორიის შესწავლა.

1903 წელს იგი ხერსონში გადაჰყავთ, 1904 წელს ორიოლის ეპარქიაში, 1906-ში სოხუმში,

128
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხოლო 1907 წლის იანვარში კვლავ რუსეთში კოვნოს ეპარქიაში.

ეროვნული თავისუფლებისათვის და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის დაბრუნებისათვის უშეღავათო მებრძოლი ეპისკოპოსი კირიონი 1908-1914 წლებში რეპრესირებულია. ჩამორთმეული აქვს სასულიერო ტიტული და ჟანდარმერიის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

კირიონის ბიოგრაფიიდან ეს არც თუ ისე დალხინებული მონაკვეთი მისთვის გავიხსენეთ, რათა ნათელი ყოფილიყო, მისმა უწმინდესობამ რა რთულ პირობებში ჩაატარა მეცნიერული კვლევა.

კირიონის ნაშრომი „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში" ხუთი ძირითადი თავისაგან შედგება, წინ ავტორისავე წინასიტყვაობა ერთვის. წინათქმაში კირიონი გულდაწყვეტით აღნიშნავს, რომ საკუთარი ნების გაუთვალისწინებლად, მონასტრიდან მონასტერში მისი ესოდენ ხშირი გადაყვან-გადმოყვანის გამო, მრავალი საინტერესო მეცნიერული ესკიზი დაიკარგა, რომელთაც ასახვა ვერ ჰპოვეს აღნიშნულ ნაშრომში.

მისი უწმიდესობა დანაკარგთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობის ორ ფრაგმენტს გამოჰყოფს. ესენია: 1) ქართული ხუროთმოძღვრების გავლენა რუსულ საეკლესიო არქიტექტურაზე. 2) ქართული საეკლესიო-სალვთისმსახურებო წიგნის ჟამნი — გულანის ანალოგიით შექმნილი რუსული დავითნი. რუსული ვარიანტი რომ ქართულის ანალოგიით არის შექმნილი, ამის დასასაბუთებლად ავტორი აღნიშნავს, რომ უკვე მე-10 საუკუნეში ქართულ საეკლესიო წიგნში — „ჟამნი-გულანში" გაერთიანებული იყო ჟამნი (ლოცვათა კრებული — დ. მ.) და დავითნი (ფსალმუნთა წიგნი, ებრაელთა მეფის დავითის მიერ შეთხზული საგალობლები — დ. მ.) ამ მოვლენამ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში ადექვატურად იჩინა თავი, ხოლო ბერძნული ქრისტიანული კულტურა, რომელსაც შეეძლო გავლენა ჰქონოდა რუსეთზე, ასეთ ფაქტს არ იცნობს.

წინათქმაშივე ეპისკოპოსი კირიონი, სახარებელი რჩევათათვის და საჭირო მეცნიერული თხზულებებით მომარაგებისათვის დიდ მადლობას სწირავს რუსულ მატიანეთა მკვლევარს, აკადემიკოს ალექსი ალექსანდრეს ძე შახმატოვს.

აგრეთვე მადლობას სწირავს ხარკოვის უნივერსიტეტის კანდიდატს ივანე პროხორენკოს, რომელიც ავტორს მეტად საჭირო მეცნიერულ წყაროებს აწვდიდა.

როგორც ისტორიიდანაა ცნობილი, მე-10 საუკუნეში კიევის რუსეთში ქრისტიანული მოძღვრება სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

თავდაპირველად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია კონსტანტინოპოლის პატრიარქს ემორჩილებოდა. ხოლო მე-11 საუკუნის შუა წლებში, კერძოდ 1051 წელს, მთავარმა იაროსლავმა შეძლო რუსეთის ქრისტიანული ეკლესია რუსი მიტროპოლიტის ილარიონისათვის დაექვემდებარებინა[10].

რუს მკვლევართა ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილი სარწმუნოდ მიიჩნევს, რომ ამ ხანებში რუსეთი ბიზანტიის კულტურის ძალუმ გავლენას განიცდიდა და არაფერს ამბობენ საქართველოს შესახებ, რომელიც ამ დროისათვის ძლევამოსილ ქრისტიანულ სახელმწიფოს წარმოადგენდა და ტერიტორიული თვალსაზრისით რუსეთთან ბიზანტიაზე გაცილებით ახლოს იყო.

ამ საკითხთან დაკავშირებით, რუსულ მეცნიერულ საზოგადოებრიობაში განსხვავებულივარაუდიც არსებობს. მაგალითად, პროფ. პ. ნ. მილიუკოვი თვლის, რომ ბიზანტიის კულტურის გავლენა მე-15 საუკუნემდე უღონო რჩებოდა[11].

ეპ. კირიონი ამ უკანასკნელ მოსაზრებას უფრო სარწმუნოდ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ რუსეთი, ამ ხანებში (მე-11-14 სს.) ქართულ ქრისტიანულ კულტურას იყო მჭიდროდ ნაზიარები.

ჩვენი აზრით, მე-15 საუკუნემდე ბიზანტიის ქრისტიანულ კულტურას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა რუსეთის კულტურაზე. ხოლო რაც შეეხება საქართველოს, ქართული კულტურა, ბიზანტიის ქრისტიანულ კულტურასთან ერთად მნიშვნელოვანწილად ასაზრდოებდა სლავების და კერძოდ რუსეთის სულიერ ენერგიას.

ჩვენი მსჯელობა რომ უფრო დამაჯერებელი გახდეს, ამისათვის საქართველო-რუსეთს შორის არა მარტო კულტურული კავშირების განსჯაგაანალიზებაა აუცილებელი, არამედ წმინდა ისტორიული ხასიათის ფაქტობრივ მონაცემთა მოხმობაც, რომელთა მიხედვითაც, ზემოაღნიშნულ ეპოქაში დასტურდება საქართველო-რუსეთის კონტაქტ-ურთიერთობანი.

პროფ. როინ მეტრეველი შენიშნავს, რომ „საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის სათავე უხსოვარ დროშია ჩაკარგული. ამ ორი ძველი ხალხის ნაცნობობა სულ ცოტა ათ საუკუნეს მაინც მოითვლის"[12].

„...ქართული ნარატიული წყაროების უძველესი ცნობები, — განაგრძობს მეცნიერი — რუს-ვარანგებისა და ქართველების კონტაქტის შესახებ მეთერთმეტე საუკუნეს განეკუთვნება (სუმბატ დავითისძის თხზულება „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა" და უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისა")".

რ. მეტრეველის აღნიშნული მეცნიერული ნაშრომი — „და მოვიდეს ვარანგნი", ჩვენთვის საჭირო მრავალ საგულისხმო ცნობას შეიცავს.

ზემოხსენებული გამოკვლევიდან ვახდენთ რამდენიმე ფრაგმენტის ციტირებას:

„ამ რამდენიმე წლის წინ ირანის ხელნაწერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ფონდებში მაგალი თოდუამ მიაკვლია და შემდეგ (1978 წ.) გამოაქვეყნა (თარგმანითურთ და სათანადო მეცნიერული კომენტარით) კიდეც მე-12-18 საუკუნეების ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმოწერა მახლობელი აღმოსავლეთის სულთნებთან. ამ მიმოწერაში საყურადღებოა ქართველ მეფეთა ტიტულატურები, რომლითაც მათ მუსლიმანი მფლობელები მოიხსენიებენ. აი, ზოგიერთი მათგანი. მეფე დავითისადმი გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „...ქრისტეს მოწაფეთა გვირგვინისა; ტახტთა და გვირგვინთა მემკვიდრეობით მპყრობელისა; აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოსის ქრისტეს სარწმუნოების მცველისა; აბხაზის, შაქის, ალანისა რუსის მეფეთა-მეფისა" და ა. შ. იგივე ადრესატისადმი სხვა წერილში ვკითხულობთ: „...აბხაზის მეფეთა მეფის, რუმისა და რუსის მარზბანის; ქრისტეს სარწმუნოების შემწის (დღეგრძელიმც ჰყოს ალაჰმა მეუფება მისი და მარადი ჰყოს სამეფო მისი)..." ან კიდევ. „...ქვეყანათა მფარველი: გურჯის, აბხაზის, ალანის, შაქისა და ხაზარის მეფეთა მეფე..."

ქვემოთ მეცნიერი განაგრძობს: „...ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს წერილების ადრესატის რუსის მეფეთ-მეფედ მოხსენიება, ან რუსის მარზბანად. ან კიდევ ხაზარის მეფეთა მეფედ მოხსენიება. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, აქ „ხაზარი" ჩანს, „რუსის ბადალი, ამის დადგენა ქართული წყაროებითაც ხაზარეთის-ყოფილი ტერიტორია თამარის პირველი ისტორიკოსის („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი") მიერ რუსეთად არის მიჩნეული. „ქართლის ცხოვრების" სხვადასხვა ნუსხებში (დადიანისეული, მაჩაბლისეული, ფალავანდიშვილისეული და სხვ.) იქ სადაც ხაზარეთზეა ლაპარაკი არშიაზე, პირდაპირ წერია: „ხაზარეთი რუსეთიაო" (იხ. ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 11)".

უფრო ქვემოდ რ. მეტრეველი გვთავაზობს ქართველი მეფის ტიტულატურაში „რუსის" მოხსენიების ახსნას: „ეს რუსი მოწყვეტილი იყო პირვანდელ საცხოვრისს და ჩრდილოეთიდან უშუალოდ ემეზობლებოდა მაშინდელ საქართველოს. როგორც ჩანს ეს ერთეული ბაგრატიონთა სამეფო სახლის გავლენის ქვეშ მოქცეულა მეთორმეტე საუკუნეში, რაც თავის მხრივ ქართველ მეფეთა ტიტულატურაშიც ასახულია".

მავანს რომ ეჭვი არ აღეძრას „რუსისა" და „ვარანგის" სინონიმობაზე, პროფ. რ. მეტრეველი ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგ განმარტებას გვაწვდის: „მეცხრე-მეათე საუკუნე-ების რუს-ვარანგებისა და საერთოდ აღმოსავლეთ სლავების შესახებ საინტერესო ცნობებს ავრცელებენ არაბი ისტორიკოსებიც. ერთი სიტყვით, მეათე საუკუნეში ქართველთათვის „რუსი" გარკვეული ცნება იყო, რუსები კი ნაცნობი ხალხი. „რუსის" ბადალი ტერმინებია ქართულ მატიანეებსა თუ საბუთებში მოხსენებული „ვარიანგი" (ვარიაგი) და „სკვითი" ქართული წყაროები იცნობენ ტერმინ „სკლავ"-საც (სლავი). ეს ტერმინი ზოგ შემთხვევაში „ბორღალთან" (ბულგარელი) არის გაიგივებული.

ზემოაღნიშნულ ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევის 82-ე გვერდზე ვკითხულობთ: „კიევის მთავარი (საუბარია რუსთა და ქართველთა ურთიერთობაში მეტად ნიშანდობლივ მოვლენაზე — დინასტიურ ქორწინებებზე, კერძოდ 1154 წელს კიევის მთავრის იზიასლავ მსტისლავის ძის მსტისლავისა და ქართველთა მეფის ასულის შეუღლებაზე, რასაც ადასტურებს იპატის მატიანე) საეკლესიო საკითხის გადაწყვეტას ერთმორწმუნე საქართველოსთან და მის ავტოკეფალურ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირში ხედავდა (ო. ეუფუნაძე)".

მეტად საგულისხმოა, მე-11 საუკუნეში ბაგრატ მეოთხესა და კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბაღვაშს შორის მომხდარი კონფლიქტი. საგულისხმოა ჩვენთვის იმ მხრივაც, რომ ბაგრატ მეოთხეს, „მატიანე ქართლისას" ცნობით, ბრძოლაში მხარს უმაგრებდა სამი ათასი ვარანგი. „და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი, და დააყენა ბაშს; გარდამოიტანა თანა შვიდასი კაცი. და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა: და ამათ ვარანგთა, მესხნი ვერღარა მოილოდინეს, მოვიდეს. და შეიბნეს თავსა სასირეთისა ჴალისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი, და ომსა მასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი. მისთანა. ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა..."[12]

ბატონი როინ მეტრეველის ხსენებულ გამოკვლევიდან გთავაზობთ კიდევ ერთ, ჩვენთვის საგულისხმო ცნობის ციტირებას: „...რუსებსა და ქართველებს შორის გარკვეული ურთიერთობა შემდგომ ხანაშიც იყო და, როგორც ჩანს, მეთორმეტე საუკუნის დასაწყისიდან უფრო გაიზარდა. აქ ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ მეჩვიდმეტე საუკუნის ერთ ცნობას, რომელიც დაცულია ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის შვილის პავლე ალეპოელის (მას ეკუთვნის „საქართველოს აღწერილობა", რომელიც სათანადო კომენტარებით და გამოკვლევით გამოსცა ნ. ასათიანმა (თხზულებაში, რუსეთის (სადაც ხანგრძლივი დროის მანძილზე იმყოფებოდნენ მაკარიოსი და პავლე) სამეფო ადმინისტრაციის დავალებით პავლე ალეპოელს შეუსრულებია „საქართველოს აღწერილობა" და საიდუმლო საგანგიოსთვის მიუწოდებია. „აღწერილობაში" არა მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოზეა ლაპარაკი, არამედ მისი წარსულიცაა მოცემული, კერძოდ, როცა გელათის საეპისკოპოზეა საუბარი, აღნიშნულია:

«...Монастырь чудный... Такого мона-

ეროვნული ბიბლიოთეკა

стыря и такой церкви не есть ни одно подобно им... Создал Давид царь грузинский, яго же пишут ветхие книги, сю обитель Егда нечестивый хотема пленети Грузию и тогда царь Давид приде в Русию и поклонился и вопросы помощи и давали ему великую силу и пошол изгна нечестивых от мести своего и свободи от них».

ვფიქრობთ, სამართლიანად არის გამოთქმული მოსაზრება (ნ. ასათიანი) რომ ამ ცნობაში შეიძლება იგულისხმებოდეს დავით აღმაშენებელსა (1089-1125 წწ.) და ვლადიმერ მონომახს (1113-1125 წწ.) შორის პოლიტიკური ურთიერთობის აღნუსხვა და დაკავშირებული იყოს საქართველოში ყივჩაღთა გადმოსახლებასთან.

1106-1107 წლებში რუსი მოგზაური დანიელი იერუსალიმში იმყოფებოდა და იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის შესახებ წერდა:

«...и по среди града того создана есть церкви, велика и верх, во имя честного креста, исписана есть добре вся... и то есть монастырь Иверский».

ზემოთ ციტირებულის შესახებ, როგორც ელ. მეტრეველი შენიშნავს, „უნდა ვიფიქროთ, რომ მონასტერი ამ წლისათვის თავიდან კი არ მოხატულა, არამედ გაცხოველებულა მონასტრის შეკეთებასთან ერთად, ხოლო თავდაპირველად ის უნდა მოხატულიყო მონასტრის აშენების დროს (1060 წლისთვის).

ამრიგად, ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, შევეცადეთ, დავპირისპირებოდით საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ შექმნილ სტერეოტიპულ წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც ეს ურთიერთობა მეთხუთმეტე საუკუნემდე იმდენად კნინი და უმნიშვნელოა, რომ მხოლოდ თამარის ეპოქის ფრაგმენტული, ეპიზოდური ხასიათის ნაცნობობით შემოიფარგლება.

ჩვენს მიერ მოხმობილი, ციტირებული და ჩამოთვლილი ისტორიული ხასიათის არგუმენტაციაც კმარა იმის ნათელსაყოფად, რომ, ქართული რენესანსის ხანაში, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა არ ყოფილა იმგვარად უმნიშვნელო და შეზღუდული, როგორც თანამედროვე ფართო საზოგადოებრივ ცნობიერებაში იყო დამკვიდრებული.

ვიდრე საქართველო-რუსეთს შორის კულტურულ კავშირ-ურთიერთობებს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, შეძლებისდაგვარად თვალი გავადევნოთ ქართული ქრისტიანული კულტურის იმ მონაკვეთს, რომლის ქრონოლოგიური არტახები, ქრისტეშობიდან მოყოლებული, რუსეთში ქრისტიანული რელიგიის აყვავების ხანა იქნება.

საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომი ქვეყანაა ამის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს: „რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლადწმიდასა ღმრთისმშობელსა წილად ხვდა მოქცევად ქვეყანა საქართველოისა და ჩვენებით ეჩვენა მას ძე მისი, უფალი ჩვენი და რქვა: „ჰოი, დედაო, ჩემო, არა უგულებელვყო ერი იგი საზეპყრო შენი ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხვედრებულსა და თანაწარატანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს და შენ წინა ხატი იგი მკვიდრობდეს მცველად მათდა უკუნისამდე ჟამთა“.

უფლის გამოცხადება და მის ზემოთხსენებული სიტყვა სრულიად ადასტურებს, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა ქრისტიანულ სამყაროში ეს წმინდა გადმოცემის კანონიკურობის ძალითაა ნიშანდებული.

წმინდა გადმოცემათა კანონიკურობა მანაც განაპირობა, რომ წმინდა წერილმა ვერ დაიტია მაცხოვრის საქმენი და სასწაულნი. ამის შესახებ იოანე მახარებელი ამბობს: „და არიან სხუანიცა მრავალ, რომელ ქმნა იესო, რომელნი, თუმცა დაიწერებოდეს თითოეულად, არცაღა ვჰგონებ, ვითარმცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები... ამინ (სახარება იოანესი, თავი 21, მუხლი 25).

1989 წლის საქართველოს საეკლესიო კალენდარში შეტანილია 1911 წელს გამოცემული სახელმძღვანელო, მართლმადიდებელ ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად. კალენდრის 110 გვერდზე ვკითხულობთ: „საღმრთო გადმოცემას ისეთივე მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, როგორც საერთო წერილს...“

საღვთო გადმოცემათა შესახებ წმინდა ბასილი დიდი ამბობს: „ეკლესიაში დაცულ დოგმატებისა და ქადაგებათაგან, ზოგი გვაქვს წერილობითი მოძღვრების სახით, ხოლო მივიღეთ მოციქულებრივი გადმოცემიდან, საიდუმლოში მემკვიდრეობითი გადმოცემით. ერთსაც და მეორესაც ერთი და იგივე ძალა აქვს კეთილმსახურებისთვის და ამას ვერავინ შეეწინააღმდეგება, თუნდაც მცირედგარკვეული იყოს საეკლესიო წესდებულებებში...“ (ვრცელი ქრისტიანული კატეხიზმო, კანონ. 87, სულიწმიდის შესახებ, თავი 27).

დედა ღვთისმშობელს, თავის წილხვდომილ მიწაზე, უფლის სიტყვა თავად უნდა ექადაგა, მაგრამ რადგან გაპრიელ მთავარანგელოზისაგან ეუწყა, რომ მოახლოებული იყო მისი მიძინების ჟამი, შემდეგ კი თავად უფალმა ამცნო ვისთვის უნდა დაეკისრებინა ქადაგების წმინდა მისია, დედა ღვთისამ საქართველოში ანდრია პირველწოდებული წარმოაგზავნა და თვისი ხელთუქმნელი ხატიც მას მიანდო.

ზემოხსენებულის შესახებ დეკანოზი მამა არჩილი (მინდიაშვილი) წერს: „ქართულ ენაზე ამეტყველდა დედა ღვთისა, წმინდა მოციქულები — ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი და მატათა, რამეთუ სულმა უბიწო ქალწულს ივერია აკუთვნა განსანათლებლად. მაგრამ რაკი უფლის მახარებელი მთავარანგელოზ გაბრიელისაგან ეუწყა, რომ მოახლოებულიყო ჟამი მისი მიძინებისა, ანდრია მოციქულს თავისი წილხვედრი საქართველოს ქრისტეს სჯულზე მოქცევა უანდერძა. თან წარმოატანა ხატი თავისი პატიოსანი გამოსახულებით, რომელიც დღეს აწყურის ხატის სახელწოდებითაა ცნობილი"[15]

რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი წმ. მამა სერაფიმ საროველი დიდვის მონასტრის დედებთან საუბრებისას აღნიშნავს, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა.

საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილებაზე გვესაუბრება გ. იოსელიანის მიერ შედგენილი „სალმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა"[16]. 106-ე გვერდზე, მესამე დამატებაში ვკითხულობთ: „სული წმიდის მოფენის შემდეგ მოციქულებმა ქვეყნები გაიყვეს საქადაგებლად. ღვთის-მშობელმა ბრძანა, მეც მომეცით რომელიმე ქვეყანა, ქრისტეს სწავლა მოვფინოო. ყველანი დასთანხმდნენ და წილი მყარეს. წილში ღვთის-მშობელს საქართველო მხვდა. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ქვეყანა ღვთის-მშობლის წილ-ხვდომილ ქვეყანად ითვლება და მის სახელზე მრავალი ეკლესია არის აშენებული ჩვენში".

ამრიგად, ჩვენი სამშობლო რომ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ეს ფაქტი უდიდეს პატივთაგან უპირატესია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის.

ქრისტეს მოძღვრების საქადაგებლად ანდრია პირველწოდებულმა სამჯერ იმგზავრა საქართველოში. მეორე მისიონერული მოგზაურობისას მას თან ახლდნენ მოციქულნი სვიმონ კანანელი და მატათა. სვიმონ კანანელი და მატათა მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულენ და ქართულ მიწაზე ჰპოვეს განსასვენებელი[17].

საქართველოში ქრისტეს მოციქულთა ქადაგების შესახებ მეტად ყურადსაღებ ცნობებს შეიცავს 1057 წლის ანტიოქიის საეკლესიო კრება.

როგორც ცნობილია, 1057 წელს ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე, რომელსაც ანტიოქიის პატრიარქი თევდოსი მეთაურობდა, ძალზე მწვავედ იდგა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების მართებულობას იმ ნიშნით ასაბუთებდნენ, რომ ქრისტეს ათორმეტ მოციქულთაგან უფლის სიტყვა საქართველოში არც ერთ მათგანს არ მოუფენია.

გიორგი მთაწმიდელმა, რომელიც აღნიშნულ კრებაზე ქართული ეკლესიის ინტერესებს იცავდა, მოითხოვა დოკუმენტი, წიგნი „მიმოსვლა ანდრია მოციქულისაი". ხსენებული წიგნიდან კრებას გააცნო რა ხაჭირო ეპიზოდი, სადაც საუბარია საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოგზაურობის შესახებ, მიმართა პატრიარქს: „წმიდაო მეუფეო, შენ იტყუ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთაისა პეტრეს საყდარსა ჰზიო. ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებლისა ნაწილნი ვართ სამწყსონი, და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა მოციქულთაგანი სიმონ ვიტყუ კანანელსა — ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდება. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ. და ვინაიდგან ერთი ღმერთი გვცნობიეს, არღარა უარგვყოფიეს და არ ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი. და ყოველთა უვარის მყოფელთა და მწვალებელთა შევაჩვენებთ და დავსწყევთ. ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ. აწ, უკეთუ ჯერ-არს, დაგუმორჩილენით... წმიდაო მეუფეო, შუენის ესრეთ. წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს დაერჩილოს მწოდებელსა თვისსა ძმასა ანდრეას. და რათა თქუენ დაგვმორჩილნეთ! წმიდაო მეუფეო, რომელნი ეგე ჩუენ უმეცრად და სუბუქად გაუხედავთ და თავნი თქუენნი ბრძენ მძიმე გიყოფიან. იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაი არ იპოებოდა და იოანე, გუთელ ეპისკოპოსი, მცხეთას იკურხთა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა"[18].

ამგვარი საფუძვლიანი, არგუმენტირებული, მართებული და მჭევრმეტყველური პასუხით იხსნა გიორგი მთაწმიდელმა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა XI საუკუნეში.

საქართველოში მოციქულთა ქადაგების შესახებ, არქიმანდრიტი რაფაილი (კარელინი) წერს: „ანდრია პირველწოდებული პირველია მოციქულთაგან, ვინც ქრისტეს გაჰყვა. ის ევანგელეს ქადაგებდა... კოლხეთსა და იბერიაში... მოციქული მატათა, რომელიც წილისყრით თორმეტ მოციქულთა შორის იუდა ისკარიოტელის ნაცვლად აირჩიეს, ქადაგებდა აფხაზეთში, ქრისტიანებად მოაქცია სვანები და მეფე დიოდორე.

...ასევე ქადაგებდნენ საქართველოში მოციქულები სიმონ კანანელი, რომლის საფლავიც ანაკოფიაში (ახალი ათონი) მდებარეობს. მოციქული ბართლომე, რომელმაც ქადაგებით მოვლო სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო, ხოლო ზოგიერთი ცნობით, ეთიოპიაში გამგზავრების წინ კოლხეთში იმოგზაურა ევანგელისტმა მათემ"[19].

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მრავალ თანამედროვე და უწინდელ ცივილიზებულ ქვეყნებში მოციქულებს არ უქადაგიათ. ბევრი ხელმწიფო მოციქულთა ხნორებმა განანათლეს.

ქართველთა შორის კი ათორმეტთაგან სავარაუდოდ ხუთი მოციქული თესდა უფლის სიტყვას.

მოციქულთა ასეთი ლტოლვა ივერიაში, ბუნებრივია, ქრისტიანულ სამყაროში საქართველოს მნიშვნელოვან მისიაზე მიუთითებს და მეტყველებს.

მე-4 საუკუნის დასაწყისში ქრისტეს მოძღვრების მქადაგებლად საქართველოს მოციქულთა სწორი ნინო ევლინება.

არა უგვიანეს 337 წლისა აღმოსავლეთ საქართველოში, იბერიაში ქრისტიანული მოძღვრება სახელმწიფო რელიგიად ცხადდება[22].

მე-5 საუკუნიდან ქართული ეკლესიის სტრუქტურა ცხრასახოვანი სისტემით ხასიათდება, რომელშიც იერარქიულად ყველა პატივის საფეხური პირია წარმოდგენილი.

მე-5 საუკუნეში იქმნება ისეთი დიდი მნიშვნელობის ქართული აგიოგრაფიული ძეგლი, როგორიცაა „წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა".

ისტორიული წყაროები მეტყველებენ მასზედ, რომ ქართველებს მე-6 საუკუნის დასაწყისისათვის დედაენაზე გააჩნიათ სახარება, სამოციქულო, ჟამნი, სამხრისანი, 1, 3, 6, და 9 ჟამნი. ამას მოწმობს პალესტინაში უდიდესი ლავრის დამაარსებლის და შემდგომ წინამძღვრის საბა განწმენდილის „ანდერძი", რომელიც თავის მოწაფეს მელიტეს დაუტოვა.

„ანდერძის" ერთ-ერთ მუხლში წერია: „არც იბერიელებსა და არც ასურებს უფლება არ უნდა ჰქონდეთ თავიანთ ეკლესიებში ჟამის წირვა შეასრულონ; მათ ამ ეკლესიებში შეკრებილთ, ნება ეძლევათ **ᲬᲐᲠᲗᲥᲕᲐᲜ ᲟᲐᲛᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲘᲡᲐᲘ, ᲬᲐᲠᲘᲙᲘᲗᲮᲝᲜ ᲡᲐᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲓᲔᲓᲐᲔᲜᲐᲖᲔ**, ხოლო ამის შემდეგ ისინი უნდა შეიკრიბნენ კათოლიკე ეკლესიაში და ყველა ძმასთან ერთად ეზიარნენ საღმრთოთა, უხრწნელთა და ცხოველმყოფელთა საიდუმლოთა"[23] (ხაზი ჩვენია — დ. მ.).

მე-6 საუკუნიდან ასურელი მამები საქართველოში სამონასტრო, ბერ-მონაზვნურ ცხოვრებას აღორძინებენ.

ქართულ ორიგინალურ ჰიმნოგრაფიულ შემოქმედებას, როგორც კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, უმწვერვალეს განვითარებამდე მე-10 საუკუნეში მიუღწევია მიქელ მოდრეკილის ხელქვეით[24].

სხვა უდიდესი მნიშვნელობის ძეგლებზე რომ აღარა ვთქვათ, ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების სადიდებლად მერვე-მეცხრე საუკუნეებში დაარსებულ-აღდგენილი კლარჯეთის „თორმეტი სავანე" იკმარებდა. როგორც პავლე ინგოროყვა აღნიშნავს: „კლარჯეთის ამ თორმეტ სავანეთა მხარეს ძველ ქართულ წყაროებში მიემართება სახელწოდება საქართველოს „სინაი" (სინას მთა)[25].

წმინდა გადმოცემის მიხედვით, რომელსაც ქართული მატიანეც ადასტურებს, საქართველოში, სადაც სვეტიცხოველია აღმართული, ინახება კვართი უფლისა[26].

„ქართლის ცხოვრება" ამის შესახებ გვამცნობს: ხოლო წარვიდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი ურიანი და აღათ მოიღეს კუართი უფლისა მცხეთას"[27].

ამ ფაქტთან დაკავშირებით ქართულ საეკლესიო სადღესასწაულო წიგნში 181-ე გვერდზე ვკითხულობთ: „...ვითარმედ კუართსა ზედა ჩემსა განიგდეს წილი, ხოლო წილიგდეს რა მხუდა იგი ელიოზს ურიასა მცხეთელსა, და მოიღო ქართლად. და დედაკაცმან ასულმან მისმან სცნა რა გამოსული ხელითა თვისითა, და აჰა, ის ქუეყანა განიპო და გულსა შინა მქმუნვარეთ მიწასა შინა შთაინთქა, სადაც იგი ხელნიცა ილიასი ნამდვილევე დამარხულ-იყო". აქ საუბარია, აგრეთვე, წმინდა ელიას მოსასხამზე, რომელიც ასევე საქართველოს მიწა-წყალზე მდებარეობს.

საქართველოს მთიულეთის მიუვალ ციხესიმაგრეში ინახებოდა გოლგოთის ჯვრის განივი ფიცარი, რომელიც მე-4 საუკუნეში იმპერატორმა კონსტანტინემ საქართველოს უსახსოვრა[28].

საქართველოში დაცულ უდიდეს სალოცავთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რელიქვიაა იოანე ნათლისმცემლის წმინდა სხეულის ნაწილები[29].

საქართველოს ზეცა დაჰყურებდა იოანე ოქროპირისა და მაქსიმე აღმსარებლის წმინდა ცხედრებს (მაქსიმე აღმსარებლის სამარხი ახლაც საქართველოშია სავარაუდოდ, დღევანდელ ცაგერის რაიონში, ძველ მურის ხიდთან ახლოს).

მაცხოვრისადმი როგორი ერთგულებით გამოირჩეოდა ქართველი ერი, ამის წარმოსადგენად 1226 წელს მომხდარი ფაქტიც იკმარებდა, როდესაც ჯალალ ედ-დინმა ჯვარი დასდო მტკვრის ნაპირას და ასი ათას ქართველს სხვა არჩევანი არ დაუტოვა — ან ღვთის გმობა, ან სიკვდილი. ასი ათასიდან არავინ დათმო სჯული ჭეშმარიტი[30].

ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიაში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უცხოეთში ქართველ მამათა მისიონერულ მოღვაწეობას. ეპისკოპოსი კირიონი თავის ნაშრომში „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში", ქართველ მისიონერთა ღვაწლზე მკითხველისათვის მცირეოდენი წარმოდგენის შესაქმნელად, ქართველ მისიონერ მამათაგან რამდენიმეს გამოჰყოფს. ესენია: წმ. პეტრე ივერი; თეოდულე საბაწმინდელი; ახალი პეტრე ივერი; სელევკიის ეპისკოპოსი, საკვირველი მთის განდეგილი, მამა ანტონი; წმ. იოანე მოსხი; ბიზანტიის პატრიარქი გერმან III (1266-1267); ილარიონ ქართველი; მიქაელ პრესვიტერი, მოწესეთ მოციქული; ცნობილი ისიხას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი — მესვეტელი საბა ქალდი; წმ. გიორგი ნიკომოდიელი; მაღალღირსი მამა იოანე ივერი; მაღალღირსი მამა თორნიკე (ბერობაში იოანე); მაღალღირსი მამა გაბრიელ ხატისმიმრქმელი; მამა თეოფილე მიტროპოლიტი კილიკიის ტარსისა; მამა ექვთიმე ალიორიტ-მთაწმიდელი; გიორგი მთაწმიდელი; ეფრემ მცირე; ეფრემ დიდი.

ქართველებს ადრეული ხანიდანვე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან. როგორც პროფ. ლევან მენაბდე აღნიშნავს, ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის ბევრი უდაბნო ქართველ მოღვაწეთა საიმედო თავშესაფრად იქცა. ჩვენმა წინაპრებმა უკვე მე-4-5 საუკუნეებში მიაშურეს ამ ქვეყნების სავანეებს.

ეგვიპტეში უკვე მე-5 საუკუნეში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე ევაგრე პონტოელი, ხოლო მე-6 საუკუნეში იქაურ უდაბნოში ქართული ბაზილიკაც აშენდა.

კიდევ უფრო მრავლად ჩანან ქართველები პალესტინაში (იერუსალიმსა და მის ახლოს არსებულ სავანეებში) სინის მთაზე, შავ მთაზე (სირიაში).

მე-9 საუკუნიდან კი ქართველებმა გეზი დასავლეთისაკენ აიღეს და ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაციას შეუდგნენ.

დედათა სავანეებში (კაპათა, დერტავი, დერთუფა) ქართველი ილუმენნი მოღვაწეობდნენ.

ბიზანტია მე-9-10 საუკუნეებში ქრისტიანული მწერლობის ცენტრად იქცა[31].

1088 წელს ბულგარეთში ბიზანტიის იმპერიის დასავლეთის დომესტიკოსმა გრიგოლ ბაკურიანისძემ პეტრიწონის ქართულ მონასტერთან ერთად, მონასტერშივე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში შესანიშნავი სემინარია დააარსა.

საქართველოს პეტრიწონის სკოლის ტრადიციებით საზრდოობდა და მის იდეებს აგრძელებდა დავით მე-4 აღმაშენებლის მიერ ამავე ხანებში დაარსებული გელათის მონასტერი.

კორნელი კეკელიძე შენიშნავს, რომ „გარდა გელათისა, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში, როდესაც საქართველომ თავისი პოლიტიკურ-კულტურული ზრდა-განვითარების უმწვერვალეს წერტილს მიაღწია, სკოლები იქმნებოდა სხვა პუნქტსა და კუთხეშიაც. მაგალითად, უმაღლესი აკადემია იყო აგრეთვე იყალთოში, არსენ იყალთოელის დაარსებული და, გადმოცემით გრემშიც[32].

მე-9-12 საუკუნეებში, ქართული რენესანსი დაგვირგვინდა იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის და სხვა დიდ მამათა თეოლოგიურ-ფილოსოფიური ნააზრევითა და შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსანით“.

ეპისკოპოსი კირიონი მე-9-12 საუკუნეებში ქართული ქრისტიანული კულტურის მნიშვნელობას შემდეგი სიტყვებით განსაზღვრავს: „ქართული ეკლესიის ისტორიაში მეცხრე-მეთორმეტე საუკუნეები ითვლება საქართველოს რელიგიურ-სულიერი აღორძინების ოქროს ხანად“[33].

მისი უწმინდესობა აქვე დასძენს, რომ როგორც ისტორიული წყაროები მეტყველებენ, რელიგიურ-მოქალაქეობრივი თვალსაზრისით, რუსეთი ამ ხანებში განვითარების ძალზე დაბალ საფეხურზე იმყოფებოდა. ნათქვამის დასადასტურებლად კირიონ II, თავად რუს მემატიანეს იმოწმებს, რომელიც, ზემოაღნიშნულ ეპოქაში, საკუთარ წინაპართა ინტერესების შესახებ შემდეგს გადმოგვცემს.

«...живяху, по его свидетельству, звериским образом, живуще скотски... живяху в лесах»[34].

ჯერ კიდევ ვლადიმირის დროს, — განაგრძობს ეპ. კირიონი, კერპებს მსხვერპლად სწირავდნენ ადამიანებს[35].

ეპ. კირიონი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართული ეკლესია-მონასტრების კულტურულ-განმანათლებლურ მისიას, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ქრისტიანულ სამყაროში, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი ავტორიტეტის გამოხატულებაა საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ორმოცდაათამდე მნიშვნელოვანი ქართული ეკლესია-მონასტრის არსებობა.

ქართული ეკლესია-მონასტრები, ქრისტიანული თვალსაზრისით, ისეთ წმინდა ადგილებზე ფუნქციონირებდნენ, როგორიცაა იერუსალიმი, კონსტანტინოპოლი, ათონის მთა, სინას მთა, შავი მთა და სხვა.

ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს გარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები ყველგან ავტონომიურ მმართველობას ინარჩუნებდნენ.

ქრისტიანულ სამყაროში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პატივისა და მაღალი ავტორიტეტის საილუსტრაციოდ, ეპ. კირიონი, ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით გადმოგვცემს მეტად საგულისხმო მომენტს ქრისტიანულ მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიიდან.

მე-8 საუკუნეში, იოანე გუთელი, რომელიც გუთეთის ეპისკოპოსად იქნა არჩეული, კურთხევისათვის კონსტანტინოპოლს გაემგზავრა. კონსტანტინოპოლში, იხილა რა საეკლესიო განხეთქილებანი, გადაწყვიტა, რომ ხელდასხმა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისაგან მიეღო. შემდგომ, ქართლის კათოლიკოსმა იოანემ, სვეტიცხოვლის ტაძარში იოანე გუთელი ეპისკოპოსად აკურთხა[36].

ამ ფაქტის ისტორიული თარიღი მე-8 საუკუნის პირველი ნახევარით უნდა განისაზღვროს, რადგან იოანე გუთელი, ეპისკოპოსის ხარისხში, გუთეთის ეპარქიას მე-8 საუკუნის შუა წლებში განაგებდა[37].

ზემოაღნიშნული ცნობის (ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში იოანე გუთელის ხიროტონიის შესახებ) მართებულობის გასამყარებლად

ეპისკოპოსი კირიონი კიდევ ორ დოკუმენტს იშველიებს: 1) ათონის ივერთა მონასტრის იღუმენმა, ცნობილმა ქართველმა სასულიერო მწერალმა გიორგი მთაწმინდელმა, ანტიოქიის პატრიარქთან, თეოდოსისთან პაექრობისას, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკურობის დასამტკიცებლად სხვა მნიშვნელოვან არგუმენტებთან ერთად, თეოდოს მესამეს ზემოთქმულზეც მიუთითა და დაუმატა, რომ მასვე ადასტურებსო ჩვენი და თქვენი დიდი სვინაქსარი[38]. 2) ხერსონში, ძველი საეკლესიო ძეგლების გათხრებისას აღმოჩნდა ფილა ბერძნული წარწერით. წარწერის შინაარსი შემდეგია: „გუთეთის მართლმადიდებელი მოსახლეობა, 750 წელს, მოძღვრად ირჩევს ღირს მამა იოანეს და აგზავნის ივერის საპატრიარქო საკურთხეველთან, სადაც იგი ეპისკოპოსად ხელდასხმული ინარჩუნებს ხელშეუხებელ საეკლესიო დოგმატს და ჭეშმარიტ სარწმუნოებას"[39]. ეს წარწერა, აღნიშნავს კირიონ II, აღნიშნულ ფაქტს სრულიად ადასტურებს.

იოანე გუთელის სვეტიცხოველში (საუბარია ვახტანგ გორგასალის მიერ მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში აშენებულ სვეტიცხოვლის ტაძარზე) კურთხევის შესახებ მეტყველებს ქართული საეკლესიო სადღესასწაულო წიგნის სვეტიცხოვლობის დღესასწაულის სვინაქსარი. „...ყოველი საქართველო ამის ეკლესიისაგან მიიღებდნენ კურთხევასა მეფენი ცხებით და მღვდელმთავარნი კურთხევით, არა მხოლოდ ქართველნი, არამედ რაოდენნიმე საბერძნეთითაცა მოიწეოდეს მართლმადიდებლობისათვის ქართველთასა, ვითარ იგი ნეტარი იოანე გუთელ ეპისკოპოსიცა მოიწია მიღებად კურთხევისა, წინაშე სვეტისა ღვთაებისა ბრწყინვალისა, რომლისა ძლიერებითა გარე შეიცევ ერი შენი შემოვედრებული შენდა"[40].

იოანე გუთელი, მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრების ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ და გარდაცვალების შემდეგ წმინდანად იქნა შერაცხული.

ეპისკოპოსი კირიონი, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ძლევამოსილებისა და საყოველთაო აღიარების წარმოსაჩენად გადმოგვცემს მე-6-7 საუკუნეების ჟამთააღმწერლის, პროკოფი კესარიელის ცნობას ქართული ეკლესიის შესახებ.

იუსტინიანე პირველის კარის ისტორიკოსი, იმპერატორ იუსტინიანეს სარდლის — ველისარიუსის პირადი მდივანი პროკოფი კესარიელი წერს, რომ ქართველი ქრისტიანენი, მიუხედავად სპარსთა მეფეთა ძალადობისა, ქრისტიანთა შორის ყველაზე მტკიცედ და მკაცრად იცავენ წმინდა დადგენილებებს[41].

ჩვენს მიერ ზემოთ მოხმობილი მცირერიცხოვანი არგუმენტაციიდანაც ნათლად ჩანს, საქართველოს სულიერი აღორძინების უმწვერვალეს ხანამდე და მით უფრო რენესანსის ეპოქაში (9-12), როგორი აღმატებული პატივით სარგებლობდა ქრისტიანულ სამყაროში ქართული სამოციქულო ეკლესია.

რუს მკვლევართა და მეცნიერთა დიდად მნიშვნელოვანი, მრავალრიცხოვანი ნაწილის აზრით, კონსტანტინოპოლის დაცემის დღიდან ქრისტიანულ აღმოსავლეთში ბიზანტია რუსეთმა შეცვალა. ქრისტიანობის პოლიტიკურმა ცენტრმა კონსტანტინოპოლიდან მოსკოვში გადმოინაცვლა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ნათლად რომ წარმოჩნდეს რუსი მკვლევარების უპოქმანო პოზიცია, ეპ. კირიონი, თავის ნაშრომში ზემოაღნიშნული ხასიათის განცხადებათა ციტირებას ახდენს.

პროფ. ე. ფ. შმურლო აღნიშნავს, რომ იცქირებოდნენ რა ირგვლივ მაშინდელი (მე-18 ს.) რუსები, მზისქვეშეთში ვერ ხედავდნენ ისეთ ერსა და სახელმწიფოს, როგორსაც მოსკოვის სახელმწიფო წარმოადგენდა, რომელსაც ღირსეულად უნდა ეტარებინა ქრისტიანობის დამცველის ალამი[42].

დიდი რუსი თეოლოგი და ფილოსოფოსი ვლადიმერ სერგეის ძე სოლოვიოვი წერს, რომ მე-15 საუკუნეში, კონსტანტინოპოლის დაცემასთან და რუსეთის თათართა უღლიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით, ქრისტიანული აღმოსავლეთის პოლიტიკურმა ცენტრმა ბიზანტიიდან მოსკოვში გადმოინაცვლა[43].

მიმოიხილავს რა ამავე ეპოქას, საეკლესიო ისტორიკოსი მიტროპოლიტი მაკარი ამბობს: „რუსეთის ხელმწიფე იყო ერთადერთი სრულიად დამოუკიდებელი მართლმადიდებელი გვირგვინოსანი მთელს დედამიწაზე"[44].

ეპ. კირიონი ითვალისწინებს რუს მეცნიერთა მსჯელობის კატეგორიულ ხასიათს და აღნიშნავს, რომ ისტორიული სინამდვილე და ფაქტები სრულიად სხვას ბლალადებენ.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით კირიონ II აანალიზებს იმჟამინდელი რუსეთის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას და ახკვნის, რომ ამ ეპოქის რუსთა მეფეებს, არც ივანე III-ს, არც ივანე მეოთხე-მრისხანეს და არც სხვათა, პრეტენზიის საფუძველი არ გააჩნდათ ქრისტიანული სამყაროსათვის, გნებავთ ქრისტიანული აღმოსავლეთისათვის თავისი სახელმწიფო მნიშვნელობით მეორე ბიზანტიად წარმოედგინათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეპისკოპოს კირიონის პოზიციას თავისებურად ეხმიანება დიდი რუსი მოაზროვნე ნიკოლოზ ბერდიაევი. რუსეთის მესიანისტური მისიისა და განსაკუთრებულობის შესახებ იგი წერს: „რუსული ნაციონალური აზროვნება რუსეთის ღვთისრჩეულობის შეგრძნებით საზრდოობდა. ამის მიზეზი გახლავთ ძველი იდეა, მოსკოვის მესამე რომად წარმოდგენის შესახებ. ამგვარ

ხასიათის იდეათა რიგს მიეცხო მრავალი სიყალბე და სიცრუე"[45].

ნიკოლოზ ბერდიაევი მე-20 საუკუნის დასაწყისის გადასახედიდან ისიგრძეგანებს რუსეთის ისტორიას და აღნიშნავს: „დიდი რუსეთი კვლავ მსოფლიოსა და ევროპის ცხოვრების მიღმა, განცალკევებულ პროვინციად რჩებოდა. მისი სულიერი ცხოვრება ხასიათდებოდა განკერძოებულობით და კარჩაკეტილობით"[46].

აღნიშნული საკითხისადმი საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად ქვემოთ გაგაცნობთ, ეპ. კირიონის მიერ დამოწმებულ არგუმენტაციას.

ისტორიკოსი ვ. ო. კლიუჩევსკი წერს: „როცა ივანე III ტახტზე ავიდა, არც მოსკოვის ხელისუფალი, ამ სიტყვის პოლიტიკური დატვირთვით, და არც დიდი რუსეთის სახელმწიფო, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, არ არსებობდა. რუსეთის ჩრდილოეთი ნაწილი ამ დროისათვის მოსკოვის სამთავროში არ შედიოდა. რუსეთი იყოფოდა რამდენიმე დიდ სამთავროდ, ხოლო დიდი სამთავროები თავის მხრივ პატარ-პატარა სამთავროებად. ერთ-ერთ ასეთ დიდ სამთავროს წარმოადგენდა მოსკოვის სამთავრო"[47]. ყველაზე ნაკლებად, აღნიშნავს ეპ. კირიონი, ივანე III შეეძლო საკუთარი თავი ქრისტიანული აღმოსავლეთის მცველად წარმოედგინა. მან იქორწინა ბიზანტიის იმპერატორთა შთამომავალ სოფიო თომას ასულზე, რამაც ალბათ საბაბი მისცა პროფ. უსპენსკის, გამოეთქვა მოსაზრება, თითქოს ივანე მესამემ, სოფიო თომას ასულის ძმის — ანდრია პალეოლოგოსისაგან ბიზანტიის სამეფო მემკვიდრეობა იყიდა.

მიუხედავად ივანე მესამის და ანდრია პალეოლოგოსის ახლონათესაური ურთიერთობისა, პროფ. უსპენსკის ვერსია სინამდვილეს მაინც არ ესადაგება, რადგან ანდრია პალეოლოგოსმა ბიზანტიის სამეფო გვირგვინის მემკვიდრეობის უფლება 1494 წელს საფრანგეთის მეფე კარლოს მერვეს მიჰყიდა, ხოლო 1502 წელს, სიკვდილის წინ ესპანეთის მეფე ფერდინანდს უანდერძა[48].

ნაცვლად იმისა, შენიშნავს კირიონ II, ივანე მესამეს საერთო მტრის წინააღმდეგ ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან შეეკრა კავშირი, მან საკუთარი და მისდამი დაქვემდებარებული ერის ენერგია ლიტვის დიდ მთავარ ალექსანდრესთან ბრძოლას შეალია. ამ ბრძოლამ კი შუა საუკუნეებში, ქრისტიანობას ზიანის მეტი არა მოუტანა რა. პოლონეთის მეფე ალბრეხტი და უნგრეთის მეფე ვლადისლავი დაჟინებით მოითხოვდნენ ხსენებული ომის შეწყვეტას და წერდნენ, რომ „ამ ომს დიდი ზიანი მოაქვს მთელი საქრისტიანოსათვის"[49].

ივანე მესამეს მოკრძალებული თაყვანისცემა უხდებოდა მენგლი-გირეისათვის (მენგლი-გირეი გახლდათ ყირიმის სახანოს დამაარსებლის ჰაჯი-გირეის ძე, ივანე მესამის მეფობის წლებში ყირიმის ხანი). აგრეთვე ივანე მესამე იძულებული იყო, როგორც ეპ. კირიონი შენიშნავს, მენგლი-გირეის მითითებანი გაეთვალისწინებინა.

მისი უწმინდესობა კირიონი კიდევ მრავალ ისტორიულ გარემოებას ახასიათებს, რომელთა მიხედვითაც მეფე-ქალაქ კონსტანტინოპოლის დაცემის ეპოქაში, რუსეთი ბიზანტიის შემცვლელის როლში ვერ მოგვევლინებოდა. ამ საკითხზე უფრო ვრცლად აღარ ვისაუბრებთ, მხოლოდ ერთ ფრაგმენტს შევეხებით კირიონ მეორის ნაშრომიდან.

როდესაც რუსთა მეფე ალექსეი მიხეილის ძემ (1645-1676) სიგელში საკუთარი თავი აღმოსავლეთის მბრძანებლად მოიხსენია, ყირიმის ხანმა მეჰმედ-გირეიმ 1657 წელს მას მისწერა შემდეგი:

**«В вашей грамоте написано не попрежнему. Восточной и западной северной страны отчим и дедич, наследник и обладатель. Таких непристойных титулов предки ваши не писывали: где Москва, где восток, где запад? Между востоком и западом мало ли великих государей и государств; можно было это знать и не писаваться всей вселенной отчимом, дедичем и облодателем; так лживо и непристойно писать непригоже»**[50].

1458 წელს მეფე-ქალაქი კონსტანტინოპოლი დაეცა. დაეცა ბიზანტიის ძლევამოსილი იმპერია, რომელიც მრავალი მნიშვნელობით საქრისტიანოს საყრდენს წარმოადგენდა.

მისი უწმინდესობა კირიონი აღნიშნავდა, რომ ბიზანტიის იმპერიის დაცემამდე ასწლეულებით ადრე საქართველო ხმლით ხელში იბრძოდა ქრისტეს სჯულისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის წმინდა მიწების დასაცავად, ხოლო მეფექალაქის დაცემის ხანებში და შემდეგ მართლმადიდებლური აღმსარებლობის წმინდად შენახვის და ქრისტიანული აღმოსავლეთის წმინდა ადგილების დაცვის საქმეში ბიზანტიის ერთ-ერთი ძირითადი მემკვიდრე გახლდათ.

პალესტინის ბერ-მონაზვნობის ისტორია მეტყველებს მასზედ, რომ ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეში, დევნილ მართლმადიდებელთა დასახმარებლად ქართველები მოვიდნენ და დიდებული ლავრის დაცვისას ჯეროვანი დახმარება გაუწიეს ოტებულთ[52].

მათთვის, ვინც მეცხრე-მეთორმეტე და შუა საუკუნეების მართლმადიდებლობის ისტორიას დაკვირვებით გასცნობია, ნათელია, რომ დავით აღმაშენებლის, მეფე თამარის, გიორგი ბრწყინვალის ეპოქებში, ქართველ ერს ლომის წილი უდევს ქრისტიანული აღმოსავლეთის დაცვისა და მართლმადიდებლური დოგმების ურყევობის და განმტკიცების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ეკლესიის ავტორიტეტი ვერც მონღოლთა ურდომ ჩაანავლა.

მე-14 საუკუნეში, 1318-1320 წლებში გიორგი ბრწყინვალის მიერ იერუსალიმში ეგვიპტის სულთანთან გაგზავნილი ელჩების მცდელობის წყალობით ქრისტეს სამარხის კლიტენი ქართველებს გადაეცათ.

ამასვე ადასტურებს უცხოელი მოგზაური ლუდოლფ სუდჰეიმი, რომელიც იერუსალიმში 1331-1341 წლებში ყოფილა. მისი მოგზაურობის ტექსტის ერთ რედაქციაში, რომელიც ნიკოლოზ ჰუდის კომპილაციად ითვლება, ნათქვამია, რომ აღნიშნულ წლებში უფლის სამარხის სალოცავის კლიტე ხელთ ჰქონდათ ქართველებს და რომ ისინი კენჭსაც არავის ატანდნენ ამ სამარხიდან[53].

ხსენებულ თემასთან დაკავშირებით, ე. წ. „გოლგოთის სვინაქსარის" მინაწერში ვკითხულობთ: „ესე უწყოდეთ ყოველთა ქართველთა: ღმრთისაგან, მეფეთაგან, სურტანთაგან მოცემული და ნაბოძვარი აღდგომის სალოცავი ეკლესია და სახლი, სადა არს ადამის თხემი და გოლგოთა. ესე ესრეთ მესმა მამათაგან და დავწერე მახარობელმან. ჯუარისა დასუენებაი კარზე და ყოველთა კვირიაკეთა და დღესასწაულთა ჩუენა"[54].

ნიკო მარი შენიშნავდა, რომ მეთხუთმეტე საუკუნეშიც კი, ქართველთათვის ძალზე პირქუშ ეპოქაში, საქართველოს დიდად აფასებდნენ და მის პოლიტიკურ-სამხედრო მნიშვნელობას აღიარებდნენ ისეთ შორეულ ქვეყნებში, როგორიც ეგვიპტეა[55].

ეგვიპტის სულთანნი, როდესაც ქართველთა მეფეს მიმართავდნენ (საუბარია გიორგი ბრწყინვალეს ეპოქაზე), სხვა მაღალფარდოვან ეპითეტთან ერთად შემდეგნაირად ამკობდნენ და იხსენიებდნენ:

„ქრისტიანობის სახელის გამთქმელნი, საყრდენნი იესოს მოძღვრებისა, მესიანიზმის რაინდთა მირონმცხებელნი, მოღვაწეობით თვისით წმიდათაწმიდა, საღვთო სახლის მადიდებელნი, ნათელღებულთა მცველნი"[56].

ივანე ჯავახიშვილი გვაუწყებს, რომ ელომარის (გარდაიცვ. 1348 წ.), რომლის ნაშრომსაც ემყარება ელ-კალკაშანდის თხრობა, აღნიშნული აქვს ის მიმართვისა და შესხმის წესი, რომლითაც ეგვიპტის სულტნები საქართველოს მეფეს სწერდნენ ხოლმე თავიანთ ეპისტოლეებს. მათი წერილები ყოველთვის ასე იწყებოდა: „დღეგრძელ-ჰყოს ალაჰმა ბრწყინვალე მისი უდიდებულესობისა, ხელმწიფისა სახელგანთქმულისა, მამაცისა, უშიშარისა, ძლიერისა, დაუცხრომლად მებრძოლისა, ლომისა, ტახტგვირგვინის მპყრობელისა, თავის სარწმუნოების მფლობელისა, თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა, ბერძენთა (იგულისხმება მართლმადიდებელ) მეფეთა შორის უკეთესისა, ქართველთა სულტნისა, ზღვათა და სრუტეების სამფლობელოების განძისა, რაინდთა დამცველისა, თავის წინაპართაგან ტახტ-სკიპტრის დამმკვიდრებელისა, [illegible] და ერანის ქვეყნების დამცველისა, [illegible] (ე. ი. ძველ საბერძნეთის მეფეთა) მემკვიდრისა, ასურეთის მეფეთა [illegible] და გვირგვინოსანთა შორის ურჩეულესისა, ქრისტიანთა განმადიდებლისა, იესოს სარწმუნოების საყრდნობისა, ქრისტიან გმირთა ცხებულისა, თვის ბრძანებით წმინდა ადგილთა (ე. ი. იერუსალიმის) განმადიდებლისა, ნათელღებულთა მისაყრდნობისა, რომის პაპის მეშველისა, მუსლიმანთა მეგობრისა, დაახლოვებულ მეგობართა შორის უმშვენიერესისა, მეფეთა და სულტანთა უგულითადესი მეგობრისა"[57]. (ხაზი ყველგან ჩვენია — დ. მ.).

მეთხუთმეტე საუკუნის შუა ხანებში, კონსტანტინოპოლის დაცემის ეპოქაში რომის სასულიერო იერარქიის უმაღლესი წარმომადგენელნი ცდილობდნენ ქრისტიანები თურქთა წინააღმდეგ აემხედრებინათ, რათ მეფე-ქალაქი მაჰმადიანთაგან გაენთავისუფლებინათ. ამ მიზნით, რომის პაპმა პიუს II-ემ (1458-1464) მონაზონი ლუდოვიკ ბოლონსკი აზიაში გაგზავნა. ტრაპიზონის იმპერატორი დავითი, რომელიც იერუსალიმის ხელისუფლებაზე ოცნებობდა, 1458 წლის 22 აპრილს რომის პაპს სწერდა, რომ ქრისტიანული აღმოსავლეთის წმინდა მიწების დასაცავად და მეფე-ქალაქის გასანთავისუფლებლად იგი საბრძოლველად მზად არის. ამ ბრძოლაში კი მისი მოკავშირეები არიან: ქართლის მეფე გიორგი, 60 ათასი ჯარისკაცით, ათაბაგი ყვარყვარე 20 ათასი ცხენოსნით, სამეგრელოს მთავარი დადიანი და მისი ვაჟი, 60 ათასი მეომრით, აფხაზეთის ხელისუფალი და მისი ძმანი 30 ათასი მეომრით. ქართველებთან ერთად იბრძოდნენ ჯიქები, ალანები და მცირე სომხეთის მეფე (თავადი) 10 ათასი მეომრით[58].

როგორც ეპისკოპოსი კირიონი აღნიშნავს, ზემოხსენებული წერილის გარდა ჩვენამდე მოაღწია სხვა წერილმაც რომის პაპისადმი, რომლის ავტორებიც არიან მეფე გიორგი (საუბარია ქართლის მეფე გიორგი მე-8-ზე, რომელიც ქართლში 1446-1464 წლებში მეფობდა, ხოლო 1466 წლიდან კახეთის მეფედ ეკურთხა და გიორგი I-ად იწოდა) და ყვარყვარე ათაბაგი (სამცხის მთავარი ყვარყვარე II ათაბაგი, რომელმაც შუღლის ჩამოვარდნის შემდეგ, 1465 წელს, გიორგი მე-8 ტყვედ ჩაიგდო).

პროფ. ალექსანდრე ცაგარელს ნაშრომში „ქართულ სიძველეთა ძეგლები წმინდა მიწაზე და სინაზე" ციტირებული აქვს უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები, რომელნიც ქართული ეკლესიისა და საქართველოს ავტორიტეტს შეეხება. ამ ჩანაწერებზე მსჯელობისას ეპ. კირიონი სწორედ ზემოხსენებულ წყაროს ეყრდნობა.

ქვემოთ გავეცნობით, საქართველოს მართლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაუიდებელ ეკლესიის შესახებ, თუ რას მეტყველებენ უცხოელ მოგზაურთა მე-15-16 საუკუნეების ჩანაწერები.

ვიდრე ხსენებულ მოგზაურთა შთაბეჭდილებებსა და აღწერილობას მივმართავდეთ, საჭიროდ მიგვიაჩნია დავძინოთ, რომ უცხოელ მოგზაურთ, ბუნებრივია, საქართველოს მიმართ მიკერძოებული მსჯელობის არავითარი საბაბი არ გააჩნდათ და ამდენად, მათი ჩანაწერები ობიექტურობის ნიშნითაა აღბეჭდილი.

1483 წელს იერუსალიმში იმყოფებოდა მოგზაური ბრეიდენბახი, რომელიც გვამცნობს, რომ იერუსალიმში ქართველები მრავლად არიან, ბევრი მათგანი იერუსალიმში ცხოვრობს. ქართველები ძალზე ძლიერი და მამაცი ხალხია და მათ ჰყავთ მრავალრიცხოვანი, ძლევამოსილი არმია, მიუხედავად იმისა, რომ მათი სამშობლო ურჯულოებითაა გარშემორტყმული, ქართველების გალიზიანებას გაურბიან და ერიდებიან არაბები, სპარსელები, ლიდიელები და სირიელებიც.

იერუსალიმში ქართველებს მრავალი სალოცავი აქვთ, ისინი ფლობენ გოლგოთას, სადაც აღმართული იყო ჯვარი, რომელზეც ევნო უფალი. ქართველებს ამ ადგილზე საკურთხეველი გააჩნდათ. ქართველებისაა წმ. ანგელოზის ეკლესია, სადაც ზეთისხილის ბაღიდან ქრისტე პირველად მიიყვანეს.

იერუსალიმში და სხვა წმინდა ადგილებში ქართველები მოდიან ჯგუფებად, ცისკენ შემართული დროშებით და ყოველგვარი გადასახადისგან თავისუფალნი არიან. მასიურ მსვლელობებში კეთილშობილური წარმოშობის მანდილოსნებიც მონაწილეობენ, რომელნიც ამორძალთა მსგავსად იარაღს ატარებენ[59].

იერუსალიმის ოსმალთა მიერ დაპყრობიდან სამი წლის შემდეგ, 1519 წელს იერუსალიმი მოგზაურმა ჩუდიმ მოინახულა, რომლის აღწერილობანიც ქართველთა მოღვაწეობის შესახებ თითქმის ანალოგიურია ბრეიდენბახისა.

ჩუდის დამატებით ცნობათაგან ძალზე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უფლის სამარხის ეკლესიაში ქართველი მღვდლები და ბერმონაზვნები დროის ნებისმიერ მონაკვეთში მოღვაწეობენ[60].

1522 წელს იერუსალიმში იმოგზაურა ბართლომეო დე-სოლინიაკმა (ივ. ჯავახიშვილის ცნობით სოლინიეგომ), რომელიც ქართული ეკლესიის მაღალი ავტორიტეტის შესახებ ზემოხსენებულთა ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის. მისი სიტყვით, ქართველები, თავისუფალნი ყოველგვარი ბეგარა-გადასახადისაგან, ცხენებზე და აქლემებზე ამხედრებულნი, ცაში აშვერილი დროშებით ზარზეიმით შედიან იერუსალიმში, სულთანებსა და თურქებს მათი ძალზე ეშინიათ[61].

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ქართველთა მაშინდელი (15 ს.) მდგომარეობა და კავშირ-ურთიერთობათა ხასიათი უცხო ქვეყნებთან მიმართებაში, კარგად არის აღბეჭდილი დასავლეთ ევროპის იმდროინდელ მოგზაურთა თხზულებებში და იქიდან ირკვევა, რომ „ამ ხანაში, ისეთ შორეულ ქვეყნებშიც, როგორიც საქართველოსთვის ეგვიპტე და პალესტინა იყო, ქართველებს პატივისცემით ეპყრობოდნენ და ყველა ის უპირატესობანი, რომელნიც კი მათ წინა ჰქონდათ, შეუნარჩუნებიათ"[62].

„დაცულია იმდროინდელი არაბული საბუთიც, — განაგრძობს ივანე ჯავახიშვილი, — რომლითაც ეგვიპტის მამლუკებს განკარგულება ჰქონდათ გაცემული და ქართველთ იერუსალიმის ჯვრის უზრუნველსაყოფად საგანგებო არაბი მოხელე იყო დანიშნული, ის ვალდებული იყო საქართველოდან მომავალ მლოცავებს ალაბშივე (ალეპოში) დახვედროდა, იქიდან იერუსალიმამდის მიეცილებინა და უკან გაბრუნებისას ისევ ნავთსადგურამდის გამოჰყოლოდა.

მე-15 საუკუნის მერე, უკვე სომხური ცნობაც მოგვეპოვება, რომელშიც ქართველთა პოლიტიკური გავლენის მთელი ძალა აგრეთვე ნათლად მოჩანს".

დაბოლოს ივანე ჯავახიშვილი ასკვნის: „სახელმწიფოებრივი ძლიერების ძველი მარაგის მდიდარმა მემკვიდრეობამ და ქართველი ხალხის განთქმულმა მამაცობამ საქართველოს პოლიტიკური დაკნინების ხანაშიც მას საერთაშორისო ურთიერთობაში წინანდელი ადგილი და პატივისცემა შეუნარჩუნა" (ხაზი ჩვენია — დ. მ.).

ამრიგად, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ნათელი სურათი იქმნება მის შესახებ, რომ ბიზანტიის დაცემის ეპოქაში, ქრისტიანობის პოლიტიკურ ცენტრს კონსტანტინოპოლიდან მოსკოვში მაშინათვე არ გადმოუნაცვლებია, ეს პროცესი თანდათანობით ხორციელდებოდა და საბოლოო შედეგს მიაღწია თუ ვერა, განსჯის ცალკე თემაა, ერთი კი ცხადია, კონსტანტინოპოლის დაცემის ხანაში რუსეთი არ გვევლინება ბიზანტიის ერთადერთ მემკვიდრედ, უკეთეს შემთხვევაში, რუსეთი, ბიზანტიის ტრადიციათა ერთ-ერთ და არა ერთადერთ გამგრძელებლად შეიძლება ჩაითვალოს.

რაც შეეხება საქართველოს, მეფე-ქალაქის დაცემამდე და დაცემის ეპოქაშიც, მართლმადიდებლურ სამყაროში მისი ღვაწლი და მაღალი ავტორიტეტი იმდენად თვალსაჩინოა, რომ მას, იგნორირების ვერანაირი მცდელობა ჩრდილს ვერ მიაყენებს.

ძველი ბერძნული ეკლესიის ტრადიციების გამგრძელებელთა შესახებ მსჯელობისას, გვსურს გავიხსენოთ, ეპისკოპოს კირიონის მიერ საბერძნეთის დედოფალ ოლგა კონსტანტინეს ასულის მისასალმებლად 1901 წელს მცხეთაში, თორმეტ მოციქულთა საპატრიარქო ტაძარში წარმოთქმული ძალზე საგულისხმო სიტყვა: „...ბიზანტიის მაჯისცემა ივერიაში ისმოდა, ხანამ არსებობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბიზანტია. საქართველო ბედნიერად ცხოვრობდა. მისი სახით საიმედო ბურჯი ჰყავდა ქრისტეს ჯვრის მტრებისგან დასაცავად. ბოლოს დადგა საბედისწერო 1453 წელი, და, მთელი ქრისტიანული სამყაროს სავალალოდ, დაეცა ბიზანტია და საქართველო მარტო დარჩა მუსულმანურ ოკეანეში. მან ბიზანტიის იმპერიისაგან ანდერძად მიიღო, დაეცვა წმინდა მიწა და მართლმადიდებლობა. საქართველო ერთადერთი მართლმადიდებელი სამეფო იყო, რომელიც ვრცელ მაჰმადიანურ აზიაში, მარტო დარჩა. ამ ჯვაროსან რაინდთა ქვეყანამ, მიუხედავად იმისა, რომ მაჰმადიანობის რკინის სალტეთი იყო გარშემორტყმული, პირნათლად შეასრულა ბიზანტიის ანდერძი და იარაღასხმულმა დაიცვა უფლის სამარე და მართლმადიდებლობა"...

— შემდგომ, სიტყვის შუა ნაწილში ეპ. კირიონი ამბობს: „საქართველომ უზომო ძალღონით პირველყოფილი სიწმინდითა და შეუხებლობით მე-19 საუკუნის ზღურბლამდე მოიტანა წმინდა მართლმადიდებლური სარწმუნოება და ისტორიული მისიის შემდგომი შესრულება რუსეთის ძლევამოსილ სახელმწიფოს მიანდო, რომელმაც ჩვენთვის საბერძნეთის მაგივრობა გასწია" (ხაზი ყველგან ჩვენია. — დ. მ.).

თუ გავითვალისწინებთ, რუსეთის იმპერიის მიერ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის ხელყოფას და რუსი ეგზარქოსების შემზარავ ქმედებას საქართველოში, ნათელი შეიქნება, რომ ეპ. კირიონის სიტყვიდან ჩვენს მიერ მოხმობილი მონაკვეთის ბოლო ფრაზა არსებული რეალობიდან დიპლომატიური გადახვევაა. სხვა შემთხვევაში, მისი უწმინდესობისათვის ეგზარქატს ამ სიტყვისთვის მადლობა უნდა მოეხსენებინა, მაგრამ მტრებმა შესანიშნავად შენიშნეს, კირიონ ეპისკოპოსის მიერ წარმოთქმული სიტყვის ნამდვილი აზრი და ჭეშმარიტი მიზანი. სწორედ ეს სიტყვა გახდა საბაბი ეპ. კირიონის 1902 წელს რუსეთში გადასახლებისა, რაც დეკანოზ ვოსტორგოვის, როგორც საქართველოს საეგზარქოსოს ადმინისტრატორის მითითებით განხორციელდა.

ძალზე საგულისხმოა, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში, მე-17 საუკუნეში, ნიკონის პატრიარქობის დროს ადგილი ჰქონდა საეკლესიო განხეთქილებას. პატრიარქმა ნიკონმა, როგორც ცნობილია ისტორიიდან, რუსეთის ეკლესიაში საწესჩვეულებო ხასიათის რეფორმები გაატარა, რაც განხეთქილების საბაბი გახდა.

სამღვდელოებისა და მრევლის მნიშვნელოვან ნაწილს რუსეთის მართლმადიდებელი ადგილობრივი ეკლესია მსოფლიო ეკლესიასთან ჰქონდათ გაიგივებული ანუ უცდომელ ეკლესიად წარმოედგინათ. მათ თავი ძველბერძნული ეკლესიის ტრადიციათა გამგრძელებლად მიაჩნდათ და ამრიგად, დაუშვებლად ესახებოდათ ნიკონის საწესჩვეულებო ხასიათის რეფორმების განხორციელება.

რეფორმათა გატარების შემდეგ ისინი არსებულ ეკლესიას განუდგნენ და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მათ „რასკოლნიკებს" და „სტაროობრიადცებს" უწოდებს.

ზემოაღნიშნულ საეკლესიო განხეთქილების დეტალურ განსჯას ჩვენ არ ვაპირებთ, ამ ფაქტის აღნიშვნა მისთვის დაგვჭირდა, რათა თუ საკითხს სულიერ პლანში განვიხილავთ, რუსეთის ეკლესიაში ასეთი განხეთქილების, ანუ ე. წ. „რასკოლის" ეპოქაში, ძნელი წარმოსადგენია, ქრისტიანულ სამყაროში რუსეთს ბიზანტიის მისია ეტვირთა.

გავიხსენოთ, როცა მე-8 საუკუნეში იოანე გუთელი გუთეთის ეპისკოპოსად იქნა არჩეული და კურთხევისათვის კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, კონსტანტინოპოლში იხილა რა საეკლესიო განხეთქილებანი, გადაწყვიტა ხელდასხმა საქართველოში მიეღო.

ამრიგად, თუ საეკლესიო განხეთქილებას ისეთი მნიშვნელობა ენიჭება, რომ თვით კონსტანტინოპოლის ავტორიტეტი შეეძლო საეჭვოდ ექცია, არავითარი გარანტია არ ჰქონდა რუსეთს ე. წ. „რასკოლის" ხანაში მსოფლიო მართლმადიდებლობის წინამძღოლად წარმოჩენილიყო.

აღნიშნულ საეკლესიო განხეთქილებას რომ უზარმაზარი საზიანო მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ეკლესიის ავტორიტეტისათვის, ამასთან დაკავშირებით ძალზე საყურადღებოა ნიკოლოზ დურნოვოს სიტყვები:

„ქართულ ეკლესიას ბევრი რამ აქვს სადიდებელი და საქებარი. რით უნდა იამაყოს ჩვენმა რუსეთის ეკლესიამ?

სტაროობრიადული და მისგან გამომდინარე ბულგარული გათიშვით? იმით ხომ არა, რომ მწყემსმთავრების უთაურობით მთელი რუსეთი მოფენილია სხვადასხვა სექტებით..."[63].

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ქრისტიანული მწერლობის და მთლიანად კულტურის ცენტრს ბიზანტიიდან რუსეთში არ გადმოუნაცვლია.

საგულისხმოა ისიც, რომ „დიდი სჯულისკანონი" რუსებს ქართველების მსგავსად (ქართული თარგმანი არსენ იყალთოელს ეკუთვნის) ბერძნულიდან კი არ უთარგმნიათ, არამედ ლათინურიდანაა შექმნილი[64].

ქართული ქრისტიანული კულტურა, როგორც კირიონ ეპისკოპოსი შენიშნავს, რუსეთისაკენ ძველთაგან, ორი ძირითადი გზით გაედინებოდა. პირველი, — ეს არის ათონის ივერთა მონასტერი და გრიგოლ ბაკურიანის-ძის მიერ ბულგარეთში დაარსებული პეტრიწონის ქართული მონასტერი, რომელნიც დიდ კულტურულსაგანმანათლებლო ცენტრებს წარმოადგენდნენ. ქართული კულტურის რუსეთისაკენ გამდინარე მეორე გზად კირიონ II შავი ზღვის სანაპიროებს სახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნული „მეორე გზის" შესახებ პროფ. ი. ცინცაძე წერს: „...იყო შესაძლებლობა, რომ ქართველები ბიზანტიელების გარეშე მე-10 საუკუნის რუს-ვარანგებს შავი ზღვის საშუალებითაც გაცნობოდნენ[65].

მეათე საუკუნიდან მოყოლებული, შავი ზღვის სანაპიროების მეშვეობით საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მნიშვნელოვნებას ხაზს უსვამს პროფ. როინ მეტრეველიც, ისტორიულ-ფილოლოგიურ გამოკვლევაში „და მოვიდეს ვარანგნი..." რ. მეტრეველი 78-ე გვერდზე წერს: „მეათე საუკუნიდან შავი ზღვის ჩრდილო ნაპირებს რუსები დაეუფლნენ (სწორედ შავი ზღვით ხორციელდებოდა ბიზანტიასთან სავაჭრო ურთიერთობანი). მდ. ყუბანის ქვემო დინებაში შეიქმნა ტმუტარაკანის რუსული სამთავრო, რომელსაც გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან. საგულისხმოა ისიც რომ საქართველო (დასავლეთი) შავი ზღვის სანაპირო მხარეებთან აღებმიცემობას ეწეოდა (მაგალითად ეგრისელებს მარილი ყირიმიდან შემოჰქონდათ) და უეჭველია რუსულ სამთავროებთანაც გარკვეული ურთიერთობა ექნებოდათ".

მე-11 საუკუნის საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის აღწერისას, ივანე ჯავახიშვილი ამბობს: „ისტორიული ცნობების მიხედვით მე-11 საუკუნეში ეს მოსამზღვრე ხაზი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა, სახელდობრ, იმ ადგილას, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი იწყებოდა. მოსამზღვრე ხაზად მდ. ყუბანი! შესართავი და კავკასიის ქედის წვერი ითვლებოდა"[66]. იგივეს მეტყველებს ლეონტი მროველისეული ცნობაც[67].

ამრიგად, დასტურდება, რომ მე-11 საუკუნეში, ქართველთა და რუსთა შორის, ტერიტორიული თვალსაზრისით, ახლომეზობლური ურთიერთობა არსებობდა.

ეპ. კირიონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ტავრიის ნახევარკუნძულზე, ხერსონში (კორსუნში) აღმოჩენილ ტაძრის ნანგრევებს, რომელიც ტავრია-სევასტოპოლის არქიეპისკოპოსის ნიკოლოზის აზრით მე-6 საუკუნეში დააარსეს და აღაშენეს ქართველმა მისიონერებმა.

კირიონ II სავსებით იზიარებს არქიეპისკოპოს ნიკოლოზის ვერსიას და მიიჩნევს, ამ მიწებზე ნახევრად ველურ ტომებში ქართველ მისიონერთა მიერ ქრისტეს სჯულის ქადაგება-გავრცელებას გარკვეული მნიშვნელობა ტავრიის რუსი მოსახლეობისთვისაც ექნებოდა.

ეპ. კირიონი აქვე დასძენს, რომ მეექვსე საუკუნე ქართული სასულიერო კულტურის აღმავლობის ხანაა და ტავრიის ნახევარკუნძულზე ქართული სავანის არსებობა მოულოდნელი არ გახლავთ.

ამ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა ისიც, რომ როგორც აკადემიკოსი ევგენი ევსტიგნეის ძე გოლუბინსკი აღნიშნავს, ბერძნები მისიონერული მოღვაწეობის საქმეში გულმოდგინებით არ გამოირჩეოდნენ[68].

ქრისტიანულ აღმოსავლეთში მისიონერული მოღვაწეობის ნაყოფიერებით კაბადოკიელები ხასიათდებოდნენ. კაბადოკია კი როგორც ისტორიიდანაა ცნობილი ქართველთა ტომებით მრავლად იყო დასახლებული.

პროფ. გიორგი გოზალიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით გვამცნობს: „ჭანები, გარკვევით შეიძლება ითქვას, ძველთაგანვე ყველაზე მრავალრიცხოვანი ტომი იმ ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა შორის, რომელსაც შემდგომში კაბადოკია და პონტო შეარქვეს და რომელიც შეადგენდა ძველ ქართველ ტომთა ადგილებს, მათი განსახლების არეს". გ. გოზალიშვილი აქვე იმოწმებს პროკოფი კესარიელს, რომლის თქმითაც ჭანების ძლიერი და მრავალრიცხოვანი ტომი აქ (კაპადოკიაში — დ. მ.) ძველთაგანვე დამკვიდრებული და თვითთავადი იყო[69].

ჩვენ შევეცდებით კირიონ ეპისკოპოსის ნაშრომიდან ქვემოთ ვიმსჯელოთ მისი უწმინდესობის იმ მოსაზრებებზე და მტკიცებანზე, რომელნიც კირიონ მეორის მეცნიერულ ნააზრევთაგან უფრო მეტად სარწმუნოდ მივიჩნიეთ.

მისი უწმინდესობა კირიონი, საუბრობს რა ათონის ივერთა მონასტრის შესახებ, აღნიშნული ნაშრომის 94-ე გვერდზე წერს: „1074 წლის შესანიშნავი ქართული პერგამენტული ხელნაწერიდან როგორც ირკვევა, ივერთა მონასტერი და მისი მოღვაწენი გულითადი სიყვარულით მასპინძლობდნენ საბერმონაზვნო ცხოვრების შესწავლის მოწადინე მამებს და მათ შორის რუსებსაც".

ვიდრე ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობას განვაგრძობდეთ, ათონის მთის მნიშვნელობაზე და ათონის ივერთა მონასტრის შესახებ გვსურს კიდევ ერთხელ გავიმძაფროთ წარმოდგენა.

იმპერატორი ალექსი კომნენი ათონის მთის მოღვაწე მამებს მიმართავდა: „წმინდა მამანო, ათონის ღვთაებრივი და წმიდა მთის მკვიდრნო! იცოდეთ, ქვეყნად არსებობს კონსტანტინოპოლის მსგავსი ქალაქთა მეუფლე ქალაქი და კიდევ მეტი — ყველა მთაზე მაღალი, უსამეფოესი და ულვთაებრივესი თქვენი მთა, რომელიც ყველა ამქვეყნიურ მთაზე მაღალია. თქვენ კი ხართ ნათლით მოსილნი და მარილნი ამა სოფლისანი. ასე ვფიქრობთ და ასე გვწამს ჩვენ"[70].

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ათონის მთის შესახებ გვმოძღვრის: „ჭეშმარიტად, ათონი იყო და რჩება ქრისტიანული მრწამსის უმაღლეს საზომად ყველა დროისა და ვითარებისა"[71].

რომის იმპერატორ მარკუს ავრელიუსის თქმით, ათონი სამყაროს ჭიპია — უმცირესი მარცვალი სამყაროსი, რომელიც რამდენიმე ათასეული წელია არსებობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქრისტიანი მამანი ათონზე მერვე-მეცხრე საუკუნეებიდან ჩანან.

მე-10 საუკუნის შუა წლებიდან ათონის მთაზე ქართველი ბერებიც მოღვაწეობენ. უცხოელთაგან პირველებმა ქართველმა მოღვაწეებმა 980 წელს ათონის მთაზე მონასტრის მშენებლობა დაიწყეს. მშენებლობა სამ წელიწადს გაგრძელდა და ასე აშენდა ათონის ივერთა ცნობილი მონასტერი — ივერონი.

როგორც გიორგი ათონელი აღნიშნავდა: „ლავრაი დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული".

ათონზე პირველი ქრისტიანული სალოცავი ათანასე ათონელმა აღაშენა. გადმოცემით ათანასე დედით კოლხი ყოფილა და ალბათ ესეც გახდა ერთ-ერთი მიზეზი ათონზე ქართველთა მომრავლებისა. ქართველ მამათა მომრავლებამ კი გამოიწვია საკუთარი სავანის დაარსების აუცილებლობა. მათ ათანასეს ლავრაში დარჩენა აღარ შეეძლოთ და „ლავრისაგან განშორებულად, უდაბნოსა შუენიერსა წმიდასა იოვანე მახარებლისა ეკლესიაი აღაშენეს და სენაკები, და მუნ იყოფოდეს მრავალ ჟამ".

ამ პერიოდში ბიზანტიის უფლისწულებს ბასილისა და კონსტანტინეს აუჯანყდა ბარდა სკლიაროსი. საიმპერატორო კარმა დახმარებისათვის ერთგულ დიდებულებს მიმართა, ხოლო დავით კურაპალატთან — ქართველთა მეფესთან დახმარებისათვის შუამდგომლობა ათონელ ქართველებს სთხოვა. ეს საქმე თორნიკე ერისთავს მიანდეს, რომელიც იმჟამად უკვე ათონზე იმყოფებოდა. დავით კურაპალატმა თორნიკეს სარდლობით 12000 რჩეული მხედარი გაგზავნა ბიზანტიელთა დასახმარებლად. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ახალი სავანის დაარსების უფლება მიიღეს.

ასე შეიქმნა ათონის ივერთა მონასტერი — ივერონი, „დიდი ლავრაი" — გიორგი მცირე, „დიდი ლავრაი ქართველთაი" — ეფრემ ათონელი, „ლავრაი დიდებული" — ზოსიმე მონაზონი[22].

ათონის ივერთა მონასტერი წარმოადგენდა ქართული კულტურის დიდებულ კერას.

ათონის მთისა და ათონის ივერთა მონასტრის ავტორიტეტის გახსენებით შევეცადეთ ცხადგვეყო, რომ ივერთა მონასტერი ისეთ სავანეს წარმოადგენდა, სადაც უცხო ქვეყნებიდან მოსულ მამათაგან მრავალს შეეძლო სამონაზვნო ცხოვრების შესწავლა-დახვეწა, ფართო თეოლოგიური განათლების მიღება, სულიერი ამაღლება.

აღნიშნულ ვერსიასთან დაკავშირებით ენის ბარიერი, ჩვენი რწმენით, შეგვიძლია სრულიად იგნორირება ვყოთ, რადგან სასულიერო პირნი, ქრისტიანულ წერილობით ძეგლებს (წმიდა ოთხთავს, დიდ სჯულისკანონს და სხვ.) ძველ ბერძნულად ეცნობოდნენ და მშობლიური ენაზეც ძირითადად ბერძნულიდან თარგმნიდნენ. ამდენად, ათონის სხვადასხვა ეროვნების მამათა საურთიერთობო ენად ბერძნული უნდა მივიჩნიოთ. ამაზე მეტყველებს უამრავი ისტორიული წყარო.

ახლა კი ისევ ზემოხსენებულ ქართულ პერგამენტს დავუბრუნდეთ.

1074 წლის ათონის ქართული პერგამენტული ხელნაწერით ვიტყობთ, რომ 7 იანვარს დადგენილია იოანე რუს-ყოფილის აღაპი, რომელსაც ათონის ივერთა მონასტრისათვის ხუთი წმინდა-სალვთისმსახურებო წიგნი და სასულიერო ხასიათის თხზულებანი შემოუწირავს.

ეპისკოპოსი კირიონი აღნიშნული ხელნაწერის მიხედვით ასკვნის, რომ რუს მამას, რომლის სახელის ხსენების დღედ ათონის ქართველ მოღვაწეებს 7 იანვარი დაუწესებიათ, ხანგრძლივი დროით უნდა ეცხოვრა ივერთა მონასტერში და სწორედ ამ მიზეზით აიხსნება მისი რუს-ყოფილად მოხსენიება.

მას მერე, რაც მე-10 საუკუნეში კიევის რუსეთში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, ბერმონაზვნული ცხოვრების წესით დაინტერესებულმა, წმინდა ადგილებისაკენ დაძრულმა რუსმა მამებმა უეჭველია, ღვთისმსახურების ყველაზე მაღალ კერას — ათონის მთასაც მიაშურეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული სავანე ათონზე ძალზე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა და ყოველივეს გათვალისწინებით სარწმუნო ხდება ეპ. კირიონის მსჯელობა მის შესახებ, რომ ასკეტობის შესწავლის მოსურნე და ფართო სასულიერო განათლების შეძენის მოწადინე უცხოელ მამათაგან რუსი მამებიც მოღვაწეობდნენ ათონის ივერთა მონასტერში, ან თანამშრომლობდნენ მასთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართულ მეცნიერულ საზოგადოებრიობაში განსხვავებული, საწინააღმდეგო „მოსაზრებაც" არსებობს პროფ. ი. ცინცაძე თვლის, რომ „რუს-ყოფილი" არ გამოხატავს ნაციონალურ წარმომავლობას, არამედ იგი, სასულიერო პირის ყოფილ, საერისკაცო სახელზე მიგვანიშნებს.

ჩვენი მოკრძალებული აზრითაც, „რუს-ყოფილი", უფრო ერისკაცობის სახელის ყოფილად მოხსენიებას უნდა ნიშნავდეს, ამგვარი მაგალითები უხვადაა აღაპთა ნუსხებში.

როდესაც სასულიერო ჩარიცხვში შედგება საერო პირი, მას ძველ სახელს სასულიერო ანუ წმინდანთა სახელით უცვლიან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საერო ცხოვრებისას წმინდანის პატივად ერქვა სახელი. ასე, მაგალითად, იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის სვინაქსარის მე-10 აღაპში ვკითხულობთ: „სექდენბერსა თ. აღაპი და პანაშვიდი დიოფალთა დიოფალისა თამარ-ყოფილისა თომაიდასი მისი წყალობანი დიდი მოვიდა, და ვინცა შეცვალოს და არა გარდაიხადოს, კრულმცა არს ღმრთისა ძალითა, და გამათავებელნი ღმერთმან აკურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხნეს. ამინ". (ხაზი ჩვენია — დ. მ.) (10 (M-9), ტაბულა XXX)[73]. მისი მოსახსენიებელი შეტანილია სინის მთის მატიანეში[74]. ასევე, 247-ე ალაპში იხსენიება მარიამ-ყოფილი (247 (M-243), ტაბ. LXII).

ჩვენს აზრს ისიც ამყარებს, რომ სახელები „რუსი" და „რუსა" ფიგურირებენ ქართველი ერის ისტორიაში. მაგალითად, აღნიშნული ხვინაქსარის 117-ე ალაპი განწესებულია რუსი ჩხატის ძის მოსახსენიებლად, ხოლო ჯვრის მონასტრის ტიშენდორფისეული ნუსხის 83-ე ალაპი რუსა ამირეჯიბის მოსახსენებლადაა განწესებული.

მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ეპისკოპოს კირიონისათვის ზემოაღნიშნული გარემოებანი და ალაპთა განწესების სპეციფიკა ზედმიწევნით კარგად იყო ცნობილი.

მის უწმინდესობა კირიონს თავისი ნაშრომის წერის პროცესში მონასტრული ყოფის უდიდესი გამოცდილება გააჩნდა. ამრიგად, საფიქრებელია, რომ ეპ. კირიონმა ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, არ გამორიცხა და მიიჩნია, რომ „რუს-ყოფილი", ნაციონალურ წარმოშობაზეც შეიძლება მიუთითებდეს.

ვიდრე ამ საკითხზე მსჯელობას განვაგრძობდეთ, გვსურს, ათონის ქართველთა მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი კრებულის (ეს ხელნაწერი ამჟამად საქართველოს მუზეუმშია დაცული, იგი 1901 წელს სათანადო შენიშვნებით გამოსცა მოსე ჯანაშვილმა) ალაპთა ნუსხიდან 47-ე ალაპის ციტირება მოვახდინოთ.

47-ე ალაპში ვკითხულობთ: „თუესა იანვარსა" კზ (27) ალაპი (არს) იე (იოანე) რუს-ყოფილისაი. მოსცნა ეკლესიასა წიგნნი, ალესრულებოდინ ყოვლითა გულს მოდგინებითა, ვითარცა სხუათა შემომწირველთაი. სწერია, ჴალისაებრ. წიგნნი ხუთნი არიან იოანე რუსყოფილისაი მოცემულნი სადღესასწაულონი ორნი, დიონისი ერთი, ლავსაიკონი ერთი და თეოდორიტე ერთი. და ვინცა ამას ეკლესიასა..." (ხაზი ჩვენია — დ. მ.).

„რუს-ყოფილი" პირველად მოსე ჯანაშვილმა მიიჩნია რუსად, ამ სიტყვის ნაციონალური მნიშვნელობით, ხოლო შემდეგ ეპ. კირიონმა ათონის ქართველთა მონასტერში რუსი მამების თანამშრომლობის ერთ-ერთ არგუმენტად დასახა.

ი. ცინცაძე, მართალია, არ იზიარებს აღნიშნული საკითხის კირიონისეულ გადაწყვეტას, მაგრამ იქვე დასძენს, რომ „რა თქმა უნდა, ამით ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ უარვყოთ ათონში რუსებისა და ქართველების შეხვედრის, ერთად მოღვაწეობის და კულტურული თანამშრომლობის შესაძლებლობა"[]. შემდგომ პროფ. ი. ცინცაძე განაგრძობს: „...არაა გასაკვირველი, თუ იმ დროს განათლებული რუსი მოღვაწე, ბიზანტიაში არა ერთხელ გამგზავრებული, ისეთ დიდ დაწესებულებაში, როგორიც ქართველთა მონასტერი იყო, მისულიყო და ზოგიერთ შემთხვევაში ეთანამშრომლა კიდეც. რუსეთში რომ ათონის მრავალრიცხოვანი მონასტრები ცნობილი იყო და იქ რუსები დადიოდნენ, ამის დამადასტურებელი ცნობა რუსულ „მამათა ცხოვრებაშიც კარგად შენახულა"[75].

ელ. მეტრეველი, მისი აღნიშნული ნაშრომის მე-14 გვერდზე ალაპთა შესახებ წერს: „ცნობები ცალკეულ პირებზე იქამდე უხვია, რომ რიგ შემთხვევაში ხერხდება იქ დასახელებულ პირთა არა მარტო ცხოვრების დროის განსაზღვრა, არამედ მათი ნათესაური კავშირების გარკვევა და გარკვეულ მონაკვეთში მათი გვარის გენეალოგიის გათვალისწინება". ასე, რომ, შესაძლოა ზემოაღნიშნული ალაპი სადაურობაზეც მიუთითებდეს.

შესაძლოა, აღკვეცამდე აღნიშნულ პირს, ვისზეც ალაპია განწესებული, ეროვნულობის მიხედვით შეარქვეს სახელი „რუსი" და ამის გამო იხსენიება „რუს-ყოფილად". ნაციონალური წარმოშობის მიხედვით სახელის შერქმევის მრავალი მაგალითი არსებობს საქართველოს ისტორიაში, მაგ: გიორგი რუსი და სხვ.

ეპისკოპოსი კირიონის მტკიცება და მსჯელობა, რომ ათონზე მისული რუსი მამები ივერთა მონასტერშიც მოღვაწეობდნენ ან მასთან თანამშრომლობდნენ და იღებდნენ სასულიერო ხასიათის ფართო მასშტაბის სწავლა-განათლებას, კიდევ უფრო სარწმუნო ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ათონზე ქართველთა ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ქართველი მამები არა მარტო ივერთა მონასტერს წინამძღოლობდნენ, არამედ მათ, გარკვეულ პერიოდებში, სრულიად ათონის გამგებლობაც ებარათ. აღნიშნულ ფაქტზე მეტყველებს ათანასე ათონელის ანდერძი: „იოანე ივერიელმა რაც რომ თავიანთ ივერიელთა ნათესავთათვის აღაშენა ივერიელთა მონასტერი, მას შემდეგ არ დაცხრა ქველის საქმე ჩვენს ლავრასა ზედა: დიდი ამაგი დასდო ჩვენს ლავრასა ზედა. შემისწირა წმიდა ევსტატის კუნძული და ლომნისის მამული, რომლიდანაც ყოველწლიურად შემოსდის ოთხმოცი ოქრო ჩვენს ლავრას. განურჩევლად სიყვარულს ათონის მთის მკვიდრთ აძლევდა დიდ შემწეობას, აშენებდა ტაძრებს, დასაყუდებლებს და ქსენონებს. აწ ვანდობ ჩემის ლავრის მართვა-გამგებლობას ჩემს შემდეგ და სრულიად ათონის მთის გამგებლობას და პროტოსობას, ხორციელად იოანე ივერიელის (ათონზე ივერთა მონასტრის დამაარსებელი და ორგანიზატორი) შვილს და ჩემს სულიერ შვილს ექვთიმეს, რომელსაც მე ვაბარებ ყოველთა ათონის მთის მამათა შორის უწმინდეს და უდიდებულესად და მის შემდეგ ექვთიმემ უკეთუ ისურვოს მყუდროებით ცხოვრება, ვანდობ ექვთიმემ თავის მაგივრად დაადგინოს მმართველად სრულიად ათონისა გიორგი ივერიელი და ვთხოვ ლავრათა ძმათა, რათა

ჰქონდეთ ივერიელთა ძმათა მიმართ დიდი სიყვარული და ურთიერთობა"[76]. (ხაზი ყველგან ჩვენია — დ. მ.)

ათონის ივერთა მონასტერში რუს მამათა მოღვაწეობას სხვა ფაქტებიც გვაფიქრებინებენ.

1648 წლის 15 ივნისს ათონის ივერთა მონასტრიდან აუღიათ ზუსტი პირები, ანუ შეუქმნიათ ასლები სასწაულმოქმედი ივერიის ღვთისმშობლის ხატისა. ათონის ივერთა მონასტრის არქიმანდრიტმა პახომმა მისი ერთი პირი რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძეს გაუგზავნა, მეორე მაცხოვრის მონასტრის არქიმანდრიტს.

რუსეთმა, თავის მხრივ, ათონის ივერთა მონასტრისადმი დიდი თაყვანი და პატივისცემა იმით გამოხატა, რომ 1648 წლის 13 ოქტომბერს ივერიის ღვთისმშობლის ხატის ზუსტი ასლი დიდი დღესასწაულით დაასვენეს მოსკოვში, კერძოდ ნიკოლსკის ტაძარში, სადაც ყოველი წლის 12 თებერვალს, 13 მარტსა და 12 ოქტომბერს სასწაულმოქმედი ხატის დღესასწაული დააწესეს.

1653 წელს წმიდა ხატი ვალდაის წმინდა ტბის ივერთა მონასტერში გადაასვენეს.

მე-17 საუკუნის დასაწყისში ქ. ენისეისკში აშენებული მონასტერი 1764 წელს ივერიის ღვთისმშობლის მესამე კლასის ქალთა მონასტრად გადაკეთდა, რომელსაც ვინმე ნაზაროვმა და ვაჭარმა ქალმა სიპიაგინამ საკარმიდამო მიწები და მამულები შესწირეს[77].

მოსკოვის დონის მონასტრის ყოვლადწმინდა სავანეს, სადაც განისვენებენ არჩილ მეფისა, მეფისწულთა და სხვა ქართველ მოღვაწეთა ცხედრები, არჩილის ასულის დარიას თხოვნით ეწოდა ივერიის ღვთისმშობლის მონასტერი.

მეტად საგულისხმოა, რომ აღნიშნული მონასტრის მოძღვარი იყო ათონის მთაზე ქართველთა მიერ აღზრდილი მამა ივანე (სოლოვიოვი).

ამრიგად, აღნიშნული ისტორიული ფაქტების გათვალისწინებით, შეიძლება განვაცხადოთ, რომ ათონის ივერთა მონასტერს, მის თეოლოგიურ-სალიტერატურო სკოლას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რუსეთის სულიერი ცხოვრების განვითარების საქმეში.

რუს მამებს, რომელნიც ათონის ივერთა მონასტერში ქრისტიანულ კულტურასა და ღვთისმსახურების უმაღლეს საფეხურს ეზიარნენ, სამშობლოში დაბრუნებულთ მეტი ასპარეზი მიეცათ, ეზრუნათ საკუთარი ერის სულიერ-ინტელექტუალურ ამაღლებაზე, ერის ზნეობრივ განწმენდაზე და კულტურულ აღმასვლაზე.

საქართველო-რუსეთის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ძველი რუსული ლიტერატურული ძეგლი „თხზულება დინარაზე", რომლის სრული სათაურია: „საკვირველი თქმულება და თხრობა დინარ-დედოფლის, ივერიის ხელმწიფის ალექსანდრეს ქალიშვილის შესახებ, თუ როგორ დაამარცხა მან სპარსეთის მეფე ადრამელეხი".

აღნიშნული თხზულების შესახებ ძალიან ბევრ, როგორც რუს, ისე ქართველ მეცნიერს აქვს გამოთქმული საკუთარი მოსაზრება. თხზულების შინაარსი მთელ რიგ შემთხვევებში გვაგონებს მეფე თამარის ეპოქას, ხოლო მთავარი გმირი — დინარა, შეგვიძლია, თითქმის თამარის პროტოტიპად მივიჩნიოთ. მაგრამ თხზულების გმირ დინარას და თამარ მეფეს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც, რაც გახდა საბაბი მეცნიერულ წრეებში აზრთა სხვადასხვაობისა და დავისა.

„დინარას" შესახებ საკუთარი მოსაზრება-მსჯელობანი წერილობით გადმოსცეს შემდეგმა მეცნიერებმა: ს. საზაროვმა, აკად. მ. ბროსემ, ი. სნეგირევმა, აკად. ა. პიპინმა, აკად. ა. სობოლევსკიმ, ი. ჟდანოვმა, ეპ. კირიონმა, აკად. მ. სპერანსკიმ, პროფ. ი. ცინცაძემ, პროფ. ნ. გუძიმ, პროფ. კ. ბაზილევიჩმა, მკვლევარმა ლ. მეპელიოვამ, მკვლევარმა ლ. ძოწენიძემ, პროფ. ვ. შადურმა, პროფ. ა. ჩიმინმა, პროფ. ტ. რუხაძემ, პროფ. თ. ბუაჩიძემ, პროფ. გ. პაიჭაძემ და სხვ.

აკადემიკოს სობოლევსკის მიერ მოხმობილი არგუმენტაცია და მასზედ დამყარებული მსჯელობა, რომ „თხზულება დინარაზე" არ არის რუსული ორიგინალური ლიტერატურული ძეგლი, არამედ იგი თარგმნილია ბერძნულიდან, პუნქტობრივად, საბუთიანი ანალიზით გააბათილა აკად. მ. სპერანსკიმ და ამდენად, სობოლევსკის ვერსიას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

„თხზულება ივერთა დედოფალ დინარაზე" რჩება რუსულ ორიგინალურ ლიტერატურულ ძეგლად, რომელიც რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ეპ. კირიონი მიიჩნევდა, რომ ნაწარმოებში ფიგურირებს არა თამარ მეფე, არამედ მე-10 საუკუნის მოღვაწე, ჰერეთის დედოფალი დინარა. კირიონ II დაბეჯითებით ვარაუდობდა, რომ თამარ მეფის გაიგივება „დინარასთან" არასწორია. იგი აღნიშნავდა, რომ დინარას პიროვნებას იცნობს ქართველი ერის ისტორია და მისი უწმინდესობა იმოწმებს „ქართლის ცხოვრებას", სადაც ნათქვამია, რომ დინარა იყო საქართველოს ერთ-ერთი კუთხის — ჰერეთის დედოფალი, ერისთავთ ერისთავის გურგენის და[78]. თუ „ქართლის ცხოვრებაში" უფრო დაწვრილებითი ცნობები დინარაზე არ მოგვეპოვება, ეს იმიტომ, რომ ჰერეთი იმ ხანად ცალკე სამეფოს წარმოადგენდა და საკუთარი მატიანე ჰქონდა, რომელიც სამწუხაროდ ჯერჯერობით უცნობია (გვ. 112).

მარი ბროსეს შეხედულება (აკად. მ. ბროსე „დინარაში" მხოლოდ თამარ მეფეს გულისხმობდა), განაგრძობს მეცნიერულ კამათს ეპ. კირიონი, იმ შემთხვევაში შეიძლებოდა სიმართლედ მიგვეჩნია, თუ დინარას სახელი საქართველოს ისტორიაში არ იფიგურირებდა. მაგრამ დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარა ისტორიული პირია და მის სახელს კარგად იცნობენ ქართველი მემატიანეები და სომეხი მწერლებიც.

კირიონ ეპისკოპოსის ცნობით, 1889 წელს ალავერდის არქიეპისკოპოსი ზებედე კახეთში მყოფ რუსეთის ელჩს თავად ო. თ. ვოლკონსკის აცნობებდა, რომ ალავერდის მონასტერი დაარსებულია ქართველი დედოფლის, სპარსეთის მეფეზე გამარჯვებული დინარას ვაჟიშვილის მიერ, რომლის ნეშტიც მონასტრის ეკლესიაშია დაკრძალული.

კირიონ II აღნიშნავს, რომ „რუსმა მწიგნობარმა, რომელმაც ეს მოთხრობა გადაიღო, დაამახინჯა პირადი სახელები, როგორც ეს ხშირად ხდება რუსულ წერილობით ძეგლებში. ქართული მატიანის ცნობით დინარა მმართველ ადარნასე მესხის ქალიშვილია, მან კი ადარნასე მესხი ალექსანდრე მეფედ აქცია" (გვ. 111).

ჩვენს მიერ ციტირებულ ბოლო ვერსიასთან დაკავშირებით პროფ. ო. ბუაჩიძე დასძენს: „ცხადია, ადარნასეს ალექსანდრედ გადაკეთება უფრო მოსალოდნელი იყო რუსი მწიგნობრის მიერ, ვიდრე გიორგის ალექსანდრედ (იგულისხმება გიორგი I თამარ მეფის მამა და ალექსანდრე, დედოფალ დინარას მამა — დ. მ.) ან თამარის დინარად გადაკეთება"[79].

ეპ. კირიონის მსჯელობა მის შესახებ, რომ „დინარაში" იგულისხმება ჰერეთის დედოფალი დინარა და არა მეფე თამარი, არ გაიზიარა პროფ. ი. ცინცაძემ და თავის ნაშრომში საწინააღმდეგო მოსაზრება-მსჯელობა გამოთქვა[80].

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფართო ხასიათის მსჯელობას აღარ განვაგრძობთ, რადგან ეს თხზულება კონკრეტულ შემთხვევაში სხვა ნიშნის წიაღიდან უფრო გვაინტერესებს.

მეცნიერულ წრეებში დამკვიდრებულ აზრს, მის შესახებ, რომ „დინარაში" თამარ მეფე იგულისხმება და „თხზულება დინარაზე" თამარის ეპოქის ამბებს ასახავს, ჩვენ სრულიად ვიზიარებთ, მაგრამ არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობასაც, რომ ჰერეთის დედოფალი დინარაც ცნობილი ყოფილიყო რუსეთის საზოგადოებრიობისთვის და ამდენად, ვვარაუდობთ, რომ „დინარაში" მოიაზრება მეფე თამარიცა და დედოფალი დინარაც. თამარი, რა თქმა უნდა, მეტად, ხოლო დინარა უფრო მცირე მასშტაბით. ვფიქრობთ, სწორედ ამან განაპირობა ის განსხვავებანი, რაც თამარსა და „დინარას" შორის არსებობს.

ამრიგად, ჩვენი პოზიცია ყველაზე მეტად უახლოვდება მკვლევარ ლ. შეპელიოვას მოსაზრებას, რომ მოხდა კონტამინაცია და რუსული თხზულების ავტორმა ერთმანეთში აურია თამარ მეფისა და დინარა დედოფლის სახელები, რომელთა შესახებაც მას უამბობდნენ[81].

ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი პოზიციის ჩამოყალიბება განაპირობა მანაც, რომ, პროფ. ნ. კ. გუძის ცნობით, რუს ხატმწერს მე-17 საუკუნეში შეუქმნია „დინარას" ხატი, რომელზეც თამარის გამოსახულება კი არაა, არამედ წმ. დინარასი[82].

ჰერეთის დედოფალ დინარას შესახებ, მისი მოღვაწეობის პერიოდის ან შედარებით უფრო მოგვიანებითი ხანის ცნობები რუსეთისათვის ცნობილი რომ ყოფილიყო, გასაკვირი არ არის, რადგან რუსეთი ამ ეპოქაში არ მარტო იცნობდა ქართულ კულტურას, არამედ იმდენად აფასებდა კიდეც, რომ რუსი მემატიანეების ცნობით, მე-11 საუკუნეში კიევის ტაძარი ქართველ სპეციალისტებს მოახატვინეს[83].

რუს მკვლევართა შორის საყოველთაოდ მიღებულია აღნიშნული თხზულების შექმნის თარიღის ქრონოლოგიური კონკრეტიზაცია. მე-15 საუკუნის მიწურულითა და მე-16 საუკუნის დასაწყისით განისაზღვრება. ამ თხზულების შექმნის ხანას მკვლევარები იმ საფუძვლით განსაზღვრავენ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა მხოლოდ მე-15 საუკუნის მიწურულიდან იწყება და რომ მანამდე „დინარას" სიუჟეტი ვერ გაიკვლევდა გზას რუსეთისაკენ.

რუსი მკვლევარების აზრით, ჰერეთის დედოფალ დინარასა და მეფე თამარის შესახებ რუსულ საზოგადოებრიობას მე-15 საუკუნის დასასრულამდე არაფერი შეეძლო სცოდნოდა. აქედან გამომდინარე, ლიტერატურული ძეგლის — „თხზულება დინარაზე" შექმნის თარილი, მისი სიუჟეტის ანუ ამბავის რუსთა მიერ პირველ გაცნობას თანხვდება.

ჩვენს მიერ წინამდებარე წერილის დასაწყისში მოხმობილი ისტორიული წყაროები და მათზე დამყარებული ჩვენი მოკრძალებული მსჯელობა, ვფიქრობთ, ცხადყოფენ, რომ „დინარას" სიუჟეტს მე-15 საუკუნემდეც შეეძლო გზა ეპოვნა საქართველოდან რუსეთისაკენ.

მიგვაჩნია, რომ დინარას შესახებ, რომელიც შემდგომ თხზულების გმირად იქცა, უწყოდა რუსეთის საზოგადოებამ, მაგრამ ამის მადასტურებელი ისტორიული დოკუმენტი სამწუხაროდ არ გაგვაჩნია, კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი მსჯელობა ლოგიკის პრინციპს დაემყარება.

როგორც რუსული მატიანე გვამცნობს, ივანე მრისხანემ ყაზანისათვის ბრძოლის წინ, 1552 წელს ლაშქარს სიტყვით მიმართა:

მსოფლიო საბრძოლო ისტორიიდან ჩვენ მრავალ ასეთ მიმართვას ვიცნობთ და შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ბრძოლის წინ, მეფის ან წინამძღოლის ყველა მიმართვას ერთი მიზანი გააჩნია, მეომართა ემოციებზე იმოქმედოს, საბრძოლოდ განაწყოს სპა, შეაგულიანოს, სისხლი აუჩქროლოს და მთელი სიმძაფრით განაცდევინოს ცნება, — თავგანწირვა სამშობლოსათვის. ყოველივე ზემოთქმულს სიფესიტყვა აღწევს, თუ იგი, რა თქმა უნდა, ისეთ რასმეს ეხება, რასაც მეომრის ცნობიერებაში ღონიერი ფესვები ღრმად აქვს გადგმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე მრისხანე კი 1552 წელს მიმართავს რა რუსულ არმიას, ახსენებს მათ ქართველთა დედოფლის დინარას გმირობის მაგალითს და ამით სურს მეომრები საბრძოლოდ შემართოს. ესე იგი მან უწყის, თუ როგორ მძაფრად იმოქმედებს რუს ჯარისკაცებზე ქართველი გმირის, დინარას გახსენება. ესე იგი, დინარას გმირობის ამბავი რუსულ ცნობიერებაში მეტად ღრმად არის დამკვიდრებული.

სწორედ ზემოაღნიშნულმა ისტორიულმა ფაქტმა განგვიმტკიცა რწმენა იმის შესახებ, რომ „დინარას" სიუჟეტი უფრო ადრე იყო ცნობილი რუსეთში, ვიდრე ამას რუსი მკვლევარები სახავენ, რადგან თუ რუსეთის საზოგადოებრიობამ არაფერი იცოდა წმ. დინარასა და წმ. მეფე თამარის შესახებ, მაშინ აღნიშნული თხზულების უცხოტომელ და მანამდე სრულიად უცნობ გმირს, დაახლოვებით ორმოცდაათი წლის ვადა რჩება რუსულ ცნობიერებაში იმგვარად დასამკვიდრებლად, რომ მის ხსენებაზე არმია შეიმართოს, რაც ჩვენი აზრით შეუძლებელია.

პროფ. ნ. კ. გუძი, რომელიც „დინარას" პროტოტიპად თამარ მეფეს მიიჩნევს, ასკვნის, რომ რუს მწიგნობარს ცნობები მეფე თამარის შესახებ მხოლოდ მე-15 საუკუნის ბოლოს, რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიის გაბმის შემდეგ შეეძლო მიეღო. ჩვენი აზრით ძველი რუსული ლიტერატურის მკვლევარი ნ. გუძი არსებულ სინამდვილეს გვერდს უვლის, რადგან შეუძლებელია რუს მწიგნობართ არავითარი ცნობები არ ჰქონოდათ წმ. თამარის შესახებ, რადგან მისი პირველი ქორწინება რუსეთის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის ძეზე, ეგრედ წოდებულ გიორგი რუსზე, მე-12 საუკუნეში, ივანე ჯავახიშვილის ცნობით დაახლოებით 1185 წლის დამლევს შედგა[84].

თამარის დაქორწინებამდე გამართულ ერთ-ერთ სამეფო დარბაზობაზე ქართლისა და ტფილისის ამირამ თავადმა აბულასანმა მეფის საქმროს კანდიდატურად გიორგი ანდრიას ძე დაასახელა და მისი პატივის წარმოსაჩენად განაცხადა: „მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარნი რუსთანი"[85]. მოტანილი ციტატი იმის ნათელსაყოფად დაგვჭირდა, რომ მთავარ ანდრიას რუსეთის სამასი საერისთავო მორჩილებდა.

მართალია, თამარ მეფისა და იური ბოგოლუბსკის ქორწინებისას ანდრია ცოცხალი აღარ იყო და მისი ძმა განაგებდა სამთავროებს, რომელმაც გიორგი რუსი იძულებული გახადა დაეტოვებინა სამშობლო, მაგრამ ასეთი დიდი პოლიტიკური ასპარეზიდან ოტებულ ხელისუფლების მოცილე ადამიანებს თვალთახედვის არეალიდან არ ჰკარგავენ ძალაუფლებას დაუფლებული ძლიერნი ამა სოფლისანი.

თუ სხვა სამთავროებისათვის უცნობი ეყო დიდი მთავრის ანდრიას ძის ქორწინება ძლევამოსილ ქრისტიანულ სახელმწიფოს საჴეთმპყრობელზე, ნუთუ ჯერ ანდრიასადმი, შემდეგომ კი მისი ძმისადმი დაქვემდებარებულ სამას სამთავროში არც ერთი მწიგნობარი არ მოიძებნება, რომელიც აღნიშნულ ფაქტს შეიტყობდა?

ჩვენ ზემოთ შევნიშნეთ, რომ პროფ. გუძი არსებულ რეალობას გვერდს უვლის და ყველა შესაძლო გზას იგნორირებას უყოფს, რომელთა საშუალებითაც რუსებს წმ. თამარ მეფე უცილოდ უნდა სცნობოდათ. ამით, გუძი ხაზს უსვამს, რომ აღნიშნულ ეპოქაში ურთიერთობა რუსეთ-საქართველოს შორის არ არსებობდა.

ხშირ შემთხვევაში რუსი ისტორიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეთა მყარი ტენდენციაა, რომ განსაკუთრებით მე-8-12 საუკუნეებში რუსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის მადასტურებელი ფაქტები თუ ვარაუდი უგულვებელყონ ან დააკნინონ, რადგან საქართველოში ამ ხანებში ქრისტიანულ-ეროვნული კულტურა ჰყვავის და განვითარების უმწვერვალეს საფეხურს აღწევს, ხოლო რუსთა შორის იგი ყალიბდება, ბუნებრივია, სულიერ ძალთა ასეთი თანაფარდობის დროს საქართველოსა და რუსეთს შორის ნებისმიერი კულტურული შეხება თითქმის ერთაზროვნად განისაზღვრება: საქართველოს კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მე-11 საუკუნეში, კიევის ტაძრის მოსახატად ბერძნებთან ერთად ქართველები მიუწვევიათ.

ხსენებულ ფაქტზე მეტყველებს მე-11 საუკუნის ძველი რუსული წერილობითი ძეგლი «Киево-печоринский патерик».

კიევის მღვიმეთა მონასტრის მამათა ცხოვრების მე-15 საუკუნეზე ადრინდელი ხელნაწერი ჯერ არ აღმოჩენილა.

ხსენებული ძეგლიდან გთავაზობთ სათანადო ტექსტს, რომელსაც ეყრდნობა იასე ცინცაძე თავის (აღნიშნულ) გამოკვლევაში.

„აი კიდევ ერთსაც მოგითხრობ. მოვიდნენ ილუმენ ნიკონთან ღვთისგან დაცულ იმავე ქალაქ კონსტანტინოპოლიდან ფერწერის ოსტატები (მხატვრები), რომელთაც უთხრეს (მოქმელნი): „წარმოგვიდგინეთ ჩვენ ისინი, რომლებიც შეგვითანხმდნენ, ჩვენ გვინდა საქმის გასაჩივრება, რადგანაც გვიჩვენეს პატარა (მოცულობის) საყდარი (მოსახატავად), ჩვენ მათ შეუთანხმდით მრავალი ადამიანის (მოწმეების) წინაშე (თანდასწრებით), ხოლო ეს საყდარი უზარმაზარია (ძალიან დიდია). აი თქვენი ოქრო წაიღეთ (დაიბრუნეთ), ხოლო ჩვენ ვბრუნდებით ცარგრადში (კონსტანტინოპოლში"). ილუმენმა უპასუხა: „როგორი იყვნენ შესახედავად ისინი, რომელნიც თქვენ შეგითანხმდნენ". მხატვრებმა აღწერეს გარეგნობა და სახე და სახელიც თქვეს მათი — ანტონი და თეოდოსე. და უთხრა მათ იულმენმა (ნიკონმა): „შვილნო ჩემნო, არ შეგვიძლია მათი თქვენ ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშე წარმოდგენა. ათ წელზე მეტია, რაც ისინი ამ ჯგუფიდან წარვიდნენ (გარდაიცვალნენ) და ახლა განუწყვეტლივ ჩვენთვის მლოცველნი არიან, და მუდამ მფარველობენ ამ საყდარს., ზრუნავენ თავის მონასტერზე და იღვწვიან მასში დამკვიდრებულთათვის (მცხოვრებთათვის)".

მოისმინეს რა ეს, ბერძნები შეშინდნენ ამ პასუხით, რამეთუ მათ წამოყვანილი ჰყავდათ (წამოეყვანათ) სხვა მრავალი ვაჭარი, რამეთუ ისინი ბერძნებთან და ქართველებთან ერთად წამოსულიყვნენ იქიდან (კონსტანტინოპოლიდან) და თქვეს (ბერძნებმა და ქართველებმა). „ამათ წინაშე (თანდასწრებით) შეთანხმების პირობა დავდეთ და მათი ხელიდან (ანტონისა და თეოდოსესაგან) ოქროც ავიღეთ. ხოლო შენ არ გსურს ისინი (ანტონი და თეოდოსე) წარმოგვიდგინო ჩვენ და თუ ისინი მართლა გარდაცვლილნი არიან, გვაჩვენე (ხატი) სურათი მათი, ამათაც (ვაჭრებმა) ნახონ, რომ (სწორედ) ისინი (ანტონი და თეოდოსე) არიან".

მაშინ იღუმენმა გამოიტანა ყველას წინაშე მათი სურათი, (ხატი ნახეს რა ბერძნებმა და ქართველებმა (ხატი) სურათი მათი (ანტონის და თეოდოსეს) თაყვანი სცეს მთქმელებმა: „ჭეშმარიტად ისინი არიან (ვინც მათ კონსტანტინოპოლში გამოეცხადათ), ჩვენ გვწამს რამეთუ ცოცხლები არიან ისინი (ანტონი და თეოდოსე) სიკვდილის შემდეგაც, და შეუძლიათ შველა, დახმარება და ხსნა მათ მოიმედეთა" და მისცეს მას (მონასტერს) მოზაიკა (სოფიის კენჭი), რომელიც გასასყიდად მოეტანათ და მით წმინდა საკურთხეველი გაამშვენეს. მხატვრები კი თავის შეცოდებას ინანიებდნენ".

ზემოციტირებულ ტექსტთან დაკავშირებით შენიშვნებს გამოთქვამს მკვლევარი მ. ნ. ტიხომიროვი. იგი აღნიშნავს, რომ რუსულ ტექსტში ხსენებულ „ობეზეში" ქართველი კი არ მოიაზრება, არამედ აფხაზი, ამ სიტყვის დღევანდელი ეთნიკური მნიშვნელობით[86].

ნ. ტიხომიროვის არამართებულ და ჭეშმარიტებისაგან ძალზე დაცილებული ხასიათის შენიშვნებს, საბუთიანი მსჯელობით, სავსებით აქარწყლებს პროფ. ი. ცინცაძე. იგი აღნიშნავს: „ძველი განათლებული რუსი „ივერს" იმ დროს რუსეთში გავრცელებული ამ ცნების შესატყვისი ტერმინით განმარტავს — „რომელ არიან „ობეზებით". აფხაზეთი საქართველოდ ესმოდათ ყველა ჩვენს მეზობელ ხალხს და ამ ტერმინს იმ დროისათვის სხვა შინაარსი არ ჰქონია არც ერთი ხალხის ენაში".

თავისი მსჯელობის მართებულობის დასადასტურებლად ი. ცინცაძე მტკიცე არგუმენტს იშველიებს. იგი განაგრძობს: „საყოველთაოდ ცნობილია, რომ შუა საუკუნეების ბიზანტიაში შედგენილი იყო მსოფლიოში მცხოვრებ ხალხთა ნუსხა და მათი გენეალოგია ბიბლიური მონაცემების საფუძველზე. ქართველებმა იგი მე-11 საუკუნეში თარგმნეს, ხოლო რუსებმა მოგვიანებით. ისევე როგორც ქართველი მთარგმნელი ექვთიმე მთაწმინდელი ქართულ თარგმანში საკუთარ განმარტებებს ურთავს, ასევე იქცევა რუსი მთარგმნელიც. მათ შორის ერთგან ქართველებზე ვკითხულობთ:

«...авер. иже суть обеза»[87]

(ხაზი ჩვენია — დ. მ.).

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ აფხაზთა სამეფო (8-10 სს.) დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა. იგი აერთიანებდა რვა სამთავროს: „აფხაზეთისას", ცხუმის, ბედიის, სვანეთის, რაჭა-თაკვერის, გურიის, ქუთაისის და შორაპნის. აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი იყო ქუთაისი. მოსახლეობის უმრავლესობა ქართველები (ქართები, მეგრელები, სვანები) იყვნენ და ტერმინ „აფხაზეთში" (როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში) მთელი დასავლეთ საქართველო იგულისხმებოდა[88].

ეპ. კირიონი ვარაუდობს, რომ „ქება ქებათაის" შესახებ წმ. იპოლიტეს განმარტებანის რუსული ვარიანტის შემორჩენილი ნაწყვეტები ქართული თარგმანიდან იღებს სათავეს, უკეთ რომ ვთქვათ, წმ. იპოლიტეს განმარტება სლავურად ქართულიდანაა თარგმნილი[88]. აღნიშნული ვარაუდის საფუძვლად კირიონ II შემდეგ ფაქტებს მიიჩნევს: ა) „ქება ქებათაის" განმარტების სლავური თარგმანის ის მონაკვეთები, რომელნიც ბერძნულ ორიგინალში არ იძებნება, რუს მეცნიერთა აზრით სლავური თარგმანის გადახვევად იყო მიჩნეული, ხოლო სლავური თარგმანის ქართულთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ ზემოხსენებული მონაკვეთები ქართულ ვარიანტს თანხვდებიან. ბ) ქართული ტექსტი სლავური თარგმანის II საკამათო ნაწყვეტის მართებულებას ადასტურებს, გ) თხზულების განვრცობილი საკუთარი ბერძნულ ორიგინალში არ იძებნება და სრული სახით იგი ქართულმა ტექსტმა შემოინახა. სლავურ ტექსტშიც სათაური სრულადაა, დ) ქართულიცა და სლავური ტექსტიც ერთსა და იმავე ადგილზე წყდება, მე-3 თავის მე-7 მუხლით მთავრდება.

კორნელი კეკელიძე იზიარებს ნიკო მარის ვარაუდს მის შესახებ, რომ იპოლიტე რომაელის განმარტება „ქება ქებათაის" შესახებ ქართულად სომხურიდანაა ნათარგმნი, მაგრამ რადგან განმარტების ქართული ვარიანტი სომხურის ადეკვატური არაა და ყველა სხვა ტექსტებთან შედარებით ვრცელი თხზულებაა, ამრიგად, ეპ. კირიონის მიერ ზემოჩამოთვლილი არგუმენტები ძალას ინარჩუნებენ.

რაც შეეხება კორნელი კეკელიძის მიერ აკად. მარის ჰიპოთეზის გაზიარებას, მართალია, კ. კეკელიძე კი ამბობს, რომ „თარგმანებაი ქება ქებათაისაი" ცნობილია როგორც ბერძნულ, ისე სხვა ქრისტიან ერთა ენებზე, კერძოდ სომხურზედაც, საიდანაც ის ქართულად უთარგმნიათო"[90], მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი კორნელის ზემოხსენებული მოსაზრება

ერთადერთ წყაროს ეყრდნობა, კერძოდ აკად. ნ. მარის ნაშრომს (ნ. მარი, იპოლიტე — განმარტებანი ქება ქებათაის შესახებ, „ტექსტები და კვლევა სომხურ-ქართულ ფილოლოგიაში" (რუსულ ენაზე — დ. მ.), წიგნი III., გვ. 8).

რამდენად სწორია ნ. მარის ვერსია — „ქება ქებათაის" განმარტების სომხურიდან ქართულად თარგმანებაზე და რამდენად საფუძვლიანია ის არგუმენტაცია, რაზეც მარი თავის მსჯელობას აგებს, ამ საკითხებს ორიოდე სიტყვით ქვემოდ შევეხებით.

ეპ. კირიონი უარყოფს რა აღნიშნულ საკითხზე მარის მიერ გამოთქმულ დაბეჯითებულ ვერსიას, დასძენს, რომ ის არგუმენტაცია, რაზედაც მარმა თავის მსჯელობა-მტკიცებანი დააყრდნო, მეტად უსუსურია და სინამდვილეს არ ესადაგება.

ნ. მარი შენიშნავს, რომ მისი მტკიცება პირველყოვლისა იმან განაპირობა, რომ ქართულ ტექსტში სომხური სიტყვები და არმენიზმები გვხვდება.

ეპ. კირიონი საბუთიანი, ლოგიკური მსჯელობით აქარწყლებს ნ. მარის ამ თვალსაზრისს და განაგრძობს, რომ განმარტების ქართული ტექსტი 9-10 საუკუნისაა და აკად. მარს ხელთ არ გააჩნია ამ საუკუნეების, ან უფრო ადრინდელი წმ. იპოლიტეს „ქება ქებათაის" განმარტების სომხური ტექსტი და არ გააჩნია იმიტომ, რომ იგი საერთოდ არ არსებობს. ამის გამოა, რომ ნ. მარი „განმარტების" სომხურ ტექსტს ამდენი ხნის განმავლობაში დასავლეთის მეცნიერებს ვერ აწვდის, რომელნიც მას მარისავე დაპირებისა გამო ელიან და საყვედურს გამოთქვამენ (პროფ. კრიუგერი) ხანგრძლივი დაგვიანების გამო. აკად. მარი — განაგრძობს ეპ. კირიონი, არ მარტო იპოლიტე რომაელის განმარტების 9-10 საუკუნეების სომხურ ტექსტს ვერ იპოვნის, არამედ სომხურ სასულიერო მწერლობაში იგი ზემოთქმულის მადასტურებელ ფაქტსაც ვერ მოიძიებს, თუ, რასაკვირველია, პერგამენტი არ შეთხზეს და ნესტიან სარდაფში არ დააძველეს ამის პრეცენდენტი კი არსებობს.

ცრუ აღმოჩნდა, მაგ. არტემ არარატელის (1774-1797წწ.) მემუარები, რომელიც გამოიცა რუსულად (1818 წ.), გერმანულად (1826 წ.), და ინგლისურად (1822 წ.).

ბეთლემელი მიტროპოლიტი ელინურ სიტყვიერებათა დოქტორს, არქიმანდრიტ პორფირის (უსპენსკის) სწერდა: „ნუ ირწმუნებთ, მამაო არქიმანდრიტო, ნუ ირწმუნებთ სომეხთა დოკუმენტებისას..."[91]

ეპ. კირიონს იპოლიტე რომაელის განმარტების ქართულ თარგმანზე მსჯელობისას, თავის მხრივ, მხარს უმაგრებს მღვდელი ვ. კარბელოვი, რომელმაც ქართულიდან რუსულად თარგმნა წმ. იპოლიტეს განმარტებანი ცნობილი ღვთისმეტყველის, საეკლესიო ისტორიკოსის, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორ ადოლფ გარნაკისთვის. ტექსტების ღრმად გაცნობისას, მღვდელმა კარბელოვმა გამოთქვა აზრი, რომ ქართული ტექსტები სომხურიდან თარგმნილი არ არის.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ვრცლად და მეტად საყურადღებოდ საუბრობს ეპ. კირიონი (იხ. ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 369-385), მაგრამ ჩვენ აქ შევჩერდებით, რადგან ძირითადი თემიდან არ გადვუხვიოთ. ერთს კი დავძენთ, რომ ნ. მარის, ამ ძალზე ფართო მასშტაბის მეცნიერის ტენდენციურობა საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებთან ცნობილია ქართული მეცნიერული საზოგადოებრიობისათვის („ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებით, ქართული უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით, კლარჯეთისა და ჰერეთის გასომხურებასთან და გრიგოლ ბაკურიანის სომხად გამოცხადებასთან დაკავშირებით და სხვ.), დიდი მამა გიორგი მთაწმიდელი კი ქართულ სიძველეთა გასომხურების პოზიციის საწინააღმდეგოდ შენიშნავდა, რომ სომხებს მრავალი სასულიერო წიგნი უთარგმნიათ ქართულიდან[92].

კირიონ ეპისკოპოსი ეჭვს გამოთქვამს რუსეთის ეროვნული გმირის ივან სუსანინის პიროვნების ისტორიულობის შესახებ და ვარაუდობს, რომ ლეგენდა ივან სუსანინზე შექმნილია ქართველი თავდადებული მღვდელი თევდორეს მიხედვითა და ანალოგიით.

თევდორე მღვდელზე მოგვითხრობს ქართული მატიანე — „ქართლის ცხოვრება":

„და უბნობასა ამას შინა მოართუეს მეფესა ამბავი, ვითარმედ მოვიდნენ სპანი დიდნი თათარხანთა თრიალეთსა ზედა (მას ჟამსა აღელო ხონთქარსა ბაღდადი და უკუნქცეულისათვის ეთხოვათ ნება წარსვლად გზასა ზედა ქართლისასა **ვინაითგან ეთქუა ვისმე მათთვის გზის-მოკლოგა და ალაფ-ტყუეთა სიმრავლენი**. მასვე ჟამსა დაუტევეს ზრახვა იგი და წარავლინა მეფემან იარალი, რათ შეჰკრას გზანი და მსწრაფლ აცნობს მეფესა და თვით მეფე მოვიდა ცხირეთს. მისრული იარაღი, ჩამხერგუელი გზისა, განისუენებდა და მძინარესა დაესხნენ თათარხანნი და მოსწყვიდეს იარალითურთ ყოველნი რამეთუ ვერ განერა ერთიცა. მერმე მოვიდნენ და დაწუეს მანგლისი და კუელთა, **შეიპყრეს კუელთას მღუდელი ერთი და სცემდნენ ლახტითა, რათა აუწყოს; სად არს მეფე; ხოლო მღუდელი, იტყოდა: „არა ნაცვალი ვყო საწუთო ესე წარუვალსა მას, და არა ვიქმნე განმცემელ მეფისა და ქუეყნისა". წარმოუძღუა მღუდელი იგი ბოსტიბის თავსა ზედა და ჩამოიყვანნა ქუენადრისის გზასა. სცნეს თათარხანთა, რამეთუ აცთუნებდათ მღუდუელი, ამისთვის მოჰკუეთეს თავი და შეირაცხა წმიდათა მოწამეთა თანა"**[93] (ხაზი ყველგან ჩვენია — დ. მ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ვარაუდის განსამტკიცებლად. მისი უწმინდესობა კირიონი, ერთ მეტად საგულისხმო არგუმენტს იშველიებს. აღნიშნული არგუმენტი ის გახლავთ, რომ ივან სუსანინსა და მისი გმირობის ამბავს მოსკოველი მემატიანე არ იცნობს. თუ ასეთი გმირობის ჩამდენი პიროვნება ისტორიაში რეალურად არსებობდა, მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი, საკუთარ ქვეყანაში, რომელიმე მემატიანესათვის, მით უმეტეს, კერძო შემთხვევაში მოსკოველისათვის, უცნობი დარჩენილიყო.

ივ. სუსანინის პიროვნების და მისი გმირობის შესახებ პეტერბურგის უნივერსიტეტის რუსეთის ისტორიის პროფესორი ნიკოლოზ ივანეს ძე კოსტომაროვი წერს: „მე-18 საუკუნემდე, რამდენადაც ცნობილია, არავის უფიქრია ივან სუსანინი მეფის გადამრჩენელად მიეჩნია, ხოლო მისი საგმირო საქმე ისეთი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად, რომელიც ჩვეულებრიობის ჩარჩოებს სცილდება"[94].

პროფ. კოსტომაროვის მიერ ზემოთქმული ორი მნიშვნელობით შეიძლება გავიაზროთ. ნ. ი. კოსტომაროვი ან ივან სუსანინსა და მისი გმირობის ამბავს სახავს სიყალბედ, ან ამგვარი ხასიათის გმირულ ქმედებას ჩვეულებრივ ამბავად მიიჩნევს, რისი საფუძველიც ჩვენი აზრით, არც ერთ ერს არ გააჩნია.

ეგზომ მრავალი თავდადებული გმირისა და წმინდანთა სამშობლო — საქართველოს თუ კი მღვდელი თევდორე მწინდანთა და გმირთა სწორად მიაჩნია, ძნელი წარმოსადგენია, რუსეთისათვის ზემოაღნიშნულ გმირობა ჩვეულებრივ ყოველდღიურობად ეღირდეს.

ამდენად, ნ. ი. კოსტომაროვის მიერ ზემოთქმული, პირველი მნიშვნელობით უნდა გავიაზროთ, რასაც თვითონვე ამტკიცებს პატივცემული მეცნიერი და თქმულებას ივან სუსანინზე და მისგან მეფის და სამშობლოს ხსნას იგი ანეკდოტად სახავს[95].

რუსული ლეგენდის მიხედვით, ივან სუსანინი, ისევე როგორც მღვდელი თევდორე, შემოსეულმა მტერმა შეიპყრო და მეფის კარამდე გზამკვლევობა მოსთხოვა სუსანინმა, ისევე, როგორც მამა თევდორემ, მტერი მიუვალში შეიყვანა და საკუთარი თავის შეწირვით მეფე და სამშობლო განსაცდელისაგან იხსნა.

„ქართლის ცხოვრებაში" მღვდელი თევდორეს შესახებ ცნობებს და ივან სუსანინის ლეგენდას შორის ძირითადი განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ლეგენდის მიხედვით, თევდორეს ნაცვლად ივან სუსანინი სჩადის გმირობას, მეფე ლუარსაბის ნაცვლად მეფე მიხეილ თევდორეს ძე რომანოვი ფიგურირებს და მტრები თურქების ნაცვლად პოლონელები არიან.

ამრიგად, ლეგენდას ივან სუსანინზე თევდორე მღვდელის გმირობისაგან ძირითადად ის განასხვავებს, რომ ლეგენდაში გეოგრაფიული და საკუთარი სახელებია შეცვლილი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ივან სუსანინის გმირობა თარიღდება თევდორეს თავდადებიდან ოთხი წლის შემდგომი ხანით, 1613 წლით.

ზემოდ ჩამოთვლილი ფაქტები, შესაძლოა, მეცნიერული მტკიცებისათვის სრულ არგუმენტაციად არ კმარა, მაგრამ მამა თევდორეს ისტორიისა და ივან სუსანინზე თქმულების სიუჟეტურ-შინაარსობრივი ადექვატურობა გვაფიქრებინებს ეპ. კირიონის ვარაუდის მართებულობას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ „რუსული" „ვარაალამი და იოასაფი", მკვლევართ აზრით, „ქართული" ბალავარიანის („სიბრძნე ბალაჰვარისი") მიხედვითაა ნათარგმანები.

ამრიგად, ეპისკოპოს კირიონის აღნიშნული ნაშრომის გათვალისწინებით, ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ წარმოგვეჩინა: ქართული ეკლესიის როლი და ასპარეზი წმინდა მიწაზე და ქრისტიანულ აღმოსავლეთში, საქართველოს როლი წმინდა მიწისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის დაცვის საქმეში, ძველი ბერძნული ეკლესიის ტრადიციათა გაგრძელების საკითხი და ფრაგმენტულად მაინც მიგვენიშნებინა ქართული კულტურის გავლენაზე რუსეთის ისტორიაში.

წინამდებარე წერილი გვსურს ზაქარია მთისპირელის სიტყვებით დავამთავროთ, რომ ქართველებს არ სჭირდებათ რუსულ ეკლესიასთან კინკლაობა, რომელსაც საეკლესიო კანონების მიხედვით **თავისი უფროსი დის — ივერიის სამოციქულო ეკლესიის** საქმეებში ჩარევის უფლება არ აქვს.

### შენიშვნები

[1] იხ. ჟურნ. „მნათობი", № 6, 1990 წ.

[2] აკაკი წერეთელი, „ჩემი თავგადასავალი", გამომც. „საქართველო", 1990 წ. გვ. 44.

[3] ილია ჭავჭავაძე, „ვიცინოთ თუ ვიტიროთ?" თხზ., სრული კრებული ათ ტომად, ტ. 4, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1955 წ. გვ. 117.

[4-5] გ. გოზალიშვილი, „ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან 1965 წ., თბილისი, გვ. 77

[6] ნ. დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი, ჟურნ. „განთიადი", № 10, 1990 წ., გვ. 38-39.

[7] ნ. ევრეინოვი, „რასპუტინის საიდუმლო", თბილისი, 1990 წ. გვ. 75.

[8] ილია ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები", რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 11, 1985 წ. თბილისი, გვ. 8.

[9] ეპისკოპოსი კირიონი, ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში, 1910 წ., (რუ-

სულ ენაზე), თბილისი, ტიპოგრაფია კ. პ. კოზლოვისა, გოლოვინის გამზ. № 12.

[10] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. მე-6, 1987 წ., თბილისი, გვ. 436.

[11] პ. ნ. მილიუკოვი, რუსული კულტურის ისტორიის ნარკვევები, (რუსულ ენაზე), ნაწ. II, 1897 წ., გვ. 267-268; ეპ. კირიონი. საქართველოს კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში, 1910 წ., თბილისი, გვ. 3.

[12] ქართლის ცხოვრება, 1, თბილისი, 1955 წ. გვ. 301.

[13] Житие и хождение Даниила. ППС. т. I. в. 3, стр. 82—83;

ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართველთა კოლონიის ისტორიის შესახებ. 1962 წ., თბილისი, გვ. 55.

[14] „ქართლის ცხოვრება", გვ. 38.

[15] დეკანოზი მამა არჩილი, „ლაზარე, გამოვედ გარე!", ჟურნ. „ჯვარი ვაზისა" № 3, 1989 წ., გვ. 7

[16] „საღმრთო ისტორია" ძველი და ახალი აღთქმისა, შედგენილი გ. იოსელიანის მიერ სამრევლო და საერო სკოლებისათვის, 1911 წ. თბილისი, გვ. 106.

[17] დეკანოზი მამა არჩილი, „ლაზარე გამოვედ გარე", ჟურნ. „ჯვარი ვაზისა" № 3, 1989 წ., გვ. 7.

[18] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. 1, გვ. 203.

[19] არქიმანდრიტი რაფაელი, „ხატი „ღიღება ქართული სამოციქულო ეკლესიისა", გაზეთი „მოლოდიოჟ გრუზიი" (რუსულ ენაზე), 1990 22 ივნისი, გვ. 11.

[20] მღვდელი თორნიკე (წამალაძე), „წმიდა ხატი", ჟურნ. „ჯვარი ვაზისა", № 2, 1988 წ., თბილისი, გვ. 26.

[21] შალვა ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1950 წ., თბილისი, გვ. 126.

[22] ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", წიგნი 1, 1928, თბილისი, გვ. 214.

[23] კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1980, თბილისი, ტ. 1, გვ. 39.

[24] იქვე, გვ. 174.

[25] პავლე ინგოროყვა, „გიორგი მერჩულე", ნაწილი პირველი, 1954 წ, თბილისი, გვ. 304.

[26] ჟურნ. „ჯვარი ვაზისა", № 1, 1982 წ., გვ. 8.

[27] „ქართლის ცხოვრება", ტ. 4, 1973 წ., თბილისი, გვ. 62.

[28] საქართველოს ეკლესიის 1979 წლის კალენდარი, გვ. 156.

[29] ჟურნ. „ჯვარი ვაზისა" № 2, 1982 წ., გვ. 19.

[30] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1979 წ., თბილისი, ტ. III, გვ. 543.

[31] ლ. მენაბდე, ძვ. ქართული მწერლობის კერები, თბილისი, 1990 წ., ტ. 2

[32] კორნელი კეკელიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია", ტ. 1, 1960 წ., თბილისი, გვ. 83.

[33] ეპ. კირიონი, „„ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში", 1910 წ., თბილისი, გვ. 3 (შემდეგში ასე მოვიხსენიებთ: ეპ. კირიონი, დასახელებული ნაშრომი).

[34] Лавр. Летоп.

ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 4. გვ. 12-13.

[35] იქვე. გვ. 80—81; Г. Л. Шлецерь. Несторь. Русския летописи на древнеславянском языке. пер. Д. Языкова. Спб. 1809 г., ч. I. стр. 217—219; Н. М. Карамзин. История Государства Россійскаго. т. I. прим. 143;

ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 4.

[36] „ქართლის ცხოვრება", ნაწ. 1, გვ. 168.

[37] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, გვ. 189.

[38] მ. პ. საბინინი, „საქართველოს სამოთხე", 1882 წ., გვ. 463.

Синаксарь на 1-ое октября и Грузин. годичная минея;

ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 6.

[39] Записки Имп. Одесского общества Истории и Древностей. т. XIII. стр. 25;

ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 6.

[40] ქართული საეკლესიო სადღესასწაულო წიგნი, მოსკოვი, გვ. 162.

[41] პროკოფი კესარიელი „მეომართა ისტორია", თარგმ. დესტუნისისა (რუსულ ენაზე), გამოც. 1, გვ. 56; ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 4.

[42] პროფ. ე. ფ. შმურლო, „მე-6 საუკუნე და მისი მნიშვნელობა რუსეთის ისტორიაში" (რუსულ ენაზე), გვ. 22; ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 54.

[43] პ. ს. სოლოვიოვი, რჩეული თხზულებანი, ტ. 4 (რუსულ ენაზე), გვ. 65; ეპ. კირიონი დასახ. ნაშრ. გვ. 54.

[44] მიტროპოლიტი მაკარი „რუსული ეკლესიის ისტორია", ტ. 8 (რუსულ ენაზე), გამოც. მე-2. გვ. 345-346; ეპ. კირიონი, იქვე

[45] ნიკოლოზ ბერდიაევი, „რუსეთის ბედი", (რუსულ ენაზე), 1918 წ. მოსკოვი, გვ 1.

[46] ნიკოლოზ ბერდიაევი, იქვე.

[47] ვ. ო. კლიუჩევსკი, „ლექციები რუსეთის ისტორიაზე", ნაწ. I (რუსულ ენაზე), გვ 255-256; ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 56.

[48] ბიზანტიის ქრონიკები, ტ. 1, გვ. 153-144; ეპ. კირიონი, დასახ. ნაშ. გვ. 56.

[49] ს. მ. სოლოვიოვი, „რუსეთის ისტორია" უძველესი ხანიდან (რუსულ ენაზე), წიგნი I. გვ. 1471; ეპ. კირიონი, დასახ ნაშრომი, გვ. 5.

[50] ს. მ. სოლოვიოვი, რუსეთის ისტორია, (რუსულ ენაზე). წიგნი II. გვ. 110. მ. ეპ. კირიონი, არქიმანდრიტი იგივე.

[51] ს. მ. სოლოვიოვი, რუსეთის ისტორია (რუ-

სულ ენაზე), წიგნი II, გვ. 1102; ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 64.

[52] არქიმანდრიტი თეოდოსი, „პალესტინის ბერ-მონაზვნობა 4-6 საუკუნეში", გვ. 101; ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 69.

[53] ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962 წ., თბილისი.

[54] იქვე, გვ. 48.

[55] «Грузинский духовный вестник», 1864 г., № IV; გვ. 162-163; ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

[56] არაბეთის ენციკლოპედია, შიხაბ-ედდინ-ელკალკაშანდი (ქრისტეშობიდან 1418 წ. აღმ. — დას. გამც. რუს. არქივი საერთო. 1886-1887 წ. (რუსულ ენაზე) ტ. 1, გამოც. III, გვ. 208-216; ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 79.

[57] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1966 წ., თბილისი, ტ. 8, გვ. 267-268.

[58] ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 74.

[59] პროფ. ა. ა. ცაგარელი, „ქართულ სიძველეთა ძეგლები" წმ. მიწაზე და სინაზე", გვ. 58-59; ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 74-75.

[60] იქვე, ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 75-76.

[61] ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

[62] ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", 1966 წ., თბილისი, ტ. 8, გვ. 465.

[63] ნ. დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი, ჟურნ. „განთიადი", 10, 1990 წ., გვ. 35.

[64] ედიშერ ჰელიძე, „ეკლესია-სძალი უფლისა", 1900 წ., თბილისი, გვ. 93.

[65] ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 116.

[66] ივანე ჯავახიშვილი, „საქართველოს საზღვრები"; ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები, 1989 წ., თბილისი, გვ. 6.

[67] იხ. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 266, 311.

[68] Б. Е. Голубинский. История Русской церкви, изд. второе, 1904 г. перв. пол. I. стр. 119.

[69] De Bello Persico, I, 15; ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, II, გვ. 26; გ. გოზალიშვილი, ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან, თბილისი, 1965 წ., გვ. 80-81.

[70] [illegible] № 2, 1978 წ., გვ. 9.

[illegible]

[72] [illegible] № 2, 1982 წ., თბილისი, გვ. 33-34.

[73] ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962 წ., თბილისი, გვ. 118.

[74] ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 249.

[75] ივანე ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 49.

[76] ენციკლოპედიური ლექსიკონი შედგენილი ბროკჰაუზისა და ეფრონის მიერ (რუსულ ენაზე), ტ. 24, გვ. 722-723.

[77] ბორის კანდელაკი, „ათონი, ჯვარი, პეტრიწონი", 1980 წ., თბილისი, გვ. 38.

[78] „ქართლის ცხოვრება", I, გვ. 197-210.

[79] თენგიზ ბუაჩიძე, ლიტერატურული წერილები, წიგნი მეორე, 1970 წ., თბილისი, გვ. 281.

[80] იხ. ი. ცინცაძის გამოკვლევა „რუსული თქმულების „დინარას" საკითხისათვის", გვ. 50-93.

[81] ლ. ს. შეპელიოვა, „კულტურული კავშირები საქართველო-რუსეთს შორის მე-10-17 საუკუნეებში" (რუსულ ენაზე), სსრ მეცნიერებათა აკადემიის ძვ. რუსული ლიტ-რის განყოფილების შრომები, ტ. 9, 1953, გვ. 307-312.

[82] ნ. კ. გუძი, ძვ. რუსული ლიტერატურის ისტ. (რუსულ ენაზე), 1956 წ., გვ. 307-312.

[83] იხ. თ ბუაჩიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 259.

[84] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, 1983 წ., თბილისი, გვ. 258.

[85] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 635, გვ. 415; ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 254.

[86] მ. ნ. ტიხომიროვი, „სსრკ ისტორიის წყარო-შესავლები", წიგნი I, (რუსულ ენაზე).

[87] ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 64-65.

[88] იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი 6, თბ., 1973 წ. იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (9-10 სს.) თბ., 1963 წ.

[89] ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 113-114.

[90] კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1980 წ., თბილისი, ტ. I, გვ. 460.

[91] ეპისკოპოსი პორფირი უსპენსკი, „წიგნი ყოფისა ჩემისა", (რუსულ ენაზე), ნაწ. I, გვ. 597; ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 371.

[92] ათონ. ივერ. მონასტ. 1074 წ. ხელთნ. ალაპ. გვ. 294-295; ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 385.

[93] „ქართლის ცხოვრება", ტ. 4, 1973 წ., თბილისი, გვ. 421-422.

[94] ნ. ი. კოსტომაროვი, რჩეული თხზულებანი, წიგნი I, (რუსულ ენაზე) გვ. 270; ეპ. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 115.

[95] ნ. ი. კოსტომაროვი, იქვე, წიგნი I, გვ. 273.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობილ ქართველ კრიტიკოსსა და ლიტერატურათმცოდნეს, პროფესორ აკაკი თოფურიას დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. „ცისკრის“ რედაქცია ულოცავს საიუბილეო თარიღს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

## აკაკი თოფურია

# სტუდენტობა — ოქროს „საბადო“

(ნაწყვეტი მოგონებათა წიგნიდან)

1935 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული მისაღები გამოცდები საკონკურსო წესით ხდებოდა და მერე როგორი! ფილოლოგიის ფაკულტეტზე (ასევე სხვებზეც) შემსვლელს უნდა ჩაებარებინა 8 საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა-ზეპირი), მათემატიკა (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია — წერითი), ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. ერთადერთ შეღავათად გვეთვლებოდა ის, რომ მათემატიკური სამი საგნიდან ერთი საერთო ნიშანი გამოყავდათ და ორნახევარი ქულა რაოდენობაში შედიოდა.

პროტექტორი ვინ უნდა მყოლოდა, ან რეპეტიტორი, ასეთი ცნებები, ისე როგორც ქრთამი და მექრთამე, მთელი ჩემი სტუდენტობის ხანაში არც არავისგან გამიგონია და მაშინდელ საზოგადოებაში, მგონი, არც იყო „პრესტიჟული“. ამავე დროს არც გამოცდები იყო იეზუიტური, აბიტურიენტს ცოდნის გამოვლენის ნორმალური პირობები ჰქონდა შექმნილი. ამიტომ კონფლიქტური სიტუაციები ნაკლები იყო, გულისხმიერება კი — მეტი. ორ დეტალს მოგაწვდით და თქვენ თვითონ დაასკვენით.

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ 1935 წელს უნივერსიტეტში აკაკი შანიძე იყო. ხშირად ყვითელი ფერის ჭილოფის ქუდი ეხურა, დამრგვალებული სავსე პირისახე ჰქონდა, თმა ქერა, გრუზად დახუჭუჭებული, ღილებიანი თეთრი პიჯაკი ეცვა გარეთა ფართო ჯიბეებით. წერითი მუშაობის დროს ჩამოივლიდა აუდიტორიაში მერხებს შორის და სათვალეებიდან ირიბად აცქერდებოდა აბიტურიენტთა ნაწერებს. მისი ფეხის ხმაც კი არ ისმოდა, ისე ნელა და ფრთხილად ადგამდა ნაბიჯებს. მერე კომისიის განაბულ წევრებს ჩურჩულით რაღაცას გადაულაპარაკებდა და გავიდოდა ოთახიდან, სადაც სიწყნარის და სიჩუმის ხელსაყრელი ატმოსფერო სუფევდა. გონებაში თუ რამ გელაგა, შეგეძლო ადვილად მოგეხმო, სიტყვა და აზრი მოგეძია, ასე გვიმსუბუქდებოდა უმძიმესი ფსიქოლოგიური დატვირთვა.

2. მაპროფილებელი საგნის წერაში 5 და ზეპირში 4 რომ მივიღე, მეგონა მეშვიდე ცაზე უკვე ასული ვიყავი. ტანგეს-კოტანგესის აბლაბუდაში კი ისე გავიხლართე, ტრიგონომეტრიის ფურცელი თითქმის შეუვსებელი დამირჩა. სამაგიეროდ, ალგებრის და გეომეტრიის ამოცანებს თავი როგორღაც გავართვი, მაგრამ შიში მეუფლებოდა. წერა ჩატარდა პირველი კორპუსის 104-ე აუდიტორიაში, რომელშიც მერხები ქანდარისებურად იყო დალაგებული. გამომცდელებს მაღლიდან დავყურებდით. ნაწერების ჩაბარებისას ერთმა თეთრთმიანმა გამომცდელმა უმალ შენიშნა, რომ ერთი საგნის ფურცელი ბოლომდე შევსებული არ მქონდა. იქვე გადაიკითხა სხვა ფურცლებიც (მაშინ არავითარი საიდუმლო შიფრები არ არსებობდა), გაასწორა და მკითხა:

— ტრიგონომეტრია რას ეწოდება?

— გეომეტრიის ის ნაწილია, რომელიც სამკუთხედების გვერდების და კუთხეების თანაფარდობას სწავლობს მეთქი — ვუპასუხე.

— მერედა, სწორედ თანაფარდობის გამოყვანა დაგვიწყებიათ. — მითხრა და გაეღიმა. თავი მორცხვად ჩავღუნე. ეს ნიშნავდა უცოდინარობის შეგრძნებას (და არა მის გამართლებას ექიდნური უტიფრობით). იმ კეთილშობილმა იქვე, ჩემ თვალწინ, სამივე ფურცლის საერთო ნიშანი გამოიყვანა და საგამოცდო წიგნაკში წითელი ფანქრით ჩაწერა არც მთლად სამი და არც მთლად ორი. გადამარჩინა. ასეთი შემთხვევები სხვებთანაც იყო. ანგარებით ზრახვას ვინ გაივლებდა გულში, ნაბიძგება კი ჩვეულებრივ ადამიანურ ქცევად ითვლებოდა.

25 აგვისტოს უნივერსიტეტის ეზოში, სტენდზე, ჩარიცხულთა სიების ქვემოთ, მოულოდნელად გამოკრული იყო ისტორიის, ფილოლოგიის, ბიოლოგიის და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტთა დეკანატების განცხადებები იმ აბიტურიენტთა საყურადღებოდ, რომლებიც სიებში არ იყვნენ მოხვედრილი. ყველა ესენი მეორე დღეს, 26 აგვისტოს, დილის 9 საათზე უნდა გამოცხადებულიყვნენ თავთავიანთ დეკანატებში. არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იცოდა, რისთვის ან რატომ. მოწყენილობას მოუსვენრობა ემატებოდა, მოუსვენრობას — დალვრემილობა, ხოლო ყოველივეს ერთად — გაუგებრობა და გაოგნებულობა.

1935 წლის სექტემბრიდან მთელ ქვეყანაში და, ცხადია, საქართველოშიც ხორციელდებოდა საყოველთაო-სავალდებულო შვიდწლიან განათლებაზე გადასვლის ერთიანი პოლიტიკა, რამაც პედაგოგიური კადრების მომზადების სწრაფი გაზრდა მოითხოვა. სწორედ იმ ხანებში ახლადდაარსებული თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის ოთხი ფაკულტეტის — ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, საბუნებისმეტყველო და ფიზიკა-მათემატიკის დაკომპლექტება მოხდა უნივერსიტეტის ბაზაზე, რითაც იგი ფაქტობრივად მის განაყოფად იქცა.

უკანასკნელ დრომდე, უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღების აღნიშვნისას, როცა მიუთითებდნენ მისგან წარმოქმნილ უმაღლესი სასწავლებლების კერებზე, ნაკლებად იგრძნობოდა რაიმე მინიშნება ამ ფაქტზე. ეს გამოვლინდა 1988 წელს გამოცემულ ორასგვერდიან წიგნშიც „თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი“ (ადრე ამავე ინსტიტუტის შრომებში (1962, ტ. 16, გვ. 5) მხოლოდ გაკვრით, თითქოს შეფარვით მაინც იყო ორიოდე სიტყვა ნათქვამი ფაქტის რეალობაზე). სინამდვილეში კი მდგომარეობა ასე იყო.

ზემოაღნიშნული ფაკულტეტების დეკანატებში გამოცხადებულ სტუდენტებს 26 აგვისტოს მიმართავდნენ ერთადერთი კითხვით: აქვთ თუ არა სურვილი სწავლა განაგრძონ თბილისის ახლადგახსნილ ორწლიან სამასწავლებლო ინსტიტუტში, სადაც პირდაპირ ირიცხებოდნენ დადებით ქულიანები თავისი ნახევარკუდებით, ხოლო ე. წ. შიშველი ორიანებისათვის მხოლოდ ერთ საგანში ეწყობოდა გამოცდა. ამასთან იქვე იუწყებოდნენ, რომ სასწავლო პროცესს გაუძღვებოდნენ უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები და რომ ეს პროცესი წარიმართებოდა ოთხწლიანი პედაგოგიური ინსტიტუტის შემოკლებული პროგრამით, რომელშიც მშობლიური ენის, ლიტერატურის და ისტორიის საათების რაოდენობა საკმაოდ იყო გათვალისწინებული.

მიუხედავად ასეთი ინფორმაციული ცნობების მიწოდებისა, მეტიჩრებს და კუდაბზიკებს რა გამოლევდა მაშინაც, ნუცას სკოლაში რა გვინდაო და ზოგიერთები ცხვირაბზუებულნი გამოდიოდნენ დეკანატებიდან. ასე იყო რექტორატის გასწვრივ გადატიხრული დერეფნის ერთ ვიწრო ოთახში მოთავსებულ ჩვენს დეკანატშიც. მაგრამ უმრავლესობა კმაყოფილებით ეთანხმებოდა.

უნივერსიტეტიდან ინსტიტუტის დროებით სადგომში — ყოფილი მეორე საცდელ-საჩვენებელი სკოლის შენობაში (ახლანდელ დ. უზნაძის ქუჩაზე, № 52) ასობით აბიტურიენტთა პირადი საქმეების გადატანა, მათი დალაგება ფაკულტეტების, ჯგუფების მიხედვით, ჟურნალების შედგენა და სხვა ასეთი „შავი სამუშაოები“ სწრაფ მოქმედებას მოითხოვდა და, უნდა ითქვას, ყველაფერი ეს ჩარიცხულ პირველკურსელთა გარკვეული ნაწილის აქტიური მონაწილეობით მოხდა. სულ ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ორ ჯგუფში 90-ზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა. ამისთვის მარტო უნივერსიტეტის კონტიგენტი, ცხადია, საკმარისი არ იქნებოდა. ამიტომ დამატებითი მისაღები გამოცდები ჩატარდა ოთხივე ფაკულტეტზე. ასე ჩაეყარა საფუძველი უნივერსიტეტის განაყოფ ახალ კერას, რომლიდანაც წამოიზარდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგური ინსტიტუტი.

გაზეთ „კომუნისტის“ 1987 წლის 20 თებერვლის ნომერში (№ 44), გარდაცვალებამდე სამი კვირით ადრე, აკადემიკოსი ა. შანიძე, რომლის უშუალო მონაწილეობით მოხდა ინსტიტუტის დაარსება, მის ორმოცდაათი წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით მისასალმებელ მილოცვაში პირველად აღნიშნავდა: „თქვენი ინსტიტუტი თბილისის უნივერსიტეტის განაყოფია. მახარებს მისი წარმატებები ახალი თაობის აღზრდისა და მეცნიერების განვითარების დარგში“. ვფიქრობთ, ეს ამონაწერი ზემოთმოტანილი მცირე მოგონების უტყუარი დადასტურებაა.

მოკლე დროში, სულ რაღაც ექვს თვეში, აშენდა ინსტიტუტის სამსართულიანი ახალი კორპუსი (მეოთხე სართული შემდგომ დაემატა), რომელიც ახლა დაფარულია ილია ჭავჭავაძის პროსპექტიდან ახალი ოთხსართულიანი შენობის ძველთან შეერთებით. მის ადგილზე წინათ დიდი ეზო იყო და ჩვენი წითელაგურებიანი კორპუსი შორიდანვე ჩანდა. სასწავლო მეცადინეობა ყოფილი მეორე საცდელ-საჩვენებელი სკოლიდან გადატანილ იქნა ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე 59-ე (ამჟამად 56-ე) საშუალო სკოლის შენობაში, სადაც საღამოს 5 საათიდან ინსტიტუტს ეკავა 14 საკლასო ოთახი. 1936-1937 სასწავლო წელს ლექციები სკოლაშიც გვიტარდებოდა და ინსტიტუტის საკუთარი შენობის პირველ და მეორე სართულებზეც (მესამე სართული სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს ეკავა). მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, სასწავლო პროცესი ერთხელაც არ ჩაშლილა.

ჯგუფხელების მეშვეობით ჟურნალებში დასწრების აღრიცხვა სისტემატურად ისე წესიერად წარმოებდა, არც არავის მოუვიდოდა აზრად უმიზეზოდ გაცდენა და არც არავინ შეეცდებოდა ჯგუფხელის შეცდომაში შეყვანას. მისი ავტორიტეტი დეკანატის მიერ იყო ამაღლებული, ხოლო დეკანატის დავალების შეუსრულებლობა სტუდენტური მოვალეობის დარღვევად ითვლებოდა. ეს შეგნება პირველი დღიდანვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინერგა და შესრულება მოთხოვნილებად იყო ქცეული. დასწრება სავალდებულო იყო არა იმისთვის, რომ ჟურნალში ფიქსირებით აღრიცხვის ფორმალური მხარე დაეცვათ. ეს მოჩვენებითობის საფარი იქნებოდა, რასაც ბრძოლა ჰქონდა გამოცხადებული.

მთავარი იყო სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიური ჩაბმა. სახელმძღვანელოების უქონლობის ვითარებაში ამოცანად იყო მიჩნეული ყოველი ლექციის დაკონსპექტება, ყურადღების მობილიზება და სათანადო ჩანაწერების გაკეთება, რათა მაქსიმალურად გამოგვეყენებინა სამეცადინო დრო შემჭიდროებულ ვადებში სპეციალობის დაუფლებისათვის. მაშასადამე, სწავლის მიზანი განაპირობებდა მისი მიღწევის გზებს, შინაგანი შრომითი დისციპლინა — დასწრების აუცილებლობას.

მაგრამ ამ წესის დანერგვა შეუძლებელი იქნებოდა ლექტორთა მაღალკვალიფიციური კადრების გარეშე. ვინ გაუთქვა სახელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს? უწინარესად, მისმა ფუძემდებლებმა, პროფესორ-მასწავლებელთა პირველმა თაობამ. მეცნიერების დედატაძრისკენ ლტოლვის და მისწრაფების საზომი ბარომეტრი მარტოოდენ ლურჯთეთრად მოქათქათე კედლები და გუმბათი კი არ იყო, არამედ იქ მოღვაწე სწავლულები, მათი ბაგეებიდან წარმოთქმული აზრების სიდიადე, ლეგენდებად ქცეული მათი სახელები. „ნუცას სკოლაში" ვინ იყვნენ? რამდენად გამართლდა დაპირება?

ო, ბედმა გაგვიღიმა. ვისაც უნარი და ინტერესი ჰქონდა, მთელ ცხოვრებაში წარუშლელ კვალად დააჩნდა ინსტიტუტში გატარებული ხანა, დრო — სავსე მშფოთვარებით, ძიებებით, დაუცხრომელი სწავლით. ჩვენ ხომ კურსდამთავრებულების გამოშვების პირველი ნაკადი ვიყავით, ისტორია ჩვენგან იწყებოდა. ხომ გაგიგონიათ ფიგურალურად ნათქვამი: სჯობს იყო სოფელში პირველი, ვიდრე რომში მეორეო. ნეტავ იმ სტუდენტურ ხანას, მეცნიერული დარგების კორიფეთა იმ ლექციებს, ახალი კორპუსის სხვენზე საგამოცდო საგნების კოლექტიური მომზადების იმ ამხანაგურ განწყობილებას და ერთსულოვნებას!

სხვენი! აი, ეს იყო აღმოჩენა! ბოლო სართულიდან თავისი სახანძრო კიბით და სახურავიდან ჩამოსული შუქჩრდილებით. ჩვენ-ჩვენი კონსპექტების, წიგნების, ჩანაწერების ურთიერთ შეჯერებით, შევსებით, აზრების შეხსენებით და ჩაღრმავებით. თქვენ გეძახით და გიხმობთ: ნიკოლოზ ბაჯელიძეს, პომპეი ქორიავას, გურვასი ცხადაძეს, აპოლონ როგავას, გულნარა დათუაშვილს, მაყვალა ტუხაშვილს, ლადო ბიბილეიშვილს, სხვებს და სხვებს, სადაც არ უნდა იყოთ, ქვესკნელში თუ ზესკნელში, მომაწვდინეთ თქვენი ხმა და დამიდასტურეთ, რომ ყველაფერი ეს ასე იყო, რომ ზოგჯერ სხვენსაც კი ვიყენებდით ცოდნის შესაძენად და გონების განსავითარებლად.

ახლა ყოველნაირი სახელმძღვანელოების ფუფუნებაში ჩაფლულნო, ნამდვილი სწავლა მაინც რომ არ უნდათ, არ სჯერათ, არაფერი არ სჯერათ, და იმასაც ვერ წვდებიან, რომელ მიკროწრეზეა ლაპარაკი. არა „არისტოკრატებზე", რომელთაც ბინები ნაქირავები ჰქონდათ, არამედ იქვე, მესამე სართულის საერთო საცხოვრებელში მცხოვრებთა და მათთან დაახლოებულ ვიწრო ჯგუფზე. ინდივიდების ასეთი ვიწრო ჯგუფებიდან იქმნებოდა სტუდენტთა კურსის მთელი პლეადა.

რა თქმა უნდა, კონსპექტი არ წარმოადგენდა ერთადერთ წყაროს. მაგრამ ნაბეჭდი პროგრამების უქონლობის სტადიაზე, საჯარო ბიბლიოთეკის გონივრული გამოყენების შემთხვევაში, იგი გეზსა და მიმართულებას გვაძლევდა, გვაჩვევდა შრომას და გვასწავლიდა ლექტორის როლის დაფასებას. ამიტომ ლექციების მოსმენაში ხელშეშლა ცილდებოდა სტუდენტური ეთიკის ფარგლებს და ყოველი ასეთი გამოვლინება კურსის კომკავშირული ბიუროების მსჯელობის საგნად იყო გადაქცეული. ერთადერთი გამონაკლისი ამ მხრივ მაშინ იყო დაშვებული, როცა ახალბედა, დამწყები ლექტორი თვით იყო მიჯაჭვული თავისი საგნის წინასწარ შედგენილ კონსპექტს. ასეთი რამ მართლა შეინიშნებოდა კამოს ქუჩაზე სასწავლო მეცადინეობის პირველ ხანებში და ისიც მხოლოდ ერთ საგანში — საშუალო საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურაში (ასე ეწოდებოდა), რომელზედაც მასალების დაძებნა და სისტემატიზაცია იმდროისათვის არც ისე ადვილი იყო.

მართალი გითხრათ, იმდენად ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში იმ ერთი საგნის მძიმე შთაბეჭდილება და, მეორე მხრივ, იმდენად ძლიერი იყო მისაბაძად სხვათა ზეპირი ლექციების შთამაგონებელი ძალა (ახლა სულ სხვაა, ლექცია დიალოგად მოინათლა, დიალოგი — მიტინგობად...), ორმოცი წლის ჩემს სალექციო პრაქტიკაში არც არასოდეს გამომიყენებია წერილობითი ფორმა. თუ რამ გამომყვა და გამომაჩნდა ოდნავ ღირებული ამ სფეროში, მისი საწყისები, აი, იქიდან, ჩვენთან მოწვეული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, კორიფეთა საუკეთესო ტრადიციებიდან მოდის.

ეჰ, წელთა სიმრავლით დახუნძლულს, ვინ დამიბრუნებს ახალგაზრდულ აღმაფრენას, ან ვინ მომიხმობს მერცხლებივით მოჟღურტულე ჩემი სოფლის სირინოზებს, რათა მიახლოებით, შტრიხებით მაინც გაგრძნობინოთ იმ შორეული, დავიწყებული ტრადიციების „სხივმოსილება", იმ სახელოვანი ადამიანების მდუმარე აჩრდილებთან უწყვეტი სულიერი კავშირის აუცილებლობა.

ზოგადი ენათმეცნიერების შესავლის კურსს რომ გვიკითხავდა, გიორგი ახვლედიანი (1887

ეროვნული ბიბლიოთეკა

1978) პირველი იყო, ვინც თავისი უჩვეულო კოლორიტული დიქციით ერთბაშად ისე მოგვხიბლა, რომ იტყვიან, პირში თითქოს ყველას წყალი ჩაუდგაო. პირდაპირ არტახებივით „მიგვაკრა“ ლექციასთან, ძალაუნებურად დაგვაწყებინა ფიქრიანი მუშაობა — მოსმენა და წერა. აბა, გეცადა ყურადღების გაფანტვა! პირველი შეხვედრის წუთებიდანვე საგრძნობი გახდა, მერხებისკენ მიპყრობილი მისი მზიანი მზერა წვდებოდა და ამჩნევდა წინიდან ბოლომდე თითოეული ჩვენგანის ოდნავ საეჭვო რხევასაც კი და ხმის ინტონაციით ახდენდა ისეთ შეფარვით რეაგირებას, თუ მთლად წყალწაღებული არ იყავი, უნდა მიმხვდარიყავი — უაზროა ზემოთმოტანილ მაგალითზე შემუშავებული ჩვევებით ჩემთან თანაარსებობაო, და ვხვდებოდით კიდეც.

დადგებოდა მაგიდის შუა კიდესთან ნაცრისფერ შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი სოლიდური აღნაგობის ის სულკურთხეული კაცი თეთრ პერანგზე მორგებული შავი ჰალსტუხით, ღიმილიანი პირისახითა და ნაოჭებიანი შუბლით, ოდნავ შევერცხლილი თმა-წარბებით და მარჯვენა ხელის აწევ-დაწევით ლაპარაკს რომ დაიწყებდა, მის ფართოდ გაღებული ბაგეებიდან წინადადებები და აზრები ისე ნელა, ისე ხალვათად, ისეთი უწყვეტი თანამიმდევრობით მოედინებოდა, არ გჭირდებოდა სიტყვების არავითარი შემოკლება, თავისუფლად შეგეძლო გადაგეტანა საერთო რვეულის ცალხაზიან ფურცლებზე. ივსებოდა და ივსებოდა ლექციიდან ლექციამდე, კვირიდან კვირამდე ეს ფურცლები, როგორც თითქოსდა დიდი თავყრილობის აუკინძავი ძვირფასი სტენოგრამა. მაგრამ ეს არ იყო კარნახი. ეს იყო გიორგი ახვლედიანის მწყობრი, დახვეწილი, ლაპიდარული მეტყველების ჩვეულებრივი სასაუბრო სტილი — პედაგოგიური ხელოვნების ნიმუში.

აზრების მწყობრი ლოგიკა არ არსებობს აზროვნების მკვეთრი ლოგიკის, ხოლო ორივე ერთად — საგნის ღრმა ცოდნის გარეშე. ჩვენ შორის მაშინ ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რომ გიორგი ახვლედიანის სახით ჩვენ წინაშე იდგა ქართული ენათმეცნიერული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის — ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი თანამებრძოლი, ფართო დიაპაზონის მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. მაშინ ჰალსტუხთან მკაფიოდ გამოკვეთილი მისი ღაბაბი უფრო გვაოცებდა და ლექციები გვიზიდავდა პრაქტიკული მიზნით — გამოცდის ჩაბარების გაადვილებისათვის.

ამიტომ ლექციების შემდეგ კონსპექტებში ხშირად ვიხედებოდით და ვიზეპირებდით ენათმეცნიერების ჩვენთვის მანამდე უცნობი დარგების სახელწოდებებს, კერძოდ, ლექსიკოლოგიის, სემასიოლოგიის, ეტიმოლოგიის განმარტებებს, რომ ოდესღაც სიტყვა ცხედარი თურმე საწოლ ტახტს ნიშნავდა, ახლა კი — მიცვალებულს, მედგარი — მზაკვარს, ახლა კი — შეუპოვარს და მამაცს, რომ არსებობენ სინონიმთა, ომონიმთა და ანტონიმთა ჯგუფები, არქაიზმები და ნეოლოგიზმები, სიტყვათწარმოების წესები და კანონები, მათი წარმოშობის თეორიები და ა. შ. და ახლა ყველა ჩემი მაშინდელი ამხანაგების სახელით ქედს ვიხრი ბატონი გიორგის ხსოვნის წინაშე.

აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის იმ სამეცნიერო საბჭოს წევრი იყო, რომლის სხდომაზე 1968 წლის 11 დეკემბერს ჩემი სადოქტორო დისერტაციის საჯარო დაცვა შედგა. ესწრებოდა როგორც წევრი და მომილოცა კიდეც დაცვის შედეგი. ამის შემდეგ უნივერსიტეტში ერთად მუშაობისა და ურთიერთობების ეპიზოდებიდან ყველაზე მტკივნეულია მოსაგონებლად 1969 წლის 19 აპრილი. პირველი კორპუსის ამაღლებულ შესასვლელთან ჯოხით და თავისი განუშორებელი პორტფელით რომ შემხვდა, გამაჩერა მზეს შეხედა და რაღაც დაღონებით მითხრა:

— ყველაფერი მიმავალია ამ ქვეყნიდან მზის გარდა. შეხედე როგორ ბრწყინავს, თითქოს პირველად ვხედავდეო.

— აპრილის მზეა, ბატონო გიორგი, გაზაფხული გვეწვია ყვავილებით, ხომ არ ინებებთ ბაღის ბილიკებზე გასეირნებას-მეთქი.

— არა, — მიპასუხა გადაჭრით, — მუხლები არ მემორჩილება ძველებურად, რომ ამოდიოდი, დაგინახე, ეგერ ფოტოგრაფია, დაუძახე და გადაგვიღოს ერთად სურათიო.

არ მოველოდი ასეთ სურვილს და არც ფოტოგრაფის იქ ახლო ყოფნა მეგულებოდა. ადრინდელ კურსდამთავრებულთა შეკრების გადასაღებად მოუწვევიათ და დარჩენილა ცოტა ხნით. ის იყო ჩავირბინე კიბეები და ფოტოგრაფი ამოვიყვანე, კარებთან გამოჩნდნენ გეოფიზიკის კათედრის გამგე, აწგანსვენებული პროფ. მიხეილ ნოდია და ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, პროფ. პროკლე კველიძე, შეჩერდნენ, ბატონ გიორგის მიესალმნენ და რომ გაიგეს მისი სურვილი, დიდი სიამოვნებით შემოგვიერთდნენ. ეს სურათი ახლა ჩემ წინ დევს და ბატონ გიორგის მზისკენ მზირალ ნაღვლიან სახეს რომ დავცქერი, გუმანით ვხვდები, იგი მაშინ წინასწარ გრძნობდა დაუძლურების მოსალოდნელ შედეგს და, მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ იქვე, უნივერსიტეტის ეზოში დაიდო სამუდამო ბინა.

ასეთი სასუფეველი ადრე მიეკუთვნა კორნელი კეკელიძეს (1879-1962) — უნივერსიტეტის დამფუძნებელთა შორის თავისებურ ფიგურას, ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ორტომიანი წიგნის ავტორს, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ერთ-ერთ პირველ დეკანს, ბიბლიის მსახურს და ქომაგს. მისი ყოველი გამოჩენა 1935-1936 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ახალი კორპუსის წინა ეზოში ჩვენ-

თვის დღესასწაული იყო. ფანჯრებიდან რომ დაინახავდნენ სტუდენტები, უმალ აუდიტორიისაკენ მიეშურებოდნენ. გაერთიანებული ორი ჯგუფი — 90-ზე მეტი სტუდენტი — ვერ ეტეოდა ოთახში, მაგრამ გაცდენას არავინ აპირებდა. ისხდნენ ისე მიჯრით და შეკრულად, ნემსი რომ ჩაეგდოთ, არ ჩავარდებოდა. ზოგი ფეხზეც იდგა. სამაგიეროდ, ჩაწერა ყველას არ შეეძლო. ხუთიდან ერთს ჰქონდა მინდობილი, ის ერთი ყოველ ახალ შეხვედრაზე იცვლებოდა და, ასე და ამრიგად, მორიგეობით იწერებოდა კონსპექტები. 1924 წელს გამოცემული მისი წიგნები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა.

განსხვავებით გიორგი ახვლედიანისაგან, კორნელი კეკელიძეს ჩვენ დროს წესად ჰქონდა მაგიდასთან ჯდომა და ისე ლაპარაკი. ამიტომ ხუმრობით მის საუბრებს სტუდენტებმა „მჯდომარე ლექცია" შეარქვეს. მაგრამ ეს იყო აკადემიური ცოდნის რაღაც დაუშრეტელი საწყაულის განსახიერება, თხრობის ერთ ტონში მოქცეული ძველი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების მშვენიერი მთლიანი გამა, რომლისთვისაც კი არ უნდა გეცქირა შორიდან. შენი ფიქრებით და არსებით უნდა მიჰყოლოდი ამბების გადმოცემას, რათა შეგეცნო, შეგეგრძნო და შეგეგრძნო მისი მსჯელობის მარტივ ფორმასთან შეერთებული უმდიდრესი და ულრმესი შინარსი. უმდიდრესი — ფაქტობრივი მასალებით, ულრმესი — ახსნით და ანალიზით.

დაირეკებოდა ზარი და ოდნავ წელშიმოხრილი, ჯოხით ხელში, ნელი ნაბიჯებით გავიდოდა აუდიტორიიდან სახეგაბადრული, ბიბლიური სათნოებით აღსავსე ადამიანი, რომელსაც ჩვენმა ეპოქამ ბედად შვილის ტრაგედიის სიმწარეც არგუნა და აკადემიკოსობის სიხარულის სიტკბოც.

დაბადების 100 წლის იუბილეს დღეებში უნივერსიტეტის ეზოში გადმოასვენეს საქართველოში ფსიქოლოგიური სკოლის, მსოფლიოში აღიარებული განწყობის თეორიის ფუძემდებელი დიმიტრი უზნაძე (1888-1950). იგი ჩვენი ინსტიტუტის პირველ ადგილსამყოფელთან ახლოს ცხოვრობდა, კამოს ქუჩაზე, (№ 91, ახლა ეს ქუჩა უზნაძის სახელს ატარებს). მისი ბინის პირდაპირ, მეორე მხარეზე, ლაბორატორია ჰქონდა მოწყობილი. 1950 წლის 9 ივნისს თავის სამუშაო კაბინეტში (ი. ჭავჭავაძის ქ. № 1) ტვინში სისხლის ჩაქცევის შედეგად ტახტზე უგრძნობლად იწვა და შესაძლებლობა მქონდა მცირედად მაინც მომეხადა ვალი — მედარაჯა მორიგეობით სხვებთან ერთად. მერე მისი ბინის აივნიდან მომესმინა უახლოესი მეგობრის — გიორგი ახვლედიანის მგრძნობიარე გამოსათხოვარი სიტყვა.

ფსიქოლოგიის ზოგადი კურსის რამდენიმე შესავალი ლექცია წაგვიკითხა დიმიტრი უზნაძემ პირველ სემესტრში და სამუდამოდ ჩამებეჭდა მისი ჰროლა, წვრილი თვალების არაორდინარული გამოხედვა. სახით პირდაპირ მზირალს ოდნავ არა ელამის, არამედ ალმაცერის იერს რომ აძლევდა. მუდამ მოუცლელი, ჩაფიქრებული, დიდი საკვლევი პრობლემებით დატვირთული — ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა მნახველში. მის მიერ დაწყებული კურსი შემდეგ განაგრძო ბატონმა რევაზ ნათაძემ. თვითონ ბატონი დიმიტრი ხანდახან გვესტუმრებოდა პრაქტიკულ-სემინარულ მეცადინეობებზე ლაბორატორიაში, სადაც ამ საქმეს მისი ასისტენტი ბარნაბა ხაჭაპურიძე ხელმძღვანელობდა.

ვისაც სიმონ ყაუხჩიშვილის (1895-1981) „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის" ათასგვერდიანი I და II ტომის 1949-1950 წლების გამოცემა უნახავს და გაუცვნია, დამემოწმება, ეს სახელმძღვანელო ნაყოფია ავტორის პედაგოგიური მუშაობისა, როდესაც უხდებოდა „ლექციების კითხვა ბერძნული ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე, როგორც სპეციალური ისე ზოგადი კურსის („ანტიკური ლიტერატურის ისტორია", „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია") ფარგლებში" (პირველი ტომის წინასიტყვაობიდან). ამ „პედაგოგიური მუშაობის" ბიოგრაფია ჩვენი ინსტიტუტიდან არ დაწყებულა,, მაგრამ მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს მაინც შეადგენდა, რადგან პატარა ზომის ბარათებიდან მოტანილი ციტატები მოწმობდა, ყველა ისინი მომავალი წიგნის „საშენი" მასალა იყო.

ბარათები ვახსენე, გინდა კარტოთეკები დავარქვათ, ეს ბერძნული ტექსტების ავტორისეული თარგმანებიდან ამოწერილი ციტატები იყო. იგი მაგიდაზე ელაგა. მიდი-მოდიოდა მაგიდის ირგვლივ, ყვებოდა, მსჯელობდა, ასახელებდა ციფრს და თარიღს, ავტორს და ნაწარმოების სახელწოდებას, ახასიათებდა ეპოქას, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების დაპირისპირებებს, და როცა ცხოვრების მთელი ამ მოვლენების ასახვასა და გაგებაში მწერლის როლის გარკვევის საკითხს მიადგებოდა, შეჩერდებოდა წამით, აიღებდა კარტოთეკას, წაიკითხავდა ციტატს, გადასდებდა განზე და კვლავ განაგრძობდა ვიწრო რადიუსში მოძრაობას და თხრობას. მაშასადამე, იშველიებდა მხოლოდ საილუსტრაციოდ, რამდენადაც საქმე შეეხებოდა უცხოურიდან, შორეული, უძველესი ძეგლებიდან ამოკრეფილ თარგმნით ტექსტებს.

აქ ერთმანეთთან შეერთებული იყო ტიტანური შრომა და დიდი პასუხისმგებლობა ლექციის მომზადებისა და ჩატარებისათვის, საბოლოოდ — სახელმძღვანელოს შექმნისათვის. მერედა, როგორ საგანში! ანტიკური, ჩვენს ერამდელი, ბერძნული მითოლოგიისა და ჰომეროსის დროიდან, ელინისტური და ბიზანტიური პერიოდების ჩათვლით.

გრიგოლ წერეთლის შემდეგ კლასიკურ ფილოლოგიაში სიმონ ყაუხჩიშვილი თავისი შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისმოუვარეობით შეუდარებელი იყო. იმ დროს, როცა ჩვენთან უხდებოდა სალექციო მუშაობა, შედარებით ახალგაზრდად გამოიყურებოდა: მკვირცხლი, გამჭვირვალე თვალები, მრგვალი, ფაფუკი სახე, ნესტოებთან კოხტად შეკრეჭილი ულვაში, გადავარცხნილი შავი თმა, მოქნილი, მოძრავი, ენერგიული, მსუყედ მოლაპარაკე.

არასოდეს მავიწყდება ჩემი სადოქტორო დისერტაციის დაცვის დღეს, საჯარო პაექრობის პროცესში, მისი გაცხარებული რეპლიკა არაოფიციალური ოპონენტის გამოხდომაზე, რაც სამეცნიერო საბჭოს სტენოგრაფიული ოქმის 28-ე გვერდზეა ფიქსირებული.

— „მე მინდა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ყურადღება მივაქციო ორ გარემოებას: 1. ჩვენ აქ მოვედით არა იმისთვის, რომ მოვისმინოთ რეცენზია დისერტანტის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ შრომებზე, 2. როცა თავმჯდომარე საპასუხო სიტყვის უფლებას მისცემს დისერტანტს, ვთხოვოთ მას უპასუხოს მხოლოდ იმ შენიშვნებს, რომლებიც სადისერტაციო ნაშრომს ეხება“.

ეს გამონათქვამი ისტორიის კუთვნილებაა. კონკრეტულ საგანზე კონკრეტული მსჯელობა ყოველთვის იყო ჭეშმარიტების დადგენის ნაცადი კრიტერიუმი, როცა უნივერსიტეტის მაღალ კიედესტალზე ახდაუბდის აცოცების ნიშნები გაჩნდა, ნამდვილი მეცნიერი წინ აღუდგა მაშინვე და თავისი პროტესტი დაგვიტოვა შეგონებად, შეხსენებად და გაფრთხილებად, რათა გზა გადაკეტოდა მეცნიერული პაექრობის გაყალბების ყოველგვარ ცდებს. სამწუხაროდ, ამგვარი აზრების ყურისმგდები, გამგები და მიმდევარი ცოტა დარჩა.

ამათ გარდა, უნივერსიტეტიდან ჩვენთან მუშაობდნენ და გვასწავლიდნენ: რუსულ ენას — დიმიტრი მგელაძე, რუსულ ლიტერატურას — ანა ჩხეიძე, საქართველოს ისტორიას — სარგის კაკაბაძე, ლიტერატურის თეორიას — კონსტანტინე კაპანელი, პედაგოგიკას — შალვა სიხარულიძე და სხვ. რაც შეეხება მაშინდელ მარქსიზმ-ლენინიზმის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტეკონომიის ლექტორებს, ისინი ხშირად იცვლებოდნენ, ამიტომ ვერ ვახერხებ სიზუსტით აღდგენას. (და, მგონი, არც არის საჭირო).

ჩვენი პროფესიული სპეციალიზაციისა და პედაგოგიზაციის პროცესს ქართულ ენასა და ლიტერატურაში უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ვარლამ თოფურია (1901-1965) და მიხეილ ზანდუკელი (1889-1968) — ორივე თავთავიანთი საგნის სწავლების მეთოდიკური სათავეების თვალსაჩინო წარმომადგენლები, ცალ-ცალკედ, ფილოლოგიური თვალსაზრისით, ორივე დიდი სპეციალისტი, ორივე — უპირველესად პედაგოგები ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. მომთხოვნელობა, სიმკაცრე, ობიექტურობა, გულისხმიერება, ამ პრინციპებით აღიზარდნენ ისინი და ამითვე გვზრდიდნენ ჩვენ.

როგორც ბატონი ვარლამი, ისე ბატონი მიხეილიც გულს აქსოვდნენ სტუდენტებთან მუშაობაში, მონდომების მცირედსაც დაგიფასებდნენ, მაგრამ შინაგან მრწამსს არ ღალატობდნენ, არ გაპატიებდნენ უნარის, შესაძლებლობის და შექმნილი პირობების გამოუყენებლობას, სიზანტეს და ფუქსავატობას.

საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით პროფ. ვ. თოფურიასათვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო ცარცით ხელში დაფასთან პირისპირ დგომა, ლექციის პროცესში მას მხოლოდ იმ მცირე მანძილის დაფარვა უხდებოდა, რაც მაგიდასა და დაფას შორის არსებობდა. ჩვევად ჰქონდა შუბლზე ჩამოყრილი თავისი გრძელი თეთრი თმის მარჯვენა ხელის არა დასვრილი თითებით, არამედ მაჯის მტევნით ან მკლავის მოშველიებით ზევით აწევა, სათვალეებიდან კითხვის მოგებით გადმოხედვა, დაფაზე დაწერილს ყველა ხედავს თუ არაო. მისი კალიგრაფია ხომ გამორჩეულად ლამაზი იყო, და მაინც სიფრთხილეს იჩენდა, ცარცის ეფექტს ამოწმებდა.

ნეტავ არ დაგძინებოდა,
ჩიტო, ნიბლიავ, ნარზედა,
ჩამოგიქროლებს ალალი,
წაგიყვანს მაღალ მთაზედა.

ასეთი პოეტური წინადადება ხშირად იყო მისთვის მორფოლოგიურ-სინტაქსური გარჩევის, პრაქტიკული საჩვენებელი ვარჯიშის წყარო და საფუძველი. ჩვენი ჯგუფიდან ქართულ ენაში დაწინაურებულ სტუდენტებად ითვლებოდნენ რუსუდან სუხიაშვილი და მიხეილ ჩინჩალაძე და ისინიც, თითქოს ასისტენტები ყოფილიყვნენ, ბეჯითად, პრეფიქს-სუფიქსების, ზმნის მწკრივებისა დ კატეგორიების, სახელების ბრუნებადი და ფორმადი ნიშნების ჩაკირკიტალება-ჩაძიებით პირწმინდად იმეორებდნენ ლექტორის მიერ ახსნილ მასალას და ჩვენც, მათთან ერთად, აქტიურ სასწავლო პროცესში ვერეოდით. მოწინავე სტუდენტებზე დაყრდნობით ჯგუფის საერთო აკადემიური მომზადების ამაღლება. — ასეთი იყო ძირითად ასპექტში ვ. თოფურიას ლექტორული გამოცდილებიდან გამომდინარე ის დასკვნა, რომელიც მაშინ გვქონდა შემუშავებული.

სულ სხვანაირად გამოიყურებოდა მიხეილ ზანდუკელის, როგორც ლექტორის, ჩვევა-მანერა. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ლექციების ჩატარების დროს ის განუწყვეტლივ მოძრაობდა, დადიოდა ოთახის ერთი კედლიდან მეორისკენ, მერხებს შორის წინ და უკან, ზოგჯერ მაგიდასთან შეჩერდებოდა, ლაპარაკის შეუსვენებლივ გადახედავდა მსმენელებს — და ეს ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა მის წვრილ ხმას საიდანღაც დისონანსად ჩუმი, მაგრამ თავისთავად უცნაური ჩოჩქოლ-ხორხოცი

შეერთვოდა. უცნაური ე. ი. შეუთავსებელი, მოუთმენელი, აუტანელი. და უმალ გაისმოდა სიტყვები: „ყმაწვილო, შეგიძლიათ გარეთ განაგრძოთ“. და ისევ გრძელდებოდა მოძრაობაც და ლექციაც.

ჩვენდა გასაკვირად, ის ყმაწვილი, რომლის გვარი ან სახელი არ ცხადდებოდა, უსიტყვოდ გადიოდა ოთახიდან. გამოცანად მოგეჩვენებათ — როგორ შეიცნო, როგორ აღმოჩნდა პროფესორის ერთი ფრაზა ზუსტად ადრესირებული უკანა მერხის შუა წერტილის მიმართ? სწორედ მოძრაობა იყო მისთვის ის ხერხი თუ საშუალება, რომლითაც ჩვენდა შეუმჩნევლად აგნებდა ხელშემშლელ „კერას“, ლიტერატურულ ფაქტებსა და მოვლენებზე მსჯელობისას, თითქოს არც კი აქცევდა ყურადღებას, განზრახ განზე, ირიბულად ფანჯრებისკენ იცქირებოდა და როცა ასეთი ლმობიერი ღონისძიება ვერ აღწევდა მიზანს, როცა ხელშეშლა კვლავ მეორდებოდა, მაშინ მაგიდიდან, ცენტრიდან პირდაპირ მიპყრობილი მზერა და მკაცრი ტონით ნათქვამი სიტყვა „ყმაწვილო“, როგორც დაინახეთ, აუცდენლად ხვდებოდა „სამიზნეს“. დამნაშავე დგებოდა და არა სხვა ვინმე. ეს არ არის წვრილმანი.

მოტანილი შტრიხული მაგალითი მაღალი პედაგოგიური პროფესიონალიზმის ის დეტალია, რომელიც მ. ზანდუკელს მოყვებოდა თბილისის პირველი სანიმუშო სკოლიდან, სადაც 20-იან წლებში გამგე-დირექტორად მუშაობდა. მისი შეგირდები ახლაც სიყვარულით იხსენებენ ამგვარ დეტალებს, „ზანდუკელის სკოლისთვის“ დამახასიათებელ ნიუანსებს — როგორ გაეკრებოდნენ კედლებს დერეფანში დირექტორის გამოჩენისას. სწავლებასა და აღზრდაში სწორედ უარყოფით დეტალებსა და ნიუანსებში წვდომა, მათი დროულად აღმოფხვრაა წარმატების საწინდარი. ხანძარი ხომ სულ პირველად კვესის ან ასანთის უმცირესი ნაპერწკლიდან ჩნდება.

ერთ-ერთი საუბრისას კი პლატონის აზრი გაგვახსენა:

თუ მეწაღე ცუდი გამოდგება და თავის მოწაფეს ისევე ცუდად აღზრდის, როგორიც თვითონ არის, თუ ის თავისთავს მეწაღეს დაუძახებს მაშინ, როდესაც ამ ხელობაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს, სახელმწიფოს ამით დიდი ზარალი არ მოუვა. ათინელებს ფეხებზე ცოტა ცუდად ეცმევათ. — აი, ამის ერთადერთი შედეგი. მაგრამ თუ ახალგაზრდობის აღმზრდელები მხოლოდ სახელით იქნებიან ასეთები, თუ ისინი ცუდად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მაშინ შედეგები სულ სხვანაირი აღმოჩნდება. იმათი ხელიდან გამოსული ცუდი შრომა მისცემს სახელმწიფოს უმეცარსა და მავნე თაობებს, რომელნიც თავიანთი ქვეყნის მომავალს დაღუპავენო. ეცადეთ, არ დაღუპოთ ჩვენი ქვეყნის, საქართველოს მომავალიო.

რა თბილი, ჭკუის სასწავლი, შთამაგონებელი დარიგება იყო!

ზემოთ ასისტენტი ვახსენე. მეორე სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, უფრო ზუსტად, 1937 წლის თებერვლიდან იგი ვ. თოფურიას მართლაც გვერდში ედგა ყოველთვის და მისებრ პუნქტუალობით ატარებდა ქართული ენის სავარჯიშოებს ზეპირად დაფასთან და ყოველკვირეულად საკონტროლო წერითი მუშაობის სახით. ამ მძიმე, შრომატევად საქმეს უძღვებოდა იმ ხანებში ლექტორთა შორის შედარებით ყველაზე ახალგაზრდა ივანე ბიბინეიშვილი (1909-1982), რომელიც მომთხოვნელობით და საგნის ღრმა ცოდნით ხასიათდებოდა. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული სტუდენტთა საკონტროლო წერით ნაშრომებში დაშვებული შეცდომების კლასიფიკაცია და მათი ანალიზი მეორე თავისებური სკოლა იყო ჩვენთვის.

...კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს ჩვენი ფაკულტეტის ფაქტობრივი გამგებელი ვანო კაკაბაძე საჭირო ყურადღებას აქცევდა. მას ლ. არდაზიანის „მორჩილის“ დაუმორჩილებელ მკვლევარს ეძახდნენ. დღის საათებში იგიც უნივერსიტეტში მუშაობდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა პირნათლად შეესრულებინა თავისი მოვალეობა ჩვენთანაც.

განსაკუთრებით საგულისხმო იყო მისი ზრუნვა კინო-თეატრებში კოლექტიური სვლების, ექსკურსიების ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეში, ჩვენ არ ვტოვებდით უნახავად რუსთაველისა და მარჯანიშვილის, ოპერისა და ბალეტის თეატრების საუკეთესო სპექტაკლებს. მაშინ ძალიან მოგვწონდა აკაკი ხორავას მიერ განსახიერებული ოტელო, სპარტაკ ბაღაშვილის — არსენა (მ. ჭიაურელის კინოფილმიდან), აკაკი ვასაძის — იაგო, ვერიკო ანჯაფარიძის — დეზდემონა, ივდითი, ვასო გოძიაშვილის — ლუარსაბი (შ. დადიანის „ჩატეხილი ხიდიდან“), თამარ ციციშვილის — დარიკო (ანალოგიური სახელწოდების კინოფილმიდან) და სხვ. მაშინდელი პრესის საერთო აღიარებით, 1935-1937 წლები ქართული თეატრალური კოლექტივების შემოქმედებითი განვითარების აღმავლობის ხანად ითვლებოდა.

ლიტერატურული ან, როგორც მაშინ უწოდებდნენ, მწერალთა მუზეუმი ერთხანს მთაწმინდის ეკლესიაში იყო შეხიზნული. ვ. კაკაბაძემ იქ რომ მიგვიყვანა, ჯერ მთაწმინდის სერებზე გვატარა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „შემოღამება მთაწმინდაზე“ შემოქმედებითი ბიოგრაფია გაგვაცნო, გადაგვახედა მთელ თბილისზე და მიგვანიშნა იმ უბნისკენ, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა პოეტი. მერე ქაშუეთთან ახლოს იმ შენობისკენ მიგვახედა, სადაც იგი სწავლობდა და ყოველივე ამით პირველად გადაგვიშალა ლექსში პიროვნულისა და კაცობრიულის ოსტატური შერწყმის ჩვენთვის მანამდე უცნობი სამყარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რამდენადაც ეს სამყარო თავისი იდუმალებით ქვეცნობიერად ჩვენთვის მაინც არც ისე გასაგები და მისაწვდომი იყო, იმდენად გასახარელი და შთამბეჭდავი იყო თვით მუზეუმის ვიწრო ოთახებში გამოფენილი ქართველ მწერალთა ექსპონატების დათვალიერება, ის საუბარი, რომელიც ამ ექსპონატების გარშემო მუზეუმის დირექტორმა, პოეტმა და მკვლევარმა გიორგი ლეონიძემ ჩაგვიტარა. იმ ხანებში ყველას, რომ იტყვიან, პირზე გვეკერა მისი ლექსიდან ერთი ასეთი ადგილი:

შენ დაეცი ფოთოლივით
და მთასავით წამოდექი.

და აი, ბედნიერება! ავტორის ნახვა, მისი ბუბუნა ხმის გაგონება, მისი გულთბილი მიღება და ოთახიდან ოთახში ექსკურსიამძღოლივით ტარება. თან უხაროდა, რომ ახალგახსნილი პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგი სტუდენტები ვეწვიეთ.

— ნიკო, ნიკო, გამოდი აქეთ. — გასძახა უცებ ვიღაცას. ოთახიდან გამოვიდა ჩვენი ნაცნობი დაბალი, ჩამრგვალებული ტანის ლექტორი, რომელიც თურმე აქ მუშაობდა. სწორედ ის — საშუალო საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურას რომ გვიკითხავდა, ნიკო ურუშაძე (ეს ერთადერთი არა უნივერსიტეტელი ლექტორი იყო). მოგვესალმა თუ არა, პოეტმა უთხრა: — აბა, გაუძეხი ახლა შენს სტუდენტებს, აჩვენე რაც კარგი და მოსაწონი გვაქვსო. მას შემდეგ, რაც მთაწმინდიდან იმავე გიორგი ლეონიძის თაოსნობით მწერალთა მუზეუმი ჭორჭიაშვილის ქ. № 8-ში, გაფართოებულ ბინაში გადავიდა, პოეტი-აკადემიკოსი დიდხანს მეთაურობდა მას. ვანო კაკაბაძემ იგი ჯერ კიდევ სიკვდილამდე (1966) შეცვალა და ასევე დიდხანს ხელმძღვანელობდა გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს.

ამ ექსკურსიამ ინსტიტუტში მხატვრულ-შემოქმედებითი ინტერესების გამოცოცხლებას დიდად შეუწყო ხელი. მთავარი ბირთვი ლიტერატურული წრის სახით შაქრო სამადაშვილის გარშემო იკრიბებოდა. იგი ორჯერ მაღალი იყო ჩემზე, ორი წლით უფროსი და, რაც მთავარია, ჩვენს გაცნობამდე მისი ლექსი — „ვთესავთ“ დაწყებითი კლასის ქართული ენის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში იყო შეტანილი. მოდი და შებედე ასეთ კაცს ხელი გაუწოდო! შორი-შორს დავსდევდი, შორიდან ვუყურებდი, მენატრებოდა ნინო ქობულაშვილისა და დიმიტრი გურგენიძის ხვედრი. ისინი ყოველდღე ერთად იყვნენ, ერთად მოდიოდნენ და მიდიოდნენ. ბინად ინსტიტუტის გარეთ ცხოვრობდნენ და ეს გარემოებაც ხელს უწყობდათ. გაზეთ „მუშის“ ფურცლებზე დაბეჭდილმა ჩემმა ლექსმა ეტყობა, ვერ მოახდინა მათზე დიდი შთაბეჭდილება, ამიტომ მეტწილად მწერალთა სასახლეში დავდიოდი. ვინ არ იცნობს ამ სასახლის ისტორიას, ნიკა აგიაშვილის მშვენიერ ჩანაწერებს როგორ შევეცილები.

...რაჟდენ გვეტაძის „ლაშაური სალამოების“ განხილვის დროს, 1936 წელს, პირველად მწერალთა სასახლეში გაისმა მირზა გელოვანის სახელი, განხილვა ორ საღამოს გრძელდებოდა. დიდი ინტერესი გამოიწვია ნაწარმოებში შეტანილმა ანონიმურმა სტროფმა:

დედამიწა შემოსა თეთრი სამოსელით,
თეთრ კარავებს დაემსგავსნენ ატეხილი
მთები.
მახსოვს შენი გუნდაობა უხელთათმნო
ხელით,
ახლაც მახსოვს შენი სახე, ახლაც
მაგონდები!

— ეს სტროფი საოცრად ორიგინალურია და შენს არც ერთ პოეტურ და პროზაულ სტილს არ ესადაგება. რაჟდენ ბატონო, ხომ არინებებთ აგვიხსნათ საიდუმლო, საიდან გაჩნდა იგი თქვენი გმირის დღიურებში? — უსვამდნენ ასეთ კატეგორიულ კითხვებს. — საბოლოო სიტყვაში რ. გვეტაძემ თქვა:

— ჩემთან თიანეთიდან ერთი მოსწავლე მოვიდა ლექსების რვეულით. იქიდან მაქვს ამოღებული. მალე დაიბეჭდება მისი ლექსები და გაიგებთ, ვინ არისო. მაგრამ ვინ აცალა. მაშინ ტრიბუნიდან რ. გვეტაძემ განაცხადა:

— ეს მოსწავლეა მირზა გელოვანი. დავულოცოთ ნიჭი და ჩვენს რიგებში შემოსვლა.

დარბაზმა მქუხარე ტაში დაუკრა. ეს ტაში იყო ქართულ პოეზიაში მირზას სახელის პირველი გაელვების ტაში. იგი არ დამცხრალა და დღესაც გაისმის.

მწერალთა სახლში ადრე მიტანილი მქონდა მოთხრობა „გელა ვარგელი“ კოლხიდის დაშრობის თემაზე. პროზის სექციის კონსულტანტმა კ. ლორთქიფანიძემ მირჩია, როგორც კოლხიდის კუთხიდან ჩამოსულს, ამავე თემაზე დამეწერა ლექსი და წარმედგინა იგი ჟურნალ „ჩვენ თაობაში“ რომელიმე ლიტერატურული წრის რეკომენდაციით. და აი, მაშინ გადავწყვიტე ჩავბმულიყავი განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ ლიტერატურულ წრეში, რომლის მიერ მომზადებული ლიტერატურული გვერდი უკვე გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტურ განათლებაში“ (1936, 4.VII, № 27). აი, რა ეწერა მის სარედაქციო წინასიტყვაში:

„განათლების მუშაკთა ტფილისის სახლთან უკვე ნახევარი წელია აქტიურ შემოქმედებით მუშაობას აწარმოებს ლიტერატურული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს ვახტანგ კოტეტიშვილი. წრეში უმთავრესად გაერთიანებული არიან მასწავლებლები და ლიტერატურული ფაკულტეტების სტუდენტები. წრემ მრავალი ლიტერატურული ძალის გამომჟღავნებას შეუწყო ხელი... ამას გარდა ბევრმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ წრის დახმარებით, ისე ვთქვათ, „აიდგა ფეხი“. გამოვიდა საზოგადოების წინაშე, აი-

მაღლა მხატვრული ოსტატობის დონე. დღეს ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ამხანაგები, რომლებიც მომავლისთვის კარგ იმედებს იძლევიან: ნ. ქობულაშვილი, შ. ასისულაშვილი, ვლ. უბილავა, ან. თევზაძე, პ. ჩხენკელი, ს. გერგიშვილი, ა. კოპალეიშვილი. ამის მაჩვენებელი არის ეს გვერდიც". და იქვე დაბეჭდილი იყო წრის წევრთა რამდენიმე ლექსი.

ამ წრის არსებობაზე რაიმე საყურადღებო ნარკვევი ჯერ არ დაწერილა. ვ. კოტეტიშვილის ბიოგრაფიაში მისი ხანმოკლე მოღვაწეობა ხსენებული წრის ლიტერატურული დონის ამაღლებისათვის, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ფურცელია.

მე მინახავს იგი ღრმად ჩაფიქრებული და სახე განათებულიც, დაღონებულიც და დაღვრემილიც, მაგრამ 1937 წლის 6 აპრილს, როცა იოსებ იმედაშვილი თავის მოთხრობას „ცობრუტას" კითხულობდა, იგი არსებითად, დადუმებული კი არა, გაქვავებული იყო. ეს იყო მისი უკანასკნელი შეხვედრა წრის წევრებთან. უსიტყვოდ დაცილდა განათლების მუშაკთა იმ სახლს, სადაც წელიწადნახევარი თანაბარი სითბოთი უნაწილებდა თავის სულიერ სიმდიდრეს წრის ყოველ წევრს.

და მერე... მაისის თუ ივნისის ერთ საღამოს, დედამიწაზე მზის ჯერ კიდევ დარჩენილ მეწამულ შუქზე, პიონერთა სასახლის წინ, მოედანზე, იდგა კაცი — თავად ბრინჯაოსფერი. ზეციდან თითქოს ბრინჯაოს ქანდაკებად მოვლენილი ღვთიური ფრთებით. იდგა უძრავად, გარინდებულ-გაფითრებული, თმებაქოჩრილი თუ თმებაბურძგვნილი, ქალაქის საბჭოს თაღოვან სვეტისკენ მზერა მიპყრობილი და... ემშვიდობებოდა საქართველოს!

..."ჩვენი თაობის" 1937 წლის მეოთხე ნომერი, რომელშიც ვ. კოტეტიშვილის ვიზირებით დაიბეჭდა ჩემი ლექსი „აყვავებულ კოლხიდას", ორი თვის დაგვიანებით გამოვიდა და ჰონორარის აღება გამოცდების დამთავრების შემდეგ მომიხდა. მწერალთა სახლის პირველ სართულზე, მარჯვნივ, პირველ ოთახში იჯდა რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი, პოეტი ალექსანდრე აბაშელი. საერთოდ უთქმელი, წყნარი, მშვიდი ბუნების იყო. გამოხედვაც თავისი ანდრიანდელი ლექსებივით მზისდარი ჰქონდა. შუბლი და სახე თითქოს სულ უღიმოდა.

— ჰო, ჰონორარი? — ალაპარაკდა უცებ ჩემ თხოვნაზე — არ მიგიღიათ? ახლავე... გახსნა თავისი მუდამ საკორექტურო მასალებით და ხელნაწერებით სავსე პორტფელი, ამოიღო იქიდან უწყისის ფურცელი, რომელშიც ფული იყო გახვეული.

— აბა, გვარი, სახელი... ჰო, ჰო... არის. აყვავებულ კოლხიდას, არა? 35 სტრიქონია. გამახსენდა: უველას უყვარხარ... ფრინველთა შორის გემდურის მხოლოდ მაღალი ყანჩა. კარგია. კიდევ მოგვიტანე. არა, წრის გამგეობამ მოგვიტანოს. ასე სჯობია. — და ითვლის მანეთიანებს...

ჰმ! პოეტი — მოლარე, პოეტი — ბუხჰალტერი! არ თაკილობდა, მრავალ საქმეს ითავსებდა და უველაფერი მარტივად, ადვილად გამოდიოდა.

მე უკვე განაწილებული ვიყავი სამუშაოდ ჩემივე სოფლის სკოლაში და წრეს გამოვეთხოვე. გაილია ჩვენი სტუდენტობა —

ჩვენი სიცოცხლის ოქროს საბადო! —
[illegible]
[illegible]
და [illegible]...

სხვადასხვა საგნის 300-ზე მეტი ახალგაზრდა პედაგოგი მოეფინა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს. სოფელში ჩასული ვიყავი, როცა „ახალგაზრდა კომუნისტის" 1937 წლის 8 ივლისის ნომერში (№ 154) ვნახე დაბეჭდილი კლიშე, რომელსაც ჰქონდა წარწერა: „პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის წარჩინებული კურსდამთავრებულნი (მარცხნიდან მარჯვნივ)". გამიკვირდა. პუშკინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესათვის მზადება ჩვენ დროს დაწყებული იყო, მაგრამ მისი სახელი მაშინ ინსტიტუტს არ ჰქონდა მინიჭებული. ეტყობა, მერე მოხდა.

გამოშვების საღამოზე საერთოდ არ წაუკითხავთ წარჩინებულთა გვარები. ასეთები ცოტა როდი იყო. და უცებ იმ ხუთი სურათის ქვემოთ, რომლებიც ერთ კლიშეში იყო გამოსახული, ჩემი გვარიც იყო დაბეჭდილი. საინსტიტუტო კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიაში ვითომ აქტიურ როლს ვასრულებდი და, ალბათ, ამანაც შემძინა ქულა. გარდა ამისა, ორხიდან უპირატესობა ჩვენს — ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტს ჰქონდა მიკუთვნებული, თითოს ნაცვლად ორით იყო წარმოჩენილი. ესეც სიამოვნებას მგვრიდა. ინსტიტუტის ეროვნული სახე თავიდანვე გამოკვეთილად ჩანდა.

მაგრამ, ჩემდა სავალალოდ თუ საბედნიეროდ, სოფელში ერთი ვინმეც კი არ გამოდგა ან ჟურნალის ან გაზეთის ის ნომრები წაეკითხა, სადაც ჩემი ლექსი და სურათი იყო მოთავსებული. ვინ იცის, იქნებ წაიკითხეს და... მაინც არაფერი მქონდა სანანებელი, ბედისთვის სამდურავი. შრომა და გარჯა ჯერ კიდევ ფასდებოდა.

და ჯერ ისევ... ეშაფოტის სისხლიანი მარწუხებით უდანაშაულო ადამიანების ლამეული წამება გაშმაგებით გრძელდებოდა. აქაც შემოეღწია რბევას. მოქილიკე ბუზღუნი ცხვიტარია დაეპატიმრებინათ „ანტისაკოლმეურნეო ლაყბობისათვის. მის ლობეწაქცეულ ეზოში კი ძველებურად შრიალებდა მაღალი, რტოებაწურული ალვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მცირე საჭირო განმარტება

## დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობაზე დაბეჭდილი წერილის შესახებ

ჟურნალ „ცისკრის“ 1990 წლის მე-11 ნომერში დაიბეჭდა ჩემი სტატია „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის“, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ „ცისკრის“ რედაქციას.

მაგრამ ტექნიკური მიზეზის შედეგად დაბეჭდვისას გამორჩათ დამოწმებული სამეცნიერო აპარატურა და სტატიის ერთი გვერდი, სადაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტზე ჩვენი მტკიცება-თვალსაზრისია მოცემული და ამდენად პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

იძულებული ვართ განმარტების სახით წარმოვადგინოთ სტატიაში შემცირებული გვერდი და ასევე, სტატიაში დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა.

სტატიის ბოლო ნაწილში, სადაც ჩვენ დავით აღმაშენებლის უცნობი ისტორიკოსის ერთ-ერთ, სახელდობრ, მესამე შესაძლო ვარიანტს ვეხებით (არსენ ბერისა და ანტონ გოდობრელის შემდეგ) ვწერთ: „ჩვენი აზრით, დავითის ისტორიკოსის ვინაობის კიდევ ერთი ვარიანტი არსებობს. სახელდობრ ამ საკითხზე ჩვენი ყურადღება მიიპყრო თამარის ისტორიკოსის თხზულებამ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ისტორიკოსი ეხება რა გიორგი III-ეს, მეფე დემეტრე I ძეს, წერს: „მამა იქმნა გიორგი, მეფე მეფეთა ძე დიმიტრი მეფისა, რომელსა დავითცა ესუა ძედ, ძესა დავითიანისასა და აღმოსავლეთისა და კერძო — ჩრდილოეთის მეციხოვნისა და ზღვართა დამდებლისა და ზღუათა ზღუამდინ მპყრობელისა, რომლისა დიდებითა, სიმჴნითა და გუარითა ცხოვრებას აღმოაჩენს იოვანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მითხრობა“ („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 8).

აქ ტექსტში „დავითიანისასა“-ში საფიქრებელია იგულისხმება დავით აღმაშენებელი (დემეტრე I-ის მამა). აქედან დაწყებული მოტანილი ტექსტის ბოლომდე თხრობა, ჩვენი აზრით, უნდა ეხებოდეს არა დემეტრე I-ს, როგორც ეს მიაჩნია ნ. მარს, ი. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძეს, კ. გრიგოლიას, ს. ყაუხჩიშვილს, არამედ დავით აღმაშენებელს — „ზღუათა ზღუამდინ მპყრობელს“, რომლის „დიდებასა“ და „ცხოვრებას“ გვაუწყებს ფილოსოფოსი იოანე ჭიმჭიმელი. ანალოგიური მოსაზრება ადრე გამოთქვა ი. ლოლაშვილმა, მაგრამ მისი დადასტურება სცადა სულ სხვა კუთხით, ჩვენი აზრით, არადამაჯერებლად. სხვა რომ არაფერი ითქვას, სწორი არაა მის მიერ არსენ ბერისა და არსენ იყალთოელის ერთი და იგივე პირის მტკიცება“.

ზემოაღნიშნულს უშუალოდ მოსდევს ჩვენი მტკიცება იმის შესახებ, თუ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის „დავითიანისასა“-ში რატომ იგულისხმება დავით აღმაშენებელი და არა დემეტრე I. სწორედ ეს ადგილი (1 გვერდი) არის ამოღებული სტატიიდან, რომელიც ამჟამად ქვემოთ მოგვყავს:

„დავით აღმაშენებელმა 1124 წელს დაიპყრო შირვანი: „წარემართა შარვანს და აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი სრულიად ყოვ[ე]ლი შარვანი“. („ქართლის ცხოვრება“, I, 345). მეფემ იქ თავისი ჯარები ჩააყენა, ხოლო ქვეყანა სამმართველოდ თავის მწიგნობართუხუცესს სვიმონ ჭყონდიდელს მისცა. დავითმა შირვანში შირვანშაჰების ხელისუფლება გააუქმა და დაპყრობილი ქვეყანა უშუალოდ საქართველოს შემოუერთა.

შირვანის დაპყრობით და ამ ტერიტორიის უშუალოდ საქართველოს სამეფოს ფარგლებში შემოსვლით, ქართველთა სამეფოს ტერიტორია „ზღვიდან ზღვამდე“ — შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაიჭიმა. რაც შეეხება დემეტრეს მეფობის დროს საქართველო-შირვანის ურთიერთობის საკითხს, ჩანს, რომ დავითის სიკვდილის შემდგომ, დემეტრეს მეფობის დროს, მალე, სახელდობრ, 1129-1130 წლებში, ქართველები იძულებულნი გამხდარან შირვანის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც ზღვას ეკრა, აღედგინათ შირვანშაჰების ხელისუფლება ყმადნაფიცობის პირობით.

ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით: XII საუკუნეში, დავითის მემკვიდრეების დროს „შარვანის ქვეყანა ორად გაყვეს. აღმოსავლეთ ნაწილში შარვანშაჰის უფლება აღადგინეს და ეს სამფლობელო ამიერიდან ისევე როგორც დარუბანდის ქვეყანა, საქართველოს მეფის მიმართ ყმადნაფიცის მდგომარეობაში იმყოფებოდა. შარვანის დასავლეთი ნაწილი კი საარიშიანოს შემოუერთეს, ე. ი. საკუთრივ საქართველოს საზღვრებში შემოიტანეს. ასე რომ,

ამიერიდან საკუთრივ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი ქ. შამახიის ახლოს. მისგან ოდნავ დასავლეთით მდინარე თეთრ წყალზედ (აწინდელი აქსუ) გაჰიოდა" (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. III. გვ. 257). ესე იგი. შირვანი დემეტრეს მეფობის დროს უშუალოდ აღარ შემოდიოდა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში და მას უკვე საკუთარი ხელისუფალი შირვანშაჰი განაგებდა. თუმცა ქართველებთან ყმადნაფიცობის პირობით ჰქონდა მას ეს ძალაუფლება მინიჭებული.

ეს ვითარება წყაროებზე დაყრდნობით სათანადოდ დაასაბუთა ნ. ასათიანმა (კრ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1968. გვ. 40-45) ასეთივე შეხედულება არის გატარებული „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" (ტ. III. 1979. გვ. 274-278). ასე რომ. დემეტრე I „ზღვიდან ზღვამდე მპყრობელი" აღარ იყო. ასეთი იყო მხოლოდ დავით აღმაშენებელი".

ზემომოტანილი ჩვენი მტკიცების გარეშე. რომ სიტყვა „დავითიანისასა"-ში დავით აღმაშენებელი იგულისხმება და არა დემეტრე I. მკითხველი. ბუნებრივია. ჩვენს თვალსაზრისს დაუსაბუთებლად ჩათვლის.

დაბოლოს. მოგვაქვს ნაშრომში გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა სტატიაში მითითების რიგის მიხედვით.

ანდრო გოგოლაძე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

1. თ. ჟორდანია, ქრონიკები, I. თბ., 1892 წ.
2. Т. Жордания. Завещание царя Давида Возобновителя Тиф. 1895 г.
3. ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის მემატიანის ვინაობა, ტფ. 1913 წ.
4. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945 წ.
5. ჯ. ოდიშელი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბ., 1963 წ.
6. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, თბ., 1979. გვ. 90.
7. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955 წ.
8. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, თბ., 1897 წ.
9. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, თბ., 1984 წ.
10. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1940 წ.
11. ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965 წ.
12. ილ. ანთელავა. XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988 წ.
13. ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978 წ.
14. ი. ლოლაშვილი, „არსენ ბერისა და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობისათვის" — ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, თბ., 1966 წ.
15. დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ,, თბ., 1980 წ.
16. ქართლის ცხოვრება. ტ. II. თბ., 1959 წ.
17. ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1953 წ.
18. ნ. ასათიანი. საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII ს-ში, კრებული: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968 წ.
19. მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იან წლების დასაწყისამდე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979 წ.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-64-38. განყოფილებები: 98-36-43. 99-64-40; საკორექტორო — 98-64-38.

გადაეცა ასაწყობად 29.04.91 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.06.91 წ., ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საღრ. საგამომც. თაბახი 15,85. შეკვეთა 910. ტირაჟი 30.000.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380009. თბილისი, მ. კოსტავას, 14

Типография Грузинского журнально-газетного издательства «Самшобло». 380009. Тбилиси, ул. М. Костава. 14

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ცისკრის“ ამა წლის მეოთხე-მეხუთე ნომრებიდან მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში გადასარიცხად კუთვნილი ჰონორარები გაიღეს:

მამუკა დოლიძემ

კორნელი დანელიამ

სპარტაკ რეხვიაშვილმა

ედუარდ ყიფიანმა

ჯემალ დავლიანიძემ

ლევან ურუშაძემ

შოთა ნიშნიანიძემ

რევაზ დანელიამ

ზურაბ კუხიანიძემ

გიორგი ლორთქიფანიძემ

მზია ხეთაგურმა

ჯემალ აჯიაშვილმა

ჯუმბერ ქორჩილავამ

პაატა სურგულაძემ

ლეილა ნანიტაშვილმა

ბარნაბ კაპანაძემ

მიხეილ გავაშელმა

მომდევნო ნომრებიდან ჟურნალის ავტორები კვლავ გადარიცხავენ კუთვნილ ჰონორარებს. რეგულარულად გაცნობებთ მათ სახელებს.

ფასი 1 მან. 20 კაპ.

ინდექსი 76286